

საქართველო

პოლიტიკური ისტორია
დამოუკიდებლობის
გამოცხადების შემდეგ

სტივენ ჯონსი

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

სოციალურ მეცნიერებათა სერია

© 2012 December 24

Stephen Jones

© 2013 December

CENTER FOR SOCIAL SCIENCES

Published by arrangement with I.B.Tauris & Co Ltd, London'
and in Georgian language by the Center For Social Sciences (CSS)

Published by arrangement with I.B.Tauris & Co Ltd, London. The original English edition of this book (ISBN-10: 1845113381 | ISBN-13: 978-1845113384) is entitled 'Georgia: A Political History since Independence' and published by I.B.Tauris & Co Ltd'.

Copyright of Georgian Translation © 2013 Center for Social Sciences (CSS)

Address: 33 Paliashvili Street, Tbilisi 0179 Georgia,

E-mail: contact@ucss.ge; Web page: www.css.ge

© 2012 დეკემბერი სტივენ ჯონსი

© 2013 დეკემბერი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

წიგნის „საქართველო – პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ ორიგინალი გამოცემა დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე (ISBN-10: 1845113381 | ISBN-13: 978-1845113384) გამომცემლობა I.B.Tauris & Co Ltd-ს მიერ; მისამართი: 6 Salem Road, London W2 4BU ვებ გვერდი: www.ibtauris.com


ქართული თარგმანის საავტორო უფლებას ფლობს © სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS) მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 33, 0179,

ელ. ფოსტა: contact@ucss.ge; ინტერნეტგვერდი: www.css.ge

მთარგმნელი: *ხათუნა ჩხეიძე*
სამეცნიერო რედაქტორი: *მარინე ჩიტაშვილი*
ენობრივი რედაქტორი: *ლია კაჭარავა*
ყდის დიზაინი, დაკაბადონება: *გიორგი ბაგრატიონი*
ყდაზე გამოყენებულია *გურამ ნიბახაშვილის* ფოტო



წიგნის ქართული თარგმანი მომზადდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ. გამოცემულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „ნეკერთან“ თანამშრომლობით.



The Georgian translation of the book has been prepared by the CENTER FOR SOCIAL SCIENCES (CSS). Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material. The book was published in cooperation with NEKERI Press.

ISBN 978-9941-0-5972-8

ISSN - 1512-4576,

ვუძღვნი ქეთლინს და აეთანდილს,
ანგლო-ქართული თანამშრომლობის მშვენიერ მაგალიტს

სტივენ ჯონსი მაუნტ პოლიოკის კოლეჯის (მასაჩუსეტი) – რუსეთისა და ევრაზიის კვლევების მიმართულების – პროფესორი. ის რამდენიმე წიგნის ავტორია კავკასიის ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ. სტივენ ჯონსი საბჭოთა და რუსულ პოლიტიკას ასწავლიდა კალიფორნიის სანტა კრუზის უნივერსიტეტში, ლონდონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში.

პროფესორ სტივენ ჯონსის 2012 წელს გამოცემული წიგნი „საქართველო – პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი, ბოლო ოცი წლის, პოლიტიკური ისტორიის ძალზედ საინტერესო, სინთეზური ანალიზია, რომელშიც გამოყენებულია ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსები, ასზე მეტი პირადი ინტერვიუ მინისტრებთან, პრეზიდენტებთან, ელჩებთან, ქვეყნის მართვისა და განვითარების პროცესებში მონაწილე წამყვან პოლიტიკურ პირებთან. წიგნი მოიცავს ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე სამუშაო პოლიტიკური პროცესების, ამომრჩეველთა ქცევის, სახალხო მოძრაობებისა და სოციალური ორგანიზაციების შესახებ ე.წ. bottom-up (ქვემოდან ზემოთ) ანალიზს. ნაშრომში სიღრმისეული და მრავალმხრივი შეფასებაა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისა, რაც, თავის მხრივ, მეტად მიმზიდველს ხდის მას, როგორც აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც. შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, ეს პირველი წიგნია, რომელიც ახდენს პოსტსაბჭოთა საქართველოს, როგორც ქვეყნის განვითარების რეფლექსიას, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მას თანამედროვე განვითარების, პოლიტიკის შეფასებისა და სამომავლო განჭვრეტისათვის.

აღნიშნული წიგნის ქართული გამოცემა დაეხმარება ფართო საზოგადოებას, რათა მან მიუკერძოებლად შეხედოს ქვეყანაში დამოუკიდებლობის წლებში მიმდინარე პროცესებს, გაეცნოს ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებულ კვლევასა და არსებული სიტუაციის მრავალასპექტიან განხილვას.

შინაარსი

| | |
|---|-------------|
| ილუსტრაციათა სია | vii |
| რამდენიმე განცხადება და მადლობა | ix |
| ტრანსლიტერაცია და ტერმინოლოგია | xii |
| რუკები: | |
| საქართველოს ადმინისტრაციული რუკა | xiii |
| ნავთობისა და გაზის მილსადენები სამხრეთ კავკასიაში | xiv |
| საქართველოს დიდი ეთნიკური ჯგუფები | xv |
| შესავალი | xvii |
| ნაწილი პირველი: საუკეთესო დროება იდგა და, ამავდროულად, ცუდზე უარესი: 1985-1995 | |
| 1. საქართველო: გაყოფილი ერი | 3 |
| 2. რევოლუციის წინაპირობები | 35 |
| 3. პოპულიზმი საქართველოში: გამსახურდიას ფენომენი | 73 |
| 4. ინტერრეგნუმი | 104 |
| ნაწილი მეორე: სახელმწიფო და საზოგადოება: 1995-2011 | |
| 5. დემოკრატია ქვემოდან? | 149 |
| 6. სახელმწიფო | 199 |
| 7. ეკონომიკა | 253 |
| 8. ქართული ნაციონალიზმის მითი | 303 |
| 9. ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა | 337 |
| შემაჯამებელი მოსაზრებები | 381 |
| მოვლენათა ქრონოლოგია: 1985-2011 | 385 |
| შენიშვნები | 391 |
| ბიბლიოგრაფია | 447 |

ილუსტრაციათა სია

| | |
|---|-----|
| დასავლეთი საქართველოში შემოდის. თბილისის ერთერთი ქუჩა 1990-იანი წლების ბოლოს. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 10 |
| 1989 წლის აპრილი, ტანკების შემოსვლამდე. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 48 |
| დაცემული გმირები. მთავრობის სახლის ჩამოგდებული მცველები. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 53 |
| ზვიად გამსახურდია მიმართავს საქართველოს პარლამენტს | 74 |
| სამოქალაქო ომის დაწყება თბილისის ცენტრში 1991 წელს. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 100 |
| ჯეიმს ბეიკერი მესამე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, 1992 წლის 25 მაისს ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მას დახვდნენ სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტის წევრები. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 113 |
| რიგი კვების პროდუქტებზე თბილისში, 1995 წელი. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 130 |
| ვარდების რევოლუციის დასაწყისი. ხალხი მთავრობის სასახლის წინ იკრიბება. 2003 წლის ნოემბერი. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) ... | 152 |
| წნორის ბაზარი (კახეთი). (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 186 |
| საქართველოს საპრეზიდენტო სისტემა, 2004-13 | 211 |
| ადგილობრივი არჩევნები თბილისში, 2010 წლის მაისი. (სტივენ ჯონსის ფოტო) | 223 |
| პრეზიდენტი სააკაშვილი გორის ეროვნული თავდაცვის აკადემიას ხსნის. (პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდის ფოტო) | 238 |
| შევარდნაძე უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე საუბრობს. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 269 |
| იყიდება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. (სტივენ ჯონსის ფოტო) | 284 |

| | |
|---|-----|
| მუსლიმანები ლოცვის დროს, სოფელი ნამაზი, პანკისის ხეობა. (არჩილ ქიქოძის ფოტო) | 322 |
| 2008 წლის აგვისტოს ომის დაშავებულები. (გიორგი ბუხაიძის ფოტო) | 344 |
| ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა. (გურამ ნიბახაშვილის ფოტო) | 350 |

რამდენიმე განცხადება და მადლობა

ს მ წიგნში რამდენიმე ადრინდელი კვლევა გამოვიყენე. მეორე თავში გამოყენებულია მასალები Armenian Review-ს 43-ე კრებულიდან: R. Suny (ed.), Glasnost, perestroika and the Georgian Soviet Socialist Republic (საჯაროობა, პერესტროიკა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა); ზაფხული-შემოდგომის ნომერი; გვ. 127-52. მესამე თავში ჩართულია მასალები Schwarz და R. Panossian (eds), წიგნიდან: Nationalism and History: The Politics of Nation Building in Post-Soviet Armenia, Azerbaijan and Georgia, 'Populism in Georgia: the Gamsakhurdia phenomenon' (პოპულიზმი საქართველოში: გამსახურდიას ფენომენი), ტორონტოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994, გვ. 127-49; მეოთხე თავში გამოყენებულია მასალა C. Danopoulos და D. Zirker (eds), წიგნიდან Civil-Military Relations in the Soviet and Yugoslav Successor States, 'Adventurers or commanders: civil-military relations in Georgia,' 1996, გვ. 35-52. მეხუთე თავი Slavic Review-ს 59-ე კრებულში დაბეჭდილი წერილის განვრცობილი ვერსიია, 'Democracy from below: interest groups in Georgian Society' (დემოკრატია ქვემოდან: ინტერესთა ჯგუფები ქართულ საზოგადოებაში), 2000, გვ. 42-73; მერვე თავში მოტანილი არგუმენტები ეყრდნობა წერილს Georgia: from under the rubble წიგნიდან L. Barrington (ed.), After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States, 2006, გვ. 248-76. მეცხრე თავში გამოყენებული მაქვს The role of cultural paradigms in Georgian Foreign Policy,' (კულტურულ პარადიგმათა როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში), წიგნიდან R. Fawn (ed.), Ideology and National Identity in Post-Communist Foreign Policies, London: Frank Cass, 2003, გვ. 83-110.

წიგნზე ხუთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი, მაგრამ ანალიტიკურ ინფორმაციასა და ცნობებს 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე ვკრებდი. ტაქსის მძღოლებს, სკოლის მასწავლებლებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს სუფრასთან, ჭადრაკის მოთამაშებებს პარკებში, ჩემს კოლეგებს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან თუ ბიბლიოთეკიდან, პარლამენტის წევრებს, მინისტრებს და თავად პრეზიდენტებსაც თავისი წვლილი აქვთ შეტანილი ამ ნაშრომში გადმოცემული მოსაზრებების, იდეებისა თუ თეორიების ჩამოყალიბებაში. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები ერთნაირი კეთილგანწყობით დამთანხმდნენ მათთან ინტერვიუებზე. ამ საინტერესო და მომხიბვლელ საზოგადოებაში მაინც მინდა გამოყოყნო ის ხალხი, რომელსაც განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ჩემგან.

მე მადლიერი ვარ ჩემი მასწავლებლების, პროფესორ პიტერ რედუეისის, ლეილა გეგუჩაძის და ზეინაბ ებრალიძის ხანგრძლივი მეგობრობისა და დახმარებისთვის. წლების მანძილზე ჩემმა ქართველმა კოლეგებმა გააღრმავეს ჩემი ცოდნა და წარმოდგენები ქართული პოლიტიკასა და კულტურაზე და მათი სიყვარულიც, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ. მინდა განსაკუთრებული სიტოპოთი მოვიხსენიო ის სულგრძელი ადამიანები, რომლებმაც ამ წიგნის ცალკეული თავები თუ მთლიანი ტექსტი წაიკითხეს, ესენი არიან: პროფესორი რონ სუნი, პროფესორი ალექსანდრე რონდელი, დოქტორი გია თარხან-მოურავი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა, დოქტორი ნატა საბანაძე, ელჩი თედო ჯაფარიძე, დოქტორი რომან გოცირიძე, პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე და დოქტორი ოლივერ რაისნერი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ჩემი ნაშრომის დიდსულოვანი მკითხველები იყვნენ: პროფესორი ჩარლზ კინგი, დოქტორი ლორენს ბროერსი, პროფესორი ვალერი ბენსი და პროფესორი ჯული ჯორჯი. აქვე მინდა ანონიმ მკითხველებსაც გადავუხადო მადლობა, რომლებმაც ბევრი საინტერესო და აზრიანი შენიშვნა მომცეს.

და ბოლოს, უღრმესი მადლობა ჩემს მეგობრებს, რომლებიც მათთან გვიანი სტუმრობისას უსმენდნენ ჩემს არგუმენტებს და ზრდილობიანად უარყოფდნენ ჩემს ვარაუდებს. განსაკუთრებით ვაფასებ გელა ჩარკვიანს, ხათუნა ჩხეიძეს, ალექსანდრე კუხიანიძეს, მალხაზ მაცაბერიძეს, ქეთევან კინწურაშვილს, ბექა მინდიაშვილს, გურამ სვანიძეს, ნანა სუმბაძეს, ლევან ბერძენიშვილს, ნანა ჯანელიძეს, ვახტანგ ხმალაძეს, ელჩ თემურ იაკობაშვილს, მამუკა წერეთელს, გია ნოდისას, თინა ხიდაშელს, დათო უსუფაშვილს, პაატა ზაქარეიშვილს, ლევან რამიშვილს, მარინა ჩიტაშვილს, გიორგი ხელაშვილს, ს. ნილ მაკფარლენს, კონსტანტინ პლემუკოვს, რობერტ პარსონს, კობა თურმანიძეს, რეჯებ ფორდანიას, თორნიკე გორდაძეს, თათუნა გრძელიძეს, გიგი თევზაძეს, ნინო სააკაშვილს, მაიკლ კლეიტონს, ან გარდაცვლილ ჯეკ გრიფინს და ინგულინა ლორიას. დიდი სიტოპოთი და მადლიერებით ვიხსენებ ან გარდაცვლილ ზაალ ქიქოძეს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ნანა ხვედელიანის დახმარება, რომელიც ჩემი სპეციალური არხი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რეზერვებთან დასაკავშირებლად და ჩემი ყველაზე სულგრძელი მასპინძლის დავით დარჩიაშვილის თანადგომა საქართველოს პარლამენტის არქივში მუშაობის დროს.

ან გარდაცვლილმა კონსტანტინე სიღამონ-ერისთავმა დიდი დახმარება დამინია. მის გარეშე, ეს წიგნი ვერასდროს მიაღწევდა გამომცემლობამდე. რუსუდან ქარელი საუცხოო თანაშემწე იყო კვლევით მუშაობაში; ტელიორ ჩუთცმა პოლიტიკური დიაგრამა გამიკეთა, ხათუნა ჩხეიძე მოვლენათა ქრონოლოგიურად დალაგებაში დამეხმარა, ალი ბრაუნი და ნინო გურული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრებაში დამეხმარნენ, ხოლო დორინ სენტ ჯონმა რუკები შემიდგინა. მაუნთ ჰოლიოკის რუსე-

თისა და ევრაზიის კვლევების მიმართულების კოლეგები (განსაკუთრებით, პიტერ სკოტო და ედვინა კრუზი) დიდი მოთმინებით ისმენდნენ საქართველოს პოლიტიკის ჩემულ ინტერპრეტაციას და აღწერას. მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის დეკანი დონალ ო'შეა ჩემი დიდი მხარდამჭერი და გამამხნევებელი გახლდათ.

ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატორი სმით რიჩარდსონის ფონდი იყო, რომელმაც წარმატებით დაასრულა კიდევც ის. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის დოქტორ ნადია შედლოვის დახმარება, რომელიც გამორჩეული ტაქტიკითა და მოთმინებით ზედამხედველობდა ურჩ გრანტიორს ჩემი სახით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომლებიც ჩემს ყველა ბუნდოვან თხოვნას ასრულებდნენ, საქართველოს პარლამენტის არქივისა და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ძალზე გულისხმიერ თანამშრომლებს..

ჩემი დიდი ოჯახის წევრები - თამუნა, გოგი, დათო, დარეჯანი, ლევანი, მანანა, დუტუ და თინიკო გვერდზე მედგნენ და იმდენად მამხნევებდნენ, რომ ნამდვილად ღირდა ამ საქმის გაკეთება. დათოსა და დარეჯანის გარეშე კი, საერთოდ ვერ წარმომიდგენია, კიდევ რამდენი დრო დამჭირდებოდა ამ წიგნის დასამთავრებლად. ჩემს მეუღლეს, მარინას და შვილებს, ლორენსსა და ილიას, ჩემგან უდიდესი მადლობა იმისთვის, რომ მუშაობის რთულ ეტაპებზე სიყვარულით მაიძულებდნენ, რომ ღიმილით დამეძლია სირთულეები.

ამჰერსტი, იენისი, 2012.

ტრანსლიტერაცია და ტერმინოლოგია



ტრანსლიტერაციის ჩემი სისტემა ქართულისთვის მარტივია. დიაკრიტიკული ნიშნები ამოვიღე და ერთნაირად ვწერ ქართულ ასოებს „ქ“-ს და „ქ“-ს, „ც“-ს და „წ“-ს, „ჭ“-ს და „ჩ“-ს, „თ“-ს და „ტ“-ს, „ფ“-ს და „პ“-ს. „ლ“ და „ყ“ ასოების ტრანსლიტერირება შესაბამისად „gh“ და „q“ მოვახდინე. ზოგიერთ შემთხვევაში, შევიწინარწუნე უფრო ჩვეული დანერილობა, მაგალითად, ვწერ Ilya-ს Ilia-ს ნაცვლად და Yakobashvili-ს Iakobashvili-ის მაგივრად. ქართველები არ იყენებენ ასომთავრულს და მეც ასევე ვიქცევი, გარდა სახელების და ადგილების დასახელებებისა. რუსული ენისთვის კი, კონგრესის ბიბლიოთეკის ტრანსლიტერაციის სისტემას ვიყენებ. ვიყენებ აგრეთვე ქართულ ლარს (GEL), საქართველოს ეროვნულ ვალუტას 1992 წლის შემდგომ, ეკონომიკური მაჩვენებლებისთვის, თუმცა როცა წყარო აშშ დოლარებშია, დოლარს ვტოვებ და არ გადამყავს მანეთებში, კუპონებსა თუ ლარებში. ამასთან, ლარს ვაკონვერტირებ დოლარში, თუკი ვგრძნობ, რომ ეს მკითხველისთვის სასარგებლო ინფორმაცია იქნება (პენსიის, გასამრჯელოს და ა.შ. მოცულობა, მაგალითად). საქართველო 67 ადმინისტრაციულ რაიონად და ცხრა მხარედ არის დაყოფილი. რაიონს – district-ს ვუწოდებ, ხოლო მხარეს province-ს. რუსულ „ობლასტი“-ს კი, რეგიონად (region) ვთარგმნი. რუსული „რაიონ“-ი ქართული რაიონის, ან district-ის ექვივალენტია. როცა ქართულ ტერმინებს, მაგალითად საკრებულოს (council) მრავლობით რიცხვში ვთარგმნი, დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, უბრალოდ “s”-ს ვამატებ. ქართული ენის მრავლობითი ფორმა აბნევს ინგლისელ მკითხველს. ხოლო რაც შეხება ისეთ პრობლემურ, დანალმულ სფეროს, როგორიც ტოპოგრაფიული სახელებია, მე შევიწინარწუნე ქართული ვარიანტები თანამიმდევრულობის გამო (მაგალითად, სოხუმი და არა – სუხუმი; აჭარა და არა – აჭარია; სამეგრელო და არა – მეგრელია). მაგრამ აფხაზეთის შემთხვევაში, რუსულ სახელს – Abkhazia-ს ვიყენებ, რადგან ის უფრო გავრცელებული და ნაცნობი სახელია, ვიდრე ქართული აფხაზეთი.

შესავალი

1 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს უზენაესმა საბჭომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად რიგგარეშე სესია მოიწვია. დღის წესრიგში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იდგა. უზენაეს საბჭოს 1990 წლის ოქტომბრიდან მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო აკონტროლებდა ყოფილი დისიდენტის, 52 წლის ზვიად გამსახურდიას, ხელმძღვანელობით. 1989 წლის 9 აპრილს წამებულთა ხსოვნის უკეცდავ-საყოფად გამოცხადებული წუთიერი დუმილის შემდეგ, ზვიად გამსახურდია ტრიბუნაზე ავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის წასაკითხად: „ქართველი ხალხი არასდროს შეგუებია თავისუფლების დაკარგვას“, – თქვა მან და მსმენელებს შეჰპირდა, რომ ახალი სახელმწიფო დემოკრატიული იქნებოდა:

„საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა, დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებას და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების წესდება...“¹

ზვიად გამსახურდია ორი საათი საუბრობდა უზენაესი საბჭოს ტრიბუნიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე; საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის მაისის ხელშეკრულების დარღვევაზე, საქართველოს 1921 წლის თებერვლის უკანონო ანექსიასა და დასავლეთ სამყაროს გულგრილობაზე ოკუპაციის მიმართ; საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ 1924 წლის აჯანყებაზე; 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ტრაგედიაზე და 1990 წლის მარტში ჩატარებულ დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 91%-მა თავისი ნება დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გამოხატა.² გამსახურდიას გამოსვლის შემდეგ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაუჭირა მხარი. მერე კი, სხდომათა დარბაზი აპლოდისმენტებით გაივსო. სხდომას

ქართველ-ებრაელთა ჯგუფი და მეზობელი ინგუშეთის ლიდერები ესწრებოდნენ. დამსწრეები მუშტებმემართულებიც იდგნენ (თუმცა, ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლებს გაუბედაობა ეტყობოდათ). დარბაზში საქართველოს ახლადმიღებული ჰიმნის, დიდების, მელოდია ჟღერდა. ჰიმნი 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი იყო და დარბაზში მყოფთაგან ცოტამ თუ იცოდა მისი სიტყვები. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებსა და ოსებს (ქვეყნის ჩრდილოეთით მოსახლე ეროვნული უმცირესობა) შორის ბრძოლები მიმდინარეობდა, ეს დღე მაინც დიდი ზეიმი იყო ქართველებისათვის. ხალხი ქუჩებში მღეროდა და პრეზიდენტის სახელს სკანდირებდა.³

დეკლარაცია სიმბოლური იყო, როგორც თავად ქართული პოლიტიკის დიდი ნაწილი. სიტყვებმა: „დამოუკიდებლობა“, „დემოკრატია“ და „ევროპა“ 90-იან წლებში ათასობით ქართველი გამოიყვანა ქუჩებში, თუმცა, ამ სიტყვების მნიშვნელობა ბევრს გააზრებულაც კი არ ჰქონდა. „დამოუკიდებლობა“ გახლდათ ტერმინი, რომლისგანაც, ქართველები მისტიურ აყვავებას, დემოკრატიას, სამართლიანობას და უსაფრთხოებას ელოდნენ. ამრიგად ამ საზეიმო სხდომას დასავლეთის არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი დასწრებია და არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ უღიარებია საქართველოს „დე იურე“ დამოუკიდებლობა. რვა თვის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო მართლაც გახდა დამოუკიდებელი, მაგრამ ეს მონაპოვარი, შიდა ეთნიკური კონფლიქტებით, სამოქალაქო ომით, ტერორით, ეკონომიკური კოლაფსითა თუ რუსეთთან ომით განადგურებული ქვეყნისთვის, მეტისმეტად მტკივნეული და სისხლიანი აღმოჩნდა.

2011 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ისევ ვერ აკონტროლებს საკუთარ ტერიტორიებს და ვერც ეკონომიკური უსაფრთხოებით უზრუნველყოფს საკუთარ მოქალაქეებს. მიუხედავად ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სივრცეში გარკვეული მიღწევებისა, მან მაინც ვერ შეძლო აეშენებინა ეფექტური დემოკრატია, რომლის მიმართაც მოსახლეობას ნდობა ექნებოდა. საქართველო, ერთდროულად წარმატებული და დამარცხებულიც, პარადოქსებისა და გამოცანების სიუხვეს არ უჩივის. დასავლეთში, ჩვენ, ამ ქვეყნის პროგრესს იმ აბსტრაქტული პოლიტიკური და ეკონომიკური სტანდარტებით ვზომავთ, რომლებსაც თავად არ ვიყენებთ; ან, უბრალოდ, ნომინალურად ვეთანხმებით საქართველოს თვითშეფასებას. ამის შედეგი დაუბალანსებელი კრიტიკა და მეტისმეტი ქებაა.

საქართველო დღეს იმ ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც დასავლეთში დავიწყებულია. ყველაზე სასწრაფო და გადაუდებელი, რაც ქართულ პოლიტიკურ ელიტას უნდა შეექმნა, გახლდათ სუვერენული სახელმწიფოებრიობის ორგანოები, უნდა ჩამოეყალიბებინა ფართო და ტევადი ეროვნული იდენტობა, რომელიც თავის თავში გააერთიანებდა

არაეთნიკურ ქართველებს, ჩაენაცვლებინა ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკა კონკურენტუნარიანი ბაზრით, დაეარსებინა დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოების დამხმარე სტრუქტურები და გაეტარებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ამ რევოლუციური გამოწვევების ერთობლიობა და სირთულე ნებისმიერ მთავრობას მოხრიდა წელში. მით უმეტეს, საქართველოს, რომელიც სწრაფად ცდილობდა საქმის გაკეთებას გამოცდილი კადრების, შესაფერისი ინსტიტუტების, ქმედითი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და, რაც მთავარია, საჭირო თანხების გარეშე. ალექსანდრ მოტილის სიტყვებით რომ ვთქვათ, რევოლუციური ცვლილების მსურველი პოლიტიკური ელიტა განსაკუთრებულად კარგად უნდა იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი.⁴ ქართულ ელიტასა და საქართველოს საზოგადოებას არც ფსიქოლოგიური და არც მატერიალური რესურსები არ გააჩნდათ რევოლუციური ცვლილებებისთვის.

დასავლეთის ნამყვანმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გარდამავალ ეტაპზე. საქართველო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ერთ სულ მოსახლეზე, ყველაზე დიდ დახმარებას იღებს აშშ-გან. მიუხედავად დიდი ფულადი დახმარებისა, მოსახლეობის უმრავლესობა დღესაც სიღარიბის ზღვარზე ან ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ამ ბოლო წლებში, მართალია, საქართველოში გასატარებელმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი კორექტირება განიცადა, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დამარცხდნენ ამ ქვეყანაში, მათ ვერ მიაღწიეს დასახულ მიზნებს. კერძოდ, ვერ შექმნეს სტაბილური ეკონომიკა და კონსოლიდირებული დემოკრატიული სახელმწიფო. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის შექმნილმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გეგმამ, თითქმის ბოლშევიკურმა, შეიძლება ითქვას, თავისი მოცულობითა და შეუვალი დამაჯერებლობით, დიდი წვლილი შეიტანა სწორედ იმ პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ ვარდნაში, რომლის თავიდან ასაცილებლადაც ის შემუშავდა და, ამასთან, უფრო გამწვავა დაძაბულობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიბერალიზაციას შორის.

ამ ნიგნს ოთხი მიზანი აქვს: პირველი, გააანალიზოს ის დრამატული სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები, რომელიც ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოხდა. ინგლისურ ენაზე ცოტა ნიგნია იმ სოციალურსა და ფსიქოლოგიურ ძვრებზე, რაც 1990-იანი წლების ეკონომიკურმა და სტრუქტურულმა კრიზისმა გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. როგორც ცნობილია, ქართულს საკუთარი ანბანი აქვს, რომელიც დაკავშირებული არ არის დიდ ლინგვისტურ ჯგუფებთან, მაგრამ ეს ჩვენი ზედაპირული დამოკიდებულების ბრალიცაა. როცა საქართველო დასავლეთის სახელმწიფოების მხედველობის არეში ამოყოფს თავს, ის ეთნოგრაფიულ იშვიათობად ან სტრატეგიულ ობიექტად გვევლინება, ხოლო კავკასია – რომლის ცენტრალურ ნაწილშიც ეს ქვეყანაა – არასტაბილურ ეთნიკურ

მრავალფეროვნებად (მელანჟად) აღიქმება ევროპის პერიფერიაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღორძინებული გეოპოლიტიკის წყალობით, რასაც ნაციონალიზმისადმი განახლებული ინტერესიც დაერთო, ხელი შეეწყო დასავლური კვლევების ზრდას რეგიონის როგორც ეთნიკური კონფლიქტების წყაროს დიდი სახელმწიფოების პოლიტიკისა და ენერგოკონკურენციის შესახებ. ეს თემები საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ცალმხრივია. საქართველოს პოლიტიკურ კულტურას, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადგილობრივ მმართველობას, დასაქმების პრობლემებს ანუ, პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიურობას, ჩრდილში აქცევს ქართული ელიტის გროტესკული ქცევა და სამოქალაქო ომი, სეპარატიზმი და რუსეთის ინტერვენცია. ტიპ ო'ნილის მაქსიმას, „ყველანაირი პოლიტიკა ადგილობრივია“, თავიდან გვაცილებს აბსტრაქტულ ფორმულებს აქ, სახლში, მაგრამ იმავე ფორმულას იშვიათად ვიყენებთ საზღვარგარეთის ქვეყნების შესწავლისას. დასავლეთის გაელენიანი პოლიტიკოსებისთვის ჩვენ ვერ შევძლებთ ქართული პოლიტიკის ახსნას და ვერც იმ გამოწვევებს დავადგენთ, რის წინაშეც საქართველოა თუ არ გავიგებთ ქართველთა ტრანსფორმაციას და არ გავეცნობით ახალ ინტერესებს, ღირებულებებსა და ინტერესთა ჯგუფებს.

მეორე მიზანი საზოგადოებრივი პოლიტიკა გახლავთ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სრულიად განსხვავებული გეოგრაფიის, ისტორიის, პოლიტიკური კულტურის, ეკონომიკური მდგომარეობისა და ხელმძღვანელობის სტილის გამო, ამ ქვეყნების გარდამავალ პერიოდებს საერთო თითქმის აღარაფერი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ საერთო პრობლემები ჰქონდათ, ადგილობრივი პირობებისა და გარემოებების გამო, შედეგები სპეციფიკურია. საქართველოში გატარებული რეფორმის დეკლარირებული მიზანი სტაბილური და წარმატებული დემოკრატიის შექმნაა. მაგრამ როგორ ესმით ქართველებს დემოკრატია და როგორ ავითარებს მას სამთავრობო პოლიტიკა? საქართველოს სასამართლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანოების ფუნქციონირებაზე პასუხების ძიებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქართველთა სოციალური და ინტელექტუალური არაერთგვაროვნება. ქართული პოლიტიკის ბირთვის საქართველოს პოლიტიკის გულის – არაფორმალური ჯგუფების გარიგებების, ელიტების განწყობების, თაობათა განმასხვავებელი ნიშან-თვისებებისა და მოქალაქეთა ყოველდღიური საზრუნავის ანალიზი ძნელად თუ იძლევა განზოგადების საშუალებას. ამავე დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ხელმძღვანელობას ტრანსფორმაციის ამ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, რომელსაც განუზომლად დიდი ძალაუფლების სამი ლიდერი ახდენდა.

მესამე მიზანი გახლავთ ტრანზიციაზე/გარდამავალ პერიოდზე, პოსტ-კოლონიალიზმზე, რევოლუციებზე, ნაციონალიზმზე, პოპულიზმსა და

დემოკრატიის მშენებლობაზე არსებული თეორიული ლიტერატურის დაკავშირება საქართველოს გამოცდილებასთან. ამ შემთხვევაში, რამე განსაკუთრებული სახის ახსნა-განმარტებითი ჩარჩო ამ წიგნისთვის არ ამიღია და ჩემი მეთოდოლოგიაც საკმაოდ ეკლექტურია, ეფუძნება რა ინტერვიუებს, დოკუმენტურ მასალას, ჩემს დაკვირვებებს და სტატისტიკურ კვლევებს/გამოკითხვებს. თეორიას ინტერპრეტაციაზე ყურადღების მისაპყრობად ვიყენებ და არა ამა თუ იმ თეორიული მოდელის არსებობის დასამტკიცებლად. ინტერპრეტაციას მე ვიყენებ თეორიის ახსნის და არა ამა თუ იმ თეორიული მოდელის არსებობის დასამტკიცებლად. მოდელები, სასარგებლო და მიმანიშნებელიცაა, მაგრამ იშვიათად თუ აღწევს იმ წინასწარმეტყველურ თვისებებს, რომელთა მხარდამჭერადაც გვევლინება. თეორიას პროგნოზთან კი არ მივყავართ, არამედ, კითხვებთან. როგორ უნდა გავიგოთ საქართველო, როგორც პოსტიმპერიული საზოგადოება, რომელიც საბჭოურ მემკვიდრეობას ებრძვის, თუ როგორც რევოლუციური საზოგადოება, რომელსაც ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის უამი უდგას? წარმოადგენს თუ არა საქართველოსთვის ეს უკანასკნელი ორი ათწლეული მოძრაობას ეროვნული განთავისუფლებიდან სამოქალაქო სახელმწიფოებრიობის მშენებლობისკენ? ან, უკეთ ხსნის თუ არა მუდმივი ნეოპატრიმონიალური ინსტიტუტები და ლუსტრაციის არარსებობა ლეგიტიმურ სახელმწიფო ინსტიტუტებთან დაკავშირებულ პრობლემებს?

და ბოლოს, თეორიულ ვარაუდებითა და ჩემს 30 წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა შეიძლება ვთქვა საქართველოს მომავალზე, როგორი იქნება ის? შეუძლიათ თუ არა ქართველებს მიაღწიონ იმ მიზნებს, ასე ამაყად რომ ჩამოაყალიბეს „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტივი?“. პასუხი მხოლოდ ქართველებზე ან მათ ლიდერებზე არ არის დამოკიდებული. საქართველოს რეგიონული მეზობლები – თურქეთი, ირანი, რუსეთი, ჩრდილო და სამხრეთ კავკასია – ხშირად მტრულად არიან მისდამი განწყობილი. ამ პატარა სახელმწიფოს, ძლიერ რომ აუღის თავის საგადასახადო ვალდებულებებს, აურაცხელი შეზღუდვა აქვს დაწესებული საგარეო თუ სამინაო პოლიტიკაზე. შესაბამისად, ვაშინგტონსა თუ მოსკოვში მიღებულ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი მომავლისთვის. თუმცა პატარა, სუსტ და გალატაკებულ, ასევე კორუმპირებულ სახელმწიფოებსაც შეუძლიათ ისეთი კურსის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მოერგონ არახელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას და დაამარცხონ ეკონომიკური სირთულეები.

წიგნი ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველი ნაწილი (პირველი ოთხი თავის ჩათვლით), მოიცავს 1985-დან 1995 წლამდე პერიოდს. მეორე ნაწილი (მეხუთედან მეცხრე თავამდე) უფრო ანალიტიკურია და თეორიულ დაკვირვებებსაც შეიცავს 1995 წლის შემდგომი პერიოდის, გარდამავალი ეპოქის, პრობლემებისა და პროცესების შესახებ. მეორე ნაწილი აერთიანებს

შევარდნაძისა და სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდებს. ეს ცოტა დამაბნეველი შეიძლება აღმოჩნდეს მკითხველისთვის. მეც ქრონოლოგიური დილემების წინაშე აღმოვჩნდი, მაგრამ გამოვკვეთ ჩემს აზრს, რომ შევარდნაძისა და სააკაშვილს შორის არსებული სისტემური მემკვიდრეობითობა, ისეთივე მრავლისმეტყველია, როგორც მათი განსხვავებები. ვარდების რევოლუცია, არსებითად, კი არ დაუპირისპირდა შევარდნაძის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კურსს, პირიქით, ახალმა პრეზიდენტმა, სააკაშვილმა, დააჩქარა და გააღრმავა შევარდნაძის მიერ დაწყებული რევოლუცია.

წიგნში წამოწეულია ეკონომიკური, ინსტიტუციური და დემოკრატიული ხასიათის ჩავარდნები ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე, მაგრამ მე, აგრეთვე გამოვკვეთ საქართველოს სვლას მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სტაბილურობისკენ. ამ წიგნის საფუძველი, ერთი მხრივ, კონტექსტისა და ისტორიის ურთიერთობაა, მეორე მხრივ კი, ქართველთა ლტოლვა ეკონომიკური და დემოკრატიული მიზნებისაკენ. ამ ყველაფერმა ამბივალენტური დასკვნები გამაკეთებინა ოცნლიანი ქართული პოლიტიკის შესახებ. ამ წიგნში კრიტიკა მკაცრია, მაგრამ კეთილსინდისიერი. მიზანი კი, რამდენადმე პრეტენზიული, სურვილი, დავეხმარო ქართველებს, რათა იფიქრონ, თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ წინსვლა ეფექტიანი დემოკრატიული სახელმწიფოსაკენ.

ნანილი პირველი

**საუკეთესო დროება იდგა და,
ამავდროულად, ცუდზე უარესი: 1985-1995**

თავი პირველი

საქართველო: გაყოფილი ერი

ქ ავჭავაძის გამზირზე, ვარაზის ხევის, კეკელიძისა და მელიქიშვილის ქუჩების კვეთაზე დადექით. ეს ყველაზე დატვირთული გზაჯვარედინია თბილისში. აქ უერთდება ვაკის ფეშენებელური საცხოვრებელი უბანი ქალაქის ცენტრს. ახლა, შეადარეთ თქვენ წინ გადაშლილი სურათი (2011) ოცი წლის წინანდელს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წიგნის მალაზია ჭავჭავაძის გამზირზე აღარ არსებობს, მის ნაცვლად, აქ კაფეა, ტროტუარზე გამოტანილი ფერდ-ფერადი მაგიდებით. მელიქიშვილის გამზირზე მდებარე ჩაის სახლის შენობაში კი, აზარტული თამაშების ცენტრი მაქსბეტია გახსნილი. ცოტა კიდევ გაჰყევით ჭავჭავაძის გამზირს და სულ ახალთახალ მალაზიებს დაინახავთ, „ნიუ ტრენდს“, „ჯორდანოს“ და კიდევ ერთ კაფეს, „ესიდ ბარს“ მიადგებით. გზაჯვარედინზე, ავტობუსის ძველ გაჩერებაზე, ისევ გააჩერებთ ტაქსად გადაკეთებული მანქანას, მაგრამ შავი გამონაბოლქვით ცნობილი უნგრული იკარუსები თბილისში აღარ დადიან. ისინი ჰოლანდიელების ნაჩუქარმა ახალმა, პრიალა ავტობუსებმა ჩაანაცვლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ყოფილი ცარისტული გიმნაზიის იმპოზანტურ, ნეოკლასიკურ ნაგებობას ჭავჭავაძისა და ვარაზის ხევის კუთხეში, ახალი და ლამაზი ლობე არტყია გარს. იქვე განლაგებული საზოგადოებრივი ტელეფონებით კი, (2010 წელს აქ ერთადერთი ტელეფონი იდგა, 2011 წელს კი არც ერთი) ქართული ლარით ნაყიდი სატელეფონო ბარათებით და არა ორკაპიკიანი მონეტებით შეგიძლიათ ისარგებლოთ. მაგრამ ამ ტელეფონებს თითქმის აღარავინ იყენებს, რადგან 4.5 მილიონიან ქვეყანაში, 2.755 მილიონი ადამიანი მობილურ ტელეფონს ხმარობს.¹ ძვირიანი მერსედესები, ვოლვო და ჰამერებიც განსხვავდებიან იმ საბჭოთა წარმოების ტოლიატიური უიგულეებისგან, რომლებითაც სავსე იყო ქალაქი. როგორც ადრე, ახლაც არავინ აქცევს ყურადღებას ქუჩაში მოძრაობის წესებს, თუმცა, პარადოქსია, მაგრამ რაც ტრანსპორტის ნაკადის ხელის მოძრაობებით დამრეგულირებელი პოლიციელები აღარ ჩანან (ისინი ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციამ შეცვალა 2004 წელს), ქუჩებში, ნამდვილად, ნაკლები ქაოსია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში მიმდინარე ქართული გარდაქმნის ნიშნები წარსულის ნაშთსა და ჩვეულებებთანაა აღ-

რეული, მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციონერებს ძალა არ დაუშურებიათ მათ წასაშლელად. აი, ეს დააფიქრებს კაცს საქართველოში მომხდარ ცვლილებათა ხარისხზე. ქართული ტრანზიცია, მიუხედავად ახალგაზრდა ლიდერების მომხიბვლელობისა, სოკოებივით მომრავლებული სასტუმროების და სარკისებური მინის მლაზიებისა (მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა გასამმაგდა თბილისში 2004-2007 წლებში) მაინც გზაჯვარედინზეა შეჩერებული, იქ, სადაც ახალი განაცხადები, იმპორტირებული იდეები, თანამედროვე ლირებულებები თუ კერპადქცეული მოდურობა საზრდოობს წარსულით და ერწყმის ძველ წეს-ჩვეულებებს, ინერციას, კულტურულ ტრადიციებს და ანტიმოდერნისტულ განწყობებს. შედეგად ვიღებთ მრავალშრიან პალიმფსესტს, რომელიც თანამედროვე, ოპტიმისტური და ბიზნესზე ორიენტირებულია ზევით, ხოლო – ღარიბია, ტრადიციული და ტრავმირებული ქვედა შრეზე. ამის მაგალითად გამოდგება ახლადშეღებილი ფასადები რუსთაველის გამზირზე და ვულგარული ზღვისპირა სასტუმროები ბათუმში, – ჭეშმარიტად შთამბეჭდავი ინვესტიციების ზეიმი, რომლის ფონზე არ ჩანს გარეუბნების გაჭირვებული მოსახლეობა. აი, ასეთი გაორება დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდის ბევრი საზოგადოებისთვის. შედეგი კი, ორმაგი სტანდარტის გაორებული დემოკრატია და გაორებული ეკონომიკა გახლავთ, და სულ უფრო მზარდი უფსკრული სოფლელსა და ქალაქელს შორის, შეძლებულსა და უქონელს, ინგლისურად მოსაუბრე და ინგლისურის უცოდინარს, ახალგაზრდასა და ხანდაზმულს, დასაქმებულსა და უმუშევარს შორის.

2003 წლის ნოემბრის რევოლუციის ზღურბლზე, – ეს მესამე პოლიტიკური მეტამორფოზა იყო 1990-იანი წლების შემდეგ – საქართველო ისევ კრიზისით იტანჯებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი (1991 წელი) და ზვიად გამსახურდიას ლიდერობის მშფოთვარე წლები ქვეყნისათვის მასობრივი ისტერიის ხანა იყო. ამ დროს გათამაშდა მისთვის საკუთარი დაშლილ-დანაწევრებული წარსული ისტორიის ჯოჯოხეთური ვარიანტი. 1992 წელს ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისმოდა მოწოდებები ძირფესვიანი მოდერნიზაციისკენ, არც შერიგების კომისია შექმნილა და არც კომუნისტური პარტიის თანამდებობის პირთა პოლიტიკური წმენდა ჩატარებულა. პირიქით, ჩვენ მოწმენი გავხდით, როგორ დაბრუნდა პოლიტიკურ სცენაზე საკუთარების მქონე რეინკარნირებული ნომენკლატურა და როგორ შეერწყა ერთმანეთს სახელმწიფო სტრუქტურებში კრიმინალური და პოლიტიკური, საჯარო და კერძო ინტერესები. დევიდ სტარკი ამ მოვლენას „რეკომბინაცია“ უწოდებს, ანუ ორგანიზაციათა ხელახალი შექმნის პროცესი, ოღონდ არა „კომუნიზმის ნანგრევებზე, არამედ კომუნიზმის ნანგრევებით“.²

ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ქართულ პოლიტიკაში 1972 წლიდან 2003 წლამდე დომინირებდა (ხანმოკლე პერიოდის გამოკლებით, კერძოდ,

1985-დან 1992-მდე, როცა ის მოსკოვში გადაიყვანეს საგარეო საქმეთა მინისტრად), ძალაუფლება ისე აღადგინა, როგორც მას ესმოდა. მან კომუნისტური პარტიის წევრებიც ამოიყენა გვერდში ახალგაზრდა ტექნოკრატებისა და რეფორმატორების მცირე ჯგუფთან ერთად და ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ამ უცნაური პოლიტიკური ნარევის გაკონტროლებას შეძლებდა. მაგრამ ამ გუნდმა ვერ მოახერხა საქართველოსთვის იმჟამად, გადაუდებელი ზომების გატარება. შევარდნაძის აქცენტს სტაბილურობასა და საზოგადოების კონსოლიდაციაზე ქართველები გაგებით ეკიდებოდნენ, მაგრამ 1990-იანი წლების ბოლოსთვის ეკონომიკურმა რეფორმებმა მარცხი განიცადა. მისი პრეზიდენტობის უკანასკნელ წლებში, ცენტრალური ხელისუფლება იმდენად დასუსტდა და გამოიფიტა კორუფციის, ინტრიგების, გაუხსნელი მკვლევობებისა თუ ცარიელი ბიუჯეტის წყალობით, რომ, ფაქტიურად, აღარც არსებობდა. ადმინისტრაციას უნარი აღარ შესწევდა მონესრიგებულ, კარგად ორგანიზებული სახელმწიფო აეშენებინა. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებდა მოუგვარებელი კონფლიქტები ქვეყნის ტერიტორიაზე და ძველი სააზროვნო ჩვევები. ამ ჩვევებს საქართველო ქვემო ათათურქისა და შარლ დე გოლის თაყვანისმცემლის, ამბიციური მიხეილ სააკაშვილის რევოლუციით მოწყდა 2003 წლის ნოემბერში³ (რასაც, ხუან ლინცი პერფორაციით ტრანზიციას უწოდებს). რევოლუციას, რომელსაც ვარდების სახელი უწოდეს, სათავეში ნეოფიტები და მემამბოხეები ედგნენ. ისინი, მართალია, წარსულის ტრადიციებზე აპელირებდნენ, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის ნარჩენების სწრაფ განადგურებას შეუდგნენ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა, საზოგადოებასთან ურთიერთობის უბადლო პრაქტიკოსმა და პოლიტიკოსმა, არა მხოლოდ გარდაქმნა საქართველოს პოლიტიკური (და ურბანული) პეიზაჟი, არამედ სახელმწიფოს დომინანტობის ტრადიციული მახასიათებლებიც განამტკიცა.

რევოლუცია და დემოკრატია

ბოლშევიკური ექსპერიმენტის წარმატებაში დაეჭვებული, მწუხარებით გულგატეხილი ლენინი 1923 წელს წერდა:

„ჩვენი სახელმწიფო აპარატი ისეთ სავალალო მდგომარეობაშია... რომ, პირველ რიგში, სერიოზულად უნდა დაეფიქრდეთ, თუ როგორ შევებრძოლოთ მის ნაკლოვანებას, ამავდროულად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ნაკლოვანების ფესვები წარსულშია, მართალია, გადატრიალებულ, მაგრამ არა აღმოფხვრილ წარსულში...“

პრინციპში, ლენინი თითქმის ყველა რევოლუციონერის დილემას გამოხატავდა. როგორც ბენედიქტ ანდერსონი წერს, რევოლუციონერები იძულებულ

ბული არიან „ძველი სახელმწიფოს ელგაყვანილობა გამოიყენონ“⁵. პოსტიმპერიულ სახელმწიფოში ძველი ინსტიტუციური ქსელები ქმნიან ახალს. პრობლემა მაშინ რთულდება, როცა ახალი გაყვანილობა სულ თავიდანაა ჩასაყრელი და დასამონტაჟებელი. ამ თვალსაზრისით, როგორც ხუან ლინზი და ალფრედ სტეპანი ვარაუდობენ, პოსტსაბჭოთა ქვეყნები უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვიდრე ლათინური ამერიკისა და სამხრეთ აზიის ბევრი „ახალი დემოკრატია“. სამხრეთ აზიის სახელმწიფოებს, თუმცა, მეტისმეტად შევიწროებულებს გავლენიანი სამხედროებისგან, მაინც მეტნაკლებად მყარი ინსტიტუტები ჰქონდათ და თავისუფალ ბაზარსაც იცნობდნენ⁶. ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური პლურალიზმის ისტორიის არმქონე გარდამავალი პერიოდის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის მშენებლობის გაცილებით რთული ამოცანები ჰქონდათ, საქართველოს კი, კიდევ ერთი სირთულე ემატებოდა, კარის ზღურბლთან ჩამომჯდარი ძველი იმპერია.

დემოკრატიის ცნებამ საქართველოში მრავალი მნიშვნელობა შეიძინა. ფორმალურად დემოკრატია ლიბერალურია, რეალობაში კი, ხშირად არალიბერალური. პრეზიდენტ სააკაშვილის რიტორიკა თავისი უხეში პოპულიზმითა და ლიბერალური მგრძნობელობით, სწორედ ამ გაორებულ დამოკიდებულებას ირეკლავს. შეუძლებელია იმის დადგენა, ლიბერალია სააკაშვილი თუ აგრესიული ნაციონალისტი. ის ორივეა. ის წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც მუდმივად ცვალებად პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაშია, რომელიც ფსიქოლოგიურად ისევ ძველის ნანგრევებსა და ახლის შენებაშია მოქცეული. დემოკრატიული სტრუქტურები ძველი რეჟიმის წეს-ჩვეულებებსა და ინსტიტუტების გვერდით თანაარსებობენ. ქართველებს სურთ, რომ ჰქონდეთ საკუთარი რელიგია, ტრადიციები, ჰეროიკული წარსული, ჰყავდეთ გავლენიანი პატრონები და ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც კრიმინალს მოთოკავს, მაგრამ, ამავე დროს, თანამედროვე და კულტურულად დახვეწილი „ევროპელობაც“ სურთ. 2004 წელს მიღებული საქართველოს დროშა, რომელზეც ხუთი ჯვარია გამოსახული, ქვეყნის ახალი რელიგიური იდენტობის სიმბოლო გახლავთ. ის ევროკავშირის ვარსკვლავებიანი დროშის გვერდით ფრიალებს ქვეყნის თითქმის ყველა საჯარო დანესებულების თავზე, გამოხატავს რა, საქართველოს მუდმივ კულტურულ გაორებას.

დმანისში აღმოჩენილმა 1.7 მილიონი წლის გაქვავებულმა თავის ქალებმა ქართველები ლამის გიჟურ ალტაცებაში მოიყვანა. „ზეზვად“ და „მზიად“ მონათლული პირველი ევროპელი მოსახლეების სტენსილები (სახეები) მთელ თბილისს უმალ მოედო. დმანისის ექსპედიციამ დაამტკიცა, რომ ევროპის უძველესი ადამიანები საქართველოში სახლობდნენ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი, განაცხადა, რომ ქართველები „უძველესი ევროპელები“ არიან.⁷ მაგრამ ქართული პოლიტიკა, თუკი ის ევროპულია, ამ ევროპულთან სრულ-

ლიად შეუსაბამოა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ევროპის ისტორიისთვის ესაა ბრძოლა დემოკრატიათა და სახელმწიფოს შორის; ბრძოლა ეროვნულ უმცირესობათა და უმრავლესობათა შორის, ომი მეზობლებთან ტერიტორიების დასაპყრობად და მათზე გასაბატონებლად და კიდევ, რევოლუციური რეჟიმი, რომელიც ძირს უთხრის სახალხო ხელისუფლებას. ეს შეიძლება ის ევროპა არ იყოს, რომელსაც ქართველი გულისხმობს, როცა საერთო ღირებულებებზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს საქართველოა, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის რთული ნაწილი, სადაც ბრძოლა სახელმწიფოსთვის, დემოკრატიათა და მოქალაქეობისთვის ევროპის ბრძოლების დაუსრულებელი გამოძახილია.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს დემოკრატის ნარუმატეზლობა სათავეს იღებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და უმრავლესობის მმართველობის შესახებ მეტისმეტად გამარტივებული შეხედულებიდან; ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დემოკრატია შთანთქა კორუფციამ და არაანგარიშვალდებულმა ქსელებმა; სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, სწრაფად და ზედმეტად თავდაჯერებულად გატარებულმა საჯარო პოლიტიკამ გაუცხოების შეგრძნება გაუჩინა მოქალაქეთა დიდ ნაწილს, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობებს და იმ „საშუალო კლასსაც“ რომელიც ნელ-ნელა გამოდის სცენაზე და რომელიც სააკაშვილს თავის გვერდით სურს, რომ იხილოს. ვერც ერთმა ლიდერმა ვერ მოახერხა ბალანსის დაცვა ორი სახის საჭიროებას შორის, კერძოდ, განსახელმწიფოებრიობასა (სახელმწიფოს როლის შემცირება ეკონომიკაში, უფრო მეტი ინსტიტუციური გამჭვირვალება და თვითმმართველობის გაფართოება) და სახელმწიფოს მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს შორის (მაგალითად, კერძო ინტერესების რეგულირება, კანონების შესრულება და ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება). ამას ყველაფერს დრო უნდა, თუმცა პარადოქსია, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ქვეყნისთვის განკუთვნილი ხარჯების მკვეთრმა შემცირებამ და ქართველებისთვის ჩვეულმა ანტისახელმწიფოებრივმა გრძნობებმა ცენტრალური ხელისუფლება გაათავისუფლა ზედმეტი შებოჭილობისგან. სახელმწიფო ქმედითი უნდა იყოს, რათა რადიკალური რეფორმა გაატაროს, მაგრამ ქართულ გარემოში, სადაც კანონის უზენაესობა დაცული არ არის და პიროვნული კავშირები ძლიერია, ევროპული ძლიერი სახელმწიფოს ტრადიციამ, რომელიც ნაქარვეად, ზემოდან მკვიდრდებოდა, დაჯაბნა ევროპული სამოქალაქო უფლებების დაცვის ტრადიცია.

საკაშვილის მმართველობა ნათელი ილუსტრაციაა იმ დაძაბულობისა, რაც დემოკრატიათა და სახელმწიფოს მშენებლობას შორის არსებობს. სამთავრობო პოლიტიკამ, რომელიც საბაზრო სამოთხის შექმნას გულისხმობდა, უცხოური ინვესტიციები კი მოიზიდა, მაგრამ, სხვა მხრივ, აზრი გამოაცალა დემოკრატიათა.⁸ ძველი იმპერიული სახელმწიფოს სალტეებმა

და ამ საღებებისგან თავის დაღვრენის ძვალ-რბილში გამჯდარმა ჩვევამ სირთულეები შეუქმნა დემოკრატიის პრაქტიკულ განხორციელებას საქართველოში. დემოკრატიის ამბიციურმა დასავლელმა მშენებლებმა კიდევ უფრო შეუნყვეს ხელი საერთო დაბნეულობას აბსტრაქტული მოდელებისა და კონცეფციების იმპორტირებით. მაგრამ დემოკრატიის კლონირება ხომ ცხვის კლონირებას არ ჰგავს.⁹ მთავარ დაბრკოლებას დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოში მთავრობის რეპრესიები კი არ განაპირობებს, ან სამოქალაქო და ეთნიკური ნაციონალიზმის დაპირისპირება (ეს ყალბი დიქტომიაა), ან თუნდაც საგარეო საფრთხეები, არამედ, უფრო პოლარიზებული და სუსტი ეკონომიკა, ორგანიზებული საზოგადოებრივი ჯგუფებისა და სოლიდარობის არარსებობა და ბოლოს, სანდო საზოგადოებრივი ინსტიტუტების უქონლობა. როგორც ილია რუბანისი ამბობს, „ქართველ პოლიტიკოსებს ძალაუფლებასთან დამაკავშირებელი სიმები არ გააჩნიათ“, რადგან არც არტიკულირებული ინტერესების პირისპირ დგანან და არც სოციალურად ორგანიზებულ ელექტორატთან აქვთ საქმე.¹⁰ გამსახურდიას პრეზიდენტობის დროინდელი პოსტსაბჭოური ლუმპენპროლეტარიატი, რომლისთვისაც დაბნეულობა და რისხვა (თითქმის ყველაფერის მიმართ, ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, ინტელიგენციის მიმართ, დასავლეთის მიმართ და ეროვნული უმცირესობების მიმართ) იყო დამახასიათებელი, შედარებით ზომიერი გახდა, მაგრამ არ გამქრალა. ასეთი რისხვა შემამფოთებელია, რადგან დაბრუნება სჩვევია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის მიერ სახელმწიფოს როლის შემცირებამ მისი სიძლიერის ზრდასთან ერთად, გააქტიურა პოლიტიკურ ელიტათა დელეგატიმაცია და დაასუსტა მათი წარმომადგენლობითი ფუნქცია. ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ რეფორმათა და ზრდის პიკს 2007 წელს მიაღწია, და, როგორც ჩანს, გლობალური კრიზისის გათვალისწინებით, რაც დასავლური დახმარებისა და ყურადღების შემცირებას იწვევს ზოგადად, ეკონომიკური ვარდნა და სოციალური არასტაბილურობა საქართველოში მოსალოდნელი იქნება.

ინსტიტუციური რეფორმებისადმი მექანიკურ მიდგომას ყოველთვის არასასურველი შედეგები მოაქვს. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სისტემა, რომელიც მხოლოდ სასიკეთო განზრახვით იწერება, შეიძლება არ იყოს პოზიტიური რეფორმა, თუ მსაჯულებს დააძინებენ, ან წინასწარი გამოძიება პროკურატურის წნეხის ქვეშ დარჩება. ან, ავიღოთ, მშობლებისა და პედაგოგებისგან შემდგარი სამეურვეო საბჭოების დაარსება საჯარო სკოლებში, რაც წარმატებულ რეფორმად იქნა მიჩნეული, მაგრამ ქართულ კონტექსტში (განსაკუთრებით კი, თბილისიდან მოშორებით, სადაც პატრიარქალური და უფროსებისადმი მორიდებული განწყობები კვლავ ძლიერია), სწრაფად იქცა გაუგებრობად. „რეფორმა“ გამოსადეგი სიტყვაა, მაგრამ არასწორად იხმარება. ქართველების პიროვნულ თავისუფლებას უფრო არ-

სებიტი სახის დაბრკოლებები ელობება და არა ინსტიტუციური, მათ შორისაა უმუშევრობა, ავადმყოფობა, დანაშაული და კორუფცია. ამ შემთხვევებზე ფაქტორებს დრამატული შედეგები მოაქვს როგორც დემოკრატიულად ცხოვრებისთვის, ისე დემოკრატიის მშენებლობისთვისაც. 1990-იან წლებში ქართველთა უმრავლესობისთვის ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ და ქმედითი სახელმწიფოებრიობის კოლაფსმა ხაზი გაუსვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ტრანზიციისთვის დამახასიათებელ პრობლემებს. სტივენ ჰოლმსი ფიქრობს, რომ მეტისმეტმა „განსახელმწიფოებრიობამ“ ხელი შეუწყო პრობლემის დამძიმებას. მაიკლ მანი კიდევ უფრო შორს მიდის. იხსენებს რა, ალექსანდერ ჰამილტონის გაფრთხილებას „დემოკრატიული სულის ძალმომრეობასა და მღელვარებაზე“, ის ვარაუდობს, რომ „დემოკრატიის ბნელ მხარეს“ გარკვეულ კონტექსტებში „მიყვავართ არალიბერალურ ერამდე და სუსტ სახელმწიფომდე.“¹¹

თომას ქაროთერსმა (Thomas Carothers) ეჭვქვეშ დააყენა „გარდამავალი პარადიგმა“ და ტელეოლოგიური ვარაუდები რეფორმის თანამიმდევრობაზე, რასაც საბოლოოდ სრულყოფილ დემოკრატიამდე მიყვავართ. ის ფიქრობს, რომ ბევრი პოსტსაბჭოთა ჰიბრიდული რეჟიმი „რუხ ზონაშია“ გაჩხერილი, სადაც:

„მოქალაქეთა ინტერესები არასათანადოდ არის წარმოდგენილი, არჩევნებში მონაწილეობის გარდა, პოლიტიკური მონაწილეობა არაფერს გულისხმობს, ხელისუფლების წარმომადგენლები კანონს ხშირად არღვევენ, არჩევნები საექტო ლეგიტიმაციით ხასიათდება, საზოგადოების ნდობა საჯარო ინსტიტუტებისადმი ძალზე დაბალია და სახელმწიფო მუდმივად ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს.“¹²

ვარდების რევოლუციის შემომქმედები ამტკიცებენ, რომ მათ ქვეყანა დაძრეს და ამ რუხი ზონიდან გამოიყვანეს. მაგრამ, არის კი, დღევანდელი ქართული პოლიტიკა უფრო მეტად მონაწილეობითი და ღია, ვიდრე 1990-იანებში იყო? პასუხი ბუნდოვანია. საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი გაიზარდა შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლის შემდგომ, მაგრამ სასამართლო სისტემას ნდობის დაბალი მაჩვენებლები აქვს, ისევე როგორც, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტებსა და პარლამენტს. ვარდების რევოლუციამ „რეფორმის“ მექანიზმი გაათავისუფლა საცობებისგან, მაგრამ მშპ-ის შთამბეჭდავი ზრდა და ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლები ვერ გარდაქმნა იმ იარაღებად, რომლებსაც სიღარიბის დასაძლევად, დეინდუსტრიალიზაციისთვის, გამოფიტული სოფლის მეურნეობის აღსადგენად, უსუსური სოცუზრუნველყოფის სამსახურების ასაღორძინებლად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად გამოიყენებდა. არ შეიძლება დემოკრატიული მოდელის „ყურით მოთრევა“ და მისი დანერგვა, როცა დაპირისპირებულ ხალხებს (ქართველებს, ოსებს,

აფხაზებს) და დაპირისპირებულ თაობებს არ ძალუძთ საერთო პრინციპებზე შეთანხმება.¹³ პარლამენტარიზმის მწირი გამოცდილება, ძლიერი მეზობელი ჩრდილოეთით, რომელსაც ქვეყნის დესტაბილიზაცია აქვს განზრახული, მუდმივი უნდობლობა ხელისუფლებისადმი და დაქსასული სამოქალაქო საზოგადოება ძალზედ ართულებს საქართველოში დემოკრატიის მშენებლობას. საქართველო, ნებისმიერი სამართლებრივი განსაზღვრებით, დემოკრატია გახლავთ. მაგრამ, არის თუ არა ეს ქმედითი დემოკრატია, რომელიც ლეგიტიმურობას ანიჭებს სახელმწიფოს და მოქალაქეებისთვის მუშაობს?¹⁴



დასავლეთი საქართველოში შემოდის. თბილისის ერთ-ერთი ქუჩა 1990-იანი წლების ბოლოს

მემკვიდრეობა

ქართველებს ერთი ასეთი ანდაზა აქვთ: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. შეიძლება ითქვას, რომ ეს მათ რწმენას გამოხატავს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საბჭოთა მემკვიდრეობა, როგორი ბუნდოვანი, გამოგონილი ან დამახინჯებულიც იყოს, მაინც არსებობს და უფრო მეტიც, ის მყარად არის ჩაშენებული საქართველოს ანწყოში. ამ მემკვიდრეობის გააზრება ძალზე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ავხსნათ ქართული დე-

მოკრატული ინსტიტუტების სისუსტე. ის კავშირები, რომლებიც არსებობს არაკვალიფიციურ ინსტიტუციონალიზაციასა და „ქარიზმატულ“ ლიდერებს შორის, სუსტ პარტიებსა და ძლიერ პრეზიდენტებს შორის, მყიფე სამოქალაქო საზოგადოებასა და მალულად მოქმედ ბიუროკრატულ აპარატს შორის, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებასა და დემოგრაფიულ კრიზისს შორის და ბოლოს, სახელმწიფოს უუნარობაც, რომ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია მოახდინოს, უკავშირდება საბჭოთა წარსულს.

საბჭოთა სახელმწიფო საკმაოდ შთამბეჭდავად ჩამონტაჟდა საქართველოში. საბჭოეთისგან საქართველომ მიიღო: უზენაესი საბჭო, მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო ბიუჯეტი, პროფკავშირის ფედერაცია, კონსტიტუცია, საარჩევნო კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობა და საკუთარი საგარეო საქმეთა სამინისტროც. რესპუბლიკას თავისი სახელმწიფო შიშნი (ის იწყებოდა სიტყვებით: იდიდე, ჩემო სამშობლო), დროშა და გერბი ჰქონდა და, რა თქმა უნდა, ჰყავდა თავისი საფეხბურთო გუნდები (ეს გუნდები ოფიციალურად არ იწოდებოდნენ „ეროვნულად“, მაგრამ უფრო ეროვნულები იყვნენ, ვიდრე რომელიმე დღევანდელი ეროვნული ევროპული საფეხბურთო გუნდი). ეს ნაციონალური სიმბოლიზმი სულაც არ იყო პოტიომკინისეული ფასადი. საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტებს სტანდარტული საბჭოური წესებითაც რომ ემუშავათ, ქართული პოლიტიკური ელიტა, განსაკუთრებით კი, თბილისს გარეთ, მაინც ახერხებდა, რომ საკუთარი სამსახური ნახევრად დამოუკიდებლად ემართა. ის სარგებლობდა, როგორც ვალერი ბიუნსი უწოდებს, „ძირგამომთხრელი“ ეთნოფედერალური ინსტიტუტებით, რამაც, საბოლოოდ, ბოლო მოუღო საბჭოთა კავშირს.¹⁵ 1970-იანი წლებისთვის მოსკოვი მნიშვნელოვანწილად მამულს გარეთ მცხოვრებ მემამულეს ჰგავდა. ქართული ინსტიტუტები კი, ფორმით საბჭოთა, მაგრამ შინაარსით ქართული იყვნენ. ქართველი მინისტრები მოსკოვთან შეთანხმებით ამტკიცებდნენ პროექტებსა და ბიუჯეტს, მაგრამ მათი განხორცილება უკვე ქართული ამბავი იყო. თუმცა, საქართველოს კუთვნილი „სახელმწიფო“ არც ნაციონალური იყო და მას არც თანამედროვე საჯარო სამსახურის მართავდა, იმის გარდა, რომ სუსტი და არაქმედითი იყო საერთოდ.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საბჭოთა სტრუქტურები და ფსიქოლოგია დაბრკოლება იყო იმ დემოკრატიისთვის, რომელიც ქართველებს წარმოედგინათ, რომ სურდათ. ერთ-ერთი ყველაზე საზიანო მემკვიდრეობა, რაც საბჭოთა კავშირმა დაუტოვა თავის მემკვიდრეებს, სოციალური და პოლიტიკური უფსკრული გახლდათ ელიტებსა და „სუბიექტებს“ შორის. საბჭოთა სახელმწიფომ არა მარტო ვერ შეაღწია ქართულ საზოგადოებაში, არამედ მისი უადგილობა, არარელევანტურობაც უზრუნველყო პატრონაჟის სისტემის, რეგიონული ბოსებისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭირო ქსელების სამუშაოებით. საბჭოთა სისტემა ვერასდროს ახერხებდა საქართველოს ნორმალურად მართვას ინ-

სტიტიუტების მეშვეობით. ამ ჩვეულ დაპირისპირებას – „ჩვენ“ და „ისინი“ – ვერც 1970-იანი წლების ქართველმა დისიდენტებმა მოუხერხეს ვერაფერი და ვერც 1990-იანების არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პარლამენტმა და პოლიტიკურმა პარტიებმა. უფსკრული კიდეც უფრო გააღრმავა სოციალურმა არეულობამ და 1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისით გამონვეულმა იმედგაცრუებამ. სცენაზე დაბრუნდნენ ქონების საეჭვო პრივატიზებით გამდიდრებული საბჭოთა თანამდებობის პირები ძლიერი პოლიტიკური ელიტების სახით. სააკაშვილის მთავრობამ ამ ძველი თაობის რიგებში წმენდა ჩაატარა, კორუფცია შეამცირა და ბიძგი მისცა ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ სახელმწიფო, როგორც ასეთი, ჰორიზონტზე ისევ არ ჩანს. რევოლუციური ენთუზიზმით აღსავსე ახალი მთავრობა, რომელიც ზემოდან სწრაფი ტრანსფორმაციისთვის ძალებს არ იშურებს, ხალხის ხმას უგულბებლყოფს რისკის ფასად.

სააკაშვილის პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაქცევა „მოქალაქეთა კავშირის“ (შევარდნაძის პარტია 1990-იან წლებში) ასლად გვეუბნება, რომ „ძველი ქსელები“ გამძლე და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ქართული პოლიტიკური პარტიები, წესით, დემოკრატიული ღირებულებების სერიოზული კომუნიკატორები უნდა იყვნენ, მაგრამ ჯერჯერობით, ისინი ვერ ახერხებენ გასაგები ალტერნატივის შექმნას. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, პოლიტიკურმა პარტიებმა სრული დისკრედიტაცია განიცადეს ერთმანეთში გაუთავებელი მტრობით, კინკლაობითა და ინტრიგებით. მათ ვერ შეძლეს ნამდვილი, მასების პარტიისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბება და განვითარება.¹⁶ პარტიებს ხელი შეუშალა ამორფულმა ქართულმა საზოგადოებამაც და გლობალური კაპიტალიზმის ახალი ფორმის გამოჩენამ, რომელმაც საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ იდენტობას დარტყმა მიაყენა. რასაც დღეს საქართველოში ვხედავთ, ეს გახლავთ ძალიან მდიდარი უმცირესობა, რომელიც კონცენტირებულია თბილისის კოსმოპოლიტურ უბრანიზებულ კუნძულზე და უმუშევართა და ლატაკთა მასა, რომელიც რაიონებშია მიმოფანტული. საშუალო კლასი და გავლენიანი ბიზნეს ასოციაციები, რაზეც დემოკრატიის დასავლელი მშენებლები ოცნებობენ, საქართველოსგან ჯერ კიდევ შორს არიან, ხოლო რაც შეეხება პროფკავშირებს, ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების სასიცოცხლოდ აუცილებელ გაერთიანებებს, ისინი უბრალოდ, გაქრნენ. საქართველოში მათზე არავინ ფიქრობს, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციების გარდა.

ხელისუფლებისა და საზოგადოების არასაკმარის კომუნიკაციას ამძაფრებს ქალაქსა და სოფელს შორის დიდი სხვაობა, რაც მე-19 საუკუნეში იღებს სათავეს, როცა თბილისს (ქალაქს რასაც ეძახდნენ) სომეხი საქმოსნები და რუსი მმართველები მართავდნენ. სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებას სტიმული მისცა შრომატევადი კულტურების ხელშეწყობამ და

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის მომგებიანი დახურული ბაზრის არსებობამ. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე, შიდა საპასპორტო რეჟიმიც, რომელიც ზღუდავდა მიგრაციის პროცესებს ქალაქებისკენ. 1989 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 56% ქალაქში ცხოვრობდა. ეს 10%-ით ნაკლები იყო საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებელზე.¹⁷ შედარებითი კეთილდღეობა, რაც საქართველოს ზოგიერთ რაიონში შეინიშნებოდა, არ ნიშნავდა განვითარებულ ცხოვრებას სოფლად. ქალაქისა და სოფლის ღრმა ფსიქოლოგიური დაყოფა ასახავდა არსებულ განსხვავებებს განათლებაში, ჯანდაცვის რესურსებზე ხელმისაწვდომობაში, სიკვდილიანობის დონესა და პოლიტიკური გემოვნების დახვეწილობაში. ახალგაზრდა თბილისელი კურსდამთავრებულები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა თავი აერიდებინათ სავალდებულო ვადიანი სამსახურისთვის რაიონებში უმაღლესის დამთავრების შემდეგ (მაგალითად, ფიქტიური ქორწინება ჩვეულებრივი ხრიკი იყო ამ ვალდებულებისგან გასათავისუფლებად). ქართველ გლეხს, რომელსაც თეორიულად უდიდეს პატივს სცემდნენ, როგორც ქართული კულტურის ბურჯს, ქალაქელი თანამემამულეები „გოიმს“ ეძახდნენ. ეს სიტყვა თავის თავში მოიცავს უხეშობასა და ვულგარულობასაც. საბჭოური პოლიტიკა ხელს უწყობდა თბილისის, როგორც უპირატესი მნიშვნელობის ქალაქის განვითარებას, რომელიც გარშემორტყმული იქნებოდა განუვითარებელი პროვინციებით. ყველა სავალი (ნორმალური) გზა დედაქალაქისკენ მიდიოდა, შიდა დამაკავშირებელი რაიონული გზები უვარგისი იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ სოფელი-ქალაქის დაყოფამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისისა და ეკონომიკური ვარდნის გამო. მდგომარეობა დაამძიმა, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადის დაწესებამ და, საერთოდ, რეგიონული განვითარების პოლიტიკის არარსებობამ. თბილისი ისევ იზრდება. ის ახლა ექვსჯერ დიდია საქართველოს მეორე დიდ ქალაქზე, ქუთაისზე. 2002-2008 წლებში თბილისელთა რაოდენობა 3%-ით გაიზარდა იმ ხალხის ხარჯზე, რომელიც სოფლის სიღარიბეს და ბუნებრივ კატასტროფებს გამოექცა ან ეთნიკურ წმენდაში მოჰყვა¹⁸. დედაქალაქი წელში მოიხარა სიღარიბისა და გადატვირთული, საცობებით სავსე გზებისგან. სააკაშვილმა სცადა ხელისუფლების გადანაწილება და პარლამენტი ქუთაისში გადაიტანა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში, მაგრამ საეჭვოა, რომ ამან თბილისს ხელი შეუშალოს მთელი ქვეყნის რესურსების შთანთქმვაში ან ქვეყნის მოქალაქეებისთვის გაადვილოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა.

უცხოელ მოქალაქეთა უმრავლესობას, რომელიც თბილისში ცხოვრობს და მუშაობს, წარმოადგენს კი არ აქვს, როგორც ცხოვრობენ ქართველები დედაქალაქის გარეუბნებში, მაგალითად, დიდი დილმის ჩაბეტონებულ უიმედობაში, ან გადატაკებულ პროვინციულ ქალაქებში, დავუშვათ, ზუგდიდში, ახალქალაქში თუ ლანჩხუთში. ყველა რეგოლუცია, განსაკუთრებით

კი, კაპიტალისტური, არათანაბარი განვითარებით ხასიათდება. ამაში ნამდვილად დარწმუნდებით, უფრო მეტიც, როცა სამეგრელოს რეგიონულ დედაქალაქს, ზუგდიდს ეწვევით, მიხვდებით, რომ რევოლუციას ჯერ არც კი ჩაუდნევია ამ ქალაქამდე. დემოკრატიზაციას, უცხოელთა აშენებულ ფეშენებელურ სასტუმროებს და ახალგაზრდა სახეებს მერიაში არ შეუცვლიათ პროვინციული მმართველობის ბუნება, სადაც გოგოლისეულ რევიზორებსა და მოკუნტულ კლერკებს აქვთ დაპყრობილი ბიუროკრატიული სივრცე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს განვითარებული ურთიერთობები, ინტერაქცია, სოფლელსა და ქალაქელს შორის, განათლებულსა და გაუნათლებელს შორის, მმართველსა და მართულს შორის, და რომ ხალხი არ მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ყველაფერი კი, აფერხებს სახელმწიფოს მშენებლობას.

მე კიდევ ორ საბჭოურ ნარჩენს დავამატებდი, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობასა და ერის ჩამოყალიბებას ართულებს. საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობდა სამოქალაქო ცხოვრების პრივატიზებას, განსაკუთრებით, არარუსულ ტერიტორიებზე. საქართველოში, ყვაოდა იუმორსა და არალეგალურ ეკონომიკურ საქმიანობებში გამოხატული კონტრაკულტურა დაქვემდებარებულ საზოგადოებებში (რასაც ჯეიმს სკოტი „ფარულ ჩანანერებს“ უწოდებს, ან კოდირებული ინფორმაციის გაზიარებას არაოფიციალურად).¹⁹ 1970-იანი წლებში, საბჭოთა სისტემის აბსურდულობამ, რასაც ერთვოდა დეფიციტური ეკონომიკა და ობსტრუქციული ბიუროკრატია, ხალხი აიძულა პირად სივრცეში, ოჯახის წევრებისა და მეგობრების წრეში ეძია თავშესაფარი. საბჭოთა ხელისუფლება ხაზს უსვამდა ოჯახის მნიშვნელობას, როგორც საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების საშუალებას, მაგრამ ამ აქცენტმა შეამცირა კიდევ სახელმწიფოს წვდომა გარკვეულ შესაძლებლობებზე. ქართველებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს კარგად განვითარებული პატრონაჟის სისტემა ყოველდღიური პრობლემების მოსაგვარებლად.²⁰ ასე რომ, პირადი სივრცე, რომელშიც ნაცნობების და ახლობლების დახმარებით კეთდებოდა საქმეები და არაოფიციალური შეთანხმებები ფორმირდებოდა, სანდოდ და სარწმუნოდ მიიჩნეოდა, ხოლო საზოგადოებრივი სივრცე, რომელშიც საბჭოთა პროპაგანდა, კანონები და პოლიტიკური კამპანიები ბატონობდა – არა. ამ არაფორმალურმა სისტემამ, რომელშიც ორმხრივ ნდობას თუ ერთმანეთზე დამოკიდებულებას, ოჯახის წევრებისადმი ერთგულებასა ან რაიონის თავკაცისადმი /ქარხნის დირექტორისადმი/ დაქვემდებარებულობას ექცეოდა ყურადღება, გააძლიერა კერძო ინტერესები და ქართველები საერთოდ მონყვიტა საჯარო ორგანიზაციას, ხელი ააღებინა კოლექტიურ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებებზე და მასთან საქმის დაჭერაზე. ეს ყველაფერი დამოუკიდებელ საქართველოშიც ისახება, სადაც მუდმივად აქცენტი კეთდება კერძო თუ ოჯახის პრიორიტეტებზე და სადაც სახელმწიფოს პრობლემებს, მიუხედავად საა-

კაშვილის პატრიოტული მოწოდებებისა, თავისად არ აღიქვამს ადამიანი.

ერი და სახელმწიფო აბსტრაქტული ცნებებია ქართველთა უმეტესობისთვის, თუმცა, ამას არასდროს აღიარებენ. პირადი კავშირები კი დაცვის, გადარჩენისა და სოლიდარობის წყაროებია მისთვის. აფხაზეთთან ომის დროს (1992-1993) მართალია, ქართული „ჯარი“ თავიდან ენთუზიაზმით ჩაერთო ბრძოლაში და ბევრი მამაცი მოხალისეც გამოიუწხდა, მაგრამ მას სახელმწიფოს ერთგულების ან მისთვის სამსახურის განევის იდეა კი არ ამოძრავებდა, არამედ საველე მეთაურებისადმი პიროვნული ერთგულება და ძარცვა-გლეჯით ნადავლის მოპოვების იმედი. ქართველებისთვის აფხაზეთთან ომი სამართლიანი იყო, მაგრამ შორეული და დამაბნეველი. ჩარლზ ტილის მოსაზრებების საპირისპიროდ, მიმაჩნია, რომ 1990 წლის ომმა საერთო ეროვნული გამაერთიანებლის ან სახელმწიფოებრიობის გამაძლიერებლის ფუნქცია ვერ შეასრულა,²¹ პირიქით, მას ქართველთა გაყოფა და სამოქალაქო ომი მოჰყვა. ჯარი, რომელიც თითქმის ყველა კულტურაში პატრიოტიზმის გულისგულს წარმოადგენს, საქართველოში დაცინვის ობიექტი გახდა და სრულიად დაკარგა მოქალაქეთა ნდობა.²² ახალი ხელისუფლება შეუპოვრად ცდილობდა ეროვნული და სამხედრო სიამაყის აღძვრას მოქალაქეებში, აწყობდა პატრიოტულ ბანაკებსა და აღლუმებს, გაზარდა დაფინანსება და შემოიტანა სავალდებულო სამხედრო სამსახური. როგორც ჩანს, წარმატებასაც მიაღწია, რადგან ერთ-ერთ გამოკითხვაში, რომელიც 2007 წლის ოქტომბერში ჩატარდა, მოსახლეობის 72% ჯარს უცხადებდა ნდობას (ამ გამოკითხვით, 82%-ით პირველ ადგილს ეკლესია იკავებდა).²³ ჯარმა ავტორიტეტი დაიბრუნა, მაგრამ პარალელურად, გაიზარდა თავდაცვის საბიუჯეტო თანხებიც (2007 წლის ბიუჯეტის 25%) 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომში წარუმატებელი ოპერაციების გამო, ქართულ არმიას სახელი გაუტყდა. ის ვეღარ აღიქმებოდა სახელმწიფოებრიობის მამოძრავებელ ძალად, მაგრამ სააკაშვილის სახელმწიფოს მშენებლობის პროექტის მთავარი ღერძად რჩება და, 1990-იანი წლებისგან განსხვავებით, ეროვნული ერთიანობის სიმბოლოც გახდა.

ძველი საბჭოთა „ინტელიგენცია“ საქართველოსთვის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. 1980-იან წლებში ქართული კულტურული ელიტა საზოგადოების ყველაზე პრივილეგირებული ფენა იყო. ის სარგებლობდა მასობრივი განათლებისა და სოციალური თანასწორობის იდეებით ინსპირირებული და სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული კინოსტუდიებით, თეატრებით, გაზეთებით, გამომცემლობებითა და უნივერსიტეტებით. ამ სტრუქტურებს სახელმწიფო ინახავდა კულტურის მოლგანეებისთვის, როგორც „კულტურის მწარმოებლებისთვის“. სანაცვლოდ კი, მათ ხელოვნება უნდა შემოეტანათ ცხოვრებაში და საბჭოთა რეჟიმის ლეგიტიმაცია მოეხდინათ. რეჟიმის ერთგულ ხელოვანებს კომუნიზმის „ნაციონალიზაციის“ უფლებამოსილებაც ჰქონდათ და ნაციო-

ნალიზმის დისიდენტური ფორმით გამოვლინებასაც დარაჯობდნენ, რათა მისი აღმოცენება არ დაეშვათ. მათი მესიჯი ეყრდნობოდა კულტურული ერის იდეას.²⁴ პრინციპში, კულტურის მოღვაწეებმა ოფიციალურად აღიარეს ქართველთა პრეტენზიები კულტურულ და პოლიტიკურ უპირატესობაზე და გაუხარდლივეს ლეგიტიმაცია საბჭოთა საქართველოს, მჭიდროდ დაუკავშირეს რა, ის წარსულის დიდებას. განსაკუთრებით, 1970-1980 წლებში, უამრავი სატელევიზო პროგრამა, საგაზეთო სტატია, ფილმი, უფრნალი თუ ნიგნი ეძღვნებოდა შუა საუკუნეების საქართველოს ბრწყინვალეობას და ლიტერატურის რენესანსს 1860-იანებში. საჯარო სკოლები იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) პატრიოტულ სახელმძღვანელოებს იყენებდნენ გრამატიკასა და ლიტერატურაში. „დედა ენა“ – ასე ერქვა ქართული ენის სახელმძღვანელოს, რომელიც პირველად 1876 წელს გამოიცა. ქართული სკოლა საქართველოს დიდებული ისტორიის ყველაზე პატრიოტული მიმწოდებელი და გამავრცელებელი გახლდათ და ამაში დარწმუნება არ გაგიჭირდებათ, თუ იმდროინდელი სკოლის სახელმძღვანელოებს გადახედავთ.²⁵

ირლანდიელების მსგავსად, თანამედროვე ქართველებიც, როგორც წესი, ისტორიას, „ეთიკურ რეალობას“ აღიქვამენ, რომელიც მჩაგვრელებისა და მტანჯველების წინააღმდეგ მორალურ ბრძოლას განასახიერებს.²⁶ საბჭოთა სისტემისთვის ისტორიის პოლიტიზირება და პროგრესულად მოაზროვნეების წმინდანებად შერაცხვა დამახასიათებელი იყო. ის ამ გზით აკეთებდა აქცენტირებას ისტორიით გატაცებასა და შეიძლება ითქვას, შეპყრობაზე. ამან კი, შედეგად ის მოიტანა, რომ ქართველების თვითწარმოდგენა ფოკუსირდა გენეალოგიაზე, მტრისადმი განუვლ წინააღმდეგობასა და ვიქტიმიზაციაზე და რაც მთავარია, საქართველოს ოქროს ხანის ჰეგემონიაზე. ზურაბ ქარუმიძე ამას საქართველოს „ნარცისულ ნაციონალიზმს“ უწოდებს.²⁷ ეს საკმაოდ გამოსადეგი მექანიზმი იყო საბჭოური კონტროლის განსახორციელებლად და პოლიტიკური იარაღიც გახლდათ ერთგულების შესანარჩუნებლად, თუმცაღა, საბოლოო ჯამში, ძირიც გამოუთხარა საბჭოთა ღირებულებებს. კონკრეტულად პოსტსაბჭოთა საქართველოს კი, ამ იარაღის დამსახურებით, სერიოზული პრობლემები შეექმნა. პირველი, აფხაზებმა, ოსებმა და ქართველებმა ერთმანეთის გამომრიცხავი ისტორიები ააგეს. ტერიტორიულ და კულტურულ პრივილეგიებზე პრეტენზიებმა რთული გახადა მრავალეროვნული სამოქალაქო საზოგადოების (საქართველოს მოქალაქეების) შექმნა, რასაც ეკონომიკურმა კოლაფსმა და 1980-1990-იან წლებში რესურსებისთვის გაჩაღებულმა კონკურენციამ კიდევ უფრო მეტი სიძნელე დაურთო. მეორე, შეიქმნა საკმაოდ გავლენიანი ინტელიგენცია, რომლის შემოქმედებითი ზრდა შეფერხდა სწორედ წარსულზე ფოკუსირების გამო და რომელიც თითქმის შეუიარაღებელი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სახელმწიფოს მშენებლობა ბოლომდე მიეყვანა დემოკრატიულ გარემოში. ქართული, აფხაზური და ოსური ინტელიგენცია, რომელიც ბოლო 50

წლის მანძილზე აბსოლუტურად გულგრილი იყო დამოუკიდებლობის პერსპექტივისადმი, მოუმზადებელი და საბოლოოდ უუნაროც გამოდგა იმისთვის, რომ სახელმწიფო თანამედროვე სამყაროში აუცილებელ სამოქალაქო განვითარებაზე გადაეწყობა.

აოსტსაგჟოთა მემკვიდრეობა

საქართველოს ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებაზე საბჭოთა წარსულის ზემოქმედება ამბის ერთი ნაწილია. რატომ მოხდა სამოქალაქო ომი საქართველოში 1991 წელს და არ მოხდა, მაგალითად, უკრაინაში? რით აიხსნება 2003 წლის ნოემბრის სახალხო ამბოხის წარმატება და რატომ არ განვითარდა 2003 წლის ოქტომბრის მოვლენები აზერბაიჯანში ისე, როგორც საქართველოში? მნიშვნელოვანწილად, ამის ახსნა შეიძლება მმართველობის პოლიტიკით, ეკონომიკური პირობებით, ეთნიკური და დემოგრაფიული კონტექსტით, მეზობლებთან დამოკიდებულებით და რასაც ფილიპ შმიტერი და გილერმო ო'დონელი უწოდებენ, *virtu* და *fortuna*-ით (ლიდერების როლი და მოვლენათა მოულოდნელი განვითარება).²⁸ საქართველოს ბედი შეიძლება სულ სხვანაირად დატრიალებულიყო, მაგალითად, ზვიად გამსახურდიამ რომ არ ჩამოშორებოდა ოპოზიციას ტრანზიციის გადამწყვეტ, საწყის ეტაპზე (1990-92).

ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკას, როგორც წარსულის დანართს ან როგორც ისტორიულ „ეთნოტრამვას“, საკმაოდ გამოსადეგია, მაგრამ არაადეკვატური.²⁹ 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს „პერმანენტული რევოლუციის“ ყოველ სტადიაზე დიდ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ ლიდერთა დაპირისპირება, იმპორტირებული კაპიტალიზმის პირობებში ცვალებადი სოციალური ურთიერთობები, ახალი საერთაშორისო გარემო და გლობალური ძალები. მსოფლიოს შეცვლასთან ერთად, საქართველოც იცვლებოდა. საქართველოს შიდა ომები სისხლიანი ეთნიკური კონფლიქტების ისტორიით ვერ აიხსნება. ეთნიკური კონფლიქტები ხომ არ არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე და საქართველოს (სეცესიური) კონფლიქტები, რომელთა კულმინაციად იქცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, არანაკლებ უკავშირდება რუსეთის პოსტიმპერიულ ამბიციებს, ვიდრე არაქართველთა ისტორიულ პრეტენზიებს.

ისტორიულმა მიდგომამ ნაციონალისტურ უგუნურებამდე მიგვიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ნაციონალიზმი ჩვეულებრივ, არ ექცევა სიის სათავეში დასაქმების, დანაშაულისა და კორუფციის შემდეგ. 2005 წლის ივნისში, საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა თავის კვლევაში გვიჩვენა, რომ ქართული ოჯახებისთვის პირველი სამ პრობლემა იყო: უმუშევრობა

(45%); ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები (35%); და დაბალი შემოსავლები, ხელფასები და პენსიები (13%). რაიონებში, სადაც მოსახლეობის სამი მეოთხედი ცხოვრობს, ოდნავ განსხვავებული სურათი გვაქვს, კერძოდ, პირველი სამი ადგილი დაიკავა: ³⁰ უმუშევრობამ (38%), ცუდმა გზებმა (32%) და ელმომარაგებამ (16%). ყველაფრის საბჭოთა სისტემისთვის გადაბრალეობა, რაც საქართველოში 1991 წლის შემდგომ მოხდა, შეიძლება მოსახერხებელი იყოს, მაგრამ არასწორი შეფასებაა, რასაც აუცილებლად მივყავართ, პირველ რიგში, არარეალისტურ მოსაზრებამდე, რომ კანონმდებლობით შეიძლება საქმის გამოსწორება (მაგალითად, მასობრივი პრივატიზაცია) და მეორეც, საბჭოთა პროფესიონალებისადმი ყოველად გაუმართლებელ უსამართლო მოპყრობამდე, რომელთაგან ბევრი გაცილებით კვალიფიციურია, ვიდრე მათი არაკომუნისტი შემცველი. ჯულიეტ ჯონსონის აზრით, პოსტკომუნისტურ განვითარებას უფრო დაბალანსებულად ხსნის „სიტუაციაზე მორგების გზის“ კონცეფცია (‘path contingency’), ვიდრე „წარსულის ტრექტორიაზე დამოკიდებულების“ ცნება (‘path dependency’), რადგან პირველი ითვალისწინებს იმ მრავალ სიტუაციას, სადაც ურთიერთმოქმედებენ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და ინსტიტუციური მემკვიდრეობა. საქართველოს სინამდვილეში პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ინსტიტუციური მემკვიდრეობა და სოციალურ-ეკონომიკური პირობები ისე ერწყმოდა ერთმანეთს, რომ პროგნოზირებაც შეუძლებელი იყო. ³¹

დემოკრატია და ერი

ჩვეულებრივ, „ეროვნული საკითხის“ ინტერპრეტაცია საქართველოში ქართველების ურთიერთობებს გულისხმობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან. ჩვენ იმეითად თუ ვფოკუსირდებით ქართულ სახელმწიფოზე და მის შიდა ბრძოლებზე. ³² მაგრამ, აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტები დამოკიდებულია ქართველების საკუთარ თვითაღქმაზე, რაც ისახება კიდევ ღირებულებების, მოქალაქეობის, პასპორტებსა თუ დროშების თაობაზე მიმდინარე დებატებში. მე-8 თავში დანვრილებით შევხები ეთნიკურ კონფლიქტებს, მაგრამ ამ ეტაპზე მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, თუ რა შედეგები მოიტანა ქართულმა ეროვნულმა იდენტობამ და ნაციონალიზმმა დემოკრატიის განვითარებისა და სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

მოდით, მაიკლ მანისა და ფარიდ ზაქარიას პროვოკაციული მოსაზრებით დავიწყოთ იმის შესახებ, რომ დემოკრატია (და დემოკრატიზაცია) დამნაშავეა ნაციონალისტური გრძნობების მოზღვაებაში. მანი გენოციდს უკავშირებს „ხალხისთვის“ პოლიტიკური ლეგიტიმაციის მინიჭებას. ³³ ბუნებრივია, რომ უმრავლესობის უფლებები, ეროვნული სუვერენიტეტი და სახალხო კონტროლი ბევრ პოსტიმპერიულ მრავალეროვნულ ქვეყანაში

იდეოლოგიურ ჩარჩოებს ქმნის ეთნიკური კონფლიქტისათვის. უმრავლესობა და უმცირესობაც აღფრთოვანებული არიან უფლებებით და შესაბამისად, ძალაუფლების ან დაცვის მოპოვების სურვილით. ასე მოხდა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, როცა დემოკრატია არ იყო განმტკიცებული ეკონომიკური სტაბილურობითა და ეროვნული უმცირესობების დაცვის ლიბერალური ტრადიციებით გამონართობილი.

დემოკრატია არა მხოლოდ შიდა ურთიერთობებზე იქონია ზეგავლენა, მან შოკიც მოჰგვარა ქართველებს, საკუთარი, ეროვნული იდენტობის გამო. გამსახურდიას ქვეყნიდან გაძევების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში ყველას პირზე ეკერა ერთი და იგივე შეკითხვა „ვინ ვართ?“. ქართველების წარმოდგენა საკუთარ თავზე, როგორც ერთიან, პატრიოტ და ტოლერანტ ერზე, რომელიც კოლონიალიზმის პირობებში განვითარდა, ეჭვქვეშ დააყენა პოსტსაბჭოურმა ცხოვრებამ, რომელსაც გადატრიალებების, მკვლევლობებისა და სამოქალაქო ომის გარდა, არაფერი მოუტანია მაშინდელი საქართველოსთვის. ამ გამოცდილებამ, ეროვნული მიკუთვნებულობის უკიდურესად მწვავე შეგრძნების გამო, გამანადგურებელი გაკვეთილი ჩაუტარა ქართველებს. შიდა განხეთქილებები პოსტსაბჭოთა ქაოსისა და უსაფრთხოების არარსებობის პროდუქტი იყო, მაგრამ, ამავედროულად, ქართულ ეროვნულ იდენტობაში გაჩენილ ბზარსაც ასახავდა. ყველაფერი კი, იმით მწვავედებოდა, რომ ქართველებს არ ჰქონდათ კოლონიალიზმის წინააღმდეგ ძლიერი და გაერთიანებული ბრძოლის გამოცდილება. ნანა სუმბაძემ თავის ნაშრომში გვიჩვენა, თუ როგორ მკვეთრად იყოფა საქართველოს მოსახლეობის აზრი მმართველობაზე, დემოკრატიის მნიშვნელობაზე, მოქალაქეობაზე, რუსეთსა და დასავლეთზე.³⁴ დამოუკიდებლობის გამოცხადების მიჯნაზე საქართველო წარმოადგენდა, თუ შეიძლება ითქვას, დაუმთავრებელ ნაციონალურ საზოგადოებას. არ არსებობდა საერთო ღირებულებები და სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგალითად, ჯარი და დამოუკიდებელი პარლამენტი. ეს კი სახელმწიფოს შესაძლებლობას არ აძლევდა დაემყარებინა ყველასთვის მისაღები დემოკრატიული წესრიგი. პარლამენტის დეპუტატის ლევან ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო „ვირტუალური სახელმწიფოა“, მას 1990 წელს, ბრწყინვალე წარსულის შემკვიდრედ მიაჩნდა თავი, რომელიც ფაქტიურად, იმ საშიშ მითად იქცა, რომელსაც „ხალხის მტრების“ გამოსაამჟღავნებლად იყენებდნენ.³⁵ საბჭოთა კავშირის დროს ქართველებს უფლება არ ჰქონდათ ჰყოლოდათ საკუთარი ეროვნული საფეხბურთო გუნდი, თუმცა კი, ოცნებობდნენ მასზე. მაგრამ, როცა შესაძლებლობა მიეცათ, აღმოჩნდა, რომ არასაკმარისად მომზადებული იყვნენ ამ საქმისთვის, არც გუნდური თამაშის უნარი გააჩნდათ, არც საშუალებები და არც შესაფერისი ხელმძღვანელი ჰყავდათ, რომელიც გუნდს შექმნიდა.

1991 წელს ქართველებს ჯერ კიდევ ვერ გაერკვიათ, როგორი სახელმ-

ნიფო უნდოდათ – ტრადიციული თემი, რომელიც ეთნიკური სოლიდარობისა და ჰარმონიის, ოჯახის ერთგულებისა და ხანგრძლივი ისტორიული არსებობის რომანტიკულ იდეებს დაეყრდნობოდა თუ ჰეტეროგენული და „სეკულარული“ სახელმწიფო, რომელიც აიტანდა შიდა ტერიტორიულ პრეტენზიებს და პლურალისტულ თანამედროვე ევროპასთან ინტეგრაციას. აი, ამ ორ ხედვას შორის არსებული დაძაბულობა ედო საფუძვლად 1991-1993 წლების სამოქალაქო ომს. მას შემდეგ საქართველოში ვითარება შეიცვალა, შეიქმნა საჯარო სივრცე, სადაც ემოციური, მაგრამ არააგრესიული დებატები მიმდინარეობს; გაზეთები და ტელევიზიაც ხელს უწყობს იდეათა და პოლიტიკურ შეხედულებათა გაცვლა-გამოცვლას. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ პროცესი მაინც გაუნონასწორებელი, არასრულყოფილი და შექცევადია. ყოველი ჩატარებული არჩევნები გვიჩვენებს, რომ არ არსებობს შეჯერებული და შეთანხმებული პროცედურები ხელისუფლების ლეგიტიმურობის დასადგენად. 26 მაისის დემონსტრაციის დროს პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მომხდარმა სისხლიანმა შეტაკებამ დაადასტურა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლარიზაცია.

არსებობს ბევრი ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოითხოვს დემოკრატიისკენ ტრანზიცია. სეიმურ მარტინ ლიპსეტი თავის ლირსშესანიშნავ სტატიაში (1959) ამბობს, რომ ეკონომიკური განვითარებაა მთავარი; სამუელ ჰანთინგტონი და რონალდ ინგლეჰარტი საერთო კულტურულ მახასიათებლებს მიიჩნევენ გადამწყვეტად; ფარიდ ზაქარია და რასელ ბოვა ხაზს უსვამენ ლიბერალური რეჟიმის არსებობის გამოცდილებას, თუნდაც კოლონიური არსებობის პირობებში; რობერტ პუტნამი მახვილს სოციალურ კაპიტალსა და ნდობაზე სვამს; ხოლო ადამ პრუვეროსკი – შემოსავლების თანასწორობის ზრდაზე.³⁶ ყველა თანხმდება, რომ დემოკრატიის წარმატებისთვის რაღაც დონეზე საჭიროა ზიარი პოლიტიკური ღირებულებები და ლოიალურობა, რაც საფუძვლად უდევს პოლიტიკურ შეთანხმებას საერთო წესებზე. გარკვეული აღიარებული პარამეტრების ფარგლებში მიმდინარე დიალოგისა და მოლაპარაკებების გარეშე დემოკრატია დროებით „შეჩერდება“, როგორც ჰობსბაუმი აღნიშნავს.³⁷ საქართველოს შემთხვევაში, პოლიტიკურმა დაყოფამ, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი დროით უქონლობამ და ჩამოუყალიბებელმა, პიროვნული ერთგულების მიხედვით დაშლილმა სამოქალაქო საზოგადოებამ მიგიყვანა სუსტ ნაციონალურ საზოგადოებამდე. პოლიტიკურ ნაციონალიზმს, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა თვითმმართველობაზე, სოციალურ სამართლიანობასა და დამოუკიდებლობაზე შეიძლებოდა სახელმწიფოებრიობის უფრო ძლიერი შეგროვება ჩამოუყალიბებინა და გაეზარდა შანსი დემოკრატიის განვითარებისთვის ძირეულ დონეზე, მაგრამ ეს უმნიშვნელო რამ იყო ქართული ნაციონალიზმისთვის, რომლის ფოკუსი 1917 წლამდეც და შემდგომ პერიოდშიც, სოციალური სამართლიანობა კი არა (თუმცა, კი არსებობდა), არ-

ამედ ენა, ლიტერატურა, ფოლკლორი და არქეოლოგია იყო. კულტურული წარსულისადმი ნოსტალგიამ სახელმწიფოს ისტორია ხელოვნების ნიმუშად, ქართველთა ესთეტიური უპირატესობის ილუსტრაციად აქცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საქართველოში ძლიერი ნაციონალისტური მოძრაობა არ გაშლილა. ქვეყნის დამოუკიდებლობაზე მეოცნებე ქართველ ნაციონალისტთა ხმა 1980-იანი წლების ბოლომდე რჩებოდა ხმად „მღალადებლისა უდაბნოსა შინა“ და თვითგამორკვევის იდეის პროპაგანდისტისაც იშვითად თუ ვინმე განძრეულა, რომ არაფერი ვთქვათ საერთო-სახალხო ბრძოლაზე.³⁸ ქართული სახელმწიფო წიგნებში, ფილმებსა და შუა საუკუნეების წარსულში ცხოვრობდა და არა პოლიტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფოებრივი წეს-ჩვეულებებით. აპოლიტიკური და რეაქციონერი, ის ნააგავდა ჯეფ ჰერბსტის მიერ აღწერილ სუბ-საჰარის შეუმდგარ სახელმწიფოებს. წარსულში ძლიერი ანტიკოლონიური მოძრაობის არარსებობამ და სახელმწიფოებრიობის სუსტმა ტრადიციებმა სახელმწიფოს მშენებლობის პროექტის პარალიზება გამოწვია.³⁹ ორგანიზებული პარტიები მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად თავიანთი საპროგრამო მანიფესტებით მხოლოდ გორბაჩოვის „გლასნოსტისა“ და დემოკრატიზაციის დაწყების შემდეგ გამოვიდნენ სცენაზე.

ქართული კუთხური ერთგულება საქართველოს ნაციონალური საზოგადოების „დაუსრულებელ“ ხასიათს ასახავს. რეგიონალიზმი და ეროვნული იდენტობა საქართველოში, ალბათ, შეთავსებადია, მაგრამ კუთხურმა იდენტობამ მაინც განსაკუთრებული როლი ითამაშა 1992-1993 წლების სამოქალაქო ომში. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, სამეგრელოს მოსახლეობა დევნილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრე იყო. მეგრელებმა ვარდების რევოლუციასაც გადაწყვეტ მომენტში დაუჭირეს მხარი, როცა 2003 წლის ნოემბერში მასიურად ავტობუსებით ჩამოვიდნენ თბილისში. საქართველოს ისტორიისთვის, ისევე როგორც იტალიისა თუ ესპანეთის, მუდმივი თანმდევი მოვლენა შიდა რეგიონული/კუთხური ომებია. გაერთიანებული სახელმწიფო უფრო გამოწვევის წარმოადგენდა, ვიდრე წესს. მონღოლთა 1236 წლის შემოსევის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთის მმართველობის ქვეშ აღდგა. საქართველოს კუთხეებს, სამეგრელოს, აჭარასა და სვანეთს არ გააჩნიათ სეპარატისტული მიდრეკილებები, მაგრამ ადგილობრივი პოლიტიკური სოლიდარობა, რომელიც ეთნიკურ-კუთხურ იდენტობას ეყრდნობა, საქართველოს ნაციონალური სოლიდარობის მუდმივ სიმყიფეს ასახავს. დღესაც კი ვერ გაურკვევიათ ქართველებს, შეიძლება თუ არა მუსლიმანი აჭარელი, მესხი (ან, თუნდაც ქართველი კათოლიკე) საქართველოს ნაციონალურ საზოგადოებას მოერგოს.

როჯერს ბრუბეიკერი, ვიქტორ ზასლავსკი და ტერი მარტინი ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირი ხელს უწყობდა სახელმწიფოს მშენებლობას

თავის რესპუბლიკებში.⁴⁰ მაგალითად, საბჭოთა საქართველოში, ქართული „სახელმწიფო“ ძალზე მოძლიერდა სოციალური და ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. 1926-1989 წლებში, საქართველოში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა გაორმაგდა და 1.8 მილიონიდან 3.8 მილიონამდე მიაღწია, რამაც რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 70.1% შეადგინა. ეს ციფრი კი, 1897 წლის შემდეგ პირველად დაფიქსირდა⁴¹. ლიტვის შემდეგ, საქართველო მეორე რესპუბლიკა იყო, სადაც ეთნიკური მოსახლეობის მალალი კონცენტრაცია გვხვდება. ქართველთა 95.1% საქართველოში ცხოვრობდა და ქვეყნიდან მათი გადინებაც ნაკლებად ხდებოდა. საქართველოს ეკონომიკამ თითქმის ყველა დონის სამუშაო ძალის შთანთქმა შეძლო ისე, რომ არ დაეშვა არაქართველთა მიგრაცია. ამავე, საბჭოთა პერიოდში გაიზარდა ქალაქში მაცხოვრებელთა რიცხვიც. 1989 წელს მოსახლეობის 62.1% ქალაქად ცხოვრობდა. 1926 წლისთვის ეს ციფრი მხოლოდ 48% შეადგენდა. თბილისის მოსახლეობაც დაახლებით ასევე გაიზარდა, თუ 1922 წელს თბილისში ქართველთა 34.6% ცხოვრობდა, 1989 წლისთვის ამ რიცხვმა 66.1% მიაღწია. ამავე წელს, ქართველთა 98.2% ქართული ენა მიაჩნდა მშობლიურად.⁴² მაგრამ, დღევანდელი სირთულეები, რაც სახელმწიფოს მშენებლობას ახლავს თან, გვაფიქრებინებს, რომ საბჭოთა პოლიტიკამ, რომელიც ურბანიზაციის, მასობრივი განათლებისა თუ კვაზიფედერალური ინსტიტუტების განსავითარებლად ტარდებოდა, უფრო ეთნიკური სახის პარტიკულარიზმის წარმოშობას შეუწყო ხელი და არა თანამედროვე ნაციონალური საზოგადოებისას.⁴³ ეს უკანასკნელი საკმაოდ რთული მექანიზმია, რომელიც ზიარი სოციალური ღირებულებების, ნორმების, კანონებისა და ინსტიტუტების განვითარებას გულისხმობს; კუთხური თუ ნათესაური ერთგულების ჩანაცვლებას ხალხისადმი და მისი „დამცველი“ სახელმწიფოსადმი აღებული ვალდებულებებით. ქართველების მუდმივი „ჯგუფური“ და „ნათესაური“ ერთგულება ის თვისებაა სწორედ, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ინსტიტუციურ სოლიდარობას სახელმწიფოს დონეზე, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციების სოლიდარობას თემის დონეზე. ქართველების უმრავლესობას ნდობა არა აქვს თავისი მოქალაქეებისადმი, ის ნათესავებსა და მეგობრებს უფრო ენდობა.

საბჭოთა რეჟიმს ქართველებისთვის არ მიუცია დამოუკიდებელი ინსტიტუტები და ეროვნული ბაზარი, არც კანონი, რომელიც საზოგადოების ჩვეულებებისა თუ ტრადიციების ამსახველი იქნებოდა, არც არმია ან პოლიცია და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა, მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთი არაფერი, რაც სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვას შეუწყობდა ხელს. ქართული საბჭოთა სტრუქტურები არაადეკვატურ მექანიზმებად მოგვევლინენ თანამედროვე ნაციონალური საზოგადოებისთვის; სტრუქტურები ვერტიკალური იყო, მოსკოვზე ფოკუსირებული და ჰორიზონტალურად დაკავშირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას უშლიდა

ხელს, იმ საზოგადოების რომელიც არაქართველთა ჩართვას შეძლებდა თავის ფეხებზე და „მოქალაქეობის“ წესებს შემოიღებდა. საბჭოთა კავშირი თავის შემადგენლობაში მყოფ ხალხებს უფლებას აძლევდა, გორბაჩოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაეზარდა ეროვნული თვითშეგნებისა და საკუთარი ისტორიული ფესვებისადმი ბუნებრივი ინტერესი.“⁴⁴ კულტურული ნაციონალიზმის ამ ფორმების წყალობით ქართველებში ეროვნული სიამაყე გაძლიერდა და მათი ხედვა თუ წარმოდგენებიც მტკიცედ გადაეჭდო რომანტიულ-პეროიკულ წარსულს. ამან კი, შეაყოვნა ერთიან ინსტიტუტებსა და კანონებზე დამყარებული ნაციონალური საზოგადოების მშენებლობა. ამ გზით, საბჭოთა კოლონიალიზმმა ჩაშალა, საბოტაჟი მოუწყო თანამედროვე და ლიბერალური ერი-სახელმწიფოს შექმნას საქართველოში.

საბჭოთა კავშირის მიერ ქართული ეროვნული მითების ინკუბაცია არასწორად, ქართული ნაციონალური ერთიანობის ნიშნად იქნა გაგებული. თითქოსდა, არსებობდა სოციალური და პოლიტიკური საფუძველი ქმედითი ქართული სახელმწიფოსთვის: ძალზე განათლებული მოსახლეობა, პოლიტიკური ელიტა, კვაზისახელმწიფოებრივი სტრუქტურები, – მაგრამ დამოუკიდებლობის შემდეგ გამოაშკარავებულმა იდენტობის კრიზისმა გვიჩვენა, რომ უპირატესობის შეგრძნებასა და ფოლკლორული ტრადიციების გაფეტიშებასთან მიბმული „კულტურული ნაციონალიზმი“ აბრკოლებდა ინსტიტუტების ასაგებად საჭირო შესაძლებლობების განვითარებას. 1991 წელს ქართველი ხალხი კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა და არა სამოქალაქო ან პოლიტიკურ ერთობას. მაგრამ, 2007 წლის მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციები, 2009 წელს რუსთაველის გამზირზე დადგმული საკენები იმის ნიშნად, რომ საქართველოს მოსახლეობა საპატიმროში ცხოვრობს, და ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთმანეთთან მოლაპარაკებების უუნარობა, პოლიტიკური პოლარიზაციის ნიშნებზე გაცილებით მეტია. ფაქტიურად, საქართველო კულტურათა ომშია ჩართული, ორივე მხარე ეჭვქვეშ აყენებს ერთმანეთის უფლებამოსილებას. პრეზიდენტი სააკაშვილი ემოციური პატრიოტული რიტორიკით ცდილობს დაძლიოს ქართველების უნდობლობა თანამემამულეებისადმი, ეს საქართველოსთვის მეორე მცდელობაა 1991 წლის შემდეგ, რომ შექმნას თანამედროვე სახელმწიფო. თუმცა, პრეზიდენტის რიტორიკა, რომელშიც ის ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებს და პოლიცია, რომელმაც არ იცის მოქალაქეებთან მოქცევა და რომელიც საპროტესო დემონსტრაციის დაშლისას სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან ერთად თავის სამუშაო ადგილსაც იცავს, გვიჩვენებს, რამდენად სახიფათოა ძალაუფლებისა და ერთგულების მჭიდრო კავშირი.⁴⁵

პოლიტიკური კულტურა

ქართველ ლექსიკოგრაფსა და დიპლომატს, სულხან-საბა ორბელიანს (1658-1725) ნათქვამი აქვს სიმართლე კეფას ჰგავსო, იცი სად არის, მაგრამ ვერ ხედავო.⁴⁶ იგი ასეთნაირად დაახასიათებდა პოლიტიკურ კულტურასაც, ალბათ: მისი გავლენა აშკარაა და შესაგრძნობი, მაგრამ აი, როგორ გამოათავისუფლებ ერთმანეთში გადახლართული პოლიტიკური ქცევებისგან, სხვა საქმეა. გაურკვევლობა, რომელიც პოლიტიკური გავლენას სდევს თან, ღირებულებები, განწყობები და აზრები პოლიტიკურ სისტემაზე, კვანტური მექანიკის გაურკვევლობაზე ნაკლები არ არის, მაგრამ კამათი იმის შესახებ, რამდენად სწორია და საფუძვლიანი მის ანალიტიკურ მეთოდად გამოყენება არ შეწყვეტილა დღემდე. მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური სისტემები ჩასმულია, კოლინ გრეის სიტყვებით რომ ვთქვათ: „სოციალურად გადაცემული იდეების, განწყობების, ტრადიციებისა და გონების ჩვევების კონტექსტში“, მაგრამ ჩნდება კითხვა, როგორ მოქმედებს ეს კულტურული კონტექსტი პოლიტიკურ ქცევაზე.⁴⁷ და ვისი კულტურა მიიღება მხედველობაში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, საჭიროა ვანარმოთ კონკრეტული ჯგუფების, ინსტიტუტების, საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური გადანყვევტილების მიღების პროცესის სისტემატური კვლევები ხანგრძლივი დროის განმავლობაში.⁴⁸ ამ ნიგნს სხვა მიზნები აქვს. მე მხოლოდ გავბედავ და წამოვაყენებ თუნდაც ბანალურ ოთხ მოსაზრებას პოლიტიკური კულტურის როლის შესახებ საქართველოში.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ პოლიტიკური კულტურის გარეშე პოლიტიკური ქცევისა თუ პოლიტიკის კეთების ანალიზი დამაკმაყოფილებელი არ იქნება. მეორე, არსებობს კავშირები პოლიტიკურ კულტურასა, ეკონომიკურ განვითარებასა და წარმატებული დემოკრატიის მშენებლობას შორის⁴⁹. პოლიტიკური ღირებულებები და ნორმები, განსაკუთრებით კი, ცვლილებათა დინამიურ პერიოდში, ზემოქმედებენ ლეგიტიმაციაზე, პარტიულ სისტემებზე, მონაწილეობის ხარისხსა და პოლიტიკურ კონფლიქტზე. მესამე, ქართული პოლიტიკური კულტურა მუდმივ ცვლილებებშია. მისი კატეგორიზაცია თანამედროვედ თუ ტრადიციულად, მატერიალისტურად თუ პოსტმატერიალისტურად გარკვეულ გასაღებს კი გვთავაზობს, მაგრამ ვერ განმარტავს ღირებულებათა დინამიურსა და რთულ აღრევას ერთმანეთში ტრანსფორმაციისთვის დამახასიათებელი კაპიტალიზმის ზემოქმედების ქვეშ, რომელიც ანგრევს ტრადიციულ სოციალურ იდენტობას და ქმნის ახალს საცხოვრებლის, განათლების, პროფესიისა და ასაკის მიხედვით. მეოთხე, გამოკითხვები, რომლის დროსაც პოლიტიკური ღირებულებები იზომება, ყოველთვის ცვალებადია და გულდასმით შემომნებასა და შესწავლას საჭიროებს, განსაკუთრებით კი, საქართველოში, სადაც მეთოდოლოგია სუსტია, ხოლო შედეგები ხშირად პოლიტიზირებული.⁵⁰

საქართველოს „ეთნიკურმა“ კონფლიქტებმა იოლად ასახსნელი გახადა საქართველოს პრობლემები „კულტურით“. მაგრამ პოლიტიკური კულტურა ჰომოგენური არ გახლავთ. მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეხუთედი ქართველი არ არის და სახეზეა მნიშვნელოვანი განსხვავებები ქალაქსა და სოფელს, ინტელექტუალებსა თუ მუშებს, და თაობებს შორის. საბჭოთა კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლები, ე.წ. „აპარატჩიკები“, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ 1990-იან წლებში, სხვანაირად ხედავენ მსოფლიოს, ვიდრე ზუგდიდელი მუშები ან ახალქალაქელი სომეხი გლეხები. 1995 და 1998 წლებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ მუშები ყველაზე პესიმისტურ, აპათიურ და ავტორიტარულ ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოში. მენარმეები და სტუდენტები კი, პირიქით, ყველაზე ტოლერანტული და ოპტიმისტურად განწყობილი აღმოჩნდნენ.⁵¹ ახლახან, ნანა სუმბაძემ გვიჩვენა, თუ რამდენად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ქალაქად და სოფლად მაცხოვრებლებს დემოკრატიის მნიშვნელობაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე თუ კანონის უზენაესობაზე. სოფლად და პროვინციულ ქალაქებში მაცხოვრებელ ხალხს უფრო მეტი ნდობა აქვს ხელისუფლებისადმი და, სავარაუდოდ, უფრო სჯერათ, რომ დემოკრატია და კანონის წინაშე თანასწორობა საქართველოში არსებობს. საკმაოდ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რამდენად განსხვავდება თბილისისა და პროვინციული ქალაქების მოსახლეობის წარმოდგენები სიტყვის თავისუფლებაზე და ხელისუფლების უფლებამოსილებაზე დაშალოს საპროტესტო დემონსტრაცია (თბილისის მოსახლეობა, რომელმაც უპირატესობა სიტყვის თავისუფლებას მიანიჭა 16%-ით აღემატებოდა პროვინციული ქალაქებისას).⁵²

საბჭოთა კომუნიზმი, როგორც კვინ ჯოვიტი ამბობს, აერთიანებდა თანამედროვე, ტრადიციულ და ქარიზმატულ ნიშან-თვისებებს.⁵³ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება 70 წლის მანძილზე ახორციელებდა მასშტაბურ სოციალურ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, მან მაინც ვერ დაასრულა თანამედროვე სეკულარულ სახელმწიფოდ ქცევის პროცესი.⁵⁴ 1970-იანი წლებისთვის საბჭოთა რესპუბლიკელები თავიანთი საკუთარი ვერსიის ნაციონალურ-კულტურული კომუნიზმის გზას მიჰყვებოდნენ. საბჭოთა საქართველოში პეტრე დიდისა და პუშკინის ნაცვლად, მე-12 საუკუნის მეფე დავით აღმაშენებელი და მე-19 საუკუნის განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდნენ ერის დამაკავშირებლებს დიად წარსულთან. საქართველოს სოფლის მოსახლეობისთვის საბჭოთა სახელმწიფო რაღაც შორეული, სუსტი ავტორიტეტის მქონე, რომლისაც ზოგჯერ ეშინოდა კიდევ, მაგრამ კულტურულად მაინც უცხო იყო. სოფლის ელიტა 1880-იანების შემდეგ არსობრივად არც შეცვლილა, მიუხედავად იმ თავზარდამცემი მოვლენებისა, რაც იძულებითი კოლექტივიზაციასა და მოდერნიზაციას მოჰყვა მისთვის. სოფელი პატრიარქალური, ცრუ რწმე-

ნით გაულენთილი ტრადიციებით განაგრძობდა ცხოვრებას, სადაც ოჯახის უფროსი დომინირებდა. მართალია, რელიგიას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა და გენდერული თანასწორობაც მეტ-ნაკლებად დაცული ჰქონდა, რელიგიურ დღესასწაულებს, დაკრძალვის ცერემონიას თუ ქელებს, ქალის გამზითვებას და ბევრ სხვა ქართულ წეს-ჩვეულებას ისევ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სოფლის ცხოვრებაში და მათ წინააღმდეგ მიმართული კამპანიები ფუჭი იყო. სახელმწიფოსგან ბევრ შემთხვევაში სალაპარაკო ენით გამიჯნული სოფლები ფეოდალური ტიპის უფროსის იმედად არსებობდნენ. ეს უკანასკნელი კი, ცენტრიდან მართული საბჭოთა სისტემის წყალობით იდებდა ქონს.⁵⁵

ქალაქად მაცხოვრებელთა უმრავლესობა გაცილებით თანამდეროვე იყო სოფელ თანამემამულეებთან შედარებით და დამოკიდებულებაც განსხვავებული ჰქონდა ჩაცმულობის, განქორწინებისა თუ ახალი ტექნოლოგიებისადმი. ქალაქელი მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდა სახელმწიფო სტრუქტურებთან და მათი სიკეთითაც უფრო სარგებლობდა პროფკავშირების, უფასო საგზურებითა თუ სამომხმარებლო საქონლით. მაგრამ, მიუხედავად ამ განსხვავებებისა, 1970-იან წლებში ვერ შეხვდებოდით ადამიანს, სულ ერთია, ვინ იქნებოდა ის, მუშა, ტაქსის მძღოლი თუ პარტიული ჩინოვნიკი, რომელიც მიჯაჭვული არ იქნებოდა საქართველოს ისტორიისა და ტრადიციების იდეალიზირებულ მითებსა თუ სიმბოლოებს. საბჭოთა სახელმწიფო ამაოდ ცდილობდა ახალი სეკულარული ტრადიციების დამკვიდრებას, რადგან მას უკვე იდეალიზებული ჰქონდა გასაბჭოებამდელი ქართული ღირებულებები. მეცხრეკლასელი ქართველი სკოლაში ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ილია ჭავჭავაძის პატრიოტულ ლექსებსა და ხოტბადიდებას სწავლობდა საქართველოს გმირულ წარსულზე.⁵⁶

ქართულ ღირებულებებს ტრადიციული სიმღერები, ანდაზები, პოეზია და დღესასწაულები ინარჩუნებენ. ეს ქართველი ერის არსია, თუ გნებავთ, ძარღვი, რომელშიც დაღუპული გმირების, გაიდებულნი წინაპრებისა და წმინდა ადგილების ემოციურად დამუხტული სადიდებლები გადის. ქეიფით ქართველები მნიშვნელოვან მოვლენებს აღნიშნავენ, მაგალითად, ქორწინებასა და დაბადებას, ხოლო ქელებზე გარდაცვლილს იგონებენ დაკრძალვის შემდეგ. ქეიფი მთელი რიტუალია, აქ საზიგორდ ცხადდება საერთო ღირებულებები და მყარდება მტკიცე, არაფორმალური კავშირები, რომელიც სახელმწიფოს გვერდს უდის. ქეიფი საბჭოთა პერიოდშივე იქცა ქართული ღირებულებების ანტიმოდერნისტულ ზეიმ-გამარჯვებად საბჭოთა ღირებულებებზე. როგორც ემზარ ჯგერენაია ამტკიცებს, ქეიფის დროს ქართული ზეპირი ტრადიციების რეალიზება ხდებოდა დაწერილი საბჭოთა კულტურის საპირისპიროდ. ლევან ბრეგვაძე კი პირდაპირ უკავშირებს ქეიფს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციას. ის ვარაუდობს, რომ ქეიფმა სახე იცვალა მე-19 საუკუნეში საქართველოს დაპყრობის შემდეგ და

ეროვნული თვითგამოხატვისა და ჯგუფური სოლიდარობის გამოცხადების შესაძლებლობად იქცა.⁵⁷

საინტერესო ისაა, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ეს კულტურული ტრადიციები პოლიტიკურ ცხოვრებაზე. როგორ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე იმპორტირებული იდეები დემოკრატიაზე და სახელმწიფოს თანამდეროვე ევროპული პრინციპები და ქართული ტრადიციული პოლიტიკური ღირებულებები თუ წარმოდგენები? ქართული პოლიტიკის მკვლევარს ყველაზე მეტად თვალში რაც ხვდება, გახლავთ მისი დრამატული ბუნება: მუშტი-კრივი პარლამენტში, ერთმანეთის შეურაცხყოფა სატელევიზიო დებატების დროს (რამდენიმე ხნით ქართულმა არხებმა მოპაექრე პოლიტიკოსებს სხვადასხვა სტუდიაში მიუჩინეს ადგილი), სამშობლოს ღალატში დადანაშაულება, საჯარო დემონსტრაციები, სიკვდილამდე შიმშილობის გამოცხადება და პოლიტიკოსთა გასაიდუმლოებული ფრენები საზღვარგარეთ. ეს ტრაგედიისა და ბნელი, ორმაგი თამაშების მთელი თეატრალური სამყაროა, რომლისთვისაც არც პრანჭიაობაა უცხო ხილი და არც გამოუცდელია, თუ გნებავთ, დაუხვეწელია. რონალდ ინგლეჰარტმა, რობერტ პუტნამმა და სხვა მეცნიერებმაც დაადგინეს ინდივიდუალურ პირებსა და თემებს შორის არსებული ნდობის კორელაცია დემოკრატის ეფექტურ მუშაობასთან.⁵⁸ საბჭოური გამოცდილებით ჩამოყალიბებული სხვებისადმი უნდობლობა ზოგადად, რაც დადასტურდა უამრავ გამოკითხვაში, რომელიც კი ჩატარებულა საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ერთიანდება პოზიციების ემოციურ საჯარო გამოვლინებასთან, რაც სათუოს ხდის კომპრომისსა და თანამშრომლობას პოლიტიკურ პარტიებსა და ფრაქციებთან თუ ნაციონალურ საზოგადოებასთან⁵⁹. ორივე მხარის მიერ აღიარებული პოლიტიკური მეტოქეობის ნორმატიული ჩარჩოების არარსებობამ შედეგად მოიტანა სისხლიანი დაპირისპირება და კონფრონტაცია. გაერთიანებული პარტიების შენარჩუნება რთულია. ამის გამო იყო, რომ ეროვნულმა მოძრაობამ ერთიანად ვერ შექმლო საბჭოთა ხელისუფლებას დაპირისპირებოდა 1980-იანებში, ხოლო 1990-იანებში საერთოდ დამთრგუნველი მდგომარეობა შეიქმნა: დარბაზს დემონსტრაციულად ატოვებინებდნენ და აძევებდნენ ოპონენტ დეპუტატებს, ერთმანეთში ჩხუბობდნენ და ბოიკოტს უცხადებდნენ სხდომებს.

ოჯახის, ნათესავეებისა და მეგობრებისადმი ერთგულება ღირსების საქმეა. მე-12 საუკუნის ეპიკური ნაწარმოების, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების რაინდულ სიამაყესა და პასუხიმგებლობის გრძნობას ბევრი თანამდეროვე ქართველი ქცევის მისაბამ მოდელად აღიქვამს⁶⁰. პასუხიმგებლობა ოჯახისა და მეგობრებისადმი განსაზღვრავს რამდენად ვაჟკაცურია ადამიანი; და პირიქით, თუ ვინმემ მცირე შეცდომა და მარცხი განიცადა, მასთან კავშირს წყვეტენ მეგობრები და, ალბათ, გარიყავენ კიდევ. პოლ საქსის შენიშვნა ირლანდიელებზე ქართველებზე გამოთქმულ აზრს ჰგავს:

„ირლანდიელი თავის გარშემო არსებულ სამყაროს უყურებს, როგორც პიროვნული ურთიერთობების დიდ ქსელს. ცოდნა ამ სამყაროს შესახებ მას ამ ქსელებითა და ახლობლების ქსელების მეშვეობით აქვს შეძენილი...ის ადამიანებს არ აღიქვამს თავიდანვე მათ ფორმალურ როლებში, როგორც ბიუროკრატებს, იურისტებს ან კომპანიის დირექტორებს, ის მათ ხედავს, პირველ რიგში, როგორც მეგობრებს, მეგობრების მეგობრებსა თუ მეგობრების ნათესავებს: ადამიანებს, რომლებიც დავალებული არიან მისგან.“⁶¹

ეს არის ის, რასაც ჩვენ „ანტი-სოციალური კაპიტალი“ შეიძლება დავგვწოდებინა. ასეთი ქსელები საზოგადოების წევრთა შორის სოციალური ურთიერთობების განვითარებას ხელს არ უწყობს, არც თანამშრომლობისა და ნდობის ჩამოყალიბების სურვილს აღძრავს. სოციოლოგი გურამ სვანაძე ამტკიცებს, რომ საქართველოში ინდივიდები მიმდგრებული არიან ერთ სამსახურში თანამშრომლობის, თანასკოლელობის, ან ერთ კუთხესა თუ ქალაქში ცხოვრების საფუძველზე შექმნილ ჯგუფებთან⁶². ის ამბობს, რომ როცა ორი ქართველი ერთმანეთს ხედავს, პირველი, რასაც ერთმანეთს ეკითხებიან არის: „რა გვარის ხარ?“, შემდგომ, ამ კითხვას, როგორც ნესი, მოსდევს „სადაური ხარ?“ მშობლიური ქალაქი, რაიონი, მეზობლობა, სოფელი ან მეგობართა წრე ახდენს ადამიანის ლოკალიზებას ჯგუფში. საქართველოში ეს აუცილებელია ერთი საფეხურით წინ წაწევისთვის და პრივილეგიების მოსაპოვებლად. მსგავსი ჯგუფები და მათი წევრობა ხშირად მერიტოკრატული პრინციპების, თანამშრომლობის („სოციალურ კაპიტალს შორის ხიდის გადება“) და კანონის უზენაესობის წინააღმდეგ მიდის. ჯგუფური იდენტობა მრავალნაირად ზემოქმედებს საჯარო მოხელეთა ხარისხსა და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობაზე. გორბის 2000 წლის კვლევაში, რომელშიც გამოკითხულ ქართველთა 62%-მა აღნიშნა, რომ სამსახური ნაცნობების დახმარებით შქონდა ნაშრომი, მხოლოდ 2% აღმოჩნდა კონკურსის საფუძველზე სამსახურში მიღებული.⁶³ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ 2011 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, თანამშრომლობის დონე ფერმებში თუ ახლადშექმნილ მშობელთა და პედაგოგთა საბჭოებში დაბალია „ანტი-სოციალური კაპიტალის“ გამო.⁶⁴

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კორუმპირებული ინსტიტუტების „წყალობით“ დიდი ოჯახის ფუნქცია, როგორც მისი წევრების დამცველისა და დამწინაურებლის, კიდევ უფრო გაძლიერდა. 1989 წელს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 3.4% ცხოვრობდა ოჯახს გარეთ, მაშინ როცა საბჭოთა მასშტაბებით საშუალო მაჩვენებელი 11% წარმოადგენდა იმ დროისთვის.⁶⁵ კვლევის შედეგების მიხედვით, მცირე ოჯახები (ნუკლეარული – მშობლები და შვილები) ოჯახთა საერთო რაოდენობის 5.9%-ია, ხოლო ოჯახების

რაოდენობა, სადაც ორი თაობის წარმომადგენლები ცხოვრობენ – 39.4% და სადაც სამი თაობა – 51%.⁶⁶ გვიან საბჭოურ პერიოდში, თანამდებობის პირები სამსახურიდან დროზე ადრე ქრებოდნენ და შვილებს მიყვებოდნენ უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე ან შორეული ნათესავის გასვენებაში მიდიოდნენ. შევარდნადის პრეზიდენტობის დროს ჩატარებულ კვლევებში ჩანს, რამდენად კატასტროფულად დაბალი ერთგულების გრძნობა აქვთ ადამიანებს საჯარო ინსტიტუტების მიმართ. ზემოთ ნახსენებ 2000 წლის კვლევაში, მოსახლეობის 53% „რამდენადმე“ ან სრულიად არ ენდობოდა პარლამენტს; 53% ასევე იყო განწყობილი სასამართლო სისტემისადმი, ხოლო 62.8% არმიისა და უსაფრთხოების სამსახურებისადმი არ ჰქონდა ნდობა. 2007 წლისთვის ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 43% მაინც „რამდენადმე“ ან სრულიად არ ენდობოდა პარლამენტს და 42% – სასამართლოებს.⁶⁷ რესპონდენტები ყველაზე მეტად ეკლესიას ენდობოდნენ. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ყოველწლიური კვლევების შედეგების მიხედვით, 2003 წლის მაისში ეკლესიას გამოკითხულთა 80%-იანი ნდობა ჰქონდა; 2006 წელს – 87.3%, ხოლო 2009 წელს – 93%.⁶⁸ დღეს, საქართველოს სრულწლოვან მოსახლეობას ძნელად თუ სჯერა საჯარო საქმიანობის ეფექტიანობის. მაგალითად, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის 2006 წლის კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 77% სწამს რომ რიგით მოქალაქეს არ შეუძლია პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა.⁶⁹ გაურკვეველი ინსტიტუტების მიერ განვითარებული, თუ ხელისუფლების გასაიდუმლოებული მოქმედებების მიზეზითა და ჭორებით წარმოშობილი კონსპირაციული თეორიებით მოცულია საზოგადოების ყველა ფენა, რაც უმწიბობის საერთო შეგრძნებას კიდევ უფრო ამძაფრებს.

როცა ხალხი სახელმწიფოს ასეთ დონეზე არასაიმედოდ აღიქვამს, მაშინ ყოველგვარ ძალას კარგავს კანონიერება და მორალური ნორმები. შავ ბაზარზე მუშაობა საბჭოთა ცხოვრებისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ 1999 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 52% ისევ არაფორმალურ სექტორში იყო დასაქმებული, თუმცა მცირე მასშტაბებით და უმეტესად, როგორც დროებითი, სეზონური მუშები.⁷⁰ ეს სურათი დიდად არ შეცვლილა სააკაშვილის პერიოდში, რადგან მოთხოვნა (რიგიან ხელფასზე) არ ემთხვევა მოწოდებას (რიგიანი ხელფასების). ქართულ საზოგადოებას არც ანუხებს, რომ სამართლებრივად დაურეგულირებელი საქმიანობა არაფორმალურ სექტორში არაეთიკურია ან, რომ ეს ძირს უთხრის სახელმწიფოს ქმედითობას. ნათესაური თუ მეგობრული კავშირები ისევ მთავარი მექანიზმია სამსახურის მოსაპოვებლად. ეს კი, თავისთავად აფერხებს სოციალურ მობილობას მათთვის, ვისაც სათანადო კავშირები არ გააჩნია, რაც სრულიად შეუსაბამო, არაპროპორციული ძალით ზემოქმედებს სოფლად მცხოვრებ არაქართველებზე და ამას გარდა, გაღიზიანებასაც წარმოშობს ხანგრძლივად დასაქმებულებსა და კავშირების უქონელ ახალგაზრდობას შორის.

სახელმწიფოსადმი უნდობლობამ პატრონების იმედი გააჩინა ეკონომიკაში, საჯარო სამსახურსა და პოლიტიკურ პარტიებში, ხოლო პოლიტიკურ სივრცეში ქარიზმა გახდა ძალაუფლების წყარო. ქართველთა უმრავლესობა იდენტიფიცირებას ძლიერ ლიდერებთან ახდენს და მათ ენდობა (აქ ნოსტალგია ირეკლება საქართველოს დიდ მეფეებზე, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე). ის არ ენდობა პარტიებს ან ინსტიტუტებს. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის 2009 წლის კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 55% ხმას აძლევს ლიდერს და მხოლოდ 23% ირჩევს პოლიტიკურ პარტიას.⁷¹ ამ უკანასკნელს კი, ჯერჯერობით სოციალური ელექტორატი არ ჰყავს, არც ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებთან აქვს ურთიერთობები ჩამოყალიბებული. ის ლიდერთა პიროვნულ სიძლიერეს, გავლენას და ფინანსურ რესურსებს ეყრდნობა. როგორც დუგლას ნორთი ამბობს, სწორედ ეს აბრკოლებს პოლიტიკურად სტაბილური ველის შექმნას და ეკონომიკის განვითარებას.⁷² 2006 წლის გამოკითხვა გვიჩვენებს, როგორ ამყარებს მის ჰიპოთეზას პიროვნებებზე დამოკიდებული კულტურა-რესპონდენტთა 63.5% ფიქრობდა, რომ ძლიერი ხელმძღვანელი, რომელსაც ხელს არც პარლამენტი შეუშლიდა და არც არჩევნები, „კარგი“ ან „რამდენადმე კარგი“ იყო საქართველოსთვის.⁷³ ძლიერი და გავლენიანი პატრონი ეკონომიკაში აყალიბებს რენტისა და მონოპოლიის გზით გამდიდრების განწყობას, ხოლო საგარეო პოლიტიკაში, პუტინის პიროვნებაზე ხაზგასმა მდგომარეობის ნესიერად გაანალიზების საშუალებას არ იძლევა და, შესაბამისად, პრობლემებიც ვერ გვარდება. შედეგად, ისეთი ვითარება იქმნება, როგორსაც ლარი დაიმონდა „დემოკრატიის ინსტიტუციურ სიცარიელეს“ უწოდებს გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში.⁷⁴

და ბოლოს, არის ერთი საკითხი, კერძოდ, ეროვნული იდენტობა და მისი ზემოქმედება სახელმწიფოსა და დემოკრატიის მშენებლობაზე. საქართველოს სახელმწიფოებრიობის საძირკვლის სულ პირველი (და, ამავე დროს, გამანადგურებელი) სამშენებლო ბლოკები გახლდათ კულტურული წარმოდგენები ქართველების განსაკუთრებულობაზე, რასაც აძლიერებდა რეგიონში მათი ისტორიული უპირატესობის აქცენტირება, ეს უპირატესობა არსებითად უდავო იყო საბჭოთა პერიოდში. პოსტსაბჭოურ რეალობაში კი, სწორედ ამ წარმოდგენებმა აღარ მისცეს საშუალება ქართველ პოლიტიკოსებს ალტერნატივები მოეძიათ ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობისთვის.

ქართველებს „ეთნიკური“ მიკუთვნებულობის ძლიერი განცდა აქვთ, ეს მრწამსია, რომ ქართველობა წარმომავლობით არის განსაზღვრული და ამას განუსყვეტილ იმეორებენ მწერლები და პოეტები, ყურნალისტები, სუფრასთან შეკრებილი ადამიანები; ეს ისმის საბავშვო ბალებში, პარლამენტში და სატელევიზო გადაცემებშიც. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შიდაეთნიკურმა ურთიერთობებმა კრიზისის უმაღლეს ნერტილს მიადანია, სახელმწიფოს მიერ ქართველობის განდიდების შედეგად. ათიოდ

ნლის შემდეგ, ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში გავრცელებულმა ჭორებმა რეფორმისტ პოლიტიკოსზე, ზურაბ ჟვანიაზე, რომელსაც ებრაული და სომხური წარმომავლობა ჰქონდა, კარგად წარმოაჩინა რამდენად მიდრეკილია ქართული პოლიტიკა ასეთი თემებისადმი (2011 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი მისდამი არაკეთილგანწყობილმა რუსთაველის თეატრის რეჟისორმა რობერტ სტურუამ სომხობაში „დაადანამაულა“).⁷⁵ დღეს საქართველოში მოქმედებს ლიბერალური კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც საცხოვრებელ ადგილ-სამყოფელს ეფუძნება, მაგრამ 1990-იანების ბოლოს ხალხი მაინც მხარს უჭერდა ეროვნების რეკვიზიტების შენარჩუნებას ოფიციალურ დოკუმენტებში, მათ შორის, შიდა მოხმარების პასპორტებში. გურამ შარაძე, ერთ-ერთი პოპულარული ხმა ქართულ პოლიტიკაში და მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ ლიდერი, რომელსაც მხარს უჭერდა მწერალთა კავშირიც, ეროვნების რეკვიზიტების ამოღებას დოკუმენტებიდან ადარებდა საქართველოს გასვლას კოსმოპოლიტიზმის საცდელ პოლიგონზე.⁷⁶ 2002 წლის პანელური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 61.0% ფიქრობდა, რომ ეთნიკურ ქართველებს უპირატესობა უნდა მინიჭებოდათ საჯარო სამსახურში და 67.4% მიაჩნდა, რომ საქართველოში არამაცხოვრებელ ქართველებს უფრო მეტი უფლება უნდა ჰქონოდათ მიწაზე, ვიდრე საქართველოს არაქართველ მოქალაქეებს.⁷⁷ აფხაზებიც და ოსებიც ასევე სვამენ მახვილს ეთნიკურ უპირატესობაზე თავიანთ არაოფიციალურად აღიარებულ სახელმწიფოებში. 2006 წლის გამოკითხვაში, ქართველების 28.5% უნდობლობით იყო განწყობილი სომხებისადმი, ხოლო 26.5% – აზერბაიჯანლებისადმი, თუმცა, შეუწყნარებლობა სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი არ ჩანს ქალაქად და, განსაკუთრებით, სოფლად. ქართველები გაცილებით შეუწყნარებლები არიან ჰომოსექსუალებისადმი, ნარკომანებისა და რელიგიური სექტანტებისადმი.⁷⁸

ქართველთა განსაკუთრებულ ეროვნულ თვითშეგნებას ხშირად ახლავს სახელმწიფო რელიგიასთან იდენტიფიცირებაც. საქართველო ისტორიულად ტოლერანტული მრავალკონფესიური სახელმწიფოა, მაგრამ ქართველების დემონსტრაციულმა ერთგულებამ ეკლესიისადმი, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ეკუმენიზმს და „უცხოურ სექტებსაც“ (მაგალითად, ორმოცდაათიანელებს და იეჰოვას მოწმეებს) და რომელიც აცხადებს, რომ „ქართველობა“ და ქრისტიანობა განუყოფელია, სერიოზული გავლენა იქონია სახელმწიფოსა და უმცირესობების ურთიერთობებზე, მათ შორის, მუსლიმან ქართველებთან ურთიერთობებზეც. ქართველთა უმეტესობისთვის რელიგია კულტურულ გერბს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მეტაფიზიკურ გამოცდილებას, მაგრამ დამოუკიდებლობის შემდეგ რელიგიის, ხალხისა და სახელმწიფოს შერწყმა, რასაც ახალი, 2004 წელს მიღებული ხუთჯვრიანი დროშაც განასახიერებს სიმბოლურად, კიდევ უფრო გააძლიერა ბარიერები უმცირესობათა ინტეგრაციის გზაზე.⁷⁹ 2006 წლის გამოკითხვაში, ქართ-

ველთა 66.2%-მა აღნიშნა, რომ სხვა რელიგიურ ჯგუფებს არ მისცემდა იმავე უფლებებს, რაც ქართულ ეკლესიას ჰქონდა მინიჭებული; უმრავლესობა არ მისცემდა ორმოცდაათიანელებსა და იეპოვას მონმეებს რელიგიური რიტუალების ჩატარების უფლებას.⁸⁰ ქართული ეკლესიის დაცვას „დასავლეოისადმი“ მტრული განწყობილებაც ახლავს. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროინდელი დევიზი „ძირს ბუმი! ძირს კომუნიზმი!“ იყო, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს სოროსის ფონდის გაძევებას ითხოვდნენ, ხოლო დღეს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი გმობს სააკაშვილს [ატლანტიკის] ოკეანის წყლის დაღვევისთვის, ანუ დასავლეთში მიღებული განათლებისა და ქართული ეროვნული და რელიგიური ფასეულობების შერყვნის გამო.

ბევრი ქართული განწყობა შეესაბამება, რასაც რონალდ ინგლექარტი თავის ნაშრომში უწოდებს „გადარჩენას“ ან „მატერიალისტურ“ ღირებულებებს. მათი ფოკუსირება ხდება ისეთ ეკონომიკურ საკითხებზე, როგორიცაა, ბრძოლა ფასების ზრდის წინააღმდეგ და ნესრიგის დაცვა. პოსტმატერიალისტური ღირებულებები კი, მეორე მხრივ, ფოკუსირდება თვითგამოხატვაზე და ხასიათდება სამოქალაქო უფლებების დაცვითა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობით ხელისუფლების გადანყვეტილებებში. ეს ღირებულებები უფრო მდიდარ და სტაბილურ დემოკრატიებში გვხვდება.⁸¹ გადარჩენის ღირებულებები ტრადიციული საზოგადოებების დამახასიათებელია, რომელთა ნევრებიც ინტერპერსონალური ნდობის დაბალი დონით (ოჯახისა და ახლო მეგობრების წრის გარეთ), დაბალი შემოსავლებითა და ავტორიტეტისადმი რიდიტა და პატივისცემით გამოირჩევიან, რაც, უნდა ითქვას, რომ სწორად აღწერს საქართველოს. 2003 წლის პანელური გამოკითხვის შედეგების მიხედვით (ავტორებმა ინგლექარტის ღირებულებათა სკალა გამოიყენეს), საქართველოს მოქალაქეების 54%-მა ორივე, მატერიალისტური და პოსტმატერიალისტური ღირებულებები ირჩია; 43%-მა – მატერიალისტური (ნესრიგმა სძლია პიროვნულ თავისუფლებას) და მხოლოდ 3%-მა აირჩია მხოლოდ პოსტმატერიალისტური ღირებულებები.⁸² როგორც ინგლექარტი ფიქრობს, საზოგადოება, რომელიც მატერიალისტური ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას, სტატისტიკურად, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს სტაბილური დემოკრატიის შექმნას. თუმცა, ბევრ სტაბილურ და საქართველოზე გაცილებით მდიდარ დემოკრატიულ სახელმწიფოში, მაგალითად, ირლანდიაში, ესპანეთსა და იაპონიაში, დემოკრატიულ სტრუქტურებთან თანაარსებობენ პირად ეროვნულებაზე დაფუძნებული ფართო ტრადიციული ქსელები. გამოკითხვათა უმრავლესობაში ქართველები ხაზს უსვამენ თავიანთ ეროვნულებას პირადი კავშირებისადმი, თუმცაღა, გაცნობიერებული დემოკრატიული ღირებულებებისადმიც გამოხატავენ ლოიალურობას. 2009 წლის გამოკითხვაში, რესპონდენტთა 70%-ზე მეტმა უპირატესობა მიანიჭა ისეთ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც უზრუნვე-

ლყოფდა თავისუფლებას, თანასწორ პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.⁸³ ისტორიულად ქართველების მიერ ევროპასთან იდენტიფიცირება დემოკრატიათა ბოლომდე გაცნობიერებულს არა, მაგრამ სასურველ სიკეთედ ქმნის.

პრეზიდენტი სააკაშვილი, თავისი ამომრჩევლების მსგავსად, წესრიგსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და დემოკრატიულ უფლებებსაც. განათლებული, პროდასავლელი და დისციპლინის მომხრე კაცი, თავს კომფორტულად იგრძნობდა აშშ-ს ჩაის პარტიის წრეებში. სამხედრო-მილიტარისტული ღირებულებებისა და მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის მხარდაჭერასთან ერთად, ის სამოქალაქო ინტეგრაციისა და დეცენტრალიზაციის პროგრამების ადვოკატირებასაც ეწევა, თანაც უფრო ლიბერალური პროგრამების, ვიდრე ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო ახორციელებს ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში. სააკაშვილი რელიგიური შემწყნარებლობისკენ მოუწოდებს მოქალაქეებს, მაგრამ არ აკრიტიკებს ეკლესიას, რომელიც რელიგიურ განხეთქილებებს უწყობს ხელს. ეს პარადოქსები ასახავს იმ ღირებულებებს, რაც საერთო აქვს მატერიალისტურ და პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებს შორის მოქცეულ უამრავ ქართველს. სააკაშვილი, თავისი თანამემამულეების მსგავსად, მოდერნიზმსა და ტრადიციას შორის მოძრაობს, ევროპული ყაიდის ინსტიტუციურ მშენებლობასაც უწყობს ხელს და ამასთან, მხოლოდ ერთგულებაზე დაფუძნებულ ქსელებს ეყრდნობა ჯიუტად, სწორედ იმ ქსელებს, რომლებიც ძირს უთხრიან ინსტიტუციურ ეფექტიურობას. ის დემოკრატია ბუნებით და არალიბერალი.

დასკვნა

ქართული საზოგადოება მეტამორფოზას განიცდის. ტრადიციულისა და ახლის ნარევი არაერთგვაროვანია; დემოკრატიათა ღირებულებები, მაგალითად, კანონის წინაშე თანასწორობა და მანიფესტაციის უფლება, გვერდიგვერდ არსებობს არატოლერანტულ განწყობებთან მარგინალური ჯგუფებისადმი, მაგალითად ჰომოსექსუალებისადმი თუ რელიგიური უმცირესობებისადმი. ინსტიტუციური და საზოგადოებრივი პოლიტიკის განვითარების მხრივ, მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ როგორც ამ ნიგნის დანარჩენი თავებიდან შევიტყობთ, პროცესი მძიმედ მიმდინარეობს და მრავალეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ბევრი ფსიქოლოგიური და კულტურული დაბრკოლებაა, ისევე როგორც ფინანსური თუ ინსტიტუციური. სამი ფაქტორი – დაძაბულობა („თავსებადობის“ პრობლემა) ტრადიციულ ღირებულებებსა და თანამედროვე ინსტიტუტების მოქმედ ნორმებს შორის, ადამიანებს შორის ერთმანეთისადმი დაბალი ნდობა (2008 წელს გამოკითხულ ქართველთა მხოლოდ 18% მიიჩნევდა თავის თანამე-

მამულეებს სანდოდ) და მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი კულტურული ნაციონალიზმი, გადაეღობა ინკლუზიური ნაციონალური საზოგადოებისა და ლეგიტიმური სახელმწიფოს შექმნას.⁸⁴ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება, თავისი მაღალპროფესიული ბიუროკრატით, გავლენიანი საჯარო ინსტიტუტებით, ქმედითი პარტიებით, პასუხისმგებელი კანონმდებლებით და მოქალაქეობრიობის შეგრძნებით ჯერჯერობით ისევ მისწრაფებად რჩება ქართველებისთვის.

თავი მეორე

რევოლუციის წინაპირობები

ღონლეულების მანძილზე საბჭოთა კავშირი მის მიერ კოლონიზებული ქვეყნების ელიტებს კოოპტაციისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობებით იმადლიერებდა. საბჭოთა კავშირი ასიმილაციისა და პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკას ატარებდა და, მიუხედავად სტალინის ადრინდელი სისასტიკისა, გასაოცარ წარმატებას მიაღწია სტაბილური მრავალეროვნული იმპერიის შენარჩუნებაში. საბჭოური ხელისუფლებები უკრაინაში, ყაზახეთში, საქართველოსა და ყველა სხვა რესპუბლიკაში გაერთიანებული იყვნენ სახელმწიფოს მიერ, რომელსაც, იური სლენკინის თქმით, გამოყოფილი ჰქონდა მათთვის ცალ-ცალკე ოთახები ერთ კომუნალურ ბინაში.¹ ურთიერთობას ბინის მესაკუთრესთან მდგმურები ჭკვიანური და მრავალფეროვანი გზებით აყალიბებდნენ. ოთახების „დიზაინი“, „ურთიერთობა მესაკუთრესა და მდგმურს შორის“, მეზობლობის ხასიათი და ადგილობრივი „ბოსების“ ფსიქოლოგია – ამ ყველაფერმა თავისი ნვლილი შეიტანა 1980-იან წლებში წამოწყებულ მზარდ ეროვნულ მოძრაობებს შორის არსებულ ფართო განსხვავებებში. მაგალითად, საქართველოში რუსი ეროვნების მცხოვრებთა მცირე რაოდენობამ და საქართველოსთვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ დადგენილმა ადმინისტრაციულმა მოდელმა – რომელიც მოიცავდა ორ ავტონომიურ რესპუბლიკას და ერთ ავტონომიურ ოლქს – გადამწყვეტი გავლენა იქონია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს რევოლუციის კურსზე.

1991 წელს, 1918 წლის მსგავსად, ქართველებს თავს მოახვიეს დამოუკიდებლობა, რომელსაც ისინი არ ელოდნენ. ეს დამოუკიდებლობა მათ მოსკოვის წინააღმდეგ ხანგრძლივი ეროვნული ბრძოლით კი არ მოუპოვებიათ, არამედ ცენტრალურ დონეზე ძალაუფლების დაშლის შედეგად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მეოცე საუკუნის მინურული საქართველოში ვერ შეედრებოდა „სოლიდარობის“ ან ლიტვის მძლავრ იატაკქვეშა ქსელს. ქართული ნაციონალიზმი არასდროს წარმოადგენდა მასობრივ პოლიტიკურ მოძრაობას და მას არ შეუქმნია იატაკქვეშა ორგანიზაციები, რომლებიც მოგვიანებით გაჩნდა სახალხო ფრონტების ან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახით. სახალხო

ფრონტები არსებით როლს ასრულებდნენ იმ გარდაქმნებისთვის, რომლებიც არაძალადობრივი გზით, მოლაპარაკებით განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. საქართველოში კი სახალხო ფრონტი დაგვიანებული გამოდგა და მას არასოდეს მიუღია ლეგიტიმურობა როგორც ეროვნულ ორგანიზაციას. საქართველოს ეროვნული მოძრაობა „პერესტროიკამდე“ კონცენტრირებული იყო „კულტურის“ საკითხებზე – ეს იყო ენა, ისტორიის განმარტება, ქართული ხელოვნების ძეგლების დაცვა, და ამ მოძრაობას სათავეში საზოგადო მოღვაწეები – ინტელექტუალები ედგნენ. საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი საპროტესტო აქციები ომის შემდგომ საბჭოთა პერიოდში მიმართული იყო სტალინის კულტის დასაცავად (1956 წელს) (სტალინი დაიბადა საქართველოს პატარა ქალაქ გორში) და ქართული ენის დასაცავად (1978 წელს).² ისტორიკოსების, დრამატურგების, რეჟისორებისა და ფილოსოფოსების თვითმარქვია როლმა და უმრავლესობის უფლებებისა და ეთნიკური პრივილეგიების გაუზარებელმა ინტერპრეტაციამ 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში „მორალის პოლიტიკის“ პერიოდი მოიტანა. ემოციამ, დრამამ და თეატრალურმა სიმბოლიზმმა გამოდევნა პრაგმატიზმი, დიალოგი და თანამშრომლობა.

საბჭოური მოდერნიზაციის სამოცდაათმა წელიწადმა, მათ შორის, საყოველთაო განათლებამ, წერა-კითხვის ცოდნამ და ეკონომიკურმა განვითარებამ ნიღაბი ააფარა სუსტ ქართულ ეროვნულ საზოგადოებას. საქართველოს ერთიანობის – რომელიც დასავლელ პოლიტიკოსებს შთააგონებდა, საბჭოთა ტოტალიტარიზმში ბზარები ეძებნათ – ზედაპირის ქვემოქვეულიყო სოციალურად დაყოფილი და ეთნიკურად დანაწევრებული საზოგადოება. ქართული საზოგადოება, რომელშიც დომინირებდა ზედმეტად განებივრებული ქართული კულტურული ელიტა, რომელიც შეუჩვეველი იყო პასუხისმგებლობას და ძალაუფლების განხორციელებას, გოგოლის ცნობილი „ტროიკის“ მსგავსად გაქანდა დამოუკიდებლობისაკენ. მასობრივი ორგანიზებული ეროვნული მოძრაობის არარსებობამ და ძლევამოსილ მფარველებსა და პერსონალიებზე ტრადიციულმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ინტელექტუალებისა და ახალგაზრდა აქტივისტების, რევოლუციის „მეოხების“ არამდგრადი ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელიც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა საზოგადოებრივ აზრს თუ კოალიციების შექმნის აუცილებლობას. ეს იყო რისხვის და ძალაუფლებისკენ ლტოლვის, მაგრამ მოსახლეობას და მის პრობლემებს მონყვეტილი პოლიტიკა. ქართული აქტივისტებისთვის დამოუკიდებლობა, თელი ჯაფარიძის თქმით, „სულიერი მდგომარეობა“ იყო.³ დამოუკიდებლობაზე ოცნებასთან ერთად ეროვნული მოძრაობის ზმანებებმა თავზარი დასცა მათ, ვინც შორს იდგა ეროვნული მოძრაობისაგან ან სკეპტიკურად იყო განწყობილი მის მიმართ. ქართველების ახალი ფილოსოფია უმრავლესობის უფლებებთან

დაკავშირებით უაღრესად დაუპირისპირდა უმცირესობათა თემების მოთხოვნებს, რაც ჩანასახშივე ძირს უთხრიდა ქართულ დემოკრატias.

საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ რამდენიმე ეტაპი განვლო. იგი 1980-იან წლებში დაიწყო, ირლანდიური და ამერიკული რევოლუციების მსგავსად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ზომიერი „საკონსტიტუციო“ მოძრაობის ფორმით. მას სათავეში ჩაუდგნენ ყოფილი კოლონიური ელიტარული წრეების წარმომადგენლები და მათი შთამომავლები – საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წევრები და მათდამი სიმპათიით განწყობილი ადამიანები. ისინი შეზღუდული მიზნებით გამოირჩეოდნენ და ტაქტიკურ საკითხებში წარმოქმნილი უთანხმოებები მწვავე დაპირისპირებას იწვევდა უფრო რადიკალურად განწყობილ წარმომადგენლებთან. რევოლუცია გადაიზარდა ძალადობაში, საკუთარ თავთან დაპირისპირებაში.⁴ მას შემდეგ, რაც რევოლუციამ ქუჩებში გადაინაცვლა, თავი იჩინა ქართულ საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში არსებულმა დაფარულმა სოციალურმა და კულტურულმა უთანხმოებებმა, რამაც დაამსხვრია ტოლერანტულ და დემოკრატიულ რესპუბლიკაზე გადასვლის მოლოდინი. 1991 წლის აგვისტოს წინა პერიოდში მოწოდებებმა დამოუკიდებლობისაკენ ჩაახშო ყველა სხვა მოწოდება, თუმცა საქართველოს რევოლუცია იმაზე მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ „ეროვნული“. ზედაპირის ქვეშ დულდა სოციალური უთანხმოებები, ასევე რეგიონული უთანხმოებები და უკმაყოფილება პრივილეგიებულ მდგომარეობაში მყოფთა მიმართ. საქართველოში კლასობრივი პოლიტიკა, ახლადგათავისუფლებული საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობის მსგავსად, თითქმის შეუმჩნეველი იყო რევოლუციის წინა პერიოდში, მაგრამ ეროვნული ბრძოლის მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო მინასთან და ხელფასების ზრდასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ხალხის გაღიზიანება პოლიტიკური მესვეურების, მაფიოზური ჯგუფებისა და კორუმპირებული პოლიტიკოსების მიმართ.

რევოლუციის წინა პერიოდი

საბჭოთა ხელისუფლების ბოლო ათწლეულებში საქართველოს „ადამიანური კაპიტალის“ (როგორც პუტინამი უწოდებს) მნიშვნელოვანი ოდენობა ჰქონდა. 1987-1988 წლებში რესპუბლიკის ყოველი 1000 მცხოვრებიდან 16.3, 19-დან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო ყოველი 1000 მცხოვრებიდან 159-ს ჰქონდა უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება. დედაქალაქში – თბილისში – 24.9 პროცენტს – მოსახლეობის ერთ მეოთხედს – ჰქონდა უმაღლესი განათლება. 1970-1989 წლებში მეცნიერთა და მკვლევართა რაოდენობა 50 პროცენტით გაიზარდა. განათლების სისტემაში შედიოდა 131 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელთა

უმრავლესობა წარმოადგენდა პრესტიჟული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნაწილს. 1970-1989 წლებში ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა 47.8 პროცენტიდან 55.8 პროცენტამდე გაიზარდა. ამ რიცხვში თბილისის მოსახლეობა მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 48 პროცენტს შეადგენდა. მაღალი იყო ახალგაზრდების პროცენტი – 1989 წელს თითქმის ერთ მესამედს შეადგენდნენ 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. დასაქმებული მოსახლეობის ერთი მეოთხედი დაწესებულებებში მუშაობდა.⁵ ეს შთამბეჭდავი რიცხვებია, რომლებიც ახასიათებს დინამიკურად განვითარებად საზოგადოებას. თუმცა მოსახლეობაში ქალაქის, განათლებული და ახალგაზრდა მოსახლეობის სიჭარბე პრობლემა იყო. საქართველოში, ისევე, როგორც სსრკ-ის ნებისმიერ ადგილას, ეკონომიკა დაღმასვლას განიცდიდა და კარგი სამუშაოს პოვნა ძნელი იყო. აღინიშნებოდა არქიტექტორების, ინჟინრების, მუსიკოსებისა და მხატვრების სიჭარბე, სახეზე იყო სულ უფრო მწვავე სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირის ნიშნები, მათ შორის, ყველაფრის დეფიციტი, საკვებ პროდუქტებზე ნორმების დანესება, ცინიკური დამოკიდებულება ოფიციალური იდეოლოგიისადმი, ეკლესიის მიმართ ინტერესის აღდგენა და სისხლის სამართლის დანაშაულებისა და ნარკოტიკების მოხმარების ზრდა, რამაც ააჭრელა ქართული გაზეთები და სატელევიზიო ეკრანები. არაფერი არ იყო წესრიგში.

ეკონომიკური ზრდისა და მოხმარების შემცირებასთან ერთად, ასი-მილაციისა და შეზღუდული თვითმმართველობის საბჭოურმა იმპერიულმა მოდელმა დაკარგა თავისი მიმზიდველობა. საბჭოთა კავშირმა დაიწყო ჩამორჩენა დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკისა და სამხედრო სფეროებში კონკურენციაში. ხდებოდა მოსკოვის გადაწყვეტილებების საბოტაჟი ადგილობრივი ელიტების მხრიდან. ამ ტენდენციის შესაჩერებლად 1972 წელს ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად დაინიშნა. საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილ ნაშრომში კეროლან ჰამფრი აღწერს 1980-1990-იან წლებში მის მიერ „სუბურენიტეტებად“ წოდებული ინსტიტუციური ქსელებისა და ნახევრად ოფიციალური სისტემების დამლუპველ ზრდას, რამაც ძირი გამოუთხარა ცენტრის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას.⁶ საქართველოში ადგილობრივი უმაღლესი წრეების წარმომადგენლები საკუთარ ინტერესებს ატარებდნენ ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტებით, როგორებიც არის უმაღლესი სასწავლებლები, ფაბრიკა-ქარხნები და კოოპერატივები, საქონლის გადამისამართების, ნათესავ-მეგობრების სამსახურში აყვანისა და ყალბი დიპლომების გაცემით.⁷ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ქართველი „კულტურული მოხელეები“ – კინოფილმებში, ლიტერატურასა და თეატრში – იყენებდნენ შეფარულ გზავნილს, მეტაფორას ან სხვა ეზოპესეულ სტრატეგიულ ხერხებს საბჭოური წყობისთვის ძირის გამოსათხრელად.⁸ უფრო დაუფარავ წინააღმდეგობას გამოხატავდნენ დისიდენტები, მაგალითად, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, რომელიც 1975 წელს, ჰელსინკის შეთანხმების ხელმოწერის

შემდეგ შეიქმნა, ასევე სტუდენტური მოძრაობა, რომელმაც 1978 წელს გაილაშქრა ქართული ენის დასაცავად, როდესაც მას დაემუქრა სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევის საფრთხე, და მცირე რაოდენობის იატაკქვეშა აქტივისტები, რომლებმაც 1983 წელს ლიად გააპროტესტეს რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლის იუბილე. მოსკოვი ცდილობდა კონტროლის შენარჩუნებას ცენზურის, ადამიანების დაპატიმრებისა და არალოიალური ელემენტებისგან წმენდის პოლიტიკის განხორციელებით, მაგრამ მისი არჩევანი შეზღუდული იყო, რადგან პოლიტიკური ნება დღითიდღე სუსტდებოდა და მმართველ წრეებში სულ უფრო იჩენდა თავს კორუფცია. გორბაჩოვი შეეცადა, განემტკიცებინა საბჭოური კონტროლი ეკონომიკის რესტრუქტურისა და კომუნისტური პარტიის რეორგანიზაციისა და საერთაშორისო გარემოს ტრანსფორმირების გზით.

როგორც აღმოჩნდა, გორბაჩოვის რეფორმებმა ძირი გამოუთხარა მთლიან პოლიტიკურ სტრუქტურას, მათ შორის, მის იმპერიულ საყრდენებს. რესპუბლიკებში „პერესტროიკამ“ ბიძგი მისცა ორმაგ პროტესტს – პროტესტს კომუნიზმის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით და პროტესტს მოსკოვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა რესპუბლიკებში მომხდარი გარდატეხის რევოლუციების ტემპი, მიმართულება და პრობლემები ძალზე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. საქართველოში რევოლუციური მოძრაობის პირველ ეტაპზე – 1980-იანი წლების შუა პერიოდში – დომინირებდა ბრძოლა ნაციონალიზმის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციას შორის; ეს იყო კომპარტიის „ოფიციალური ნაციონალიზმი“, რომელსაც მმართველი წრეები უჭერდნენ მხარს, და ქუჩის პოპულისტური ნაციონალიზმი. ამ კონფლიქტში გარდატეხის წერტილად იქცა 1989 წლის 9 აპრილი, როდესაც ქართველი დემონსტრანტების სასტიკმა დარბევამ საბოლოოდ მოუღო ბოლო კომუნისტური პარტიისადმი ნდობას და გააძლიერა დამოუკიდებლობისკენ მოწოდებები. ეს იყო დასასრული, ჰანტინგტონის თქმით, დემოკრატიისკენ გადანაცვლება „ტრანსფორმაციის“ გზით, როდესაც მმართველი ელიტა ხელმძღვანელობს დემოკრატიზაციის პროცესს და ოპოზიცია შესუსტებულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს ძირითადი რეფორმების გასატარებლად. საბოლოო ეტაპია „ჩანაცვლება“, როდესაც ხელისუფლებას აღარ შეუძლია მართვა და ოპოზიცია ხელში იღებს მართვის სადავეებს.⁹

1989 წლის აპრილის შემდეგ ოპოზიციის მოთხოვნები ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან, თვითმმართველობასა და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით შეიცვალა პოლიტიკური დამოუკიდებლობის, საბჭოთა ჯარების გაყვანისა და თავისუფალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნებით. დებატების წარმართვის პირველობამ გადაინაცვლა ახალ პარტიებთან, რომლებიც ჩამოაყალიბეს ყოფილმა დისიდენტებმა მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ, ზურაბ ჭავჭავაძემ და გია ჭანტურიამ;

სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა ხელისუფლებაზე შეტევას. 9 აპრილის შემდეგ პარტიის ძალაუფლების შესუსტებით დაიმედებული ქართველები უერთდებოდნენ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარე დემონსტრაციებს, ხელს აწერდნენ უამრავ პეტიციას, აქტივისტები კი ხშირად შიმშილობდნენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ქუჩა კარნავალს დაემსგავსა: ყოველ ნაბიჯზე დაინახავდით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) შინდისფერ დროშებს, შავ ანაფორიან მღვდლებს, მთავრობის სახლის (რუსთაველის გამზირზე მდებარე მინისტრთა საბჭოს შენობის) სვეტებს შორის გაჭიმული იყო ანტისაბჭოური სლოგანები და ტარდებოდა გამოსვლები სახელდახელოდ მონყობილ ტრიბუნებზე, საიდანაც ისმოდა მონოდებები „რეალური“ დემოკრატიისაკენ.¹⁰ მაგრამ ეს იყო მანც დიალოგის და არა განხეთქილების დრო. ოპოზიციასა და საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელებს შორის მრგვალი მაგიდის გარშემო გამართული ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად 1990 წლის ოქტომბერში ჩატარდა არჩევნები, რომელმაც ხელისუფლებაში მოიყვანა ზვიად გამსახურდია და ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“. იმ დროიდან მოყოლებული, ქართულმა რევოლუციურმა საგამ გადაინაცვლა მესამე, „ჩანაცვლების“, ეტაპზე. თუმცა, შექსპირის ტრაგედიის მსგავსად, გამარჯვების ეიფორიის ტალღა გაექანა თავისი ტრაგიკული დასასრულისკენ – მეოთხე, რადიკალური განბილების, რევოლუციის შემდგომი ეტაპისაკენ, რამაც ქვეყნის პირველი სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის განადგურება გამოიწვია.

რევოლუციის სათავეებთან

1985 წლის ივლისში ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც თავის ქვეყანაში ბაზრის შეზღუდული რეფორმის ექსპერიმენტი ჩაატარა (აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტები), გორბაჩოვის ყურადღება მიიქცია და ამ უკანასკნელმა იგი მოსკოვში, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მიიწვია. შევარდნაძე ძალზე არაპოპულარული იყო თავის ქვეყანაში მას შემდეგ, რაც მან 1984 წელს გასცა განკარგულება, დაეხვრიტათ თვითმფრინავის ოთხი ახალგაზრდა ქართველი გამტაცებელი, რომელთა საბჭოთა კავშირიდან გაქცევის მცდელობა მარცხით დამთავრდა. ქართველებს გული არ დასწყვეტიათ შევარდნაძის ნასვლის გამო. საბჭოთა პოლიტიკურს უფრო კონსერვატიულმა წევრებმა ხელი შეუწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ჯუმბერ პატიაშვილის დანიშვნას. ეს იყო გამოცდილი, თუმცა ინიციატივას მოკლებული აპარატის მუშაკი, რომელმაც თავისი მოღვაწეობა გაძლიერებული ანტიკორუფციული კამპანიით დაიწყო. მან გააგრძელა შევარდნაძის ბრძოლა რელიგიის

წინააღმდეგ და თავს ესხმოდა „პარაზიტობას“, „სპეკულანტებს“ და „ანტისოციალურ ელემენტებს“. მოგვიანებით, 1989 წლის თებერვალში, მან დააპატიმრა ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც აპროტესტებდნენ 1921 წელს საქართველოში საბჭოთა შეიარაღებული ჯარების შემოჭრას. პატიაშვილი მაქსიმალურად დიდხანს ეწინააღმდეგებოდა დიპლომატიას ახალ „არაფორმალურ ჯგუფებთან“, რომლებიც საჯაროობის („გლასნოსტის“) გამოცხადებასთან ერთად აღმოცენდნენ. ამავე დროს, საზოგადოების მხრიდან ზენოლის პასუხად, 1988 წელს მან გაატარა ახალი კანონი, რომელიც განამტკიცებდა მოქალაქეთა მიერ მთავრობის კანონპროექტების თავისუფალი განხილვის უფლებებს და მხარი დაუჭირა სახალხო მოძრაობას 1988 წელს გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ, რომლებიც ზღუდავდა საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის საკონსტიტუციო გარანტიას.¹¹ და მინც, შეეარდნაძქესთან შედარებით, რომელმაც უფრო არახელსაყრელ ვითარებაში გააფართოვა პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპერიმენტების საზღვრები და საქართველოს პრესა და კინო გახადა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საბჭოთა კავშირში, პატიაშვილი იყო კონსერვატორი, რომელმაც ვერ შეძლო მოეხდინა სწრაფი ადაპტირება შეცვლილ განწყობებთან.¹²

ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევა, გარდა იმ შიდა ინტრიგებისა, რომლებსაც პატიაშვილს მისი პარტიული მეტოქე სოლიკო ხაბეიშვილი უწყობდა, მას 1987 წლის ზაფხულში დაუდგა. თუ გავითვალისწინებთ ქართველების რომანტიკულ დამოკიდებულებას საკუთარი ქვეყნის ბუნებასთან, გასაკვირი არ იყო, რომ დამნაშავეები გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი ადამიანები იყვნენ. რომანტიკულობა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მრავალწლიანი ტრადიცია იყო საქართველოში.¹³ 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველი დისიდენტები ლაპარაკობდნენ ეროვნული ძეგლებისთვის შექმნილი საფრთხეების შესახებ. ამის მაგალითები იყო თბილისში მე-13 საუკუნის მეტიხის ეკლესიის გარდაქმნა ახალგაზრდულ თეატრად ან გამსახურდიას ხმამაღალი კამპანია საბჭოთა არმიის პოლიგონის გაუქმების შესახებ მე-6 საუკუნის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად.¹⁴ მაგრამ ყველაზე მეტად ქართველი აქტივისტები სამოქმედოდ გამოიწვია „საუკუნის მშენებლობად“ მონათლულმა კავკასიის სამთო რკინიგზამ, რომელიც საბჭოთა პოლიტიკურად თავიდან 1984 წლის მაისში დაამტკიცა. რკინიგზა ყველაზე პირდაპირი გზით დააკავშირებდა მოსკოვსა და საქართველოს, ვინაიდან მას უნდა გადაეკვეთა დიდი კავკასიონის ქედი 11 გვირაბით, 15 დერეფნით და 85 ხიდით. ისევე, როგორც ციმბირის მდინარეების კალაპოტის შეცვლის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა შუა აზიის ბამბის მინდვრების ირიგაციას, ეს იყო საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული ბოლო პროექტი. ექვსთვიანმა კამპანიამ, რომელსაც აწარმოებდნენ ქართველი ინტელექტუალები – მათ

შორის იყვნენ ისტორიული, კულტურული და ბუნების ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაცია (რომელიც მოგვიანებით მწვანეთა მოძრაობაში გადაიზარდა) ანდა პირველი არაოფიციალური გარემოსდაცვითი ჯგუფი – კავკასიის კლუბი, აიძულა საქართველოს კომპარტია, გადაედო ეს მშენებლობა. პატიაშვილმა თავისი ოპონენტები „ხალხის მტრებად“ მონათლა.¹⁵ რკინიგზა, რომელიც გამიზნული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განსავითარებლად და რუსეთის სამხედრო ძალებისთვის რეგიონში შეღწევის გასაიოლებლად, ქართული ოპოზიციის განცხადებით, გამოუსწორებელ ზიანს მოუტანდა მთის გარემოს, დააჩქარებდა მთებში მცხოვრები თემების დეპოპულაციას და დაბინძურებდა თბილისის წყალმომარაგებას. არაოფიციალურად ისმოდა შეშფოთება იმის გამო, რომ რკინიგზა ხელს შეუწყობდა რუსეთიდან საქართველოში მუშახელის მიგრაციის ზრდას.¹⁶

კამპანიის წარმატების შემდეგ გარემოსდაცვითი მოძრაობები მოყოლდნენ. კრიტიკის საგანი გახდა სვანეთში ხუდონის ჰიდროელექტროსადგურისა და არაგვის ხეობაში გაზსადენის მშენებლობა, ტყის ჩეხვა. საქართველოს მწვანეთა პარტია, რომელსაც სათავეში ედგა ახალგაზრდა ბიოლოგი – მომავალი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია – ოფიციალურად 1989 წლის მაისში ჩამოყალიბდა, ხოლო დედამიწის დღე პირველად 1990 წლის 22 აპრილს აღინიშნა. ქართველებისთვის ჰესების კაშხლების, პოლიგონებისა და წყალმომარაგების დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული გარემოსდაცვითი კამპანიები ისევე იყო დაკავშირებული ისტორიასთან, დემოგრაფიულ ხელშეუხებლობასა და „უცხო“ ჯარების მათ ტერიტორიაზე ყოფნასთან, როგორც სუფთა ჰაერთან ან ხელუხლებელ ტყეებთან. 1989 წლის დეკემბერში ჩატარებული საქართველოს მწვანეთა პარტიის პირველი კონგრესის ლოგიკური დასკვნით გარემოს გაუმჯობესების ერთადერთი შანსი დაკავშირებული იყო საქართველოს ჭეშმარიტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუვერენიტეტთან.¹⁷

კავკასიის სამთო რკინიგზის პროექტის წარუმატებლობა იყო კარიბჭეში გაჩენილი ბზარი, რომელშიც ენერჯიულად შემოიჭრნენ ქართველი ნაციონალები. 1988 წლის შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ნახევრად ოფიციალური პრესკლუბი „დამოუკიდებელი“ სტუდენტური ხმის გასაჟღერებლად, ხოლო ოქტომბერში შვიდმა ყოფილმა პოლიტპატიმარმა, მათ შორის ზურაბ ჭავჭავაძემ და მერაბ კოსტავამ, რომელიც 1987 წლის აპრილში დაბრუნდა ბანაკსა და გადასახლებაში ათწლიანი ცხოვრების შემდეგ – ჩამოაყალიბეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ – „არაოფიციალური“ ორგანიზაცია და პირველი სამართლებრივი გამონწვევა კომუნისტური პარტიის პოლიტიკური მონოპოლიისათვის.¹⁸ 1988 წელს ჩატარდა ოცდათვრამეტი მიტინგი და დემონსტრაცია, მათგან მხოლოდ ოთხი იყო ოფიციალურად დაშვებული.¹⁹ მოსკოვისადმი როგორც სომხეთის,

ასევე აზერბაიჯანის კომპარტიების დაუმორჩილებლობა (რამაც გამოიწვია 1988 წელს მთიან ყარაბაღში ტრაგიკული ომის გაჩაღება), საპროტესტო გამოსვლები აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შთამბეჭდავი მე-19 ყრილობა 1988 წლის ივნისში – ფსიქოლოგიური თრილერი, რომელმაც დაადასტურა რეალური პოლიტიკის შესაძლებლობა – საქართველოში მიმდინარე მასობრივ მიტინგებს განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებდა. დამოუკიდებლობის დღის (26 მაისი) აღნიშვნა ან წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის (1921 წლის 25 თებერვალი) აღსანიშნავად გამართული იმიტირებული დაკრძალვის ცერემონიალები საბჭოთა მოქალაქეებს ემბრიონულ საქართველოს მოქალაქეებად გარდაქმნიდნენ. მთავარი ქალაქები შეუერთდნენ პროცესს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაიწყო შემაშფოთებელი ანგარიშების შემოდინება მარაგების კრიზისისა და დაბნეულობის შესახებ პარტიის ადგილობრივ და რეგიონულ ორგანიზაციებში, რომლებსაც აღარ შესწევდათ უნარი, გაეკონტროლებინათ მათი მონოპოლიის წინააღმდეგ ამალგებული ხმების კაკოფონია. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის იანვრის სხდომაზე დელეგატმა ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ლენტეხის რაიონში „ნელ-ნელა იშლება ახალი ეკონომიკური მეთოდები და ფორმები.“²⁰

უფრო მეტად შემაშფოთებელი ის ფაქტი იყო, რომ 1988 წლის მაისში სტუდენტებმა გააპროტესტეს აზერბაიჯანელების მიერ მიწის „უკანონო“ შექმნა თელავისა და გარდაბნის რაიონებში; იყო საზოგადოებრივი კონფლიქტები სომხეთთან ეროვნულ ძეგლთა იდენტიურობასთან დაკავშირებით, ხოლო 1988 წლის ოქტომბერში „არაფორმალების“ მიერ ორგანიზებულ იქნა მასობრივი მიტინგი სოფლის აზერბაიჯანელი მკვიდრის მიერ ქართველი გოგონას სავარაუდო გაუპატიურების გასაპროტესტებლად. ყოფილი ადამიანის უფლებათა დამცველების მეურვეობის ქვეშ მყოფი ქართული ნაციონალიზმი წინა პლანზე წევდა ისეთ თემებს, როგორებიცაა ადამიანების დევნა და დემოგრაფიული დაღმასვლა. საქართველოს კომუნისტური პარტია ცდილობდა სიტუაციის დაშოშმინებას. 1988 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვა შეზღუდული საზოგადოებრივი დემონსტრაციები; სექტემბერში თბილისის საქალაქო საბჭომ დაუშვა საზოგადოებრივი მიტინგები იპოდრომის ტერიტორიაზე, ხოლო 19 ნოემბერს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ უარყო გორბაჩოვის შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები. იმავე თვეში პარტიამ ნებართვა გასცა რუსთაველის საზოგადოების – ზომიერი, მავანთა აზრით კი, კონფორმისტული – ინტელექტუალთა ორგანიზაციის შექმნაზე, რომელიც „არაფორმალების“ გავლენის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა.²¹ მაგრამ პარტიამ ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა პატრიოტი პოეტის მუხრან მაჭავარიანის არჩევა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე.²²

პარტიამ პატრიოტული თემატიკის მოშველიება სცადა. 1988 წლის ნოემბერში მან გამოაქვეყნა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“, რომელმაც დასახა სახელმწიფო და კულტურულ დაწესებულებათა გაქართულების განრიგი.²³ 1989 წლის იანვარში პარტიულმა ხელმძღვანელობამ შექმნა 1930-იან და 1940-იან წლებში რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციის კომისია, ხოლო 1989 წლის თებერვალში გამოაქვეყნა კიდევ ორი პროგრამა, რომლებიც ეხებოდა ისტორიული ძეგლების დაცვას და საქართველოს ისტორიის მხარდაჭერას.²⁴ პარტიული პრესა განიხილავდა მანამდე ტაბუდადებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოში შემოჭრა, ანტიბოლშევიკური ნაციონალისტური აჯანყება საქართველოში 1924 წელს, 1960-იანი წლების კორუფცია და პროსტიტუციის, სისხლის სამართლის დანაშაულის და ნარკომანიის პრობლემები. ამგვარმა ტაქტიკურმა სვლამ ხელი შეუწყო თბილისელების დაყოფას დამატებითი სარგებლით დაკმაყოფილებულ ზომიერ ინტელექტუალებად და რადიკალურ დისიდენტებად, რომლებიც ქუჩებში უკმაყოფილო ადამიანებს აგროვებდნენ. საბოლოოდ, პარტიამ უფრო ზომიერ ჯგუფებზეც კი დაკარგა კონტროლი. რუსთაველის საზოგადოებამ, რომელიც თვით პარტიის ქმნილება იყო, თავმჯდომარედ აირჩია აკაკი ბაქრაძე – საბჭოთა რეჟიმის დიდი ხნის კრიტიკოსი, რომელმაც შეცვალა პარტიის მორჩილი პოეტი ირაკლი აბაშიძე. ბაქრაძე ხალხს მოუწოდებდა დამოუკიდებლობისაკენ, პლურალიზმისაკენ, მიწაზე კერძო საკუთრებისა და დამოუკიდებელი პარტიების ჩამოყალიბებისაკენ.²⁵ პოლიციის მიერ საზოგადოებრივი მითინგების უგუხურმა დაშლამ და 1989 წლის მარტის სახალხო დემოკრატიული ყრილობის არჩევნებზე დაშვებულმა გაყალბებამ პარტიის დისკრედიტაცია მოახდინა. რაიონების სამოც პროცენტში – პატიაშვილის რაიონის ჩათვლით – წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი კანდიდატი, რასაც შედეგად მოჰყვა სამოცდაერთი პარტიული კანდიდატი ათ არაპარტიულ კანდიდატზე. რაიონებში, ჩვეულებისამებრ, იკვებნდნენ, რომ გამოცხადდა ამომრჩევლების 99.5%. შეზღუდული კონკურენციის მიუხედავად, არჩევნებმა ცხადყო, რომ პარტია-სახელმწიფო კვლავ ინარჩუნებდა კონტროლს.²⁶ თუმცა ერთი თვის თავზე პარტიის გამარჯვებას მოჰყვა ტრაგედია, რომელმაც სამუდამოდ დაასრულა კომუნიზმი საქართველოში.

9 აპრილი

9 აპრილს, გამთენიის 4 საათზე საბჭოთა და ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი შეიცვალა. განყდა ის სუსტი ძაფი, რომელიც აკავშირებდა საქართველოს ინტელექტუალურ ელიტას „პერესტროიკასთან“, ხოლო საქართველოს – რუსეთთან. ეს იყო საზარელი შეხსენება „პერესტროი-

კის" ყველა აქტივისტისა და მხარდამჭერისათვის, რომ საბჭოთა კავშირი პოლიციური სახელმწიფო იყო. გორბაჩოვის რევოლუცია სისხლით იყო გაჟღერებული და ეს მისთვის ისეთი მორალური ლაქა გამოდგა, რომელიც ვერასოდეს ჩამოირეცხა. იმ დილით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიმართა რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის წინ შეკრებილ ათასობით ალელვებულ ახალგაზრდა მომიტინგეს, რომლებსაც ხელში სანთლები ეკავათ. პატრიარქმა გააფრთხილა ისინი მოსალოდნელი ძალადობის შესახებ და შეევედრა, დაშლილიყვნენ. მომიტინგეებმა, რომელთა გარშემო ფრიალებდა დროშები ილია ჭავჭავაძისა და საქართველოს მფარველი წმინდანის – წმინდა გიორგის გამოსახულებებით, ხოლო უკანა პლანზე, ნეოკლასიკური სტალინისტური სტილის სვეტებზე, გაკრული იყო ლოზუნგები საბჭოთა ოკუპაციის დასრულებისაკენ მონოდებებით, ერთხმად უარი განაცხადეს. რამდენიმე წუთში, მას შემდეგ, რაც ბოლო გამომსვლელმა გამოაცხადა, რომ „ეს არის ახალი ეპოქის დასაწყისი" და „ჩვენი ქვეყნის ისტორიის უდიდესი მომენტი", დემონსტრანტების სიმღერა გადაფარა ჯავშანტრანსპორტიორების გრუხუნმა ლენინის მოედნიდან და ძერჟინსკის ქუჩიდან.²⁷ რუსთაველის გამზირი გადაიკეტა საჯარისო ერთეულებისა და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების დანაყოფების მიერ (კერძოდ, სასწრაფოდ განათავსეს ძერჟინსკის დევიზია გენერალ ლებედის მეთაურობით). ბარიკადები ტანკების მუხლუხებმა გასრისა, ხოლო ტრანშეების ამოსათხრელი გაღესილი ნიჩბებით, ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზის შემცველი ბალონებით შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა დემონსტრანტების რიგებში შეაღწიეს და მჭიდრო წრე შემოხაზეს ახალგაზრდა მოშიშმილევების გარშემო. საბჭოთა ჯარისკაცების ოპერაციის შედეგად გარდაიცვალა 19 ადამიანი, მათ შორის, 16 ქალი და დაშავდა 427 ადამიანი.

9 აპრილი იყო წყალგამყოფი ქართულ რევოლუციურ მოძრაობაში, ისეთივე სიმბოლო, როგორც სისხლიანი ორშაბათი 1956 წელს უნგრეთში, მოძალადე იმპერიასა და ეროვნულ მონამეებს შორის შერკინებისა. ტრაგედია დაიწყო მას შემდეგ, რაც 1989 წლის 18 მარტს ოცდაათი ათასი აფხაზი (აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობის ერთი მესამედი) შეიკრიბა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნიში აფხაზეთისთვის საკავშირო რესპუბლიკის სტატუსის დაბრუნების (ანუ საქართველოდან გამოყოფის) მოთხოვნით. „ლიხნის მიმართვის" გამოქვეყნებამ და ქართულ-აფხაზურმა რამდენიმე შეხლა-შემოხლამ გამოიწვია მწვავე რეაქცია საქართველოში, მათ შორის, აფხაზი პარტიული ლიდერების რეპრესიები.²⁸ 4 აპრილს საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე სტუდენტებმა დაიკავეს მთავრობის სახლის ფართო კიბე, მოამზადეს საძინებელი ტომრები და შიმშილობა გამოაცხადეს. დემონსტრაციას შეუერთდნენ რადიკალური ლიდერები ზვიად გამსახურდია და გია ჭანტურია, რომლებმაც აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის,

აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებისა და საქართველოში ნატოს ჯარების შემოყვანის მოთხოვნად აქციეს. აფხაზეთის საკითხმა უკანა პლანზე გადაინია, ქართველები დიდ ნაკადებად ჩამოდოდნენ რეგიონებიდან და მიტინგებმა მთელი დედაქალაქი მოიცვა. ზოგ შემთხვევებში მიტინგებს უერთდებოდნენ არაქართველები, მაგალითად, ადგილობრივი სომხები. ქართველი აქტივისტები, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები, მოუწოდებდნენ ქართულ-აფხაზური სოლიდარობისაკენ და აცხადებდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა ეთნიკური შუღლის ნაპერწკლებს აღვივებდა, რათა დაესუსტებინა ეროვნული მოძრაობა.

7 აპრილს პატიაშვილმა მოსკოვში გაგზავნა დეპეშა, რომელშიც ბრალს სდებდა „ექსტრემისტულ ელემენტებს“ „ქაოსის შექმნაში და პარტიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების სახელის შეურაცხყოფაში“ და მოითხოვდა „საგანგებო ღონისძიებების“ გატარებას.²⁹ 8 აპრილს შეიკრიბა პოლიტიბიურო ეგორ ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით. სხდომას არ ესწრებოდნენ 7 აპრილის საღამოს ლონდონიდან ჩამოსული გორბაჩოვი და შევარდნაძე. გორბაჩოვის მტკიცებით, მან არაფერი იცოდა პოლიტიბიუროს გადაწყვეტილების შესახებ, განკარგულება გაცემულიყო გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურისა და კონსტანტინ კოჩეტოვის, სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, სახელზე, ზედამხედველობა გაენიათ მომიტინგეთა დაშლისათვის. ოპერაციის ხელმძღვანელობის სრული უფლებამოსილება როდიონოვს გადაეცა. პატიაშვილმა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, პარტიული აქტივის 8 აპრილს ჩატარებულ სხდომაზე უგულუბელყო მოწოდებები დიალოგისაკენ. ისმოდა დაუინებელი მოთხოვნები ორ მხარეს შორის შეხვედრების ჩატარების თაობაზე, მათ შორის, მოთხოვნები საქართველოს კომპარტიის რიგებიდან, მაგრამ პატიაშვილის გაუბედაობამ, ოპოზიციის სიჯიუტემ, მომიტინგეთა ალტკინებამ და საბჭოთა არმიის სისასტიკემ გამოიწვია ის საშინელი ტრაგედია, რომელიც მოხდა. პატიაშვილმა უარყო მოსკოვიდან ჩამოსული შეთავაზება შევარდნაძისა და გიორგი რაზუმოვსკის (რომელიც იმ ხანად პარტიულ კადრებს განაგებდა) თბილისში ჩასვლის თაობაზე, რასაც შეეძლო სიტუაციის განმუხტვა. 8 აპრილს შედგა საქართველოს თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ როდიონოვი და კოჩეტოვი, თუმცა ამ სხდომის შესახებ არანაირი ჩანაწერი არ არსებობს. ჯარების შეტევაზე გადასვლამდე ნახევარი საათით ადრე შემფოთებულმა პატიაშვილმა დაურეკა როდიონოვს და იგი დაარწმუნეს, რომ მსხვერპლი არ იქნებოდა.

ორგანიზაციამ “The Physicians for Human Rights” (PHR) დაასკვნა, რომ ქლოროპიკრინის ბაზაზე დამზადებული აირის მაღალმა კონცენტრაციამ გამოიწვია მრავალი ლეტალური შედეგი.³⁰ საქართველოს უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიამ განაცხადა, რომ ძალის გამოყენება იყო უკანონო და რომ მასზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ გენერალ იაზოვს – თავდაცვის

მინისტრს, ვიქტორ ჩებრიკოვს – სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის უფროსს, და ეგორ ლიგაჩოვს – სოფლის მეურნეობის მდივანს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ასევე საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელებს. ოპერაცია, კომისიის დასკვნით, იყო „სადამსჯელო“, როდესაც არსებობდა ასევე ალტერნატიული ზომების გატარების შესაძლებლობა. კომისიამ მომხდარ ტრაგედიაში ბრალი ტოტალიტარულ სისტემას დასდო, დაგმო საბჭოეთში არსებული უკანონობა და 9-დან 14 აპრილამდე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა „დე ფაქტო ოკუპაციად“ მონათლა. მან მოითხოვა სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა ოპერაციის „არაპირდაპირი ინიციატორების“ წინააღმდეგ.³¹ გამოძიებებმა – სხვა გამოძიებები მოიცავდა სახალხო დეპუტატთა კრების კომისიას ლენინგრადის წარმომადგენლის ანატოლი სობჩაკის ხელმძღვანელობით და საბჭოთა სამხედრო პროკურატურის ანგარიშს – ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა.³² საერთოდ არ ყოფილა ნახსენები გორბაჩოვის როლი და კვლავ გაუგებარი რჩება, ვინ იცოდა ძალის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ. არავინ მიცემულა პასუხისგებაში. უმოქმედობამ ცენტრის მხრიდან, სახალხო დეპუტატთა კრების მიერ როდინოვის მიმართ გაჟღერებულმა მხარდაჭერამ, ისტორიებმა, რომლებსაც ყვებოდნენ ქართველი ჯარისკაცების მიმართ საბჭოთა არმიის ცუდ მოპყრობაზე და ცენტრალური და საბჭოთა სამხედრო პრესის (განსაკუთრებით, გაზეთების „კრასნაია ზეზდას“ და „ლენინსკოიე ზნამიას“) მიერ საქართველოში მომხდარი ამბების მუდმივმა დამახინჯებამ გამოიწვია მზარდი ანტირუსული განწყობა საქართველოში.³³ ადამიანების მკვლელობამ ყურადღების ცენტრში მოაქცია „არაფორმალური“ და წარმოშვა დამოუკიდებლობის საყოველთაო მოთხოვნა. 9 აპრილამდე, როგორც ყურნალისტი ტარიელ ჭანტურია წერდა:

„ქართველი ხალხი ცხოვრობდა იმ ილუზიით, რომ მან შექმნა ჭეშმარიტი და დამოუკიდებელი, თავისუფალი და სუვერენული რესპუბლიკა... მაგრამ ილუზიები დაიშხვრა. ისევე, როგორც 1956 წელს, როდესაც ტანკებმა ბუდაპეშტის ქუჩებში გადათელა ეგრეთ ნოდებული ხრუშჩოვისეული „დათობა“, საქართველოს დედაქალაქის მრავალტანჯულ ქუჩებში „პერესტროიკას“ ზედ გადაუარეს მკვლელებით სავსე ტანკებმა და ჯავშანტრანსპორტიორებმა.“³⁴

საქართველოს საგამოძიებო კომისიამ ეს მოვლენა დაახასიათა როგორც „ოფიციალური იდეოლოგიის კატასტროფა“.³⁵ ადამიანების სასტიკმა დახოცვამ მასობრივი ისტერია გამოიწვია – გარდაცვლილების ფოტოები გამოფენილი იყო ქუჩებში და მათ ადამიანები დაატარებდნენ პროცესიებში ანთებული სანთლებით ხელში. 4000-ზე მეტმა ადამიანმა, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებმა, მიაკითხეს საავადმყოფოებს საბჭოთა ჯარისკაცების მიერ გამოყენებული მომნამლავი აირებით მოწამვლის ჩვილით.

ორგანიზაციის "The Physicians for Human Rights" თქმით, მათ აღენიშნებოდათ „კატასტროფაზე რეაგირების სინდრომი“ ანუ ჯგუფური ფსიქოლოგიური ტრავმა. რადიოში სამგლოვიარო მუსიკა ჟღერდა, ქარხნებმა შეწყვიტეს მუშაობა, ხოლო 15 აპრილს ჩატარდა მსხვერპლთა მასობრივი დაკრძალვა, რომელიც ტელევიზიით გადაიციემოდა. მთავრობის სახლის კიბის საფეხურები გადაიქცა თაყვანისცემის ადგილად, მათ გასწვრივ იდგნენ შავებში ჩაცმული მტირალი ქალები, ჩამწკრივებული იყო დალუპულთა ფოტოები, რელიგიური სიმბოლოები და ყვავილები. სულ რამდენიმე კვირაში 9 აპრილის ამბები ჩაინერა საქართველოს ისტორიაში ესოდენ მრავლად არსებული ეროვნული კატასტროფების ეპიკურ მითოლოგიაში. იმ ადგილას, სადაც ეს მკვლევლობები მოხდა, აღიმართა დროებითი ძეგლი, რომელზეც ამოტიფრული იქნა ქართველი ერის „მამის“ – ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ენა, მამული, სარწმუნოება“. მსხვერპლთა ახალგაზრდა ასაკი და სქესი ამძაფრებდა მათი მონამეობის განცდას და როდესაც ეროვნული მოძრაობის ლიდერები ხანმოკლე დაკავების შემდეგ ციხიდან გამოვიდნენ, ხალხმა ისინი გმირებად აქცია. ტრაგედია უკვდავყოფილ იქნა მომდევნო წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით.



1989 წლის აპრილი, ტანკების შემოსვლამდე

კომპარტიის აღსასრული

ქართული რევოლუციის შემდეგი ეტაპი 1989 წლის აპრილიდან 1990 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა, როდესაც ზვიად გამსახურდიას ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ გაიმარჯვა უმაღლესი საბჭოს არჩევნებში და ხელში აიღო სახელმწიფოს მართვის სადავეები. ეს იყო ორხელისუფლებიანობის ინტერლუდია, რომელიც წააგავდა 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერს შორის პერიოდს. სულთმობრძავი კომუნისტური მმართველობა მისთვის დამახასიათებელი ყველაზე ლიბერალური რეჟიმით, რომელიც კი უნახავთ ქართველებს, უმეტესწილად რადიკალური ოპოზიციის მიერ კონტროლდებოდა. იგი უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ის, რაც მას გამსახურდიას მმართველობის დროს მოჰყვა და ნაკლებად კორუმპირებული, ვიდრე შევარდნაძის მმართველობის ერა (1992–2003). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გახლდათ რევოლუციური იმედისა და მიღწევების დრო, გათიშულობა, პოლარიზაცია და ძალადობა ოპოზიციურ ძალებს შორის ავის მომასწავებელი ნიშნები იყო. თვრამეტვიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის კულმინაცია არჩევნებში ნაციონალისტური ოპოზიციის გამარჯვება იყო, გასაკვირად წყნარი აღმოჩნდა – მიმდინარეობდა ხანგრძლივი მოლაპარაკება კომუნისტურ ხელისუფლებასთან და მიღწეულ იქნა შეთანხმება თავისუფალი არჩევნების წესებთან დაკავშირებით. ორი წლით ადრე პოლონეთში მრგვალი მაგიდის გარშემო გამართული მოლაპარაკების მსგავსად, გარკვეული შეთანხმება იქნა მიღწეული საბჭოთა აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, რომლებიც ბევრ დათმობაზე წავიდნენ. საქართველოს კომპარტია, რომელმაც ტრანსფორმირება განიცადა და საკუთარი თავი დამოუკიდებლობის დამცველ ეროვნულ პარტიად გარდაქმნა, პირდაპირი არჩევნების შედეგად საბოლოოდ დამარცხდა. ოპოზიციამ ისარგებლა იმით, რომ მოსახლეობა კარგა ხანია განზილებული იყო პარტიული პროპაგანდით, რომელიც გამუდმებულად „პროგრესს“, მატერიალიზმსა და სოციალისტურ ერთობას ქადაგებდა. ოპოზიციის ფეფქტურ ლოზუნგებს შორის იყო მონადეხა შობადობის გაზრდისაკენ, ქალების სახლებში დაბრუნებისაკენ, მონარქიის აღდგომისაკენ, თეოკრატიის შემოღებისა და ტრადიციული ქართული პროდუქციის – ღვინისა და ხილის – ექსპორტის აკრძალვისაკენ. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა მართლმსაჯულება და თავისუფლება, ისმოდა ბრალდებებთან ერთად „მოლალატეების“, „ხალხის მტრების“, „ბანდიტების“ და „კრემლის აგენტების“ მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ „ინტრიგებში“ და „შეთქმულებებში“ ერის წინააღმდეგ.

ამ პერიოდს ახასიათებდა სამი ნიშანი: კომუნისტური პარტიის დაშლა, ახალ პარტიებსა და პერსონალებს შორის ძალადობის ზრდა და შიდაეთნიკური კონფლიქტის პირველი ნიშნები. უკანასკნელი იყო უბედურება,

რომელმაც დაამსხვრია ქართველების ადრინდელი „რომანი“ დემოკრატიასთან. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია აღარ გამოჯანმრთელებულა 9 აპრილის შემდეგ. გივი გუმბარიძემ, რომელიც 1988 წლის მარტში დაინიშნა საქართველოს სუე-ის ხელმძღვანელად, 14 აპრილს შეცვალა კომპარტიის პირველი მდივანი პატიაშვილი.³⁶ 44 წლის გუმბარიძე ცდილობდა, დაეოკებინა სახალხო უკმაყოფილება – იგი ხელს უწყობდა ეროვნული კომპარტიის პოპულარიზაციას და მოუწოდებდა მისი სტრუქტურის, პოლიტიკისა და სტილის ტრანსფორმირებისკენ. მან წამოიწყო მოლაპარაკება ოპოზიციასთან. 1989 წლის აგვისტოში პარტიამ დაიწყო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია, ხოლო 1989 წლის სექტემბერში, დანიშნვიდან ხუთი თვის შემდეგ, გუმბარიძემ წარმოადგინა საქართველოს კომპარტიის პროგრამა, რომელიც მოუწოდებდა სახელმწიფო სუვერენიტეტისა და რესპუბლიკის კანონმდებლობის უზენაესობისაკენ საკავშირო კანონმდებლობასთან მიმართებაში. პროგრამა მთელ ეროვნულ სიმდიდრეს სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდა, ხოლო მიწას და ნედლეულს – რესპუბლიკის საკუთრებად.³⁷ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს – ბოლშევიზმის ისტორიული უარყოფა – მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღად საქართველოს ისტორიაში. პროგრამის მიხედვით, საჭირო იყო ახალი კანონები საქართველოს მოქალაქეობაზე, ქართული ენის დაცვასა და ეროვნული საჯარისო ნაწილების შექმნაზე. იგი მოითხოვდა ძალაუფლების გაყოფას, მრავალპარტიულ კონკურენციას, სხვადასხვა სახის საკუთრებას ქონებაზე მიწის დაბრუნებით მათთვის, ვინც მას ამუშავებდა. პროგრამა ასევე მოუწოდებდა სრული კულტურული ავტონომიისაკენ, თანამდებობებზე დანიშვნის ნომენკლატურული სისტემის დასრულებისა და ახალი კავშირისთვის კონფედერაციული კონსტიტუციის მიღებისკენ.

1989 წლის ნოემბერში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რომლებმაც „გააქართულა“ რესპუბლიკის მთელი ქონება და ჩამოაყალიბა საქართველოს კანონმდებლობის უზენაესობა საკავშირო კანონმდებლობაზე. ცვლილებები ახდენდა კერძო საკუთრების ლეგალიზაციას ბიზნესის სფეროში, ხელს უწყობდა დამოუკიდებელი სამართლოს არსებობას, განამტკიცებდა სამართლებრივ ენას საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის უფლებასთან მიმართებაში და საქართველოს უმაღლეს საბჭოს ანიჭებდა სრულ კონტროლს მის საზღვრებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებზე, როგორცაა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ახალი საარჩევნო კანონი უზრუნველყოფდა იმუნიტეტის უფლებებს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის და კონკურენტულ პირდაპირ არჩევნებს.³⁸ ლეგალიზებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციები და მუშაობა კანონპროექტებზე, რომლებიც ეხებოდა იმიგრაციის შეზღუდვას, რესპუბლიკის მოქალაქეობის დადგენას და ეროვნული ერთეულების ჩამოყალიბებას.³⁹ 1990 მარტში უმაღლესი საბჭო

თავის დეკლარაციაში სათაურით „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიები“ მოითხოვდა ყველა იმ შემოთავაზებული საბჭოთა საპრეზიდენტო უფლებამოსილების გაუქმებას, რომლებიც არღვევდა რესპუბლიკის სუვერენიტეტს. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები კომუნისტური პარტიის მონოპოლიის აღმოფხვრის მიზნით. საქართველოში საბჭოთა არმიის შეჭრა 1921 წლის თებერვალში გამოცხადდა „დე ფაქტო ანექსიად“ და „საერთაშორისო დანაშაულად“.40 უმაღლესმა საბჭომ 1921 წლის 21 მაისის სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ძალადაკარგულად გამოაცხადა და მოითხოვა მოლაპარაკების წარმოება „დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის დასაწყებად“.41

ეს თავისთავად გასაოცარი იყო, თუმცა 1990 წლის ივნისში ტემპმა იმატა, როდესაც უმაღლესმა საბჭომ კომუნისტების უმრავლესობით თავის საგანგებო სხდომაზე დაამტკიცა კანონების შემდგომი პაკეტი ეკონომიკური სუვერენიტეტის, სამხედრო განვითარების ალტერნატიული სამსახურისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების ფორმირების უფლების შესახებ. დამტკიცდა პირდაპირი სახელმწიფოებრივი კავშირები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან და ჩამოყალიბდა კომისია, რომლის მიზანი იყო „სასამართლო მექანიზმის“ შემუშავება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.42 საქართველოს კომპარტიამ დაგმო სსრკ-ის მიერ ლიტვის აპრილ-ივნისის ბლოკადა ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და მოუწოდა თანასწორუფლებიან და დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიათა ფედერაციისაკენ. რეგიონების დონეზე კადრების მასობრივი შენაცვლება მოხდა ადგილობრივი პარტიის წევრებით.

მაგრამ, მიუხედავად გუმბარიძის მცდელობისა, მოეხდინა პარტიის ნაციონალიზაცია, იგი საქართველოს ეროვნული მოძრაობის ბოლოში მოჩანჩალებდა. გუმბარიძემ ვერ შეძლო დაემალა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან თავისი კავშირები და, რეფორმების მიუხედავად, პარტია ძველებურად ფუნქციონირებდა. 1989 წლის ნოემბერში გუმბარიძე „ერთხმად“ აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარედ. ახალი წესების თანახმად, 1990 წლის ივლისში იგი აირჩიეს საბჭოთა პოლიტიბიუროშიც. და საბჭოთა კავშირისადმი მისმა შეფარულმა ერთგულებამ ძირი გამოუთხარა მის განცხადებებს მოსკოვისგან დამოუკიდებლობის შესახებ.43 რევოლუციის ნიშნები გაჩნდა თვით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაშიც, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, უკვე ძალიან დაგვიანებული იყო. ინსტიტუციური ცხოვრების დეპოლიტიზაცია და პარტიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა ვერ იხსნიდა მის დაშლას. გუმბარიძე შეიცვალა უფრო ასაკოვანი და მეტი ავტორიტეტის მქონე ავთანდილ მარგაიანით 1990 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც გუმბარიძემ ვერ შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად.

წარმოშობით სვანმა (სვანეთის მთიანი რეგიონიდან) და, ძირითადად, აზერბაიჯანელებით დასახლებული გარდაბნის რაიონის ყოფილმა პარტიულმა მაღალჩინოსანმა მარგინამ განწყვიტა კავშირები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, მაგრამ ვერ შეძლო პარტიის გადარჩენა. ორ თვეში იგი შეცვალა ჯემალ მიქელაძემ, რომელიც ექვსი თვის შემდეგ, საბჭოთა იმპერიის ჩამოშლისთანავე, იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

1990 წლის გაზაფხულზე პარტია უმწეოდ აკვირდებოდა, როგორ აყირავებდნენ აღგზნებული ადამიანები კომუნისტურ ძეგლებს, რომლებიც თვეების მანძილზე დაფარული იყო ანტიკომუნისტური წარწერებით. სულ პირველი ჩამოაგდეს სერგო ორჯონიკიძე, სტალინის თანამებრძოლი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1921 წელს დამოუკიდებელ საქართველოში საბჭოთა მე-11 არმიის შეჭრის გეგმის შემუშავებაში. მისი მონუმენტური ძეგლი თბილისის საბურთალოს რაიონში განასახიერებდა რევოლუციური ძალაუფლების რომანტიკას, მაგრამ ვინაიდან იგი წარწერებით იყო დაფარული, ხელისუფლების ორგანოებმა გადაწყვიტეს მისი დემონტაჟი. მისი მაღალყელიანი ფეხსაცმელი, რომელიც ძნელი მოსახსნელი იყო, თვეების განმავლობაში რჩებოდა კვარცხლბეკზე, როგორც სიმბოლო საბჭოთა სისტემის იდეოლოგიური სიცარიელის და მისი კომიკური მონყვლადობისა. ყველაზე შთაბეჭდავი სურათი იყო ლენინის მოედანზე ლენინის ძეგლის დემონტაჟი, რომელიც 1990 წლის აგვისტოში ჩამოაგდეს ჯაჭვების, თოკებისა და ამწების დახმარებით. რეგიონული პარტიული ორგანიზაციები საყოველთაო სიძულვილის ფონზე ჩამოიშალა. ხელისუფლების დაშლის პროცესის არაქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე გადასვლის შემდეგ საქართველოს კომპარტია აცხადებდა, რომ საზოგადოება „ნელ-ნელა იძირებოდა ძალადობის, ქაოსის, განუკითხაობისა და უკანონობის მორევში“.⁴⁴ გაფიცვებმა, დეზერტირობამ საბჭოთა არმიიდან, სისხლის სამართლის დანაშაულის მზარდმა ციფრებმა, ისეთი მოხალისე სამხედრო ჯგუფების ჩამოყალიბებამ, როგორებიცაა „მხედრიონი“ და „თეთრი გიორგი“, პარტიისა და მთავრობის შენობების დაკავებამ, მათ შორის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის (რომელიც „შეურიგებლების“ სახელით ცნობილი რადიკალური ოპოზიციის შტაბბინა გახდა) და ლესია უკრაინკას ქუჩაზე მდებარე სუკი-ის შტაბბინის შტურმით ალებამ 16 სექტემბერს, პარტიის პარალიზება გამოიწვია.⁴⁵

მასიური დეზერტირობით შეპყრობილი ქართული ორგანიზაციები გამოდიოდნენ საკავშირო ასოციაციებიდან და ორგანიზაციებიდან. 1990 წლის მარტში ჩატარებულ ყრილობაზე საქართველოს ყურნალისტთა კავშირმა განწყვიტა კავშირი თავის ზემდგომ საკავშირო ორგანოსთან.⁴⁶ საქართველოს პროფკავშირი გამოვიდა სსრკ-ის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოდან და სამ თვეში ჩამოაყალიბა საქართველოს პროფკავშირების დამოუკიდებელი კონფედერაცია. თავის პროგრამაში კონფედერაცია საკუთარ თავს ახასიათებდა როგორც ნებაყოფლობითს და არაპოლიტიკურს.⁴⁷ საქა-

რთველოს კომკავშირმა თავის 34-ე ყრილობაზე 1990 წლის მარტში გამოაცხადა „თვითგამორკვევა“ საქართველოს ორგანიზაციისთვის. ამან ვერ ააცილა კომკავშირს თავიდან მისი რიგებიდან მასიური გამოსვლა და ალტერნატიული, საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდული კავშირის შექმნა. ცალკე ჩამოყალიბდა საქართველოს საფეხბურთო კავშირი და საქართველოს ფეხბურთის ახალმა ფედერაციამ განიზრახა, გამხდარიყო ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIFA) დამოუკიდებელი წევრი.



დაცემული გმირები. მთავრობის სახლის ჩამოგდებული მცველები

ახალი პარტიები

1990 წლის ცხელი ზაფხულის მიწურულს საქართველოში არსებობდა სულ მცირე 130 პარტია, ბლოკი, საზოგადოება და კლუბი. თითქმის ყველა მათგანი, გარდა რამდენიმე არაქართული ორგანიზაციისა, ემხრობოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, დემოკრატიას (მისი ნებისმიერი გაგებით), საბაზრო ეკონომიკას და ქართველების, როგორც ქვეყნის დომინანტური ეროვნული ჯგუფის, უპირატეს როლს. თითქმის ყველა მათგანი კონცენტრირებული იყო რომელიღაც ცნობილი ადამიანის გარშემო. ისინი განგაშის ზარებს რეკავდნენ ქართველების დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესების

გამო და იძლეოდნენ გაფრთხილებებს აფხაზეთის, ჯავახეთის ისტორიულ ტერიტორიებსა და საქართველოს სხვა ადგილებში ქართველების რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით. იყო განსხვავებები – ეროვნული დემოკრატიები გია ჭანტურის ხელმძღვანელობით მხარს უჭერდნენ „თვითდემოკრატიის“ ზომიერ ფორმას, სადაც ეკლესიას ნამყვანი როლი უნდა ეთამაშა ერის „ზნებრივ საკითხებში“. სახალხო ფრონტი, რომელსაც სათავეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი ნოდარ ნათაძე ედგა, გამოდიოდა საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი გადასვლის წინააღმდეგ, რადგან შიშობდა, რომ ამის შედეგად უცხოური ფირმები დაიტაცებდნენ საქართველოს ბუნებრივ რესურსებს. რუსთაველის საზოგადოება ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მეტ პრიორიტეტს ანიჭებდა, ვიდრე პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ფედერალურ-რესპუბლიკური პარტია ყურადღებას ამახვილებდა დეცენტრალიზებულ რეგიონულ სტრუქტურაზე, ხოლო მწვანეები მოუწოდებდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის უფრო აქტიური თანამშრომლობისაკენ.⁴⁸ სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებები შეეხებოდა ტაქტიკურ საკითხებს: პარტიებს განსხვავებული პოზიციები ეჭირათ თითქმის ყველა საკითხში, როგორცაა არჩევნები, კომუნისტური პარტიის როლი, პირდაპირი მოქმედება, დამოუკიდებლობის ტემპი და კავკასიის რეგიონული თანამშრომლობა (რეგიონული კოორდინაცია ოპოზიციას შორის არასდროს გამოიჩინებდა ეფექტიანობით).

ყველაზე სერიოზული შეფერხებები საბჭოთა ძალაუფლებისთვის ქმედითი წინააღმდეგობის განევაში (რაც მოითხოვდა დემოკრატიის შენებისგან განსხვავებულ თვისებებს) იყო განსხვავებები პიროვნებებს შორის, გამოუცდლობა, უდისციპლინობა და პირდაპირი მოქმედებისაკენ ლტოლვა. თითქმის ყველა პარტიის ლიდერი ოცდაათიდან ორმოცამდე წლის ან ნაკლების იყო: 1990 წელს ირაკლი წერეთელი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ჩაფსკენილი ლიდერი, 29 წლის იყო, გია ჭანტურია კი, პოლიტიკური სცენის ენერგიული ფიგურა და ეროვნულ-დემოკრატიების ლიდერი, 30 წლის. 51 წლის გამსახურდია ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი იყო. კონფლიქტები პიროვნებებს შორის და „დაყოფა“, ანუ „ვიწრო პარტიული ან ორგანიზაციული პატრიოტიზმი“, მერაბ კოსტავას სიტყვებით, იყო ეროვნული მოძრაობის „აქილევსის ქუსლი“ და პირველი წინააღმდეგობის თიანებელი ოპოზიციისთვის.⁴⁹ ეს დასაწყისშივე გახდა ნათელი, როდესაც პირველი დამოუკიდებელი ანტიკომუნისტური პოლიტიკური ორგანიზაცია – ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – 1988 წლის მარტში გაიყო პირადი შეხლა-შემოხლის შედეგად.⁵⁰ შეიქმნა ილია ჭავჭავაძის ორი საზოგადოება – ორივე მათგანს პრეტენზია ჰქონდა ილია ჭავჭავაძის მანტიაზე.⁵¹ მეორე შეფერხება ერთიანობის გზაზე ძლიერ ლიდერზე დამყარებული შინაგანად ავტორიტარული პარტიები იყვნენ, მცირე ოდენობის ან ფიქტიური ნევრებით და მიდრეკილებით ცილისწამებისა და ეგზიბიციონიზმისაკენ. ოპონენტებს

აკრავდნენ სუკ-ის აგენტების იარლიყებს. ჩვეულებრივი ამბავი იყო შიმშილობები და შეიარაღებული მცველებისა და მილიციის გამოყენება. მესამე, პარტიები გამოირჩეოდნენ კონფრონტაციულობით. ეს იყო რევოლუციური, გამოუცდელი ბრძოლა ძალაუფლებისთვის წესების, ტრადიციებისა თუ პოლიტიკური პროცესის გარეშე. ლიდერების უმრავლესობამ მემკვიდრეობით მიიღო დირექტივების გაცემისა და ცილისწამების საბჭოური ჩვევა. მეოთხე, არ არსებობდა ქართული საზოგადოება, რომელიც შეასრულებდა პარტიების სხვადასხვაგვარ პოლიტიკას შორის მედიატორის როლს: მხარეები იქმნებოდნენ ზემოდან და არ იყო რაიმე ორგანიზებული სოციალური ინტერესი ან ლობი ქვემოდან. სოციალური ფესვებისა და თავიანთ მიმდევრებთან კონტაქტის უქონლობის პირობებში ლოზუნგების გამოყენება მოსახლეობის მობილიზების ერთადერთი საშუალება იყო.

ახალი პოლიტიკოსები – თავაზიანი გია ჭანტურია, ბავშვივით მრგვალსახიანი ირაკლი წერეთელი, მჭევრმეტყველი ზურაბ ჭავჭავაძე, სიტყვაძუნწი თამარ ჩხეიძე და „უფროსები“ – ზვიად გამსახურდია (ჰელსინკის კავშირის ლიდერი) და მერაბ კოსტავა (ეროვნული მოძრაობის ზნეობრივი სიმბოლო და ეროვნული გადარჩენის მთავარი კომიტეტის ლიდერი) – ყველანი იყვნენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები. მათ უმრავლესობას უჭირდა ადაპტირება გორბაჩოვის მიერ შექმნილ სამართლებრივ სივრცეში. პოლიტიკა იყო „პრინციპისთვის“ ბრძოლის ველი (თუმცა იგი ასევე ძალაუფლებისთვის ბრძოლასაც შეეხებოდა); მმართველ კომუნისტურ პარტიასთან კომპრომისი კოლაბორაციონიზმად და უზნეობად ითვლებოდა. უფრო რადიკალურად განწყობილებს, როგორებიც იყვნენ ირაკლი წერეთელი და გია ჭანტურია, „შეურიგებლებს“ უწოდებდნენ. ისინი იყენებდნენ ემოციურ ტერმინოლოგიას („ქვეყნის მოლაღატეები“) და ემუქრებოდნენ მედიას, რაც საბჭოური ტრადიცია იყო, რომლის აღმოფხვრასაც, რაც პარადოქსულია, იმ დროს საქართველოს კომპარტია ცდილობდა. მაშინ, როდესაც ახალი პარტიები აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ ხალხის ერთადერთი წარმომადგენლები, გუმბარიძე საჯაროდ გაემიჯნა თავისი პარტიის „მონოპოლისტურ განცხადებებს სიმართლესა და პატრიოტიზმთან დაკავშირებით“.⁵²

იყო ოპოზიციის ერთ ჭერქვეშ გაერთიანების მცდელობები. 1989 წლის აპრილში ჩამოყალიბდა ეროვნული გადარჩენის კომიტეტი, ხოლო საქართველოს სახალხო ფრონტმა თავისი სადამფუძნებლო ყრილობა 1989 წლის ივნისში ჩაატარა. მან განაცხადა, რომ იმუშავებდა „არსებული კანონმდებლობის ფარგლებში“ და დაუშვებდა მასში კომპარტიის წევრების განევრიანებას (ეს გადანყვევტილება მან შემდგომში გააუქმა). თუმცა სახალხო ფრონტი, რომელიც ძირითადად მაშინდელ ინტელიგენციას წარმოადგენდა, რომელთაგან ზოგი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს ანდა სახალხო დეპუტატთა ყრილობის დეპუტატი, დაუპირისპირდა „შეურიგებლებს“. სახალხო ფრონტი ადანაშაულებდა ახალგაზრდებს ტოტალიტარულ ტენდენ-

ციებში. ახალგაზრდებიც ვალში არ რჩებოდნენ. მას შემდეგ, რაც სახალხო ფრონტმა გადანყევტილება მიიღო 1990 წლის მარტის არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე, სახალხო ფრონტი გამოცხადდა ნეოკომუნისტურ ორგანიზაციად და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მოლალატედ.⁵³

1990 წლის მარტში საქართველოს რადიკალურმა ოპოზიციამ, შთაგონებულიმა ესტონეთის ყრილობის მაგალითით, რომელიც ერთი თვით ადრე იქნა არჩეული ოფიციალური არჩევნების ალტერნატივის სახით, გააჟღერა მონოდებები ოპოზიციური პარტიების ეროვნული ფორუმის შექმნისაკენ. ფორუმმა, რომელიც გაიმართა ფილარმონიის შენობაში, უმაღლესი საბჭოს სიახლოვეს, მოითხოვა მარტში დაგეგმილი უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტირება. კანდიდატებმა მასიურად დაიწყეს საარჩევნო კამპანიიდან გასვლა და საქართველოს კომუნისტური პარტია, ოპოზიციასთან გამართული ინტენსიური მოლაპარაკების შემდეგ, დათანხმდა არჩევნების 1990 წლის ოქტომბრამდე გადატანაზე. ეროვნული ფორუმი, რომელშიც აღევლებული ახალგაზრდობა დომინირებდა, ითხოვდა საქართველოს „ოკუპირებულ ქვეყნად“ გამოცხადებას, ხალხს მოუწოდებდა „დემოგრაფიული ექსპანსიისაკენ“ არაქართულ რეგიონებში და მოითხოვდა ალტერნატიული ეროვნული ყრილობის არჩევნების ჩატარებას. ყრილობა მონაწივედა ეროვნულ კონგრესს და ჩამოაყალიბებდა პარალელურ მთავრობას დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ზომიერები, მათ შორის, უმრავლესობა ისეთი პარტიებისა, როგორებიცაა სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია, ლიბერალ-დემოკრატიული პარტია და სოციალურ-დემოკრატიული პარტია, ებრძოდნენ ფორუმის მშფოთვარე უმრავლესობას. მათ მიაჩნდათ, რომ ხელისუფლების ორგანოების ბოიკოტი გამოიწვევდა მოსკოვის ჩარევას. მათ დაგმეს ფორუმის წინადადება მისი ალტერნატიული არჩევნებიდან კომუნისტების, სოციალ-დემოკრატებისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გამორიცხვის თაობაზე.⁵⁴

მშვიდობისმყოფელები დამარცხდნენ.⁵⁵ მომავალი მოვლენების წინასწარი მინიშნება იყო, როდესაც აპრილში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის გარე პერიმეტრზე მომხდარი სროლა ზვიად გამსახურდიასა და გია ჭანტურიას შეიარაღებულ მხარდამჭერებს შორის გადავიდა ქუჩებში. გამსახურდიას პელსინკის კავშირმა დატოვა ფორუმი. მათ შეუერთდნენ მონარქისტები, წმინდა ილია მართლის საზოგადოება (უფრო ზომიერი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისგან გამოყოფილი მისი მეტოქე) და მერაბ კოსტავას საზოგადოება; ახალმა დაჯგუფებამ დაირქვა „მრგვალი მაგიდა“. მას სათავეში გამსახურდია ედგა და, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგალითის გათვალისწინებით, იგი მოუწოდებდა დამოუკიდებლობაზე მშვიდობიანი გადასვლისაკენ ოფიციალურ არჩევნებში მონაწილეობის გზით. ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც 23-25 მაისს გაიმართა და რომელშიც წარმოდგენილი იყო ოთხმოცდაორი პოლიტიკური და კულტურული ორ-

განიზაცია, მათ შორის, არაქართული და ემიგრაციაში მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ალტერნატიული ეროვნული კონგრესის საკუთარი არჩევნები სექტემბერში დანიშნა. კონგრესს, როგორც გარდამავალ საკანონმდებლო ორგანოს, ექნებოდა უფლებამოსილება, ჩატარებინა რეფერენდუმები, წარმოედგინა კანონპროექტები საქართველოს მომავალი პოლიტიკური სისტემის თაობაზე და ეწარმოებინა მოლაპარაკება მოსკოვთან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხებზე. ამასობაში ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი, მაგრამ სახალხო ფრონტის გასვლამ და რუსთაველის საზოგადოებისა და „მრგვალი მაგიდის“ არყოფნამ შეარყია მისი პრეტენზია – ყოფილიყო ქართველის ხალხის ნების გამომხატველი.

ფრონტის ხაზები უკვე გავლებული იყო: ყრილობის ახალგაზრდა წევრები გია ჭანტურიას ხელმძღვანელობით მოითხოვდნენ წარსულთან კავშირის განწყვეტას, ხოლო გამსახურდიას მომხრეები ითხოვდნენ „გარდამავალ პერიოდს“ უკვე არსებული ინსტიტუციური მექანიზმებით.⁵⁶ მათი მიზნები არსებითად ერთნაირი იყო – ეთნოსთა შორის ურთიერთობების ტრანსფორმირება ქართველების სასარგებლოდ, ტრადიციული და რელიგიური ფასეულობების განმტკიცება, კომუნიზმის აღმოფხვრა და საბჭოთა იმპერიის დანგრევა. საქართველოს ტრაგედია ის იყო, რომ ეს უმნიშვარი პარტიები ვერ თანხმდებოდნენ ტაქტიკასა თუ სტრატეგიაზე და პირდაპირი მოქმედებით, ბარიკადებითა და ძალადობით შედიოდნენ პარტიებს შორის შეურაცხყოფელ კონფლიქტებში. ამან რამდენიმე თვეში ქვეყანა სამოქალაქო ომამდე და „არშემდგარი ქვეყნის“ სინდრომის საწყისებამდე მიიყვანა, რამაც შევარდნაძის მმართველობის მთელი პერიოდი გასტანა.

ეროვნული საკითხი

1970-იანი წლებიდან საქართველოს ეკონომიკა შენელებული ტემპით ვითარდებოდა. 1985-1989 წლებში მისი დაღმავალი სვლა დაჩქარდა პოლიტიკური არასტაბილურობის, გაფიცვების, რესპუბლიკებს შორის ვაჭრობის მოცულობის შემცირების, წარმოების დაცემის, ენერგოდეფიციტის, ჯანდაცვისა და ბინათმშენებლობის გაუარესების შედეგად. ვაჭრობის ჩამოშლა განსაკუთრებით საზიანო იყო რესპუბლიკისთვის, რომელმაც 1988-1990 წლებში თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 44 პროცენტი მიიღო სხვა საბჭოთა ტერიტორიებზე ექსპორტიდან და იმპორტიდან.⁵⁷ მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკისა, რომელიც მიუთითებდა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში სტაბილურ ზრდაზე, რომან გოცირიძე, ეკონომისტი, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი (2005-2007), აღნიშნავს, რომ 1985-1992 წლების პერიოდში, კუმულაციურად, ეროვნული შემოსავალი

შემცირდნ 34%-ით, სმრენველო წარმოებნ – 22%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციონ – 25, ხოლო მთლინდნ მწარმოებლურობნ – 30%-ით.⁵⁸

ასეთი იყო კონტექსტი ქართველთნ შემწოთებისნ დემოგრაფიის, დსაქმების, იმიგრაციისნ დნ „უმრავლესობის უფლებების“ სსკითხებით. ნაციონალიზმი არასწორდნ (გდსაქარბებით) არის შეფსებული ქართული პოლიტიკის „მამოდრავებელ“ ძალდნ დნ 2011 წლის პერსპექტივიდნ თუ ვიმსჯელებთ, რადიკალური ნაციონალიზმი დროებით იყო მიმზიდველი ქართველებისთვის. თუმცნ 1985-1990 წლებში, ანუ იმ პერიოდში, რომელსაც ეხებნ ეს თავი, იგი დომინანტურ თემს წარმოადგენდნ. ქართული პოლიტიკის თითქმის ყველნ სსკითხი, იქნებოდნ ეს ეკონომიკნ, ისტორიონ, გნნათლებნ თუ ეკლესიონ, ეროვნულ სსკითხს უკავშირდებოდნ. კულტურული მოძრაობიდნ, რომელსაც ინტელექტულები წარმართავდნენ, ქართული ნაციონალიზმი 1980-იანი წლების ბოლოს გდნიქცნ დამოუკიდებლობზზე ორიენტირებულ მასობრივ მოძრაობდნ. ეროვნული სუვერენიტეტის სსკითხზნ სსხიფათო დილემები წამოჭრნ სსქართველოს წინაშე. რნ უფლებები უნდნ მიეცეთ სსქართველოში მცხოვრებ დსახლოებით 30 პროცენტ ეროვნულ უმცირესობებს; სველდებულო უნდნ იყოს თუ არნ არსსქართველებისთვის ქართული ენის სწავლნ; როგორი წარმომადგენლობნ უნდნ ჰქონდეთ მთ; დნ უნდნ მიენიჭოს თუ არნ ეროვნულ ეკლესიას გნსსკუთრებული პრივილეგიები? კარგი კითხვონ, რატომ გდნიზარდნ მასობრივი გამოსვლები ძლადობზში? თუმცნ ნაციონალიზმი ყოველთვის ვერ იქნებნ ამის ახსნ.

1989-1990 წლებში ხალხის მიერ რეალობის აღქმნ კიდევ უფრო არნადეკვბატური გხდნ. მითები, მითქმნ-მოთქმნ დნ შემწოთებნ დემოგრაფიული მდგომარეობის გუარესების გამო, ანდნ ისტორიები ქართველების დისკრიმინაციის შესახებ ქმნიდნენ ცრუ რეალობს. მიუხედავდ ციფრებისნ, რომლებიც ქართველი მოსახლეობის როდენობის გნსნსალ ზრდს მიუთითებდნ, 1985-1990 წლებში ქართველები აზროვნებდნენ დნ მოქმედებდნენ ისე, თითქოს ისინი წარმოადგენდნენ სსფრთხის ქვემ მყოფ უმცირესობს. ნწნილობრივ ასეთი შეგრძნების გჩენის მიზეზი იყო ქართველების არათწნბარი გნსსახლებნ: პერიფერიებზე სხვნ ეროვნების ხალხის რიცხობრივი სიჭარბე სსრკ-ის იმპერიული გეგმის სსფუძველზე დნ სსქართველოს მდებარეობნ უმეტესდნ მუსლიმანებით დსსახლებულ რეგიონში (მეზობლები – აზერბეიჯანი, თურქეთი, ირანი, დალესტანი დნ ჩეჩნეთ-ინგუშეთი). მიუხედავდ კულტურული დნ პოლიტიკური კონსოლიდაციისნ, ქართველები შემწოთებულები იყვნენ სსკუთარი მცირერიცხოვნობით სსმხრეთით ქვემო ქართლსნ დნ სსმცხე-გვავახეთში, სსმხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (რომელიც სსქართველოს პარლამენტმნ 1990 წლის დეკემბერში გსაუქმნ) დნ აფხზეეთის ავტონომიურ სსბჭოთნ სოცილისტურ რესპუბლიკაში (სდდც ქართველები უმრავლესობს წარმოადგენდნენ). თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის მიერ 1990

წლის იენისში ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ გამოკითხულთა 88.5 პროცენტს უმთავრეს პრიორიტეტად „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება“ მიაჩნდა.⁵⁹ საბჭოური პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკა, უმცირესობებისთვის სხვადასხვა სიკეთის გამო, ქართველებს შორის უსამართლობის განცდას წარმოშობდა.⁶⁰ ქართველებმა უყურადღებოდ დატოვეს დემოკრატიის ახლებური გაგება, ხაზგასმით უმცირესობების დაცვის მექანიზმებზე და ძალაუფლების გადანაწილებაზე. პარადოქსია, მაგრამ ეროვნული მოძრაობისთვის მსგავსი მიდგომა უმცირესობებისადმი საბჭოური მართვის უსამართლობასთან ასოცირდებოდა.

ცხრილი 1. ეროვნული შემადგენლობა საქართველოში, 1970–2002 წლები*

| | 1970 | | 1979 | | 1989 | | 2002 | |
|---------------------|-----------|------|-----------|------|-----------|------|-----------|------|
| | სულ | % | სულ | % | სულ | % | სულ | % |
| საქართველო: სულ | 4,686,358 | 100 | 4,993,182 | 100 | 5,400,841 | 100 | 3,661,173 | 100 |
| ეროვნების მიხედვით: | | | | | | | | |
| ქართველები | 3,130,741 | 66.8 | 3,433,011 | 68.8 | 3,787,393 | 70.1 | 3,661,173 | 83.8 |
| აფხაზები | 79,449 | 1.7 | 85,285 | 1.7 | 95,853 | 1.8 | 3,527 | 0.1 |
| ოსები | 150,185 | 3.2 | 160,497 | 3.2 | 164,055 | 3.0 | 38,028 | 0.9 |
| სომხები | 452,309 | 9.7 | 448,000 | 9.0 | 437,211 | 8.1 | 248,929 | 5.7 |
| რუსები | 396,694 | 8.5 | 371,608 | 7.4 | 341,172 | 6.3 | 67,671 | 1.5 |
| აზერბაიჯანელები | 217,758 | 4.6 | 255,678 | 5.1 | 307,556 | 5.7 | 284,761 | 6.5 |
| ბერძნები | 89,246 | 1.9 | 95,105 | 1.9 | 100,324 | 1.9 | 15,166 | 0.3 |
| ებრაელები | 55,382 | 1.2 | 28,298 | 0.6 | 24,795 | 0.5 | 3,772 | 0.1 |
| ქურთები | 20,690 | 0.4 | 25,688 | 0.5 | 33,331 | 0.6 | 2,514 | 0.0 |
| იეზიდები** | | | | | | | 18,329 | 0.4 |
| უკრაინელები | 49,622 | 1.1 | 45,036 | 0.9 | 52,443 | 1.0 | 7,039 | 0.2 |
| ქისტები*** | | | | | | | 7,110 | 0.2 |
| სხვები | 44,282 | 0.9 | 44,976 | 0.9 | 56,708 | 1.0 | 13,516 | 0.3 |

წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები: სტატისტიკური კრებული, თბილისი: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004.

* მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ არ მოიცვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელი-სუფლებების მიერ კონტროლირებული ტერიტორიები.

** იეზიდები წარმოადგენენ არამუსლიმან ქურთ მოსახლეობას, რომლებიც 2002 წლამდე ითვლებოდნენ ქურთებად.

*** ქისტები ენათესაებიან ჩეჩნებსა და ინგუშებს. ისინი ცხოვრობენ ძირითადად პანკისის ხეობაში ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისუსტე 1960-იანი წლებიდან მოყოლებული თვალნათლივ ჩანდა როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ლიტერატურაში. საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის შევარდნაძის მმართველობის დროს პარტიის, ეკლესიისა და დისიდენტ-ნაციონალისტების უცნაური ალიანსი აწარმოებდა კამპანიას რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის დაღმავალი მაჩვენებლის წინააღმდეგ, გამობდა აბორტს, მოუწოდებდა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლისა და განქორწინებების ისედაც დაბალი პროცენტის შემცირებისაკენ.⁶¹ საჯაროობის („გლასნოსტის“) გამოცხადების შემდეგ საქართველოს პარტიები და ასოციაციები, მათ შორის, საქართველოს კომპარტია, ყურადღებას ამახვილებდნენ ქართველთა დემოგრაფიულ სისუსტეზე.⁶² ისეთი საზოგადოებები, როგორც იყო მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი, ფინანსდებოდა მთავრობის, ეკლესიის, შემოქმედებითი კავშირების მიერ და მიზნად ისახავდა ქართული ოჯახების განსახლებას იმ რეგიონებში, სადაც ცხოვრობდნენ რიცხოვნობით მათზე დიდი სხვა ეთნიკური ჯგუფები. საქართველოს კომპარტიამ შემოიღო „ქართველის დედის“ ახალი წოდება ქალებისთვის, რომლებსაც ჰყავდათ ხუთი ან მეტი შვილი, ხოლო 1989 წელს ჩამოაყალიბა დემოგრაფიული კომისია რესპუბლიკის რეგიონებში ქართველების არასაკმარისი წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად. აჭარასა და სვანეთში მომხდარი რიგი ბუნებრივი კატასტროფის შედეგად მოხდა უსახლკაროდ დარჩენილი ქართველების გადასახლება აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე, რასაც არ ჩაუვლია სერიოზული დაძაბულობების გარეშე. აქცენტი კეთდებოდა ქართველების ბიოლოგიურ ჯანმრთელობაზე. გაზეთები გამოდნენ პრობლემებს საცხოვრებლით უზრუნველყოფის სფეროში, საავადმყოფოებში გამეფებულ ანტისანიტარიას და დაბინძურებას – ყოველივე ეს განიხლებოდა როგორც ქართველების ნაყოფიერების შემცირების ხელშემწყობი ფაქტორები.

ქართველები შიშობდნენ, რომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემთხვევაში, მათი ეროვნული უმცირესობები, განსაკუთრებით, სომხები, აზერბაიჯანელები და ოსები, შეეცდებოდნენ გაერთიანებას თავიანთ ეთნიკურ ჯგუფებთან და საქართველოს ტერიტორიის გახლეჩას. მსგავსი რამ მოხდა პირველი რესპუბლიკის წლებში (1918–1921). ქართული პარტიების განცხადებებით და, აზერბაიჯანელების შემთხვევაში, მათ მიერ მიწების თითქოს უკანონოდ მიტაცების წინააღმდეგ წარმოებული მედიაკამპანიით შემფოთებულმა უმცირესობებმა დაიწყეს კულტურული და პოლიტიკური თავდაცვის ისეთი ორგანიზაციების ფორმირება, როგორც იყო „აღამონ ნიხასი“ (სახალხო ტაძარი) სამხრეთ ოსეთში, „აიდგილარა“ (ერთიანობა) აფხაზეთში, „ჯავახი“ ახალქალაქში, „გაირეტი“ მარნეულში და „ვოტანი“ მესხეთში. რუსებმა, რომელთა წარმომადგენლები სოციალურად და

ეკონომიკურად გაბნეულები იყვნენ საქართველოს მუშახელის რიგებში, ვერ შეძლეს სერიოზული „წინააღმდეგობის“ ორგანიზება, გარდა ადგილობრივი „ინტერფრონტის“ (რუსების დიასპორის წარმომადგენლებს შორის იმ საკავშირო მოძრაობის ნაწილი, რომლის მიზანი იყო სსრკ-ის შენარჩუნება) რამდენიმე მიტინგისა.⁶³

დაუცველობის განცდა, რომელიც ქართველებსა და არაქართველებს ჰქონდათ, ერთი მეორეს ასაზრდოებდა, რაც ხელს უწყობდა კულტურული ანტაგონიზმის გაღრმავებას და პოლიტიკური გაურკვეველობის ზრდას. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ ეკვივალენტური ქმედებები გამოიწვია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.⁶⁴ საქართველოს სუვერენიტეტის გამოცხადების თაობაზე განცხადებებზე იდენტური რეაგირება იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან. ვინაიდან საქართველოს მთავრობამ, რომელსაც 1990 წლის ოქტომბრიდან სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა, დაიწყო იმ საბჭოთა ხელშეკრულებების მოშლა, რომლებიც უზრუნველყოფდა ეთნოადმინისტრაციული საზღვრებისა და უმცირესობების უფლებათა გარანტიებს, არაქართველები შიშობდნენ, რომ მოსკოვის სამართლებრივი და ფიზიკური არყოფნა ბოლოს მოუღებდა მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დაცვის მექანიზმებს. თბილისიდან წამოსული შოვინისტური განცხადებები ახალი აგრესიული მონოეთნიკური სახელმწიფოს წარმოქმნას მოასწავებდა. ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებსაც ეშინოდათ პრივილეგიების დაკარგვის და რომლებსაც მხარს უჭერდნენ რუსეთის კონსერვატიული სამხედრო წრეები – გაღვივებული ანტიქართული გამოსვლები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აძლიერებდა ქართველების შემფოთებას ქვეყნის დანაწევრებასთან დაკავშირებით. სექტლანა ჩერვონაია, აფხაზეთში ომამდე განვითარებული მოვლენების მონაწილე, აცხადებს, რომ სისხლიანი დემონსტრაციები აფხაზეთში 1989-1990 წლებში დაგეგმილი იყო აფხაზეთის აქტივისტების მიერ, რომლებიც იმედს ამყარებდნენ მოსკოვის ჩარევაზე. ეს, მისი თქმით, იყო ომი, „გამოცხადებული ქართველი ხალხისთვის ვლადისლავ არძინას მიერ, რომელიც ძალით ითრევდა აფხაზ ხალხს ამ საშინელ კატასტროფაში“.⁶⁵ შედარებით ადრეულ პერიოდში ეროვნულ ნიადაგზე ყველაზე მძიმე დაპირისპირება 1989 წლის ივლისში მოხდა, როდესაც 22 ადამიანი დაიღუპა და 500-ზე მეტი დაიჭრა აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით გამართული საპროტესტო გამოსვლების დროს.⁶⁶ აფხაზები, რომლებიც აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობის (93267) 17,8%-ს შეადგენდნენ, სოხუმში უნივერსიტეტის ქართულენოვანი ფილიალის გახსნას 1970-იანი წლების „გააფხაზების“ პოლიტიკის შემობრუნებად და ქართველების მხრიდან სეპარატისტულ სვლად აღიქვამდნენ; ქართველები აცხადებდნენ, რომ, როგორც ყველაზე

მსხვილ ეროვნულ ჯგუფს აფხაზეთის რესპუბლიკაში (45.7% 1989 წელს), მათ ჰქონდათ უფლება, მიეღოთ უმაღლესი განათლება საკუთარ ენაზე (სწავლება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმეტესად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა). კულმინაცია ამ კონფლიქტისა, რომელიც სულ უფრო ღვივდებოდა მთელი ივლისის განმავლობაში, გახდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური ნაწილის მიერ 1990 წლის 25 აგვისტოს გაკეთებული ოფიციალური განცხადება „აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. აფხაზეთის კანონმდებლობას უპირატესობა მიენიჭა საქართველოს კანონმდებლობასთან შედარებით.⁶⁷ საკონსტიტუციო ბრძოლა ორ მხარეს შორის მთელი 1991 წლის განმავლობაში მძვინვარებდა. ივლისში გამსახურდიამ უკვე შეიტანა შესწორებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებმაც მას მისცა შესაძლებლობა, გაეუქმებინა საქართველოს ავტონომიების ყველა დადგენილება და „საკანონმდებლო აქტი“, თუ ისინი არ შეესაბამებოდნენ საქართველოს კონსტიტუციას.

კონფლიქტს საფუძვლად ედო ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური უკმაყოფილება. აფხაზეთის ელიტარული წრეების წარმომადგენლები აღაშფოთა აფხაზეთის შეყვანამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში 1918 წელს და საბჭოთა საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკის სახით 1931 წელს. ისინი მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში იბრძოდნენ საქართველოდან გამოყოფისთვის. დემოგრაფიული სურათის გაუარესება და რეგიონული ეკონომიკური უთანასწორობა (აფხაზეთში შრომის პროდუქტიულობა და შემოსავლები ნაკლები იყო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში) განიმარტებოდა როგორც შეგნებული პოლიტიკა საქართველოს მხრიდან. აფხაზები მწარედ უჩიოდნენ საქართველების პოლიტიკას დაწყებული 1930-იანი წლებიდან, როდესაც ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს (1931-1938). ბერიამ ბოლო მოუღო აფხაზურ ენოვან რადიოსადგურებს და სკოლებს, გააქართულა მათი ანბანი „კირილიცა“ და ტოპონიმები, სამსახურიდან გაათავისუფლა აფხაზი მასწავლებლები და დაიწყო ქართველების განსახლების პოლიტიკა, რომელმაც ხელი შეუწყო ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზების ნილობრივი შემადგენლობის შემცირებას 27.8%-დან 1926 წელს 17.8%-მდე 1989 წელს.⁶⁸ მიუხედავად 1970-იანი წლებიდან დაწყებული პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკისა, რომელმაც განაპირობა აფხაზური პოლიტიკური ზეგავლენის მნიშვნელოვანი ზრდა ავტონომიურ რესპუბლიკაში, აფხაზები ჩამორჩებოდნენ ქართველებს განათლების თვალსაზრისით და მიაჩნდათ, რომ ხდებოდა ტურიზმიდან და ციტრუსების რეალიზაციიდან მიღებული თანხების უსამართლო გადაქაჩვა თბილისში.⁶⁹

მსგავსი, თუმცა ნაკლებად მწვავე, დაპირისპირება მოხდა საქართველოს სხვა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშიც. ოსები,

რომლებიც ირანული ძირის ენაზე ლაპარაკობენ, შეადგენდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის (65 232) 66,4%-ს. 98 000 ოსი ცხოვრობდა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, მათ შორის 33 000 თბილისში. საზღვრის იქით ჩრდილოეთ ოსეთში (რომელიც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი იყო) ცხოვრობდა ოსი ეროვნების კიდევ 335 000 ადამიანი.⁷⁰ არსებობდა ქართულ-ოსური დაძაბულობა და უარყოფითი განწყობები, რომლებიც უკავშირდებოდა წარსულ, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, კონფლიქტებს (იყო მოკლე ომი 1920 წელს) და საქართველების პოლიტიკას 1930-იანი წლებიდან დაწყებული, როდესაც დაიხურა სამხრეთ ოსეთის სკოლები. თუმცა 1960-იანი წლებიდან მოყოლებული სამხრეთ ოსეთის მკვიდრებმა სარგებელი მიიღეს პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკის შედეგად, რომლის მიზანი იყო სამხრეთ ოსეთში სიკვდილიანობის მაღალი პროცენტული მაჩვენებლისა და განათლების დაბალი დონის პრობლემის გადაჭრა. 1980-იანი წლებისთვის ავტონომიურ ოლქში 90 ოსურენოვანი სკოლა იყო. ადგილობრივ პარტიულ სტრუქტურებში დომინირებდნენ ოსი ეროვნების ადამიანები და ისინი კარგად იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის, 32,5% თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას. მათი უმრავლესობა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.⁷¹ მაგრამ 1989 წელს „ადამონ ნიხასმა“, რომელიც შეაშფოთა თბილისის განცხადებებმა „უკანონო ავტონომიების“ შესახებ და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებისთვის ქართული ენის შესწავლას მოითხოვდა, განაახლა იდეა, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ინტელექტუალები პერიოდულად წარუდგენდნენ ხოლმე მოსკოვს და რომელიც უკავშირდებოდა გაერთიანებას მოძმე ერთან ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში. ქართველების პროტესტის მიუხედავად, 1989 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთის რეგიონულმა საბჭომ სამხრეთ ოსეთი ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადა და ოსური „სახელმწიფო ენად“ დაანება.⁷² ქართული პარტიების (საქართველოს კომუნისტების ჩათვლით) ალიანსმა დაგმო ამგვარი ქმედებები როგორც არაკონსტიტუციური. ნოემბერში სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში მოხდა კონფრონტაცია, როდესაც ქართველები, ზოგიერთი მათგანი შეიარაღებული, 400 ავტობუსით ჩავიდნენ ცხინვალში და გამოხატეს თავიანთი აღშფოთება ოსების მოთხოვნების გამო. ქართველების აღშფოთებას საფუძვლად ედო მათი განცხადება, რომ ოსები მხოლოდ ახლახან გამოჩნდნენ ამ ტერიტორიაზე და დასახლდნენ მიწაზე, რომელიც ოდითგან საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. 1990 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთის რეგიონულმა საბჭომ გადადგა თამამი ნაბიჯი და გამოაცხადა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა, მიიღო დეკლარაცია

სახელმწიფო სუვერენიტეტის თაობაზე და მოუწოდებდა მისი შეყვანისკენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.⁷³ დეკემბრის არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა ახალი უმაღლესი საბჭო, რომელშიც ოსები დომინირებდნენ. იმავე თვეში (11 დეკემბერს) საქართველოს უმაღლესმა საბჭომ (რომელიც უკვე გამსახურდიას კონტროლის ქვეშ იყო) გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რის შემდეგაც ქართველები მოიხსენიებენ მას მისი შუა საუკუნეების სახელებით „სამაჩაბლო“ ან „შიდა ქართლი“. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა ცხინვალსა და ჯავის რაიონში.⁷⁴ მიუხედავად 1991 წლის იანვარში მოსკოვის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარისო ნაწილების გაგზავნისა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიერ ყველა ქართული და ოსური საჯარისო ფორმირების გაყვანის მოთხოვნისა, სამართლებრივი ბრძოლა საქართველოს და სამხრეთ ოსეთის უმაღლეს საბჭოებს შორის სულ უფრო მწვავედებოდა. დაპირისპირების ესკალაცია მოხდა, როდესაც ადგილობრივი მილიცია (სამხრეთ ოსეთმა ჩამოაყალიბა საკუთარი ეროვნული გვარდია) შეიარაღდა და საქართველოს და აფხაზეთის მთავრობებმა დაიწყეს რეზერვისტების მობილიზება. 1991 წლის აპრილში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ კვლავ მოუწოდებდა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებისაკენ, რაც განამტკიცა 1992 წლის იანვრის ადგილობრივმა რეფერენდუმმა. იმ დროისთვის კონფლიქტის შედეგად გაჩნდა 100 000-ზე მეტი ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირი – დევნილი – როგორც სამხრეთ ოსეთიდან, ასევე დანარჩენი საქართველოდან.⁷⁵

სომხურ და აზერბაიჯანულ უმცირესობებს რეგიონებში (უმთავრესად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში) საკუთარი თავი სოციალური და ეკონომიკური დისკრიმინაციის მსხვერპლად მიაჩნდათ. მწვავე ეკონომიკური პრობლემები არაქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე, როგორებიცაა საავადმყოფოების, სკოლების აღჭურვილობის უკმარისობა და გაურემონტებელი გზები, შეგნებულ უგულვებელყოფად განიხილებოდა. ყველაზე მწვავე საზოგადო საკითხი, რომელიც 1988-1989 წლებისთვის წარმოიშვა, იყო მინაზე უფლებები და განსახლება. ქართულ-აზერბაიჯანული უთანხმოება 1989 წლის მაისში დაიწყო, როდესაც გაიმართა მასობრივი მიტინგები და აზერბაიჯანელებმა მოითხოვეს მათთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება რაიონის ძველი, ბორჩალოს, სახელით. ყველაფერი დამთავრდა აზერბაიჯანელების გაძევებით ქალაქ ბოლნისიდან და სროლით 1989 წლის ივნის-ივლისში აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონ მარნეულში. კონფლიქტი მოგვარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გადმოსროლით. ადგილობრივი მოსახლეობა ადანაშაულებდა საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებებს, რომლებიც ეწეოდნენ სოფლების გადასახლებას და აზერბაიჯანელების ქონების შესყიდვას.⁷⁶

1989 წელს სომხები რესპუბლიკის მოსახლეობის 8,1%-ს შეადგენდნენ. მიუხედავად ქალაქ თბილისში ქართულად მოლაპარაკე სომხების დიდი თემისა, სომხების უმეტესობა ცხოვრობდა გაგრაში (აფხაზეთი), ახალქალაქისა და ბოგდანოვკის (ამჟამად ნინოწმინდის) რაიონებში. ახალქალაქში (91,3% – სომხები 1989 წელს) და ბოგდანოვკაში (89,6% – სომხები) (ორივე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნაწილია) ძლივს იქნა თავიდან აცილებული შეიარაღებული კონფლიქტი, როდესაც ქართველთა ჯგუფებმა შეიძინეს მიწები 1990 წლის ზაფხულში რეგიონიდან რუსი დუხობორების გადასახლების შემდეგ. შედარებით რადიკალურმა ქართველმა ნაციონალისტებმა პროტესტის ნიშნად მოკლე ხნით გადაკეტეს რკინიგზა სომხეთის მიმართულებით. სომხურ-ქართულ დაძაბულობას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც სათავეს იღებს მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც სომხები ეკონომიკურად დომინირებდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. 1918 წელს სადავო საზღვრების ირგვლივ არსებული დაპირისპირება გადაიზარდა ხანმოკლე შეიარაღებულ კონფლიქტში ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს სომხეთსა და საქართველოს შორის. ამ წინაპირობების გათვალისწინებით, მეზობლად მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის მიმდინარე კონფლიქტი (ქართველები აცხადებდნენ, რომ სომხებს გააჩნდათ ირედენტული პრეტენზიები ჯავახეთზე), ახალქალაქში სომხების ეკონომიკური სიდუხჭირე და ქართველების შეშფოთება ახალი სახელმწიფოს მიმართ სომხების ლოიალურობასთან დაკავშირებით აღრმავებდა უნდობლობას ერთმანეთისადმი.⁷⁷

ქართველი ნაციონალისტის ფიქრი სცდებოდა საქართველოს საზღვრებს. ქართული პარტიები ღიად უჭერდნენ მხარს ინგილოებს – მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა მცირე ზომის ანკლავს, რომელიც დასავლეთ აზერბაიჯანის კასპიის რაიონის მესამედს შეადგენს. მუსლიმანი მესხების მცდელობას, დაბრუნებულიყვნენ მესხეთში, სამხრეთ საქართველოში, საიდანაც ისინი 1944 წელს იძულებით გადაასახლეს სტალინის ბრძანებით, თითქმის საყოველთაო წინააღმდეგობა მოჰყვა. 1989 წლის ივნისში დარბევის („პოგრომის“) შემდეგ უზბეკეთიდან გაძევებული მესხების დაბრუნების შესახებ თხოვნის დაკმაყოფილება, ქართველების აზრით, გამოიწვევდა იმ მოსახლეობის აყრას, რომლებიც უკვე 40 წელია ცხოვრობდნენ მესხეთში, დაძაბულობას შეიტანდა ადგილობრივ ეკონომიკაში და გაამყარებდა ისლამს სტრატეგიულ სასაზღვრო ტერიტორიაზე. საქართველოს ეროვნული მოძრაობა შეშფოთების სამ ძირითად წყაროს ასახელებდა: მესხები არ იყვნენ საკმარისად ქართველები, მათ არ იცოდნენ ქართული ენა და ისინი უკვე აღარ იყვნენ ქრისტიანები.⁷⁸

ისტორია, რელიგია და ენა

საქართველოს ეროვნულ მოძრაობას პარადოქსული ტენდენციები ახასიათებდა. იგი იყო საერო, პროდასავლური და მიიღებდა დემოკრატიისა და ევროპის ერთა ოჯახში წევრობისაკენ. ამავ დროს, ეს იყო კულტურული მოძრაობა, რომლის ფესვები მითოლოგიური წარსულისაკენ მიდიოდა. ის ფასეულობები, რომლებსაც ამ წლების განმავლობაში მხარს უჭერდნენ როგორც ქართველი აქტივისტები, ასევე, ნაკლებ ხარისხით, საქართველოს კომპარტია, კონცენტრირებული იყო ისტორიაზე (განსაკუთრებით, ისტორიულ ტერიტორიებზე პრეტენზიებზე), ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე და ენაზე. ეს იდეები გამოძახილი იყო ენის, მამულისა და სარწმუნოების წმინდა სამებისა, რომელსაც ქადაგებდა ილია ჭავჭავაძე. ეს ლოზუნგი ჩნდებოდა ყველგან, სადაც მიმდინარებდა მიტინგი დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად. თუმცა, სხვა მხრივ, ეროვნულმა მოძრაობამ გადაუხვია ილია ჭავჭავაძის პრამატულ შეგუებას იმპერიალისტურ მმართველობასთან. ისტორიას, როგორც ბერნარდ ლიონს აღნიშნავს, ყოველთვის აქვს მიზანი.⁷⁹ და საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, მისი აფხაზი და ოსი მონინალმდევრების მსგავსად, გამოიკვლია რანდენიც შექლო, წარსულის შესახებ. 1960-იანი და 1970-იანი წლებს საბჭოთა საქართველოს ინტელექტუალების ნაშრომებზე დაყრდნობით ყოველ ახალ აღმოჩენას წარსული კონფლიქტის და მსხვერპლის შესახებ იყენებდა რელიგია და ენის კონსოლიდაციისთვის პოლიტიკურ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. 1970-იან და 1980-იან წლებში სკოლებში, ტელევიზია და საბავშვო პოპულარული იყო კულტურულ ბრძოლებსა და საქართველოს დაუმორჩილებლობაზე ლაპარაკი. ეს იყო ბავშვებისა და ბებების მიერ მონაცოლი პირადი მოგონებები საბჭოთა პოლიტიკის სისასტიკეზე; მოთბრობები დიდ მოწრავ გიორგი სააკაძეზე, რომელმაც გადაარჩინა თავისი სამშობლო სპარსელებისაგან; მე-19 საუკუნის პატრიოტის დიმიტრი ყიფიანის გადასახლებისა და მკვლელობის ამბავი მის მიერ ქართული ენის დაცვის გამო; «ქართველის გედის» ნაკითხვა სკოლაში ან ტელევიზორში «ოთარაანთ ქვრივის» – ქართველი გლეხი ქალი სტოიციზმზე ფილმის – ყურება. «გლასნოსტის» დამკვიდრების შემდეგ ქართული პრესის ფურცლები აჭრელდა ახალი მხილებებით 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ, 1924 წელს ბოლშევიკების მმართველობის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების, 1920-იან წლებში მოსკოვის მხრიდან ცენტრალიზაციისთვის ქართველი ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობის, 1930-იანი წლების რეპრესიების და 1940-იანი წლების დეპორტაციების (ქართველი მთიელი ხალხების იძულებითი მიგრაციის ჩათვლით), 1956 წელს თბილისში სამოქალაქო არეულობის შესახებ და ქართველი ანტიბოლშევიკური ემიგრაციის ისტორიის ამსახველი

მასალებით. ყოფილი „მოლაღატეები“, როგორებიც იყვნენ გრიგოლ რობაქიძე და ექვთიმე თაყაიშვილი, რომლებიც ევროპაში გაემგზავრნენ ემიგრაციაში, გმირებად გადაიქცნენ; საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აკრძალული ღირსშესანიშნაური დღეები, როგორებიცაა დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის მაისში ან რელიგიური დღესასწაულები, მაგალითად, გიორგობა, ოფიციალურ კალენდარში შევიდა.

ისტორია იყო პოლიტიკა, ხოლო ისტორიული ბრძოლები ქართველ, აფხაზ და სამხრეთ ოსეთის ინტელექტუალებს შორის მემკვიდრეობის, ძეგლებია და ისტორიული პირველობის შესახებ – სუვერენიტეტზე პრეტენზიების გამართლება. 1990 წელს შეიქმნა საქართველოს სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომიტეტი, რომელმაც გამოიტანა დასკვნა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება ისტორიულად გამართლებული იყო, ვინაიდან ოსები რეგიონში უფრო გვიან იყვნენ ჩასახლებულები. ნითელი არმიის შემოჭრა საქართველოში შესწავლილ იქნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიის მიერ და უკანონოდ გამოცხადდა, რაც აუქმებდა ყველა საბჭოთა პრეტენზიას იურიდიულად. 1990 წლის თებერვალში ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების, აკადემიური და პარტიული დანებებულებების ერთობლივმა კომისიამ ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის სამეცნიერო გამოკვლევის, შესწავლია და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გეგმავდა პრიორიტეტებს საქართველოს ისტორიკოსებისთვის, განათლების სფეროს მუშაკებისა და გამოცემლებისთვის. ფიზიკურ ლანდშაფტს ახალი ძეგლები დაემატა, შეიცვალა ქუჩების სახელები (ლენინის ქუჩა გახდა კოტაბავა ქუჩა) და გამოჩნდა ახალი პარტიები საბჭოთა კავშირამდე არსებული პარტიების დროშებითა და სიმბოლოებით, რაც მათ ავტორიტეტსა და ავთენტურობას ანიჭებდა.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აწინავებდა ურთიერთობებს ეთნოსებს შორის. 1989 წელს საქართველოს მოახლეობის 70% იყო მართლმადიდებელი, დანარჩენები იყვნენ გრიგორიანელები (სომხეთის სახელმწიფო ეკლესია), რუსი მართლმადიდებლები, მუსლიმანები, კათოლიკეები, პროტესტანტები, ბაპტისტები, იეზიდები და სტაროვერები. „გლასნოსტის“ პირობებში აღდგა საქართველოში არსებული ყველა სარწმუნოების რიტუალები და სიმბოლოები. მოიხსნა შეზღუდვები საქართველოს ეკლესიის შემოსავლებზე; მას მიეცა უფლება, გაეხსნა და აემუშებინა ახალი ეკლესიები, ენარმოებინა საქველმოქმედო საქმიანობა, ჩამოეყალიბებინა ახალი კონგრეგაციები და მიეცა ხალხისთვის რელიგიური განათლება. 1988-1989 წლებში ხელახლა გაიხსნა 313 ქართული ეკლესია და მონასტერი, ჩამოყალიბდა სასულიერო აკადემია, ამოქმედდა ახალი საკათედრო ტაძარი თბილისში, გამრავლდა რელიგიური გამოცემები.⁵⁰ სახელმწიფო

სახედამხედველო ორგანო – საქართველოს საბჭო რელიგიურ საკითხებში 1990 წლის იანვარში დაიშალა. ეკლესიას სრულად დაუბრუნდა მისი ქონება, რამაც გამოიწვია დავები სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან, როგორებიც არიან კათოლიკეები და სომეხი გრიგორიანელები, და 1990 წლის აპრილში ეკლესიის ორგანიზაციები და თანამშრომლები გათავისუფლდნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან. რელიგიურმა თავისუფლებამ წამოჭრა საქართველოს ეკლესიის სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხი. ეროვნული მოძრაობის პარტიათა უმრავლესობა განსაკუთრებულ ეროვნულ როლს ანიჭებდა ეკლესიას. საქართველოს ეკლესია დაუბრუნდა თავის კონსერვატიულ ფესვებს, რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ რჯულზე, როგორც ეროვნულ სარწმუნოებაზე, მოქცევას და სხვა სარწმუნოებების – განსაკუთრებით – სხვა ქრისტიანული სარწმუნოებების, მათი განდგომის გამო – დაგმობას. ეკლესიამ, ნაცვლად იმისა, რომ გამოსულიყო მშვიდობისმყოფელის როლში, რომელსაც შესწევს უნარი, გააერთიანოს ყველა სარწმუნოება ერთი ეროვნული ქოლგის ქვეშ, გარიყა ისინი.

ეკლესია გახდა ეროვნული მოძრაობის სიმბოლო. მან განაგრძო თავისი მოღვაწეობა არაქართველების მიერ დასახლებულ რეგიონებში, მონაწილეობდა ქართული პარტიების ყრილობებსა და შეხვედრებზე, აწარმოებდა ქართველების დემოგრაფიული და ეკოლოგიური ჯანმრთელობის დაცვის კამპანიებს და კანდიდატებსაც წარმოადგენდა საქართველოს უმაღლეს საბჭოში. კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის გამოჩენა 9 აპრილის მიტინგზე, მის მიერ ეროვნული ლიდერის მერაბ კოსტავას დაკრძალვის ცერემონიალის წარმართვა 1989 წლის ოქტომბერში და საქართველოს ეროვნული ყრილობის გახსნა 1990 წლის მაისში – ყოველივე ეს სიმბოლური გამოხატვა იყო ეროვნულ რევოლუციასთან ეკლესიის სოლიდარობისა. ქართული პარტიები მხარს უჭერდნენ ეკლესიის ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, ქრისტიანული კავშირის პარტიამ ქრისტიანობა ეროვნულ ვალდებულებად გამოაცხადა.⁸¹ საქართველოს კომპარტიამაც კი აღიარა ეკლესიის როლი, აფინანსებდა მის მოღვაწეობას არაქართველთა შორის და პატრიარქის ეპისტოლეებს პარტიულ პრესაში გამოსცემდა.⁸²

და ბოლოს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ენის საკითხი იყო. ენას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისა და განათლების ხელმისაწვდომობისთვის ისეთ მრავალეროვან ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო. სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ქართულ-აფხაზური შეიარაღებული შეტაკება 1989 წლის ივლისში შეეხებოდა განათლების უფლებებს. ქართველებისთვის ენა იდენტობის მთავარი წყაროა. მათ, ისევე, როგორც ყოფილ საბჭოთა მოქალაქეთა უმრავლესობას, სწამთ ლინგვისტური ეროვნულობის კონცეფციისა. პოლიტიკური საზღვრები უნდა ასახავდეს ლინგვისტურ საზღვრებს, ხოლო დომინანტური ლინგვისტური ერი ქვეყნის შიგნით უნდა განსაზღვრავდეს ენის პოლიტიკას. გორბაჩოვის მმართველობის

დროს აღმოცენებული ახალი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ბუნებრივი (და, შესაძლოა, გონიერულიც) იყო რესპუბლიკაში ქართული ენის სტატუსის დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების მოლოდინი. გარდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამისა“, მინისტრთა საბჭოსთან ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია.⁸³ მის ფუნქციებში შედიოდა ლინგვისტური ნორმების ჩამოყალიბება და მთავრობისა და კულტურის დანერგებულებების მიერ სახელმწიფო ენის გამოყენების უზრუნველყოფა. 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადდა.⁸⁴ პრაქტიკული ზომები, რომლებიც მიიღეს ქართული ენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოიცავდა ქართულენოვანი საბჭები მანქანების, დეპეშის გასაგზავნი მონყობილობებისა და სატელეფონო ცნობარების შექმნას. ამგვარი ღონისძიებები, ქართული ენისთვის პრიორიტეტის მინიჭების შესახებ ქართული პარტიების მოთხოვნებთან ერთად, მათ შორის, ნორმაც (რომელიც იმ დროს არ იქნა მიღებული), რომ პარლამენტის წევრობის ყველა კანდიდატი ლაპარაკობდეს ქართულად, საფრთხეს უქმნიდა არაქართველ თემებს. ენა იყო ძალა და საქართველოს ეროვნული მოძრაობის იდეები, არაქართული ენების დასაცავად მიღებული მსგავსი ზომების გარეშე, უფრო მეტად ძაბავდა ეროვნული უფლებების ირგვლივ შექმნილ ვითარებას. ბუნებრივია, რომ სამხრეთ ოსეთის მკვიდრმა ოსებმა და აფხაზებმა, თავის მხრივ, შეიმუშავეს საკუთარი კანონმდებლობა თავიანთ ენებთან დაკავშირებით.⁸⁵

დასკვნა

1990 წლის შემოდგომაზე გაიმართა ორი მნიშვნელოვანი არჩევნები. პირველი იყო არჩევნები არაოფიციალური ეროვნული ყრილობისა, რომელსაც გამსახურდიამ „საეჭვო პირების თვითმარქვია ყრილობა“ უწოდა.⁸⁶ არჩევნებში მონაწილეობდა ექვსი ბლოკი 40 პარტიის შემადგენლობით (კენჭისყრის სამი რაუნდის შემდეგ ძლივს შედგა ამომრჩეველთა მონაწილეობის 50.8%). ყრილობის მონაწილეებმა უარყვეს არსებული საკანონმდებლო და საარჩევნო ჩარჩო. ყრილობამ, რომელშიც დომინირებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები, მოუწოდა საბჭოთა „საოკუპაციო ჯარების“ გასვლისკენ და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე მოსკოვთან დაუყოვნებელი მოლაპარაკების გამართვისაკენ. თუმცა, ამომრჩეველთა იმედის გამაცრუებელი გამოცხადების შედეგად, ეროვნული ყრილობის როლი დაქვეითდა – ალტერნატიული საკანონმდებლო ორგანოდან იგი საქართველოს ეროვნული მოძრაობის მაკოორდინირებელ ორგანოდ იქცა. ის იმოქმედებდა, როგორც სახალხო ორგანო და გააკონტროლებდა საქართველოს ახალ ხელისუფლებას.⁸⁷

თავის მხრივ, 28 ოქტომბრის საქართველოს უმაღლესი საბჭოს „ოფიციალური“ არჩევნების მონაწილეებმა, ეროვნული ყრილობისაგან განსხვავებით, აღიარეს ჩამოყალიბებული ინსტიტუტები და მხარი დაუჭირეს უფრო თანდათანობით გადასვლას დამოუკიდებლობაზე. უმრავლესობისა და პროპორციული წარმომადგენლობის შერეული სისტემიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველ ჭეშმარიტ მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ექვსმა პარტიამ და ხუთმა საარჩევნო კოალიციამ (რომლებიც აერთიანებდნენ კიდევ 23 პარტიას). ყველა მათგანი, მათ შორის, საქართველოს კომპარტია, იყო „დამოუკიდებლობის“ მომხრე. საარჩევნო კანონი, რომელიც 1990 წლის გაზაფხულის შემდეგ დებატების ცენტრში მოექცა, შეიმუშავა 32 წევრიანი ცენტრალური საარჩევნო კომისიამ. ოპოზიციის რაოდენობა სჭარბობდა კომისიის მცირე ბლოკს კომუნისტური პარტიის ხუთი თანამდებობის პირის შემადგენლობით. მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ართმევდა საარჩევნო უფლებას საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პირებს, რომელმაც დანერგა პროპორციული წარმომადგენლობისა და ერთწევრიანი რაიონების კომბინირებული სისტემა და გაამარტივა პარტიების დარეგისტრირების სისტემა, ამ პროცესიდან იუსტიციის სამინისტროს გამორიცხვით. თუმცა კანონის მიერ იმ პარტიების უარყოფამ, „რომელთა საქმიანობა არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“, შეზღუდა საქართველოს ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა. ამან გამოიწვია „აიდგილარას“ და „ადამონ ნიხასის“ მიერ ბოიკოტის გამოცხადება.

საარჩევნო კამპანიას აკვირდებოდა არაუმეტეს 40 საერთაშორისო დამკვირვებლისა და, მიუხედავად გაუთავებელი თავდასხმების და ძალმომრეობისა, მათ შორის, არჩევნებამდე ორი დღით ადრე გააჭანტურისას მკვლელობის მცდელობისა, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიამ (CSCE) გამოიტანა დასკვნა, რომ სახეზე იყო „სამართლიანი არჩევნების ორგანიზების მექანიზმებისა და პროცედურების შთაბეჭედავი მცდელობა“.⁸⁸ გამსახურდიას ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელიც მოუწოდებდა მინის პრივატიზებისა და მუნიციპალური ბინებით უზრუნველყოფისკენ, თავისდა გასაკვირად არჩეული იქნა ხმათა 54 პროცენტით და მოიპოვა 155 ადგილი 250-დან. საქართველოს კომპარტია მიიღო 29.6 პროცენტი და დაიკავა 64 ადგილი, სახალხო ფრონტმა – 12 ადგილი (ყველა ერთმანდატიანი საარჩევნო უბანი). ახალი უმაღლესი საბჭო, მიუხედავად მის მიერ კაპიტალიზმზე ეტაპობრივად გადასვლის მხარდაჭერისა, გახდა უპირატესად რადიკალური ნაციონალების ორგანო. მოხდა უმცირესობისა და ზომიერი ინტელიგენციის შეხედულებათა მარგინალიზაცია, ისევე, როგორც იმ არაქართველებისა, რომლებსაც არ ჰყავდათ სათანადო წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში. მიუხედავად ამომრჩეველთა 70-პროცენტისანი გამოცხადებისა,

არაქართველების უმეტესობამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაიზიარა „აიდგილარას“ და „ადამონ ნიხასის“ რეკომენდაციები არჩევნების ბოიკოტთან დაკავშირებით. მათი რაოდენობიდან გამომდინარე (აფხაზები შეადგენდნენ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის 1,8%-ს, ხოლო ოსები – 3%-ს), ისედაც ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ისინი მოიპოვებდნენ რეალურ წარმომადგენლობას. ცხინვალში, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში, ხმის მიცემის უფლების მქონე 40 000 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 7 000-მა მიიღო.⁸⁹

არჩევნები წარმოადგენდა დასასრულს იმისა, რასაც ბრუბეიკერი „პოლიტიკის მაძიებელ ნაციონალიზმს“ უწოდებს ანუ ეროვნული მოძრაობისა, რომელიც იბრძვის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის.⁹⁰ მართალია, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე წელიწადზე მეტი იყო დარჩენილი, საქართველოს ეროვნული მოძრაობა – ან მისი ერთ-ერთი ნაწილი – ახლა ხელისუფლებაში იყო. რევოლუცია ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს სახელმწიფო საქართველოს საკუთრება გახდა და შესაძლებელი იყო ქვეყნის ნაციონალიზაციის პროცესის დაწყება. 1985-1990 წლების პერიოდმა ხანგრძლივი გავლენა მოახდინა შემდგომ მოვლენებზე. პოლიტიკური ბრძოლის სასტიკმა მეთოდებმა, ურთიერთდადანაშაულებამ ღალატსა და შეთქმულებაში, განხეთქილებებმა და პრეტენზიებმა მონოპოლიურ მდგომარეობაზე შედეგად მოიტანა მწვავე ბრძოლა სახელმწიფოზე კონტროლის მოპოვებისთვის. ახალი რესპუბლიკა, მიუხედავად ქართველების მხრიდან კონტროლის და საერთაშორისო აღიარებისა, ზენოლის შედეგად დაიშალა.

თავი მესამე

კოვულიზმი საქართველოში: გამსახურდიას ფენომენი

ბუნაკერი

1 992 წლის 2 იანვარს საქართველოს ტელევიზიით გადაიცა ახლად-შექმნილი სამხედრო საბჭოს დეკლარაცია. დეკლარაციის თანახმად, „მიღებულ იქნა კონსტიტუციური გადაწყვეტილება, რომელმაც აღადგინა სამართლიანობა“. დეკლარაციაში დაგმობილი იყო პრეზიდენტ გამსახურდიას მთავრობა, რომელიც „იცავდა საქართველოს სსრ 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციების ტოტალიტარულ პრინციპებს“.¹ უარყოფდა რა გამსახურდიას ისტორიულ ლეგიტიმაციას, სამხედრო საბჭო ადასტურებდა, რომ 15 თვის წინ ერთხმად არჩეული პარლამენტი, დაითხოვეს და კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა. თბილისში საგანგებო მდგომარეობა და კომუნდანტის საათი გამოცხადდა. როგორც კი ახალი მთავრობა შეიქმნებოდა, სამხედრო საბჭო მოიხსნიდა უფლებამოსილებებს. ოთხი დღის შემდეგ 6 იანვარს 3:30 სთ-ზე ქანცგამოლეულმა გამსახურდიამ, რომელიც მთავრობის სასახლის სარდაფის კაფეტერიაში იყო გამოკეტილი, დარჩენილი მხარდამჭერები შეკრიბა და საარტილერიო ცეცხლის ხმაურში თვალცრემლიან მომხრეებს შეატყობინა თავისი გადაწყვეტილება დედაქალაქის დატოვების შესახებ. დაახლოებით 8 საათზე სამმა ჯავშნიანმა პერსონალურმა ავტომანქანამ, ორმა ავტობუსმა და რამდენიმე ავტომობილმა, რომლებშიც ისხდნენ გამსახურდია, თავისი ოჯახი და 80 ერთგული თანამოაზრე, დატოვა „ბუნკერი“ – ეს ტერმინი ოპოზიციას ჰიტლერთან პარალელის გასაველებად ჰქონდა შერჩეული. მთავრობის სასახლის ალყამ ბოლო მოუღო 15-თვიან ტრიუმფსა და ტრაგედიას. გასაქცევი გზის გავლით, რომელიც რუსულ ძალებს ჰქონდათ გახსნილი მისთვის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა სახალხოდ არჩეულმა პრეზიდენტმა, სიცოცხლის გადასარჩენად, თავი მეზობელ სომხეთს შეაფარა და უკან მოიტოვა დამსხვრეული ილუზიებისა და უიღბლო გადაწყვეტილებების შემზარავი სატანჯველი.² 107 ქართველი დაიღუპა და 527-ზე მეტი დაიჭრა. საქართველოს არქიტექტურული

საგანძური, სასტუმრო თბილისი და №1 სკოლა, ნანგრევებად იყო ქცეული³. გამსახურდიამ თავის 1990 წლის ნოემბრის ინაუგურაციაზე იწინასწარმეტყველა, რომ „საქართველო გახდებოდა მორალური სიდიადის მაგალითი მთელი მსოფლიოსათვის“, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ საქართველო იქცა არაკომპეტენტური ავტორიტარიზმის მაგალითად და ერთ-ერთ ისეთ სახელმწიფოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც ყველაზე ადრე იგემა წარუმატებლობა⁴. 1990 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ საყოველთაო ალტკინებული სულისკვეთებით არჩევიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ ზვიად გამსახურდია 54 წლის ასაკში სამეგრელოში საექვო ვითარებაში გარდაიცვალა.



ზვიად გამსახურდია მიმართავს საქართველოს პარლამენტს

ეს უჩვეულო მოვლენები ჩვეულებრივ ქართული ნაციონალიზმის დესტრუქციული ძალით აიხსნება. გამსახურდიას ხანა (1990-92) განიხილება როგორც ნაციონალიზმის მწვერვალი. მაგრამ ნაციონალიზმი ნებისმიერი დროის ქართული პოლიტიკის არასრული თეორიული ჩარჩოა გამსახურდიას აღზევებისა და დაცემის ჩათვლით. გამსახურდიას სწამდა ნახევრად მითოლოგიური და რასობრივად წმინდა ქართული წარსულის;

ის საქართველოს ადარებდა მეკდრეთით აღმდგარ ლაზარეს, მაგრამ გამსახურდიას დიდი პოპულარობა მხოლოდ ამ ფანტაზიებით არ იყო განპირობებული. ის სოციალური კონსერვატიზმის მიმდევარი გახლდათ და აპელირებდა ქართველთა შორის საბჭოთა პერიოდამდელი უმანკო დროებისადმი ნოსტალგიური სწრაფით, რაც გამოხატული იყო ტრადიციული ოჯახური როლით, მეგობრობით, რელიგიითა და თავგანწირვით, იმ თვისებებით, რომლებიც გამსახურდიას შინაგანად ქართულ თვისებებად მიაჩნდა.⁵ ის მიმართავდა „პატარა ადამიანს“, რომელსაც არ მისცემია შანსი, ეცხოვრა ქართული ნომენკლატურისათვის ხელმისაწვდომი პრივილეგირებული ცხოვრების წესით, ასევე ახალგაზრდობასა და ინტელიგენციას. მისი მხარდაჭერა სოციალური ჰეტეროგენულობით ხასიათდებოდა და ემყარებოდა, უსულგულო თანამედროვეობის და სოციალური არამობილურობის გამო დაგროვილ აღშფოთებას, რასაც სოციალური სტატუსისა და სიმდიდრის მოპოვების სირთულე და მსოფლიოს მიერ საქართველოს არალიარებით გამოწვეული უკმაყოფილება ემატებოდა. გამსახურდია საქართველოს თანამედროვეობის კრიზისს ასახავდა. მისი მთავრობა სწრაფად შეივსო სოციალურად მარგინალური ხელოვანებით, მღვდლებით და ყოფილი მსჯავრდებულებით, ახლა მათი დრო იყო.

გამსახურდია ექსტრემალურ ვითარებაში გამოჩნდა სარბიელზე: ქვეყნის დაშლა და ეკონომიკის ვარდნა სახიფათო სისწრაფით მიმდინარეობდა და საზოგადოებაც უკიდურესად პოლარიზებული იყო. მისი პოლიტიკური მეთოდები ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის რადიკალური ნარევი იყო. (უპირველეს ყოვლისა, გამსახურდია მესამე მსოფლიოს ბევრი ლიდერის მსგავსად, იმპერიული სისტემის პროდუქტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მწვავედ უპირისპირდებოდა საბჭოთა სტრუქტურებსა და ღირებულებებს, ის მაინც მათი მსგავსი ჩამოსხმის გახლდათ, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანდა კანონის, პრესის, პარლამენტისა და ოპოზიციის მიმართ გამსახურდიას პატერნალისტურ დამოკიდებულებაში. გამსახურდია ისე იქცეოდა, როგორც საბჭოთა პარტიული ბოსი; გულში ქართულ ეროვნულ ინტერესებს ატარებდა, მაგრამ ავტორიტარული ჩვევები საბჭოთა სისტემისგან ჰქონდა შესისხლხორცებული, რამაც ის, საბოლოოდ, დაამარცხა კიდეც.)

მეორე, გამსახურდია ცდილობდა შეექმნა კვაზიდემოკრატიული ხელისუფლება ზედაპირულად მოდერნიზებულ, მაგრამ ღრმად ტრადიციულ კულტურაში. ქრისტოფერ კლაფამმა (საქართველოს მსგავსი კულტურები დაახასიათა, როგორც ნეოპატრიმონიალური – სადაც სახელისუფლებო სტრუქტურების საფუძველი პირადი ურთიერთობები და სტატუსი იყო და სადაც ოფიციალურ და კერძო სამყაროს შორის განსხვავებები ძალიან მცირეა.⁶) ეს არის საზოგადოება, რომელშიც დომინირებენ პატრონები და კლიენტები, რომლებიც შეკრულნი არიან ეთნიკურობისა

ღა ნათესაობის ან ახლო მეგობრობისა ღა თანამშრომლობის ნიშნით. ასეთ საზოგადოებაში კაბინეტებში მოკალათებული პიროვნებები იქცევიან პოლიტიკური ძალაუფლებისა ღა რესურსების წყაროდ. ეს ღაგვეხმარება, რათა გავიგოთ იმის მიზეზი, თუ რატომ ვერ მოიკიდეს საქართველოში ფეხი პარტიებმა ღა ლეგიტიმურმა ეროვნულმა ინსტიტუტებმა, რომლებიც ხალხის მონანილეობას ემყარებოდნენ. ინსტიტუტი, როგორც ასეთი, პიროვნებისაგან განსხვავებით, პრინციპული მნიშვნელობის არ იყო ხალხისთვის.

მესამე, გამსახურღია არ მართავღა სუვერენულ სახელმწიფოს. საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სსრკ-ის დაშლამდე ანუ 1991 წლის დეკემბრამდე. (გამსახურღიას მანევრირება უწევღა მომაკვდავი იმპერიული სახელმწიფოს ფარგლებში, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევღა ძალა საქართველოს ხელისუფლებისთვის საბოტაჟი გავნია. მეოთხე, გამსახურღია აღმოჩნღა ეთნიკურად ღა პოლიტიკურად ფრამენტირებული სახელმწიფოს პირისპირ. არაქართველები ნაკლებად იჩენდნენ ლოიალურობას ახალი სახელმწიფოს მიმართ ღა ქართული ოპოზიცია, რომელიც ის-ის იყო გამოღიოღა მინისქვეშეთიდან, არ იცნობღა მშვიდობიანი მეტოქეობის წესებს. მას სახელმწიფოს კონტროლი მიაჩნღა ძალაუფლებისა ღა თვითგადარჩენის ერთადერთ გზად.)

(ღა ბოლოს, გამსახურღია აღმოჩნღა უპრეცედენტო ეკონომიკური კატასტროფის პირისპირ ისე, რომ მას ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის შესაქმნელად არ გააჩნღა არც რესურსები ღა არც კომპეტენტურობა. საქართველოს არ ჰქონღა თავისი ვალუტა ღა ვერ აკონტროლებღა ვაჭრობასა თუ მიგრაციას თავის საზღვრებზე. წარმატებული სახალხო მობილიზაცია ერთდროულად მოითხოვღა ღა წარმოშობღა კიდევ, რადიკალურ გადაწყვეტილებებს. სამხრეთ ოსეთისა თუ სხვა მსგავს საკითხებზე საუბრისას გამსახურღია იძულებული იყო დაედასტურებინა, რომ თავად უფრო რადიკალური იყო, ვიდრე ოპოზიცია.)

ასეთი პირობები ხელს უწყობღა ქარიზმატულ პოლიტიკას. გამსახურღიამ ვერ დაიცვა ლეგიტიმურობა გაუმჯობესებული ცხოვრების დონით. ადგილობრივი ბურჟუაზიის, სახელმწიფო შემოსავლებისა თუ უცხოური ინვესტიციების გარეშე, ის იძულებული იყო დაყრდნობოღა იმას, რაც გააჩნღა – თვითღინებაზე მიშვებული ფორმის სახელმწიფო სოციალიზმს, მასობრივ სწრაფვას ცვლილებებისადმი ღა საკუთარ პიროვნებას. საქართველოს ნეოპატრიმონიალური კულტურის კონტექსტში, ლეგიტიმური სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე, ხელისუფლებას პრეზიდენტი განასახიერებღა. ქარიზმა იყო გამსახურღიას ხელისუფლების ყველაზე სანდო წყარო. მათმა უმეტესობამ, ვინც გამსახურღიას მისცა ხმა, ხმა მისცა ადამიანს ღა არა პროგრამას. გამსახურღიას იდენტიფიკაციამ სახელმწიფოსთან მის მიმართ მონინება ღა დამთმობლობა გააღვივა, მაგრამ ასევე მოიტანა

ოპოზიციის წარმომადგენლების მოლაღატეებად შერაცხვა და უმცირესობის ვიქტიმიზაცია. ამან გააძლიერა პოლიტიკური ექსტრემიზმი ოპოზიციაში და ხელი შეუწყო სახელისუფლებო რეპრესიებს. კომპრომისისათვის ადგილი აღარ დარჩა. გამსახურდიას ხელმძღვანელობის სტილმა ძირი გამოუთხარა ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ წარმომადგენლობით ინსტიტუტებს საქართველოში; ის პირდაპირ მოუწოდებდა მასებს, რომ გადაელახათ ინსტიტუციური დაბრკოლებები. ეკონომიკურმა ქაოსმა ხელი შეუწყო განტევების ვაცების ძებნას. საქართველოში ესენი იყვნენ კომუნისტები, „ნითელი ინტელიგენცია“, სსრკ, ეროვნული უმცირესობები, და ბოლოს, დასავლეთი. საქართველო არ იყო განწირული პოპულისტური ავტორიტარიზმისათვის. გამსახურდიას პიროვნებამ და სტილმა კრიტიკული ფაქტორის როლი შეასრულა იმ ტრაგედიაში, რაც შემდგომ განვითარდა. ვაცლავ შაველი რომ ყოფილიყო საქართველოში, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა. მაგრამ საქართველოში არსებული ფსიქოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები გამსახურდიას პიროვნებისთვის იყო ხელსაყრელი და არა შაველის. მსგავსმა გარემოებებმა სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მსგავსი პიროვნებები და რეჟიმები წარმოშვა.

პოპულიზმი იდეოლოგიურად ბუნდოვანი და პოლიტიკურად მოქნილია. უმეტესად, ის ადვილად ერგება სხვადასხვა სოციოეკონომიკურ კონტექსტს; იღებს ურიცხვი რაოდენობის ორგანიზაციულ ფორმას და იფურჩქნება გარდამავალ პერიოდებში, როცა გარკვეულობა დაკარგულია, მომავალი კი – საფრთხის შემცველი. მას შეუძლია ფესვი გაიდგას ნებისმიერ სოციალურ კლასში; შეიძლება იყოს რურალური და არალიბერალური ან ურბანული და დემოკრატიული.⁸ ინტელექტუალური რაობისა და სოციოლოგიური შეუსაბამობის პრობლემის კვლევისას მარგარეტ კანოვანი თავის ნაშრომში პოპულიზმის შესახებ, მის შვიდ განმარტებას კეთავაზობს.⁹ თავად მისი აზრით, (პოპულისტური მოძრაობები „გულისხმობს გარკვეულ სახის ეგზალტაციას და „ხალხზე“ აპელირებას; და ყველა მათგანი ამა თუ იმ აზრით ანტიელიტისტურია.“¹⁰ ეს ნათელს ჰფენს ისეთი პოსტსაბჭოთა ფიგურებისათვის დამახასიათებელ არსებით თვისებებს, როგორებიც იყვნენ ელცინი, გამსახურდია და ლუკაშენკო. ამავე დროს, იკვეთება სხვა თვისებებიც: ეთნიკურად „სხვების“, ინტელექტუალების, ან უცხოეთის მთავრობების განტევების ვაცად გამოცხადება; სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკა (თუმცა არა უცილობლად საკუთრებაში მყოფი); პრესის მანიპულირება; ხაზგასმა ქარიზმატულ ძალაუფლებაზე; განსაკუთრებული ბედისწერა ერისათვის; ძლიერი საპრეზიდენტო სისტემით გამყარებული ხელმძღვანელის კულტი. მასობრივი დემონსტრაციები, პლემბისციტები და პოლიტიკური ზენოლა მასობრივი მობილიზაციის ინსტრუმენტია. გამსახურდიას რეჟიმი იმპერატორ ლუი ნაპოლეონის მსგავსად იმართებოდა

საყოველთაო თანხმობით, არჩევნებითა და რეფერენდუმებით, მაგრამ მას უკან სწევდა პოპულისტური იდეები და არადემოკრატიული სტრუქტურები.¹¹

ზვიად გამსახურდია

ზვიად გამსახურდია ადამიანის უფლებების გამორჩენილი დამცველი იყო 1960-იან და 1970-იან წლებში. ის გაიგივებული იყო რუსეთის დემოკრატიულ მოძრაობასთან. ის გახლდათ ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის (1974) და საქართველოს ჰელსინკის სადამკვირვებლო ჯგუფის (1977) ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1956 და 1989 წლებში სამჯერ იყო დაპატიმრებული, ბავშვობა გაატარა მოყვარული მამის მბრძანებლობის – მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას – გავლენის ქვეშ. თითქმის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ის გაუთავებელი კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისაგან (სუქ-ისაგან).¹² ყოველივე ამის გამო, არც არის გასაკვირი, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ავტორიტარული რეჟიმის ხელმძღვანელად მოგვევლინა ყოფილ საბჭოთა კავშირში, 1990 წლის ოქტომბერიდან 1991 წლის იანვრამდე. თუ დაუჟკირდებით მის გამონათქვამებსა და ნაწერებს ამ თანამდებობაზე არჩევამდე და არჩევის შემდეგ, დავინახავთ, რომ მისი სამიზნე იყო არა ადამიანის უფლებები, არამედ ქართველის უფლებები. არალეგალურად გამოცემულ ყურნალებში, რომლებიც მისი რედაქტორობით ან თანარედაქტორობით გამოდიოდა – „ოქროს სანმისი“, „საქართველოს მოამბე“ და „მოამბე“ - ის ხაზს უსვამდა რუსიფიკაციის საფრთხეს, ქართველების დემოგრაფიული შემცირების ტენდენციას, კორუფციას საქართველოს ეკლესიაში, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული თემების (როგორცაა ინგილო მოსახლეობა აზერბაიჯანში) სავალალო მდგომარეობას. მისი განსხვავება რუსეთის დისიდენტური მოძრაობის ლიბერალი წარმომადგენლებისაგან თვალნათლივ გამოჩნდა ე.წ. „გლასნოსტის“ შემდეგ. მაგალითად, 1990 წლის ივლისში გამსახურდია დაუპირისპირდა ანდრეი სახაროვს, ამ უკანასკნელის წინადადების გამო ახალი მულტინაციონალური კავშირის შექმნის შესახებ, სადაც ყველა ერს, მიუხედავად საბჭოთა ფედერაციაში მათი სტატუსისა, უფრო მეტი თანასწორუფლებიანობა ექნებოდა მინიჭებული. გამსახურდიამ ეს ახსნა როგორც იმპერიის შენარჩუნების მექანიზმი და არა ეროვნული თანასწორუფლებიანობის პრობლემის გადაჭრის გზა. როგორც ის აღნიშნავდა, ეს იყო „ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკის“ გაგრძელება და 1920 წლის მისის საქართველო-რუსეთის შეთანხმების უკანონო დარღვევა.¹³

გამსახურდიას ნაციონალიზმს დასავლეთში თავდაპირველად ხოტბას ასხამდნენ და ნათლავდნენ, როგორც ბრძოლას იმპერიული ცენტრის წინააღმდეგ. მაგრამ სსრკ-ს მასშტაბით მისმა ინტელექტუალურმა

იზოლაციაში, ალტერნატიული პოლიტიკური შეხედულებებისა და დებატების არარსებობამ, შეთქმულებისა და გადატრიალების შიშმა, რაც აღმოცენებული იყო სუკ-თან მისი მრავალწლიანი ურთიერთობის ნიადაგზე, ის თავდაცვით ეთნოპოპულიზმამდე მიიყვანა. მის კარგად ნაცნობ რიტორიკულ ჩამონათვალში შედიოდა: ეროვნული ერთობა, პატრიოტიზმი, თავგანწირვა, პატარა ადამიანის დაცვა ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, უცხოების არმილება და მტრების ძიება. 1970-იანებში გამსახურდიას ღვარძლი მიმართული იყო იმპერიის ცენტრისაკენ, 1980-იან წლებში კი მთელი გაღიზიანება გადაიტანა რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებზე, განსაკუთრებით მათზე, ვისაც მიიჩნევდა საქართველოსათვის არამკვიდრ (საბჭოთა კატეგორია) მოსახლეობად, როგორებიც იყვნენ სომხები და ოსები.¹⁴ 1980-იანების ბოლოსათვის გამოჩნდა ახალი მტერი – „წითელი ინტელიგენცია“ ანუ ისინი, ვინც ხელი შეუწყო ოფიციალური ქართული კულტურული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას. ყველა ამ ჯგუფის დემონიზაცია – რასაც დაემატა სტუდენტები, მედია, ყოფილი სახელისუფლებო მოხელეები, რადგან პოლიტიკური ცხოვრება იმ პერიოდში, სულ უფრო უღმობელი გახდა და პოლიტიკური მორჩილების მისაღწევად გამსახურდიას ბრძოლის შემადგენელ ნაწილად იქცა. ის ასახავდა ლენინისტურ მიდგომას პოლიტიკისადმი, რასაც იზიარებდა თითქმის ყველა პოლიტიკური ჯგუფი საქართველოში გამსახურდიას პრეზიდენტობის მთელ პერიოდში, როცა კანონის უზენაესობა იყო დაბრკოლება, ხოლო ზომიერება – კაპიტულაცია. ერთიანობის ძიებამ, რასაც ერთვოდა საბჭოთა პოლიტიკური განათლება აბსოლუტიზმზე, შეუცდომლობაზე, ბრძოლასა და თავდადებაზე აქცენტებით, მონიშნავდა მდგომარეობის ორ ბანაკად გაყოფას, სადაც ერთ მხარეს იდგა სწორი, ჭეშმარიტი და ერთგული და მეორე მხარეს – მცდარი, ყალბი და ვერაგი. კონსტიტუციური ლიბერალიზმი – რასაც ფარად ზაქარია სამოქალაქო უფლებების დაცვისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს – საქართველოში სიხალე და უმრავლესობის უფლებების განხორციელებისათვის დაბრკოლება იყო.¹⁵

გამსახურდიას და მის ოპონენტებს ქართველი „ხალხი“ მიაჩნდათ როგორც ისტორიულად წინ მდგომი ერთადერთი საზოგადოება, რომელსაც უნდა ესარგებლა ოდიტგან მინიჭებული უფლებებით თავის სამშობლოში. ამას მხარს უჭერდა თავის დროზე საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც ადგენდა „სუვერენულ“ საზღვრებს კავშირის რესპუბლიკებს შორის და ყოფდა საბჭოთა ნაციონალურ ჯგუფებს პრივილეგირებულ „მკვიდრ“ და ნაკლებად პრივილეგირებულ „არამკვიდრ“ მოსახლეობად. პრინციპში, ნებისმიერი მცდელობა, მოეწვივებინათ მკვიდრი მოსახლეობა თავიანთი ისტორიული მიწიდან, 1970-იანებში მიუღებლად იყო მიჩნეული, თუმცა, რეალურად, მაჰმადიანი მესხებივით გადასახლებულ ხალხებს უჭირდათ მამა-პაპათა მიწაზე დაბრუნება.¹⁶ გამსახურდიას განცხადება, რომ მკვიდრ

მოსახლეობას თანდაყოლილი უფლება აქვს და არამკვიდრს – არა, სწორედ ამ პოლიტიკიდან იღებდა სათავეს. ეს მხოლოდ საქართველოსათვის არ არის დამახასიათებელი, (ეს ნამყვანი პრინციპია ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორებიცაა გერმანია და იტალია, სადაც არამკვიდრ მოსახლეობას ნაკლები უფლებები აქვთ მინიჭებული.) გამსახურდიას საქართველოში ეს ნიშნავდა, რომ საბჭოთა პოზიტიურ დისკრიმინაციას, რომელიც იცავდა ეროვნულ უმცირესობებს (თუმცა სუსტად) ყველი გაუვიდა. ლოგიკურად, არამკვიდრ ხალხს, თუ ისინი არ ფლობდნენ ტერიტორიებს, შეიძლებოდა საცხოვრებელი უფლებების დაკარგვის საფრთხე შექმნოდათ.) საქართველოში ემოციური რიტორიკა, რომელიც ქადაგებდა გამორჩეული ჯგუფებისათვის კანონით უპირატესობის მინიჭებას, არამკვიდრთა გასაგონად ხაზს უსვამდა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ იყო მათი სახელმწიფო. ამერიკელ ჟურნალისტთან ინტერვიუში გამსახურდია ბრალს სდებდა აზერბაიჯანელ და ოს იმიგრანტებს, რომლებიც „ფეხქვეშ თელავენ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის უფლებებს“ და „ცდილობენ ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა სიცოცხლე“.17 კახეთში სიტყვით გამოსვლისას, სადაც გაიმართა დისპუტი ადგილობრივ ლეკებთან (დაღესტნის წახურ და ავარიულ ტომთა ქართული სახელწოდება) მან განაცხადა:

„კახეთი ყოველთვის იყო დემოგრაფიულად ყველაზე სუფთა რეგიონი, სადაც ქართული ელემენტი მუდამ სჭარბობდა, მუდამ მძლავრობდა. ახლა ისე მოგვიწყვეს საქმე ამ კომუნისტებმა, რომ საგონებელში ვართ ჩავარდნილნი, როგორ გადავარჩინოთ კახეთი. აქეთ თათრობა ეძალება, იქით ლეკობა ეძალება, აქეთ სომხობა ეძალება, აქეთ ოსობა ეძალება და სადაცაა კახეთს გადაყლაპავენ...“^{18 1}

ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, გამსახურდია ყველას აფრთხილებდა, რომ მხოლოდ ისინი მიიღებდნენ მოქალაქეობის და მიწაზე საკუთრების უფლებას, ვინც ხმამისცა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს დამოუკიდებლობას. გამსახურდიას დაჟინებული სწრაფვა იდეოლოგიურად მართებულისადმი, ლენინის პოლიტიკას წააგავდა, რომელიც ადრე თუ გვიან წინააღმდეგობის მოძრაობას წარმოქმნიდა ქვეყნის შიგნით. შიდა და გარე მტრებთან ბრძოლა ამართლებდა სხვაგვარად მოაზროვნეების რეპრესიებს და საფუძველს უყრიდა მტრულ კამპანიას ალტერნატიული პოლიტიკური იდეოლოგიების წინააღმდეგ, მაგალითად, ლიბერალურის, რადიკალურისა თუ კომუნისტურის. გამსახურდია გამუდმებით სასაცილოდ იგდებდა ე.წ. ოპოზიციას და უწოდებდა უბადრუკს, „უმცირესობას“, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი პლატფორმა, „კრიმინალურს“ და „ანტიკონსტიტუციურს“.

¹ გაზეთი „ივერია“; 6.06 1990 № 23

შევარდნაძესთან და მოსკოვში თავმოყრილ სხვა შეთქმულებთან შეკრულს.¹⁹

ყველა პოპულისტის მსგავსად გამსახურდია კრიზისის პირობებში გაძლიერდა, თუმცა სწორედ კრიზისის მართვის უუნარობამ დაამხო ის საბოლოოდ. ომის პერიოდში გამსახურდიას შეეძლო ემტკიცებინა, რომ სახელმწიფოს გადარჩენისათვის ერთობა იყო უმნიშვნელოვანესი, ხოლო პლურალისტური სტრუქტურები და ინტერესთა ჯგუფები – მეორეხარისხოვანი. ლენინის გამონათქვამი, რომ წარმოება დემოკრატიაზე ადრე გაჩნდა, მეორდებოდა გამსახურდიას თვალსაზრისში (თუმცა არ არსებობს დამამტკიცებელი საბუთები, რომ მან ეს საჯაროდ განაცხადა), რომ დემოკრატია მეორეხარისხოვანია სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან შედარებით. გამსახურდიას განცხადებები, რომ ადამიანი უნდა ჰგავდეს „ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, ალესილ სამართებელს და არა შეშინებულს“, გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ლენინის აზრებთან მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია შთაგონებული იყო იოანეს გამოცხადებით.²⁰ კონფლიქტმა გამსახურდიას ძალაუფლება მიანიჭა: ის წარმოადგენდა სეპარატიზმის და რეგიონალიზმის ძალების წინააღმდეგ შემდგარ ერთობას. ერნესტო ლაკლაუ თავის კვლევაში პოპულიზმის შესახებ ამგვარი სახის არგუმენტებს უწოდებს „პოლიტიკური სიფრცის გამარტივებას“.²¹ სახალხო ბრძოლა ერთიანდება ერთი საკითხის ირგვლივ და პოლიტიკურ სირთულეს „ჩვენთანებად“ და „სხვებად“ ხედვა ანაცვლებს. გამსახურდიას საქართველოში „ისინი, სხვები“ ინტელექტუალები, ექსპერტები, უცხოები და იმპერიალისტები იყვნენ, რომლებსაც ერთი რამ აერთიანებდათ – „ხალხის“ ექსპლუატაცია. ისინი საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოების ორგანულ ერთიანობას და, მისი აზრით, დიდი შეთქმულების მოწყობაც შეეძლოთ.²² 1991 წლის სექტემბერში მან ოპოზიციურ „ხუნტაში“ გააერთიანა:

✓ „ხალხი, რომელიც ნაწყენია რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე, ვინც დაკარგა მაღალი თანამდებობები, მათი ნათესავეები, ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელმაც დაკარგა კომუნისტების დროს მიინიჭებული პრივილეგიები, უზნეო კომუნისტური მედია, ახალგაზრდობის ნაწილი, რომელიც ე.წ. ეროვნული კონგრესის პროპაგანდამ და მხედრონის კრიმინალურმა დაჯგუფებამ ააცდინა სწორ გზას.“²³

✓ ოპოზიციისადმი უნდობლობა ასახავდა არა მხოლოდ გამსახურდიას პიროვნებას, არამედ ქართული საზოგადოების შიგნით არსებულ განხეთქილებებსაც. მმართველობის პირველ თვეებში გამსახურდიას თითქმის უნივერსალური მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ მისი აქტიური მიმდევრების ბირთვი, რომელიც დომინირებდა პარლამენტში და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, არ წარმოადგენდა კულტურულ, პოლიტიკურ და აკადემიურ ელიტას. საკუთარი ხმის დაკარგვით აღშფოთებული ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ხალხის სინდისის გა-

მომხატველად მიიჩნევენ თავს, მათ „მდაბიობებს“ და „პროვინცილებს“ უწოდებდნენ. როცა ძველი კულტურული ელიტა დაუპირისპირდა ახალი ხელისუფლების ავტორიტარულ პოლიტიკას, გამსახურდიამ და მისმა მიმდევრებმა დაუყოვნებლივ გამოაცხადეს ისინი „ნომენკლატურულ ინტელიგენციად“. რომელიც შებლალული იყო ძველი კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მინიჭებული პრივილეგიებით. ისინი მონათლეს ელიტის წარმომადგენლებად, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის მიუწევდომლებად, მეტისმეტად დახვეწილებად, ევროპიზირებულებად, იმ „რეალური“ ქართული ფასეულობებისაგან მონყვეტილებად, რასაც განასახიერებდა ჩვეულებრივი ხალხი.²⁴ მიზანში ამოიღეს უნივერსიტეტები და, როცა 1991 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ხელისუფლება განსაკუთრებულად დასუსტდა, თბილისში პროვინციელი მხარდამჭერები ავტობუსებით ჩამოიყვანეს პარლამენტის შენობის დასაცავად, როგორც პერონის არგენტინაში – „დესკამისადოები“. გამსახურდიას, მეგრული წარმოშობის წყალობით, დიდი მხარდაჭერა ჰქონდა საქართველოს დასაფლეთში – სამეგრელოში.

ედუარდ შილსი მიიჩნევს, რომ პოპულიზმი არის „მეტროპოლიასა და პროვინციას შორის დაძაბულობის შედეგად წარმოშობილი ფენომენი“. კუთხური ერთგულება და ქალაქი-სოფლის დაყოფა მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო საქართველოს შიდა კონფლიქტში. 1991 წლის შემოდგომაზე მთავრობის სასახლის ალყის დროს გამსახურდიას მონინალმდეგეებმა ქართულ დროშასთან ერთად ბარიკადებზე თბილისის დროშაც ააფრიალეს. სექტემბერში გამსახურდიას მომხრეებმა ახალი ლოზუნგი გააჟღერეს „თბილისელებო, გაეთრიეთ ქალაქიდან“. იმავე თვეში, გაძლიერდა რა ძალადობა, გამსახურდიამ მიუთითა, რომ „თბილისელების სახელით არათბილისელებს უსწორდებოდნენ“.²⁵ ჯაბა იოსელიანმა გამსახურდია დაადანაშაულა „სოფლისა და ქალაქის დაპირისპირებაში“.²⁶ 1991 წლის მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ პროპორციულად ურბანულ ცენტრებში, კერძოდ, თბილისსა და ბათუმში ამომრჩეველთა ყველაზე ნაკლებმა რაოდენობამ მისცა ხმა გამსახურდიას, ხოლო ოპოზიციურმა კანდიდატებმა თბილისის ფეშენებელურ რაიონებში – ვერასა და ვაკეში – ყველაზე მეტი ხმა მოიპოვეს. რეგიონებში ბევრი გაღიზიანებული იყო იმ პრივილეგიების გამო, რითაც სარგებლობდა დედაქალაქი. თბილისი, მესამე მსოფლიოს მთავარი ქალაქების მსგავსად, „დანარჩენებისაგან“ სოციალური და ეკონომიკური უფსკრული ჰყოფდა. ის შთანთქავდა რესურსების ლომის წილს და კარნახობდა პოლიტიკის რეგიონებში.

ქალაქი-სოფლის დაყოფა სხვა სოციალურ უთანხმოებებთანაც იყო გადახლართული. გამსახურდიას მხარდამჭერთა ბირთვს წარმოადგენდა კომუნისტების დროს ნაკლებად პრივილეგირებული მოსახლეობის ნაწილი. ეს

მხარდაჭერა განსაკუთრებით ძლიერი იყო ქალებს, დაბალი თანამდებობის მოხელეებს (მასწავლებლების ჩათვლით), მუშებსა და პენსიონერებს შორის. ძველი იერარქიების დამხობით გათავისუფლებული და ძალაუფლებისა და პრივილეგიების ტრადიციული დიფერენციაციით აღშფოთებული მოსახლეობის ეს ნაწილი იწონებდა გამსახურდიას მიერ ძველი მეტროპოლიური ელიტის „მინასთან გასწორებას“. გამსახურდიას მიერ „რიგითი ადამიანის“ აქცენტირებას ემატებოდა მითითება საქართველოს გმირულ წარსულზე. გამსახურდია, რომელიც თავყვანს სცემდა შუა საუკუნეების ქრისტიანული საქართველოს რაინდ გმირებს, თავის თავს წარმოიდგენდა იმ ქართველი ქრისტიანი მეფეების მემკვიდრედ, რომლებმაც გაათავისუფლეს ქვეყანა უცხოური უღლისაგან ან განდევნეს მტრული ელემენტები საქართველოს ტერიტორიებიდან. სტატიაში, რომელშიც ხოტბას ასხამდა მწერალ მამას, მან ჩამოთვალა ის დიდი სახელები საქართველოს წარსულიდან, რომლებიც ასეთ გმირთა ტიპურ ნიმუშებად მიაჩნდა:

„კონსტანტინე გამსახურდიას გმირებმა თავი შესწირეს, უპირველეს ყოვლისა, სოციალური იდეალების სამსახურს. ისინი თავისუფალნი არიან საკუთარი პირადი ბედნიერებისა თუ ეგოსაგან. დიდი ხუროთმოძღვარი არსაკიძე, დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი... განა მათ თავი არ შესწირეს მამულს? განა მათ თავიანთი სოციალური იდეალებისადმი ერთგულებით არ დაამტკიცეს ერთგულება ქრისტეს ყველაზე მნიშვნელოვანი მცნებებისადმი?“²⁷

გამსახურდიას ეპოქაში საფუძველი დაედო ძველი ბრწყინვალეებისა და დაკარგული ტრადიციების აღორძინებას, რაც ეროვნული სიმბოლოების, დღესასწაულებისა და ქუჩებისათვის ქართული სახელების აღდგენით დაიწყო, მაგრამ სწრაფად გადაიზარდა ვნებათაღელვად პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. გამსახურდიას მთავრობა ხელს უწყობდა განათლების ნაციონალიზაციას; ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პირველი, რაც გაკეთდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-21) დროშის, ჰიმნისა და გერბის აღდგენა იყო. ის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ქართულ სახელმწიფოებრიობასთან აიგივებდა და ხელს უწყობდა მის ევანგელისტურ საქმიანობას არაქართულ რაიონებში. ქართული ენა იყო განდიდებული – გამსახურდია მას უწოდებდა „ლაზარეს ენათა შორის“ უკვდავსა და ღვთიურს. სახელმწიფო ხელს უწყობდა ქართველთა დასახლებებს არაქართულ რეგიონებში.²⁸ გამსახურდიას რიტორიკა ხაზს უსვამდა აღორძინებასა და მკვდრეთით აღდგომას, ქართული კულტურის უძველეს სიმბინდეს და ქართველების უწყვეტ კავშირს თავიანთ წინაპრებთან. პოპულარულ ბროშურაში „საქართველოს სულიერი მისია“, რომელიც 1990 წელს თბილისის ფილარმონიის დარბაზში გამართულ

ანტროპოსოფიულ დღესასწაულზე წარმოადგინა, ქართული ცივილიზაციის წარმოშობას მესიანისტური ტერმინოლოგიით აღწერდა. გამსახურდია ქართველებს იუპიტერის „თეთრ რასასთან“ აკავშირებდა, ძველ კოლხებს განიხილავდა ელინური კულტურის დამაარსებლებად და ამტკიცებდა, რომ აქილევსი იყო „ქართველური ხალხის“ (ანუ ქართველების) წარმომადგენელი. ის იმონებდა ქართულ რელიგიურ და ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში გამოთქმულ შეხედულებას, რომ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქრისტიანობის განვითარებაში ღმერთთაგან განსაკუთრებული ურთიერთობის ჩათვლით. ქვეყნის წარსულის გამსახურდიასეული ხედავ - ძღვეამოსილი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელსაც მართავენ ქართველები - ემყარებოდა მისსავე იდეალს, - შერენფოლკის დემოკრატიას, სადაც სულიერად და კულტურულად წინმდგომი ქართველები იქნებოდნენ დაშვებული სახელმწიფოს მართვის სადავეებთან.

თითქმის ყველა პოპულისტური მოძრაობის უმთავრესი ნიშანი მთელი ძალაუფლების კონცენტრირებაა ლიდერის ხელში. ქარიზმატული „პიროვნების კულტი“ მთავრობის მიერ ორგანიზებული მიტინგებისა და დემონსტრაციების პარალელურად ვითარდებოდა. გამსახურდია ცენტრალური ევროპის იმ ქვეყნების ლიდერებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ახალი მოპოვებული ჰქონდათ დამოუკიდებლობა და რომლებიც მხარს უჭერდნენ საპარლამენტო სისტემას, დაჟინებით მოითხოვდა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას. მისთვის ლიდერის იდეალები იყვნენ რონალდ რეიგანი და გენერალი დე გოლი.)ის ამტკიცებდა, რომ ქართული ეროვნული ხასიათისათვის ზედგამოჭრილი იყო ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება: „საპარლამენტო რესპუბლიკა ჩვენთვის ნიშნავს ერისა და პარლამენტის ნგრევას... საპრეზიდენტო წყობა ერთადერთი საშუალებაა ჩვენი ხალხის ხსნის. უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი საპრეზიდენტო წყობა... ამის გარეშე საქართველო ვერ იარსებებს...“²⁹

გამსახურდია აქტივისტური სახელმწიფოს მომხრე იყო, სახელმწიფოსი, რომელიც მეტ კონტროლს დაამყარებდა ეკონომიკაზე. გამოუცდელმა მთავრობამ, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული უმუშევრობისა და ფასების ზრდის უარყოფითი გავლენა მის მხარდაჭერაზე, ძველი ბიუროკრატიული აპარატი ადგილზე დატოვა, რათა შეენარჩუნებინა მართვის უნარი და გაეკონტროლებინა სუბსიდიები და დასაქმების დონე. 1991 წლის მაისში გამსახურდიამ შეამცირა ფასები ტრანსპორტსა და პურზე. (ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის საჯაროდ ნაკისრი ვალდებულებების მიუხედავად, სახელისუფლებო მონოპოლიები ხელ-შეუხებელი რჩებოდა; ნიაღისეულის, სტრატეგიული მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოებისა და მინის მესაკუთრე ისევ სახელმწიფო იყო. იმის შიშით, რომ პრივატიზაციის შედეგად მინა არაქართველების საკუთრებაში

აღმოჩნდებოდა, გამსახურდიამ, პირველ რიგში, კოლექტიური მეურნეობები სახელმწიფო მეურნეობებად გარდაქმნა სოფლად. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ჩარევის პოლიტიკა განპირობებული იყო ეკონომიკის სისუსტით. საპრივატიზაციო კანონმდებლობა შემუშავდა, მაგრამ ისევ სახელმწიფო რჩებოდა შემოსავლის ერთადერთ რეალურ წყაროდ. არ შემოდიოდა არავითარი დახმარება უცხოეთიდან, არ ბრუნავდა კერძო კაპიტალი, არ არსებობდა ადგილობრივი ბურჟუაზია და, ამასთან, მთავრობას არ ჰყავდა უცხოელი თუ ადგილობრივი ექსპერტი, რომელიც რჩევებს მისცემდა, თუ როგორ უნდა ემოქმედა.) გამსახურდია დღევანდელი ქართველი ლიდერებისაგან სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში იმყოფებოდა.

საბჭოთა ეკონომიკური სტრუქტურების შენარჩუნება გახლდათ ის ნაკლებრისკიანი პოლიტიკა, რომელსაც გზად ბევრი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა სწრაფი პოლიტიკური ცვლილებების ხანაში. გამსახურდიას გარემოცვაში რამდენიმე ადამიანი მუშაობდა სახელმწიფო კაპიტალიზმის თეორიაზე, მაგალითად, მისი ბოლო პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი. 1991 წლის აგვისტოში წარმოდგენილ ეკონომიკური პროგრამაში პრეზიდენტი ირწმუნებოდა, რომ კონვერგენციის მოძველებული თეორია მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოსთვის.³⁰ გამსახურდია რონალდ რეიგანს იმონშებდა კაპიტალიზმის ღირსებების შესახებ, მაგრამ ჩანდა, რომ ინსტინქტურ სიძულვილს განიცდიდა ბაზრის მიმართ. ის პროტესტს უცხადებდა „ხალხის სისხლის მწოველებს“, მაგალითად, კოოპერატივებს, რომლებსაც დახურვით დაემუქრა ფასების ზრდის გამო და ვეტო დაადო პრივატიზაციის შესახებ თავდაპირველად მიღებულ კანონს იმ მიზეზით, რომ თითქოსდა კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არ შეყავდა. ის მტრულად უყურებდა ერთობლივ სანარმოებს და თავის საინაგურაციო სიტყვაში 1991 წლის ივნისში ისაუბრა „სოციალურ ბაზარზე“ და სოციალური უფლებების, მათ შორის, სოცუზრუნველყოფის მთელი რიგი ღონისძიებების, თავისუფალ შრომასთან შეთანხვების საჭიროებაზე.³¹ ხელისუფლებაში მოსვლიდან 15 თვის განმავლობაში არანაირი ღონისძიება არ გატარებულა დემონოპოლიზაციისა და პრივატიზაციის მიზნით. საგამომცემლო საქმე, გაზეთებისათვის ქალაქის მიწოდება და თითქმის მთელი წარმოება ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ რჩებოდა. საქონლის უმეტესი წილი, განსაკუთრებით, კვების ძირითადი პროდუქტები, ფასების კონტროლისაგან თავისუფალი არ იყო. უამრავი დასახელების კვებისა და სამრეწველო პროდუქტების ექსპორტი აკრძალული იყო ან მკაცრად რეგულირდებოდა, რაც მთავრობას აძლევდა უცხოეთთან ვაჭრობის დე ფაქტო კონტროლის უფლებას და ზრდიდა საქართველოს ეკონომიკურ იზოლაციას.³² 1991 წლის შემოდგომაზე საქართველომ უარი თქვა, ხელი მოეწერა შემოთავაზებულ ეკონომიკურ ხელშეკრულებაზე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

რას აკეთებდა გამსახურდია, ნეოკორპორატიულ ეკონომიკას უჭერდა მხარს თუ საქართველოს სტრატეგიულ და ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს იცავდა? რა უნდა გაკეთებულიყო საქონლისა და კაპიტალის საქართველოდან გადინების შესაჩერებლად? გონივრული იქნებოდა თუ არა, რომ, ჯერ ინვენტარიზაცია ჩატარებინათ და შეეკრიბათ ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური აქტივების შესახებ, სანამ პრივატიზაციის კამპანიაში ამოყოფდნენ თავს, რომლის მსგავსი პრეცედენტიც აქამდე არ ყოფილა და არც არანაირი სტრუქტურა არ არსებობდა მის განსახორციელებლად? რა მოტივაციაც არ უნდა ჰქონოდა გამსახურდიას ეკონომიკური რეფორმების დასაყოვნებლად, ბაზრის შესახებ მისი მწირი ცოდნის, ფასების მასობრივად სუბსიდირების (პურის ფასი ოთხჯერ შემცირდა საბჭოთა კავშირში პურის ფასთან შედარებით) რუსეთისადმი მტრული დამოკიდებულებისა (საქართველოს ძირითადი მომმარაგებელი ნედლეულით) და მისი პოლიტიკის სანინალმდეგო და გაფიცვებისა და სარკინიგზო ბლოკადისკენ უგუნური მონოდებების გამო, საქართველო ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დადგა. პრეზიდენტის მმართველობაში სჭარბობდა ეკონომიკის კონტროლის საბჭოური ჩვევა. 1991 წლის აგვისტოსთვის საქართველოს მთლიანმა ეროვნულმა შემოსავალმა იკლო 16.7%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო პროდუქტიულობა დაეცა 15.9 პროცენტით.³³ 1990 და 1992 წლებში – უპირატესად გამსახურდიას მეთვალყურეობით – მონეტარული ემისია გაორმაგდა და 2.6 მილიარდი მანეთი შეადგინა. ენერგეტიკულმა კრიზისმა სტრატეგიული მნიშვნელობის ქარხნები ენერგეტიკული მოთხოვნების 15-50 პროცენტის, ხოლო გადამზდი ტრანსპორტი – გაზის 44%-ის ამარა დატოვა. გამსახურდიას მცდელობა, შეენარჩუნებინა ხალხის მხარდაჭერა ფასების კონტროლის მეშვეობთ, ველარ მალავდა იმ ფაქტს, რომ საშუალო ქართველის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა, კორუფცია გავრცელდა, პური და შაქარი ნორმირებული გახდა და ეკონომიკა 1920 წლის შემდეგ ყველაზე ღრმა კრიზისმა მოიცვა.

ძველი ყაიდის ეკონომიკასთან ერთად გამსახურდია მხარს უჭერდა სოციალურ კონსერვატიზმს. თავის პირველ მიმართვაში ჰარლამენტისადმი 1990 წლის ნოემბერში ის აცხადებდა, რომ საქართველოში გაზრდილი დამნაშავეობა (კრიმინალი) და სხვა სოციალური სირთულეები რელიგიის განადგურების შედეგი იყო. სოციალური ჰარმონიის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ „რელიგიური აღორძინებით, ახალგაზრდობის შესაბამისად აღზრდით და საზოგადოებაში მორალური იდეალების დამკვიდრებით“.³⁴ ის შემფოთებული იყო ქართველი მოსახლეობის კლებით, მოუწოდებდა ქალებს, დაბრუნებოდნენ ოჯახურ კერას და ამისათვის ქორწინების ასაკი დანია ქალებისთვის 18 წლიდან 16-მდე. ის მოითხოვდა, დაეხურათ ვიდეომაღაზიები და ეკლესიის მხარდაჭერით მოუწოდებდა წყვილებს, უარი ეთქვათ განქორწინებაზე. პოპულიზმი უბრალო ხალხისათვის

ხელისუფლებაში გზის გახსნას გულისხმობს, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში მასობრივი მიტინგები და ეგალიტარული რიტორიკა სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობის ზრდაზე ვერ აისახა. ძალაუფლების კონცენტრაციამ, ძლიერმა პატრონაჟულმა სისტემამ, სოციალურად კონსერვატიულმა იდეოლოგიამ, რაც ხელს არ უწყობდა ქალების პოლიტიკაში ჩაბმას და ნაციონალისტურმა იდეოლოგიამ, რაც ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაციას ახდენდა, წარმოქმნა პრივილეგიების არალიბერალური სისტემა, სადაც ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობა ოდნავ უკეთესი იყო, ვიდრე კომუნისტების პერიოდში 1980-იანი წლების შუა ხანებში. გამსახურდიამ არისტოკრატულს მიერ ნაწინასწარმეტყველები დემოკრატიის დამცველის ბედი გაიზიარა, რომელიც მებრძოლ დესპოტად გადაიქცა. ქარიზმატულ პიროვნებაზე დაყრდნობით ხელისუფლების ერთადერთი ცენტრის შექმნა ვერ გახდება ძალაუფლების სტაბილური წყარო. დიდი პოლიტიკური ოსტატობაა საჭირო იმისთვის, რომ ხელისუფალმა მოახერხოს ბიუროკრატიის, არმიის კოოპტაცია, ოპოზიციის მარგინალიზაცია და მოსახლეობის მოლოდინები უკეთესი ცხოვრების შესახებ რეალობას შეუსაბამოს. გამსახურდიასთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ამ ყველაფრის მიღწევა.

ქართული პოპულიზმის სტილი

სტილი მნიშვნელოვანია პოპულისტი ლიდერებისათვის, და გამსახურდიასაც მთელი რიგი სტილისტური თავისებურებები აახლოებდა ზუან პერონთან, ჰიუი ლონგთან და უგო ჩავესთან. მას ჰქონდა ბუნებრივი უპირატესობებიც – გახლდათ პოპულარული მწერლის ვაჟი, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ლექტორი, შექსპირისა და ოსკარ უაილდის მთარგმნელი და საქართველოში ყველაზე ცნობილი უფლებადამცველი. სხვებთან შედარებით ახალგაზრდა, წარმოსადეგ და შთაბეჭდავ მჭევრმეტყველს, გამსახურდიას, საქართველოს წრფელი სიყვარული და პატრიოტიზმი ამოძრავებდა. თავდაპირველად მედია მისი გავლენის ქვეშ მოექცა, ვინაიდან მიუჩვეველი იყო სახელმწიფოს ლიდერების კრიტიკას. გაზეთები და ტელევიზია პოპულარიზებას უწევდნენ ლიდერის კულტს, რაც იმ ჰიპერბოლის პაროდისა წარმოადგენდა, რომლის გარემოცვაშიც იყვნენ მოქცეული საბჭოთა პოლიტიკოსები. მას ხოტბას ასხამდნენ კოლეგები, პარლამენტარები, და მწერლები, როგორც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს, დიდი ქართველი მეფეების ჭეშმარიტ მემკვიდრეს. ზოგი ამტკიცებდა, რომ ის ღვთაებრივად იყო დანიშნული. იგი ასოცირდებოდა ქრისტიან ჯვაროსნებთან, წმ. გიორგისთან (საქართველოს მფარველ წმინდანთან) და

ქართული ლიტერატურული და მითოლოგიური მეტროდოლ გმირებთან შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“. ტიპურ პანეგირიკში საქართველო უზენაესი საბჭო ახცადებდა, რომ „თქვენ [გამსახურდია] განასახიერებთ ყველა ჩვენს წინაპარს, რომელიც სიმართლისათვის იბრძოდა“.³⁵ მისი ნაშრომები, ქართულზე ორიენტირებული და ღრმად რელიგიური, ფასდებოდა როგორც დიდი წვლილი ქართულ მეცნიერებაში.³⁶ მისი სურათები ამშვენებდა ოფისებსა თუ სახლებს და დღე არ გავიდოდა, რომ მედიას მისი შელამაზებული ფოტო არ გამოექვეყნებინა – იქნებოდა ეს ეკლესიაში, მიტინგზე გამოსვლისას, საქართველოს დროშით ხელში, ან ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი და ფიქრებში ჩაძირული. ამ პერიოდში შექმნილი ერთი სიმღერა ასე იწყებოდა „ზვიადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო...“³⁷ ეს ყველაფერი გამსახურდიას თავში აუფარდა. მადამ დე პომპადურის მსგავსად წარმოიდგინა, რომ მის წასვლას ქაოსი მოჰყვებოდა. როგორც თავად აცხადებდა, თანამდებობიდან მის წასვლას:

*„ახლო მომავალში მოჰყვებოდა საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრული დაშლა და განადგურება, როგორც ასეთის და ტოტალური ანარქია მთელ საქართველოში და, განსაკუთრებით, თბილისში... საქართველო გახდება ტოტალური ანარქიის მსხვერპლი და საქართველოს არსებობა, მისი მომავალი ზოგადად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.“*³⁸

გამსახურდიამ მოახდინა პოლიტიკური ძალების პოლარიზება. ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ მის ლექსიკაში ჭარბობდა 1930-იანი წლების სსრკ-სთვის დამახასიათებელი აპოკალიფსური ლოზუნგები, რაც ქმნიდა ისეთ ატმოსფეროს, რომელსაც ერთმა მეცნიერმა „საზოგადო შეშლილობა“ უწოდა.³⁹ პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატის განცხადებით ის ხალხი, რომელიც „ნებსით თუ უნებლიედ“ მხარს უჭერდა მტერს, იყო „ქართველი ხალხის მტერი“.⁴⁰ გამსახურდიას შეხედულება პოლიტიკაზე კონფლიქტური იყო, სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება კეთილისა ბოროტის წინააღმდეგ. ღმერთმა დააკისრა ქართველებს „დიადი მისია“ და იცავდა მათ „კანონიერ ქმედებებს“ სამყაროში. ამ მორალურმა სიმართლემ, რასაც გამსახურდიას შემთხვევაში დიდი დოზით პარანოია ემატებოდა, ის იქამდე მიიყვანა, რომ თავის ოპონენტებს „ერის მტრებად“, „კრემლის აგენტებად“, „იუდეებად“ და უბრალოდ „კრიმინალებად“⁴¹ რაცხავდა. სემინარიელი იოსებ ჯულაშვილის (სტალინის) მსგავსად, გამსახურდია მიმართავდა „ნათლის“, „ბნელი ძალების“, „სიმართლის“, „მისიის“, „მსხვერპლის“ და „სისხლის“ რელიგიურ მეტაფორებს. პრესაც ახდენდა რა, გამსახურდიას პოლემიკური სტილის იმიტაციას, ეროვნულ უმცირესობებს უწოდებდა „უცხოებს“, „ბანდიტებს“, „ექსტრემისტებს“.⁴² პოლიტიკური ლექსიკონი გაჯერებული იყო სიტყვებით: „მხილებული“, „პუტჩისტები“, „რეაქციული ძალები“, „იმპერიული კოლაბორაციონისტები“ და

„დეზინფორმაცია“. ეს ენა, რომელსაც ასევე მიმართავდა არასაპარლამენტო ოპოზიცია, ასახავდა მისაღები პოლიტიკური ჩარჩოების არარსებობას. შეურაცხყოფელი რიტორიკა მოსახლეობის მობილიზებას და ოპონენტების დემონიზებას ახდენდა, რამაც კომპრომისი და თანამშრომლობა – დემოკრატიის უცილობელი ნიშნები – მიუღწეველი გახადა.⁴³

სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტმა ცეცხლი შეუთო მის რიტორიკას და დაეხმარა, რომ საჯარო კრიტიკაზე ცენზურა და შეზღუდვები გაემართლებინა. ამას მოჰყვა ისეთი პოლიტიკური ოპონენტებისა და ჟურნალისტების დაპატიმრება, როგორებიც იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია, სამხრეთ ოსეთის ლიდერი ტორეზ კულუმბეგოვი, ჯაბა იოსელიანი და რეჟისორი, ოპოზიციური ეროვნული კონგრესის წევრი, გოგა ხაინდრავა.⁴⁴ შეთქმულებები და საიდუმლო შეთანხმებები მრავლდებოდა, ჭორები ვრცელდებოდა, რადგან ხალხს რიგებში უნევდა დგომა სანთლების, პურისა თუ სანავის შესაძენად. გამსახურდიას აზრით, შევარდნაძის, გორბაჩოვის, ჯორჯ ბუშის და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მსგავსი გავლენიანი ფიგურები გახლართული იყვნენ ანტიქართულ შეთქმულებაში და ამტკიცებდა, რომ „ყველაფერი ინსპირირებული იყო მოსკოვიდან“. ფარულად დგებოდა მტრების სია, პრესაში ქვეყნდებოდა ანონიმური წერილები, რომლებიც ამხელდა ოპოზიციას და გამოფენილი იყო ოპოზიციის მიერ დახოცილ „მსხვერპლთა“ სურათები.⁴⁵

გამსახურდიას დემოკრატია სიმბოლურად ესმოდა. ის არჩევნებს, კონსტიტუციებსა და მრავალპარტიულობას საკმარისად მიიჩნევდა. მას არ ესმოდა დემოკრატიის პროცედურები (კანონის უზენაესობა) ანდა მისი სამოქალაქო ნიშან-თვისებები – შეგუება და ჩართულობა. ასეთივე გამოუცდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, ხშირ-ხშირად ახსენებდა კანონმდებლებს, რომ მათი მოვალეობა კანონშემოქმედება იყო და არა „აღმასრულებელი ორგანოების მონიტორინგი“.⁴⁶

გამსახურდიამ მნიშვნელოვანი უპირატესობით მოიგო პირველი საპრეზიდენტო არჩევნები 1991 წლის მაისში – მისმა უახლოესმა მეტოქემ ხმების 8.1% მიიღო გამსახურდიას 86%-თან შედარებით – როგორც ერთპიროვნულად მართვის მანდატი. ეს იყო საბედისწერო ამპარტავნება. მას სჯეროდა, რომ სურვილისამებრ შეეძლო შეეცვალა კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი. მან გაახანგრძლივა ბრალდების წარდგენამდე პირის წინასწარი დაკავების ვადა სამიდან ცხრა თვემდე, რათა საპატიმროში გაეჩერებინა თავისი მონინაალმდეგეები, გამოსცა საპრეზიდენტო დეკრეტი, რომელსაც უპირატესი ძალა ჰქონდა საკანონმდებლო აქტების მიმართ, გადააყენა მინისტრები, რომლებიც საკმარის პირად ლოიალობას ვერ იჩენდნენ და ძალაუფლების ცენტრალიზაცია მოახდინა პრეზიდენტის ხელში.⁴⁷ (ხელისუფლებამ მასობრივი მხარდაჭერის საჩვენებლად რე-

ფერენდუმები და მუშების/გლეხების თუ ლოიალურად განწყობილი ეროვნული უმცირესობების ერთობლივი წერილები გამოიყენა. 1991 წლის აპრილში დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა, მაგალითად, 31 მარტის რეფერენდუმი, სადაც ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა 89.7%-მა – არაქართველების ჩათვლით, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმეტესობის გამოკლებით (მათ ბოიკოტი გამოაცხადეს) – მოითხოვა სსრკ-დან გამოყოფა.⁴⁸) ამგვარი ტექნიკის გამოყენებით ხელისუფლება ქმნიდა ემოციურად დამუხტულ ატმოსფეროს, სადაც ნებისმიერი ოპოზიცია განიხილებოდა როგორც არალოიალური. ლოიალური ოპოზიციისათვის სამოქმედო არის შემცირებამ სწორედ ის არალოიალურობა გამოიწვია, რისიც გამსახურდას ასე ეშინოდა, ხოლო მასთან დაახლოებული პირების გამსახურებამ გათავისუფლებამ ერთგულების ყოველგვარი სტიმული ჩაუკლა მის ირგვლივ მყოფთ. დასასრულ, გამსახურდას სტილმა – მისმა ავტოკრატიულმა ქცევამ, სამინისტროების საქმიანობაში ჩარევამ, პოლიტიკურმა არაკომპეტენტურობამ და დასავლეთისაგან გაუცხოებამ – საფრთხე შეუქმნა ახალი ელიტის უსაფრთხოებას და ბიუროკრატიული ფენები და არასაპარლამენტო ოპოზიცია მის წინააღმდეგ ძლიერი კოალიციის შექმნამდე მიიყვანა.

ქართული პოპულიზმის პოლიტიკა

გამსახურდა ეფექტური რევოლუციონერი, მაგრამ არაეფექტური სახელმწიფოს მშენებელი იყო. მიუხედავად ქალაქებში დაპირებული ეკონომიკური პროგრამისა, ის ფოკუსირებული იყო სიმბოლურ ატრიბუტებზე. მისი პირველი ნაბიჯები უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში, იყო კონსტიტუციიდან ტერმინ „საბჭოთას“ ამოღება. გამსახურდას ბევრი არ უფიქრია იმაზე, როგორ უნდა გაეტარებინა თავისი პოლიტიკა. მას სჯეროდა, რომ მონოდეები მსოფლიო ლიდერებისადმი შეძრავდა დასავლეთს და დახმარებას აღმოუჩინდნენ. არც მას და არც სხვა ვინმეს საქართველოში არ ჰქონდა ინსტიტუციური განვითარებისათვის აუცილებელი არანაირი სტრატეგია. მან ვერ შეძლო ისეთი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება, რომლებსაც ექნებოდათ პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილება, ლეგიტიმურობა და უნარი. მხოლოდ სახალხო მხარდაჭერით, მონესრიგებული სახელმწიფო აპარატის, ეკონომიკური რეფორმებისა და კანონის უზენაესობის განვითარების გარეშე, შეუძლებელი იყო დემოკრატიის ხორცშესხმა.

«რატომ ვერ შეძლო გამსახურდას ხელისუფლებამ სტაბილური სახელმწიფოს შექმნა საქართველოში? პირველი, ეს გახლდათ, როგორც აღექსანდრ მოტილი უნოდებს, „პოსტტოტალური ნგრევის“ მემკვიდრეობა,

რაც ასუსტებდა და ძალას აცლიდა სახელმწიფო სტრუქტურებს, რათა მოეპოვებინათ რესურსები, ეკონტროლებინათ ტერიტორიები და გაცათ ხელფასები.⁴⁹⁾ მეორე, იდგა „სახელმწიფოებრიობის“ პრობლემა ანუ ჭირდა თანხმობის მიღწევა იმაზე, თუ ვინ უნდა მიკუთვნებოდა ახალ სახელმწიფოს; საქართველო, როგორ ბრუბეკერის სიტყვებით თუ ვიტყვით, უნდა გამკლავებოდა „გარე ნაციონალურ სამშობლოებს“ ანუ მეზობელი სახელმწიფოების (რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის) პრეტენზიებს, უზრუნველყო მათი ეთნიკური თუ ლინგვისტური ნათესავეების არა მხოლოდ დაცვა, არამედ ხშირად რეინკორპორირებაც კი.⁵⁰⁾ მესამე, გამსახურდია სუსტი იყო, როგორც ხელმძღვანელი. მან ვერ შეძლო რევოლუციონერიდან პოლიტიკოსად გადაქცევა და ინტერესთა კოალიციის შენარჩუნება. კომუნისტური პარტიის კარგად აწონილ-დანონილი საკადრო პოლიტიკისაგან განსხვავებით, გამსახურდიას მიერ განხორციელებული დანიშნვები იყო შემთხვევითი, თითქოსდა იმ მნიშვნელოვან ჯგუფებს შორის მტრობის გასაღვივებლად გამიზნული, რომელთათვისაც უნდა ეხელმძღვანელა. მისმა ანტირუსულმა რადიკალიზმმა ფრუსტრირებულ ქართველთა შორის მხარდამჭერები კი მოუპოვა, მაგრამ გადაამტერა ინტელიგენციას, ეროვნულ უმცირესობებსა და დაუპირისპირა მეზობელ რუსეთს, რომელიც გორბაჩოვის პრეზიდენტობის პერიოდში მზად იყო კომპრომისზე წასასვლელად. მეოთხე, ნეოპატრიმონიალიზმს თან ახლდა პატრონაჟული და ნეპოტისტური ნიშნები, რაც აზიანებდა ინსტიტუციურ ძალაუფლებას და კერძო ინტერესებს ეროვნულზე მაღლა აყენებდა. და ბოლოს, ეკონომიკა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო. თენგიზ სიგუამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა და გამსახურდიას ახალმა პრემიერ-მინისტრმა, საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს გახსნით სესიაზე 1990 წლის ნოემბერში მოსალოდნელი უმუშევრობის, ინფლაციის, საბიუჯეტო დეფიციტისა და ენერგეტიკული კრიზისის პირქუში სურათი დახატა.⁵¹⁾ მომდევნო წლის ივლისში წარმოების მაჩვენებლები 25%-ით შემცირდა სანავის, ენერგეტიკისა და ნედლეულის მარაგების ამონურვის გამო.⁵²⁾

(საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყველა პრობლემას გამსახურდიას ვერ დავაბრალვთ. მას საქმე ჰქონდა ოპონენტებთან, რომლებიც მასავით ზედაპირულად ესმოდათ დემოკრატიული წესები. დროდადრო გამსახურდია უდრო მეტ პრაგმატიზმს ამჟღავნებდა, ვიდრე ოპონენტები და ნაკლებად კრიტიკულ სიტუაციაში შეეძლო აერჩია უფრო ზომიერი გზა. „მეურთხეველთაგან“ განსხვავებით, გამსახურდია მზად იყო გამოეყენებინა საბჭოთა ინსტიტუტები მიუხედავად იმისა, რომ მათ საბოლოო განადგურებას ესწრაფოდა.) „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო პლატფორმა, მართალია, უარყოფდა საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას და რელიგიას პოლიტიკურ ცხოვრებაში

გამორჩეულ ადგილს აკუთვნებდა, მაგრამ მხარს უჭერდა თვალსაზრისს, რომ დამოუკიდებლობასა და ბაზართან შეგუებას საცქაოდ დიდი დრო სჭირდებოდა. ამ პერიოდში ძველ საბჭოთა კანონებს უნდა ემოქმედა ახალი ქართული კანონების პარალელურად.⁵³ მხოლოდ ხანგრძლივი საკანონმდებლო მომზადების, დემოკრატიული არჩევნებისა და ინტერნაციონალური საზოგადოების აღიარების შემდეგ გამოაცხადებდა საქართველო დამოუკიდებლობას. აქ ხორვატიასა და ბულგარეთის მსგავსად არ დანყებულა კომუნისტებზე, როგორც კუდიანებზე ნადირობა, ბევრი ყოფილი კომუნისტი რჩებოდა გამსახურდიას ადმინისტრაციაში. 1991 წლის ივლისში მთავრობამ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად, ლატვიისა და ესტონეთის კანონებისაგან განსხვავებით, მოქალაქეობას ანიჭებდა რესპუბლიკის ყველა მაცხოვრებელს. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილებს ენიჭებოდათ საქართველოს მოქალაქეობა.⁵⁴ თავის საინაუგურაციო სიტყვაში 1991 წლის ივლისში საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე მგზნებარე რევოლუციონერიდან თვალის დახამხამებაში პრეზიდენტად სახეცვლილი გამსახურდია არაქართველებს სრულ კულტურულ დაცვას შეჰპირდა.⁵⁵ სექტემბერში მან აფხაზეთში კონსოციალური სისტემა დაამკვიდრა, მისცა რა აფხაზ უმცირესობას ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში ადგილების უმრავლესობა. ის სამხრეთ ოსეთის საკითხზე კომპრომისის მიღწევას ცდილობდა ბორის ელცინთან, რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან. 1991 წლის მარტში მან და ელცინმა ხელი მოაწერეს „ყაზბეგის ხელშეკრულებას/პროტოკოლს“, რომელიც არალეგალური ჯგუფების განიარაღების მიზნით, ითვალისწინებდა გაერთიანებულ რუსულ-ქართულ სამხედრო ძალების სამხრეთ ოსეთში შეყვანას. ამგვარი პოლიტიკური ნაბიჯები გვარანმუნებს, რომ გამსახურდია არ იყო გამოუსწორებელი ფანატიკოსი.)

მაგრამ მიუხედავად სანახევროდ კარგი კანონებისა მოქალაქეობის, პრესის, პოლიტიკური გაერთიანებების და მართლმსაჯულების შესახებ – რამაც მინიმალური საფუძველი ჩაუყარა სამართლებრივ სახელმწიფოს – ინტენსიურად გრძელდებოდა კონტროლი აღმასრულებელი შტოს მხრიდან. მაგალითად, იუსტიციის მინისტრს შეეძლო უარი ეთქვა პარტიის რეგისტრაციაზე, თუ ის ხელს უშლიდა „სახელმწიფო ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას“. გენერალურ პროკურორს შეეძლო აეკრძალა პარტიის ფუნქციონირება სამი თვით, თუ ის „უხეშად დაარღვევდა საკუთარ წესდებს“. კანონი პრესის შესახებ კრძალავდა ცენზურას და უზრუნველყოფდა გაზეთების გავრცელებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ენაზე, მაგრამ, ამავე დროს, ნებას რთავდა ბრალი დაედოთ გაზეთისთვის „ისეთი ფაქტების გავრცელების გამო, რაც არ შეესაბამებოდა

სინამდვილეს“. 1991 წლის მაისში კი, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, გამსახურდიამ ოპოზიციის კანდიდატებს სახელისუფლებო პრესის გამოყენება აუკრძალა.⁵⁶ ბუნდოვანი პუნქტები კანონმდებლობაში და არაკანონიერი სახელისუფლებო წნეხი ასახავდა თავად გამსახურდიას უუნარობას, გადაელახა საბჭოური ჩვევები.

საქართველოს ახალი კონსტიტუციით – ეს იყო საბჭოთა დედანი ცვლილებებითა და დამატებებით – სახელმწიფო ერის მთავარი სურვილის გამომხატველად და სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ აღმართულ ბასტიონად გამოცხადდა. მესამე და მეხუთე თავები სხვა საკითხებთან ერთად ეძღვნებოდა მოქალაქეების სულიერ, მორალურ და აღმზრდელობით კეთილდღეობას და სამშობლოს დიდ მნიშვნელობას. ახლეთურად ესმოდა ხაზი შრომითი კოლექტივების უფლებებს, ხელისუფლების მიმართ ხალხის კონტროლს და სამოქალაქო და სოციალური კეთილდღეობის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მინიმალური ხელფასი და უფასო ჯანდაცვა, მაგრამ „უფლებამოსილებებით აღჭურვის“ ეს პოპულიზტური პუნქტები არ შეესაბამებოდა პრეზიდენტისა და პრეფექტურის შესახებ კანონებს, რომელთა თანახმადაც, ძალაუფლების კონცენტრირება ცენტრში ხდებოდა. 1991 წლის თებერვალში შეიქმნა პრეფექტის ინსტიტუტი რეგიონებზე ცენტრალური კონტროლის განსახორციელებლად. პრეფექტს ერთობლივად ნიშნავდნენ პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო. ის პასუხისმგებელი იყო უშუალოდ პრეზიდენტის წინაშე. მათ უფლებამოსილებებში შედიოდა პოლიციაზე, ადგილობრივ ადმინისტრაციასა და ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებაზე ზედამხედველობა. პრეფექტს დიდი გავლენა ჰქონდა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოზე – საკრებულოზე, რომელიც იმ პერიოდში გაჭირვებით აუდიოდა თავის მოვალეობებს. პრეფექტმა კი, სწრაფად მოიხვეჭა ქედმაღალი და კორუფციაში გახვეული ჩინოვნიკის სახელი. სინამდვილეში, ეს იყო რეგიონული კომუნისტური პარტიის მდივნის შეცვლა ახალი სახელის მქონე პრეფექტით. მართვის მოდელი კვლავ პიროვნებისა და პატრონაჟული სისტემის ირგვლივ განაგრძობდა ტრიალს.⁵⁷

მორჩილი პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული კანონი პრეზიდენტის შესახებ (მიღებულ იქნა 1991 წლის აპრილში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში), გახლდათ თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რამდენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გამსახურდია ცენტრალურ მართვას. ეს კანონი ეფუძნებოდა ფრანგულ საპრეზიდენტო სისტემას, რაც გამსახურდიას ანიჭებდა პარლამენტისაგან დამოუკიდებელ სახალხო მანდატს. როგორც პრეზიდენტს, მას უზარმაზარი ძალაუფლება ეძლეოდა. უზენაესი საბჭოს „თანხმობით“ (გაურკვეველია, დაშვებული იყო თუ არა პარლამენტის ვეტო) მას შეეძლო დაენიშნა და გაეთავისუფლებინა პრემიერ-მინისტრი, მისი კაბინეტი, სასამართლოს უმაღლესი თანამდებობის პირები და ნამყვანი დიპლომატები. პრეზიდენტს უფლება ჰქონდა ყოფილიყო

კაბინეტის სხდომების თავმჯდომარე (ანუ განესაზღვრა დღის წესრიგი) და გაეუქმებინა მისი გადანყვეტილებები. საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევა პარლამენტის ორ მესამედს შეეძლო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა, დაეთხოვა პარლამენტი ან მოეწყო რეფერენდუმი. როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, გამსახურდია აკონტროლებდა ეროვნულ გვარდიას და სამხედრო პირთა დანიშვნებს. მას, პარლამენტის დაუყოვნებელი თანხმობის გარეშე, შეეძლო გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა და ამ პერიოდში გამოეცა დეკრეტები. გარდა ამისა, 1991 წლის ივლისში შეტანილი დამატების თანახმად, მას უფლება მიეცა, შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონების კანონების, დეკრეტებისა და დადგენილებების მოქმედება. პრეზიდენტის არჩევა დასაშვები იყო შეუზღუდავი ვადით, ხოლო მის იმპიჩმენტს პარლამენტის დეპუტატების ხმათა სამი მეოთხედი სჭირდებოდა.⁵⁸ 1991 შემოდგომაზე, როცა გამსახურდიას რეჟიმი სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა, მან უფრო გაიზარდა საპრეზიდენტო უფლებები. 1991 წლის სექტემბერში შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროები, სუკ-ი, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროები უშუალოდ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში გადავიდა.⁵⁹

(გამსახურდიას საკანონმდებლო პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ დიდწილად ვერ განხორციელდა, პრინციპში, დემოკრატიული იყო. ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას არა ენობრივი ბუნდოვანება ან სამართლებრივი ორაზროვნება წარმოადგენდა, არამედ დემოკრატიული პროცესების არასწორი გაგება. პრესის ლიბერალურმა კანონმა, საბოლოო ჯამში, ვერ მოახერხა დაეცვა მედიის დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი გაზეთების გამოცემა გრძელდებოდა, მაგრამ გამსახურდიამ პრესა სამთავრობო რუპორად გადააქცია მიტინგებზე არალოიალური ჟურნალისტების მიმართ გამოთქმული მიუქარისა თუ ოპოზიციური გაზეთების „ქალაქის ნაკლებობის“ მიზეზით დახურვის „დამსახურებით“. უწყებრივი პასუხი მგებლობა მერიის მიერ გამოცემულ გაზეთ თბილისისთვის მან თავის ადმინისტრაციას გადასცა. ის ნიშნავდა მთავარი სამთავრობო გაზეთების რედაქტორებს და საქართველოს ტელევიზიის დირექტორს.) 1991 წლის ზამთარში მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი დამოუკიდებელი გაზეთები დაარჩნენ. რუსული გაზეთი „ნოვაია გაზეტა“ (ყოფილი „მოლოდიოეგრუზი“) და „ახალგაზრდა ივერიელი“ (ყოფილი „ახალგაზრდა კომუნისტი“) 1991 წლის შემოდგომაზე დაიხურა და რიგი ჟურნალისტებისა და აპატიმრებულების 1991 წლის აგვისტოში მოსკოვის პუტჩის შემდეგ არაკეთილგანწყობილი რუსული გაზეთები ერთი თვით აიკრძალა, უცხოელ კორესპონდენტებს კი, რამდენჯერმე მისი მომხრეები დაესხნენ თავს. (1991 წლის სექტემბერში თითქმის 200 ტელეჟურნალისტმა გაფიცვა მოაწყო არაოფიციალური ცენზურისა და ტელევიზიის ხელმძღვანელების „ბოლშევიკური მეთოდების“ გასაპროტესტებლად.)

გამსახურდიას პარლამენტისა და სასამართლოს მიმართ ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონდა. 1991 წლის ივლისში მან განაცხადა, რომ ხალხის მიერ ნდობის გამოცხადება სჯობდა პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებას.⁶¹ 26 მაისს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე უზენაესმა საბჭომ გამსახურდია პრეზიდენტად ერთხმად აირჩია აპრილის თვეში. პარლამენტი რეგულარულად ამტკიცებდა საკონსტიტუციო ცვლილებებსა და სამართლებრივად სადავო კანონებს. 1991 წლის აგვისტოში კანონმდებლებს არანაირი სინდისის ქენჯნა არ განუცდიათ, როცა ქართული კომუნისტური პარტიის 64 წევრს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტეს.⁶² სამართლებრივი მოთხოვნების მიუხედავად, რომელთა თანახმადაც საგანგებო ღონისძიებების გატარებისათვის უცილებელი იყო პარლამენტის თანხმობა, 1991 წლის სექტემბერში გამსახურდიამ შექმნა ეროვნული თავდაცვის საბჭო და განსაკუთრებული უფლებამოსილებები მიანიჭა. მან ნოემბერში შეაჩერა კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, დაითხოვა გენერალური პროკურორი და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა თბილისში პარლამენტთან შეუთანხმებლად. უზენაეს სასამართლოსა და საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტს გამსახურდიას ოპონენტების დაცვა არც კი უცდიათ. არც ერთ მათგანს არ გაუპროტესტებია კომუნისტი დეპუტატების პარლამენტიდან გაძევება, ოპოზიციის წევრების დაპატიმრება ან კანონის დამახინჯება, მაგალითად, წინასწარი პატიმრობის ვადის გაზრდა ბრალის წარუდგენლად სამიდან ცხრა თვემდე, რათა არ დაეშვათ გია ჭანტურიას ციხიდან გამოშვება.⁶³ არ არსებობდა არც ვერტიკალური პასუხისმგებლობა გამოუცდელი და დეზორგანიზებული ხალხის მხრიდან და არც ჰორიზონტალური – ახლადჩამოყალიბებული ინსტიტუტების მხრიდან, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას. (შურმან ომანიძემ, გამსახურდიას ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, გამსახურდიას მმართველობის გვიანი პერიოდი აღწერა როგორც „ნამდვილი დიქტატურა“. მისი თქმით, ეს იყო „ერთი პირის მმართველობა, ერთი ინდივიდის მიერ ძალაუფლების სრულად და აბსოლუტურად უზურპირება. ვისი იყო უმაღლესი საბჭო, მთავრობა? არავის არაფერი ეკუთვნოდა. ის [გამსახურდია] წყვეტდა თავად ყველაფერს“.)⁶⁴ ბედის ირონიით, რაც უფრო მეტ ძალაუფლებას იხვეჭდა გამსახურდია, მით უფრო უძლური ხდებოდა. კანონის ბოროტად გამოყენებამ შეინირა მისივე ლეგიტიმურობა. 1991 წლის შემოდგომაზე მისი ძალაუფლება მხოლოდ თბილისის ცენტრალურ უბნებსა და ორიოდ ერთგულ პრეფექტს თუ სწვდებოდა. დასავლეთის სახელმწიფოებთან უხეშ დამოკიდებულებას ქართულ ელიტის იმედეგაცრეუბა დაემატა. გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა იყო პრადგმატიზმის, შოვინიზმის და ანტიკომუნიზმის ნაზავი. ის მჭირდოდ იყო გადაჯაჭვული საშინაო პოლიტიკასთან. მაგალითად, მისმა უუნარობამ, გადაეჭრა ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა შინ, საქართველოში გარედან

ჩარევის საფრთხე გაზარდა, სტიმული მისცა მეზობელ სახელმწიფოებთან მტრობის გაღვივებას და დააზარალა მისი ურთიერთობები დასავლეთთან. მისი პოლიტიკა სამხრეთ ოსეთთან მიმართებით დასავლეთის ქვეყნებმა აღიქვეს როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და მისმა უუნარობამ გაეკონტროლებინა საქართველოს ტერიტორია, უარყოფითად იმოქმედა საერთაშორისო აღიარებაზე. 1991 წლის ბოლოს საქართველო იყო ერთადერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული დე იურე აღიარება დასავლეთის ქვეყნებისაგან.

გამსახურდიას ანტაგონიზმმა რუსეთთან, საბოლოოდ, მოახდინა საქართველოს იზოლირება. საბჭოთა კავშირი, როგორც ყოფილი იმპერიული სახელმწიფო, საქართველოს განსაცდელისათვის განტეგების ვაცად იქცა. გამსახურდია სათავისოდ იყენებდა ქართველების ისტორიულ ვიქტიმიზაციის გრძნობას. მაგრამ ის აქ ნააწყდა დილემას: როგორ უნდა შეერწყა ერთმანეთისთვის რადიკალური ნაციონალიზმი საშინაო დონეზე და ყოფილი კოლონიური ცენტრიდან ეკონომიკური დახმარების მიღება? საქართველოში მარცვლეულის, გაზისა და სანვაგის 100% ჩრდილოეთიდან შემოდოდა. ხილისა და ბოსტნულის სამოცდაექვსი პროცენტი, ღვინის 60% და კონიაკის 93% გადიოდა საბჭოთა კავშირში, უმეტესად რუსეთში.⁶⁵ გამსახურდიამ თავიდანვე აღიარა, რომ თანდათანობითი და „ცივილური“ გამოყოფა იყო საჭირო სსრკ-დან. მას არ აკლდა პრავამატულობა, რათა მოლაპარაკება გაემართა ელცინის რუსეთთან ან სხვა ყოფილ, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეთანხმებებზე, მიუხედავად მისი ღრმა რწმენისა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ საქართველოსადმი. მაგრამ, არჩევიდან ექვს თვეში, 1990 წლის ოქტომბერში გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მიუხედავად იმ მოსალოდნელი მძიმე შედეგებისა, რაც ამ ფაქტს შეიძლებოდა მოჰყოლოდა საქართველო-რუსეთის ან სხვა რესპუბლიკებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებისთვის.

გამსახურდიამ რადიკალურ ანტიკოლონიურ ლიდერთათვის უჩვეულო გზა აირჩია. მან ყოფილ კოლონიურ ქვეყანასთან შეგუებას მისი უარყოფა ამჯობინა. მისი მთავრობა მუდმივად კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სსრკ-თან: კონფლიქტები სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, გორბაჩოვის საერთო საკავშირო რეფერენდუმის ბოიკოტირება თუ უარი საკავშირო ხელშეკრულების დადებაზე (საქართველოს მიერ სსრკ-ს როგორც ოკუპანტი ძალის აღიარება, საქართველოს კანონმდებლობისათვის უპირატესობის მინიჭება საერთო საკავშიროსთან მიმართებით, სუკ-ის „ნაციონალიზაცია“ 1990 წლის ნოემბერში და საბჭოთა სამხედროებისთვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა გონივრული ნაბიჯები იყო ეროვნული მთავრობის მხრიდან – მაგრამ გამსახურდიას 1991 წლის სექტემბერის გადანყვებილებამ, გაენყვითა ოფიციალური

ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან საქართველოს აღიარებაზე უარის თქმის გამო, მხოლოდ გააძლიერა საქართველოს იზოლაცია და დაამძიმა გამსახურდიას პრობლემები.)

გამსახურდიას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ქრისტიანული საქართველო უძველესი დროიდან იყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, რაც საქართველოს ევროპული სახლისაკენ უხსნიდა გზას. „ჩვენ ქართველებს ყოველთვის გვქონდა ევროპული ორიენტაცია“, აცხადებდა ის, „ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ევროპული სახლის ნაწილი“.⁶⁶ მუსლიმები, მეორე მხრივ, იყვნენ კლასიკური „სხვები“, რომლებიც ქართული კულტურული გადარჩენის საფრთხეს ქმნიდნენ. გამსახურდიას დასავლეთი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ახალი მფარველი, მაგრამ 1991 წლის აგვისტოში პრეზიდენტ ბუშის ცნობილი "Chicken Kiev" (კიევიური კატელეტი) სიტყვის შემდეგ უკრაინის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც ხაზგასმით დაგმო „ეთნიკურ ზიზღზე დამყარებული თვითმკვლელი ნაციონალიზმი“ და აშშ-ს მხარდაჭერა აღუთქვა გორბაჩოვს კავშირის ხელშეკრულების პროექტის საკითხში, გამსახურდიამ ბუში დაადანაშაულა „კომუნიზმის, ტირანიისა და ყალბი რეფორმების“⁶⁷ მხარდაჭერაში. დასავლეთის მფარველობის ძიების ნაცვლად მან ირჩია რეგიონული მხარდაჭერა. მან შემოიტანა საერთო კავკასიური ცივილიზაციის იდეა და გამოაცხადა კავკასიელ ხალხთა ფორუმის შექმნის აუცილებლობა.⁶⁸ მან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობები დაამყარა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან. ამ ალიანსმა ტრადიციულ მუსულმან მტრებთან, რასაც თენგიზ სიგუამ უწოდა საქართველოს მზარდი „ალბანიზაცია“ გამსახურდიას პერიოდში, ჩამოამორა საქართველოს ბიზნეს- და საგარეო პოლიტიკური ელიტა, რომელისაც სურდა არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებაში შესვლა, არამედ რუსეთთან ვაჭრობის გაგრძელება. დასავლეთის მხარდაჭერის არარსებობამ ქართული საზოგადოების გარკვეული ფენების იმედგაცრუებასა და პრეზიდენტის პოლიტიკურ დასამარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

დასასრული

1991 წლის შემოდგომაზე დაწყებული პოლიტიკური კრიზისი გამსახურდიას რეჟიმის დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა. აგვისტოს მოსკოვის პუტჩის შემდეგ ეროვნული გვარდიის გაძლიერებით შეშინებულმა გამსახურდიამ გვარდია სპეციალური დანიშნულების მილიციის რაზმის (ომონის) ქვედანაყოფად აქცია და დაითხოვა მისი მეთაური თენგიზ კიტოვანი. როგორც ამბობდნენ, ამ გზით დაიცვა გვარდია პრეზიდენტმა საბჭოთა სამხედრო ძალებისგან.⁶⁹ კიტოვანი, ყოფილი მოქანდაკე და გამსახურდიას

სკოლის ძველი მეგობარი, არ დაემორჩილა ამ გადანყვეტილებას. მან 15000-იანი ეროვნული გვარდიის ერთგული ნაწილი (მას იცნობდნენ ბატიას ანუ „პატარა მამის“ მეტსახელით) თბილისის ჩრდილოეთიდან 40 კილომეტრში რკონის ტყეში გადაიყვანა. მას შეუერთდა გამსახურდიას პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, რომელსაც აგვისტოს პუტჩამდე უკვე ემუქრებოდნენ გათავისუფლებით. გამსახურდიამ საპასუხოდ სუკი გადააკეთა ეროვნული უშიშროების დეპარტამენტად, მოგვიანებით სექტემბერში კი – სამინისტროდ. სექტემბერში მან შექმნა ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ძალოვანი ორგანოები და მასთან დაახლოებული მრჩეველები.⁷⁰

ამ ინსტიტუციურმა ცვლილებებმა, გამსახურდიას მონოდებებმა ერთიანობისაკენ და ეროვნული გვარდიის სტატუსის აღდგენამ გვარდიას ქედი ვერ მოადრეკინა. 2 სექტემბერს ოპოზიციური მიტინგი კინოს სახლთან თბილისის ცენტრში სისხლისღვრით დასრულდა, როცა სამთავრობო ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს მომიტინგეებს. ქართველებისათვის შორეული კოლონიური ცენტრის წინააღმდეგ წარმოსახვითი ათწლეულებით გამოტარებული სოლიდარობის შემდეგ ეს მეტისმეტად მტკივნეული აღმოჩნდა. ქართველები ესროდნენ ქართველებს. ეს აძლიერებდა ოპოზიციას და აღრმავებდა ხალხის იმედგაცრუებას. რუსთაველის გამზირზე ბარიკადები აღიმართა, პარლამენტის მუშაობა დროებით შეჩერდა და 11 სექტემბერს 27 პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია, რომლებიც სულ რამდენიმე თვის წინ ერთმანეთს ექიმებოდნენ, გაერთიანდნენ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით.⁷¹ გამსახურდიას როგორც „ერის მამის“ როლი იოლად დასაცავი აღარ ჩანდა. გამსახურდია სერიოზულად დაასუსტა სექტემბრის მოვლენებმა, მაგრამ ის ადანაშაულებდა არასაპარლამენტო ოპოზიციას და ქართველებს ბანდიტების „ლიკვიდაციისაკენ“ მოუწოდებდა. ამან შენიღბა სამოქალაქო ომის განზრახვა, ხოლო ოპოზიციის დემონიზაციამ ამ უკანასკნელში წინააღმდეგობის სურვილი გააძლიერა. შემდგომი სამი თვის განმავლობაში გამსახურდიას ძალაუფლება დაქუცმაცდა. ვინაიდან ოპოზიციასთან მოლაპარაკების ყველა რაუნდი ჩაიშალა, ცხადი გახდა, რომ გამსახურდიას მცირე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა დარჩა. ის კომპრომისისა და გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ პროვინციებიდან ჩამოჰყავდა მხარდამჭერები, რომლებიც კარგებს შლიდნენ მთავრობის სასახლის წინ. მისი დასაყრდენი მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო დაიშალა. გამსახურდიას ყოფილმა მომხრეებმა – ქარტია 91 – საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობის დაცვა, დააფუძნეს. წინასწარგანზრახულად მიუთითებდა რა, ჩეხოსლოვაკიის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციაზე, ქარტია 77-ზე, ამ ახალმა საპარლამენტო ფრაქციამ ბოლო მოუღო საკანონმდებლო ორგანოს უგუნურ ერთსულოვნებას. პატრიარქის მხარდაჭერით ქარტია

91-მა დაგმო „ყაზარმული დისციპლინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ და მოითხოვა „თავისუფალ აზრზე და გამოხატვაზე ზენოლის დასრულება“.⁷² ოქტომბერში რიგმა შედარებით ზომიერმა პარტიებმა – სახალხო ფრონტმა, მწვანეებმა და რესპუბლიკურმა პარტიამ – დააფუძნეს საქართველოს დემოკრატიული მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო საპრეზიდენტო სისტემის საპარლამენტო სისტემით შეცვლა. პარლამენტში ნამდვილი დებატები გაიმართა. დეპუტატების მიერ დარბაზის მასობრივად დატოვებამ აჩვენა, რომ გამასახურდიამ აქამდე მის მორჩილ ორგანოზე კონტროლი დაკარგა. რუსთაველის გამზირი პროტესტის ნიშნად მოშიმშილეებით, ანტისამთავრობო ლოზუნგებითა და დემონსტრანტებით გაივსო. სიტყვით გამომსვლელთა ხმა ღამიულ ექოდ ისმოდა. ავტომანქანებისაგან, ყუთებისა და მილებისაგან შექმნილი ბარიკადები აღმართული იყო ოპოზიციის შტაბებთან. გამასახურდია მთავრობის სასახლეში ჩრებოდა ეროვნული გვარდიის ერთგული წევრების, შაოსანი ქალებისა და მთავარ შესასვლელთან კარვებში გამაგრებული პროვინციელი მხარდამჭერების ამარა.

1991 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე თბილისი ფიზიკურად იყო გაყოფილი. ოპოზიცია გამაგრებული იყო ფილარმონიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტსა და ტელევიზიის სტუდიებში. მხედროინს ჭადრაკის სასახლეში ჰქონდა მოწყობილი თავისი შტაბ-ბინა. გამასახურდიას ძალები აკონტროლებდნენ მთავრობის სასახლეს და რუსთაველის გამზირზე მდებარე სხვა სამინისტროების შენობებს. მიმდებარე რაიონებში ვაკესა და ვერაზე უპირატესად დომინირებდა „წითელი ინტელიგენცია“ და „ოქროს ახალგაზრდობა“, რომლებსაც ასე ვერ იტანდა გამასახურდია. იმართებოდა მიტინგები, იქმნებოდა ბლოკოსტები, ღამლამობით მიმდინარეობდა პიკეტირება კოცონების გარშემო, რასაც თან ერთვოდა ცეცხლსასროლი იარაღიდან გახსნილი ცეცხლი. მუშებით დასახლებული შედარებით არაპრესტიჟული რაიონები: გლდანი, ნაძალადევი და დიდუბე გამასახურდიას უჭერდა მხარს.⁷³ ქალაქი პარალიზებული გახდა – ბევრი ვერ ბედავდა ღამით გარეთ გასვლას. 16 სექტემბერს ედუარდ ლიდეური გააჭანტურია დღისით მზისით გადმოსვეს თვითმფრინავიდან, რომელსაც გეზი მოსკოვისკენ ჰქონდა აღებული და დააპატიმრეს. ამას მოჰყვა სხვა დაპატიმრებები, მათ შორის იყო პოპულარული ტელეჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია.⁷⁴ 21 სექტემბერს კიდევ ერთი სისხლიანი შეტაკება მოხდა. გამასახურდიას სიტყვა, რომელიც მოუწოდებდა ხალხს მოსულიყვნენ პარლამენტის დასაცავად, გაუჩრებლად გადაიცემოდა ტელევიზიით. 25 სექტემბერს გამასახურდიამ თბილისში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. გამასახურდიამ საერთო მობილიზაცია გამოაცხადა და პრეზიდენტის მმართველობის დამყარებითა და პარლამენტის დათხოვნით დაიმუქრა. გაჩაღდა ბრძოლები ტელესტუდიებზე კონტროლის მოსაპოვებლად. ჟურნალისტები ოპოზიციას შეუერთდნენ და სახელმწიფო ტელევიზიის

გენერალური დირექტორის გადადგომა მოითხოვეს. კიტოვანის ეროვნული გვარდია ხელახლა დაბრუნდა თბილისში, ხოლო პროვინციებიდან გამსახურდიას მხარდამჭერებით გაჭედილი უამრავი ავტობუსი დაიძრა.



სამოქალაქო ომის დაწყება თბილისის ცენტრში 1991 წელს.

იყო შეთანხმების რამდენიმე მცდელობა. მათ შორის, ეროვნულ გვარდიის მიერ ჯარების გაყვანა, მაგრამ სექტემბრის ბოლოს მოხდა ის, რისიც ყველას ეშინოდა – გაჩაღდა სამოქალაქო ომი. როგორც ირაკლი წერეთელმა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა შენიშნა 25 სექტემბერის თაობაზე, „ან ჩვენ დავიღუპებით, ან – ის [გამსახურდია]“.⁷⁵

სამხედრო კონფლიქტის ესკალაციამ დრამატული სახე მიიღო დეკემბერში, როცა ორივე მხარემ მოიპოვა იარაღი საბჭოთა შეიარაღებული ძალებისაგან, რომელმაც ამ უთანხმოებით კარგად მოითბო ხელი.⁷⁶ მოსკოვი თავიდანვე იყო დაინტერესებული თავისი ბაზების შენარჩუნებით საქართველოში. საქართველოს საბრძოლო ძალები დაკომპლექტებული იყო არაპროფესიონალებისაგან, რომლებიც მოქმედებდნენ არაკოორდინირებულად და რომელთა რაოდენობა 1000-დან 3000 კაცამდე თუ იქნებოდა თითოეულ მხარეს.⁷⁷ ოპოზიციურ ეროვნულ გვარდიას შეუერთდა მხედრიონი და სხვა მცირე საპარლამენტო ჯგუფები. ჯაბა იოსელიანი, რომელიც ციხიდან გაიქცა 27 დეკემბერს გია ჭანტურიასთან ერთად,

მეთაურობდა მხედრიონს. ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა უპირატესად თბილისის ცენტრალურ რაიონებში, ქალაქის ცენტრის ნგრევით დასრულდა. საქართველოს ისტორიაში პირველი სახალხოდ არჩეული არაკომუნისტი პრეზიდენტი 15-თვიანი მმართველობის შემდეგ პირველ ექსპრეზიდენტად იქცა. იმ ფაქტმა, რომ სტუდენტების, ოპოზიციონერების, მოხალისე მებრძოლებისა და ყოფილი მსჯავრდებულების ასეთმა მცირე და დეზორგანიზებულმა ძალებმა მოახერხეს პრეზიდენტის გადაგდება, ნათლად აჩვენა, თუ როგორი მყიფე გამხდარიყო გამსახურდიას ძალაუფლება.

დასკვნა

1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩს აჯანყება მოჰყვა გამსახურდიას წინააღმდეგ, თუმცა დაუმორჩილებლობა მანამდე დაიწყო და ძლიერდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდიაზე არსებობდა ეჭვები, რომ ის მოსკოვის საგანგებო მდგომარეობის რეაკციური სახელმწიფო კომიტეტის (გეკაჩეპე) გავლენის ქვეშ მოექცა, ეროვნული გვარდიის სტატუსის დაქვეითება, როგორც ჩანს 19 აგვისტომდე იყო დაგეგმილი. გამსახურდიას თავდაპირველი 20 აგვისტოს საჯარო პასუხი პუტჩზე, მიუხედავად ოპოზიციის განცხადებისა, რომ პრეზიდენტმა მიუტევებელი სისუსტე გამოიჩინა, საკმაოდ მტკიცე იყო. ის ლიად არ გამოხატავდა გეკაჩეპეს, მაგრამ იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებას და დემოკრატიულ სისტემას.⁷⁸

გამსახურდიას დაცემა ხანგრძლივი და გაუთვალისწინებელი ფაქტორების გაერთიანებამ გამოიწვია. არსებითად, მან ვერ შეძლო ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ძალების ჩართვა სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში. 1990-91 წლებში ეროვნული ერთიანობის ემოციური აზვირთება დროებითი აღმოჩნდა, მას ეიფორია უფრო ახლდა თან, ვიდრე საერთო ეროვნული მიზნის გაცნობიერება. საქართველოს მრავალეთნიკური ბუნება, შერწყმული ნეოპატრიმონიალურ ტრადიციებთან და ეროვნული ინსტიტუტების არარსებობა, ქმნიდა საზოგადოებას, რომელსაც არ გააჩნდა საერთო ღირებულებები თუ შემწყნარებლობა. სოციალური ურთიერთდამოკიდებულება – რასაც ჯორჯ ჰერბერტ მიდი ათწლეულების წინ უწოდებდა – ორმხრივ „უესტებით საუბარს“ – ძალიან სუსტი იყო.⁷⁹ სსრ კავშირმა საქართველოში შექმნა ჩაკეტილი საზოგადოება, რომლის წევრებშიც ფესვგადგმული იყო უნდობლობა სახელმწიფოს მიმართ. მან ხელი შეუშალა დამოუკიდებელი ინტერესთა ჯგუფებისა და პარტიების ზრდას და თრგუნავდა პოლიტიკური შეგუების ჩვევების განვითარებას. სსრკ ხელს უწყობდა გმირის თაყვანისცემას, ადიდებდა სახელმწიფო ძალაუფლებას და აძლიერებდა ჯგუფებს შორის ფარული გარიგებებს

სურვილს ყველა დონეზე. გამსახურდია იმ უჩვეულო პოლიტიკური კულტურის ნაწილი იყო, რომელშიც შერწყმული იყო მოდერნისტული და პრემოდერნისტული ნიშან-თვისებები. მას შეეძლო მისი ტრანსფორმაცია დაეწყო მაგალითის მიცემითა და თანამშრომლობის მეშვეობით, მაგრამ უაზრო ლოზუნგების, რევოლუციური ბრძოლისა და არაკეთილგანწყობილი ოპონენტების კონტექსტში მისთვის კონტროლის ერთადერთ მექანიზმად საბჭოთა მმართველობის ჩვეული ფორმები იქცა. არ არსებობდა არც ერთი ინსტიტუტი თუ წარმომადგენლობითი მხარე, რომელიც შუამავლობას გაუწევდა ახალ დემოკრატიულ პოლიტიკას, რომლის წესებიც, ისედაც ცოტამ თუ იცოდა.

ეკონომიკურ დაცემასთან ერთად მიმდინარე სწრაფმა და დამანგრეველმა ცვლილებებმა საქართველოში ინსტიტუციური შენება განსაკუთრებით რთული გახდა. სისტემური ლეგიტიმაცია ფოკუსირებული იყო პრეზიდენტზე, გამსახურდიას პოლიტიკა წარუმატებლობას წარუმატებლობაზე განიცდიდა, რესპუბლიკის ინსტიტუტების გამაგრების სხვა მექანიზმი კი არ არსებობდა. კარგი მაგალითი გახდა ეროვნული გვარდია, გამსახურდიას შეურიგებელი მტერი. პრეზიდენტმა პროფესიული არმიის ჩამოყალიბებას ვერ შეუწყო ხელი, პირიქით, ის დაეყრდნო კოლორიტულ სამხედრო წინამძღოლს, რომელიც ვიგინდარათა რაზმეულს უნდა ჩადგომოდა სათავეში, მაშინ როცა საქართველოს უამრავი პროფესიონალი გენერალი ჰყავდა. გამსახურდიას არ შეუშლია ხელი ეროვნული გვარდიის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთვის. ის შეიქმნა 1990 წლის დეკემბერში და „გვარდია“ ეწოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან ანტაგონიზმის ასარიდებლად. ეროვნულ გვარდიას, არაპროფესიონალურ ორგანიზაციას, რომელსაც სხვა ქართული ინსტიტუტების მსგავსად, „სანდო“ მეგობრები ხელმძღვანელობდნენ, წილად ერგო კლიენტელიზმისა და პიროვნებისადმი ერთგულების საბჭოური მემკვიდრეობა.⁸⁰ ამან გაართულა ეროვნულ გვარდიაში დამოუკიდებელი ინსტიტუციური სუბორდინაციის დაცვა და ხელი შეუწყო გამსახურდიასა და კიტოვანს შორის პირად ქიშპობას. საქართველოში არ არსებობდა ის, რასაც ჰანტიგეტონი შეიარაღებულ ძალებზე „ობიექტურ“ კონტროლს უწოდებს და არც დამოუკიდებელი და პროფესიული სამხედრო ძალები არსებობდნენ, სამოქალაქო ცხოვრებისგან განცალკევებით.⁸¹ დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლოს არქონამ ზიანი მიაყენა სამოქალაქო თავდაცვას.

და მანაც, მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს სუსტი ინსტიტუციური ბაზისის გამო, მეფე არ გაშიშვლებულა, ეს გამსახურდიას სტილის ბრალიც იყო. ის იყო რევოლუციონერი – ბუნებით პოლარიზატორი – და წმინდა წყლის ავტორიტარი, რომელიც, საბოლოოდ, ვერ ჩანვდა მაკიაველისეულ გადარჩენის პრაგმატულ რეცეპტს, რაშიც მეტოქეების დამოშმინება, ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სახელმწიფოსათვის მო-

კავშირების შემომტკიცებაც იგულისხმება. 1991 წლის აგვისტოში ეროვნული გვარდიისთვის სტატუსის დაქვეითებამ განაპირობა მისი „ბუნკერში“ გამოკეტვა. გამსახურდია ცხოვრობდა არქაულ სამყაროში, სადაც ქართველების კანონიერი კუთვნილება უნდა ყოფილიყო ახალ ეთნიკურ საფუძველზე დამყარებული სახელმწიფო. ეს კონცეფცია, გლობალიზაციისა და მასობრივი იმიგრაციის პირობებში, დიდ ხანია უკუგდებული აქვს ევროპის სახელმწიფოების უმეტესობას. მისი ხასიათის უდიდესმა ნაკლმა – უნდობლობამ და მერყეობამ – გამსახურდია ყველა ჯგუფს ჩამოაშორა, რომელსაც შეეძლო დაეცვა მისი რეჟიმი. მათში იგულისხმება არაქართველ პოლიტიკოსთა ელიტა, რუსი და საბჭოთა ლიდერები, ადგილობრივი საბჭოთა ჯარის ნაწილები, დასავლეთის ქვეყნები, ადგილობრივი ინტელიგენცია, პრესა, სტუდენტობა, ყოფილი კოლეგები მთავრობასა თუ ოპოზიციაში, მხედრიონი, ეროვნული გვარდია, და ბოლოს, უბრალო მოქალაქეები. მხედრიონსაც და ეროვნულ გვარდიასაც სტატუსი დაუქვეითეს გამსახურდიას ბრძანებულებით. მხედრიონს სამართლებრივი სტატუსი გაუუქმდა 1990 წლის შემოდგომაზე, ხოლო 1991 წლის თებერვალში დაშლილ იქნა საბჭოთა და ქართული სამხედრო ძალების მიერ.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები და დასავლეთის სახელმწიფოები მზად არ აღმოჩნდნენ, რათა დახმარება გაენიათ პრეზიდენტისათვის, რომელიც ერთდროულად ახერხებდა ანტირუსულიც ყოფილიყო და ანტიდასავლურიც. მისი კოლეგები, ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელების ჩათვლით, უფრო ნაკლებად მყარად გრძნობდნენ თავს თანამდებობებზე, ვიდრე სტალინის გარემოცვა. ეს საკმარისი მიზეზი იყო გასაჭირში ჩავარდნილი პრეზიდენტის მისატოვებლად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამსახურდია აღმოჩნდა საკუთარი მოხელეების – ინტელექტუალებისა და ჩინოვნიკების – ამბოხის წინაშე. „წითელი ინტელიგენცია“ და პარტიული თანამდებობის პირები გადამტერებულები იყვნენ გამსახურდიას ანტიმოდერნისტული რიტორიკის, მზარდი ეკონომიკური დაუცველობის, საარსებო საშუალებებისა და გაელენის მოსაპობის საფრთხის გამო.

გამსახურდია რევოლუციის ტალღაზე მოვიდა ხელისუფლებაში 1990 წლის ოქტომბერში. ის შეუდგა საბჭოთა სტრუქტურების ნგრევას და 1991 წლის აპრილში ქვეყანა „დამოუკიდებლობამდეც“ მიიყვანა. მაგრამ, მან ვერ შეძლო ახალი სახელმწიფოს აშენება. მისმა ამბიციურმა რადიკალიზმმა ხანგრძლივი რევოლუციური კრიზისი გამოიწვია. არეულობამ, გახლეჩილმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ, ქვეყნის ეკონომიკის აწეწვით ხალხის გამოფიტვამ მისი რეჟიმი დაასუსტა ჭრელ ოპოზიციასთან შედარებით, რომელსაც ერთადერთი რამ აერთიანებდა – ეს იყო გამსახურდიას მიმართ მტრობა. მართალია, ქართველი სამხედრო ფორმირებები ძლიერ ძალას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მათმა ლიდერებმა მანაც შეძლეს ძალაუფლების ხელში აღება გამსახურდიას არაკომპეტენტურობისა და პოლიტიკური

შეზღუდულობის გამო. მათ ვერ მოახერხეს მასობრივი მხარდაჭერის მობილიზება და მიზნად დაისახეს მხოლოდ ქართული დემოკრატიული რევოლუციის მონყობა. ეს არ იყო არც სამხედრო გადატრიალება – „სამხედროებს“ არც პროფესიული ცოდნა ჰქონდათ, არც *esprit de corps* – და არც რევოლუცია, რომელსაც სათავეში პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ინტელექტუალები უდგანან. საკუთარ თავსა და კიტოვანზე საუბრისას იოსელიანი აცხადებდა, რომ „საქართველოში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ „ცნობილი ქურდი და უცნობი მოქანდაკე“.⁸² ეს გახლდათ უსაფრთხოების მაძიებელი გარიყული და გაძევებული ადამიანების პუტჩი. ფრუსტრირებული ახალგაზრდობა ბრძოლას შეუერთდა არა მხოლოდ დრამატიზმის ძიების სურვილით. საკითხავი იყო, შეძლებდა თუ არა ეს ახალი კოალიცია წესრიგის დამყარებასა და სამოქალაქო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. „დემოკრატია ლობიოს ქამა არ გეგონოთ“, გამოუცხადა იოსელიანმა თავის ოპონენტებს.⁸³ რამდენიმე თვეში ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას მმართველმა ტრიუმფირატმა მოსკოვში შევარდნაძის კარზე მიაკაკუნა და ქართული პოლიტიკის ცხარე კერძი უფრო გამოცდილს შესთავაზა.

თავი მეოთხე

ინტერრეგნუმი

1992 წლის 7 მარტს 64 წლის პენსიონერი ედუარდ შევარდნაძე თბილისში ჩამოფრინდა. მას თან ახლდნენ მეუღლე, უახლოესი მრჩეველები ჯერ კიდევ ძველი საბჭოთა დროის საგარეო საქმეთა სამინისტროდან – თემურ სტეპანოვი და სერგეი ტარასენკო – ახალგაზრდა თბილისელ მებრძოლთა და მოქალაქეთა გუნდი. აეროპორტში მას ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და დაახლოებით 2 000 მხარდამჭერი დახვდნენ – ძირითადად – ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებსაც ხელში წითელი მიხაკები ეჭირათ. მოშორებით ყოფილი პარტიული მაღალჩინოსანის მისამართით გამსახურდიას აღშფოთებული მომხრეების შეურაცხმყოფელი შეძახილები გაისმოდა. შევარდნაძემ, რომლის ჩამოსვლამ შვევით ამოასუნთქა მისი მომხრეები, ერთ ჟურნალისტს განუცხადა, რომ საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილება ყველაზე სარისკო გადაწყვეტილება იყო, რაც კი ოდესმე მიუღია ცხოვრებაში.¹ სიმბოლურად ეწვია რა ჯერ სიონის ტაძარს, სადაც პატრიარქის კურთხევა მიიღო, ხოლო შემდეგ გამსახურდიასთან „ორკვირიან ომში“ დაღუპული მებრძოლების საფლავებს, მან განაცხადა: „ყველაფერი დანგრეულია... ჩვენ უნდა ხელებდაკაპინებულებმა ვიპრომოთ და საქმე ვაკეთოთ“.²

ყოფილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა თბილისში, რომელსაც თბილისელები „ქაჯეთის ციხეს“ უწოდებდნენ, შევარდნაძისთვის მკაცრი წესრიგის განსახიერება იყო. ისტორიის ირონია იყო ის, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის ჩვეული რამეა, როდესაც ედუარდ შევარდნაძე, ქართველი პარტიული ლიდერი 1972-1985 წლებში, თავისი ქვეყნიდან წასული საძულველი საბჭოთა ლაქია, რომელიც ურცხვად აცხადებდა, რომ საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის, დაბრუნდა როგორც ქვეყნის მხსნელი. მოგვიანებით ერთ-ერთ ქართულ წიგნში დაიწერა, რომ „ეს იყო გონის მოქცევა“.³ იგი მოინწივეს გამარჯვებულმა, მაგრამ პოლიტიკურად გამოუცდელმა მემამბოხეებმა – იოსელიანმა, კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ, რათა წესრიგი დაემყარებინა და მათი უსაფრთხოება უზრუნველყო. მომდევნო სამი წლის განმავლობაში ბედის ბორბალი კვლავ დატრიალდა და იოსელიანი და კიტოვანი, რომლებსაც შევარდნაძე „უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეებს“ უწოდებდა, ამბოხები-

სკენ მონოდებისთვის ისევ ციხეში აღმოჩნდნენ. სიგუა, ტრიუმფირატის ერთ-ერთი წევრი, რომელიც შევარდნაძის დაბრუნების წინააღმდეგი იყო, 1993 წლის აგვისტოში გადადგა და პოლიტიკიდან წავიდა, მას შემდეგ, რაც 18 თვე პრემიერ-მინისტრი იყო შევარდნაძის მთავრობაში. ახლადმონათლული (1992 წლის ნოემბერში) შევარდნაძე 1995 წლის შემოდგომისთვის დემოკრატიული რეფორმების მამამთავრად მოგვევლინა. იმ წელს, თუმცა გაყალბებული არჩევნებით, ქართველებმა ხმათა 72.9 %-ით შევარდნაძე პრეზიდენტად აირჩიეს.

სამი წელი 1992-დან 1995 წლამდე ინტერრეგნუმი (ქაოტური, შუალედური მმართველობა) იყო გამსახურდიას მეორე რესპუბლიკის გამოფიტულ რადიკალიზმსა და შევარდნაძის მეოთხე რესპუბლიკის ზომიერ პოლიტიკას შორის, რომელიც ელიტური წრეების მონაწილეობით ხორციელდებოდა. ამ უკანასკნელის ფესვები 1995 წლიდან იძებნება თავისი ახალი კონსტიტუციით. მაგრამ შუალედური მმართველობა, რასაც მე მესამე რესპუბლიკას ვუნდობ, „არეულობის დრო“ იყო, რომელიც ხასიათდებოდა ძლიერი გასამხედროებელი ძალების არსებობით, უცხოური ინტერვენციითა და სამხედრო კრიზისით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. „მხედრონი“ და სხვა შეიარაღებული არაფორმალური ლიად ატარებდნენ იარაღს ქუჩებში, სასტუმროებსა და პარლამენტშიც კი. ღამლამობით თბილისს არ აძინებდა სროლისა და სწრაფად მიმავალი მანქანების დამუხრუჭების ხმა. პოლიტიკურ არეულობას ისეთივე სიმძიმის ეკონომიკური გაჩანაგება ამძაფრებდა, როგორც ეს 1920-იანი წლების ვაიმარის რესპუბლიკაში იყო. უეცრად თავს დამტყდარი სილატაკე, ზამთრები სანთლის შუქზე, მრავალრიცხოვანი დანაშაულები, გადაუხდელი ხელფასები, ინფლაციის 15 000-ზე მაღალი პროცენტი შოკი აღმოჩნდა ქართველების უმრავლესობისათვის, რომლებიც, როგორც ყოველთვის, არავითარ როლს არ თამაშობდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. ერთ დროს მძლავრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე ახლა დასავლეთ ვირჯინიის ზომის ეკონომიკურად გაკოტრებული პერიფერიული სახელმწიფოს მეთაური იყო. იგი ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე იდგა მთელი თავისი კარიერის მანძილზე. მას უნდა აღედგინა და გარდაექმნა სოციალური და ეროვნული საზოგადოება. დემოკრატია და ეკონომიკური რეფორმა მიმდინარე პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ შევარდნაძის ფუნდამენტური ამოცანა იყო სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა. მის პიროვნებაში ბევრი თვისება იყრიდა თავს – ის იყო პოლიტიკური კონფორმისტი, რისკიანი ადამიანი, კომუნისტი, ნაციონალისტი, შემწყნარებელი პედანტი, ემოციური პრაგმატიკოსი და გულუბრყვილო რეალისტი. მაგრამ 1992 წელს იგი თანხვედრილი იყო თავის ხალხთან: განასახიერებდა წესრიგს და მშვიდობას ჰპირდებოდა მათ.⁴

1992 წელს საქართველოში დაბრუნებას რომ იხსენებს, შევარდნაძე პარალელს ავლებს შარლ დე გოლის სამშობლოში დაბრუნებასთან 1958

ნელს საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკის დაცემის შემდეგ.⁵ დე გოლის მსგავსად, შევარდნაძე დანგრეულ ქვეყანაში დაბრუნდა, სადაც სამხედროები დომინირებდნენ; იგი იძულებული იყო, არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიეღო და დაემთავრებინა დამლუკველი ომი სამხრეთ ოსეთში. ამ პროცესში თავად კინალამ დაიღუპა შეთქმულების ხელით. დე გოლის მსგავსად, მან შექმნა ახალი რესპუბლიკა ძლიერი საპრეზიდენტო კონსტიტუციით, რასაც სამი წელი დასჭირდა და რაც მონოდებული იყო, რომ უმოქმედო პოლიტიკური პარტიების დათრგუნვით გაეძლიერებინა აღმასრულებელი ხელისუფლება. როგორც მოგვიანებით აღიარა, მან იცოდა, რომ „უამრავი ხაფანგი, ჩიხი და დახლართული ქსელი“ ელოდა.⁶ შევარდნაძემ არ დააბრუნა კომუნისმი ან დიქტატურა, მაგრამ ვერც დაპირებული დემოკრატია და ეროვნული ხსნა უზრუნველყო.

ჩარლზ ტილი აღნიშნავს სახელმწიფოს სამ ძირითად ფუნქციას – მოპოვების, იძულებისა და ინტეგრირების ფუნქციებს⁷. ახალ ქართულ ხელისუფლებას სამივე უნდა უზრუნველყო – შემოსავლების გენერირება, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება (საზღვრების უსაფრთხოების ჩათვლით) და მოქალაქეების ლოიალურობა სახელმწიფოს მიმართ (როგორც გაბოროტებული დამარცხებულების, ასევე გაუცხოებული ეროვნული უმცირესობების). სახელმწიფო, როგორც ამას დიდი ხნის წინ აღნიშნავდნენ აღმონდი და პაუელი, მთლიანად უნდა მოიცავდეს საზოგადოებას.⁸ მომდევნო სამი წლის შედეგები საქართველოსთვის დამანგრეველი აღმოჩნდა. ქვეყნის დანაწევრებული ელიტა ვერ ახერხებდა ძირეული განსხვავებების პერიგებას. მას ანტიზვიადისტებად გაერთიანებამ მოუწია, ზვიადის წასვლის შემდეგ კი ისევე დაიშალა. მათ ქუჩებში გადაიტანეს პარლამენტი, ვინაიდან ვერ მოახერხეს ხალხთან თავიანთი ურთიერთობების ინსტიტუციონალიზება.⁹ შევარდნაძემ ვერ შექმნა მორჩილი ბიუროკრატია, რომელიც ეკონომიკაში სახელმწიფოს მისიას შეასრულებდა. საქართველოსთვის დეფოლტის შედეგად თავსმობხვეულმა ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ რესურსების მოპოვება კი არა, მათი გაქრობა გამოიწვია. 1994 წლის შემოდგომამდე არ არსებობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი ეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმა, არც იმ სახელმწიფო ინსტიტუტების ან გავლენიანი პოლიტიკური ფიგურების მონიტორინგი ხორციელდებოდა, რომლებიც სახელმწიფო აქტივების გაცხოველებულ გასხვისებაში ჩაებნენ. დენაციონალიზაცია სპონტანურად ხდებოდა, რადგან წარმოება შეწყდა, და საკუთრების უფლების მოპოვება დასწრებაზე იყო. ამ ყველაფერს უპრეცედენტო დინდუსტრიალიზაცია ემატებოდა.

ქვეყანა სამოქალაქო ომსა და უცხოურ ინტერვენციაში იყო გახვეული. წარუმატებელი ომი აფხაზ სეპარატისტებთან 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის სექტემბრამდე ვერ იქცა მაკონსოლიდირებელ ფაქტორად საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, შეასუსტა მისი ლეგიტიმურობა და

ადმინისტრირების შესაძლებლობა (თავსმოხვეული პრობლემა). სახელმწიფოს არ ჰქონდა საზღვრების დაცვის უნარი; მას არ შეეძლო დანაშაულის ან მზარდი კორუფციის კონტროლი. საზოგადოების რწმენა მკვეთრად დაეცა, ვინაიდან მთავრობა არ იხდოდა ხელფასებსა და პენსიებს, ვერ უზრუნველყოფდა ადეკვატურ სკოლებსა და სავადმყოფოებს; ეს იყო გადარჩენის პოლიტიკა მის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაში; საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე, ან საკუთარი პოლიტიკის გატარების შეუძლებლობის პირობებში საქართველოს სახელმწიფო ვერ განიცდიდა რეფორმირებას. დედაქალაქის ფარგლებს მიღმა არსებული რეგიონების გაკონტროლების უუნარობის გამო, სახელმწიფო, საკუთარი პოლიტიკა რომ გაეტარებინა, დამოკიდებული ხდებოდა ადგილობრივ ავტორიტეტებზე და საეკლესიო მეთაურებზე, რის სანაცვლოდაც აღნიშნული პირები სახელმწიფოს რესურსებიდან მოიპოვებდნენ „საკუთარ ხელფასებს“. ეს იყო გარემო, სადაც კორუფცია და იძულება მშვენივრად დანყვილდნენ. შევარდნაძე შერიგებისკენ ისწრაფოდა, მან მუშაობა დაიწყო სამუშაო შესთავაზა, სტუდენტებს „მოეფერა“, რამდენჯერმე ამისტია გამოაცხადა, შემწყნარებლობას ქადაგებდა, ხელფასები გაზარდა, მოლაპარაკება დაიწყო სეპარატისტებთან (ინტეგრაციის პრობლემა). მაგრამ აფხაზეთის ომის მიმდინარეობისას, 1992 წლის ზაფხულში, მან აღიარა: „არ უნდა დაებრუნებულიყავი... ეს იყო დინების სანინაღმდეგოდ ცურვა...“¹⁰

ახალი გამოწვევები

ყველაზე მწვავე პრობლემა მშვიდობის დამყარება იყო. 1992 წელს ქვეყანას საეკლესიო მეთაურები მართავდნენ, კერძოდ, „მხედრიონი“ და ეროვნული გვარდია, რომლებიც ერთად აკონტროლებდნენ ახლადშექმნილ სამხედრო საბჭოს, შავ ეკონომიკასა და რეგიონების უმეტესობას. ზვიადისტიკებთან ანგარიშსწორების ოპერაციები შიშის ატმოსფეროს ნერგავდა. შიშისმომგვრელი მოხალისე ჯარისკაცები სახლებს დაუბრუნდნენ. შემდეგი ნაბიჯი იყო ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც აღიარებდას მოიპოვებდა. შეუძლებელი იყო რაიმე რეფორმის გატარება ან სახელმწიფოს აღმშენებლობა სახელმწიფო საზღვრებისა და განსაზღვრული სახელმწიფო ტერიტორიის გარეშე. ეს ძნელი ამოცანა იყო მრავალეროვან საზოგადოებაში, რომელიც გახლენილი იყო გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში მიღებული გამოცდილების გამო. მიუხედავად მოქალაქეობის შესახებ კანონის ლიბერალური ხასიათისა, გამსახურდიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არაქართველების ქართველი სახელმწიფოსადმი მიკუთვნება. 1995 წლის შუა პერიოდში ჯერ კიდევ მიუღწეველი იყო შეთანხმება საქართველოს ტერიტორიულ მონყობასთან – უნიტარულთან, დეცენტრალიზებულსა თუ ფედერალურთან (ვინ შევიდოდა, სად

შევიდოდა რა მოიაზრებოდა ამაში) დაკავშირებით. ეროვნულ უმცირესობათა უნდობლობის გამო რამდენჯერმე გადაიძო ადგილობრივი არჩევნები, რამაც შეაფერხა პრივატიზაციისა და მიწის განაწილების პროცესი.

შერიგებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ჰქონდა. ექსპრეზიდენტის მომხრეები მტრულად იყვნენ განწყობილნი, ხოლო სამეგრელოს რეგიონში მათი კონცენტრაციის გათვალისწინებით ისინი საშიშიც კი იყვნენ. ახალ მთავრობას, რომელმაც უკანონოდ ჩამოაგდო დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი, ლეგიტიმურობა უნდა მოეპოვებინა. ეს ნიშნავდა ინსტიტუციონალიზაციას: ახალ კანონებს მოქალაქეობის, პრივატიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის, სასამართლოს, არჩევნების, პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ. გამსახურდიამ ნაჩქარევი კონსტიტუცია დატოვა, ნახევრად საბჭოთა და ნახევრად ქართული; მისი მრავალრიცხოვანი საპრეზიდენტო დეკრეტები და ბრძანებულებები კანონმდებლობის და კანონების დისკრედიტაციას ახდენდა. ამ გახლართული გორგლის დაშლა და კანონების განხორციელების უზრუნველყოფა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ეკონომიკური სტაბილურობაც უალრესად საჭირო იყო. გამსახურდიამ ეკონომიკურ რეფორმას ეწინააღმდეგებოდა და ყველა მთავარი ეკონომიკური მაჩვენებელი დიდი სისწრაფით ეცემოდა. ჯანმრთელობის, პენსიების, ხელფასების მდგომარეობისა და დანაშაულთან ბრძოლის გაუმჯობესების გარეშე ან, სულ მცირე, ამის იმედის გარეშე ხალხის მხარდაჭერაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ახალი რეჟიმების ლეგიტიმურობა ხშირად ძალზე მყიფეა; შევარდნაძეს შეიძლება არ აკლდა გამოცდილება, მაგრამ ხალხისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო კეთილდღეობის უზრუნველყოფა და წესრიგის დამყარება.

საჭირო იყო ეფექტიანი საგარეო პოლიტიკა, რომელიც სავაჭრო ურთიერთობებს გააუმჯობესებდა და ქვეყანაში სტაბილურობას უზრუნველყოფდა, ეს კი რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობას და დასავლეთის მხრიდან აღიარებას და ინვესტირებას ნიშნავდა. გარდა ამისა, თავად შევარდნაძის პრობლემაც არსებობდა. საქართველოს პარტიული ლიდერის რანგში ხანგრძლივი ინმსახური მის მიმართ უალრესად ამბივალენტურ დამოკიდებულებას იწვევდა. მსგავსი პოზიცია დიქტატურის განმეორების შიშს ბადებდა. მას არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა კიტოვანთან, ტრიუმფვირატის ერთ-ერთ წევრთან, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობისას, 15 წელი მიუსაჯა კიტოვანს სერიოზული ავტოსაგზაო ავარიის გამო.¹¹ შევარდნაძეს პრორუსული ორიენტაციის მქონედაც მიიჩნევდნენ. მეორე მხრივ, გავლენიან რუსულ წრეებში, განსაკუთრებით, სამხედროებში, ანტიშევარდნაძისტული განწყობა იყო საბჭოთა იმპერიის დაშლაში მისი როლის გამო. შევარდნაძის პიროვნება პრობლემა იყო ქართულ-რუსულ ურთიერთობებში.

კიდევ უფრო ღრმა პრობლემა იყო მუდმივი წინააღმდეგობა ეროვნული და პოლიტიკური საზოგადოებრიობის შეურიგებელ კონცეფციებს შორის.

გამსახურდიას წასვლით ეროვნული თვითმყოფადობის იდეები არ გამქრალა. გრძელდებოდა გამშაგებული დებატები მოქალაქეობასთან, ეკლესიის როლთან და კონსტიტუციასთან დაკავშირებით. მართალია, საბჭოთა კავშირი ეროვნული თვითმყოფადობის კულტურული კონცეფციის აქცენტირებას ახდენდა, მაგრამ, ამავე დროს, იგი სამოქალაქო თანასწორობის, სეკულარიზმის და ურბანიზმის თანამედროვე, საერო იდეებს უწევდა პროპაგანდას. მაგრამ ამას არასდროს ღრმად არ შეუღწევია ქართული (და არც რუსული) საზოგადოების ცნობიერებაში. კომუნისტური ელიტა – „აპარატნიკები“, როგორც იყო შევარდნაძე ან თუნდაც მისი თანამზრახველი ინტელექტუალები – მწერალი გურამ ფანჯიკიძე და კინორეჟისორი ელდარ შენგულაია – თანამედროვე სეკულარული სახელმწიფოს მომხრენი იყვნენ. მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, განსაკუთრებით, პროვინციებში ნაკლებად შეეხო გლობალიზაციის გზაზე დამდგარი მსოფლიო და თუ შეეხო, ამან მისი შიში გამოიწვია. ბევრისთვის, ისევე როგორც მათი ყოფილი გმირის გამსახურდიასთვის, ძვირფასი იყო რომანტიკული, არათანამედროვე და ტრანსცენდენტური შეხედულება ერის/სახელმწიფოს შესახებ. მათი სწრაფვა, ისევე როგორც წინასაბჭოურ პერიოდში, მიმართული იყო ოჯახისა და წარსულის იდეალიზებული დიდებისკენ. 2001 წლის მიმართვა „ქართველი ერისადმი,“ რომელსაც ხელს აწერდნენ გამოჩენილი ინტელექტუალები, ქართველ ხალხს სეკულარიზაციის საფრთხის შესახებ აფრთხილებდა: „ქართული გენოფონდი, მართლმადიდებლობა, საქართველოს ეკლესია, ოჯახი, პიროვნება, ტრადიციები, ქვეყნის ეკონომიკა, მისი განათლება და კულტურა შეგნებულად ინგრევა“.¹² ერის შეხედულებების ამგვარი დაყოფა ტრადიციულად და სეკულარულად ყოველთვის მკაფიო არ არის – ქართველთა უმრავლესობა ორივეს აერთიანებს – მაგრამ ეს ჭეშმარიტად კულტურული განხეთქილება იყო 90-იან წლებში და ამას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.¹³

დემოკრატიული სახელმწიფოს წარმატებულ მშენებლებად რომ ქცეულიყვნენ, საქართველოს ახალ ლიდერებს კულტურული განხეთქილება უნდა გარდაექმნათ კონსენსუალურ და წესრიგზე დამყარებულ შეჯიბრად. მათ ახალი პოლიტიკური ღირებულებები უნდა დაემკვიდრებინათ. შევარდნაძე ეკონომიკური კოლაფსის და ომის პირობებში ნაციონალიზმის უფრო ზომიერი ფორმის დანერგავს ცდილობდა. მან ბოლო მოუღო ზედმეტად სახალხო დემოკრატიზაციას, რამაც გამსახურდიას დროს პირდაპირი მოქმედებები და ძალადობა გამოიწვია. მას სურდა ხალხის ნება პარლამენტის საშუალებით გამოსატყლიყო, მაგრამ ამისთვის ახალ პარტნიორებთან – ჯაბა იოსელიანთან და თენგიზ კიტოვანთან – შეთანხმებისთვის უნდა მიეღწია და გაენეიტრალებინა თავისი რადიკალური ოპონენტები. ამის გასაკეთებლად მან მოიზიდა ძველი ელიტა და დასავლური ორიენტაციის ახალგაზრდა აქტივისტები, რომლებიც გამსახურდიას წინააღმდეგ გამოსვლებს

ხელმძღვანელობდნენ.¹⁴ 1993 წლის ნოემბერში შეიქმნა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, ახალი პარტია შევარდნაძის თავმჯდომარეობით, რომელიც სამოქალაქო თანხმობის და კანონის უზენაესობის პროპაგანდას ეწეოდა. კომუნისტებისა და ახალგაზრდა „პოსტკომუნისტების“ გაერთიანებისთვის გამიზნული ეს პარტია სწრაფად გადაიქცა პოლიტიკური და ეკონომიკური სიკეთეების ახალი რეჟიმის მხარდამჭერთა შორის გადასანაწილებელ მექანიზმად. შევარდნაძე აქცენტს აკეთებდა რუსეთთან და სამხრეთ ოსეთთან შერიგებაზე და ახალ სახელისუფლებო სტრუქტურებში ოპოზიციური ძალების ჩართვაზე. ეს განსხვავებული სტილის ხელმძღვანელობა იყო, რომელიც კოალიციებს, შეთანხმებებს და მანიპულაციებს უფრო ეფუძნებოდა, ვიდრე დიქტატს, გათიშვას და ბატონობას. კოალიციის შექმნის შევარდნაძისეული სტრატეგია ასახავდა სახელმწიფოს მშენებლობის პოსტრადიკალურ საფეხურს. ლექსიკაში გაჩნდა ახალი სიტყვები – „ურთიერთდამოკიდებულება“, „სამოქალაქო საზოგადოება“, „შერიგება“, რომლებმაც შეცვალა გამსახურდიას ფრაზები: „ბნელი ძალები“ და „ნითელი ინტელიგენცია.“¹⁵ როგორც ერთ-ერთმა დასაველელმა მონემ ჩამოაყალიბა, ეს იყო „სიტყვა მახვილის წინააღმდეგ.“¹⁶

1992 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ახლადშექმნილმა სახელმწიფო საბჭომ „შერიგების მანიფესტი“ გამოაქვეყნა და ამნისტიის საფუძველზე 1992 წლის იანვარსა და ივნისს შორის პერიოდში დაპატიმრებული ყველა ოპოზიციონერი გაათავისუფლა. 9 აპრილი „ეროვნული ერთობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის დღედ“ გამოცხადდა.¹⁷ რადიკალური სოციალური ტრანსფორმაციის სულისკვეთება რეფორმიზმის სულისკვეთებით შეიცვალა და გამსახურდიას მიერ უარყოფილი მიწისა და მრეწველობის პრივატიზაცია საპირისპირო ტენდენციამ ჩაანაცვლა, რომლის თანახმადაც საქართველოს სახელმწიფომ გაათვითცნობიერა იმის საჭიროება, რომ ყველა მოქალაქისთვის უნდა შეეთავაზებინა საერთო ქონების ნაწილი. ნაციონალისტური იზოლაციონიზმი უარყოფით თვისებად იქცა და თუ საქართველომ კომუნისტი შევარდნაძის ხელმძღვანელობით პირი ჩრდილოეთისკენ იბრუნა, პოსტკომუნისტი შევარდნაძის მეთაურობით მან პირი იცვალა დასაველეთისკენ, რომელიც ეკონომიკური დახმარებისა და უცხოური ინვესტიციების წყარო იყო.


სახელმწიფოს მხანაგლობა

საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და ქმედითი სახელმწიფოებრიობისთვის უშუალო საფრთხეს წარმოადგენდნენ შეიარაღებული ფორმირებები. ალ კაპონეს და ჩიკაგოს ბანდების მსგავსად, ისინიც უდისციპლინო, არაპროფესიონალი და დაქსაქსულები იყვნენ, მაგრამ როგორც სამუელ

პანტინგტონი ამბობდა „როდესაც სხვა ყველაფერი გამორთულია, გოლფის სათამაშო ფიხიც საყვირად მოგეჩვენება“ (ანუ უძალლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ).¹⁸ 1992 წლის იანვრის შემდეგ ქართულ სამხედრო ფორმირებებს სახელმწიფო ძალაუფლება ეპყრათ ხელთ, მაგრამ ამ ხანმოკლე გამოცდილებამ ცხადყო, რომ მათ პროფესიონალიზმი არ ჰქონდათ და მართვა არ შეეძლოთ. სამხედრო ფორმირებები მოქალაქეებით იყო დაკომპლექტიებული, ესენი იყვნენ კოლორიტული კაუდილიოები, მსგავსად თენგიზ კიტოვანის და ჯაბა იოსელიანისა, მხატვრები, მწერლები, თავზეხელაღებული ვაკელი და საბურთალოელი ახალგაზრდები, ნარკომანები, ყოფილი კრიმინალები.¹⁹ იოსელიანი, ჭკვიანი და მომხიბლავი გარეგნობის ადამიანი, რომელსაც გამუდმებით დასთამაშებდა სახეზე ირონიული ღიმილი, 1992 წელს 66 წლის იყო. პირველად ის 16 წლის ასაკში დააპატიმრეს და მოგვიანებით 25 წელი მიუსაჯეს შეიარაღებული ყაჩაღობისთვის. იგი წამყვანი ფიგურა გახდა რუსეთის კრიმინალურ სამყაროში როგორც კანონიერი ქურდი.²⁰ მას შემდეგ, რაც პატივისცემა დაიმსახურა თბილისში როგორც თეატრალური ხელოვნების სფეროში პროფესორმა (ამ გამორჩეული ადამიანისთვის ეს შესაფერისი მონოდება იყო), მან „მშვიდობიანი მოსახლეობის“ დასაცავად 1989 წლის აგვისტოში „მხედრონი“ დააარსა.²¹ მოქანდაკე თენგიზ კიტოვანი, რომელმაც გარკვეული დრო ასევე ციხეში გაატარა, უფრო ფლეგმატური ყაჩაღი იყო, რომელიც ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობას ინარჩუნებდა. ორივე ეს ადამიანი და მათი ორგანიზაციები 1992-93 წლებში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ საქართველოს სახელმწიფოს ფიზიკურ გადარჩენაში, მაგრამ 1994 წელს ისინი უკვე ამავე ქვეყნის დანგრევის საფრთხეს ქმნიდნენ. ორივე არაფორმალურ და დაუნერულ ვალდებულებებზე დაყრდნობით უჭერდა მხარს სახელისუფლებო სისტემას. კონტროლის დასამყარებლად გაჩაღებულ ბრძოლას ინსტიტუციური ჩარჩოები არ გააჩნდა და ეკონომიკური და პოლიტიკური სიკეთეები განაწილებული იყო ძლიერ სამხედრო მეთაურებს შორის, რომლებსაც თავ-თავიანთი ქსელები ჰქონდათ. მოსახლეობა მარგინალიზებული იყო; საბჭოთა კოლონიურმა მემკვიდრეობამ არ დაუტოვა ადგილი სამოქალაქო პოლიტიკას. ამავე დროს, სახელმწიფო რესურსებში დიდი სიმდიდრე იყო თავმოყრილი ფაბრიკა-ქარხნების, უძრავი ქონების, სამხედრო აღჭურვილობის სახით, რომლისთვისაც ნამდვილად ღირდა ბრძოლა. ამის შედეგი იყო საყოველთაო ქურდობა, რომელმაც საქართველო სანარმოო სიმძლავრეების გარეშე დატოვა, და ეს მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულა. და მანც, ლეგიტიმურობისა და საერთაშორისო აღიარებისკენ ქართველი ლიდერების სწრაფვა თავიდანვე მოითხოვდა მათგან, საზოგადოების მხრიდან დემოკრატიის მხარდაჭერა მოეპოვებინათ და სამოქალაქო მმართველობას შეგუებოდნენ.

სამხედრო საბჭო 1991 წლის დეკემბერში შეიქმნა, გამსახურდიას განდევნამდე რამდენიმე დღით ადრე. ეს მეორე მთავრობა იყო იმ ოთხ მთავ-

რობას შორის, რომელიც 1992 წელს შეიქმნა საქართველოში. მისი თვით-გამოცხადებული მისია ახალი არჩევნების ჩატარებამდე ეკონომიკური რეფორმების დაწყება და წესრიგის შენარჩუნება იყო. მას რჩევებს აძლევდა პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც ყველა პარტია და გაერთიანება შედიოდა, რომელსაც ამ საქმეში მონაწილეობის მიღება სურდა – „ყველა მინუს ერთი“ – როგორც ამბობდა იოსელიანი (და ის ერთი გამსახურდია იყო). გარკვეული პოლიტიკური ტოლერანტულობის უესტი იყო ის, რომ გამსახურდიას მომხრე პარტიები და არაქართველებიც მიიწვიეს მონაწილეობის მისაღებად. სწრაფად შეიქმნა დროებითი მთავრობა თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით, რომელიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი იყო გამსახურდიას მთავრობაში. მინისტრები „ქარგი ავტორიტეტით და ნაცნობ-მეგობრების რეკომენდაციებით“ ინიშნებოდნენ. რეჟიმი ყოფილ პარტიულ ნომენკლატურაზე აკეთებდა ძირითად აქცენტს. თუმცა ეს არ იყო კომუნისტების აღორძინება: ყოფილი ქართველი ბიუროკრატი კომუნისტები ენთუზიასტი ნაციონალისტები იყვნენ.



ჯეიმს ბეიკერი მესამე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, 1992 წლის 25 მაისს ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მას დახვდნენ სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტის წევრები. მარცხნიდან მეოთხე თენგიზ კიტოვანი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე; მის მარცხნივ ვიცე-თავმჯდომარე ჯაბა იოსელიანი; მიკროფონთან ჯეიმს ბეიკერი მესამე; მისგან მარცხნივ მეოთხე - თენგიზ სიგუა (ულვაშებით), მოქმედი პრემიერ-მინისტრი; მის მარცხნივ - პრეზიდენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

სახელმწიფო საბჭომ რამდენიმე ლიბერალური უესტი გააკეთა: მან აღადგინა უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია, გამოაცხადა მთავრობისგან მასშედის დამოუკიდებლობა, გაათავისუფლა ტორეზ კულუმბეგოვი, სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტი“, და მრენველობის დენაციონალიზაციას დაჰპირდა ხალხს. სამხედრო საბჭომ აღადგინა ურთიერთობა რუსეთის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობასთან, რომელიც თბილისში იყო ბაზირებული, ალუთქვა მას რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაცვა და გააუქმა ტერმინი „საკოუპაციო ძალები“. ყოფილი საბჭოთა სამხედრო პროფესიონალი, გენერალ-ლეიტენანტი ლევან შარაშენიძე დაინიშნა გარდამავალი პერიოდის თავდაცვის მინისტრად; მისი დანიშვნის მიზანი იყო ყველა არსებული სამხედრო ფორმირების გაერთიანება ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ. ხელფასები და პენსიები 100%-ით გაიზარდა, რათა პურსა და ტრანსპორტზე ათჯერ გაზრდილი ფასების კომპენსაცია მომხდარიყო. ბინების პრივატიზაცია უფასო გახდა. სამხედრო საბჭომ 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა და არალეგიტიმურად გამოაცხადა საბჭოთა კონსტიტუციაზე დამყარებული ყველა მმართველობა, გამსახურდიას მმართველობის ჩათვლით.

დასავლეთ საქართველო ანარქიული რჩებოდა. გამსახურდიას ძალები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ქალაქების კონტროლისთვის იბრძოდნენ, აფერხებდნენ თბილისის საკვები პროდუქტებით მომარაგებას. ისინი ზუგდიდში იყვნენ თავშეფარებული და მტკიცედ ჰქონდათ გადანყვეტილი, წინააღმდეგობა გაენიათ „თბილისელების შოვინიზმისთვის“. ექსპრეზიდენტის მომხრეებმა დედაქალაქში თბილისის რკინიგზა დაიკავეს და ყოველდღე დემონსტრაციებს მართავდნენ. დაძაბულობა სამხრეთ ოსეთში ფეთქებად-საშიში გახდა მას შემდეგ, რაც 1992 წლის იანვარში ჩატარებულმა უკანონო რეფერენდუმმა გამოავლინა, რომ მოსახლეობის 92 პროცენტი მეზობელ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას ემხრობოდა.²² სამხედრო საბჭოში ძირითადი უთანხმოება საქართველოს სახელმწიფოს მომავალი მონყობის საკითხმა გამოიწვია. ეროვნული დემოკრატიები და მონარქისტები კონსტიტუციურ მონარქიას ემხრობოდნენ; ჯაბა იოსელიანი შევარდნაძის დაბრუნებას და საპარლამენტო სისტემის დამყარებას მოითხოვდა.²³ თითქმის სამი თვის თავზე სამხედრო საბჭომ კვლავაც ვერ მიაღწია რაიმე პროგრესს საკუთარი ლეგიტიმურობის დამკვიდრებასა თუ მართვის სამოქალაქო ინსტიტუტების მომზადებაში. ეროვნული კონფლიქტები, შიდა განხეთქილება და პოლიტიკური არასტაბილურობა გაუარესებისკენ მიდიოდა. სამხედრო საბჭოს მიერ გამოცხადებული საეჭვო ამნისტიით, რომელიც იოსელიანის დაჟინებით მოხდა, დაახლოებით 8000 პატიმარი გაათავისუფლეს, რამაც საქართველოს დანაშაულებრიობის ქრონიკული მაჩვენებელი გაზარდა. მარტის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ეძებდნენ პოლიტიკურ ლიდერებს და ამაოდ მიისწრაფოდნენ უსაფრთხოებისა და საერთაშორისო

ალიარებისკენ – ევროპის ფეხბურთის ფედერაციამაც კი უარი უთხრა ქართულ გუნდებს უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე – სამხედრო საბჭომ ოფიციალური დელეგაცია გააგზავნა მოსკოვში, რათა შეეარდნადისთვის დაბრუნება ეთხოვათ. ეს ნაბიჯი გარკვეული შემოფოტების და მღელვარების ფონზე გადაიდგა, რადგან სამხედრო საბჭოს წევრებს სტაბილურობის მოთხოვნა იქნა, მაგრამ თან ემინოდათ, რომ ისინი კი არ გამოიყენებდნენ შევარდნაძეს, არამედ თავად შევარდნაძე გამოიყენებდა მათ. შევარდნაძის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში, 10 მარტს, სამხედრო საბჭო დაიშალა.²⁴

სამხედრო საბჭოს ნაცვლად შექმნილი სახელმწიფო საბჭო სამოქალაქო ორგანიზაცია იყო, რომელიც თავის თავს უწოდებდა „ყველაზე წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც არჩევნების ჩატარებამდე განახორციელებდა ყველა მმართველობით და მაკონტროლებელ ფუნქციას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.“²⁵ სახელმწიფო საბჭომ აღუთქვა ხალხს „ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმების გატარება და მასშედის გათავისუფლება სახელმწიფოს დიქტატისგან.“²⁶ იგი თავისუფალ არჩევნებსაც დაჰპირდა მოსახლეობას. თავიდან სახელმწიფო საბჭო 60 წევრისგან შედგებოდა, ძირითადად თბილისის ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებისგან. ესენი იყვნენ პროფესორები, მწერლები, ფიზიკოსები და გაზეთების რედაქტორები. საბჭოს ტიპური წარმომადგენლები იყვნენ პატრიოტი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, ისტორიკოსი აკაკი ბაქრაძე, უნივერსიტეტში მოღვაწე ეკონომისტი რომან გოცირიძე და კინორეჟისორი ლანა ლოლობერიძე. საბჭოს ოცდახუთი წევრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა. ინტელექტუალების გვერდით იყვნენ პარტიების წარმომადგენლები – სოციალ-დემოკრატი გურამ მუჩაიძე, „ქარტია 91-ის“ წარმომადგენელი თედო პაატაშვილი, მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი ზურაბ ყვანია, ეროვნული დემოკრატიების წარმომადგენელი ირაკლი ქადაგიშვილი. სახელმწიფო საბჭოში რამდენიმე თვის განმავლობაში 44 პარტიის წარმომადგენელი მონაწილეობდა და მათი რიცხვი 85-მდე ავიდა. დაარსდა კომიტეტები და კომისიები, რომლებსაც უნდა მოეხდინათ სახელმწიფო საკუთრების, ეკონომიკური რეფორმების, განათლების, ეკოლოგიის და სხვა სფეროების ადმინისტრირება, მაგრამ საბჭოს პოლიტიკური სიჭრელის გამო, მისი პროექტიულობა დიდი არ იყო.

სახელმწიფო საბჭომ, მიუხედავად მისი შემოფოტებისა შევარდნაძის განზრახვების გამო, ერთხმად აირჩია იგი თავმჯდომარედ. სახელმწიფო საბჭოს ძალაუფლება უმეტესად სიმბოლური იყო. რეალური ძალაუფლება საბჭოს პრეზიდენტი ხელში იყო, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს აერთიანებდა და გადამწყვეტი ხმის მქონე ოთხი წევრისგან შედგებოდა. ესენი იყვნენ პრეზიდენტის თავმჯდომარე შევარდნაძე, ვიცე-თავმჯდომარე ჯაბა იოსელიანი (დრამატურგი, დოქტორი,

პროფესორი); „პრემიერ-მინისტრის ფუნქციების შემსრულებელი“ თენგიზ სიგუა და პრემიერ-მინისტრის მოადგილე თენგიზ კიტოვანი. პრეზიდენტის წევრების ხმები „კონსენსუსის“ პრინციპზე იყო დამყარებული და თითოეულ მათგანს ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს დეკრეტებზე ვეტოს დადების უფლება. სახელმწიფო საბჭოს შექმნა ვეტოს გაუქმება, რისთვისაც ხმათა ორი მესამედი უნდა მიეღო, რაც, თუ გავითვალისწინებთ მის დაქსაქსულობას, არარეალური იყო. პრეზიდენტი აკონტროლებდა შეიარაღებულ ძალებს და სამხედრო პოსტებზე დანიშნავს; მისი თავმჯდომარე ნიშნავდა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ხელს აწერდა ყველა განკარგულებას, დადგენილებას და განსაზღვრავდა სახელმწიფო საბჭოს დღის წესრიგს.

პრეზიდენტი იყო გარკვეული პაქტი, რომელიც უზრუნველყოფდა გარანტიებს მისი წევრებისთვის. ის სამხედრო მმართველობიდან სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლის ხელშესაწყობად და დემოკრატიზაციის პროცესის გასაფართოებლად შეიქმნა, ოფიციალურად მაინც. თუმცა დემოკრატიული რეფორმები, ომის და სახელმწიფოს კოლაფსის პირობებში, საკმაოდ პრობლემური იყო. ეს პაქტი თავიდანვე დაძაბულობის ნიშნებს ატარებდა. თავდაჯერებული კიტოვანი, რომელიც ეროვნულ გვარდიას აკონტროლებდა, ყურადღებას არ აქცევდა როგორც პრეზიდენტს, ისე სახელმწიფო საბჭოს. 1992 წლის აგვისტოში, როგორც მტკიცებულება ადასტურებს, კიტოვანმა შეგნებულად გააჩაღა ომი აფხაზეთში და თბილისთან შეუთანხმებლად კონტროლი დაამყარა სოხუმზე. იოსელიანი უფრო მეტად იყო განწყობილი თანამშრომლობისთვის, მაგრამ იგი უარს აცხადებდა პრეზიდენტის მოთხოვნების შესრულებაზე, რათა ბოლო მოეღებოდა „მხედრონის“ ავტონომიას²⁷ და ის ერთიან ქართულ არმიას შერწყმოდა. შევარდნაძე მძიმე მდგომარეობაში იყო სამხედრო და ბიუროკრატიული აპარატების უქონლობის გამო და ხშირად იღებდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, რათა თავიდან აეცილებინა ვეტო.

სახელმწიფო საბჭოსთვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხი სახელმწიფო უსაფრთხოება იყო. 1992 წელს საბჭომ განაცხადა:

„პოლიტიკურმა და სოციალურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია. პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური კრიზისი თითქმის ყველა სფეროში აღინიშნება, უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა ახალისებს დესტრუქციულ ძალებს და კრიმინალურ დაჯგუფებებს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია... სისტემატური ტერორისტული და დივერსიული აქტები. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დაუსჯელად დათარეშობენ შეიარაღებული ბანდები.“²⁸

თებერვლიდან ივნისამდე 21 ტერორისტული და დივერსიული აქტი დაფიქსირდა ხიდებზე, რკინიგზაზე, მილსადენებზე, მთავრობისა და ხე-

ლისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ. სახელმწიფო საბჭოს მცდელობა, მოეხდინა უსაფრთხოების სისტემის რეორგანიზაცია, წარუმატებელი აღმოჩნდა: გამოქვეყნდა სამხედრო რეფორმის, არმიის გაერთიანების, ჯარში 18 თვიანი განვევის დანესების და ახალი თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ დეკრეტები. დანესდა საზღვრები და სასაზღვრო ზონები, უშიშროების სამინისტრო შეიცვალა ინფორმაციისა და დაზვერვის სამსახურით, ნაკლებად სამიში დანესებულებით, რომელსაც შეზღუდული ჰქონდა მოქალაქეებზე დაკვირვების უფლებები. სახელმწიფო საბჭომ ყველა იარაღის დარეგისტრირება (მათი კონფისკაცია შეუძლებელი იყო) და საბჭოთა სამხედრო საკუთრების ნაციონალიზაცია მოითხოვა. 1992 წლის სექტემბერში დაარსდა ანტიტერორისტული საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც საქართველოში უცხო ქვეყნების აგენტებისთვის უნდა მიეხედა. რეორგანიზაციას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. საბჭოთა არმიამ ნაციონალიზაციის შესახებ საბჭოს მოთხოვნის იგნორირება მოახდინა, გაანადგურა აღჭურვილობა, რომელიც ვერ გაიტანა ან მიჰყიდა მას, ვინც ყველაზე დიდი ფული გადაიხადა. შეიარაღებული ბანდები, რომელთა დიდი ნაწილი პოლიტიკურ პარტიებთან იყო დაკავშირებული, დაუსჯელად მოქმედებდნენ. ეროვნული გვარდია და „მხედრიონი“ მართავდნენ ბენზინის შემოტანას და ეწოდნენ სიგარეტისა და იარაღის კონტრაბანდას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად. 1992 წლის დეკემბრიდან 1993 წლის აგვისტომდე სამინისტროს თემურ ხაჩიშვილი, მხედრიონელი და ორჯერ ნასამართლევ კრიმინალი, ხელმძღვანელობდა. სახელმწიფო ბანდიტიზმის ფაქტის წინაშე აღმოჩენილმა შევარდნაძემ პოლიტიკური დასაყრდენისათვის მრჩეველთა საკუთარ აპარატს მიმართა, რომელიც პოლიტიკურ საბჭოში შედიოდა. ესენი იყვნენ: ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, რომელიც სახელმწიფო მინისტრი გახდა (რაც პრემიერ-მინისტრის ეკვივალენტური იყო); ირაკლი მენაღარიშვილი, კომკავშირის აქტივისტი და ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა; ყოფილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ავთანდილ მარგინი, რომელიც შევარდნაძის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ მსახურობდა და უიული შარტავა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე ყოფილი მდივანი, რომელიც 1993 წელს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა.²⁹

1992 წლის ივნისში გამსახურდიას 200 შეიარაღებული მხარდამჭერი ვალტერ შურღაიას ხელმძღვანელობით, რომელიც ზუგდიდის ყოფილი მერი იყო, თბილისის შუაგულში ტელევიზიაში შეიჭრა. ეროვნული გვარდიის ძალებმა ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, რომლის შედეგად სამი მებობოხე მოკლეს, ჩაახშეს „გადატრიალების“ ეს განწირული მცდელობა. 13 ივნისს იოსელიანის მკვლელობის მცდელობა იყო, ხოლო დასავლეთ საქა-

რთველოში სამხედრო ფორმირებები, განსაკუთრებით, „მხედრონი“ გამ-სახურდიას მომხრეებს ებრძოდნენ და სადაც კი შედიოდნენ, ძარცვავდ-ნენ, აპატიმრებდნენ და, სხვათა შორის, ხოცავდნენ სოფლის მოსახლეო-ბას. ქართული სასამართლოები უმოქმედოდ იყვნენ, ხოლო ადგილობრივ პოლიციას მოსახლეობის დაცვის ძალა არ შესწევდა. ასეთი ზენოლის მიუხედავად, სახელმწიფო საბჭოს შექმლო გარკვეული წარმატების შეს-ახებ ელაპარაკა. მან ეროვნებათაშორისი საქმეების და ადამიანის უფლე-ბების მარგულირებელი კომისია დააარსა და შექმნა შრომის საკითხების კომისიები სხვადასხვა სახის დავების განსახილველად. გამსახურდიას რე-ჟიმის დროს შემოღებული აკრძალვითი კანონები გაუქმდა და 1992 წლის ივნისში ქუჩის დემონსტრაციებისათვის უფრო ლიბერალური რეგულა-ციები იქნა შემოღებული. ივლისში, ოქტომბრის არჩევნების წინ, დაძაბუ-ლობის შენელების მიზნით, გამოცხადდა ყველა პოლიტიკური პატიმრის ამნისტია. აგვისტოში დედაქალაქში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბორის ელცინსა და შევარდნაძეს შორის ივნისში გამართული რამდენიმე შეხვედრის შემდეგ სამხრეთ ოსეთში გამოცხადდა ცეცხლის შეწყვეტა, რითაც დასრულდა ომი, რომლის შედეგი იყო 600-ზე მეტი მსხვერპლი და 65 000 იძულებით გადაადგილებული პირი (ღვენილი).³⁰ შევარდნაძის თქმით, „უსირცხვილო-ბა“ იყო კონფლიქტში რუსეთის ჩარევა, აგრეთვე მუქარები რუსეთის მო-ქალაქეების დასაცავად სამხრეთ ოსეთის ოკუპირების და საქართველოს ორად – დასავლეთი გამსახურდიას და აღმოსავლეთი შევარდნაძეს – გაყ-ოფის შესახებ.³¹ საქართველოსთვის სამწუხაროდ, კონფლიქტის მოგვარე-ბაში რუსეთის ჩარევა გარდაუვალი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური კრაზი სუსტი მმართველობით და ტრადიციული ბაზრების უეცარი დაკარგვით იყო გამოწვეული. საქართველო ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული; 1988-90 წლებში მისი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნახევარს იმპორტი და ექს-პორტი შეადგენდა. ქვეყნისთვის საჭირო სანავი და გაზი რუსეთიდან შემო-დიოდა და მსუბუქი მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულის 90%-ს ქვეყანა საბჭოთა კავშირიდან იღებდა.³² 1992 წელს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ომის გამო, რუსეთის მხრიდან გამოცხადებულ ბლოკადას დამლუპველი შედეგები მოჰყვა. საქართველოს ფინანსური და საკრედიტო სისტემები ჩიხში მოექცა, მინის პრივატიზაციის გამოცხადების (მაგრამ არასათანადო განხორციელების) შემდეგ სოფლის მეურნეობას ძირი გამოეთხარა; ქარ-თული კაპიტალის, ნედლეულის და მანქანა-დანადგარების არალეგალური ექსპორტის შედეგად, გაიძარცვა საქართველოს ძირითადი ინფრასტრუქტუ-რა. 1992 წლის იანვარსა და ივნისს შორის წარმოება 47.4%-ით დაეცა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ქვანახშირის მოპოვება 79.1%-ით, ელექტროენერჯის წარმოება 50%-ით, ბენზინის იმპორტი 49%-ით, ხოლო

ხორცის წარმოება 33%-ით დაეცა.³³ 1992 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასები ათჯერ გაიზარდა, ხოლო საბანკო შემნახველი ანაბრები ხუთჯერ გაიზარდა. საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ ამას მოსახლეობის „გაპროლეტარება“ უწოდა.³⁴

ახალმა მთავრობამ წამოიწყო ეკონომიკური რეფორმის პროგრამა, რომელიც მრავალრიცხოვან განკარგულებებს შეიცავდა გაკოტრების, ბაზრის რეგულირების და პრივატიზაციის შესახებ, მაგრამ ძალიან ძნელი იყო მათი განხორციელება ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის პირობებში (სექტემბერში საქართველოს 25 800 მილიონი რუბლის დეფიციტი ჰქონდა, რომლის შევსება მხოლოდ ეროვნული ბანკის დიდი კრედიტის ხარჯზე იყო შესაძლებელი), ომი წარმოებდა ორ ფრონტზე, სამეგრელოსა და აფხაზეთში.³⁵ საქართველო ეკონომიკურ უფსკრულში იყო გადაჩეხილი. მიუხედავად მის მიერ 1992 წლის მარტის ბოლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წევრობაზე შეტანილი განაცხადებისა, ამ ორგანიზაციებთან რეალური კავშირი 1994 წლის შემოდგომამდე არ დამყარებულა. თუმცა შევარდნაძის ჩამოსვლას დასავლეთთან ურთიერთობის სწრაფი გამოსწორება მოჰყვა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი დიტრიხ გენშერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიდნენ საქართველოში მომდევნო სამი თვის განმავლობაში. ყველა მიესალმა ახალ დემოკრატიულ საქართველოს. 23 მარტს საქართველო ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ აღიარა. პრეზიდენტმა ბუშმა ღია წერილი მისწერა შევარდნაძეს 8 აპრილს და ამერიკულ ინვესტიციებს დაჰპირდა; მოგვიანებით იმავე თვეში აშშ-ის საელჩო გაიხსნა, ხოლო ივლისში შევარდნაძე დელეგაციას წარუძღვა პელსინკიში, რათა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის ყრილობაში მიეღო მონაწილეობა, რომელმაც თავისი მშვიდობისმყოფელის ფუნქციები გააფართოვა. 30 ივლისს მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ საქართველო-თურქეთის შეთანხმებას მოეწერა ხელი, ხოლო 31 ივლისს შევარდნაძემ საზეიმოდ გამოაცხადა „ახალი საქართველოს დაბადება“ მას შემდეგ, რაც ქვეყანა ოფიციალურად გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი; ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საქართველო უკანასკნელი იყო, რომელმაც ეს გააკეთა.³⁶ სიმბოლური თვალსაზრისით, ასეთი გააქტიურება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ხელშესახები შედეგი აფხაზეთთან ომში ჩაბმული ქვეყნისათვის. რუსეთში მიმდინარე პოსტკომუნისტური გარდაქმნის ამ რთულ საფეხურზე დასავლურ ქვეყნებს, რომლებიც ბალკანეთში მიმდინარე პროცესებში იყვნენ ჩათრეული, არ სურდათ ჩარეულიყვნენ და შეეჩერებინათ რუსეთის სამხედრო აგრესია.

ახალი რეჟიმი

16 ოქტომბერს თავის ნებაყოფლობით ლიკვიდაციამდე სახელმწიფო საბჭომ ახალი საარჩევნო კანონი მიიღო. აღნიშნული კანონის საფუძველზე იქმნებოდა სამწლიანი გარდამავალი პერიოდის პარლამენტი, აგრეთვე განისაზღვრებოდა, ვინ დაწერდა მომდევნო კონსტიტუციას. სახელმწიფო საბჭომ, რომელიც საქართველოს დემოკრატიული არჩევნების პარტიის („დასი“) – საკონსტიტუციო ცოდნით აღჭურვილი პატარა პარტია – მიერ შექმნილ პროექტს ეყრდნობოდა, განიხილა და უარყო პროპორციული საარჩევნო სისტემა და არჩევანი გააკეთა შერეულ პარტიულ სიაზე და მაჟორიტარულ სისტემაზე.³⁷ დემოკრატიული გარდამავალი პერიოდის ეს მეორე მცდელობა და 1990 წლის ოქტომბრის შემდგომი პერიოდის მეოთხე კონკურენტული არჩევნები (ადგილობრივი არჩევნები 1991 წლის აპრილში ჩატარდა, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნები – მომდევნო მაისში) მონოდებული იყო, მაქსიმალურად გაეზარდა პოლიტიკური მონაწილეობა და აღეკვეთა ერთი პარტიის დომინირება. საარჩევნო ბარიერი არ არსებობდა, საარჩევნო კომისიებში მონაწილეობა ყველა რეგისტრირებულ პარტიას შეეძლო (სულ მცირე ერთი წევრით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში). საპარლამენტო კანდიდატად ნომინაციისთვის მხოლოდ 500 ხელმოწერა იყო საჭირო. კანდიდატები ფინანსურ დახმარებას იღებდნენ სახელმწიფოსგან, უფასოდ აქვეყნებდნენ პარტიის პროგრამებს პრესაში, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ იყო მუდმივი საცხოვრებლის, არც მინიმალური შემოსავლის და ბრუნვის მოთხოვნა.³⁸ ნოემბერში გაიმართა პარლამენტის პირველი სხდომა, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა დროებითი „კონსტიტუცია“ ანუ კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ და საქართველოს პარლამენტის შესახებ დროებითი დებულება. ეს კანონები ერთობლივად აკონტროლებდნენ ძალაუფლებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში. მათზე გავლენა მოახდინა ოთხმა ფაქტორმა: გამსახურდიას ავტორიტარულმა მემკვიდრეობამ და მისი დაბრუნების შესაძლებლობამ (იგი კვლავ აქტიურ-ოპოზიციაში იყო); ომმა აფხაზეთში; სახელმწიფოს ხელახალი აშენების საჭიროებამ; და თავად შვედრენაძის პიროვნებამ. მართალია, კანონები დროებითი იყო, მაგრამ მათი მიზანი იყო ევროპული ტიპის სამოქალაქო დემოკრატიის შექმნა, რომელიც აღკვეთდა ძლევამოსილი თანამდებობის პირის აღზევებას და სახელმწიფოს დაშლას ეთნიკური ნიშნით.

ძლიერი ხელმძღვანელის საჭიროებამ და, ამავდროულად, ავტორიტარული მოდელის უარყოფამ წარმოქმნა პოლიტიკური ჰიბრიდი, რომელიც ერთდროულად საპარლამენტოც იყო და საპრეზიდენტოც. შვედრენაძე, რომელმაც კარგად იცოდა თავისი არაპოპულარობის შესახებ, ეწინააღმდეგებოდა ძლიერი პრეზიდენტის აპარატის შექმნისკენ მონოდებას, მაგრამ მისწრაფოდა საერთო საქვეყნო პოზიციისკენ, როგორც იყო პირდა-

პირი არჩევნების გზით მოსული პარლამენტის თავმჯდომარე. საარჩევნო კანონში 31 აგვისტოს შეტანილი ცვლილება ხელსაყრელი იყო შევარდნაძისათვის, მაგრამ ამ პოზიციის მაძიებელ კანდიდატებს მხოლოდ 5 დღეს აძლევდა, რომ საჭირო 5 000 ხელმოწერა მოეგროვებინათ. 1992 წლის 6 ნოემბერს პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურად შევარდნაძე აირჩია პარლამენტის თავმჯდომარეობის პარალელურად და მიანიჭა მას ბრძანებულებების გამოცემისა და საგანგებო ვითარების გამოცხადების უფლებამოსილება. სინამდვილეში, ამით მისი უფლებამოსილება ოდნავადაც არ გაზრდილა. მიუხედავად სამსახურების შექმნისა, რომელთა დანიშნულება იყო კანონებისა და ბრძანებულებების შესრულების მონიტორინგი, როგორც ბრაზილიელმა სახელმწიფო მოღვაწემ ვისკონტი ურუგვაიმ თავისი მთავრობის შესახებ თქვა, ეს იყო „მხოლოდ თავი ხელ-ფეხის გარეშე“.³⁹ 1992 წლის მარტიდან 1994 წლის სექტემბრამდე სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოქვეყნებული 728 დადგენილებიდან და ბრძანებულებიდან მხოლოდ 287 განხორციელდა სწრაფად, 99 საერთოდ არ განხორციელებულა, ხოლო დანარჩენი სანახევროდ.⁴⁰ აფხაზეთის ომმა ინსტიტუციების მშენებლობისთვის საჭირო ადეკვატური რესურსები წაართვა მთავრობას. შევარდნაძის თქმით, ეს სიტუაცია იმას ჰგავდა, როცა მთელ ქალაქს ერთი სახანძრო მანქანა ემსახურება.⁴¹

1992 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე შევარდნაძეს მომავალი პარლამენტი წარმოედგინა არა იმდენად დემოკრატიულ ორგანოდ, არამედ ყველა პოლიტიკური ძალის გამაერთიანებელ ორგანოდ. საარჩევნო კანონი, რომელიც აერთიანებდა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს და პროპორციულ საარჩევნო სისტემას, რომელიც ეყრდნობოდა ერთ გადაცემად ხმას, მონოდებული იყო, ხელი შეეშალა ერთი პარტიის დომინირებისათვის, მაგრამ ამის სანაცვლოდ მიიღეს დანაწევრებული პარლამენტი, რომელსაც უნარი არ შესწევდა, უზრუნველყო მნიშვნელოვანი კანონების მისაღებად საჭირო საპარლამენტო უმრავლესობა. პატარა პარტიები („ერთ დივანზე, რომ მოთავსდებიან“, ასე უწოდებენ პოლონელები), რომლებსაც არც რესურსები ჰქონდათ და არც ორგანიზაციული ბერკეტები, რათა „რჩეულთა პარტიებად“ იქცნენ.⁴² ქართულმა საკანონმდებლო ორგანომ, სადაც თავზეხელაღებული ადამიანები დომინირებდნენ ჩვეული ემოციური აფეთქებებით და ფიზიკური შეურაცხყოფით (ეს ყველაფერი ტელევიზიით გადაიცემოდა), სწრაფად დაკარგა ხალხის ნდობა. ეროვნული კრიზისის ატმოსფეროში კვლავ დაიწყეს ისეთი ეპითეტების ხმარება, როგორც იყო „მოლაღატე, „ქურდი“ და „ლაჩარი“, რასაც პარლამენტარები სასტიკ საჯარო მტრობამდე მიჰყავდა და აფერხებდა ხანგრძლივი კოალიციების შექმნას. სახელმწიფო საბჭოს საარჩევნო კანონი დემოკრატიული გახსნილობის ფესტი იყო, რასაც საპარლამენტო ქაოსი მოჰყვა.⁴³

არჩევანი და კანონმდებლობა

1992 წლის 11 ოქტომბერს აფხაზეთსა და სამეგრელოში მიმდინარე სისხლისმღვრელი ომის დროს, საყოველთაო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობდა ორმოცდაშვიდი პარტია (15 მათგანი ოთხ საარჩევნო ბლოკად გაერთიანდა); არჩევნებში ყველა დაუშვეს – მონარქისტები, სოციალისტები, გამსახურდიას მომხრე პარტიები – თუმცა გამსახურდიას მხარდამჭერები პროტესტს გამოთქვამდნენ დევნის გამო. არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელმა 81% შეადგინა, თუმცა გამსახურდიას მხარდამჭერ რეგიონში, სამეგრელოში, ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო. უცხოელი დამკვირვებლების მიერ არჩევნები ადეკვატურად იქნა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო არხები მიკერძოებული იყო შევარდნაძის სასარგებლოდ, აღინიშნებოდა პროცედურული დარღვევები და ოპოზიციური გაზეთების დაშინების მცდელობები.⁴⁴ მას შემდეგ, რაც პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულთა ხმების დათვლის რთული პროცესი დამთავრდა, ბლოკმა „მშვიდობა“ ხმების უმრავლესობა – 20.38 პროცენტი მოიპოვა. საბოლოო ჯამში, პარლამენტში 26 პარტია მოხვდა, ზოგიერთი მათგანი ბლოკის შემადგენლობაში. ბლოკი „მშვიდობა“, რომლის თავმჯდომარეც არჩევნების წინ ცოტა ხანს შევარდნაძე იყო, ერთმანეთთან შეუთავსებელი შვიდი პარტიისგან შედგებოდა. მასში შედიოდნენ ყოფილი კომუნისტები ავთანდილ მარგიანი, კინორეჟისორები თენგიზ აბულაძე და ელდარ შენგელაია, მოქანდაკეები, მაგალითად, მილიონერი ზურაბ წერეთელი. ამ ბლოკმა ყველაზე მეტი ადგილი (35) მოიპოვა 235-ნევრიან პარლამენტში. მისი უახლოესი კონკურენტი იყო 11 ოქტომბრის ბლოკი, რომელშიც უფრო ახალგაზრდა რეფორმატორები შედიოდნენ – ფიზიკოსები, ჟურნალისტები, ფილოსოფოსები, „დასის“ და რესპუბლიკელთა პარტიის ჩათვლით (12.1% და 19 ადგილი). ბლოკმა „ერთობამ“ მესამე ადგილი მოიპოვა 15 მანდატით; მათი უმრავლესობა ყოფილი კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც გამსახურდია „წითელ ინტელიგენციას“ უწოდებდა. ყველაზე დიდი ერთიანი პარტია იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – ახალგაზრდული და ისტაბლიმენტის წინააღმდეგ განწყობილი პარტია (მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძესთან თანამშრომლობდა), რომელსაც 15 ადგილი ჰქონდა. გამსახურდიას ყოფილმა (იმედგაცრუებულმა) მომხრეებმა წარმომადგენლობა მოიპოვეს „ქართია 91“-ის (9 მანდატი) და ტრადიციონალისტთა კავშირის (შვიდი მანდატი) წყალობით.⁴⁵ სახელმწიფო საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი (92-დან 51) პარლამენტარები გახდნენ. პარტიული სიით არჩეული 150 პარლამენტარის მონაცემების გაანალიზებით გაირკვა, რომ მათგან 72 სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო – ეკონომისტები, ფიზიკოსები და მათემატიკოსები, 22 კულტურული ინტელიგენციიდან იყო

– კინორეჟისორები, მწერლები და ლინგვისტები. დეპუტატებიდან 60 ინჟინერი იყო, 30 ისტორიკოსი, 28 ფილოლოგი და 26 ეკონომისტი. ამ ზომაზე მეტად განათლებულ პარლამენტში მხოლოდ ერთს ჰქონდა არასრული საშუალო განათლება.⁴⁶

იყო მცდელობა, რომ საქართველოს ცხრა ტრადიციული მხარის უკეთესი წარმომადგენლობის მიზნით, ცალკე პარტიული სია შეედგინათ, მაგრამ ამან ვერ უზრუნველყო არაქართველთა გაზრდილი რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოში. ეროვნულ უმცირესობებს მხოლოდ შვიდი წარმომადგენელი ჰყავდათ – ორი აფხაზი (რომელთაგან ერთი დიდი ხანია, თბილისის მკვიდრი იყო), ორი სომეხი, ორი ებრაელი და ერთი ბერძენი. ეს გამოწვეული იყო პარტიული სიის სისტემით, რომელიც დომინანტ ეთნიკურ ჯგუფებს აძლევდა უპირატესობას, აგრეთვე აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან ბოიკოტით. აზერბაიჯანულმა რაიონებმა ბოლნისმა და მარნეულმა ხმა მისცეს დანაპირებ მფარველობას და თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა აირჩიეს. ოსელიანმა მუშათა კლასის უბანში – ნაძაღდეში იყარა კენჭი. აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრებისთვის, რომლებიც თავიანთი მოსახლეობის სიმცირის გამო, ვერ მოიპოვებდნენ მანდატებს პარტიული სიებით, არ იყო გათვალისწინებული სპეციალური კვოტა. თუმცა აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს საბჭოებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სტატუსები მიენიჭათ, რაც პარლამენტის დეპუტატებს უნდა დაემტკიცებინათ. პარლამენტარები 11 საპარლამენტო ფრაქციად დაიყვნენ (სადაც მინიმუმ ათი წევრი უნდა ყოფილიყო), რამაც ბევრი ახლადშექმნილი საარჩევნო ალიანსის დაშლა გამოიწვია.⁴⁷ აფხაზური ენა ოფიციალურ საპარლამენტო ენად განისაზღვრა, ხოლო ქალებმა 12 მანდატი მიიღეს.

კანონმა „სახელმწიფო ძალაუფლების შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის დროებითმა წესდებამ განსაზღვრა საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა და წესები. პირველი იყო დროებითი კონსტიტუცია, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული ადამიანის უფლებები, სასამართლოს მოწყობა, ძალაუფლების განაწილება, მაგრამ მოცემული იყო პარლამენტის კომპეტენციის მონახაზი. აღდგა ბევრი დემოკრატიული ბერკეტი, რომელიც გამსახურდიას კონსტიტუციით გაუქმდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პარლამენტის უფლება, აერჩია და გადაეყენებინა სახელმწიფოს მეთაური ხმათა ორი მესამედით. მას შეეძლო მთავრობის დათხოვნა მარტივი უმრავლესობით და ექსკლუზიური უფლება ჰქონდა, დაენიშნა ახალი არჩევნები, გაეუქმებინა პარლამენტის თავმჯდომარის ვეტო და ცვლილება შეეტანა კონსტიტუციაში (ხმათა ორი მესამედით). გამსახურდიას კონსტიტუციაში პარლამენტი არც სახელმწიფოს მეთაურს ირჩევდა და არც არჩევნების დანიშნის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა. პრეზიდენტის გადაყენება მხოლოდ ლალატის შემთხვევაში იყო შესაძლებელი საპარლამენტო უმრავ-

ლესობის ხმათა სამი მეოთხედით და დეპუტატებს არ მოეთხოვებოდათ პრეზიდენტის შემოღებული საგანგებო მდგომარეობის დამტკიცება.

1992 წელს – გამსახურდიას შემდგომ პერიოდში – პარლამენტის დეპუტატებმა მოიპოვეს უფლება, გაეუქმებინათ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აქტები, რომლებიც არ იყო კანონთან შესაბამისობაში. მათ უფლება მიეცათ, გადაეწყვიტათ ომისა და მშვიდობის საკითხები, განესაზღვრათ სახელმწიფო, სამთავრობო და სამხედრო სტრუქტურები, მოეთხოვათ აღნიშნულ ორგანოებში ხელახალი არჩევნების დანიშვნა. პარლამენტს შეეძლო უარი ეთქვა ნებისმიერი კანდიდატის ნომინაციაზე პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის, გენერალური პროკურორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, უშიშროების და ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე. მას შეეძლო უნდობლობის ვოტუმი გამოეცხადებინა მინისტრთა კაბინეტის მიმართ, თუ ამას დეპუტატების ერთი მეხუთედი მოითხოვდა. საქართველოს პარლამენტის დროებითი დებულება დეპუტატებს უფლებამოსილებას ანიჭებდა, აერჩიათ პარლამენტის სპიკერი (თავმჯდომარის მოადგილე), სპიკერის ორი მოადგილე, 17 მუდმივი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე და საპარლამენტო მდივანი. ყველა ამ თანამდებობის პირი და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები, თავიანთი პოზიციის წყალობით, შედიოდნენ საპარლამენტო კოლეგიაში. საპარლამენტო კოლეგია და სათანადო საპარლამენტო კომისია თითოეულ კანონპროექტს განიხილავდნენ. საპარლამენტო კომისიას ჰქონდა დამატებითი უფლებამოსილება – მოეთხოვა ნებისმიერი სამთავრობო დოკუმენტი და ჩაეტარებინა სამთავრობო საათი, სადაც მინისტრებს შეკითხვებს დაუსვამდნენ დეპუტატები.⁴⁸

მიუხედავად ამ გაზრდილი უფლებამოსილებისა, ახალი პარლამენტი არ იყო ეფექტიანი. საარჩევნო ბლოკები სწრაფად დაიშალა. 5 ნოემბერს, პარლამენტის გახსნის დღეს, პატრიარქმა ილია II-მ სთხოვა დეპუტატებს, არ დაეწყათ ერთმანეთში მტრების ძებნა და შეახსენა, რომ „თავისუფლება მარტო დროშების ფრიალი არ არის“.⁴⁹ მის გაფრთხილებას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. აფხაზეთის კრიზისი ლალატში ურთიერთბრალდებებს იწვევდა, ხოლო ეკონომიკური კრახი – პურის მარაგისა და უმუშევრობის შესახებ გამძვინვარებულ კამათს. რუსეთთან შერიგებაზე მსჯელობა ლალატის ბრალდებებში გადადიოდა, ხოლო ადგილობრივი არჩევნების გადადება დემოკრატიისათვის ხელის შემლად განიხილებოდა. კონფლიქტები აღმასრულებელ ხელისუფლებასთან არ უწყობდა ხელს „ლოიალური“ ოპოზიციის კონსოლიდირებას. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც შევარდნაძე 1993 წლის დეკემბერში, დსთ-ში შესვლის შემდეგ, მიატოვა, შეეძლო ამ როლის შესრულება, მაგრამ 1994 წლის დეკემბერში ამ პარტიის სტრატეგის – გია ჭანტურიას მკვლელობამ შეასუსტა პარტიის ქმედითობა. „რადიკალური ოპოზიცია“ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, „ქარტია 91“-ის,

მერაბ კოსტავას საზოგადოების, მონარქისტებისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შემადგენლობით ვერ ახერხებდა კონსენსუსის მიღწევას.

პარლამენტის სისუსტეს კიდევ უფრო ამძაფრებდა პარლამენტარების გამოუცდელიობა. სპიკერი ვერ უნესებდა სანქციებს იმ დეპუტატებს, რომლებიც აცდენდნენ სხდომებს. დეპუტატების მხრიდან გაცდენების სიხშირეზე ლაპარაკის დროს ერთ-ერთი გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ სახეზე იყო „საპარლამენტო კრიზისი.“⁵⁰ დეპუტატების მიერ „პარტიების“ და პარტიული დისციპლინის უარყოფამ გამოიწვია ის, რომ კვორუმები არ დგებოდა და კომისიები ცუდად იყო ორგანიზებული. ქართული გაზეთი „რეზონანსი“ 1993 წლის აპრილში წერდა, რომ 222 დეპუტატიდან მხოლოდ 143 ესწრებოდა სესიებს მეტ-ნაკლები რეგულარულობით.⁵¹ დისკუსიები დაბალი დონის იყო (დეპუტატების უმალესი განათლების მიუხედავად), ხოლო საპარლამენტო პროცედურები – ხშირად იგნორირებული. ეს საქართველოს მოსახლეობას შეუძრწეველი არ დარჩენია. 1993 წლის ივნისში გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა დაბალი შეფასება მისცა პარლამენტის საქმიანობას.⁵² ას ორ დეპუტატს სხვა სამსახური ჰქონდა, რასაც პირდაპირ კრძალავდა კანონი პარლამენტის წევრის შესახებ (1993). ეს გასაკვირი არ იყო, თუ გავითვალისწინებთ პარლამენტარების ხელფასს, რომელიც თვეში 15000 კუპონს (\$10) შეადგენდა.

პარლამენტში არსებული ცუდი სამუშაო პირობები, რასაც აუარესებდა კვალიფიციური შტატების, გამართული ტელეფონების, საბეჭდი მანქანების, ფაქსების არარსებობა, ხელს უშლიდა საკანონმდებლო საქმიანობის პროდუქტიულობას. ყველაზე აქტიური და რეფორმისტული საპარლამენტო ფრაქციები, როგორებიც იყვნენ მწვანეთა პარტია, რესპუბლიკელები და ეროვნულ-დემოკრატები, ვერ ახერხებდნენ პარტიული დისციპლინის დამყარებას ან მნიშვნელოვანი წევრების მოზიდვას. ძნელი იყო პარტიების პროგრამების დიფერენცირება და მწვანეთა და ეროვნულ-დემოკრატების მცდელობა, ჩამოეყალიბებინათ ინტერფრაქციული ბლოკი რეფორმისტული კანონმდებლობის გასატანად, ჩაიშალა. თუმცა დაახლოებით 75 პარლამენტარისგან შემდგარი, ერთმანდატიან უბნებში არჩეული მაჟორიტარების დიდი ჯგუფი უზრუნველყოფდა პრეზიდენტ შევარდნაძისთვის საპარლამენტო უმრავლესობას უმეტეს საკითხებზე.

1992 წლის არჩევნები ღირსშესანიშნავი ნაბიჯი იყო მთავრობის ლეგიტიმურობის გზაზე. ის მნიშვნელოვან უფლებებს და იმუნიტეტს ანიჭებდა პარლამენტარებს, მაგრამ პოლიტიკური სისტემა ვერ ახერხებდა თანმიმდევრული პარტიების ან ეფექტიანი ოპოზიციის შექმნას. იგი უძლური აღმოჩნდა, რომ გამსახურდიას მომხრე ძალების ინტეგრირება მოეხდინა და მხოლოდ ეროვნული უმცირესობის რამდენიმე წარმომადგენლის ჩართვა მოახერხა უმრავლესობაში. კიტოვანის და იოსელიანის არჩევით არ შესუსტებულა მათი კავშირები კრიმინალურ სამყაროსთან, რისი იმედიც ჰქონ-

დათ, და ახალმა პარლამენტმა ვერ დაამკვიდრა სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობა გამეფდებოდა. შევარდნაძემ, გამოიყენა რა თავისი ძალაუფლება, გააძლიერა აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის ხარჯზე.

სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლება

შევარდნაძემ პარლამენტის თავმჯდომარეობისათვის, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, იყარა კენჭი, როგორც მაშინ, როდესაც კომუნისტური პარტიის მეთაური იყო. ცხრა საარჩევნო უბანი არ მონაწილეობდა ბიოკონტისა და უსაფრთხოების პრობლემების გამო, მაგრამ შევარდნაძემ ხმების სარეკორდო რაოდენობა – 96% მოიპოვა, მაშინ, როცა გამსახურდიამ 1991 წელს 87% მიიღო.⁵³ ეს არანორმალური შეფარდება იმაზე მეტყველებდა, რომ ქართველები არარეალისტურ იმედებს უკავშირებდნენ შევარდნაძეს, რომელსაც სტაბილურობისა და ქვეყნის შიგნით მშვიდობის განსახიერებად აღიქვამდნენ. მას შემდეგ, რაც მან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა მოიპოვა, პარლამენტის ახალმა წევრებმა იგი სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს. შევარდნაძე ოფიციალურად მართავდა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ შტოს. ეს უჩვეულო კომბინაცია საშუალებას აძლევდა მას, პარლამენტის რეგულარული ან რიგგარეშე სხდომები მოეწვია, საკონსტიტუციო ცვლილებები შეეთავაზებინა, ბრძანებები და განკარგულებები გამოეცა, კანონპროექტი შეეტანა, კანონპროექტები (რაც მხოლოდ ერთხელ მოხდა) დაებრუნებინა, საპარლამენტო კოლეგიის საპარლამენტო დებატებსა და შეხვედრებს გასძლიოდა. პარლამენტის თანხმობით მას შეეძლო დაენიშნა და გაეთავისუფლებინა პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, გენერალური პროკურორი, უშიშროებისა და ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. მას პარლამენტის თანხმობა ესაჭიროებოდა დიპლომატიურ თანამდებობებზე დანიშნისა და, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნებოდა, საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მობილიზაციის გამოცხადებლად.

პარლამენტი შევარდნაძეს, როგორც ქვეყნის მეთაურს, ექსკლუზიურ უფლებებს ანიჭებდა. იგი პასუხისმგებელი იყო საგარეო ურთიერთობებზე და პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავდა უმაღლეს სამხედრო პერსონალს და რეგიონებში სახელმწიფოს წარმომადგენლებს (გუბერნატორებსა და მერებს). მან შექმნა საკუთარი აპარატი, რომელიც სახელმწიფო ადმინისტრაციას აკონტროლებდა. სტრუქტურულად ეს ახალი აპარატი ყოფილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს ჰგავდა და, როგორც მისი ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე ამბობდა, შექმნილი იყო, რომ „სახელმწიფოს მეთაურს სტრატეგიულ საკითხებში დახმარებოდა“ და ახალი კანონების ზემოქმედებისათვის შეფასება მიეცა.⁵⁴ ფაქტობრივად, მას გაც-

ილებით უფრო ფართო უფლებამოსილება ჰქონდა, რადგან კაბინეტს და რეგიონულ ადმინისტრაციას აკონტროლებდა. იგი შევარდნაძეს უზრუნველყოფდა საექსპერტო ცოდნის დამოუკიდებელი წყაროთი და თანაშემწეებით, რომლებსაც შეეძლოთ საკანონმდებლო აქტების გატანისკენ მიემართათ ძალისხმევა. ამ აპარატის ყველაზე მნიშვნელოვან ორგანოებს შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, მათ შორის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოებს, რომლებიც 1993 წელს შეიქმნა აფხაზეთში კრიზისის მოსაგვარებლად; ეკონომიკურ საბჭოს (რომელიც მოგვიანებით გარდაიქმნა საგანგებო ეკონომიკურ საბჭოდ); სამეცნიერო-ტექნიკურ კომისიას, რომელიც სამხედრო-სამრეწველო საკითხებს იხილავდა; და უმაღლეს მრჩეველთა საბჭოს. შევარდნაძე ხელმძღვანელობდა როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც ახალი კონსტიტუციის შექმნაზე იყო პასუხისმგებელი, ისე სახელმწიფოს მეთაურის საბჭოს, რომელიც საკონსულტაციო ორგანო იყო ინტელექტუალებისა და არაქართველთა წარმომადგენლების შემადგენლობით. იმ 100 ოფიციალური პირიდან, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურის აპარატში იყვნენ 1993 წელს, ნახევარი აკადემიკოსი იყო, ხოლო სამი მეოთხედის ასაკი 40 წელზე ნაკლები იყო. ვაჟა ლორთქიფანიძის განცხადებით, მათი მხოლოდ 8 პროცენტი იყო ყოფილი ნომენკლატურის წარმომადგენელი („აპარატიკები“), ხოლო დაახლოებით 52 პროცენტი სხვა პოლიტიკური პარტიებიდან იყვნენ.⁵⁵

შევარდნაძის ხელმძღვანელობა ძალაუფლების რეცენტრალიზაციას ასახავდა. მისი ძალაუფლება გაიზარდა 1993 წლის ივლისში და შემდეგ სექტემბერში, როდესაც პარლამენტმა მას უფლება მიანიჭა, გამოეცა კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტები ეკონომიკურ სფეროში, მოენჯია და გასდლოლოდა კაბინეტის სხდომებს და პარლამენტის სანქციის გარეშე შეეცვალა მაღალი თანამდებობის პირები. 1993 წლიდან 1995 წლამდე საქართველოს პარლამენტი – აჭარის უზენაესი საბჭოს გამოკლებით, რომელიც იშვიათად იკრიბებოდა – ერთადერთი არჩეული ორგანო იყო საქართველოში. არეულობამ ქართულ კანონმდებლობაში და სუსტი კაბინეტების მთელმა წყებამ მოქმედების თავისუფლება მისცა შევარდნაძეს პოლიტიკური ურსის გატარების დროს. 1993 წლის სექტემბრიდან 1994 წლის აპრილამდე პერიოდში მას დროებით ეკავა პრემიერ-მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის და თავდაცვის მინისტრის თანამდებობები. გუბერნატორებსაც ის ნიშნავდა, თუმცა ამის კონსტიტუციური უფლებამოსილება არ ჰქონდა. პარლამენტარების პროტესტს ძალაუფლების განაწილებასთან დაკავშირებით და მონოდებებს კაბინეტის რეფორმირებისკენ და სახელმწიფოს მეთაურის გადადგომისკენ შედეგი არ მოჰყოლია. დაპირებების და მუქარების გამოყენებით შევარდნაძე ოსტატურად ახერხებდა მინისტრების დანიშნავასთან დაკავშირებით თავისი წინააღმდეგობრივი გადანაცვლებების რეალიზებას. მისი ყველაზე დიდი გამარჯვება ამ პერიოდში იყო

პარლამენტის მხარდაჭერის მოპოვება საქართველოს დსთ-ში შესვლასთან დაკავშირებით და 1995 წელს კონსტიტუციის მიღება.

მთავრობა და ეკონომიკა

მინისტრთა კაბინეტს 1993 წლის აგვისტომდე თენგიზ სიგუა ხელმძღვანელობდა. 1992 წლის დეკემბერში, საბჭოთა მოდელზე დაყრდნობით, 19 სამინისტრო და 10 სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა. პრეზიდენტი, რომელშიც პრემიერ-მინისტრი, პრემიერ-მინისტრის ოთხი მოადგილე და მთავარი სამინისტროების წარმომადგენლები შედიოდნენ, მთავრობის პოლიტიკის კოორდინირებას ახდენდა. კაბინეტს მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ჰქონდა, მათ შორის, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების ნებისმიერი გადაწყვეტილების შეჩერების უფლება. 1992 და 1995 წლებს შორის მთავრობის ორი რესტრუქტურულიზაცია და გადაჯგუფება მოხდა, რაც კაბინეტის უეფექტო მუშაობის გამოსწორების მცდელობა იყო. 64 წლის ოთარ ფაცაცია, უღიმამო „აპარატივის“ და ზუგდიდის ქალაქის კომბინატის ყოფილი დირექტორის, დანიშვნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დათმობა იყო მეგრელების მიმართ, რამაც ძირი გამოუთხარა ეკონომიკურ რეფორმას. სიტყვაძუნნი ფაცაცია დროს მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით იშვიათად იკრიბებოდა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამამ, რომელიც 1993 წლის თებერვალში გამოქვეყნდა, არ იმუშავა, რადგან მინისტრებმა ვერ წარმოადგინეს კონკრეტული გეგმები. ფაცაციამ უარი თქვა საწარმოთა ფართომასშტაბიან პრივატიზებაზე და კურსი ჩაის, საკვები პროდუქტების გადამუშავების, ელექტროენერჯის და სხვა სტრატეგიული მიმართულებების სახელმწიფო მონოპოლიებზე აიღო.⁵⁶ სოფლის მეურნეობის მინისტრი მის მთავრობაში, ზურაბ გეგეჭკორი, ამტკიცებდა, რომ მინის პრივატიზება უცხო იყო ქართული კულტურისთვის.⁵⁷

სასწრაფოდ უნდა ჩატარებულიყო ეკონომიკური რეფორმა, მათ შორის შემცირებულიყო სახელმწიფო სუბსიდიები, მომხდარიყო მონეტარული სისტემის სტაბილიზება, მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზება, საგადასახადო სტრუქტურის და საბანკო სისტემის რეფორმა, დემონოპოლიზაცია და უზრუნველყოფილიყო უსაფრთხოება მზარდი სილატაკის პრობებში. მომდევნო სამი წლის განმავლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1992 წელს გამოცხადდა ფასების ლიბერალიზაცია, რაც არ შეეხო პურის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და სამოქალაქო ტრანსპორტის ფასებს, მოიხსნა შეზღუდვები იმპორტზე, გაუქმდა ბარიერები სასაქონლო ბაზარზე მონაწილეობისთვის, შემოღებულ იქნა ახალი საგადასახადო სტრუქტურა, ხოლო ბრუნვაზე არსებული საბჭოთა გადასახადი 1993 წელს დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) შეიცვალა. შემოღებულ იქნა საჯარიმო

სანქციები გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების გამო.⁵⁸ 1993 წლის აპრილში საქართველოში ახალი ფულის ერთეული – „კუპონი“ შემოიღეს, რომ რუსულ რუბლზე აღარ ყოფილიყვნენ დამოკიდებული (ქართველ მუშა-მოსამსახურეებს 6-8 თვის განმავლობაში არ ჰქონდათ მიღებული ხელფასები რუბლის დეფიციტის გამო) და დამოუკიდებელი ფინანსური კონტროლი დაენსებინათ. 1994 წელს თანამდებობებზე სამი რეფორმატორი დაინიშნა – ლადო პაპავა ეკონომიკის მინისტრად, თემურ ბასილია პრეზიდენტის მრჩევლად ეკონომიკური რეფორმების განხრით და ნოდარ ჯავახიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. ამის შედეგად ისეთი პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომელსაც 1995 წლისათვის კონტროლირებადი ჰიპერიფლაცია და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სავალუტო რეფორმის გატარება მოჰყვა.

პრივატიზაცია 1992 წელს დაიწყო ურბანული საცხოვრებელი სახლებით და მიწით; თითოეულ ფერმერს 1.25 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა თუ 5 ჰექტარი საძოვარი გამოუყვეს. 1994 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით 20 პროცენტი პრივატიზებული იყო, თუმცა მის მეპატრონეებს არ ჰქონდათ მიწის გაყიდვის უფლება. პრივატიზაცია აუქციონებითა და ვაუჩერების დარიგების გზით ხორციელდებოდა. 1994 წლის სექტემბრიდან მოქალაქეები თითო-თითო ვაუჩერს იღებდნენ, რომლის ღირებულებაც 60 000 კუპონი (დაახლოებით 30 აშშ დოლარი) იყო. მათ შეეძლოთ ვაუჩერი საპრივატიზაციო აუქციონზე გამოეყენებინათ.⁵⁹ 1994 წლის ბოლოსთვის მცირე საწარმოების თითქმის ერთი მესამედი – მაღაზიები, კაფეები, გამომცემლობები პრივატიზებულ იქნა. საშუალო და დიდი საწარმოები, ხშირად გადაკეთებული სააქციო საზოგადოებებად, მაინც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად და სუბსიდირებულ საწარმოებად რჩებოდა. საბანკო რეფორმა 1991 წელს დაიწყო საქართველოს ეროვნული ბანკის შექმნით; 1994 წელს დაიწყო ბანკების პრივატიზება და შეიქმნა მარეგულირებელი სისტემა, რომელსაც უნდა ეკონტროლებინა სოკოებივით მომრავლებული კომერციული ბანკები. 1991 წლიდან 1994 წლამდე კერძო ბანკების რაოდენობა 14-დან 270-მდე გაიზარდა. მაგრამ, კაპიტალიზაციის და ლიცენზირების სტანდარტების გამკაცრებასთან ერთად, 1995 წლის პირველ ცხრა თვეში 90 ბანკი დაიხურა.⁶⁰ პრივატიზაცია განათლებასა და ჯანდაცვასაც შეეხო. 1991-დან 1993 წლამდე პერიოდში 300 კერძო სასწავლო დაწესებულება შეიქმნა.⁶¹ მთავრობა აცნობიერებდა, რომ საჯარო სექტორის მოსამსახურეთა რაოდენობა 30-40%-ით შემცირდებოდა (გაუქმდებოდა 250 000 სამუშაო ადგილი სახელმწიფო სამსახურში) და შეიქმნა უმუშევართა ფონდი და უმუშევრობის დაზღვევა.

ამ რეფორმების უმრავლესობას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. მათ განხორციელებას ხელი შეუშალა ომმა და გადახდის უუნარო გაკოტრებულმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა. 1990-დან 1994 წლამდე პერიოდში მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეკ) მოცულობა ხუთჯერ შემცირდა და ეკონომიკური საქმიანობის დონე 1960-იანი წლების დონემდე დაეცა. წარმოების

კრაზი, სუსტი ეკონომიკური მმართველობა და სამხედრო საჭიროებები ბიუჯეტის მასიურ დეფიციტს იწვევდა. მაშინაც კი, როდესაც შემოსავლების აკრეფა ხერხდებოდა, ეს საკმარისი არ იყო ხარჯების დასაფარად. მაგალითად, 1994 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტი შემოსავლების 45.3% იყო.⁶² ეროვნული ბანკის მეტისმეტად ლიბერალური მონეტარული პოლიტიკა ფარავდა ფისკალურ დეფიციტს (უცხოურ გრანტებთან და ფულად ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად), მაგრამ მილიარდობით კუპონის ემისიით და არაუზრუნველყოფილი კრედიტებით მონეტარულ სისტემას ძირი გამოეთხარა. გაჩნდნენ მყისიერად გამდიდრებული მენარმეები, რამაც მოსახლეობის მხრიდან რეფორმების მხარდაჭერაც შეასუსტა.⁶³ შემოღებიდან ორი თვის თავზე კუპონი გაუფასურდა. როგორც ეს 1993 წლის ივნისში ჩატარებული შემონმებით დადგინდა, 27 პროდუქტისგან შემდგარი სამომხმარებლო კალათიდან 60%-ის, მათ შორის, ფქვილის, შაქრის და ხორცის, შეძენა მხოლოდ რუბლებზე და დოლარებზე შეიძლებოდა.⁶⁴ კუპონის დოლართან შეფარდება 1993 წლის გაზაფხულზე იყო 1:2 400 000 (არაოფიციალურად 1:5 300 000), რაც ძალიან აძვირებდა ცხოვრების დონეს მათთვისაც კი, ვინც ხელფასს დოლარში იღებდა.⁶⁵ საქართველოს ეროვნული ვალუტა მოკვდა, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ძალით ის ერთადერთი ოფიციალური ფულადი ერთეული იყო.



რიგი კვების პროდუქტებზე თბილისში, 1995 წელი.

ვერც პრივატიზაციამ და ვერც ახალმა საგადასახადო კანონებმა ვერ გაზარდეს შემოსავლები. ვაუჩერები შავ ბაზარზე გაიყიდა და როდესაც 1995 წლის ივნისში 25 კომპანიისთვის პირველი საჯარო აუქციონი გაიმართა, აღმოჩნდა, რომ აქციების უმეტესობა უკვე გაყიდული იყო. პრივატიზაციის პროცესის დასასრულისთვის გამოშვებული აქციების მხოლოდ 7 პროცენტი იქნა ნამდვილად შესყიდული.⁶⁶ პრივატიზაცია, რომელსაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო უძღვებოდა, გასაიდუმლოებული იყო და შეღავათიან კრედიტებს ითვალისწინებდა. მაგალითად, ვარკეთილის საკონსერვო ქარხანა 900 აშშ დოლარად გაიყიდა, რაც მისი ღირებულების მხოლოდ უმცირესი ნაწილი იყო.⁶⁷ ქონების ახალი პატრონები, ძირითადად, რანტიეები იყვნენ და არა ბიზნეს-ინვესტორები, რომელთა მოზიდვისთვისაც იყო გამიზნული რეფორმა. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა ახალი საგადასახადო სისტემა, რომლის სირთულე და საგადასახადო ინსპექტორების მხრიდან მანიპულირების შესაძლებლობები თითქმის ყველა ბიზნესს უბიძგებდა უკანონობისკენ. 1995 წელს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა მსოფლიოში გადასახადებისა და მშპ-ს შეფარდების კუთხით (5 პროცენტი), ხოლო შავ ბაზარზე მოდიოდა რეალური მეპ-ის 70-80 პროცენტი.⁶⁸ საქართველოს უცხოური ვალი 1.5 მილიარდი აშშ დოლარი იყო (თითო სულზე 300 აშშ დოლარი), რომელიც ძირითადად ენერგომატარებლების მომწოდებლებზე მოდიოდა, როგორც იყო მაგალითად, თურქმენეთი. სტრუქტურულ ცვლილებებს განათლებაში, დასაქმების პოლიტიკასა და სოციალურ უზრუნველყოფაში ასევე უარყოფითი შედეგები მოჰყვა. კერძო განათლება უკონტროლო და მნიშვნელოვანწილად ულიცენზიო კომერციულ დაწესებულებად იქცა, ხოლო უმუშევრობის შემწეობა იმდენად უმნიშვნელო იყო, ინფლაცია კი იმდენად სწრაფი, რომ ცოტა ვინმე თუ დარეგისტრირდა მის მისაღებად. 1994 წელს 77 000 რეგისტრირებული უმუშევარი იყო, მაგრამ მათი რიცხვი ფაქტობრივად 841 000-ს აღწევდა.⁶⁹ უცხოური ინვესტიცია მინიმალური იყო. 1992 წლისათვის 271 რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოდან მხოლოდ 37 ფუნქციონირებდა და მათგან პირველ ოთხ საწარმოზე მთლიანი წარმოებისა და მომსახურების 93 პროცენტი მოდიოდა.⁷⁰

ამ ქაოსს ბევრი არაეკონომიკური ფაქტორი უწყობდა ხელს – ომი (რომელმაც გადაკეტა საგაყრო გზები და ახალისებდა საბოტაჟის ფაქტებს გაზისა და ნავთობის მილგაყვანილობებზე), 250,000 გალატაკებული დევნილი, კვალიფიციური ახალგაზრდების მიგრაცია, კრიმინალის ზრდა და ინსტიტუციური ვაკუუმი, რომელიც ნაკლებად კვალიფიციური მენეჯერებით და პოლარიზებული კაბინეტით ხასიათდებოდა. ეროვნული ბანკის შეღავათიანი კრედიტების დამანგრეველი პოლიტიკა შევარდნაძის მიერ 1994 წლის გაზაფხულამდე იყო დაშვებული. მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავი იყო ნორმირებული პურის და ბენზინის გრძელი

რიგები, გაუტყემელი ხელფასები და პენსიები, ხელმიუწვდომელი მედიცინა, ავადმყოფი ბავშვები, დახურული სკოლები და საშიში ქუჩები. 1994 წლის შემოდგომაზე ოფიციალური ხელფასი 1 მილიონ კუპონს შეადგენდა (41 ცენტი), რაც პურის საყიდლად და ტრანსპორტისთვისაც კი არ იყო საკმარისი (1 კგ პური 100 000 კუპონი ღირდა). 1995 წლის გაზაფხულზე სიღატაკის ოფიციალური ზღვარი 90 მილიონი კუპონით განისაზღვრებოდა (69 აშშ დოლარი). სახელმწიფო რეგულირებადი ეკონომიკა დაიშალა, რამაც საქართველოს მოქალაქეები იმაზე დააფიქრა, ჰყავდათ თუ არა მთავრობა, როგორც ასეთი. როგორც 1994 წლის სექტემბერში ერთი გაზეთი წერდა: „აქედან სერიოზულ სოციალურ კატაკლიზმამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.“⁷¹

ომი და სამხედროები

1992-1995 წლებში ქართველების ურთიერთობა ეროვნულ უმცირესობებთან კრიზისს განიცდიდა. 1992 წლის მაისში სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სამხრეთ ოსეთის ლიდერები ქართველებს ადანაშაულებდნენ „გენოციდში“, რომელიც მიზნად ისახავდა მათი ხალხის „გადაშენების პირას“ მიყვანას.⁷² 1992 წლის ივნისში შევარდნაძემ ორმხრივ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი რუსეთის ფედერაციასთან შავი ზღვის რუსულ კურორტ დაგომისში, რათა ბოლო მოეღო სისხლისღვრისთვის. ეს დოკუმენტი სოჭის ხელშეკრულების სახელით არის ცნობილი. იგი ითვალისწინებდა სამხრეთ ოსეთში ცეცხლის საყოველთაო შეწყვეტას, დემილიტარიზაციის გეგმას და ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის შექმნას ყველა მხარის მონაწილეობით (რუსეთი, საქართველო, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი), აგრეთვე სამხრეთ ერთობლივ სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის შემდგომი განვითარების აღსაკვეთად.⁷³ მაგრამ კონფლიქტი მოუგვარებელი რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დევნილთა დაბრუნების შესახებ ოქმები, ინფრასტრუქტურის გარდაქმნაში თანამშრომლობისა და ინვესტიციების მოზიდვის დაპირებები, ტარდებოდა შეხვედრები შევარდნაძესა და მის კოლეგებს შორის სამხრეთ ოსეთიდან. ამას სტიმულს აძლევდა რუსეთის უმაღლესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის მხარდასაჭერად მიღებული დეკლარაციები და ქართველთა ისტერიული რეაქციები.

კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველი იყო საომარი მოქმედებები დასავლეთ საქართველოში, რომელსაც 1993 წელს კვლავაც გამსახურდიას მომხრეები აკონტროლებდნენ, და აფხაზეთში, რომელსაც ვლადისლავ არძინბას ადმინისტრაცია მართავდა. 1991 წლის ივნისში აფხაზი მმართველები ორეროვან აფხაზურ რესპუბლიკაზე შეთანხმდნენ, სადაც წამყვან თანამედრობებს ეთნიკური კვოტების მიხედვით დაიკავებდნენ. ნებისმიერ საკონსტიტუციო ან საკანონმდებლო ცვლილებაზე საჭირო იყო როგორც

ქართველი, ისე აფხაზი დეპუტატების თანხმობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო სამოქალაქო ომში გაეხვია, აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა. აფხაზეთში ოფიციალურად რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის „სლავური სახლის“ და სოხუმის ინტერნაციონალისტების საზოგადოების მიერ ნაქეზებულმა აფხაზმა ლიდერებმა არ გაუშვეს ხელიდან შესაძლებლობა და დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოაცხადეს. 1991 წლის დეკემბერში აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ კონტროლი დაამყარა ადგილობრივ სამხედრო შენაერთებზე, ხოლო 1992 წლის მარტში ვლადისლავ არძინბამ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის თანახმად სამხედრო სამსახურს რესპუბლიკაში გაივლიდნენ. ივნისში ახლად შექმნილმა აფხაზურმა გვარდიაშვილებმა შეიარაღებული ძალები დაიკავეს და ქართველის ნაცვლად აფხაზი შინაგან საქმეთა მინისტრი დანიშნა. 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ყოფილი საბჭოთა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციის ეს პროექტი, რომელიც არასდროს ყოფილა რატიფიცირებული საბჭოთა პერიოდში, აფხაზეთს ცნობდა „სუვერენულ“ საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც საქართველოსთან საგანგებო სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართველმა დეპუტატებმა პროტესტის ნიშნად ბოიკოტი გამოუცხადეს მის შემდგომ სხდომებს, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საბჭომ 25 ივლისს გააუქმა აფხაზური გადაწყვეტილება.⁷⁴

1992 წლის 13 აგვისტოს თენგიზ კიტოვანი, რომელიც მაისში თავდაცვის მინისტრად დანიშნა, დასავლეთ საქართველოსკენ გაუძღვა ჯარებს რკინიგზის სოჭი-ენგურის მონაკვეთის დასაცავად, ქართული მთავრობის მძევლად აყვანილი წევრების გასათავისუფლებლად და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ივლისში გამსახურდიას მომხრეებმა სახელმწიფო საბჭოს თორმეტი წარმომადგენელი გაიტაცეს, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილე და შევარდნაძის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში. მაგრამ დასავლეთ საქართველოში გარეგნობის ნაცვლად, კიტოვანი აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმისკენ წავიდა, ზურგსუკან კი ნგრევა და მტრები დატოვა. მთავრობის აფხაზი წევრები ჩრდილოეთში, გუდაუთაში გაიტყვნენ მას შემდეგ, რაც კიტოვანმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინ დააყენა თავისი ჯარები. ვინ მისცა კიტოვანს სოხუმის დაკავების ბრძანება, გაურკვეველია. შესაძლოა, ეს კიტოვანის პირადი საომარი ხრიკი იყო, რათა ხელი შეეშალა საქართველოში ოქტომბრის არჩევნების ჩატარებისთვის. ეს არჩევნები ისეთი სამხედრო ლიდერების მარგინალიზებას მოახდენდა, როგორც კიტოვანი იყო.⁷⁵ შევარდნაძის განცხადებით, მან გააფრთხილა არძინბა, რომ ქართველთა სამხედრო ინტერვენცია მხოლოდ სარკინიგზო სისტემაში წესრიგის დამყარებას ისახავდა მიზნად და სოხუმში შესვლა არ მოხდებოდა. სახელმწიფო საბჭოს 10 აგვისტოს დადგენილება ადასტურებს შევარდნაძის ვერ-

სიას.⁷⁶ თენგიზ სიგუა, შევარდნაძის პრემიერ-მინისტრი იმ პერიოდში, ამის საპირისპიროდ აცხადებს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა გასცა ბრძანებები აფხაზეთის „ოკუპაციის“ შესახებ და რომ კიტოვანისთვის სოხუმში შესვლის აკრძალვა უაზრობა იყო, რადგან არ არსებობდა სხვა გზა, რომელსაც შეეძლო ქართული ჯარები გუდაუთის ჩრდილოეთით წაეყვანა.⁷⁷ რა ბრძანებაც არ უნდა ყოფილიყო და ვისაც არ უნდა გაეცა ის, 14 აგვისტოს აფხაზეთმა გვარდიამ შეუტია ქართულ ჯარს, რომელიც სოხუმისკენ მიიწვედა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაგმო აფხაზი ხალხის „უსაზღვრო ტერორი და ფიზიკური განადგურება“ და რესპუბლიკის დასაცავად „სამამულო ომისკენ“ მოუწოდა. მან რესპუბლიკის ზრდასრული მამაკაცების დაუყოვნებელი მობილიზაცია გამოაცხადა.⁷⁸

აფხაზები მარტო არ იბრძოდნენ. მათ შეუერთდნენ კაზაკების შენაერთები, თურქეთის და სირიის მკვიდრი აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლები, რომელიც 1989 წელს შეიქმნა და დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა.⁷⁹ აფხაზები თვითგამორკვევაზე ოცნებობდნენ, მაგრამ აფხაზ ლიდერებთან (და მოლდოვასა და უკრაინაში [ყირიმში] არსებულ სხვა პრორუსულ სეპარატისტულ მოძრაობებთან ალიანსში) მყოფი რუსი პოლიტიკოსები და სამხედრო ოფიცრები აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული კი არ იყვნენ, არამედ საქართველოსა და შევარდნაძის განადგურება სურდათ. „სლავური სახლი“ და კონსერვატიული „სოიუზი“ (კავშირი), რომელსაც ფილიალი სოხუმში ჰქონდა, გარკვეული იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ, რომელიც რუსული იმპერიული ძლიერების შენარჩუნებისთვის ბრძოლას ითვალისწინებდა. ისინი რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის სასიცოცხლო არხებს წარმოადგენდნენ აფხაზეთში.⁸⁰ მათ ხოტბას ასხამდა ვლადიმერ ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რუსული პატრიოტული გაზეთი „დენ“ (დღე), ვიცე-პრეზიდენტი ალექსეი რუცკოი და რუსეთის პარლამენტის სპიკერი რუსლან ხასბულატოვი, რომლებიც ყველაზე გააფთრებით იცავდნენ აფხაზთა საქმეს.⁸¹ რუსეთის მხარდაჭერას პრაქტიკული მიზეზებიც ჰქონდა – მას სამხრეთში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინტერესები ამოძრავებდა (განსაკუთრებით კი, შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვანი მონაკვეთის დაკარგვა აღელვებდა); გარდა ამისა, კაზაკები და რუსი დაქირავებული მეზობლები, რომლებიც აფხაზების მხარეს ომობდნენ, იარაღით ვაჭრობას ეწეოდნენ, რაც ძალიან სარფიანი საქმე იყო.⁸²

ეს ომი არ იყო მხოლოდ რუსული პოლიტიკის გამოხატულება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დასუსტებისკენაა მიმართული, როგორც ამას შევარდნაძე ამტკიცებდა. საკუთარი მოსაზრება აფხაზებსაც ჰქონდათ. არძინბას კიდევაც რომ არ გამოეცხადებინა ეს ომი აფხაზეთის გადასარჩენ ომად, აფხაზებს მაინც ჰქონდათ საფუძველი – ქართველთა ჰეგემონიის

შიში. უბრალო აფხაზებისთვის მრავლისმეტყველი იყო 1990-დან 1992 წლამდე პერიოდში სამხრეთ ოსეთის მაგალითი. აფხაზმა ისტორიკოსმა სტანისლავ ლაკობამ თავის წიგნს უწოდა „საქართველოს 100 წლიანი ომი აფხაზეთის წინააღმდეგ.“ ბევრი აფხაზისათვის ეს სულაც არ იყო გადაჭარბება.⁸³ ანტიქართული განწყობების გავლივება გაადვილდა ომის მიმდინარეობის კვალობაზე, როდესაც ადამიანები ოჯახის წევრებს კარგავდნენ. თუმცა ეს ომი სავსებით მოსალოდნელი და პროვოცირებული იყო ორივე მხარის ელიტის მიერ; ეს არ იყო ეთნიკური ომი, რომელიც ქვემოდან დაიწყო. ომის პირველ თვეებში ადგილობრივი სოფლების ქართველი და აფხაზი მკვიდრები შეთანხმდნენ, რომ რაც არ უნდა გაეკეთებინათ გარეშეებს და რაც არ უნდა ეთქვათ პოლიტიკოსებს, ისინი ერთმანეთს არ დაესხმოდნენ თავს.⁸⁴

ომი 13 თვე გაგრძელდა და მას ორივე მხრიდან სისხლიანი დანაშაულები მოჰყვა. რვა ათასი ადამიანი დაიღუპა და 18 000 დაიჭრა.⁸⁵ ხელშეკრულებები, რომლებიც რუსეთის, ეუთოს და გაეროს შუამდგომლობით იდებოდა, სისტემატურად ირღვეოდა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ბოლო ხელშეკრულება, რომელიც 1993 წლის 27 ივლისს დაიდო სოჭში რუსეთის შუამდგომლობით და რომლის განხორციელების გარანტიაც რუსეთი გამოდიოდა, აფხაზურმა მხარემ 16 სექტემბერს დაარღვია, ცხადია, რუსეთის ჩუმი თანხმობით. 11 დღიანი ბრძოლის შემდეგ ქართველთა მიერ დაკავებული სოხუმი დაეცა და 250 000-მა ეთნიკურმა ქართველმა აფხაზეთი დატოვა. მაგრამ ტრაგედია საერთო იყო აფხაზეთის მკვიდრი ყველა ხალხისთვის: დაახლოებით 30,000-40,000 აფხაზი, რუსი, ბერძენი და სომეხი იძულებული გახდა, დაეტოვებინათ თავისი სახლი საომარ ზონაში. დღესდღეობით (2012 წლისათვის) აფხაზთა ფაქტობრივი რაოდენობა აფხაზეთში უცნობია. საერთაშორისო შეფასებებით მთლიანი მოსახლეობა (ბერძენების, სომეხების, რუსების, ქართველების და სხვ. ჩათვლით) 195,000-დან 200,000-დღა, რაც გაცილებით ნაკლებია 1989 წელს რეგისტრირებულ ნახევარმილიონიან მოსახლეობაზე. აღნიშნული რიცხვიდან აფხაზები დაახლოებით 65,000-80,000 არიან, ქართული წყაროებით მათი რიცხვი 40-50,000-ია, ხოლო აფხაზების მიერ 2003 წელს ჩატარებული (ალბათ არაზუსტად) აღწერით 94,597 აფხაზია აღრიცხული.⁸⁶

გამსახურდიამ სცადა, ომი გამოეყენებინა და ძალაუფლების რესტავრაციაზე თავისი პრეტენზიები წამოეყენებინა. ამის შედეგი იყო სამოქალაქო ომი, რომელიც 1993 წლის ნოემბერში გამსახურდიას მარცხით დამთავრდა, მაგრამ მხოლოდ რუსეთის ჩარევის წყალობით, ამჯერად შევარდნაძის მხარდასაჭერად. რუსეთის მიერ „დათრგუნული“ საქართველო, როგორც ეს შევარდნაძემ თქვა, იძულებული გახდა, 1993 წლის ოქტომბერში დსთ-ში შესულიყო და ხელი მოეწერა სამხედრო ხელშეკრულებებისთვის.⁸⁷ რუსულ ჯარებს აღარ მოეთხოვებოდათ, დაეტოვებინათ ქვეყანა 1995 წლის ბო-

ლოსთვის ან გადაეცათ საქართველოსთვის პორტები, როგორც ეს 1993 წლის მაისის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. ამის ნაცვლად რუსეთი ინარჩუნებდა სამ სამხედრო ბაზას (მოგვიანებით მათი რიცხვი ხუთამდე გაიზარდა) და შეეძლო გამოეყენებინა საქართველოს პორტები და პოლიგონები. რუსი მესაზღვრეები ეხმარებოდნენ საქართველოს 2 000 კმ-ზე მეტი ხმელეთის და 320 კმ-ზე მეტი საზღვაო საზღვრის პატრულირებაში. ქვეყნიდან მათი გასვლის თარიღი აღარ იყო დაწესებული. თბილისის პოლიციის უფროსმა დახმარებაც კი სთხოვა რუსულ ჯარს კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლაში.⁸⁸ დსთ-ში შესვლით შეეარდნაძემ პოლიტიკური მხარდაჭერა დაკარგა, მათ შორის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა, რომელმაც კაბინეტი დატოვა. ხელშეკრულებები, რომელთაგან ბევრი არ იყო რატიფიცირებული არც რუსული და არც ქართული პარლამენტების მიერ, სერიოზულად უთხრიდა ძირს საქართველოს სუვერენიტეტს.⁸⁹ 1995 წელს შეიქმნა რუსული ჯარების ჯგუფი ამიერკავკასიაში (Группа российских войск в Закавказье – ГРВЗ) და ქვეყანაში 20 000-იანი რუსული შენაერთი განთავსდა.

ომმა მოსპო საქართველოში „ნორმალური“ პოლიტიკა. ეროვნული უსაფრთხოების პრინციპი აძლიერებდა ძალოვან სამინისტროებს. მორიგებები და პოლიტიკური კომპრომისი „პრინციპს“ და ქვეყნის თავდაცვას ემსხვერპლა. პარლამენტის პოპულისტური გადაწყვეტილებები და დემაგოგიური რიტორიკა ხელს უშლიდა საპარლამენტო პროცედურის განვითარებასა და პარტიებს შორის თანამშრომლობას. ეკონომიკურ და სოციალურ კანონებს ნაკლებად იღებდნენ და სამოქალაქო თავისუფლებებს ზღუდავდნენ. 1993 წლის სექტემბერში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს იყო ცენზურა და პოლიციის მხრიდან უზრუნველყოფის დაშინება, ხოლო 1993 წლის ოქტომბერში შეიქმნა ახალი, უფრო ძლიერი უშიშროების სამინისტრო.⁹⁰ რუსეთთან ნორმალური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები შეუძლებელი იყო. 1992-დან 1995 წლამდე საქართველო და რუსეთი პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაში იყვნენ და ვერ აღწევდნენ შეთანხმებას აფხაზეთში რუსი მშვიდობისმყოფელების როლთან და ქართველი დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დევნილების ნაკადი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან მძიმე ტვირთად დაანვა ქვეყნის ბიუჯეტს და საქართველოს ქალაქებს, რომლებიც იძულებული გახდნენ, დაეხმარებინათ ისინი. დანაშაული და უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც თბილისის ქუჩებს ჯარისკაცები მოედნენ, რომლებიც სამსახურს ვერ შოულობდნენ და სამოქალაქო ცხოვრებაზე გადართვას ვერ ახერხებდნენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, „მოსახლეობაში 25 000 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი იყო,“ და საქართველოში შექმნილ სიტუაციას თბილისის მერმა კოტე გაბაშვილმა (1992 წლის თებერვალი – 1993 წლის ოქტომბერი) საქართველოს

„ვიეტნამის სინდრომი“ უნდა.⁹¹ შეიარაღებული თავდასხმები და ყაჩაღობა კიდევ უფრო გაამძაფრა სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლის გაჭიანურებამ. სახელმწიფოსათვის ყველაზე სერიოზული საფრთხეს ისედაც სუსტი არმიის კიდევ უფრო დასუსტება წარმოადგენდა. ქართველები მასობრივად არიდებდნენ თავს სამხედრო სამსახურს. მწირი რესურსების მქონე ქართველი სამხედროები, რომლებსაც ერთნაირი ფორმებიც კი არ გააჩნდათ, ნარკოტიკების მომხმარებლების რეპუტაცია ჰქონდათ და თავიანთ რიგებში ძალადობით გამოირჩეოდნენ, ისინი ვერ იქცნენ ეროვნული ერთიანობისა და სახელმწიფოს ერთგულების პოპულარულ სიმბოლოდ.⁹² პარლამენტმა მხოლოდ 1996 წელს მოიფიქრა, შემოეღო „არმიის დღე“ (30 აპრილი).

სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები

ომით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლის დამყარება. 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შევარდნაძე შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახდა. იმისათვის, რომ მისი მმართველობა ეფექტიანი ყოფილიყო, საჭირო იყო შეიარაღებული ფორმირებების დამორჩილება. მისი პირველი ნაბიჯი გახდა ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს შექმნა, რომლის ფარგლებშიც შეიარაღებული ფორმირებების მეთაურები რჩებოდნენ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად, მაგრამ ვეტოს უფლების გარეშე. მასში შევიდნენ, აგრეთვე, შევარდნაძის სამოქალაქო თანამშენებელი და პროფესიონალი ოფიცრები. თენგიზ კიტოვანისა და თავდაცვის სამინისტროს გვერდის ავლით შეიქმნა ალტერნატიული სამხედრო სტრუქტურები. დაარსდა სამხედრო კონსულტანტების ჯგუფი, რომელსაც მეთვალყურეობა უნდა გაენია სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული სამინისტროებისთვის და გაეკონტროლებინა ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულება. სამოქალაქო პირებით დაკომპლექტდა ეროვნული თავდაცვის ფონდი, რომელიც თავდაცვის საკითხების დამოუკიდებელ კომპეტენტურ წყაროს წარმოადგენდა; თავდაცვის სამინისტროსგან ავტონომია მიენიჭათ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ფორმირება იყო, და სამხედრო პროკურატურას. შევარდნაძემ პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩიქოვანი დანიშნა თავის პირად მრჩეულად სამხედრო საკითხებში, რომელიც დამოუკიდებელი იყო როგორც კიტოვანის, ასევე იოსელიანისაგან.⁹³

შევარდნაძის მეორე პრიორიტეტი იყო შეიარაღებული ძალების პროფესიონალური დონის უზრუნველყოფა. მოხდა კიტოვანის ეროვნული გვარდიის ინტეგრირება რეგულარულ არმიაში სწრაფი რეაგირების ძალების სახით, თუმცა ის ავტონომიას ინარჩუნებდა. 1993 წელს მიიღეს კანონი თავ-

ღაცვის შესახებ, რომლის საფუძველზე სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლი განანიღღა პარლამენტს, მინისტრთა კაბინეტს, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავღაცვის საბჭოს და სახელმწიფოს მეთაურს შორის. შევარღნაძემ შეინარჩუნა უფლება, ღამოეცხადებინა მობილიზაცია, საღანგებო მღგომარეობა, დაენიშნა სამხედრო მეთაურები, გაეცა ბრძანება საომარი მოქმედებების შესახებ, განესაზღვრა სამხედრო ასიგნებები, ღემტიციებიინა დაფინანსება. პარლამენტს სახელმწიფოს მეთაურის ღადანყვეტილებების მხოლოდ რატიფიცირება შეეძლო ან მათთვის ვეტოს დაღება, თუმცა ბიუჯეტის კონტროლს ის აწარმოებღა. თავღაცვის სამინისტროს ევალებოღა საორღანიზაციო საკითხების მოღვარება და საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა.⁹⁴

სამხედრო რეფორმის ღატარებას ართულებღა აჯანყება დასავლეთ საქართველოში და ომი აფხაზეთში. კიტოვანი კვლავ ცდილობღა თავისი დამოუკიდებლობის დამტკიცებას. ის ახალისებღა რუსული იარაღის იძულებით კონფისკაციას, მართავღა არასანქცირებულ მოლაპარაკებას ღამსახურღიას ძალებთან და რუსეთის თავღაცვის მინისტრთან. ის საჯაროდ ახღენღა შევარღნაძის დისკრედიტაციას, აცხადებღა რა, რომ შევარღნაძე სამხედრო საკითხებში უცოდინარი იყო და მოუნოდებღა მას, „თავისი საქმისთვის მიეხეღა.“ ის არად აღღებღა პარლამენტის მონოდებას მისი ღადადგომის შესახებ და ამბობღა, რომ ეს „ხალხისა და არმიის პრეროგატივა იყო.“⁹⁵ თუმცა პარლამენტის ზენოლით, რაც გულისხმობღა ასევე ბრალღებებს, რომ კიტოვანი ღადატრიალებას გეგმავღა, შევარღნაძე იძულებული გახღა, დაეჭარებინა საქართველოს თავღაცვის სტრუქტურების რეფორმა. 1993 წლის მაისში მან დაითხოვღა ეროვნული უსაფრთხოებისა და თავღაცვის საბჭო, რომელშიც კიტოვანიც შედიოღა და იოსელიანიც. პარლამენტარებს მიაჩნღათ, რომ აღნიშნული საბჭო არაანღარიშვალღებული ორღანო იყო, რომელმაც საკანონმღებლო ძალაუფლების უზურპირება მოახღინა. თავღაცვის მინისტრის თანამღებობაზე კიტოვანი 27 წლის გიორგი ყარყარაშვილმა, ყოფილმა საბჭოთა კაბიტანმა და ღასამხედროებული ფორმირების „თეთრი არნივის“ მეთაურმა, შეცვალა. სწრაფი რეაღირების კორპუსი, როგორც ცალკე ერთეული, ოფიციალურად გაუქმღა. თავღაცვის სამინისტროში რეორღანიზაცია ჩატარღა და სამოქალაქო პირი თამაზ ნადარეიშვილი დასახელღა აფხაზეთის თავღაცვის საბჭოს თავმჯღდომარედ, რამაც კიღდეუ უფრო შეამცირა კონტროლი კიტოვანის მხრიღან.⁹⁶

კიტოვანი სერიოზულ ძალად რჩებოღა ქართულ პოლიტიკაში, მარღამ ეროვნული ღვარღიის არმიასთან შერწყმამ მის ძალაუფლებას დასაყრღენი ღამოაცალა. თუმცა შევარღნაძის კონტროლი სამხედროებზე კვლავაც სუსტი იყო. გიორგი ყარყარაშვილი აღრძელებღა დამოუკიდებელი ღადანყვეტილებების მიღების ტენღენციას, რომელიც მის წინამორბეღებს ახასიათებღათ; თუმცა მისი ასაკი, პოლიტიკური ღამოუცღდელობა და აფხა-

ზეთის ომის ცუდი გამოცდილება უფრო აადვილებდა მის მართვას, ვიდრე ეს კიტოვანის შემთხვევაში იყო.⁹⁷ ამავე დროს, „მხედრიონს“, რომელიც საქართველოს სამხედრო ფორმირებებიდან ყველაზე კარგად იყო შეიარაღებული, კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის გადარჩენის საქმეში. იოსელიანი მნიშვნელოვანი იყო შევარდნაძისთვის – იგი კორუფციულ, მაგრამ სტაბილურ წესრიგს არეგულირებდა და სასარგებლო იყო იმით, რომ პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენდა, რაც შევარდნაძეს მანიპულირების საშუალებას აძლევდა. მაგრამ იოსელიანი სარგებლობდა თავისი ძალაუფლებით, მათ შორის, პარლამენტის შენობის შეიარაღებული პიკეტირებით და დასავლეთ საქართველოდან თავისი ძალების გამოყვანით იმუქრებოდა, რათა თავდაცვის სტრუქტურაში „მხედრიონის“ ოფიციალური აღიარებისთვის მიეღწია. 1993 წლის სექტემბერში „მხედრიონს“ სახელი გადაარქვეს, „ქართველ მამულთა კორპუსი“ უწოდეს და სახელმწიფო კომიტეტის სტატუსი მიანიჭეს, რაც ერთი საფეხურით დაბლა იყო სამინისტროზე, თუმცა არმიის ფარგლებში მისი ავტონომიურობის გარანტიას წარმოადგენდა.

1993 წლის სექტემბერში სოხუმის დაცემისა და ქართული არმიის დაშლის შემდეგ იოსელიანი შევარდნაძის მერე ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად იქცა საქართველოში. იგი ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის ახალი საბჭოს წევრი გახდა, რომელიც 1993 წლის ივლისში აღადგინეს, და დროებითი საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ოქტომბერში. მიუხედავად დაპირებისა, რომ განაიარაღებდა „მხედრიონს“, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, შეინარჩუნებდა იარაღის აღების უფლებას, „მხედრიონი“ მისი პირადი მილიციის ფუნქციას ასრულებდა. იოსელიანს ურთიერთობა გაუფუჭდა შევარდნაძესთან. 1993 წლის სექტემბერში იოსელიანმა შევარდნაძე დიქტატორული ძალაუფლების დამყარებაში დაადანაშაულა, რასაც ამ უკანასკნელის მყისიერი გადადგომა მოჰყვა. მაგრამ ხალხის დემონსტრაციებმა შევარდნაძის ძალაუფლების აღდგენის მოთხოვნით და თავდაცვისა და უშიშროების მინისტრების ძლიერმა მხარდაჭერამ აჩვენა იოსელიანის ძალაუფლების ფარგლები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც 2003 წლის სექტემბერში მცირე ხნით უძღვებოდა შევარდნაძე, დაიწყო შინაგან ჯარებზე კონტროლის დაბრუნება და ახალი მეთაურის, შოთა კვირიაძის ხელმძღვანელობით კამპანია წამოიწყო „მხედრიონთან“ დაკავშირებული კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ. თავად „მხედრიონის“ შიგნით არსებული განხეთქილების ნიადაგზე დაიწყო მისი ლიდერების მკვლელობები. ერთი მათგანი კლასიკური მათეის სტილში მოკლეს საპარიკმახეროში. 1994 წლის აპრილში გენერალი ვარდიკო ნადიბაიძე, საბჭოთა არმიის 35 წლის ვეტერანი, თავდაცვის მინისტრად დაინიშნა. ამან შევარდნაძეს იოსელიანის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სამხედრო მოკავშირე მოუპოვა.

1993 წლის ბოლოსთვის შევარდნაძეს სამართლებრივი თვალსაზრისით მყარი პოზიცია ჰქონდა. მას საგანგებო უფლებები მიენიჭა ივლისსა და სექტემბერში, აფხაზეთთან ომის დროს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა ნებაყოფლობით შეაჩერა ფუნქციონირება. მისი პოპულარობა კიტოვანის და იოსელიანის პოპულარობას აღემატებოდა.⁹⁸ საქართველოს სამხედრო ძალების კოლაფსი აფხაზეთში დამარცხების შემდეგ შეუძლებელს ხდიდა გადატრიალების მცდელობას, ხოლო გამსახურდიას ძალები წლის ბოლოსათვის გაფანტული იყო. მაგრამ ძალაუფლების შევარდნაძის ხელში თავმოყრა საქართველოს ინსტიტუციური უძღურების მიმანიშნებელი იყო. სამოქალაქო ინსტიტუტების, მათ შორის, პოლიციისა და რეგიონული ადმინისტრაციების ნგრევა შევარდნაძეს აღმასრულებელ ძალას ართმევდა, რაც ასე აუცილებელია სამოქალაქო მართვისთვის. 1993 წლის დეკემბერში უშიშროებისა და თავდაცვის მინისტრებს შორის გაჩენილ უთანხმოებას იმის თაობაზე, თუ ვისი ბრალი იყო აფხაზეთში დამარცხება, უშიშროების სამინისტროში აფეთქებები და თავდაცვის მინისტრის მოადგილის მკვლელობა მოჰყვა. ეს ყოველივე და საქართველოს პარლამენტში თბილისის პოლიციის უკმაყოფილო შეფის დავით ზეიკიძის შეჭრა იმავე წლის დასაწყისში საქართველოს სისტემური სიმეციფის (სისუსტის, არამდგრადობის) მანიშნებელი იყო.⁹⁹

სახელმწიფოს სტაბილიზაცია

1992–1995 წლების შუალედურ მმართველობას (ინტერრეგნუმს) თან დადებითი შედეგებიც ახლდა. ხალხის არჩეულმა პარლამენტმა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საკანონმდებლო ჩარჩო შექმნა; 1992 და 1995 წლებს შორის პერიოდში მიღებულ იქნა კანონები მენარმეობის, ინვესტიციების, პრივატიზაციის, გადასახადების აკრეფის, მინის მფლობელობის, შეიარაღებული ძალების და არჩევნების შესახებ. კანონმდებლებმა საკანონმდებლო განხილვებისა და საპარლამენტო პროცედურების გამოცდილება შეიძინეს. მაგრამ სახელმწიფოს მშენებლობის, სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის პრობლემები კვლავაც გადაუჭრელი იყო. კანონები ცარიელ ნიადაგზე ხვდებოდა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რჩებოდა უკონტროლო ზონებად და ქვეყნის შიდა და გარე საზღვრები განსაზღვრული არ იყო. რეგიონებს აკონტროლებდნენ ადგილობრივი ეთნოკრატიები, რომლებიც ხშირად კრიმინალურ ბანდებთან იყვნენ დაკავშირებული, და შევარდნაძის დანიშნული სუსტად კონტროლირებადი რეგიონული მმართველები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ასლან აბაშიძე, უზუნაესი საბჭოს კორუმპირებული თავმჯდომარე, მართავდა. სამეგრელო ძალზე სუსტად იყო ინტეგრირებული სახელმწიფოში. ძალაუფლების კონკურენტული ცენტრები და მაღალი თანამდებობის პირები

თავიანთ სფეროებს არაფორმალური კავშირებით, ურთიერთშელავათებითა და ვალდებულებებით უძღვებოდნენ. მათი ძალაუფლება კანონებს კი არა, კანონებისთვის ოსტატურად გვერდის ავლას ეყრდნობოდა. ძალიან მცირე იყო მოტივაცია საიმისოდ, რომ ასე არ მოქცეულიყვნენ.

საქართველოში მიმდინარე არეულობები შევარდნაძემ დაბალანსებული პოლიტიკის, ჩართულობისა და ზომიერების წყალობით შეაჩერა. რეგონების მხრიდან დათმობას მან ისეთი ადამიანების დანიშვნით მიაღწია, როგორებიც იყვნენ პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია და მისი მოადგილე ავთანდილ მარგიანი (რომელსაც „ბატონი 25 პროცენტის“ სახელით იცნობდნენ, რაც მინიშნება იყო იმ ქრთამზე, რომელსაც ის ითხოვდა ხოლმე). თუმცა შევარდნაძეს ეს ძვირად დაუჯდა, რადგან მინისტრთა კაბინეტში რეფორმატორების გაუცხოება დაიწყო, კერძოდ, პრემიერ-მინისტრის მოადგილის რომან გოცირიძის და ფინანსთა მინისტრის დავით იაკობიძის. სახელმწიფოს განვითარების საერთო მიზნები და პროგრამები არ არსებობდა. საქართველო თავის თავს მოიაზრებდა დემოკრატიულ და უნიტარულ სახელმწიფოდ, თუმცა 1995 წლის ბოლოსთვის არც ერთი იყო და არც მეორე.

შევარდნაძის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ახალი კონსტიტუციის შექმნა, რომელიც 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღეს ორწლიანი დამუშავების შემდეგ. თუმცა საკონსტიტუციო კომისია, რომელიც 1993 წელს შეიქმნა პარლამენტის დეპუტატების, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების და არასამთავრობო ორგანიზაციების შემადგენლობით, 25 თვის მანძილზე სულ ორჯერ შეიკრიბა. კონსტიტუციის პროექტზე რეალურად მუშაობა დაევალა უფრო მომცრო სარედაქციო კომისიას, რომელშიც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები შედიოდნენ. სულ განხილულ იქნა კონსტიტუციის თორმეტი პროექტი, რომელთა ავტორებიც სხვადასხვა პარტია და კავშირი იყვნენ.¹⁰⁰ კონსტიტუციის ქართველ შემქმნელებს 1994 წლის გაზაფხულზე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ევროკომისია და აშშ-დან ექსპერტები დაეხმარნენ, რათა მათ ორ ვერსიამდე დაეყვანათ კონსტიტუცია: ერთი იყო საპარლამენტო (გერმანული მოდელი) და მეორე ნახევრად საპრეზიდენტო (ფრანგული მოდელი). საბოლოოდ ქართველი პარლამენტარების ჯგუფმა და დასავლელმა ექსპერტმა კონსტიტუციონალისტებმა 1994 წელს ერთი მოდელი შექმნეს ჩიკაგოში. „ჩიკაგოს ვარიანტის“ სახელით ცნობილი ეს პროექტი ვენეციის კომისიამაც დაამტკიცა.¹⁰¹ თუმცა ის შევარდნაძის დაქვემდებარებაში არსებულმა შვიდკაციანმა სარედაქციო ჯგუფმა დაინუნა და სასწრაფოდ დაინერა კონსტიტუციის ახალი ვერსია, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებდა პრეზიდენტის ფუნქციებს და ამერიკულ მოდელს ბაძავდა. შევარდნაძე ამტკიცებდა, რომ საპარლამენტო სისტემა ქვეყნის ქაოტური საშინაო და საგარეო პირობების გამო, საქართველოსთვის „მიუღებელი“ იყო.¹⁰²

ძლიერი საპრეზიდენტო მოდელის პარლამენტის მიერ დამტკიცების დროს გადამწყვეტი აღმოჩნდა შევარდნაძის გავლენა. ხმათა ორი მესამედის მოსაპოვებლად დათმობებზე წავიდნენ. ფედერალური სტრუქტურის შემოღება გადაიდო (რაც, ოპოზიციის აზრით, სეპარატიზმის წახალისება იყო); ამოღებულ იქნა პარლამენტის დათხოვნის საპრეზიდენტო პრეროგატივა; გაუქმდა მინისტრთა კაბინეტის ერთი წლით დანიშვნის საპრეზიდენტო უფლება, თუ მისი შემადგენლობა რამდენჯერმე იქნებოდა პარლამენტის მიერ დანუნებული. პარლამენტის მიერ ვეტოს დადების უფლება ხმათა ორი მესამედიდან სამ მეხუთედამდე იქნა დაყვანილი და მას მინისტრების დამტკიცების უფლებაც მიენიჭა. პარლამენტს კონტროლის პალატის მეშვეობით, ასევე დაეკისრა ფინანსური კონტროლის პასუხისმგებლობა.

აღსანიშნავია, რომ ამ ყოველივეს არ მოუხდენია შევარდნაძის სტრუქტურის ძირეული შეცვლა. პრეზიდენტმა ისეთი ძალაუფლება მოიპოვა, რომელმაც მას საკანონმდებლო პროცესზე დომინირება გაუადვილა. იგი ხალხის, მანამდე კი პარლამენტის არჩეული იყო – მაქსიმუმ ორი ხუთწლიანი პერიოდით ზედიზედ. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა არ არსებობდა (რანგით მეორე პირი პარლამენტის სპიკერი იყო); მინისტრებს პრეზიდენტი ნიშნავდა და ათავისუფლებდა. მათ გაათავისუფლებას პარლამენტის დასტური აღარ სჭირდებოდა. მინისტრთა კაბინეტს სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობდა, რომელიც პირდაპირ პრეზიდენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. ფრანგული საპრეზიდენტო სისტემისგან განსხვავებით, სადაც პრემიერ-მინისტრს ხშირად საპარლამენტო ძალაუფლების ბაზა ჰქონდა, შევარდნაძეს თავისი სახელმწიფო მინისტრების მხრიდან ოპოზიცია არ ჰყავდა. ახალი კონსტიტუცია კრიზისის დროს შეიქმნა და ის, ნაცვლად კონსტიტუციური სტაბილურობის უფრო გრძელვადიანი პერსპექტივებისა, მოკლევადიან საჭიროებებს აბალანსებდა. ის უფრო ცენტრალიზებული იყო, ვიდრე ჩიკაგოს ვარიანტი, მაგრამ, ხარვეზების მიუხედავად, მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკისთვის. მან ქართული სახელმწიფო დახვეწა და გავლენიანი ინსტიტუტები შექმნა.

იმედის გამონათება

1992 წელს პარლამენტის გახსნის სესიაზე შევარდნაძემ მსმენელებს შეახსენა:

„ამ დარბაზის გარეთ სხვა საქართველოა, სადაც ხალხი იღუპება, შიმშილობს, სკოლები ვერ მუშაობს ნორმალურად... სადაც საავადმყოფოებში საჭირო ნაწილები არ არის... და კულტურა დანგრევის პირას არის მისული. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ეს რეალური ქვეყანა, რომელიც ჩვენ წინაშეა და ხალხი, რომელმაც ჩვენ აგვირჩია.“¹⁰³

1992 და 1995 წლებს შორის პერიოდში ეს „რეალური ქვეყანა“ მძიმე გაჭირვებაში ჩავარდა. პოლიტიკური პლურალიზმის მიუხედავად – 1993 წელს 54 რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია, 22 გაზეთი და 55 სატელევიზიო კომპანია არსებობდა – ეს იყო პოლიტიკა ხალხის გარეშე. არ არსებობდა არც ეფექტიანი პარტიები და არც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის ხელშემწყობი სათანადო უსაფრთხო და ეკონომიკური პირობები. არამყარი იყო ვერტიკალური კავშირები სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის და ჰორიზონტალური კავშირები არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. 1992 და 1995 წლებს შორის პერიოდში შეინიშნებოდა სოციალური აქტიურობის ნიშნები, მათ შორის, გაფიცვები, პროტესტის გამოხატვა სოფლის მცხოვრებლების და უბნების მხრიდან კორუმპირებული ჩინოვნიკების მისამართით ან სინათლის გამორთვასთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი პროფკავშირების (მათ შორის, ყურნალისტთა სამი ასოციაციის) და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა.¹⁰⁴ მაგრამ პროტესტები სპონტანური იყო, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები პატარა, ცუდად ორგანიზებული და რესურსებს მოკლებული. მთავრობისადმი ნდობის ხარისხი დაბალი. 1994 წლის დასაწყისში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ შესაბამისად 60.7 და 86.8 პროცენტი არ ენდობოდა პარლამენტის და მინისტრთა კაბინეტის ინფორმაციას.¹⁰⁵ ინკლუზიური მოქალაქეობის კანონის მიღებამ, ეთნიკური უმცირესობების საბჭოს და საქართველოს ხალხთა ეროვნებათაშორისი საბჭოს შექმნამ ვერ უზრუნველყო არაქართველების ინტეგრირება სახელმწიფოში. პოლიციის სისასტიკე გამსახურდიას მხარდამჭერების მიმართ და არასაპარლამენტო ოპოზიციის დათრგუნვა ძირს უთხრიდა შერიგებისკენ მიმართულ შევარდნადის პოლიტიკას.

მაგრამ ამ ქაოსიდან ზოგიერთი გასაოცარი ცვლილება ნამოვიდა. სახელმწიფო სამსახურების კოლაფსმა, უმუშევრობამ, მიგრაციამ და ბაზარმა დამკვიდრებული ღირებულებების და ქცევების რყევა გამოიწვია. 1994 წლის მაისში ჩატარებულმა კვლევამ, რომლის დროსაც 1,300 ოჯახი გამოკითხეს, აჩვენა, რომ ოჯახების შემოსავლის 48.8% კერძო სექტორიდან მოდიოდა, ხოლო 51.2% – სახელმწიფო სექტორიდან. ეს ძალზე მნიშვნელოვანი შემობრუნება იყო სამ წელიწადში, თუმცა „კერძო სექტორის“ უდიდესი ნაწილი არალეგალური რჩებოდა.¹⁰⁶ საბჭოთა პროფესიონალი „სამუშაო კლასები“ მსახიობები, მეცნიერები და ექიმების აგებდნენ მენარმეთა ახალ ნახევრადლეგალურ ფენასთან, რომლის ნაწილი ჩრდილოვანი ეკონომიკიდან მოვიდა. ნიჭიერ სტუდენტებს აღარ ჰქონდათ სტიმული, რომ უნივერსიტეტებში აკადემიური კარიერისთვის დარჩენილიყვნენ და უცხოურ ბიზნეს-სამაგისტრო ხარისხს, ბანკებს, იურიდიულ ფირმებს და სადაზღვევო კომპანიებს ეტანებოდნენ. სოციალური მობილურობა, თუმცა ხშირად დაღმავალი მიმართულებით, ძირს უთხრიდა სოციალური პრესტიჟის საბჭოთა ღირებულებ-

ბებს. მაგრამ ნორმები და ღირებულებები ნელა იცვლება და 1995-1996 წლების კვლევა აჩვენებს, რომ ქართველთა უმრავლესობას კვლავაც სჯეროდა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია მათი სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, სამსახურის უზრუნველყოფასა და ფასების კონტროლზე.¹⁰⁷

პარადოქსულია, მაგრამ ეკონომიკური კრახის, შობადობის დაცემისა და სიკვდილიანობის გაზრდის მიუხედავად, „ევრობარომეტრის“ მიერ 1995 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ დსთ-ს ქვეყნებს შორის ქართველები ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი და ეკონომიკური ცვლილებების მომხრეები იყვნენ. 1995 წელს 45% აცხადებდა, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდიოდა, რაც 28 პროცენტისა იყო 1994 წელთან შედარებით; 45% მხარს უჭერდა საბაზრო ეკონომიკას (რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო დსთ-ს სხვა ქვეყნებს შორის); 50%-ს მიაჩნდა, რომ ეკონომიკური რეფორმები მეტისმეტად ნელა ხორციელდებოდა, ხოლო 43% აცხადებდა, რომ კმაყოფილი იყო დემოკრატიული განვითარებით, რაც წინა წელთან შედარებით 25%-ით მაღალი მაჩვენებელი იყო.¹⁰⁸ ეს ცვალებადი ეკონომიკური და პოლიტიკური წესების მიღების მეტ მზაობაზე მიუთითებდა. ასეთი ოპტიმიზმი 1994 წელთან შედარებით, შესაძლოა საერთო გაუმჯობესებამ გამოიწვია. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ეს იყო სამოქალაქო მშვიდობის პირველი წელი. გასამხედროებული დაჯგუფებები ძირითადად მოთვინიერებულნი იყვნენ, იარაღი კონტროლდებოდა (1994 წელს უფრო მკაცრი კანონი მიიღეს ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ) და ქუჩის კრიმინალი კლებულობდა. 1994 წლის მარტში შევარდნაძე პრეზიდენტ კლინტონს ესტუმრა ვიზიტით და აშშ-გან 70 მილიონი დოლარის ოდენობით პირდაპირი დახმარება მიიღო.

1994 წლის დეკემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით ამოქმედდა მაკროსტაბილიზაციის 12-თვიანი პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იყო სუბსიდიების შემცირებაზე, ფასების ლიბერალიზებაზე, საბანკო სისტემის რეფორმირებასა და კუპონის სტაბილიზებაზე. 1994-1995 წლებში შემოვიდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი სესხები, რომელთა ოდენობა დაახლოებით 300 მილიონ აშშ დოლარს უტოლდებოდა. საქართველოს 850 მილიონიანი დოლარის საგარეო ვალის ნაწილი ჩამოაწერეს. ამის შედეგი 1995 წელს გამოჩნდა, როდესაც ოთხწლიანი სისტემატური ვარდნის შემდეგ, 2.4-პროცენტის პირველი პოზიტიური ეკონომიკური ზრდა აღინიშნა. მოსახლეობაში ადაპტაციის პროცესი დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა შემოსავლის მიღება შავი ბაზრიდან, ნათესაებისგან, რომლებმაც საზღვარგარეთ იშოვეს სამსახური ან სოფლად მცხოვრები ახლობლებისგან. გამსახურდიასთან დაკავშირებით მიღებულმა გამოცდილებამ და აფხაზეთში მარცხმა რეალიზმის ახლებური განცდა გააჩინა და ხელი შეუწყო იმის გაცნობიერებას, რომ მხოლოდ პატრიოტიზმით შორს ვერ წახვალ.

ეს პროგრესი კინალამ შეწყდა 1995 წლის 29 აგვისტოს. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოფილ ინსტიტუტში განთავსებული პარლამენტის შენობიდან გამოსული შევარდნაძის მანქანაში ნალმი აფეთქდა. ქვებისა და ლითონის ნამსხვრევებში მოყოლილი შევარდნაძე, რომელიც ახალ კონსტიტუციაზე ხელის მოსაწერად მიდიოდა, სასწაულებრივად გადარჩა მკვლელების ყოყმანის გამო.¹⁰⁹ მკვლელობის მცდელობა მოგვიანებით იგორ გიორგაძეს მიაწერეს, პრორუსულ ფიგურას, რომელიც საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი იყო, და ჯაბა იოსელიანს. ამით შევარდნაძეს შანსი გაუჩნდა. მოგვიანებით იოსელიანი დააპატიმრეს თავის 200 „მხედრონელთან“ ერთად. უშიშროების სამინისტროში განხორციელებულმა დაჭერებმა განმინდა ის [სამინისტრო] არალოიალური კადრებისგან, ხოლო გიორგაძე მოსკოვში გაიქცა უახლოესი რუსული სამხედრო ბაზიდან. შევარდნაძის კამპანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რომელსაც შინგან საქმეთა ახალი მინისტრი შოთა კვირიაა ჩაუდგა სათავეში, რალაც პერიოდით გაძლიერდა. ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილი „ქართველ მაშველთა კორპუსი“ ოქტომბერში დაიშალა. მკვლელობის მცდელობამ შევარდნაძის ძალაუფლება გააძლიერა, თუმცა საკითხავი იყო, რამდენად მოახერხებდა ის საკუთარი ძალაუფლების გამყარებას.

ნანილი მეორე

სახელმწიფო და საზოგადოება: 1995-2011

თავი მხვთა

დემოკრატია ქვემოდან?

რუსთაველის გამზირზე, 2003 წლის 22 ნოემბერს, გაყალბებული არჩევნების საწინააღმდეგო მასობრივ დემონსტრაციებს თეატრალიზებული დასასრული ჰქონდა. სააკაშვილი ერთი ვარდით ხელში ოპოზიციონერ ლიდერებს წინ გაუძღვა, პარლამენტში შეიჭრა და შევარდნაძეს სიტყვით გამოსვლისას სხდომა დაატოვებინა. გზად ოპოზიციონერებმა, რაც კი ხელთ მოხვდათ, ყველაფერი დალენეს. შევარდნაძე მეორე დღეს გადადგა. ეს მოხდა ორი წლით ადრე მისი საპრეზიდენტო ვადის ამონურვამდე. მოგვიანებით, ამ მოვლენებს „ვარდების რევოლუცია“ შეერქვა, მაგრამ რა იყო ეს სინამდვილეში, დემოკრატია ქვემოდან თუ ძალაუფლების დაუფიქრებლად, არაკონსტიტუციური გზით მიტაცება ფიცხი ახალგაზრდების მიერ? ფაქტიურად, ეს მასების რეაგირებაც იყო კორუმპირებული რეჟიმის წინააღმდეგ და ძალაუფლების მიტაცებაც, რომელსაც ზემოდან ხელმძღვანელობდნენ. რეფორმებისთვის გზა კი გაიხსნა, მაგრამ, ხელისუფლების კანონიერად გადაცემის კუთხით, სრული დამარცხება გახლდათ. ეს იყო საქართველოს ხელისუფლების ძალდობრივი გზით შეცვლის მეხუთე შემთხვევა ბოლო ასი წლის განმავლობაში, რომელმაც ნათლად აჩვენა საქართველოს სახელმწიფოს მუდმივი ინსტიტუციური სისუსტე, რასაც ვიქვენ ჩეტერიანმა საქართველოს „მუდმივი რევოლუცია“ შეარქვა.¹

ახლადმოსულმა ხელისუფლებამ ლიბერალური დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმის შექმნის ვალდებულება აიღო. თუმცა, მისმა მიღწევებმა, რომელთა შორისაა უფრო ღია არჩევნები, კორუფციის დონის შემცირება, მკვეთრი ეკონომიკური ზრდა და დაბალანსებული ბიუჯეტი, ლიბერალურ ეკონომიკასა და სამოქალაქო დემოკრატიას შორის დაძაბულობა გამოავლინა. ახალი ხელისუფლების მიერ სუსტი პოლიტიკური სისტემის მქონე ღარიბ ქვეყანაში ეკონომიკური ფილოსოფიის დანერგვის მცდელობამ ის ხიფათები ამოატივტივა, რომლებსაც კარლ პოპერმა „უტოპიური ინჟინერია“ უწოდა. გაიზარდა წინააღმდეგობები ინდივიდუალურ უფლებებსა და კოლექტიურ უფლებებს შორის, ფორმალურ უფლებებსა და ფაქტობრივ უფლებებს, სახელმწიფოს ჩარევასა და კერძო თავისუფლებას შორის. მსგავსი წინააღმდეგობები საქართველოს დაუსრულებელი ბრ-

ძოლებია მოდერნიზაციის გზაზე და ის, როგორ გადაიღახება ეს წინააღმდეგობები, გადაწყვეტს საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხს.

დემოკრატიის გაზომვა არჩევნების სიხშირით ან საბაზრო რეფორმებისა თუ პოლიტიკური ბრძოლებით, რიცხვებით ხატვას ჰგავს. დემოკრატია ტექნიკური სავარჯიშო არ არის, ის ცხოვრებისეული გამოცდილება გახლავთ. პოლიციასთან, სასამართლოს წარმომადგენლებთან, ჩინოვნიკებსა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ყოველდღიური შეხება დემოკრატიის შეფასების ძირითადი ელემენტებია. მოქალაქეებისთვის ამ ხალხთან ურთიერთობა განსაზღვრავს დემოკრატიის ხარისხს, ამ ურთიერთობებით წვდებიან ისინი მის არსს და უჩნდებათ სურვილი, რომ მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პროცესებში. მაგრამ ავიღოთ, ერთი მაგალითი. ინფორმაციის თავისუფლება, რასაც თომას ჯეფერსონი „დემოკრატიის ვალუტას“ უწოდებდა, დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, მაგრამ ოფიციალური პირები, უმეტეს შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარს ამბობენ.² თბილისს გარეთ (სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს) რესურსებზე წვდომა (მაგალითად, ქონების შექცევა) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ან მათი მფარველობის ქვეშ მყოფი ადამიანების პრივილეგიაა. ხელისუფლების მუშაობის პრაქტიკა და სტილი ისეთ გარდამავალ სისტემაში, როგორშიც საქართველოა, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ძალაუფლების ინსტიტუციური განაწილება. შესაძლოა, საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ როგორია ეს დემოკრატია?³

თანამედროვე დემოკრატიებს გარკვეული პრინციპები და პროცედურები საერთო აქვთ – პარტიული კონკურენცია, რეგულარული არჩევნები, კანონის უზენაესობა და სამოქალაქო უფლებები, რაც მოიცავს სიტყვის, შეკრებისა და საჯარო პროტესტის გამოხატვის თავისუფლებებს – მაგრამ ეს პრინციპები იშვიათად თუ გამოდგება ზუსტ ორიენტირად იმის დასადგენად, თუ როგორ ფუნქციონირებს დემოკრატია რეალურად. როცა ქართულ დემოკრატიას ქულებით ვზომავთ, მას ძალაუვნებურად დასავლურ სტანდარტებსა და პრაქტიკას ვადარებთ. მაგრამ ჩვენი დემოკრატიულობის დეფიციტი – პოლიტიკური აპათია, კორუფცია, პრესის მონოპოლია და არარჩეული ინტერესებისა და ორგანიზაციების ძალაუფლება – შედარებას არარეალურს ხდის.⁴ ევროკავშირის მიერ კოპენჰაგენის კრიტერიუმების აქცენტირება და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმებში (მათ შორის, საქართველოსთვის განკუთვნილშიც) გამოწერილი რეცეპტები აუფასურებს დემოკრატიას, მის ფუნქციონირებას და ამასთან, სოციალურ-ეკონომიკურ საყრდენს მნიშვნელობას უკარგავს რეალურ ცხოვრებაში. უცხოური პროგრამები თავიანთი პირობებითა თუ დათქმებით საქართველოსნაირ ქვეყნებს აქეზებენ დემოკრატიის „ფორმალური“ მოთხოვნების დაცვისკენ, რასაც ისინი აკეთებენ კიდეც, მაგრამ

გაცილებით რთული ამოცანის ხარჯზე, როგორცაა, მაგალითად თვისებრივი ცვლილებების დანერგვა (რასაც ლარი დაიმონდი „დემოკრატიის სულს“ უწოდებს).⁵ ამის შედეგად, ტერმინი „რეფორმა“ თავის მნიშვნელობას კარგავს. ქართველებისთვის რეფორმა დამთრგუნველია და, ხშირად, პირადი თავისუფლების შეზღუდვასაც ნიშნავს. 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ, რომელიც თავდაპირველად კაბინეტის პასუხისმგებლობის გაზრდას გულისხმობდა, დაასუსტა საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ისეთი ეკონომიკური რეფორმები კი, როგორცაა არაეფექტურად ფუნქციონირებადი ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება თუ სამშენებლო ნებართვების გაცემის გაიოლება ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობის ფონზე, ზღუდავს ეკონომიკურ კონკურენციას და მოქალაქეთა შესაძლებლობას გააკონტროლონ თავიანთი ფიზიკური გარემო. წარმატებული „რეფორმა“, კერძოდ ფიქსირებული 20%-იანი გადასახადის დანესება არაპროპორციულად ამძიმებს შედარებით ღარიბ მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, რომ მისი გადახდის ადმინისტრაციული პროცედურები გამარტივდა.

ვარდების რევოლუციის ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ წარმატებული საბაზრო დემოკრატიის შექმნის საუკეთესო გზა „სახელმწიფოს შეკვეცაა“,⁶ მაგრამ განვითარებად ქვეყნებში, სადაც სოციალური უთანასწორობა სუფევს, მსგავსი სტრატეგია აფერხებს მოქალაქეებისთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭების პროცესსა და შესაძლებლობათა გაფართოებას. „თავისუფალი“ ფარმაცევტული ბაზრისა და (ამ, უმეტესწილად, დაურეგულირებელმა ბაზარმა, ბევრ ოჯახს დაადო დიდი ვალები და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები წამოჭრა) ძვირადღირებული სწავლა-განათლების მიზეზით, ღარიბ და სოფლად მაცხოვრებელ ქართველებს, გარკვეულწილად, ნაერთვა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შანსი. საქართველო „შეზღუდული წვდომის საზოგადოებრივი წყობაა“, სადაც მობილურობა და ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში შესასვლელი ბლოკირებულია სიღარიბით, უთანასწორობითა და სისტემური იერარქიებით.⁷

მკაცრ ეკონომიკურ რეფორმას შეუძლია განამტკიცოს დემოკრატია თუ შეზღუდული ორთოდოქსიის წესს აამოქმედებს და სახელმწიფო კონტროლს გააძლიერებს, მაგრამ, ამავდროულად, მას შეუძლია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციაც. სააკაშვილის ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა უტოპიური მეტრძოლი სახე მიიღო, ფოკუსირდა რა, როგორც რობერტ რეიხი ამბობს, მომხმარებელზე და არა მოქალაქის ღირებულებებზე.⁸ საქართველოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ უკიდურესად შეამცირა სახელმწიფო ინვესტიციები შრომით ბაზარზე, ჯანდაცვასა და გარემოს დაცვაში და გაათავისუფლა აღმასრულებელი ხელისუფლება საჯარო სექტორის ინსტიტუტების კონტროლისგან. ჯ. კ. გალბრაიტის ტერმინით, „გამწონას-

ნორბელი ძალის“ სისუსტემ არასტაბილურ ქარიზმატულ პოპულიზმზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემა წარმოშვა. სახელმწიფოს დერეგულაციის შედეგად მის მოქალაქეებს სამოქალაქო უფლებები უფრო შეუმცირდათ.



ვარდების რევოლუციის დასაწყისი. ხალხი მთავრობის სასახლის წინ იკრიბება. 2003 წლის ნოემბერი

საქართველოში, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ინდივიდუალური უფლებები და საბაზრო ეკონომიკა სუსტადაა დაბალანსებული ეკონომიკური უსაფრთხოებით. საქართველოს დემოკრატიის სახალხო და ინსტიტუციური საფუძველი ისევ არასტაბილურია. 2008 წელს არჩევნებზე მოქალაქეებმა თავისუფლად გამოავლინეს თავისი ნება (თუმცა, არჩევნები სამართლიანი იყო, ვერ ვიტყვით), მთავრობაც, ფაქტიურად, განმენდილი იყო დანაშაულებრივი ელემენტებისგან და კანონიც ნორმალურად მუშაობდა. სააკაშვილი მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა ოპოზიციასთან. მან გაზარდა მათი წარმომადგენლობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო), საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოში და მიიწვია ისინი უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომებზე. მაგრამ სასამართლო არაპროგნოზირებადია და ბევრი ქართველისთვის მიუწვდომელიც. საკანონმდებლო, სასამართლო და საზოგადოებრივი ზედამხედველობა აღმასრულებელ ხე-

ლისუფლებაზე მინიმალურია. ოპოზიცია ისევ უმოქმედოა და ინტერესთა ჯგუფები სუსტი, ხოლო პოლიციის მიერ მოქალაქეებზე თვალთვალის განხორციელება სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. სამოქალაქო საზოგადოება არაერთგვაროვანია. შეადარეთ თბილისის დიდი დიღმისა თუ ნაძალადევის გაჭირვებული მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერება და ორგანიზებულობა შექმნილ ვაკეს ან საბურთალოს, სადაც, ძირითადად, ცხოვრობენ დასავლეთიდან ჩამოსული ოპტიმისტები და აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

პლურალისტური სტრუქტურები საქართველოში საზღვარგარეთიდანაა ჩამოტანილი და დამყნობილია ისეთ ქართულ გაიდვალეზულ ღირებულებებზე, როგორცაა ეთნიკური ტოლერანტობა, ინდივიდუალიზმი და „ევროპელობა“, რაც ანიჭებს კიდეც მათ ლეგიტიმაციას. პრეზიდენტ შევარდნაძის აქცენტი შერიგებაზე სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო „ნორმალური“ პოლიტიკური ცხოვრების დასაწყებად. მაგრამ ელიტებს შორის გაფორმებულმა პაქტმა, რომელმაც მშვიდობა მოიტანა ქვეყანაში და ყოფილი მტრებიც მიიღო თავის რიგებში, მთავრობის იზოლაცია კიდეც უფრო განამტკიცა. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროინდელი მთავრობა შუასაუკუნეების მეფის კარს ჰგავდა, სადაც ნომენკლატურული ვასალები ერთმანეთს რესურსებისა და ძალაუფლებისთვის ებრძოდნენ. რიგითი ქართველების აღშფოთება საკუთარი ქვეყნისდამი მატულობდა. შევარდნაძის ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფდა მას უსაფრთხოებით, ჯანდაცვითა თუ სწავლა-განათლებით. ისევ გალბრაიტი შეგვახსენებს, რომ „არაფერი... ისე არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, როგორც ფულის სრული უქონლობა“. ეს ნამდვილად ასეა იმ ქვეყანაში, რომლის ერთი მესამედი ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.⁹

დემოკრატია არ იზადება კომუნიზმის ნანგრევებზე. თესლს დათესვა და მოვლა სჭირდება, ამოსულ ყლორტებს – მორწყვა, ტოტებს – სარები. სახელმწიფომ განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს ბაზრის სტიმულირებასა და ხალხის დაინტერესებაში, რომ ამ უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით კი, იმ ქვეყანაში, რომელშიც პოსტსაბჭოთა გარემოა და საშუალო კლასი არ არსებობს. მაიკლ მანი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს უნარი კოორდინირება გაუკეთოს და მართოს სამოქალაქო საზოგადოება, – რასაც იგი სახელმწიფოს „ინფრასტრუქტურულ ძალაუფლებას“ უწოდებს, – იმავეს არ ნიშნავს, რასაც სახელმწიფოს „დეესპოტური ძალაუფლება“ ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებაზე.¹⁰ სტაბილურ დემოკრატიებს ძლიერი ინფრასტრუქტურული ძალაუფლება აქვთ. პოსტსაბჭოთა საზოგადოებას კი, ის არ გააჩნია. მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში ახლა აღიარებენ, რომ სახელმწიფოს როლის შემცირებაზე აქცენტირება შეუფერებელი იყო

მძიმე მდგომარეობაში ჩაყარდნის პოსტსაბჭოთა საზოგადოებებისთვის. ინსტიტუციური განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და სიღარიბის აღმოფხვრას (ინფრასტრუქტურული ძალაუფლების ელემენტები) სახელმწიფომ მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდასა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას ქვეყანაში.¹¹ საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, რომან გოცირიძის, სიტყვებით რომ ვთქვათ, პრივატიზაცია (სახელმწიფო ქონების გაყიდვა) საქართველოს ტრანსფორმაციის მხოლოდ დასაწყისი იყო და არა კულმინაცია.¹² საბაზრო დემოკრატიის მშენებლობას პოსტსაბჭოთა პირობებში (ან მის შენარჩუნებას განვითარებულ სისტემებში) ისეთი რესურსები სჭირდება, რომელთა მიწოდებაც მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია.

სახელმწიფო იცავს ინდივიდუალურ უფლებებს და, ამავდროულად, ზღუდავს მძლავრ კერძო ინტერესებს. ლეგალური სახელმწიფო არ შეიძლება „მინიმალური ნაციონალური სახელმწიფო“ იყოს.¹³ მან უნდა შექმნას ლიბერალიზმის უზრუნველყოფი უფლებამოსილება, კონსენსუსი და წესები. დემოკრატია აზრს კარგავს, თუ ქვეყნის მოქალაქეებს პოლიტიკაში მონაწილეობის ან მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა არ ექნებათ. სამოქალაქო საზოგადოება, რომლისთვის დამახასიათებელია მოქალაქეთა გონივრული სწრაფვა პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ადგილობრივ ჯგუფებს შორის ჰორიზონტალური კავშირების არსებობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ერთმანეთისადმი ნდობა, საქართველოში ჯერ-ჯერობით სუსტია. შევარდნაძის მთავრობამ დააკანონა დემოკრატია, მაგრამ უგულბელყო მისი პრაქტიკული საყრდენები, კერძოდ, სამართლიანი და ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობა, კანონის უზენაესობა, პატიოსანი საჯარო სამსახური და კანონიერი ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობები თავისი მოქალაქეებისთვის. საქართველოს სახელმწიფოსთვის მისივე მიღებული კანონების შესრულების უზნარობა დემოკრატიის უდიდესი დეფიციტი იყო. ასლან აბაშიძე აჭარაში, ორი ათეული წლის განმავლობაში, ფეოდალური სახის ავტორიტარულ წარმონაქმნს ხელმძღვანელობდა. ის ყურადღებას არ აქცევდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, აყალბებდა არჩევნებს და უარს ამბობდა უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებების შესრულებაზე.

ხელისუფლებას არ შეუძლია საზოგადოების ან ოპოზიციის ორგანიზება ბრძანებით და არც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობილი ფაქტორები ექცევა მისი გავლენის ქვეშ, რომ მისი აღმოფხვრა შეძლოს. მკაფიო სოციალური დაყოფის არარსებობა და ტრადიციული ერთგულება ნათესაობისა და პატრონისადმი სერიოზული დაბრკოლებებია საქართველოსთვის დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. რობერტ ჰუტინამ ამტკიცებს, რომ ძლიერი სამოქალაქო ორგანიზაცია „დემოკრატიის სკოლის“

ფუნქციას ასრულებს.¹⁴ მაგრამ საქართველოში მოსახლეობის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში ისევ სუსტია. 2002 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, წინა წელს რესპონდენტთა მხოლოდ 3.6% იყო საქმეზე ნამყოფი პარლამენტში ან სამინისტროში და 3.9%-ს მონაწილეობა მიუღია კოლექტიურ სამოქალაქო მოქმედებაში. ოთხი წლის შემდეგ, 2006 წელს გამოკითხულთა 2.2%-მა აღნიშნა, რომ პარლამენტს მიმართა იმ წელს; 4.7%-ს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის მიუმართავს, ხოლო 2.0%-მა კოლექტიურ სამოქალაქო საქმეში მიიღო მონაწილეობა.¹⁵ 2008 წლის გამოკითხვაში, თბილისელთა მხოლოდ 19.5% ფიქრობდა, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ სამთავრობო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა.¹⁶ ქართველებისთვის გადარჩენის ინსტრუმენტები არაფორმალური ქსელები და გავლენიანი პატრონები არიან და არა, ვთქვათ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ან დეპუტატები (თუმცა დეპუტატი, განსაკუთრებით კი, თუ მმართველი პარტიის წევრია, პატრონით იქცევა). შიდა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც გაღრმავდა 2008 წლის შემდგომი გლობალური ვარდნით, ზღუდავს საქართველოს „დემოკრატიის სკოლების“ შესაძლებლობებს.¹⁷

1999 წელს, საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა თბილისი საქართველოს გაუთანაბრეს, ხოლო პოსტკომუნისტურ თანამედროვეობას. ფაქტიურად კი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კეთილი სურვილებით დანერგილმა დასავლურმა საგადასახადო მოდელებმა გადაავადეს საქართველოს მოდერნიზაცია და პირიქით, ხელი შეუწყვეს ხელშეკრულებების ფარულად დადებას სახელმწიფო მოხელეებსა და მენარმეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა „მმართველობას“ და სიღარიბის დაძლევას ექცეოდა, დასავლეთიდან მიღებულმა რეკომენდაციებმა ხელი შეუწყვეს საქართველოს ეკონომიკური საფუძვლის ნგრევას. საერთაშორისო ფინანსური დახმარება ეყრდნობოდა დონორების დღის წესრიგს, რის შედეგადაც ადგილობრივი აქტივისტების პროფესიული სისტემა შეიქმნა. აქტივისტები კი, ქვეყნის ფართო შემუშავებულ პროგრამებს მიეჯახებოდნენ იმის ნაცვლად, რომ ფოკუსირება პროგრამების ბენეფიციარების საჭიროებებზე მოეხდინათ. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები შრომით არისტოკრატიად ჩამოყალიბდნენ, გასამრჯელოს დოლარებში იღებდნენ და ქართველთა უმეტესობისთვის ცხოვრების უცხო სტილს მისდევდნენ. ათასწლეულის დადგომისთვის, ქართველები, ალბათ, უნდა დაინტერესებულიყვნენ, შეეძლო თუ არა „ლიბერალიზმს“ რამის მოტანა კორუფციის, განგსტერების, პურის რიგებისა და ყრუანტილის მომგვრელი ღამეების გარდა. ამან გააღრმავა „ნდობის ნაპრალი“ (რასაც ლიპსეტი და შნაიდერი უწოდებენ) ანუ ხალხმა დაკარგა სანდოობის გრძნობა დემოკრატიის სიკეთეებისადმი.¹⁸

სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოსგან „დამოუკიდებლობაზე“

აქცენტირებამ – ურთიერთობების აბსტრაქტული გაგება – და იმ მოდელის წინ წამოწევა, რომელიც არ მოიცავდა, მაგალითად, შრომით ორგანიზაციებს, დემოკრატიზაციის პროცესი დასაწყისიდანვე დააკოჭლა. მან ქართული საზოგადოება მარგინალიზებულად აქცია, რომელსაც ძალაუფლებისა და რესურსებისთვის გამართულ მოლაპარაკებათა პროცესში ჩასართავად ბრძოლის უნარი აღარ შესწევდა (რასაც ჩვენ დემოკრატიულ პროცესს ვუწოდებთ), იმ მიზნით, რომ, მაგალითად, უსაფრთხო სამუშაო პირობები მოეთხოვა ან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა თუ გარემოს დაცვა. იმ ქმედითი სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ქსელებს ზურგს გაუმაგრებდნენ და ფუნქციონირებაში ხელს შეუწყობდნენ, სამოქალაქო საზოგადოება ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიის ზრდას.¹⁹

საკაპევილის მთავრობამ, რომელიც დაუფარავი ქედმაღლობით ეკიდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ჩარევას“ საქართველოს საშინაო საქმეებში და არ იღებდა მისგან მწვავე კრიტიკას, ახალი სუნთქვა შთაბერა ფონდის მონიტარისტულ პოლიტიკას. ქართველ ფერმერებს, სახელმწიფო მოხელეებსა თუ მასწავლებლების ეს, ალბათ, ნაკლებ სამუშაო ადგილს მოუტანს, თუმცა, ამავე დროს, საერთო-სახალხო საპროტესტო პოტენციალსაც ზრდის იმ შემთხვევისთვის, თუ მთავრობა სწორად არ მოიქცევა. 2007 წლის 7 ნოემბერს, თბილისის ქუჩებში მძიმე სოციალური პირობებითა და უმუშევრობით გატანჯული 100 000 ადამიანი გამოვიდა. პოლიციამ დემონსტრანტები სასტიკად დაარბია. ქვეყანა კონსტიტუციურ კრიზისში აღმოჩნდა, დროებით შეიზღუდა სამოქალაქო უფლებებიც.²⁰ ამ მოვლენებიდან ცოტა ხანში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობის 80% მთავრობის საპასუხო რეაქციას საპროტესტო გამოსვლებზე არაპროპორციულად მიიჩნევდა.²¹ სააკაპევილის მთავრობა ქვეყნის მოდერნიზაციას კი ცდილობს, მაგრამ, ამავე დროს, ეკონომიკურ დაუცველობასაც ამძაფრებს და ასუსტებს სამოქალაქო ძალაუფლებას. თავისი მოქმედებებით ხელისუფლება აძლიერებს დაუმორჩილებლობისა და აჯანყებების ციკლურ პროცესს, რაც ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე დომინირებდა ქართულ პოლიტიკაში.

ადამ პრეფეროსკი ამბობს, რომ „დემოკრატია უნდა მოიტანოს არსებითი შედეგები.“²² ახალგაზრდული დინამიზმი, კორუფციასთან დაპირისპირება და ევროპასთან ინტეგრაცია საზოგადოებრივი მხარდაჭერის შენარჩუნებისთვის საკმარისი არ არის. ქართველები, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცის მოსახლეობაში გამოირჩეოდნენ ყველაზე ოპტიმისტური განწყობით დემოკრატიული ცვლილებებისადმი, შევარდნაძის მმართველობის დასასრულისთვის, 2003 წელს პესიმისტურად უყურებდნენ დემოკრატიის განვითარებას. ამავე წლის ივნისში, გამოკითხულთა მხოლოდ 20% იყო კმაყოფილი დემოკრატიის პროგრესით, ხოლო 2006 წელს მოსახლეობის

67% თანხმდებოდა, რომ დემოკრატიული სისტემა საკმაოდ კარგი ან ძალიან კარგი იყო ქვეყნის განვითარებისთვის. თუმცა, იმავე წლის, ანუ 2006 წლის გამოკითხვაში, რესპონდენტთა 57.4%-მა განაცხადა, რომ ნესრიგი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საზოგადოების ზემოქმედება ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე.²³ ასეთი აშკარა წინააღმდეგობები „დემოკრატიის არსებითი შედეგებისადმი“ ამბივალენტურ დამოკიდებულებას ასახავს. პრეზიდენტი სააკაშვილი გაუთავებლად ამაყობს, რომ საქართველოში ცხოვრების დონემ აინია, და ხშირად აკეთებს მონოდეგებს „ქართველ ხალხთან კონსულტაციების გამართვის“ შესახებ, მაგრამ თავისი რიტორიკით ის სიდუხჭირის დამალვას ცდილობს და კონსულტაციების ჩატარების პრინციპს უგულვებელყოფს.²⁴ საქართველო დღეს ორიარუსიანი დემოკრატიაა, ღია და კაშკაშა ცენტრით და არაინფორმირებული, დაბეჩავებული გარეუბნებითა და პროვინციებით.

ინტერესთა ჯგუფები და სამოქალაქო საზოგადოება

დემოკრატიის შემსწავლელთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ინტერესთა ჯგუფები და ასოციაციები აუცილებელია, რათა ქვეყანას ინფორმირებული ამომრჩეველი ჰყავდეს და ხელისუფლების ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილი იყოს. 1990-იანი წლების დასასრულამდე საქართველოში ასეთი ჯგუფების არსებობისთვის არახელსაყრელი პირობები იყო. ხელისუფლების მოშლასთან ერთად, გაძლიერდა კერძო პატრონაჟი, ოჯახისადმი ნდობა და მასზე დამოკიდებულება, ამასთან, გადარჩენისთვის ბრძოლის არაკანონიერი მეთოდებიც უფრო ხისტი გახდა. ქმედითი საზოგადოებრივი ინტერესთა ჯგუფების წარმოქმნისთვის საჭირო პირობები, როგორებიცაა ეკონომიკური სტაბილურობა, სამართლებრივი აღიარება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში არ არსებობდა. ამ პერიოდში, ქართველ თანამდებობის პირებს გაგონილიც კი არ ჰქონდათ „ინტერესთა ჯგუფი“, ასეთი ცნება უცნობი იყო მათთვის. 1996 წელს, მსოფლიო ღირებულებების კვლევის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 3.3% იყო განვითარებული პროფესიულ ასოციაციებში და 1.9% – საქველმოქმედო ორგანიზაციებში. კაპიტალიზმმა წაახალისა ახალი ეკონომიკური ინტერესები და შეიძლება ითქვას, რომ 1990-იანი წლების დასასრულს საქართველოში ერთბაშად აღმოცენდა და გააქტიურდა არასამთავრობო სექტორი, მაგრამ ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფები, მაგალითად, შრომით ბაზარზე, სოფლის მეურნეობის სფეროსა და თუნდაც, ბიზნესში, მაინც ცუსტი იყო. 2011 წელსაც არსად ჩანდა ჟურნალისტთა ეფექტიანი ასოციაციები, პენსიონერთა ჯგუფები, პროფკავშირები ან დამოუკიდებელი ბიზნეს-ასოციაციები.

ინტერესთა ჯგუფების სისუსტე და პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური სიცარიელე საქართველოს უძღურ სოციალურ სტრუქტურებს ასახავს. 2011 წელს საქართველოს საშუალო ფენაზე საუბარი უაზრობა იყო. საქართველოს მთავრობას არც „საშუალო კლასის“ სტატისტიკური განსაზღვრება გააჩნია. ამ წარმოსახვითი კლასის ზიარი ღირებულებებისა და სოლიდარობის განცდის დადგენა თითქმის შეუძლებელია. ქართული საზოგადოების სოციალურ ბუნდოვანებას ემიგრაცია, უმუშევრობა და შავი ეკონომიკაც ემატება. საქართველოში კორპორატიული, პლურალისტური და „ტრადიციული“ ჯგუფური ინტერესების ნარევია. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ყოფილი პარტიული ნომენკლატურა ხელს უწყობდა ეკონომიკის მართვას სახელმწიფოს მიერ საპრივატიზაციო გარიგებებზე კონტროლისა და დიდი საწარმოების მფლობელებთან ახლობლურ-კომფორტული ურთიერთობებით.²⁵ ახალგაზრდა პარლამენტარები კი, პირიქით, „მისისიპდალეულნი“ (რუსეთში განათლებამიღებული „თერგდალეულების“ ანალოგიით, მისისიპის წყალდალეულები ანუ დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში ნასწავლი ახალგაზრდები) სამოქალაქო მონაწილეობის გააქტიურებას ცდილობდნენ დამოუკიდებელი ასოციაციებითა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით. დამწყები, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი სამოქალაქო ასოციაციები, რომლებსაც იმის უნარიც არ შესწევდათ, რომ თავიანთივე „წევრები“ დაეყოლიებინათ დათმობაზე, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ორგანიზაციული თვალსაზრისით, უფრო დაიხვეწნენ და განვითარდნენ. მაგრამ მათი გავლენა მთავრობაზე, რომელიც ადრეც არ ყოფილა ძლიერი, გასაოცრად შემცირდა. ახალ ხელისუფლებას აღარ სჭირდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად, უცხოურმა დაფინანსებამაც იკლო მესამე სექტორში. ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა, რეფორმებზე ორიენტირებული მინისტრები დემოკრატიის ადგილობრივ ძირეულ დონეზე განვითარებას შეუწყობდნენ ხელს. მაგრამ არასამთავრობო სექტორის მასიურ გადადინებას ხელისუფლებაში (ყოფილი პრემიერ-მინისტრები ზურაბ ჟვანია და ზურაბ ნოლაიდელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები იყვნენ), მაინც არ მოჰყოლია ურთიერთობათა გაუმჯობესება მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.²⁶

სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის უმთავრესი გამწვევი ძალა – ინტერესთა ჯგუფები – შეიძლება ოთხ კატეგორიად დავეყოთ: პირველი, ფორმალურ ინტერესთა ჯგუფები, როგორებიცაა, მაგალითად, მენარმეთა და ჟურნალისტთა ასოციაციები, პოლიტიკური პარტიები; მეორე, ამორფული ინტერესთა ჯგუფები, მაგალითად, ფერმერები და პენსიონრები. ამ ჯგუფებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საინფორმაციო გაცვლითი სისტემები ან

ლობირების საშუალება, მაგრამ ინტერესები საერთო აქვთ და რაოდენობის გამო სამთავრობო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ; მესამე, ადგილობრივი, სტილით „დასავლური“ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა ინსპირატორები და დამფინანსებლები არიან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, და მეოთხე, ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა სამთავრობო სააგენტოები და საერთაშორისო არასამთავრობო, მაგალითად, მსოფლიო ბანკი ან საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი. ეს ორგანიზაციები, რომლებიც შეიძლება თავიანთ მთავრობებს წარმოადგენდნენ, მაინც ლობირებენ და კონკრეტული პოლიტიკის გატარებას უწყობენ ხელს (მიუხედავად იმისა, რომ ამას უარყოფენ). და ბოლოს, არსებობენ პატრონაჟის ჯგუფები, რომლებიც ემყარებიან მეგობრულ-ნათესაურ კავშირებს, საცხოვრებელ ადგილზე არსებულ კონტაქტებს და პროფესიულ სოლიდარობას. აი, ეს უკანასკნელი კატეგორია ყველაზე რთული შესასწავლად. ამასთან, მისი დახასიათება „სამოქალაქო საზოგადოებად“ შეუძლებელია, რადგან საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად არ მუშაობს საჯარო სივრცეში. თუმცა, როგორც ქრის ჰანი აღნიშნავს, ეს მაინც გამოირიცხავდა არაფორმალური და მალული საქმიანობის პრაქტიკას, როგორც დასავლურ, ასევე არადასავლურ კულტურაში.²⁷ პატრონაჟის ჯგუფი ქართული საზოგადოების ტრადიციულ სოციალურ წეს-ჩვეულებებს განასახიერებს. ის მედიატორის ფუნქციას ასრულებს სახელმწიფოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსაქციების განხორციელებისას. ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში გავრცელებულობისა და დიდი გავლენის გამო პატრონაჟის ჯგუფი განუყოფელი ნაწილი გახდა სახელმწიფო-საზოგადოების ურთიერთობებზე დისკუსიისთვის.

პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკური პარტიები სასიცოცხლოდ აუცილებელი კავშირებია სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის. პოლიტიკური პარტია აგრეირებული საზოგადოებრივი ინტერესის არტიკულირებას ახდენს, აკონტროლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, სთავაზობს მოქმედ მთავრობას ალტერნატიულ წინადადებებს და რესურსების გონივრულად და სამართლიანად გადანაწილებას უზრუნველყოფს. პარტიის გარეშე ვერ იარსებებდა პოლიტიკური კონკურენცია წარმომადგენლობით დემოკრატიულ სისტემაში და ვერც მოსახლეობა მიიღებდა მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. პარტია ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ლეგიტიმაციის – არასტაბილური პარტია ზრდის არასტაბილური დემოკრატიის რისკს.²⁸ სუსტი პარტია, სავარაუდოდ, ვერც კორუფციას გააკონტროლებს სათანადოდ, რთული რე-

ფორმების გატარების უზრუნველყოფაც გაუჭირდება და სისტემური ლეგიტიმაციის განმტკიცებაც.

რობერტ დალი წერს, რომ „ოპოზიციის ერთი მუდმივი და უცვლელი პრობლემა ის გახლავთ, რომ ის ან ძალიან ცოტაა ან ძალიან ბევრი.“²⁹ ამ ბოლო ორი აონლეულის მანძილზე საქართველომ ორივე მდგომარეობა გამოსცადა. საქართველოში საკმარისზე მეტი პარტია არსებობს ძალზე ცოტა ძალაუფლებით. 1995 წლიდან ჩატარდა ხუთი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც 145 პარტიამ და ბლოკმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო 2005 წელს 182 პარტია დარეგისტრირდა იუსტიციის სამინისტროში.³⁰ პარტიის ენთუზი-აზმი არ ვრცელდება მოქალაქეებთან კავშირების შენარჩუნებაზე. და მიუხე-დავად პარტიათა პოზიციების სიჭრელისა, სიმრავლისა თუ შემთხვევითი გამარჯვებებისა, ისინი მაინც არ წარმოადგენენ ადგილობრივ ძირეულ ორგანიზაციებს. სულ რამდენიმე პარტიის ოფისია პროვინციებსა და თბილისში, რომელიც მუდამ სავსეა მთხოვნელებით. ქართული პარტია ერთი ძლიერი და გავლენიანი პროვინების ქმნილებაა (რესპუბლიკური პარტია, ამ მხრივ, გამოხატვისა). ის არც გადაწყვეტილების სერიოზული მიმღებია და არც მოქალაქე-ჯგუფის ინტერესების გაერთიანების ფუნქციას ასრულებს. ის მიეკუთვნება, როგორც სკოტ მაინორინგი უწოდებს, „სუსტად ინსტიტუციონალიზებულ“ პარტიულ სისტემას: გამოირჩევა არამდგრადობით, არ არის საკმარისად ფესვგადგმული, მისი ლეგიტიმაციის დონე დაბალია და ოფი-ციალური პარტიის გამოკლებით, შეზღუდული აქვს წვდომა რესურსებზე. 2007 წელს, მოსახლეობის მხოლოდ 4.7% იყო პარტიული.³¹

მცირე გამოხატვის გარდა, საქართველოს პოლიტიკური პარტიე-ბი არასტაბილურობით ხასიათდება. იმ ოთხი პარტიიდან, რომელიც შე-ვარდნაძის დროინდელ საპარლამენტო პოლიტიკაში დომინირებდა, სამი პარტია დაიშალა (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, დემოკრატიული აღორძინების კავშირი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), ხოლო მეოთხე 2011 წლისთვის (მრევნელობა გადაარჩენს საქართველოს) მარ-გინალური აღმოჩნდა. თუმცა, მეტ-ნაკლებად წარმატებული პარტიებიც გვხვდება, მაგალითად, ლიბორისტული პარტია, რომელიც 1995 წელს დაარსდა. ამ პარტიამ შეინარჩუნა თავისი „ლურჯსაყელიანი“ მხარდამ-ჭერები და თუმც მცირერიცხოვანი, მაგრამ ყველა მონვევის პარლამენტში ჰყავდა წარმომადგენლობა. 1978 წელს დაარსებული რესპუბლიკური პარ-ტია სიკვდილს გადაურჩა, როგორც კანონის უზენაესობის მხარდამჭერი ხმა.³² ახლად შექმნილ პარტიებს, მაგალითად, ირაკლი ალასანიას პარტიას, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები, ესმით რეგიონული ორგა-ნიზაციის მნიშვნელობა. თუმცა, არცერთი მათგანი არ მიახლოებია ძალაუ-ფლების ზღურბლს. 1995 წელს, არჩევნებამდე დარჩენილ ორთვიან პერი-ოდში, იუსტიციის სამინისტროში 21 პარტია დარეგისტრირდა. არჩევნებში კი ჯამში, 53 პარტიამ მიიღო მონაწილეობა. უმეტესობა გაქრა თვალთახედ-

ვიდან. 1999 წლის არჩევნებში 45 პარტია მონაწილეობდა; 2004 წელს – 17. პარტიის სახელწოდებები არ გამოგვადგება პოლიტიკური შეხედულების გამოსაცნობად. დეპუტატებს უამრავი სხვადასხვა მიზეზი აქვთ იმისთვის, რომ პარტიაში შევიდნენ, მაგრამ ლიდერი გადამწყვეტ როლს ასრულებს. იდეოლოგიური პოზიციისთვის არავითარი მნიშვნელობა აქვს ბლოკებსა და კოალიციებში პარტიის მონაწილეობას. 1995 წელს სოციალისტური პარტია პროსახელისუფლებო იყო, მაგრამ 1999 წელს მემარჯვენე პარტიების კოალიციაში აღმოჩნდა ასლან აბაშიძის დემოკრატიული აღორძინების კავშირთან ერთად. რამდენიმე წლის შემდეგ კი, 2003 წელს, ის ყოფილ ოპოზიციურ პარტიასთან ერთად (ეროვნულ-დემოკრატიული) შევარდნაძის მომხრე ბლოკში გაერთიანდა.

პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებიც ეკლექტურია. ყოველი მათგანი მხარს უჭერს დემოკრატიის განვითარებას, საბაზრო ეკონომიკას, საკუთრების ხელშეუხებლობის იდეას და ადამიანის უფლებების დაცვას. მოქალაქეთა კავშირი დაბეჯითებით ითხოვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების მკაცრად შესრულებას, მაგრამ სოცინტერნის წევრი იყო. პარტია მრენველობა გადაარჩენს საქართველოს, მართალია, ბიზნესის მხარდამჭერია, მაგრამ „სოციალურად დაუცველთა“ დაცვას მოითხოვს.³³ ლეიბორისტული პარტია აქცენტს სამუშაო ადგილების შექმნაზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და სიმდიდრის სამართლიან განაწილებაზე სვამს. სოციალისტური პარტია თავის პროგრამაში ყურადღებას ამახვილებს „კერძო საკუთრების წახალისებაზე“, საშუალო კლასის შექმნასა და „ჯანსაღ კონკურენციაზე.“³⁴ მათ შორის განსხვავებები, ძირითადად, აქცენტებშია: მოქალაქეთა კავშირი დასავლეთის ფინანსურ ორგანიზაციებთან უფრო მეტ ინტეგრაციას ითხოვდა, მრენველობა გადაარჩენს საქართველო კი, უფრო პროტექციონისტურია. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იბრძვის რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად, ხოლო ახალი კონსერვატიული პარტია, ახალი მემარჯვენეები და ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები ფოკუსში კერძო საკუთრების ხელშეუხებლობასა და ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას აქცევენ. რესპუბლიკური პარტია, რომელიც შედარებით ახალგაზრდა ურბანულ ინტელექტუალურ ელიტასთან ასოცირდება, მმართველობის საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას და სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნას ითხოვენ.³⁵ თითქმის ყველა დიდი პარტია მემარჯვენე ცენტრისტია (ალბათ, ლეიბორისტების გამოკლებით) მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა სახელმწიფოსგან უფრო მეტ ჩარევას ითხოვს ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში და პენსიებთან დაკავშირებით. უთანხმოებები, რაც ხშირია პოლიტიკოსებს შორის, იმდენად მწვავეა და პიროვნული, რომ სატელევიზიო დებატებისას განხილული პროგრამების განსხვავებები გაავებული თავდასხმების კორიანტელში იკარგება.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს არ ჰყავთ ძლიერი მხარდამჭერი ამომრჩევლები. საპარლამენტო პარტია არც რომელიმე კონკრეტულ თაობას, სოციალურ ჯგუფს თუ რეგიონს წარმოადგენს (დემოკრატიული აღორძინების კავშირი გამონაკლისი გახლდათ). რა თქმა უნდა, პარტიისადმი მხარდაჭერის ხარისხი განსხვავდება თბილისს, პროვინციულ ქალაქებსა და სოფლებს შორის, მაგრამ არავითარი მინიშნება იმაზე, რომ რომელიმე ასაკობრივი ჯგუფის, კლასის ან რეგიონის ამომრჩეველი „თავისიანად“ ხედავდეს რომელიმე კონკრეტულ პარტიას. ლეიბორისტულ პარტიას მომხრეები დაბალშემოსავლიან ხალხში ჰყავს; არაქართველებმა 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნებში მხარი უმეტესად მოქალაქეთა კავშირს დაუჭირეს (თუმცა, ასეთი სურათი შეიძლება არჩევნების გაყალბების შედეგად მიგვეღოს). ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მხარს უფრო მეტად რეგიონებში უჭერენ (განსაკუთრებით, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში). მისი მხარდამჭერები არიან, აგრეთვე საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის ფენაში და პროვინციებში მაცხოვრებლები (ამ მოძრაობის ლიდერებს განათლება, უმეტესად, დასავლეთში აქვთ მიღებული და ჯერ 40 წლის ასაკისთვის არ მიუღწევიათ).³⁶ გია ნოდია პარტიული ლოიალობის არარსებობას ჯერ კიდევ არაფორმირებული სოციალური დაყოფის ანარეკლად აღიქვამს. საზოგადოების დაყოფა საქართველოში უფრო თაობების, განათლების, ენის ცოდნისა (რუსული vs ინგლისური) და საბჭოთა წარსულისადმი დამოკიდებულებით ხდება და არა კლასებისა თუ ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით.³⁷ პარტიები თავიანთი იდენტობისთვის იბრძვიან, რადგან ამომრჩეველი პარტიის ლიდერთან აიგივებს მას და არა რომელიმე პოლიტიკურ კურსთან. გოგი თოფაძე, ლუდსახარმ „ყაზბეგის“ წარმატებული და ქარიზმატული მესაკუთრე, განასახიერებს პარტიას, მრეწველობა გადაარჩინს საქართველოს; შევარდნაძე „მოქალაქეთა კავშირის“ სიმბოლო იყო, შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტიის გახლავთ, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მიშაა. უმრავლეს შემთხვევაში, როგორც ეს სახელწოდებები გვეუბნება: „ბურჯანაძე-დემოკრატები“ ან „საკაპშვილი-გამარჯვებული აჭარა“, ლიდერთან იდენტიფიცირების იდეას წინააღმდეგობას არავინ უწევს.

პოლიტიკურ პარტიებს საქართველოში არ ენდობიან. 1998-2000 წლებში, მათი რაოდენობა, ვინც არცერთ პარტიას უჭერდა მხარს 13-დან 42 პროცენტამდე გაიზარდა. 2000 წლის გამოკითხვაში, სიაში ჩამონერვილი 12 პარტიიდან ვერცერთმა მიიღო 21%-ზე მაღალი ნდობა, საშუალო მაჩვენებელი 10.5% იყო.³⁸ 2006 წლის გამოკითხვაში კი, სულ ორიოდე წლის შემდეგ სახელგანთქმული ვარდების რევოლუციის შემდეგ, პოლიტიკურ პარტიებს გამოკითხულთა მხოლოდ 13% ენდობოდა.³⁹ ხალხმა ზურგი აქცია პოლიტიკას, საესესიო დარბაზში ატეხილი მუშტი-კრივის თუ ლანძღვა-გინების გამო, მაგრამ დღევანდელი დარბაზი, ძირითადად, ცარიელი, დებატების დროს, არანაკლებ გულსამა-

ცრუებელია. პარტიათა ლიდერები ბევრს ტრაბახობენ საკუთარი წევრების რაოდენობაზე, თუმცა ციფრები გაურკვეველია და ზუსტი არ არის; ჩემთან ინტერვიუს დროს პარტიული ჩინოვნიკები ყოველთვის მორცხვად ილიმიან, როცა ამ საკითხზე ჩამოვარდება სიტყვა. ხალხის მხარდაჭერის არარსებობა პარტიის არამდგრადობასა და დახურულ სიებს უკავშირდება. მოუხედავად იმისა, რომ კანდიდატთა უმრავლესობა ერთმანდატიან ოლქებში ადგილობრივი მოქალაქეები არიან, პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატების უმეტესობა თბილისის ხელმძღვანელობის მიერაა შერჩეული. დეპუტატები იშვიათად გადაიან ქალაქიდან, ელექტორატთან დაკავშირებული საქმეების გამო. 2007 წლის გამოკითხვის შედეგებმა დაგვანახა, რომ 57 გამოკითხული დეპუტატიდან ერთი მესამედი თუ ესწრებოდა პერიოდულ შეხვედრებს საარჩევნო ოლქებში.⁴⁰ არც ამომრჩეველთა მხრიდან შეიმჩნევა დიდი ინტერესი, ცოტამ თუ იცის, პარტიულ სიებში ვის აძლევს ხმას, ხოლო 7%-იანმა ბარიერმა (2008 წელს დასწიეს 5%-მდე) შედეგად ის მოიტანა, რომ ხალხი იმ პარტიებს აძლევს ხმა, რომელიც ვერასდროს შევა პარლამენტში.

შიდა პარტიული საქმიანობა, რესპუბლიკელებს, კონსერვატორებს და „ჩვენნი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ წევრებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, გაუგებარია და ცენტრალიზებული. კანონის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭოს შექმნა და პარტიული ყრილობების ჩატარება სავალდებულოა; ყველა პარტიას, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, საკუთარი ტერიტორიული ორგანიზაცია აქვს ადგილობრივ დონეზე. მაგრამ რეალური ძალაუფლება, რაც საპარლამენტო არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევას, პარტიის ბიუჯეტის განკარგვას თუ ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელების დანიშვნას ეხება, ცენტრალურ ოფისსა და პარტიის ლიდერებს ეკუთვნის. ამას გარდა, არ სრულდება წესები, რომლებიც უზრუნველყოფდა შიდა პარტიულ გადაწყვეტილებებში რიგითი წევრების მონაწილეობას.⁴¹ ქართული პოლიტიკური პარტიები არაფერს აკეთებენ „კონგრუენტულობისთვის“, როგორც ჰარი ექსპაინი უნოდებს ამ მოვლენას ანუ ხელს არ უწყობს სამოქალაქო ღირებულებების განვითარებას, შიდა დემოკრატიული პროცედურების დახმარებით.⁴² ერთიან ნაციონალურ მოძრაობას არც ოფიციალური წევრები ჰყავს და არც პარტიის სანევრო გადასახადი აქვს დანესებული. ამას გარდა, 2008 წლიდან 2011 წლამდე, ყრილობა არ მოუწვევია. ყველაფერი ეს კი, ეწინააღმდეგება პარტიის შიდა განაწესს.⁴³ როგორც ნესი, ქართული პოლიტიკური პარტია იშლება, როგორც კი ლიდერი დატოვებს მას. მოქალაქეთა კავშირი უამრავ ფრაქციად დაიშალა, როგორც კი შევარდნაძემ თავმჯდომარის პოსტი დატოვა, ხოლო ასლან აბაშიძის დემოკრატიული ალორძინების კავშირი საერთოდ გაქრა მას შემდეგ, რაც აჭარის ლიდერი 2004 წლის მაისში მოსკოვში გაიქცა. არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა განსხვავდება ამ პარტიებისგან.

ქართული პარტიების შიდა სტრუქტურების სისუსტე განპირობებულია მწირი დაფინანსებით. რესურსების ნაკლებობის გამო, პარტია ვერც ქვედა, ძირეულ დონეზე აქტიურობს რაიონებში. შეკითხვა პარტიის ფინანსების შესახებ პარტიულ ჩინოვნიკებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, მათი პასუხები, როგორც წესი, არაპირდაპირია. თანხების მოსაძიებლად და მოსაზიდად ისინი თითქმის არაფერს აკეთებენ; ძირითადად, მენარმეებისა და ბანკების შემოწირულობის და საბიუჯეტო თანხების იმედზე არიან. ეს კი, არაერთხელ გამხდარა სკანდალის მიზეზი სპონსორებთან დაკავშირებით, თუ ფინანსურ-პოლიტიკურ ჯგუფებთან კავშირების გამო. ყორები იმის შესახებ, რომ მენარმე ადგილს ყიდულობს პარტიულ სიაში, მის დისკრედიტაციას ახდენს.⁴⁴ 2006 წლის ოქტომბერში კონსერვატორული პარტიის ლიდერი გამოიჭირეს 20 000 დოლარის ალბაში, ერთ-ერთი ასეთი კანდიდატის პარტიულ სიაში შეყვანის სანაცვლოდ. 2005 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა კანონში, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. ამ ცვლილებების ძალით, პარტიებისთვის, რომლებმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში გადალახეს 4%-იანი ბარიერი, თანხის რაოდენობა განისაზღვრა მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. დაფინანსების პაკეტი, რომელიც ბნელით მოცული სპონსორების დამარცხებას ითვალისწინებდა, კრძალავს ანონიმურ შემოწირულობას პარტიისთვის და ზღუდავს სანარმოო კომპანიების მიერ პარტიის დაფინანსებას არჩევნების დროს. პარტიებს ევალუბათ წარმოადგინონ სათანადოდ ჩატარებული აუდიტის დასკვნა და წლიური ფინანსური ანგარიში. რეგულაციები მკაცრდება არჩევნების პერიოდში, როცა თითოეული პარტია ქმნის თავის საარჩევნო ფონდს, ამასთან ყველა სახის შეწირულობა უნდა დაკონკრეტდეს. თუმცა, შეზღუდვა, რომელიც დაწესებულია კერძო და კორპორატიულ შემოწირულობაზე, ისევე როგორც მოთხოვნა წლიური ანგარიშის წარდგენაზე, მკაცრად არ მუშაობს. მენარმეები, რომლებიც ოპოზიციას აფინანსებენ, ერთ დღეს შეიძლება საგადასახადო სამსახურის ხელში აღმოჩნდნენ. რესპუბლიკურმა პარტიამ ყველა მენარმე სპონსორი დაკარგა და მწირი საბიუჯეტო თანხების იმედზე დაიყარა დარჩენილი, სანამ ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი არ გამოუჩნდა დამფინანსებლის სახით. პარტიის ლიდერები გასამრჯელოს არ იღებდნენ და აქტივისტებიც უმუშევრები ჰყავთ.

2011 წლის პარლამენტი მკვეთრად განსხვავდება მისი 1992-1995 წლების წინამორბედისგან. მაგრამ, სხდომათა დარბაზში ნორმალური ქცევის დამკვიდრება პარლამენტის არარელევანტურობას უფრო ასახავს, ვიდრე ეთიკური ნორმების დაცვას. დიდი ხანია ქუჩიდან გაქრნენ რადიკალური, მხოლოდ ქართველებისგან შემდგარი პარტიები, თავიანთი გასამხედროებული შენაერთებით. კომუნისტური პარტია, რომელიც სამ პარტიადა დაიშალა 1995 წელს, საერთოდ გაქრა. საზოგადოებრივი აზრი უარს ამბობს ბოიკოტზე, სხვისი ადგილის დაკავებასა და უკანონო გაფიცვებზე.⁴⁵ დღეს პარტია

რაც შეიძლება პრაგმატულად უნდა მოიქცეს ხმების მოსაპოვებლად. თითქმის ყველა მოქმედი პარტია ამჟამად პარლამენტარიზმის მომხრეა, მაგრამ მოსახლეობა ბუნდოვანი არჩევანის წინაშე დგას. დაბნეულობა და ცინიზმი, ხალხისგან მხარდაჭერის ნაკლებობა პარტიის უნარს ასუსტებს, რომ დაიცვას საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებლის დომინანტობისგან.

2007 წელს, ათმა ოპოზიციურმა პარტიამ ერთიანი მოძრაობის ეროვნული საბჭო დაარსა, რომელმაც 12 პუნქტიანი მანიფესტი მიიღო. ეროვნული საბჭო პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციას მოითხოვდა.⁴⁶ 2009 წელს შეიქმნა ინტერპარტიული სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2010 წლისთვის მსხვილი პარტიებისგან შემდგარ ოპოზიციურ „რვიანად“ იქცა. ეს ჯგუფი აწარმოებდა მოლაპარაკებებს მთავრობასთან კონკრეტულ საკითხებზე. ეს ძალზე დიდი საქმეა, მაგრამ პარტიებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, განსაკუთრებით, არჩევნების დროს და ამას გარდა, უნდა გააუმჯობესონ მართვა, დაძლიონ ორგანიზაციული არაადეკვატურობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება არასდროს მიაქცევს მათ ყურადღებას. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც საკუთარ რეველუციურ მემკვიდრეობას ეყრდნობა, მთელი სახელმწიფოს წარმომადგენლად მიიჩნევს თავს. მსგავსი პრეტენზიების საფრთხე ისაა, რომ ის ალტერნატივების არსებობას გამოორიცხავს. ის ფაქტები, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ საკუთარი პარტიული დროშა სახელმწიფო დროშად დაამტკიცა და ქვეყნის საბიუჯეტო სახსრები და რესურსები პარტიის საარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენა, პარტიისა და სახელმწიფოს სულ უფრო ინტენსიურ შერწყმაზე მიგვანიშნებს. საქართველომ უარი თქვა, როგორც ქართურსი ამბობს: „უსუსურ პლურალიზმზე“, (პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც მიზნულია სუსტ მთავრობასა და საზოგადოების ლიმიტირებულ მონაწილეობასთან) და ახლა „დომინანტური ძალაუფლების პოლიტიკას“ უახლოვდება (მმართველი პარტიისა და სახელმწიფო აპარატის შერწყმა, ანუ პარტოკრატია). საქართველოს პირველი პირები საქართველოს ოპოზიციასთან თანამშრომლობის იდეას იგნორირებენ და უნდა ითქვას, რომ დიდ რისკზეც მიდიან. არადა, კარგი იქნებოდა ბენჯამინ დიზრაელის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ „ვერცერთი ხელისუფლება დიდხანს ვერ გასტანს, ძლიერი ოპოზიციის გარეშე“⁴⁷ გულთან ახლოს მიეტანათ.

ბიზნესალიტა

სამენარმეო ორგანიზაციები დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობენ მოსახლეობაში. მენარმეები ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილოები არიან, თუმცა, უნდა ითქვას, რომ კორუფციულმა გარიგებებმა და უკანონო ვაჭრობის საბჭოთა მემკვიდრეობამ მათ საშუალება არ მისცა, რომ სამოქალაქო

ლაქო პასუხიმგებლობით აღჭურვილ მისაბამ ეტალონებად ქცეულიყვნენ. გავისხენოთ ბარინგტონ მურის (უმცროსის) სიტყვები: „არ არსებობს ბურ-უუაზია, ე.ი. არ არსებობს დემოკრატია.⁴⁸ თუ ეს განტოლება სწორია (და ეს სადავოა), მაშინ საქართველოს დემოკრატიათა ბიზნესი მხოლოდ ეკონომიკის აყვავებისთვის კი არ სჭირდება, არამედ, დემოკრატიათა განვითარებისთვისაც. მაგრამ, ჩნდება კითხვა, არიან თუ არა ქართული ბიზნესელიტები დემოკრატიათა მოკავშირეები. მათი ინტერესები ხშირად ეწინააღმდეგებიან დემოკრატიათა პრინციპებს, რადგან მონოპოლიებით, დაკანონებული წესების იგნორირებითა და არაეფექტური კანონმდებლობით ისინი სარგებელს ნახულობენ. თუმცა, ამავე დროს, მენარმეები მონაწილეობენ ფორუმებში, სადაც მსჯელობენ საზოგადოებრივ პოლიტიკაზე, რეკომენდაციებს აძლევენ პარლამენტს საკანონმდებლო საკითხებზე და ზოგჯერ, მთავრობის არაპოპულარულ გადაწყვეტილებებსაც ეწინააღმდეგებიან. ზოგიერთი მენარმე დემოკრატიაში ხედავს მტაცებელი ჩინოვნიკებისგან დაცვის მექანიზმს. რუსთავი-2-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ეროსი კინმარიშვილი მხარს უჭერდა (და აფინანსებდა კიდევ) ვარდების რევოლუციას.

ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობები ამ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ავადმყოფური ინტიმურობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის დროს, კანცელარიაში ფუნქციონირებდა საკონსულტაციო ეკონომიკური და ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის საბჭოები, სამთავრობო კონტრაქტები, საპრივატიზაციო ტენდერები თუ საგადასახადო შეღავათები არაფორმალური კავშირებით ფორმდებოდა. სახელმწიფო ბიუჯეტსა და ფისკალურ საკითხებთან დაკავშირებული კანონები გადავსებული იყო ხელისუფლებასთან დაახლოებული მენარმეების ინტერესთა დამაკმაყოფილებელი გამონაკლისებითა და დათქმებით. 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი მენარმეებმა პარლამენტს შვიდი წლის განმავლობაში 75-ჯერ შეაცვლევინეს სახელმწიფოსგან მფარველობა რომ მიეღოთ და შეღავათებით ესარგებლათ.⁴⁹ კანონები არ სრულდებოდა. 1996 წლის კანონით, მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც თითქმის არ უმუშავია. არასრულყოფილმა, უკუღმართად შექმნილმა კანონმდებლობამ, მაგალითად, ზემოთ ნახსენები საგადასახადო კოდექსის მსგავსა, და უზარმაზარმა შავმა ბაზარმა ისეთ დღეში ჩააგდეს ეკონომიკური გარემო, რომ კანონებისა და წესების დაცვას აზრი აღარ ჰქონდა.⁵⁰ იმ დროისთვის არც კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლო არსებობდა ხელშეკრულებების აღსრულება რომ მოეთხოვა მხარეებისგან და, საერთოდ, ბიზნესელიტები არც სამართლებრივი კულტურით გამორჩეულდნენ. გადასახადების თავიდან არიდება მორალურად გამართლებული იყო; საქმის კეთება მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა. ყველაფერ ამას ემატებოდა მთავრობის არაპროგნოზირებადი ხასიათი. ფინანსთა სამინისტრო ხუთჯერ

იქნა რეორგანიზებული 1992-2002 წლებში; საგადასახადო და საბაჟო დე-პარტამენტები ხშირად გადაჰქონდათ ერთი სამინისტროდან მეორეში; ბიუჯეტი არამცთუ ერთხელაც არ შესრულებულა, არამედ, შუა წელს ცვლიდნენ შემოსავლების ნაკლებობა რომ გაემართლებინათ.⁵¹ დამსაქმებელი ორგანიზაციები საჯაროდ განიხილავდნენ იმპორტზე დაწესებულ შეზღუდვებსა და დამატებითი ღირებულების გადასახადს, იყენებდნენ მედიას, პარტიებსა და საკუთარ ორგანიზაციებს პარლამენტზე გავლენის მოსახდენად, ხოლო დიდი სანარმოები, რომელთა მხოლოდ 19.6% იყო პრივატიზებული 2000 წლისთვის, დაჟინებით ლობირებდნენ სახელმწიფო სესხების გაცემას.

ყველაზე წარმატებული სამენარმეო ორგანიზაცია შევარდნადის პრეზიდენტობის დროს საქართველოს მენარმეთა კავშირი გახლდათ. ის 1990 წელს დაარსდა და საშუალო ზომის კერძო კომპანიების ერთ-ერთი დიდი ლობისტი იყო. 1998 წლისთვის კავშირში გაერთიანებული იყო 100-ზე მეტი ქარხნის დირექტორი და თავისი წარმომადგენლებიც ჰყავდა პარლამენტში.⁵² კავშირი დიდ კამპანიას ეწეოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტარიფებისა და აქციზის გადასახადების წინააღმდეგ; ის ამტკიცებდა, რომ ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოს პროდუქციაზე, სამკაულებსა და სხვა ფუფუნების საგნებზე დაწესებული გადასახადები ადგილობრივ წარმოებას საფრთხეს უქმნიდა. საბოლოოდ, მთავრობამ ადილობრივი წარმოების ლეი-ნოზე გადასახადი დასწია და იმპორტირებულ ლუდზე გაზარდა. სხვა დანარჩენ მოთხოვნებს, მაგალითად, „დღგ-სა“ და საშემოსავლოს შემცირებას ასეთი ზემოქმედება არ ჰქონიათ. 1999 წლის აპრილში მენარმეთა კავშირი იქცა პარტიად, „მრეწველობა გადაარჩინს საქართველოს“, რომელსაც თავისი დაანგარიშებით 30.000 წევრი ჰყავდა. 1999 წლის არჩევნებში პარტიამ 15 ადგილი მოიპოვა პარლამენტში, სადაც შემდგომ მეტოქეობა მოუწია მოქალაქეთა კავშირიდან გამოყოფილ მემბოხე „ახალ მემარჯვენებთან“, რომელმაც თავისი ფრაქცია შექმნა 2000 წელს.⁵³

ვარდების რევოლუციის შემდეგ, წარმოების ხელშესაწყობად, ახალი სა-კონსულტაციო ორგანოები დაარსდა. ეს გახლდათ უცხოელ ინვესტორთა საკონსულტაციო საბჭო და პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ბიზნესსაბჭო. საქართველოს სხვადასხვა ბიზნესასოციაცია, მაგალითად, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (GFPA) და საქართველოს ბანკების ასოციაციაც პარლამენტთან ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ. ისინი მონაწილეობდნენ 2005 და 2011 წლების საგადასახადო კოდექსის შექმნაში. ორივე კოდექსი მთავრობის მიერ იქნა ინიცირებული მინიმალური რეგულაციების დაწესების პირობით. მაგრამ სააკაშვილის ხელში, ამ ორმხრივ საქმიან ურთიერთობებს და ბიზნესის ხელშეწყობ კანონებს ბიზნესის დამოუკიდებლობის შელახვის საფრთხეც ახლავს. თავდაპირველად, ხელისუფლებასა და მენარმეებს შორის კონფლიქტი მაშინ წარმოიშვა, როცა მთავრობამ ანტიკორუფციული კამპანია წამოი-

წყობილი და განაცხადა, რომ შევარდნადის პრეზიდენტობის დროს „უკანონოდ“ მიღებულ შემოსავლებს სახელმწიფოს უკან დაუბრუნებდა. ამას მოჰყვა „უკანონოდ მოპოვებული“ საკუთრებისა და რესტორნების ნგრევა და უსამველოდ გაბერილი ჯარიმებისა და გადასახადების დაკისრება ყოფილ საქმოსნებზე⁵⁴; ფინანსური პოლიციის შეიარაღებული თანამშრომლების შევარდნა რესტორნებში დღისით, მზისით და „კორუმპირებული“ მენარმეების დაპატიმრება. ეს ყველაფერი ტელევიზიით გადაიციმოდდა. რაც შეეხებათ წერილ მენარმეებსა და მიკროავტობუსების მძღოლებს, მათ მუდმივად ჰქონდათ სააკაშვილის ხელისუფლებასთან უთანხმოებები. ხელისუფლება მოვაჭრეების გაყვანას ცდილობდა თბილისის მთავარი გამზირებიდან (ბაზრობებიც მთავარ, ყველაზე დატვირთულ ადგილებში იყო განთავსებული), ხოლო მიკროავტობუსებს, საცობებისგან განტვირთვის მიზნით, თბილისის ცენტრალურ ქუჩებში აუკრძალა მოძრაობა.

სამენარმეო ორგანიზაციები რომ ჩამოეთვალათ, მაგალითად, მენარმეთა კავშირი, ქართველ მენარმეთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნესის საბჭო, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს ვაჭრობისა და მენარმეობის პალატა და ახლახან დაარსებული მცირე და საშუალო მენარმეთა ასოციაცია (2010 წლის სექტემბერში), შეიძლება გვეფიქრა, რომ ბიზნესის სექტორი დინამიურად ვითარდება საქართველოში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციების წევრები ხშირად ხვდებიან მთავრობის წევრებს და შთამბეჭდავი ვებგვერდებიც აქვთ, მათ არ შეუძლიათ, ან არ სურთ საკუთარი წევრების დაცვა ხელისუფლების მანიპულაციებისგან.⁵⁵ ბადრი პატარკაციშვილი, საქართველოს მედიამაგნატი და ქვეყნის მეორე უმსხვილესი ინვესტორი საქართველოს ბიზნესმენტა ფედერაციის თავმჯდომარე იყო. 2005 წელს მან საქართველოს ხელისუფლება ბიზნესზე ზენოლაში (განსაკუთრებით, მის ბიზნესზე) და რადიკალიზმის „რევოლუციურ“ ერთგულებაში დაადანაშაულა, რაშიც საგადასახადო არბიტრაჟის გაუქმებას გულისხმობდა. ეს უკანასკნელი კი, როგორც ფიქრობდნენ, ფინანსთა სამინისტროსთან საგადასახადო დავების მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო. პატარკაციშვილმა სარკასტულად იკითხა: „შეგიძლიათ ერთი საქმე მაინც დამისახელოთ, რომელიც ხელისუფლებამ წააგო? შეიძლება სახელმწიფო ყოველთვის მართალი იყოს?“⁵⁶ ის საუბრობდა იმაზე, თუ როგორ ამოწმებდნენ მის კომპანიებს და საგადასახადო ვალდებულებებს და ეჭვი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ამ გზით მისთვის ტელეკომპანიის „იმედის“ ჩამორთმევას ცდილობდა. პატარკაციშვილმა არც ფინანსური პოლიცია დაინდო და სახელმწიფო რეკეტის იარაღი უწოდა.⁵⁷ საბოლოოდ, ბადრი პატარკაციშვილმა დიდი ბრიტანეთის უფრო სტუმართმოყვარე ნაპირები ირჩია და 2007 წელს იქ გადავიდა საცხოვრებლად, სადაც გარდაიცვალა კიდევ 2008 წლის თებერვალში.⁵⁸

მენარმეთა პარტიები, მაგალითად, 90-იან წლებში სადაზღვევო კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, დავით გამყრელიძის ახალი მემარჯვენეები, ჯერ კიდევ სუსტი ქართული საშუალო კლასის მიმხრობას ცდილობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მტკიცებულებები არსებობს, რომ ეს კლასი ნელ-ნელა ყალიბდება, მაგალითად, გაიზარდა საბანკო ბარათებისა (2007 წელს 1.9 მილიონი) და მობილური ტელეფონის მომხმარებელთა რაოდენობა (მოსახლეობის 74%); ევროპაში დასასვენებლად წამსვლელებისა და ავტომანქანის შეძენის მსურველთა რაოდენობაც, და ახალი, „გლამურული“ კულტურის თაყვანისმცემლები, მაინც ძნელია საშუალო ფენის განსაზღვრა, მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით.⁵⁹ განათლების დონე კორელაციაშია მაღალშემოსავლიან „საშუალო ფენაში“ შესასვლელად. მოქალაქეთა 62%-ს მათ შორის, ვინც მაღალი შემოსავლების მქონე 8%-ში შედის, უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, თუმცა უმაღლესდამთავრებულთა 15% ლარიბია და ნახევარზე მეტი – უმუშევარი.⁶⁰ საშუალო კლასის პოტენციული ჩიხში მოაქცია არამუდმივმა სამსახურმა და ეკონომიკის პოლარიზაციამ. საქართველოს ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ეკონომიკურ თანასწორობას ზომავს, 2008 წლისთვის ყველაზე მაღალი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონში.⁶¹ 2006 წლისთვის, თბილისში (ვითარება კიდევ უფრო მძიმეა პროვინციებში) მოსახლეობის მხოლოდ 34%-ს ჰქონდა სარეცხი მანქანა და 12% – დივიდიფლიერი; 2009 წელს, 58%-მა განაცხადა, რომ 250 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა, ხოლო 28% აღნიშნა, რომ საერთოდ არ გააჩნდა პირადი შემოსავალი.⁶² ახალგზარდა და ნიჭიერი პროფესიონალების ქვეყნიდან გასვლა კიდევ უფრო ამცირებს პოტენციალს საშუალო ფენისთვის. 2007 წლისთვის, საშუალო ფენის კლასიფიცირება მინიმალური ხელფასზე (დაახლ. 400 ლარი თვეში) სულ მცირე, 3-6-ჯერ ნაკლები შემოსავლებით და 75.000-82.000 ლარის (45.000-50.000 აშშ დოლარი) ქონებითა და სხვა სახის აქტივებით რომ გაგვეკეთებინა, მივიღებდით მოსახლეობის 8%-ს.⁶³ 2011 წელს ჩატარებული ერთერთი კვლევის შედეგების მიხედვით, სადაც „შეძლებული“ უნარდს 250 აშშ დოლარზე მეტი (დაბეგვრის შემდგომ) შემოსავლის მქონე ადამიანს, საქართველოში საშუალო ფენის მოცულობა 13%-ით განისაზღვრა. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი შეიძლება უფრო ფართოდ დაჯგუფდეს, როგორც მშრომელი ან დაბალი ფენის, უმეტესად უმუშევარი და ლარიბი.⁶⁴

პარადოქსია, რომ საქართველოს კაპიტალისტური ხელისუფლების პირობებში, მდიდარ ქართველთა უმრავლესობა საჯარო სექტორშია დასაქმებული. საშუალო კლასს რომ მივუბრუნდეთ, მის ზრდაზე სერიოზულ გავლენას ახდენს ბიზნესგარემო, განსაკუთრებით კი, მცირე და საშუალო საწარმოები, – სამუშაო ადგილების ერთ-ერთი საუკეთესო შემქმნელი. საქართველოს კანონის მიხედვით, მცირე საწარმოს განეკუთვნება საწარმო, რომელშიც 20 ან 20-ზე ნაკლები ადამიანი მუშაობს და წლიური შემო-

სავალი 500.000 ლარს არ აღემატება (303.000 აშშ დოლარი) აქვს. საქართველოში ეს სანარმოები ასაქმებენ 5.6 ადამიანს 1000 სულზე, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია დასავლეთთან შედარებით, მაგალითად, იაპონური მცირე სანარმო 50 ადამიანს ასაქმებს 1000 სულზე, ხოლო გერმანია - 32-ს. მცირე სანარმოს წილი საქართველოს მშპ-ში მცირეა, დაახლოებით 10%, შედარებისთვის, დსთ-ს უმრავლეს ქვეყანაში 40%-ია.⁶⁵ ხელისუფლების მიერ გატარებული ლიბერალური ეკონომიკური კურსის მიუხედავად, საქართველოში მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. მცირე სანარმოთა რაოდენობა რეგისტრირებულ კომპანიათა 80%-ს შეადგენს, მაგრამ მათი წილი საერთო დასაქმებაში 10%-ით შემცირდა 2003 წლიდან 2008 წლამდე.⁶⁶ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ 2006 წელს ჩატარებულმა მცირე და საშუალო სანარმოთა მესაკუთრეების გამოკითხვამ მიანიშნა ამ ვარდნის მიზეზებზე: სანარმოების მფლობელთა მხოლოდ 20%-ი ერკვეოდა სრულიად არაპროგნოზირებად საგადასახადო კოდექსში, რომელიც 17-ჯერ შეიცვალა 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის ნოემბრამდე და დაახლოებით 123 მუხლს შეეხო.⁶⁷ ამას გარდა, მენარმეები ჩიოდნენ, რომ მათ ხშირად და უნებართვოდ ამონმებდნენ, რომ ინსპექტირების პროცედურები და ლიცენზირების სახელმძღვანელო მითითებები გაუგებარი იყო და რომ კორუფცია ყვაოდა ირგვლივ (სწორედ ამის გამო, ისინი უარს ამბობდნენ საგადასახადო და საბაჟო ინსპექტორების მიერ დაკისრებული ჯარიმებისა თუ სანქციების გასაჩივრებაზე). საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, 25.000 ლარზე მეტ (15,000 აშშ დოლარი) საგადასახადო დავალიანებას სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობს, თანხა მცირეა, მართალია, მაგრამ მისი გადაუხდელობა სანარმოს ქონების კონფისკაციის საშუალებას იძლევა. კანონებს პარლამენტი ბლინებივით აცხობს, ისე, რომ დროსაც არ აძლევს მენარმეებს, რომ მათ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე შეიტანონ მათში ცვლილებები.⁶⁸ შედეგად მივიღეთ ის, რომ მენარმეთა ოპტიმიზმმა, 2003 წელთან შედარებით, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით იკლო. ამ წელს მათი 75% ფიქრობდა, რომ გარემო გაუმჯობესდებოდა, ხოლო 2006-2007 წელს, ეს მაჩვენებელი 40%-ზე ჩამოვიდა.⁶⁹ 2009 წელს, მცირე და საშუალო სანარმოების მესაკუთრეთა 73%-მა აღნიშნა, რომ ბიზნესგარემო გაუარესდა ნაწილობრივ გლობალური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად.⁷⁰ უცხოური ინვესტიციების კლებამ და საგარეო ვალების მატებამ ხელისუფლება აიძულა, რომ გაეძლიერებინა ბიზნესის საფინანსო ინსპექტირება, გაეზარდა ჯარიმები და გამოეძალა თანხები მენარმეებისგან, რათა საბიუჯეტო შემოსავლები შეევესო. საერთაშორისო გამჭვირვალების ორგანიზაცია ამას „საგადასახადო ტერორიზმს“ უწოდებს.⁷¹ თუკი შევარდნადის პრეზიდენტობის პერიოდში ბიზნესი შედიოდა სახელმწიფოში, სააკაშვილის ხელში სახელმწიფომ შეაღწია და დაიკავა მთელი ბიზნესი.

მედია

ქართული მედია, რომელიც 1819 წელს გამოცემულ გაზეთთან, „საქართველოს გაზეთთან“ ერთად დაიბადა, უამრავ ჟურნალს, გაზეთს, რადიოსა და სატელევიზიო არხებს მოიცავს. 90-იან წლებში, პირველი პარტიული იდეოლოგიისგან თავისუფალი დამოუკიდებელი გაზეთის „7 დღის“ გამოსვლიდან ქართული ჟურნალ-გაზეთების რაოდენობამ შთამბეჭდავად იმატა. ჟურნალ-გაზეთები სხვადასხვა ენაზეც გამოდის, მაგალითად, 24 გაზეთი და 4 ჟურნალი არაქართულენოვანი მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი და მათ კულტურის სამინისტრო აფინანსებს.⁷² 2007 წლისთვის, საქართველოში 37 სატელევიზო და 27 რადიო-სადგური არსებობდა. მათგან 6 ტელეკომპანია და 18 რადიო თბილისში მანუწყებლობდა.⁷³ დასავლელი კოლეგების მსგავსად, ქართული მედიაც უდიდეს დროს სკანდალებს, რეალითი შოუს და მდარე ხარისხის სიტკომებს უთმობს. საფუძველშივე დილექტანტურმა და პოლიტიკურად მიკერძოებულმა, საინფორმაციო-გასართობმა მედიამ, განსაკუთრებით კი, ბეჭდურმა, დიდი ზიანი მიაყენა ეთნიკურ ურთიერთობებს და სახელმწიფოს მშენებლობის იდეას (რადიო-სადგურები „უცნობი“ და „პალიტრა“ ობიექტურობისა თუ სერიოზულობის თვალსაზრისით, გამონაკლისია). ზაალ ანჯაფარიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მედიამ გააღრმავა საზოგადოების უნდობლობა ხელისუფლებისადმი ჭორებსა და ვარაუდებზე პედალირებით.⁷⁴ რელიგიური უმცირესობებისადმი ტენდენციურ დამოკიდებულებას ავლენს თითქმის ყველა სატელევიზიო არხი, ხოლო ეთნიკურ უმცირესობებს თუ ახსენებენ პრესაში, ისიც უმეტესად ნეგატიურ კონტექსტში.⁷⁵ ინტერნეტი თანდათანობით სულ უფრო დიდი საინფორმაციო წყარო ხდება; თუ 2008 წელს საქართველოში 900.000 ინტერნეტ-მომხმარებელი ითვლებოდა, 2011 წლისთვის სოციალურ ქსელს, ფეისბუქს, 550.000 რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს.⁷⁶

შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მედიის კანონები გაუმართავი იყო. გამსახურდიას მიღებული კანონი პრესისა და მასმედიის შესახებ, რომელიც შემდგომ წლებში შეიცვალა, უფლებამოსილებას ანიჭებდა პრეზიდენტს, რომ უცხოელი ჟურნალისტებისთვის აეკრძალა „საქართველოს ინტერესების სანინააღმდეგო“ ინფორმაციის გავრცელება და მოითხოვდა პრეზიდენტის „პატივისცემას“ (მუხლი 24).⁷⁷ 1997 წლის კანონმა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთმა მუხლმა, რომელიც 2003 წელს შეიცვალა პატიმრობის ვადის გასახანგრძლივებლად 5 წლამდე თანამდებობის პირთა შეურაცხყოფისთვის, კიდევ უფრო მტრული გახადა სამართლებრივი გარემო ჟურნალისტებისთვის.⁷⁸ და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ რამდენჯერმე სცადა გაეჩუმებინა რამდენიმე გაზეთი და ტელეკომპანია, რუსთავი 2-ში უსაფრთხოების სამსახურის შესვლა მედიის შეზღუდვის ერთ-ერთი ასეთი

უხერიო მცდელიობა იყო, მის დროს სახელმწიფო მინც იცავდა დისტანციას მედიასთან და ამის შედეგად, საქართველოს ყველაზე ცოცხალი და თავისუფალი ბექდური მედია ჰქონდა „დსთ“ სივრცეში. თუმცა, დამოუკიდებელი კომპანიის რუსთავი 2-თვის (2003 წელს მას „ფვანია-საკაშვილის“ არხს უწოდებდნენ) ამას ხელი არ შეუძლია შევარდნაძის წინააღმდეგ ამბოხებაში მიელო მონაწილეობა 2003 წლის ნოემბერში. ამ ტელეკომპანიის მხარდაჭერა გადამწყვეტი აღმოჩნდა ვარდების რევოლუციისთვის. მისი დახმარებით გამოშლავნდა არჩევნების გაყალბებული შედეგები და, რაც მთავარია, საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ხალხისა და ოპოზიციის მობილიზებაში. ტელეკომპანია თითქმის ყოველდღე ატყობინებდა მოსახლეობას სად და როდის იგეგმებოდა საპროტესო გამოსვლები, განუწყვეტილად დასცინოდა შევარდნაძის მთავრობის ნევრებს და, პირიქით, უჩვენებდა ოპოზიციის სიხარულისგან გაბრწყინებულ სახეებს მთელ ქვეყანაში.

საკაშვილმა მედიის დამოუკიდებლობის დამცავი საკანონმდებლო ჩარჩო განამტკიცა. საკონსტიტუციო ცვლილებების გარდა (მუხლები 19, 23, 24 და 41), პარლამენტმა მიიღო ახალი კანონებიც, მაგალითად, სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების და (2004) და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ (2004). ხოლო ჟურნალისტთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები გაძლიერდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კოდექსებში შეტანილი ცვლილებით. 2004 წლის კანონი სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ, რომლის ძალითაც გაუქმდა შევარდნაძის დროინდელი 1999 წლის კანონი, შეიქმნა თავისუფლების ინსტიტუტისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. მათი ძალისხმევით მოხდა შეურაცხყოფის დეკრიმინალიზაცია და გართულდა საქმის აღძვრა ცილისწამებისთვის იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებსაც ინფორმაციის წყაროს დაცვის უფლება აქვთ.⁷⁹ 2004 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ, სამოქალაქო საზოგადოებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია. ის არეგულირებს საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებს და მიზნად ისახავს სახელმწიფო ტელეკომპანიისა და რადიოს გარდაქმნას საზოგადოებრივ კომპანიებად.

მაგრამ, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დისტციპლინის დაცვაზე მახვილის დასმამ, მანამდეც, სანამ პრესა პატრიოტული მოტივებით ხელისუფლებასთან გაერთიანდებოდა, ანუ რუსეთთან 2008 წლის ომამდე, თანდათანობით იმოქმედა კრიტიკულ რეპორტაჟებზე და კრიტიკამაც შესამჩნევად იკლო.⁸⁰ 2003 წლის შემდეგ, ტელესივრციდან თითქმის გაქრნენ საგამოძიებო ჟურნალისტები. ცნობილი პროგრამა, სამოცი ნუთი, რომელიც აგრესიულად ააშკარავებდა ყოფილი ხელისუფლების კორუფციულ საქმიანობასა თუ გარიგებებს, მოულოდნელად დაიხურა 2004 წელს, თითქოს მთელი სიმაბაცე უცბად დაკარგაო; 2005 წელს ტელეკომპანია „მზემ“ დახურა თოქშოუ, არჩევანის ზღვარზე, მას შემდეგ, რაც ხელისუფლების

წევრებმა გადაცემის ჟურნალისტების ეთიკა დააყენეს ეჭვქვეშ. საბოლოოდ, გაიზარდა გასართობ-სანახაობითი კოეფიციენტი ნაწილობრივ, კომერციული წნეხის გამო (ნილსენის მედია კვლევის ლიცენზიის მფლობელი ახლა მონიტორინგს აწარმოებს მაყურებელთა ქცევაზე) და ნაწილობრივ, იმიტომ, რომ კომპანიების წინდახედული ხელმძღვანელები ასე გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. 2008 წლის შემდეგ პოლიტიკური თოქ-შოუები აღდგა. სატელევიზიო კომპანიები „მაესტრო“ და „კავკასია“ სერიოზულად უტყვევენ ხელისუფლებას. 2008-2009 წელს კი, „მაესტროზე“ თითქმის მთელი წელი გადიოდა პროგრამა სახელწოდებით საკანი №5, რომელიც მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ გიორგი გაჩეჩილაძეს მიყავდა. ეს უკანასკნელი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის მეტოქის, ლევან გაჩეჩილაძის ძმა გახლდათ. ყველაზე რბილად, რაც შეიძლება ამ გადაცემაზე ითქვას, ისაა, რომ ეს იყო მეტისმეტად მიკერძოებული და უაზრო ლაქლაქი. ჩემი ბოლო ჩასვლისას საქართველოში, 2011 წელს, ვითარების ოდნავ გაუმჯობესება ნამდვილად ვიგრძენი: საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელ და მე-2 არხებს საინტერესო დებატები აღედგინათ, მაგრამ საგამოძიებო ჟურნალისტები, სამწუხაროდ, ისევ არ ჩანან.

სხვადასხვა მედიის ორმოცდაათი მმართველისა და 182 ჟურნალისტის გამოკვლევამ, რომელიც 2005 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარდა, გვიჩვენა, რომ მიუხედავად კარგი და ეფექტური საკანონმდებლო დაცვისა, 36%-მა მაინც იწვინია სამთავრობო წნეხი. მათ შორის, ზოგს ვითომ „მეგობრულ რჩევებს“ აძლევდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ზოგს კი ემუქრებოდნენ.⁸¹ 62 ჟურნალისტი ხელისუფლებას მედიაზე პოლიტიკური წნეხში ადანაშაულებდა 2005 წლის ივლისის ღია წერილში. თითქოსდა ამის საილუსტრაციოდ, 2006 წლის ივლისში, რუსთავი 2-ის ერთ-ერთი თოქშოუს ნამყვანმა ეკა ხოფერიამ ღია ეთერში გამოთქვა პროტესტი და სამსახური სტუდიიდან დატოვა. ხოფერიამ განაცხადა, რომ მთავრობა მას აიძულებდა შეენწყვიტა მკვლელობის გამოძიება, რომლის კვალსაც შინაგან საქმეთა სამინისტრომდე მიყვავდით.⁸² მედია საშუალებების პროფესიონალების 2009 წლის გამოკითხვაში, 83%-მა აღნიშნა, რომ ჟურნალისტები მთავრობის წნეხის ქვეშ მუშაობდნენ; მათგან ცოტას თუ სწამდა საკუთარი პროფესიის დამოუკიდებლობის.⁸³ სამინისტროები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კვლავ არ ასრულებენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ და არ გასცემენ ინფორმაციას. ერთ-ერთ გამოკითხვაში, ჟურნალისტთა 64%-მა აღნიშნა, რომ ისინი, როგორც წესი, ვერ მოიპოვებენ მათთვის საჭირო საჯარო ინფორმაციას.⁸⁴ ხელისუფლებას შეუძლია ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებად გამოაცხადოს და, შესაბამისად, არ გასცეს. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს უარი, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირია, 100 ლარი დაახლოებით 60 დოლარია, რაც საკამოდ

დიდი თანხაა რეგიონში მომუშავე ჟურნალისტისთვის და თანაც, განზრახ გაჭიანურებული პროცედურაა.

მართალია, ჟურნალისტებს ისევ სცემენ და ისევ აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, როგორც ეს შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ხდებოდა, მაგალითად, თავისუფლების ინსტიტუტს 27 ასეთი შემთხვევა აქვს აღნუსხული 1995-1998 წლებში, მაგრამ ნაკლები სიხშირით, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დამნაშავეებიც იშვიათად აგებენ პასუხს.⁸⁵ 2008-2010 წლებში გახშირდა ჟურნალისტთა დაშანტაჟებისა და დაკავების ფაქტები რეგიონებში, ხოლო 2010-2011 ანტისამთავრობო დემონსტრაციების დროს, ჟურნალისტებს, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლების ძალადობას აშუქებდნენ, სისტემატურად უშლიდნენ ხელს. ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ეხებოდა 2011 წელს.⁸⁶ ჟურნალისტების დაშინებამ სხვაგვარი ფორმები მიიღო: 2004 წელს, Georgian Times-ში ფინანსური პოლიცია შევიდა; 2005 წლის თებერვალში ოპოზიციური ტელეარხის, იბერიის მესაკუთრეს ბრალი წაუყენეს ფინანსურ მაქინაციებში.⁸⁷ პროკურატურა ცამდე მართალიც რომ ყოფილიყო ამ შემთხვევებში, მედიაში ინტერესების მქონე მენარმეებისთვის ეს მაინც სერიოზული გაკვეთილი იყო. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიაც (ტელე და რადიო არხების ლიცენზიების გამცემი) პოლიტიკური ზეგავლენის ინსტრუმენტი გამოდგა. კომისია მუდმივად ეუბნებოდა უარს სამაუწყებლო ლიცენზიაზე საკაბელო ტელეარხ „მაცსტროს“, სანამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პარლამენტის სპიკერმა ბოლოს და ბოლოს კომისია არ აიძულა ნებართვა გაეცა 2008 წლის ნოემბერში.⁸⁸ საბოლოოდ, მივიღეთ ის, რომ პრესის თავისუფლება თანდათანობით კლებულობს. ამას ადასტურებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის IREX-ის მედიის მდგრადობის ინდექსი (მედიის მდგომარეობის კვლევის ერთ-ერთი სრულყოფილი მექანიზმი). საერთაშორისო გამჭვირვალება, ეთანხმება ამ მოცემულობას თავის 2009 წლის ანგარიშში, რომელიც ტელევიზიებზე გაკეთდა. ანგარიშში ნათქვამია, რომ „საქართველოს მედია ნაკლებ თავისუფალი და პლურალისტურია, ვიდრე ის ვარდების 2003 წლის რევილუციამდე იყო.“⁸⁹

2007 წლის ნოემბრის მასობრივი გამოსვლების შემდგომ ხელისუფლებების მოქმედებში აისახა მთავრობისა და მედიის არასახარბიელო ურთიერთობები. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ სატელევიზიო არხებს ახალი ამბების გადაცემა აეკრძალათ დროებით, ხოლო ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანიები, მაგალითად, იმედი, კავკასია და ბათუმის 25-ე არხი საერთოდ, დაიხურა. ეს ნამდვილი დარტყმა გახლდათ ხელისუფლებისთვის, რომელიც თავს დებდა, რომ თავისუფალი სიტყვის ქომაგი იყო. 2008 წელს პარლამენტმა ახალი კანონი მიიღო, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი მაუწყებლების პირველ არხს განსხვავებული

პოლიტიკური შეხედულებების ასახვა დაევალა.⁹⁰ საზოგადოებრივ მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ კარი გაუღო ოპოზიციის მიერ დანიშნულ წევრებსა და არასამთავრო ორგანიზაციების წარმომადგენლებს (ისინი დღესდღეობით შვიდნი არიან 15 კაციან საბჭოში). 2010 წლის თებერვალში კი, 11-მა ოპოზიციურმა პარტიამ და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მემორანდუმში გააფორმეს, რომელიც ოპოზიციისთვის ითვალისწინებს ყოველდღიურ ერთსაათიან ტრიბუნას მე-2 არხზე.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ პრესის თავისუფლებას პოლიტიკური დათმობები არ განსაზღვრავს, მე-2 არხი და მესტრო, უმეტესწილად, თბილისს ფარავს, მაგალითად, პრესის თავისუფლება დამოუკიდებელ ინფორმაციაზე წვდომა და ჟურნალისტთა უფლებების დაცვაა, ჟურნალისტების მომზადება და მათ მიერ ეთიკური ნორმების დაცვა.⁹¹ მედიასაშუალებების მფლობელობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს სარედაქციო დამოუკიდებლობისთვის. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 12 სატელევიზიო არხმა გამოიცვალა მესაკუთრე, ძირითადად, მთავრობის მიერ უკანონოდ (ან საეჭვოდ) ჩამორთმეული ლიცენზიის შედეგად. რუსთავი 2 და იმედი, რომლებიც მაყურებელთა ბაზრის 62%-ს იყოფენ, ძალით გადასცეს ახალ მფლობელებს 2004 წელს. ამის შემდეგ, ოპოზიციური იმედი პროსახელისუფლებო არხი გახდა. მაგრამ ვინ არიან ამ არხების მესაკუთრეები უცნობია. რუსთავი 2-ის აქციითა უმრავლესობა დეგსონ ლიმიტედს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას ეკუთვნოდა 2011 წლის დეკემბრამდე. კომპანია ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული (მაგრამ ახალი კანონი კრძალავს მედიის ოფშორულ მფლობელობას და დღეს მისი მესაკუთრე, ვინმე ლევან ყარამანაშვილია, როგორც ჩანს, ის რეალურად, ვილაცის შემცველია); იმედის ყოფილი ოფიციალური მფლობელი რააკი ჰოლდინგის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ერთ-ერთი შვილობილი კომპანია იყო, მაგრამ დღეს მას პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი, გიორგი არველაძე მართავს და ხელისუფლების მხარდამჭერია. მსგავსი ახლობლური ურთიერთობები სახელმწიფოსა და მფლობელებს შორის, რასაც ჟურნალისტებთან სამუშაო კონტრაქტის გაფორმების პრაქტიკის არარსებობაც ერთვის, ძალიან ართულებს მაუწყებლობის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. 2009 წლის მაისში, როცა იმედის 64 ჟურნალისტმა ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც არხის პროსახელისუფლებო პოზიციაზე საუბრობენ, 2 ჟურნალისტი მოხსნეს, 4-მა თავად დატოვა არხი და დანარჩენებმა უკან წაიღეს ხელმოწერები.⁹² 2001 წელს პარლამენტმა როგორც იქნა მიიღო კანონი, რომელიც მედია მფლობელობის გამჭვირვალებას ითვალისწინებს (მაგრამ ყურადღება არ მიაქცია დანარჩენ შვიდ მოთხოვნას, რომელთა შორის იყო დაფინანსების უფრო მეტი ღიაობა, ლიცენზიის მოპოვების გაიოლება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა).⁹³

ცნობილია, რომ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო შემოსავალია, რომელსაც მედიასაშუალება, ჩვეულებრივ, რეკლამისგან იღებს. საქართველოში კი, სარეკლამო ბაზარზე ორი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ბატონობს: მედია ჰაუზი და თაქ მედია. ისინი, ძირითად პროსახელისუფლებო ტელევიზიებთან თანამშრომლობენ. რაც შეეხება ოპოზიციურ ტელეარხებს, ისინი ნელ-ნელა იდევნებიან ბაზრიდან, ნაწილობრივ, პოტენციურ სარეკლამო სააგენტოებზე მთავრობის წნეხის გამო. საქართველოს სარეკლამო ბაზარზე გამეფებულია ტელევიზია (77.6% 2008 წელს). კერძო გაზეთებს კი, მხოლოდ ნამცეცებილა რჩებათ, რომლებიც გაყიდვებსა და რეკლამებზე არიან დამოკიდებული, აქედან 20% კომერციულ სარეკლამო სააგენტოებზე მოდის.⁹⁴ ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, თბილისელთა 75% ტელევიზორს სულ მცირე კვირაში სამჯერ უყურებს, მაშინ როცა გაზეთს მხოლოდ 6% ყიდულობს ყოველდღე და 22% საერთოდ არ ყიდულობს (თუმცა, აქ მითვლილი არ არის ის გაზეთები, რომლებიც ხელიდან ხელში გადადის).⁹⁵ ტირაჟის სიმცირის გამო, გაზეთი დამოკიდებული გახდა მერყე და მომთხოვნ „სპონსორებზე“, რომლებიც „მალული რეკლამების“ ან შეკვეთილ წერილებს ითხოვენ მათგან. გაზეთების კორესპონდენტებს, ჩვეულებრივ, დაბალი ხელფასები აქვთ, დაახლოებით, 250-300 ლარი თვეში, რაც 150-180 აშშ დოლარს შეადგენს). დაბალი ხელფასი, უვარგისი შრომის კოდექსი და სამსახურის შენარჩუნების არანაირი გარანტია ჟურნალისტს დაუცველს ხდის ფინანსური თუ სარედაქციო წნეხისგან.

მედიის დამოუკიდებლობაზე ზრუნავენ პროფესიული ორგანიზაციები და ასოციაციები, მაგრამ მდგომარეობა ისევ არადაამაკმაყოფილებელია. 2003 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ჟურნალისტთა და მედიასაშუალებათა 30 ასოციაცია, მათ შორის, სამი მედიამენარმეების ინტერესების გამტარებელი იყო.⁹⁶ მაგრამ 2011 წელს, როცა მე შევისწავლე ეს ორგანიზაციები, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ვირტუალური იყო. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია, ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოება და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, რომლებიც კომუნიკაციების დროს არსებული ჟურნალისტთა კავშირის მეგობარები არიან, საერთოდ აღარ არსებობენ ან ძლივს არსებობენ. 2008 წელს დაარსდა ორგანიზაცია ჟურნალისტები სიტყვის თავისუფლებისთვის, მაგრამ ისიც ჩუმადაა.⁹⁷ რა არჩევანი აქვთ ჟურნალისტებს, როცა მათი საკუთარი უფლებების დაცვაზე მიდგება საქმე? პირველი – ღია წერილი, ერთი უკვე გადასცეს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ჯოზეფ ბაიდენს, 2009 წლის ივლისში. ჟურნალისტები პრესაზე ზენოლის შეწყვეტას ითხოვდნენ. მეორე – სლოიდარობის გამოხატვაა, მაგალითად, 2011 წლის ივნისში, დიდმა ჟურნალ-გაზეთებმა მედია-პალიტრის ფინანსური შემონეშება გააპროტესტეს, რადგან ჩანდა, რომ შემონეშება გაზეთის მიერ სამთავ-

რობო პოლიტიკის კრიტიკას მოჰყვა. მესამე არჩევანი კი, საკანონმდებლო ინიციატივა გახლავთ. მედიაკოალიციამ (კოალიციაში გაერთიანებულია 11 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მედიაზე მუშაობს) წარმატებით განახორციელა საკმაოდ მკაცრი კანონის ლობირება მედიასაშუალებების მფლობელების გამჭვირვალობაზე. მეოთხე საშუალება, რაც ჟურნალისტიკას აქვთ, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართა და უკანასკნელი – მასიურად წასვლა სამსახურიდან.⁹⁸ მედიის წარმომადგენლები ცდილობენ თავად დაამყარონ წესრიგი თავიანთ რიგებში, მაგრამ ისეთი მოხალისეები როგორებიცაა მედიასაბჭო და პრესის საბჭო, საერთოდ არ აქტიურობენ. 2009 წლის დეკემბერში შეიქმნა ჟურნალისტიკის ეთიკის ქარტია, რომლის საბჭო საჩივრებს განიხილავს; 2011 წელს კი, დაარსდა მედიაკოალიცია.⁹⁹ საოცარია, მაგრამ უამრავი მცდელობის მიუხედავად, ქართველმა ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს ისეთი ეფექტური პროფესიული ორგანოების შექმნა, რომლებიც მათი ინტერესების დაცვას შეძლებდნენ.

2007 წლის ნოემბრის შემდეგ, საქართველომ ადამ მიხნიკი მიიწვია, რომ მედიატორის როლი შეესრულებინა ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობებში. ის ერთ-ერთ წერილში ამბობდა, რომ თავისუფალი პრესა „ნიშნავს, რომ ფინანსურად დამოუკიდებელი ვიყო, ისე რომ ვერანაირმა ფორდმა თუ როკფელერმა... ვერ შეძლოს მიკარნახოს, რაზე დაენერო და რაზე – არა.“¹⁰⁰ ფინანსური დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მხოლოდ სახელმწიფო დისტრიბუციისგან ან სტამბისგან თავისუფლებას (2011 წელს გაზეთების დისტრიბუცია მონოპოლიზებული იყო ორ კერძო კომპანიის მიერ) და ინფორმაციის თავისუფლება არ მოიპოვება მესაკუთრის შეცვლით ან თუნდაც კარგი კანონებით. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მედიამაგნატები ეროსი კინმარიშვილი და ბადრი პატარკაციშვილი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად იყვნენ განწყობილნი, ისინი არასდროს ყოფილან მედიის დამოუკიდებლობის გარანტორები (ერთ-ერთ მთავარ „ოპოზიციურ“ არხს, მაესტროს, ხელისუფლების მოწინააღმდეგე დამფინანსებლები ჰყავს, რომლებიც საერთოდ არ დაგიდევენ ობიექტურობას). 2008 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა, თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები აიძულებენ მენარმეებს, რომ მათ შეწყვიტონ ოპოზიციურ ტელეარხებთან კომერციული საქმიანობა და რომ „ამ ვითარებაში ლიბერალური კანონმდებლობა რჩება იმ შირმად, რომლის მიღმაც თავისუფალ სიტყვას ახშობენ.“¹⁰¹ ამას ყველაფერს დაუმატეთ დაბალი ხარისხის რეპორტაჟები, მესაკუთრეთა ძალმომრეობა, დასაქმებულის უფლებათა დაცვის მექანიზმებისა და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა და შედეგად იღებთ პოლარიზებულ, მიკერძოებულ და ადვილად მანიპულირებად მედიას. რეგიონული მედია, სატელევიზო არხები თუ ბექვდითი მედია, განსაკუთრებით დაუცველები არიან მესაკუთრეთა თუ ადგილობრივი პოლიტიკოსების წნეხისგან. შევარდნაძის პრეზიდენ-

ტობის დროს, მედია თავდასხმების რეჟიმში მუშაობდა, მუდმივად იმისა, რომ რესურსებით ღარიბი იყო და თავადაც არ აკლებდა სხვებს, იმდენად ცილისმწამებლური იყო, მაგრამ მაინც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მთავრობას. დღეს კი, მესაკუთრეობის კონცენტრაციამ, საჯარო ინფორმაციისადმი წვდომის შეზღუდვამ, მიკერძოებულმა სასამართლომ და აშშ-ს საინფორმაციო-გასართობი პროგრამების იმიტირებამ დარტყმა მიაყენა მას, როგორც „მეოთხე ხელისუფლებას“, რომელსაც აღმასრულებელთან დაპირისპირება ძალუძს.¹⁰²

პროუკავშირი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში გავრანებული სოციალურ-პოლიტიკური პეიზაჟი გადაიშალა. სამი ჯგუფი, რომელიც ქმნიდა საბჭოთა საზოგადოებას ანუ მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია, სინამდვილეში საბჭოთა წარმოსახვის ნაყოფი აღმოჩნდა. ნაცვლად იმისა, რომ სოლიდარობის დაფდაფები შემოეკრათ და ერთმანეთს გვერდში ამოდგომოდნენ, როგორც ალექსანდერ სმოლარი ამბობს, გამომჟღავნდა, რომ „საბჭოთა საზოგადოება შედგებოდა დაქუცმაცებული ამორალური ცინიკოსებისგან, რომლებსაც კარგად ეხერხებოდათ ფუჭი სიტყვები (ლაქლაქი), მაგრამ სრულიად უუნარონი იყვნენ მართვასა თუ საქმის კეთებაში.“¹⁰³ საქართველოს პროუკავშირები ამ დახასიათების კარგი ილუსტრაციაა. პროუკავშირები, საბჭოთა სოციალური უსაფრთხოების სისტემის ბურჯი და საბჭოთა მოქალაქეების უზრუნველმყოფი უფასო დასვენებითა და ჯანდაცვით, აორთქლდა, როცა საქართველო უკონტროლო დეინდუსტრიალიზაციის ხანაში გადაეშვა. საწარმოო ძალები, რომლებიც საქართველოს ძირითად პროუკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში იყვნენ გაერთიანებული, შავ ეკონომიკაში გაუჩინარდნენ ან ემიგრაციაში წავიდნენ სამუშაოს მოსაძებნად. ამასობაში, დავინწყებას მიეცა დასაქმებულთა უფლებებიც. დასაქმებულთა უფლებების დამცველი ასოციაციებისადმი უყურადღებობა (არადა, ეს ასოციაციები პლურალიზმისა და კანონის უზენაესობის მთავარი საყრდენებია) დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა პროგრამისთვის, რომელიც ახალგაზრდა დემოკრატიებში ხორციელდებოდა დასავლური ტიპის დემოკრატიის მშენებლობის დასაჩქარებლად. თუმცა, ერთ-ერთი უძლიერესი მუშათა მოძრაობა პოსტკომუნისტურ ქვეყანათა შორის, სლოვენიაში არსებობს, მშრომელებს მაღალი ხელფასებიც აქვთ და, საერთოდ, სტაბილური დემოკრატიითაც გამოირჩევა. შრომის მარგინალიზაცია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დარტყმას აყენებს დემოკრატიის არს: ეს ასუსტებს ინტერესთა ასოციაციებს და, პირიქით, კარს უხსნის კორუფციულ ურთიერთობებს ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის.¹⁰⁴ შრო-

მის, მშრომელების თუ შრომითი კანონმდებლობის სისუსტე ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილ დაპირისპირებას აძლიერებს სამუშაო ადგილისთვის ბრძოლაში. ეს კი, განსაკუთრებული გამოწვევაა ქართული დემოკრატიისთვის.

მიზეზი, რომლის გამოც მშრომელთა ასოციაციები დაუძღვრდნენ, დასაქმების სტრუქტურის რადიკალური ცვლილებებია. მასიურად გაიზარდა თვითდასაქმება; 2003 წლისთვის, მშრომელთა 66% თვითდასაქმებული, ხოლო დაქირავებული 30% იყო.¹⁰⁵ თვითდასაქმების ასეთი მაღალი ციფრი გასამრჯელოზე დაფუძნებული სამუშაოს ნაკლებობის მაჩვენებელია და არა ბიზნესკლასის აღმოცენების. სოფლად თვითდასაქმებულთა პროცენტული რაოდენობა მთლიანად დასაქმებულთა 78%-ს შეადგენს, ეს ნატურალურ სოფლის მეურნეობაში ჩართული ხალხია. სამუშაო სეზონურია, არაპროგნოზირებადი და არამომგებიანი – 2004 წლისთვის, სოფლის მოსახლეობის 53.4% ოფიციალურად აღირიცხებოდა, როგორც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი.¹⁰⁶ ქალაქში მაცხოვრებელი თვითდასაქმებულების რაოდენობა 2005 წლისთვის 39%-ს შეადგენდა. მათი უმრავლესობა ქალაქის საზღვრებში მდებარე ნაკვეთებზე მუშაობდა.

პრივატიზაციამ ხელი შეუწყო სახელმწიფო სექტორის დაქვეითებას, რომელიც ტრადიციულად, პროფკავშირების ყველაზე ძლიერი წყარო იყო. 2003 წლისთვის, ქვეყნის ხელფასიანი დასაქმებულების 30%-დან 22.5% სახელმწიფო სექტორში მუშაობდა, ხოლო 77.5% – კერძო სექტორში, ძირითადად, მცირე სანარმოებში. 2003 წელს, მრეწველობაში, სადაც მსხვილი კომპანიებია კონცენტრირებული, მშრომელი მოსახლეობის მხოლოდ 4.9% იყო დასაქმებული. 1998-2003 წლებში, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა განახევრდა ანუ, 93.500 დასაქმებულიდან 48.300-მდე, შემცირდა.¹⁰⁷ აი, ამგვარი შრომა, როცა მშრომელთა უდიდესი რაოდენობა თვითდასაქმებულია ან სოფელში მინაზე შრომობს, ძნელად ადაპტირდება შრომის ორგანიზებასთან სამუშაო ადგილზე. საქართველოს ხელისუფლების მტრულმა დამოკიდებულებამ კოლექტიური გარიგებებისადმი, კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა.

მეორე დარტყმა მშრომელთა უფლებების დაცვის სფეროს მიადგა უმუშევრობის კატასტროფულად ზრდის გამო. 2000 წელს 15–დან 24–მდე ასაკის მოსახლეობაში უმუშევართა პროცენტული რაოდენობა 25% იყო; დაუსაქმებელთა 48% იმ წელს სამი და მეტი წლის უმუშევარი იყო; 55.2%-ს ქალები შეადგენდნენ, ხოლო 43%-ს სპეციალისტები, ანუ რაღაც გარკვეული დარგის პროფესიონალები. ევროკავშირის მიერ 2002 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 20%-ს ჰქონდა ხელფასიანი სამსახური და მათი ნახევარი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებში მუშაობდა ძალიან მცირე ხელფასზე.¹⁰⁸ კერძო სექტორში კი, მხოლოდ 13–14%-ს ჰქონდა სტაბილურად ხელფასი. 20–30 წლის

ასაკის ახალგაზრდებს სტაბილური სამუშაო არ ჰქონდათ. რეგისტრირებულ უმუშევართა მხოლოდ 2.2% იღებდა (2.479) უმუშევრობის დახმარებას, რომელიც დაახლოებით 11.6 ლარი იყო თვეში (5 აშშ დოლარი). ეს დახმარება მალევე გაუქმდა, ისევე როგორც დასაქმების სხვა სამსახურები. დღეს უმუშევრების მონაცემები რადიკალურად იცვლება რაიონებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. 2008 წლისთვის, უმუშევართა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 16.5% ოფიციალურად თბილისში დაფიქსირდა.¹⁰⁹ ეს შედარებით დაბალი ციფრი სახელმწიფო დონეზე მიღებულ იქნა ერთ პექტარზე მეტი მიწის მფლობელ ფერმერთა და არაფულადი ანაზღაურების მიმღებთა დასაქმებულად განსაზღვრით. 2003 წლის შემდგომ, ხელფასიანი სამსახურის რაოდენობა გაიზარდა (მაგრამ, მაინც დაბალი, 37% იყო 2007 წელს), თუმცა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში დასაქმების კლება აღინიშნებოდა. 2000 წლიდან 2007 წლამდე სულ 180 000 სამუშაო ადგილი დაიკარგა (103 000 ადგილი 2008 წელს გაქრა გლობალური კრიზისის გამო). ყველაზე მეტად სამუშაო ადგილები მცირდებოდა საჯარო სექტორში და შემკეთებელ სამსახურებში, საჯარო სამსახურში, ენერჯის სექტორში და განათლების სფეროში; ხოლო დამსაქმებლები იყვნენ საბანკო და ფინანსური სისტემები, უძრავი ქონების სააგენტოები, ტურისტული კომპანიები, საკომუნიკაციო და მშენებლობის სფეროები. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში დღეს 55%-ია. თუ გავითვალისწინებთ სამსახურით უზრუნველყოფაში ასეთ ვარდნას, დაბალ ხელფასებს და არასათანადო დაცულობას, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ არ ჩნდება მოსახლეობაში პროტესტის გრძნობა შრომითი პირობებისა თუ ხელფასების გამო. დამსაქმებელთან დაპირისპირება სახიფათო იქნება მოსამსახურისთვის.

მესამე სირთულეს არაფორმალური შრომითი ბაზარი ქმნის. შევარდნაძის პრეზიდენტობისას ჩრდილოვანი ეკონომიკა მერყეობდა 40-80 პროცენტის ფარგლებში. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელი, ნიკოლაი ჰაჯისკი ამბობს, რომ სააკაშვილის რეფორმებმა, რომლის მეშვეობით დაიშალა ჩრდილოვანი საქმიანობის მასტიმულირებელი სტრუქტურა, ეს ციფრი 50-მდე შეამცირა (კლების 30% ადგილი ჰქონდა, ალბათ 2003-2006 წლებში). თუმცა დამალული პროდუქციის რაოდენობა მაინც ძალზე ცვალებადია სანარმოსა თუ სექტორის მიხედვით (2007 წლის გაეროს განვითარების ანგარიშში ნათქვამია, რომ რესტორნები შემოსავლის 80%-ზე მეტს მალავენ).¹¹⁰ მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უმრავლესობა, განსაკუთრებით კი, პროვინციებსა და სოფლად, სადაც ფულადი მეურნეობა მნიშვნელოვანი, დამოკიდებულია ჩრდილოვან ეკონომიკაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ისევ დაუცველი რჩება და ინტეგრირებას ვერ ახერხებს კანონიერ შრომით ბაზარზე.

საქართველოს პროფკავშირთა ხელმძღვანელებმა ბოლო ორი ათეული წელი საკუთრების განაწილებაზე დავებში გაატარეს სახელმწიფოსთან,

რომელმაც მათ უძრავ ქონებას დაადგა თვალი. საქართველოს პროფკავშირთა გაერთიანება, როგორც 90-იან წლებში უწოდებდნენ მას, საკმაოდ დიდ ქონებას ფლობდა, მათ შორის 1.46 მილიონი ლარის (886.000 აშშ დოლარი) ღირებულების კურორტებიც ირიცხებოდა.¹¹¹ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მემკვიდრე „გაერთიანება“ 1992 წელს დაარსდა. მისმა უფროსი თაობის ხელმძღვანელებმა ფეხი ვერ აუწყვეს პოსტსაბჭოთა ვითარებასა და პირობებს. პროფკავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი ტულუშმა განაცხადა, რომ მილიონზე მეტმა წევრმა (მათ შორის, კლერკებმა/ოფისის თანამშრომლებმა) დატოვა კავშირი, რის შედეგადაც 2.700.000 წევრიდან კავშირს 2000 წლისთვის მხოლოდ 777.000 შემორჩა¹¹². საქართველოს მოსახლეობა პროფკავშირებს, ძველ, ექსკომუნისტურ და კორუმპირებულ უწყებად აღიქვამდა, რომელსაც არაფერი აკავშირებდა დასაქმებულის საჭიროებებთან. 2000 წელს გამოკითხულთა 61.3% არ ენდობოდა პროფკავშირს, ხოლო 2007 წლის სექტემბერში, მხოლოდ 15% იყო დადებითად განწყობილი.¹¹³ 2005 წლის დეკემბერში, სახელმწიფომ თავისი გაიტანა და ქონება ჩამოართვა სახელმწიფოებრივ პროფკავშირთა კონფედერაციას. ამან კრიზისი შექმნა ხელმძღვანელობაში, რასაც არჩევნები და ახალი ხელმძღვანელი მოჰყვა. 2010 წელს პროფკავშირთა „აჩრდილის“ წმენდის შემდეგ, გაერთიანება აცხადებს, რომ დაახლოებით 251.000 წევრი ჰყავს 22 კავშირში, რაც საქართველოს ხელფასიანი დასაქმებულების უმრავლესობას შეადგენს.¹¹⁴

ეს შედარებით მაღალი მაჩვენებელი პოლიტიკური გავლენებს არ ასახავს. საქართველოს პროფკავშირები ახალი როლის ძიებაში არიან, მაგრამ პრაქტიკულად, მაინც არსად ჩანან. მათ ვერ მოახერხეს საერთო-სახალხო მხარდაჭერის უზრუნველყოფა ტყიბულის გაფიცული მალაროელებისთვის, ჭიათურის მანგანუმის მომპოვებლებისთვის, რკინიგზის მუშებისთვის, ტაქსის მძღოლებისთვის, ბაზრის მოვაჭრეებისა თუ მასწავლებლებისთვის. მიუხედავად მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისა, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, პროფკავშირთა გაერთიანებას/კონფედერაციას მაინც ჰქონდა პატივად გამარჯვებები: მან გაიტანა პარლამენტში კანონი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და ცვლილებები შეიტანა სოციალური უზრუნველყოფის კანონში. ამას გარდა, ის იყო ხელისუფლებასა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის „ზოგადი ხელშეკრულების“ გაფორმების ძირითადი ინიციატორი 1993 წელს და მოგვიანებით, 2001 წელსაც. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მაქსიმუმ 40 საათიან სამუშაო კვირას, სულ მცირე 24 დღიან შვებულებას ყოველწლიურად და ამასთან, პროფკავშირის მონაწილეობა უნდა მიეღო ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში დახმარებების გამოყოფის საქმეში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა 1993 წლიდან, გაერთიანებამ/კონფედერაციამ, 1997 წელს პარლამენტს მიაღებინა ახალი კანონი პროფესიული კავ-

შირების შესახებ, რომლის მიხედვით მან შეინარჩუნა გაფიცვის უფლება და უზრუნველყო კოლექტიური გარიგებების შესაძლებლობა (2006 წლის შრომის კოდექსი სერიოზულ შეზღუდვებს აწესებდა ამ უფლებებზე).¹¹⁵ თუმცა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს პროფკავშირთა გაერთიანებამ მაინც ვერ მოახერხა გამაერთიანებელი „ქოლგის“ როლის შესრულება მშრომლებსთვის. ის მუდმივად კორუფციასთან დაკავშირებულ სკანდალებში ეხვეოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რატიფიცირებული აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სულ ცოცხა 14 კონვენცია და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაც უზრუნველყოფს ძირითადი უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას, დამსაქმებელთა უმრავლესობა მაინც არღვევს კანონს და არად აგდებს დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან, უსაფრთხოებასთან, თანაბარ ანაზღაურებასა და ზედმეტ სამუშაო საათებთან დაკავშირებულ საკითხებს. პროფკავშირთა გაერთიანებას/კონფედერაცია არ ჰყავს ქმედითი ლობი საქართველოს პარლამენტში.

საკავშილოს მთავრობა თავისუფალი ბაზრის იდეის მხარდამჭერია. ის ზღუდავს დაქირავებულის უფლებებს და დაცვის მექანიზმებს, თავის შრომის ბირჟასთან ერთად. სააკაშვილმა პროფკავშირებს „ყოვლად უსარგებლო მაფიის ტიპის ორგანიზაცია“ უწოდა და მთელი კამპანია ჩაატარა მათ გასანადგურებლად, დააპატიმრა გაერთიანების თანამდებობის პირები, ჩამოართვა ქონება, დალუქა ოფისები და სამთავრობო „სინდიკატები“ შექმნა მათ ნაცვლად.¹¹⁶ სახელმწიფომ, საბოლოო ჯამში, პროფკავშირთა კონფედერაციას ქონების 90% ჩამოართვა „დარწმუნების გზით“, მათ შორის იყო შრომის 21-სართულიანი სასახლე თბილისში. პროფკავშირთა კონფედერაციის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ბრალი წაუყენეს (და, ალბათ, იმსახურებდნენ კიდევც), მაგრამ მსჯავრდებულები არ გამხდარან. კონფედერაციის საკუთრება გაიყიდა ყალბ აუქციონებზე საბაზროსთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ფასად, მაგალითად, კურორტი ნაბეღლავი სულ – 11.000 (6.600 აშშ დოლარი) ლარად. ასე დაინგრა პროფკავშირთა ფინანსური დამოუკიდებლობა. ამას გარდა, გაუქმდა შრომის სახელმწიფო ინსპექცია (2005) და სანიტარული ზედამხედველობის სამსახური (2006). ახალმა შრომის კოდექსმა 2006 წელს ჩაანაცვლა 1997 წლის კანონი პროფკავშირების შესახებ. შრომის კოდექსი დაიწუნა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ და ოპოზიციის დიდმა ნაწილმა. ევროკავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კოდექსი ეწინააღმდეგებოდა „ევროკავშირის სტანდარტებსა და ევროპის სოციალურ ქარტიას.“¹¹⁷ საქართველოს შრომის კოდექსი უფლებას აძლევს დამქირავებელს გაათავისუფლოს თანამშრომლები, მათ შორის ფეხმძიმე ქალები და პროფკავშირთა აქტივისტები, ნებისმიერი მიზეზით, გაათავისუფლებულებს ეძლევათ არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება (მუხლი N 37 (დ) (ახალი რედაქციით, 38-ე მუხლი, მთარგმნ. შენიშვნ.). კოდექსი

უმეებს ხელშეკრულების წერილობით გაფორმებას ნებაყოფლობით (დამსაქმებელს შეუძლია ერთობლივად მოელაპარაკოს ორ ადამიანს), ზეპირ ხელშეკრულებებს და აუქმებს გათავისუფლების შესახებ შეტყობინების ერთი თვით ადრე გაგზავნის წესს (ეს არღვევს საქართველოს მიერ 2005 წელს რატიფიცირებულ ევროპის სოციალურ ქარტიას). ამას გარდა, კოდექსი ადგენს 41-საათიან სამუშაო კვირას (შესვენებების გარეშე) და არ ითვალისწინებს გასამრჯელოს ზეგანაკვეთური მუშაობისთვის. გაფიცვა აკრძალულია, თუ დასაქმებული ინფორმირებულია გათავისუფლების შესახებ. სხვა მხრივ, მშრომელებს უფლება აქვთ გაიფიცონ ზედიზედ 90 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია სხვადასხვა (და ბუნდოვანი) მიზეზებით შეანყვეტინოს დასაქმებულებს გაფიცვა. რეალურად, როგორც პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი ამბობს, შრომის კოდექსი უფლებას აძლევს დამსაქმებელს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გაათავისუფლოს დასაქმებული.¹¹⁸ პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელები ცდილობენ, რომ მოერგონ პოსტსოციალისტურ საქართველოს, – თვითდასაქმებულთა და კომერციულ მუშაკთა კავშირი დაარსდა 2007 წელს ერთი მილიონი თვითდასაქმებულისთვის, – მაგრამ, საზოგადოდ, საქართველოში მაინც არ არსებობს არანაირი კავშირი.

2004-2005 წლებში გატარებული რეფორმები განათლების სისტემასა და პოლიციაში საზღვარგარეთ წარმატებულად აღიარეს და ქებაც არავის დაუშურებია საქართველოს მთავრობისთვის, მაგრამ ამ რეფორმებმა შეინირა უამრავი მასწავლებელი და პოლიციელი, რომელმაც სამსახური დაკარგა. ეს კი, სამოქალაქო უფლებების მასიური დარღვევა გახლდათ. დერეგულაცია და დასაქმებულისთვის უვარგისი შრომის კოდექსი შესაძლოა, კარგი იყოს უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, მაგრამ კარგია კი, ეს დემოკრატიისთვის? თბილისის მერი, გიგი უგულავა ფეისბუქის ფორუმზე ამბობდა, რომ „კარგი კანონები“ მოიცდიან, მთავრობის ამჟამინდელი პრიორიტეტი დამსაქმებლებისთვის კომფორტის შექმნაა ანუ იმ ხალხის, რომელსაც ფული მოაქვსო.¹¹⁹ პროფკავშირი ერთ-ერთი უდიდესი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაა საქართველოში. ის 2005 წლიდან შედარებით გამჭვირვალე გახდა. მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რამდენიმე განაცხადი შევიდა პროფკავშირებთან დაკავშირებულ საქმეებზე და ევროკავშირმა საქართველოს ხელისუფლებას დასაქმებულთა უფლებების დაცვისკენ მოუწოდა, საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა სოციალური პარტნიორობის ხელშეკრულებას და 2008 წლის დეკემბერში ე.წ. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია შექმნა. კომისიაში შედიან: საქართველოს მთავრობა, პროფკავშირები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და დამსაქმებულთა ასოციაცია.¹²⁰ მაგრამ, მიუხედავად სააკაშვილის დაპირებებისა, რომ შეამცირებდა სიღარიბეს და

შექმნიდა სამუშაო ადგილებს, პროფესიული კავშირები მიანიც არასასურველი პარტნიორები არიან ხელისუფლებისთვის ჯერჯერობით საქართველოს კვაზისაბაზრო ეკონომიკურ სივრცეში.

ფერმერები

საქართველოს ფერმერებს, ანუ ქართულად გლეხებს, გამორჩეულად საინტერესო თვითმმართველობის ისტორია აქვთ. 1903-1906 წლებში მათ გურია მხენელ-მთესველთა თვითმმართველ რესპუბლიკად გამოაცხადეს. გლეხებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ვარდების რევოლუციის გამარჯვებაში, როცა ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით თბილისში ჩამოვიდნენ ოპოზიციონერი სააკაშვილის მხარდასაჭერად. მაგრამ თბილისს რომ სულ რამდენიმე კილომეტრით გაცდებით, თქვენს თვალწინ გალარიბებულის, გაპარტახებული და უსიცოცხლო სოფლის პეიზაჟი გადაიშლება. დღეს, აღიარებული აზრია, რომ გლეხებს დემოკრატიის აშენება არ ძალუძთ და რომ ეს საქმე საშუალო ფენის პრეროგატივაა, თუნდაც ეს ფენა არც მოიძებნებოდეს ქვეყანაში. შეიძლება ამით აიხსნას ის, თუ რატომ უგულუბელყვეს საქართველოს თითქმის ყველა ხელისუფლებამ და დასავლელმა დემოკრატიის მშენებლებმაც სოფელი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გაცილებით უარესი ზემოქმედება იქონია სოფელზე. ამჟამად, მსოფლიო ბანკი, Mercy Corps-ი და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი მუშაობენ მიკროსესხების პროგრამებზე (46% მცირე სესხებისთვის), აგრობიზნესის, გზებისა და ირიგაციის ინფრასტრუქტურაზე. სოფლად მომუშავე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, ფონდ „ტასოს“ მსგავსი, ადგილობრივი თემების გააქტიურებას ცდილობენ. თუმცა, ქართულ სოფელს ძალზე აკლია ფინანსური მხარდაჭერა, იქ არ შედის ინვესტიციები და ინფორმაცია (სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები განსაკუთრებით არაზუსტია). ბანკირებს არანაირი სტიმული არ აქვთ გლეხების დასაფინანსებლად სანდო ინფორმაციის ან კრედიტის უზრუნველყოფის გარეშე. 2007 წელს, სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 0.8% განხორციელდა, მაშინ როცა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში 20.7%-ის ინვესტიციები ჩაიდო.¹²¹

2006 წლისთვის სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 30%-დან (1990) 11.2%-მდე დაეცა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე სასოფლო-სამეურნეო მიწების 87%-ს სახელმწიფო ფლობდა კოლქოპრეტივებისა და კოლმეურნეობების სახით. 1992 წლის იანვარში ზვიად გამსახურდიამ რეზოლუცია მიიღო მიწის განაწილებაზე (და არა პრივატიზაციაზე), რომელსაც შემდგომ ორი ახალი კანონი მოჰყვა 1996 წელს, კერძოდ, „სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების შესახებ“ (ითვალისწინებდა

მინის ყიდვა-გაყიდვას გარკვეული შეზღუდვებით) და „სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარით გაცემის შესახებ“. ამ უკანასკნელი კანონით მიწების პრივატიზირება დაიწყო საქართველოში. ორივე კანონი მიზნად ისახავდა მიწის მფლობელთა ფენის შექმნას 700.000 ფერმერული შინამეურნეობიდან.¹²² თუმცა, 2001 წლისთვის, სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ ერთი მეოთხედი თუ იყო პრივატიზებული. მათი უმრავლესობა გლეხებს დაურიგდათ, თითო ოჯახს 1-2 ჰექტარის მიწის ნაკვეთი შეხვდა. მიწის რეალურ კერძო მესაკუთრეობას ბევრი ფაქტორი უშლიდა ხელს, მაგალითად, ადგილობრივი ჩინოვნიკების მიერ შექმნილი ხელოვნური ბარიერები (მათ მიწის იჯარით გაცემა უფრო აწყობდათ), მიწის ხარისხი (უწყლო, გამოფიტული), გაუმართავი საგადასახადო ნესები, სასუქების უქონლობა და ბოლოს, თავად გლეხების გაურკვეველი დამოკიდებულება მომავლის მიმართ, მათ ხომ არც კრედიტის აღების საშუალება ჰქონდათ და არც კაპიტალი გააჩნდათ. 2005 წლის ივლისში მიღებული ახალი კანონის ძალით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ (თუმცა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს კერძო საკუთრებაში დარეგისტრირებული მიწების შესახებ) შემცირდა სახელმწიფოს მესაკუთრეობა მიწაზე და გაყიდვისა და აუქციონების ჩატარების უფლება გადაეცა ადგილობრივ საკრებულოებს და საბჭოებს, რაც უპირატესობას მინიჭებდა იქაურ მაცხოვრებლებს სპეციალურ აუქციონებზე. თუმცა, სინამდვილეში, მუნიციპალიტეტები იშვიათად თუ მონაწილეობდნენ პრივატიზების პროცესში და არც ნაღდი ფულის უქონელ გლეხებს მიუღიათ რამე სარგებელი აუქციონიდან ან პირდაპირი მიყიდვიდან. ლარიბი გლეხები არ არიან ყოველთვის მზად პრივატიზაციისთვის. 2007 წელს ბევრი მათგანი ეწინააღმდეგებოდა საძოვრების პრივატიზებას, რადგან გადასახადის გარეშე სარგებლობდნენ. საძოვრების მართვის უფლება ისევ ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიბრუნა.

სოფლის მეურნეობის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის: ამ დარგში შრომისუნარიანი მოსახლეობის (თუმცა, ოჯახის ყველა წევრი არ მუშაობს) 53%-ია ჩართული; ექსპორტი კი, 17%-ს შეადგენს.¹²³ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვარდების რევოლუციის ავტორები უხალისოდ მოეკიდნენ სოფლის მეურნეობას და დიდად არც უცდიათ, რომ ხელი შეეშველებინათ: 2003-2007 წლებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 10 პროცენტით შემცირდა (19.3 დან 9.7-მდე). 2002-2007 წლების მანძილზე ეკონომიკაში დაკარგული სამუშაო ადგილების 38% ამ დარგზე მოდის. ნაწილობრივ, ეს შეიძლება აიხსნას რუსეთის მიერ 2006 წლის შემოდგომაზე ქართულ ღვინოზე, ხილსა და მინერალურ წყლებზე დანესებული ემბარგოთი. საბჭოთა კავშირის ბაზარზე ქართული ღვინის 80% და ხილის 26% შედიოდა. სოფლის მეურნეობის ჩავარდნის მთავარი მიზეზი ამ სფეროს უგულვებელყოფაა.¹²⁴

2010 წლამდე სოფლის მეურნეობის სამინისტრო ძირითადად, ფიქტიურად არსებობდა, სულ რაღაც 16 მილიონ ლარიანი (9.7 აშშ მილიონი დოლარი 2009 წლისთვის) ბიუჯეტით. საქართველოს ხელისუფლება დილემანტია ამ სფეროში. აქ არ არსებობს გამოცდილების ან ცოდნის გავრცელების სამსახური (თუმცა, აგრონომები კი შემოიყვანეს მუნიციპალურ დონეზე), არც ბანკი, რომელიც იაფ კრედიტებს გასცემდა (2009 წლისთვის, გაცემული სესხების მხოლოდ 1.9% მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე), არც სადაზღვევო პროგრამები გლეხებისთვის; სასუქებსა და ტრაქტორებს ხელისუფლება დროდადრო ამომრჩეველების გულის მოსაგებად არიგებს. მთავრობა მიაბიჭურად იმედოვნებდა, რომ ურბანული ეკონომიკა განვითარდებოდა და ნელ-ნელა გადმოიღვრებოდა სოფლის მეურნეობაში. მას არც კოოპერატივების მხარდაჭერა უცდია, რომლებიც ყოველთვის აქტიურობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. ინვესტიციების ნაკლებობამ ქალაქში მიგრაციის პროცესები დააჩქარა, რაც, თავის მხრივ, ქალაქში უმუშევრობის ზრდის მიზეზი გახდა და სოფლად კი, – დაუმუშავებელი ნოყიერი მიწები მოამრავლა.



ბაზარი წნორში (კახეთი)

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის განვითარება, სიღარიბის დაძლევა და დემოკრატიის კონსოლიდაცია ურთიერთდაკავშირებულია, სოფლის დო-

ნეზე პრობლემების მოგვარება მთლიანად უცხოურ სააგენტოებსა და ადგილობრივ არასამთავროებს მიანდეს. სოფლის მეურნეობა დაბალი სტატუსის პროფესიაა და შესაბამისად, არ იზიდავს კომპეტენტურ ოფიციალურ პირებს. 2010 წლის ნოემბერში, ახალი კანონის მიღების შემდეგ, რომელიც მინების პრივატიზირების დასაჩქარებლად ამოქმედდა (2007 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების 45% ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში ირიცხებოდა), სააკაშვილმა განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ბურჯთაგანი იყო სამიდან (ინფრასტრუქტურა და ტურიზმი გახლდათ ორი დანარჩენი). მან პირობა დადო, რომ სოფლის მეურნეობის იგნორირების პოლიტიკაზე უარს იტყოდა და საქმის სასიკეთოდ შემობრუნებას ეცდებოდა, თუმცა ჯერ კიდევ 2012 წლისთვის დაწყებული არაფერი შქონდა.¹²⁵ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სოფელსა და ქალაქს შორის განსხვავება კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. სოფლის ცხოვრება ჯანმრთელობის უფრო დაბალი დონით, არასათანადო სასწავლო პროცესებით, არასაკმარისი პროდუქტიულობითა და სიღარიბით გამოირჩევა (2007 წელს, სოფლად მაცხოვრებელთა 29.7% ღარიბი იყო, ქალაქის მაცხოვრებელთა 18.3% შედარებით).¹²⁶ გლეხებს არც ეკონომიკური ბერკეტები აქვთ და არც პოლიტიკური ხმა. მთავრობის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება სოფლის მეურნეობისთვის საბიუჯეტო ხარჯების სულ 1 პროცენტს შეადგენდა 2010 წლისთვის. ეს ციფრი ნამდვილად უნდა გაიზარდოს, თუ გვინდა, რომ საქართველოს აგრარული წარმოების სტიმულირება მოხდეს, რადგან იმის გათვალისწინებით, რომ მას ძალზე მცირე მასშტაბები აქვს, ინფრასტრუქტურა სრულიად განადგურებულია და არ გააჩნია საბაზრო ეკონომიკის გამოცდილება, გლობალიზებულ სამყაროში საკმაოდ არახელსაყრელ პოზიციაში იმყოფება.

საქართველოს მომხმარებელთათვის საკვები პროდუქტების უმრავლესობა კერძო ფერმებში ინარმოება, მაგრამ კერძო პირებს თავიანთი პროდუქციის მხოლოდ 15-20% გააქვთ ბაზარზე, დანარჩენს თვითონ მოიხმარენ.¹²⁷ ქართული მარცვლეულისა და ბოსტნეულის კონკურენტუნარობის გამო, საკვები პროდუქტების 80% იმპორტირებულია. კონსოლიდირებული, საშუალო ზომის ფერმების არარსებობა, ტექნიკის, სანავის, გზების და იაფი კრედიტების (მხოლოდ 2005 წელს შეეძლოთ გლეხებს 18 პროცენტის სესხის აღება) უქონლობასთან ერთად, ქართველ გლეხს გაჭირვებულ მდგომარეობაში აგდებს. ის არ გახლავთ ფინანსურად უზრუნველყოფილი მიწის მფლობელთა კლასის წარმომადგენელი, რომელიც შეძლებდა სასოფლო სამეურნეო წარმოების სტიმულირებას. მიწის საკუთრებაში განაწილებისა და რეგისტრაციის პროცედურები კანონდარღვევებით მიმდინარეობს და კორუფციული გარიგებებიც არ წარმოადგენს იშვიათობას. მიუხედავად ყველაფრისა, უკეთესობისკენ ცვლილების ნიშნები მაინც არსებობს, მაგალითად, საქონელი გაჰყავთ ახლო აღმოსავლეთში. 2007 წლისთვის, საქა-

რთველოში არსებობდა 656.000 ფერმა, საშუალოდ 1.48 ჰა მიწის ნაკვეთით, მხოლოდ 16.000 ფერმა იყო გაშენებული 4 ჰაზე მეტ ფართობზე. ნატურალური მეურნეობის მქონე ქართველ გლეხებს რესურსები აკლიათ (მაგალითად, ოდნავ შეძლებული გლეხების 1.8% აქვს ტრაქტორი), ახალი მარცვლეულის მოსაყვანად, რენტაბელური მეურნეობებისა და წარმოების გაფართოების გზით მეტი პროდუქციის შესაქმნელად.¹²⁸ ხელისუფლების მიერ 5 ჰაზე მეტი მიწის ნაკვეთების დაბეგვრა ხელს უშლის ფერმების კონსოლიდირებას.

რამდენიმე ორგანიზაცია, როგორც თავად აცხადებენ, გლეხების ინტერესებს წარმოადგენენ. ესენი გახლავთ: ელკანა (ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია), ფერმერთა ასოციაცია „ფარეზი“, საქართველოს ფერმერთა კავშირი და მიწის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია (APLR). ეს უკანასკნელი უფრო მეტად საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხებითაა დაკავებული. მას მჭიდრო კავშირები აქვს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვანო მერაბიშვილთან, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო 1999 წლამდე.¹²⁹ არსებობს სხვა წარმატებული ორგანიზაციებიც, მაგალითად, გორის ხილის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს ჩანის მწარმოებელთა ასოციაცია, ქართული ლეინის მწარმოებელთა ასოციაცია და წყლის მომხმარებელთა ასოციაცია. მაგრამ ამ წუთში, საქართველოში არ არსებობს ფერმერთა პარტია, ხოლო რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, მიუხედავად სასწავლო თუ საკონსულტაციო პროგრამებისა, რომლებსაც ახორციელებენ, ისინი წევრების რაოდენობით მაინც ვერ დაიკვეხნიან. ფერმერებს, რა თქმა უნდა, აქვთ უფლება, რომ მიმართონ ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებს ან გამგებლებს სასუქების გამოსაყოფად ან სესხის გამოტანაში დასახმარებლად, მაგრამ, როგორც ნესი, დღეს მათ ნაკლებად აინტერესებთ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმე. ჯერ არ ჩანს, რომ ადგილობრივ არჩევნებს თუ ადგილობრივი მმართველობის რეფორმირებას სიკეთე მოეტანოს გლეხებისთვის. ადგილობრივი თვითმმართველობა კი, სოფლად ემბრიონულ ფორმაშია. ამის შედეგად, „ინტერესის არტიკულირების“ საუკეთესო მეთოდი პროტესტი გახდა, განსაკუთრებით კი, არაქართველებით დასახლებულ საცხოვრებელ პუნქტებში. მაგალითად, 2004-2005 წლებში მარნეულში, აზერბაიჯანელი გლეხები აპროტესტებდნენ მიწის უკანონო გადანაწილებას; წალკაში, სადაც ერთად ცხოვრობენ, ქართველები, სომხები და ბერძნები ხშირად ხდება შეტაკებები მიწების საკუთრებასთან დაკავშირებით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სიღარიბე და ბრაზი, რომელიც ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი, შეიძლება სერიოზული საფრთხის მომტანი გახდეს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებისთვის. მანამ, სანამ უფულო გლეხები თავად არ ამოქმედებენ რეალურ თვითმმართველობას ადგილებზე, ისინი ვერ შეძლებენ სტაბილური დემოკრატიის საძირკვლის შექმნას.

პატრონაჟული ჯგუფები

ქართველები პრობლემებს ყოველთვის თავიანთი ოჯახის წევრების, ახლობლებისა თუ მეგობრების დახმარებით აგვარებდნენ, ხოლო როცა საჭირო ხდებოდა, გავლენიან მფარველებსაც მიმართავდნენ. გაუმართავი და უცხო ადმინისტრაციული და სასამართლო სტრუქტურების პირობებში ეს გადარჩენის რაციონალური სტრატეგია გახლდათ. აი, ამგვარი ქსელები, ზოგჯერ არაკანონიერი ან კრიმინალური სახის კავშირებზე, უფრო ხშირად კი, სკოლის მეგობრობაზე, ნათესაობაზე ან ნარმოშობაზე დაფუძნებული, ნამდვილად არ შეჰფერის დემოკრატიისთვის მიძღვნილ წიგნის თავს. და მინც, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობებისა და ანგარიშვალდებულებისა და ნარმომადგენლობის საკითხების ახსნა ვერ მოხერხდება ამ არაფორმალური გორგალის, ქართველთა ცხოვრებაში ჩახლართული ქსელების გარეშე. საქართველო ედვარდ ბენფილდის მიერ აღწერილ ამორალურ „ოჯახობას“ ჰგავს, სადაც სოციალური ნდობისა და ავტორიტეტული სახელმწიფო იძულების არარსებობას, – გამოწვეული იმავე ბანფილდის სიტყვებით რომ ვთქვათ, კოლონიალიზმის გამოცდილებითა და დეფიციტით, – მივყავართ პირად კონტაქტებთან და არა კანონებთან.¹³⁰ სხვათა შორის, ეს ისახება ქართულ სიტყვაში, „უპატრონო“. უპატრონოს ხშირად ხმარობენ ადამიანისადმი სიბრაღულის გამოსახატავად, ხან კი, მთლიანად საქართველოს ეხება ეს სიტყვა. პატრონაჟის ქართული ვარიანტი ყოველთვის არაკეთილსინდისიერ და კორუფციულ კავშირებზე დაფუძნებული სისტემა არ არის. შოთა რუსთაველის აფორიზმში, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, ქართული ქსელური ურთიერთობების კეთილ ბუნებას ასახავს. მაგრამ საზოგადოებრივად ანგარიშვალდებული ელიტების ხელში, პატრონაჟი ხშირად გვევლინება ძალაუფლების, საკუთარი ინტერესების დამაკმაყოფილებელ და მანიპულირების ინსტრუმენტად; პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში ეს სისტემა ხაზს უსვამს საჯაროსა და კერძოს კორუფციულ აღრევას. საქართველოში ამ სისტემის „დამსახურებით“ სამოქალაქო მონაწილეობა ვერ შედგა და რეჟიმის ლეგიტიმაციაც გამოიფიტა.

ქართული პატრონაჟის სისტემა ოთხმაგია. პირველი, სახეზეა ნათესავებისა და მეგობრებისადმი ერთგულების კულტურული ღირებულება. 2003 წლის გამოკითხვაში, გამოკითხულთა 78%-მა კითხვაზე, ვის მიმართავდა საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, უპასუხა, რომ მიმართავდა ნათესავებს ან მეგობრებს და არა სასამართლოს, როგორც 40%-ზე ნაკლებმა აღნიშნა ან პოლიციას, როგორც ამაზე 30%-ზე ნაკლებმა მიუთითა.¹³¹ ეს სასარგებლო მეთოდი იყო საბჭოთა ბიუროკრატებისთვის თავის ასარიდებლად, მაგრამ დღეს, საერთო საჯარო სივრცის შექმნას და პროფესიული სახელმწიფო სამსახურის ჩამოყალიბებას ხელს ყველაზე

მეტად უშლის. მეორე, საქართველოში სახელმწიფო აპარატს მექრთამეობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ხშირად, ეს ძალაუფლება უცხო ძალების ხელში იყო, მაგალითად, სპარსელების, თურქების, რუსების ან საბჭოელების, სწორედ ამ აპარატმა შეუწყო ხელი უკანონო შეწინააღმდეგების განვითარებას და კრიმინალურ ჯგუფებსა და ძლიერ ბოსთან, კრიმინალურ ავტორიტეტთან კავშირების დამყარებას. იოსელიანის „მხედრონისა“ და ინტელიგენციის თანამშრომლობა გამსახურდას წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს შეიარაღებული ბანდების, „ფირალებისა“ და სოციალ-დემოკრატების ერთობლივი ბრძოლის გამოძახილი იყო ცარიზმის წინააღმდეგ. მესამე, საბჭოთა სისტემა ნეოპატრიმონიალურ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს ეყრდნობოდა თავისი რეჟიმის შესანარჩუნებლად პერიფერიებში. ლავრენტი ბერიას, შინაგან საქმეთა მეგრულ სახალხო კომისარს მეგრელები ჰყავდა მაღალი რანგის თანამდებობებზე საქართველოში. კენ ჯიოვიტი ამბობს, რომ „კვაზილუგალური და უკანონო ეკონომიკური საქმიანობის სპონსორობამ (კომუნისტური) კადრების-მფარველების მიერ პატრონაჟი მთელ საბჭოთა ეკონომიკას მოსდო.¹³² საქართველოს განსაკუთრებით გამოარჩევენ ხოლმე ამ შემთხვევებში, მაგრამ მდგომარეობა ძალზე განსხვავებული არ იყო სხვა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებშიც. რენტაზე ორიენტირებული კომუნისტური ნომენკლატურის მიერ „სახელმწიფო მიტაცება“, საერთო თვისება იყო თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ხელმძღვანელისთვის. მეოთხე, სახელმწიფო სტრუქტურების მოშლისა და შოკური თერაპიის შედეგად, შესანიშნავი პირობები შეიქმნა პატრონ-კლიენტის ქსელებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ სახელმწიფოს ქონებაში ინვესტიციების განხორციელებით. რასმა კარკლინის ამგვარი ქსელების წევრებს „ტრანზიციის სპეკულიანტებს“ უწოდებს.¹³³ ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებმა, დეპუტატებმა და, საერთოდ, ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილმა კარგად ინფორმირებულმა ჩინოვნიკებმა მშვენიერად გამოიყენეს თავიანთი უპირატესობა პრივატიზაციის პროცესსა და 1990-იანების უკანონობაში, ჰქონდათ კიდევ იმის მიზეზი, რომ „კრიშებით“ თუ მფარველებით დაეცვათ თავიანთი მოგება.

კლიენტელიზმის განვითარებას საქართველოში თავისი განსაკუთრებული თავისებურებები ჰქონდა. ოჯახის უფროსი თუ სოფლის უზუცესები (მამასახლისები), პატრიარქალური ურთიერთობები ოჯახში, დაგვიანებული ურბანიზაცია და საზოგადოებრივსა და პირადს შორის განსხვავების უქონლობა, ის მემკვიდრეობაა, რომელმაც დიდი ხნით გადადო საქართველოში, რასაც ერნსტ გელნერი უწოდებს, თანამედროვე, „მოდულური ადამიანის“ შექმნა, რომელსაც პირადი და პროფესიული ღირებულებების გარჩევის უნარი ექნებოდა.¹³⁴ გაუთავებელმა დეფიციტმა ეკონომიკაში პრივილიგირებული წვდომის საჭიროება გააჩინა; ხოლო ომებმა დაუცველობის

შეგრძნება გაამძაფრა, დეფიციტიც გაზარდა და სახელმწიფოს შესაძლებლობებსაც ძირი გამოუთხარა. უკონტროლო ტერიტორიები, დაუცველი საზღვრები აფხაზეთსა და ოსეთთან, პანკისის ხეობა, ყველაფერმა ხელი შეუწყო ბიზნესის კრიმინალიზაციასა და მფარველების გაჩენას, რომლებიც სინამდვილეში, რეკეტს ახორციელებდნენ. ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა კი დააჩქარეს კრიმინალური დაჯგუფებებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ერთმანეთთან შერწყმა.

ნეოპატრიმონიალიზმი მშვენიერი მაკიაველისტური სისტემა იყო ერთგულების უზრუნველსაყოფად და შეზღუდული რაოდენობის ალაფისთვის ერთმანეთში მოქიშვე რეგიონული ელიტების გასაკონტროლებლად. მისი დახმარებით შევარდნაძე პარლამენტსა და სასამართლოს გვერდს უვლიდა. მაგრამ პატრონი-კლიენტის ურთიერთობები მხოლოდ ელიტებისთვის კი არ არის სარგებლობის მომგანი, როგორც ჯოზეფ ლაპალომბარა ამბობს, ეს ის „მთავარი არხები“ა, „რომელთა საშუალებითაც ადამიანები თავიანთი საჭიროებებსა და მოთხოვნებს აგრძნობინებენ სხვებს.“¹³⁵ ეს არხები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართველებისთვის 90-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკურ ქაოსში. პატრონი კეთილდღეობის, ხოლო მთავრობა ქონების მიტაცების წყარო გახდა. შევარდნაძის დროს სახელმწიფო სამსახური კერძო საკუთრებასა და რენტებს დაემსგავსა. საბჭოთა ქსელების დახმარებით, მათ შორის კომკავშირების, მენარმე დირექტორებისა და პარტიის რეგიონული ჩინოვნიკების კავშირებით და მეგრელებისა და სვანების კუთხური ქსელების გამოყენებით შევარდნაძემ შეინარჩუნა ფუნქციონირებადი ქვეყანა და საკუთარი ძალაუფლება. თუმცა, როცა ამ მოჭარბებული პატრონაჟის გაკონტროლება დასჭირდა, ეს ველარ შეძლო, რადგან სისტემაზე პირდაპირი დარტყმა ხელისუფლებასა და ეკონომიკას ერთდროულად დაშლიდა; ხალხსაც ველარ მიმართა დახმარებისთვის, იმდენად დაკარგული ჰქონდა ნდობა და, საბოლოოდ, იმ პატრიმონიული სისტემის ხაფანგში ამოყო თავი, რომელსაც თავად ედგა სათავეში.

საკავშილი მოქალაქეებს ამ ყველაფრის დასრულებას შეჰპირდა და პირობა დადო, რომ კრიმინალისგან თავისუფალ თანამედროვე სახელმწიფოს შექმნიდა, რომელსაც მერიტოკრატიული საჯარო სამსახური ექნებოდა. პირველი პირობა წარმატებით შეასრულა, მეორეს კი ვერ გაუმკლავდა. ხელისუფლების კამპანია საქართველოს კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ წარმატებული აღმოჩნდა, როგორც სააკაშვილი ამბობდა, მან გაანადგურა ორგანიზებული დამნაშავეები, როგორც კლასი,¹³⁶ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკით და ნულოვანი ტოლერანტობით დანაშაულისადმი. შედეგად, ორგანიზებული დანაშაული ეკონომიკური სივრციდან განიდევნა. მაგრამ, მიუხედავად სააკაშვილის განცხადებებისა, რომ „ჩვენი საზოგადოება ნიჭსა და პირად სიძლიერეს უნდა ემყარებოდეს და არა კრონიზმს ან

ვინ ვის იცნობს,¹³⁷ მფარველსა და პატრონაჟულ სისტემას ფეხი არ მოუცვლია მთავრობიდან. ჩინოვნიკების ასაკი გაახალგაზრდავდა, მაგრამ ისინი წინამორბედების მსგავსად, ისეთივე ჩაკეტილ სივრცეში, ერთმანეთში ანანილებენ სამუშაო ადგილებს. ეროვნული გამოცდების დანერგვა და კორუმპირებული საგზაო პოლიციის დათხოვნა, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ ხალხისთვის, სამსახურის არარსებობის ფონზე, შეიძლება ახლა უფრო მნიშვნელოვანი გახდეს მფარველი-პატრონი. ძველი საბჭოთა თანაბარ შესაძლებლობათა პოლიტიკა, რომელიც ქალებსა და არაქართველებს ეხმარებოდა, აღარ ტარდება. კლიენტელიზმი შეთავსებადია დემოკრატია-სთან, შეიძლება მან ხელი შეუწყოს კიდევ დემოკრატიაში განვითარებას გარდამავალ პერიოდში, რადგან პოლიტიკოსი გარიგებებს ჰპირდება ხალხს კარგად მოქცევის სანაცვლოდ. მაგრამ სანამ ქართული საზოგადოება შენუხებულია უმუშევრობით, დაქირავებულთა დაცვის მექანიზმების უქონლობით და სანამ სულ უფრო ღრმავდება უფსკრული შეძლებულთა და უქონელთა შორის, „ვის იცნობთ და ვინ ვის იცნობს“, ძალას არ დაკარგავს.

მესამე სექტორი

საქართველოს ბოლო ორი ათეული წლის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მკვეთრი ცვლილება არასამთავრობო სექტორის აღმოცენება. 90-იანი წლების დასაწყისში არასამთავრობო ორგანიზაცია არ არსებობდა საქართველოში, მაგრამ ის ვაკუუმში არ გაჩენილა. ორგანიზებული სამოქალაქო აქტიურობის ტრადიცია სათავეს მე-19 საუკუნის შუა წლებიდან იღებს, როცა ადგილობრივი თვითმმართველობისა და განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების წყალობით საქველმოქმედო და თვითდახმარების ორგანიზაციები ერთი მეორის მიყოლებით მოეფინა საქართველოს. საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი გააუქმა, მაგრამ 80-იან წლებში დაწყებულ გარდაქმნას მათი ხელახალი აღმოცენება მოჰყვა. ე.წ. „არაფორმალური“ პირველად საბჭოთა ინსტიტუტებში გაჩნდნენ, მაგალითად, რუსთაველის საზოგადოება საქართველოს მწერალთა კავშირის ბაზაზე შეიქმნა. ეკოლოგებისგან შემდგარმა მეორე დამოუკიდებელმა ჯგუფმა კავკასიური კლუბი დაარსა, რომელმაც მთავრობის კრიტიკით დაიწყო საქმიანობა, მაგრამ მთავრობას არ დაპირისპირებია. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი სწრაფად გაიზარდა და უფრო პოლიტიზირებული გახდა კიდევ. 1997 წლისთვის, საქართველოში რეგისტრირებული იყო 3.000-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია; 2005 წელს მათი რაოდენობა 9.000 შეადგენდა, თუმცა მათი უმრავლესობა აქტიურობით არ გამოირჩეოდა. აშშ განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რეგისტრირებული არასამთავრობო

ორგანიზაციების მხოლოდ 12-23% მუშაობდა, დანარჩენები კი, ბიზნესით იყვნენ დაკავებული და არასამთავრობოს სახელს და სარეგისტრაციო რეკვიზიტებს სახსრების მოსაძიებლად იყენებდნენ, ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ სპორტულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ.¹³⁸

არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად, თბილისშია თავმოყრილი. ისინი ფინანსურად საერთაშორისო ფონდების გრანტებზე არიან დამოკიდებული, მაგრამ მნიშვნელოვან როლს კი ასრულებენ ქართული კანონმდებლობის შექმნაში. ისინი ლობირებენ, ორგანიზებას უკეთებენ საპროტესტო გამოსვლებს, ზედამხედველობენ არჩევნებს, სასწავლო-საწვრთნელ კურსებს უტარებენ პარტიებს და ბიზნესის ინტერესებსაც წარმოადგენენ. არასამთავრობოები განსაკუთრებულად აქტიურობდნენ შევარდნაძის დროს, იმდენად რომ ზოგჯერ სახელმწიფო სამსახურის როლსაც ასრულებდნენ. ვარდების რევოლუციის მიმდინარეობისას კი, გადამწყვეტი როლი ითამაშეს მის წარმატებაში. მაგალითად, 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებული შედეგები მათ გამოამყლავნეს და ხალხის მობილიზებაც შეძლეს. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობდნენ ახალი კანონების შექმნაზე, საზოგადოებრივი კურსის შემუშავებასა და პოლიტიკურ პროგრამებზეც. მათი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კანონი გრანტის შესახებ (1996), ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (2000), კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (2004), საგადასახადო კოდექსი (2005). მთლიანობაში, 2005 წლისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების დაახლოებით ერთი მესამედი საკანონმდებლო საქმიანობაში იყო ჩართული, ხოლო 36% ზედამხედველობდა საჯარო/სახელმწიფო უწყებებს.¹³⁹

თუმცა, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესული“ არ გახლავთ. მაგალითად, ბევრი მათგანი, როგორც კას მადი უწოდებს, სამოქალაქო საზოგადოების „ბნელ მხარეს“ წარმოადგენს, როგორებიცაა, ჯვარი ან მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი. ისინი რელიგიურ უმცირესობებს დევნიან, მაგალითად, იეჰოვას მოწმეებს და მათი ორგანიზაციების აკრძალვას ითხოვენ.¹⁴⁰ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციების ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორებიც დამახასიათებელია სხვა დანარჩენი პოსტკომუნისტური ქვეყნების არასამთავრობო სექტორისთვის. უმრავლესობა ფინანსურად ვერ უზრუნველყოფს თავის დამოუკიდებლობას (თუმცა, დასავლეთის ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაც ასეთ დღეშია). საწევრო გადასახადი, თუკი არსებობს, და სამსახურის განვივისთვის გადახდილი გასამრჯელო (აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციის საშუალო შემოსულის 5%) ძალიან ცოტაა ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მაგალითად, საიას (საქართველოს ახალგზარდა იურისტთა ასოციაცია) საწევრო 2005 წლისთვის, მისი მთელი დაფინანსების 2%-ზე ნაკლებს შეადგენდა.¹⁴¹ საქართველოს ბიზნესი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს (დასაბეგრი

შემოსავლის 8%-მდე) საქველმოქმედო საქმიანობის მხარდასაჭერად, მაგრამ არასამთავროებს მსგავსი შეღავათები არ აქვთ. უცხოელ დონორებზე დამოკიდებულების შედეგად, არასამთავროები ხშირად ვერ ერთვებიან ისეთ საქმიანობაში, რომელიც საზოგადოებრივი საჭიროებებითაა განპირობებული. ყველაზე აქტიურად ისინი მუშაობენ ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვის სფეროში და სწავლა-განათლების ხელმისაწვდომობის სფეროში, ხოლო შრომითი უფლებები, დასაქმებისა თუ საცხოვრებელი პირობების საკითხები მათ ყურადღებას ნაკლებად იპყრობს. დონორების მიერ ინსპირირებულ დღის წესრიგზე ფოკუსმა (2005 წელს არასამთავროების 31%-მა განაცხადა, რომ პრიორიტეტები შეცვალეს დონორთა პრეფერენციების მიხედვით) თავისი გააკეთა და მათ საზოგადოებრივი მხარდაჭერაც ზომიერი აქვთ.¹⁴² 2003 წლის გამოკითხვაში, რესპონდენტთა მხოლოდ 5.8%-მა განაცხადა, რომ გარკვეული თანამშრომლობა ჰქონდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხოლო 81.2%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არ იყო ინფორმირებული არასამთავრობოების მუშაობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად ადანაშაულებენ, რომ გრანტების ჭამის მეტს არაფერს აკეთებენ და რომ მორჩილად ემსახურებიან დასავლეთის ინტერესებს. არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში კი, ცოტამ თუ იცის ამ ორგანიზაციების არსებობის შესახებ, მაგალითად, ქვემო ქართლში, სადაც უმეტესად ეთნიკური აზერბაიჯანლები სახლობენ, მოსახლეობის 88.4%-ს წარმოადგენა არ ჰქონდა მათ შესახებ 2003 წელს.¹⁴³ ქართულმა არასამთავრობო სექტორმა ვერ მოახერხა თავისი მიზნებისა და კეთილი საქმეების შესახებ ინფორმაციის მიტანა საქართველოს მოქალაქეებამდე. ვოლუნტარიზმს დიდი მნიშვნელობა არ აქვს და არც ამ ორგანიზაციების თანამშრომლებმა იციან იმ კანონების შესახებ, რომლებშიც მათი უფლებები და მოვალეობებია განსაზღვრული.

საქართველოს სახელმწიფო არ არის კარგი პარტნიორი სათანამშრომლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ახალ მთავრობას ფესვები მესამე სექტორში ჰქონდა გადგმული, მისი არაერთი წარმომადგენელი, წინამორბედების მსგავსად, უნდობლადაა განწყობილი ამ სექტორში მომუშავე ორგანიზაციებისადმი. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკურ ბაზას წარმოადგენდნენ ქართველი პოლიტიკოსებისთვის, მაგალითად, ორი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ჟვანია და ზურაბ ნოლაიძელი მწვანეთა მოძრაობიდან მოვიდნენ პოლიტიკაში, ისინი საპროტესტო გამოსვლებშიც ხშირად მონაწილეობდნენ. 2000 წლის ნოემბერში არასამთავროები სტუდენტებს შეუერთდნენ და მთავრობა აიძულეს გადამდგარიყო; 2001 წელსაც იგივე გააკეთეს, როცა ხელისუფლებამ რუსთავი 2-ს შეუტია, ხოლო 2003 წელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მათი მეკავშირეების მხარეზე დადგნენ. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის დროს სახელმწიფო კანცელარიასთან შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტა-

ციო საბჭო, მაშინდელი მთავრობა არაერთხელ დაემუქრა მესამე სექტორს, რომ გაუზრდიდა გადასახადებს. 2002 წლის აპრილში, როცა მესამე სექტორი ტერორისტთა ჯგუფების მათ რიგებში შესაძლო ინფილტრაციას დაუკავშირეს, შევარდნაძემ ახალი კანონი შეიტანა პარლამენტში გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარების შესახებ, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საზედამხებველო უფლებამოსილებას ანიჭებდა გრანტების მიღებასა და გაცემაზე. 2003 წელს კი, ხელისუფლება ღია საზოგადოება-საქართველოს (სოროსის ფონდი) დაუპირისპირდა და ქვეყნიდან გაძევებით დაემუქრა „კმარას“ სახელით ცნობილი ანტისამთავრობო მოძრაობის მხარდაჭერისთვის.¹⁴⁴ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი, მაგალითად, ან გარდაცვლილი გურამ შარაძე, რომელიც საქართველო უპირველეს ყოვლისა პარტიას ედგა სათავეში, ამტკიცებდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დასავლეთიდან ბრძანებებს ლებულობდნენ.¹⁴⁵

ბევრი ფიქრობდა, რომ ვარდების რევოლუცია ჰერკულესით მოიქცეოდა და მესამე სექტორს, როგორც პრომეთეს, ჯაჭვებს ახსნიდა. ნამდვილად ასე მოხდა, რადგან 2003 წლის შემდეგ, აშკარაა, რომ არასამთავრობების ლოჯისტიკური შესაძლებლობებიც გაიზარდა და ინსტიტუციურადაც დაიხვეწნენ. 2005 წელს ხელისუფლებისა და მესამე სექტორის ახალი საკომუნიკაციო არხი შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭოების სახით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ არ უმუშავიათ; შევიდა ცვლილებებიც სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსებში, რომელთა საშუალებით გაიოლდა რეგისტრაციის პროცედურა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის (მინიმალური კაპიტალი საჭირო აღარ არის). თუმცა, მათი გავლენა შესუსტდა 2004 წლიდან. ორი გამოკითხვის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 2002 წელთან შედარებით 2005 წელს დაღმასვლაც შეინიშნებოდა არასამთავრობების მაკონტროლებელ საქმიანობაში (არასამთავრობების 8%-დან 3.5%-მდე) და აღმასვლაც მთავრობის რეფორმებზე ფოკუსირებაში (1.1-დან 11.6%-მდე). შესაძლოა, ეს ხელისუფლებისა და მესამე სექტორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე მიგვანიშნებდეს, თუმცა, ვისაც არ გავესაუბრე არასამთავრობო ორგანიზაციებში 2006-2010 წლებში, ძირითადად, ხელმძღვანელებს ვგულისხმობ, ყველამ ერთნაირად აღნიშნა, რომ მთავრობასთან ნაკლები შეხება აქვს და რომ მედია ნაკლები ინტენსივობით აშუქებს არასამთავრობების საქმიანობას, ამას გარდა, ისიც მითხრეს, რომ დაფინანსების კლების ფონზე მათ შორის კონკურენცია გაიზარდა.¹⁴⁶ ასე რომ, მცირე გრანტებისთვის ბრძოლამ, რასაც ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის საბანკო სისტემასა და მთავრობაში სამსახურის შეთავაზება და თავად სახელმწიფოს მიერ სახსრების დასავლეთიდან უფრო ეფექტურად მიზიდვა დაემატა, მესამე სექტორი ჩრდილში მოაქცია. არასამთავრობო ორგანიზაციები სააკაშვილის პარტნიორობად არ ქცეულან საზოგადოებასთან დიალოგში, ისინი უფრო მარგინალებს დაემსგავსნენ ან შემაფერხებელ ფაქტორად მოველინ-

ენ მას. მაგრამ, 2008 წლის ომის შემდგომ, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დაფინანსებამ ისევ სამოქალაქო საზოგადოებისკენ იბრუნა პირი და ახლა, არასამთავრობო თავიანთ ოპოზიციურ როლს უბრუნდებიან.

საერთაშორისო დახმარების ეფექტურობაზე ბევრს კამათობენ განვითარებად ქვეყნებში.¹⁴⁷ განვითარების ოფიციალური დახმარება (ODA) განკუთვნილია დემოკრატიული ინსტიტუტების შესაქმნელად და სამოქალაქო საზოგადოების განსავითარებლად. საქართველო დახმარების ყველაზე დიდი მიმღებია დსთ-ში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. მისი უდიდესი ნაწილი, 1.8 მილიარდი დოლარი მან აშშ-დან მიიღო 1992-2009 წლებში. 1992-2007 წლებში, მსოფლიო ბანკმა სესხისა თუ ინვესტიციების სახით ეკონომიკისა თუ ინსტიტუციური განვითარებისთვის საქართველოს მიანოდა მილიარდ დოლარზე მეტი.¹⁴⁸ დღეს, ამ დახმარების ყურადღების საგანს, ძირითადად, შეზღუდული მთავრობა, პარტნიორი ქვეყნების პროგრამებთან უფრო მეტი თანხვედრის უზრუნველყოფა და სამოქალაქო საზოგადოების ზრდა წარმოადგენს. ევროკავშირმა (2003 წლიდან ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამების მეშვეობით), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოში „კარგი მმართველობის“ ჩამოყალიბების სურვილით ისეთი მესამე სექტორი შექმნეს, რომელიც გრანტების, პროექტებისა და სტრატეგიების ენაზე ლაპარაკობს.

საერთაშორისო არასამთავრობო სექტორი მრავალფეროვანია და ბევრმა ორგანიზაციამ, როგორცაა, მაგალითად, „ენდიაი“ და საერთაშორისო გამჭვირვალება, თავისი წვლილი შეიტანეს დემოკრატიული ნორმებისა და თავისუფალი არჩევნების პრინციპების გავრცელებაში. სხვებმა, მაგალითად, ღია საზოგადოება-საქართველოს ფონდმა, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები ტრანსნაციონალური ადვოკატირების ქსელებს დააკავშირეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ საერთაშორისო არასამთავრობო თავისი საკუთარი პროგრამები აქვთ და ასოციაციებს, რომელთა მისწრაფებები არ ემთხვევა დონორთა იდეებს თანამედროვე ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე, მაგალითად, პროფკავშირების, პენსიონერთა თუ ფერმერთა კავშირებს, ხშირად იგნორირებენ. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ბიუროკრატიული უწყებები არიან და არ არიან ანგარიშვალდებული მათ წინაშე, ვისაც ემსახურებიან. მათი პროექტები ხშირად ზედმეტად ამბიციურია და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მცირე მასშტაბის პროგრამებს ხშირად არ აფინანსებენ. თომას ქაროთერსი ამტკიცებს, რომ ის პროფესიული, სპეციალიზირებული მოდელი, რის შექმნასაც საერთაშორისო არასამთავრობო უწყობენ ხელს,

„მოდის იმ საზოგადოებიდან, რომელსაც მდიდარი, კერძო გრანტების მწარმოებელი ინსტიტუტები აქვს და დისკრეციული შემოსავლების მქონე დიდი საშუალო კლასი ჰყავს, სადაც ძლიერია ფილანტროპიის ტრადიციები. ეს მოდელი არ მუშაობს იმ საზოგადოებებში, რომლებსაც ეს ნიშნები არ აქვთ.“¹⁴⁹

დასკვნა

2006 წლის თებერვალში, საქართველოში ჩამოსულმა ჯორჯ ბუშმა, თავისუფლების მოედანზე საქართველოს ხოტბა შეასხა და „თავისუფლების შუქურა“ უწოდა. ეს გამოძახილი გახლდათ იმ ქება-დიდებასა, დასავლეთმა რომ არ დაიშურა პატარა, მამაცი საქართველოსთვის, რომელიც 1970-იან წლებში დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირს. პოსტსაბჭოური საქართველო დასავლეთის გამართლებაა „დემოკრატიის სახელით ჯვაროსნული ლაშქრობის.“ საქართველოს პარლამენტის სხდომებს რომ თვალყური ადევნოთ აივნიდან (ყოველ შემთხვევაში, 2004 წლამდე მაინც რომ გედევნებინათ), ქართული პრესა იკითხოთ და არასამთავროთა ფორუმებს დაესწროთ, იფიქრებდით, რომ დემოკრატია აქ აქტიურ ცხოვრებას ეწევა. მაგრამ საქართველო დასავლეთის დემოკრატიების უმრავლესობას რომც არ შევადაროთ, სადაც იდეალურ დემოკრატიამდე ისეც შორია, ნათელია, რომ აქ დემოკრატია ჯერჯერობით ძალზე მყიფეა. ეს 2007 წელს ხელისუფლებაშიც დაადასტურა თავისი რეპრესიული ღონისძიებებით. თითქმის ყველა ახალგაზრდა დემოკრატიის მსგავსად (მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე რესპუბლიკების ერთიანი ასაკი მხოლოდ ოცი წელია), საქართველო მშფოთვარე ჰიბრიდია.

სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენის „გამანონანსწორებელი ძალა“ ჯერჯერობით განუვითარებელია. მესამე სექტორი მრავალფეროვანია, მაგრამ მოქალაქეების მასიურად ჩართვა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ მოახერხა. მედია პლურალისტურია, მაგრამ საექვო სპონსორებისა და გავლენიანი მესაკუთრეების ნებას ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ კორუფცია შემცირდა, ქართული ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტები იზოლირებული არიან რიგითი მოქალაქეებისგან და ვერ უძლებენ დაუსჯელობის ცდუნებას, რაც ძალაუფლებას მოჰყვება თან. გაურკვეველი იდეოლოგიის პოლიტიკური პარტიები საზოგადოებისგან მონყვეტილი არიან, ხოლო თავად საზოგადოება აპათიით არის შეპყრობილი. პატრონაჟული ჯგუფები, მართალია, ახლა დეკრიმინალიზებული, მაგრამ მაინც მოდებულია მთავრობასა თუ ბიზნესში; ნაციონალურ კონსენსუსამდე, რასაც ჯ. ს. მილი წინაპირობად მიიჩნევდა დემოკრატია-

ისტვის, ისეე ისე შორსაა, როგორც აქამდე. პოლიტიკური პოლარიზაცია და სახელმწიფოებრიობის სუსტი შეგრძნება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ისეე სერიოზული პრობლემებია.

საქართველოს რეგიონული გარემოცვა – ჩრდილოეთ საზღვართან რუსეთი და ჩეჩნეთი, – შიდა კონფლიქტები, ეკონომიკური ბლოკადა, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საბჭოური მემკვიდრეობის მუდმივი უარყოფითი ზემოქმედება ბარიერებად არიან აღმართული ქართული დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. საქართველოს ხელისუფლებას ეკონომიკური ლიბერალიზმის, მოდერნიზაციის და კულტურული აღორძინების გაბედული პროგრამები აქვს განსახორციელებელი, მაგრამ სიღარიბისა და უმუშევრობის დონე ისეე მიუღებლად მაღალია, და დემოკრატიაც დასუსტდა სახელმწიფოს მშენებლობის ვოლუნტარისტული სტილის მიზეზით, რომელიც გამორიცხავს ოპოზიციის არსებობას. შედეგად, საქართველო დადგა „ენდემური განხეთქილების“ (ეს ხოსე მოლინას სიტყვებია) ან არამდგრადობის წინაშე, რომელიც წარმოშვა მოსახლეობის გაუცხოებამ პოლიტიკური სისტემისგან.¹⁵⁰ 2011 წელი თუ წყნარი იყო, 2012 წლისთვის ამის გარანტია არ არსებობს.

თავი მათხსა

სახელმწიფო

საქართველოს სახელმწიფოებრიობას დიდი და არაერთგვაროვანი ისტორია აქვს. მაგრამ ამ ისტორიაში მუდმივად დომინირებდა სუსტი ცენტრი, კუთხური ნიშნით დაჯგუფება, ძლიერ სახელმწიფოებზე დამოკიდებულება და ელიტებს შორის პოლიტიკური უთანხმოებები, რომლებისთვისაც ლალატი, მსხვერპლად თავის შეწირვა და ცოდვების გამოსყიდვა იყო დამახასიათებელი. ისეთი ფრაზები, როგორც 90-იან წლების საქართველოზე ისმოდა, მაგალითად, „კეზისახელმწიფო“, „პარასახელმწიფო“ თუ „არშემდგარი სახელმწიფო“, შეიძლებოდა მისი არსებობის მანძილზე თითქმის ყოველი ეპოქისთვის გამოგვეყენებინა. უილიამ ედვარდ დევიდ ალენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველ „მსხვილ ერისთავ-ფეოდალთა“ გამარჯვებამ მონარქიაზე მე-15 საუკუნეში საქართველო „მარადიული მინიმალობისთვის“ განირა. ქართველებს სახელმწიფოს განვითარების საშუალება ტერიტორიულმა დაქუცმაცებულობამ, ძლიერმა სამეფო მმართველობამ და, შემდგომ, მე-19-20 საუკუნეში, ჯერ რუსეთის იმპერიაში და მერე საბჭოთა კავშირის იმპერიულ სტრუქტურებში გაერთიანებამ წაართვა. პოლიტიკური სახელმწიფოს სუბიექტებად ქცეულმა ქართველებმა ტრადიციებითა და ნათესაური ურთიერთობებით შექმნილ „მორალურ კანონს“ მიანიჭეს პრიორიტეტული მნიშვნელობა; სახელმწიფოს კანონები არ უნდა შესრულებულიყო ან მათთვის გვერდი უნდა ექციათ. ამავე დროს, უცხო ქვეყანაზე დამოკიდებულებამ და ბოლო ორასი წლის მანძილზე ეს უცხო ქვეყანა დიდად არ გამოირჩეოდა კანონის პატივისცემით, ჩაკლა სამოქალაქო საზოგადოება და მისი კავშირები ნაციონალურ პოლიტიკურ თემთან. შევარდნაძის სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგაც ქარიზმატული ლიდერი, რეგიონული ძალაუფლების ცენტრები, დაპირისპირებული ვასალები, პერიოდული შეირალებული ამბოხებები და ვასალურ ერთგულებაზე დაფუძნებული პირადი ლოიალობა შეადგენდა. სახელმწიფოს ვერც ადმინისტრაციული აპარატი და მისი საჯარო მოხელეები აკონტროლებდნენ და ვერც ხალხი და მისი წარმომადგენლები პარლამენტში; ეკონომიკაში ბატონობდა ის, რასაც ჯერემი ბენტამი „აგბედით ინტერესებს“ უწოდებს, ან – ძლიერი და გაუგებარი ჯგუფები. პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელიც ცდილობს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, აღი-

არა, რომ საქართველოში სახელმწიფო მმართველობის ძლიერი ტრადიციები არ არსებობს. 2005 წლის მაისში მან დაიტრახა, რომ ათასწლიანი ერთ ვართო, მაგრამ შემდეგ დაამატა, რამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოებრიობის ძლიერი ტრადიცია გვექონდა? საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმატებული გამოცდილება არასოდეს გააჩნდაო.¹

საქართველოს ინტელიგენცია, რამაც მე კულტურულ, სამეცნიერო და განათლებულ წრეებს ვგულისხმობ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში.² ქართველთა უმრავლესობა ვარაუდობდა, რომ ის წამყვანი ძალა იქნებოდა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. მაგრამ საბჭოთა განათლებამიღებული ელიტა კულტურის განვითარებაზე იყო ფოკუსირებული; მას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის რამენაირად ღირებული ნაციონალური მოძრაობა არ წარმოუშვია. ქართული ინტელიგენცია ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს ბენეფიციარი არ იყო და თავი არასდროს შეუნუხებია (ან რატომ უნდა შეე-ნუხებინა, ან როგორ) სახელმწიფოებრიობის საჭირობოროტო პრობლემებით თუ მოთხოვნებით. ინტელიგენციის ნანატრი დღე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მხოლოდ განთიადის რამდენიმე საათი აღმოჩნდა. მისი პოლიტიკური და სოციალური უპირატესობა საბჭოთა კავშირზე იყო მიბმული. გლობალურმა კაპიტალიზმმა ახალი ეკონომიკური რეალობის წინაშე დააყენა საქართველო, რომელმაც, ფაქტობრივად, გარიყა ინტელიგენცია. საქართველოს ლიტერატორებმა დაკარგეს კონტროლი ენაზე, იდეებსა თუ საჯარო სივრცეზე, რადგან საკუთრების ახალმა სისტემამ სტატუსისა და ძალაუფლების ღირებულებებს სხვაგვარი ფორმა მისცა. საქართველოს არ ჰყავდა საბაზრო ეკონომიკის მცოდნე ეკონომისტები, ახალი სისტემა ვერ უზრუნველყოფდა ხელოვნებისა თუ მეცნიერებათა აკადემიის სუბსიდირებას. პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის იდეალებით შთაგონებული ნყობილება, რომელიც კულტურული რენესანსის პერსპექტივითაც ხიბლავდა თავის მოსახლეობას, საქართველოში მაშინ შემოვიდა, როდესაც გლობალიზაციამ და სახელმწიფოს გაკოტრებამ ეს იდეები ზედმეტად ან განუხორციელებლად აქცია.

კონსტიტუციონალიზმი მმართველობის მთელი პროცესია. ის განსაზღვრავს პროცედურებს და ადგენს მონაწილეობის წესებსა და მექანიზმებს;³ მიუთითებს კონფლიქტის მოგვარების გზებზე, ადგენს სახელმწიფოსთვის შეზღუდვებს, ხელს უწყობს მოქალაქეობის განვითარებას და პოლიტიკურ კონსენსუსს შესაძლებელს ხდის. 1992-1993 წლებში, როცა საქართველო დაშლის პირას იყო, კონსტიტუცია გადარჩენის იმედებს იძლეოდა. საუკეთესო შემთხვევაში, ის დემოკრატიულ ხელისუფლებას ლეგიტიმაციას შესძენდა, დაასრულებდა საზოგადოებასა და „ხელისუფლების წარმომადგენელთა“ შორის ისტორიულ დისბალანსს და ბოლოს მოუღებდა 90-იანი წლების იმ სისტემას, რომელშიც უკანონო სამხედრო ფორმირებები, რე-

გიონების მძლავრი მმართველები და ყოფილი კრიმინალები ბატონობდნენ.

კონსტიტუციონალიზმი არ მართავდა სახელმწიფოს მშენებლობას საქართველოში (პრინციპში, რამდენიმე ქვეყნას თუ ჰქონდა ამის ფუფუნება). სამივე პრეზიდენტი სისტემური კოლფისის თუ ამბოხების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში. სამივეს მოუხდა სამხედრო ოპერაციების ჩატარება და ბრძოლა სეპარატიზმთან და მათგან ორი, გამსახურდიას გამოკლებით, დამოკიდებული იყო დასავლეთის ინსტიტუტების ეკონომიკურ დახმარებაზე. საქართველოს კონსტიტუციური მოდელები იმ ლიდერებისთვის იჭრებოდა, რომელიც წესრიგის დამყარების პირობას დებდა. კონსტიტუციის მოქნილობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდა სახელმწიფოებისთვის, მაგრამ საქართველოში კონსტიტუცია აღმასრულებელი ხელისუფლების დომინანტობის მისაღწევი იარაღი გახდა. გამსახურდიას თავს დატყუილი ტრაგედიის შემდეგ დასავლეთის ლიდერებმა შევარდნაძე – ისე, როგორც თავად ქართველებმა – ყველაზე საიმედო პირად მიიჩნიეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარებისთვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ აღადგინა ცენტრალური მმართველობა და მიაღწია ეკონომიკის სტაბილურობას, მან კანონის უზენაესობის დამყარება ვერ შეძლო. ფორმით კონსტიტუციური სისტემა სახურავიდან იყო აგებული, საძირკველი კი, პატრიმონიალური ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი კერძო გადანაწილებითა და განსაკუთრებული პრივილეგიებით. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში კრიმინალური ქსელები გაბატონდა. თავად შევარდნაძის ოჯახის წევრებმა კი ქვეყნის პრივატიზებაც მოახერხეს ნაწილობრივ. 2000 წლისთვის შევარდნაძე მისთვის ჩვეული წესებით მართავდა ქვეყანას; ის მისთვის ნაცნობ კადრებს ენდობოდა. 2000 წელს ცენტრალური ხელისუფლების მაღალჩინოსანთა 41% საბჭოთა პერიოდში მომსახურე თანამდებობის პირი იყო.⁴ მთავრობაში საქართველოს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა ჭრელი იყო, მას არც კოლექტიური იდენტობა გააჩნდა და არც პოლიტიკური გავლენა, ხოლო პარლამენტს ძალაუფლება ჰქონდა გამოცვლილი არაარჩევითი სამხარეო და რაიონული გაუბრუნატორებისა თუ გამგებლების მიერ. „ნესებზე“ გაუთავებლად მსჯელობდნენ, მაგრამ კლიენტელიზმი და ძალაუფლების არაფორმალური არხები, როგორც კეთრინ ვერდერი ამბობს, „უმართავი კოალიციები,“ ქართული პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშნებად რჩებოდა.⁵

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 2004 წლის თებერვალში ინიცირებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა (ცვლილებები ნაჩქარევად მიიღო პარლამენტმა) კიდევ უფრო ზერეღე გახადა საქართველოს სახელმწიფო სამართალი. ცვლილებები, რომლებიც თავდაპირველად შევარდნაძის ხანის გვიან პერიოდში იქნა შეთავაზებული, სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის რევოლუციური ტრიუმფირატისთვის შემუშავდა. სამივე სახელისუფლებო შტოებს ჩაუდგა სათავეში, სააკაშვილი და ჟვანია – ცენ-

ტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, ხოლო ბურჯანაძე - საკანონმდებლო ხელისუფლებას. ცვლილებების შედეგად შეიცვალა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, გერბი და დროშა, რომელზეც ახლა ქრისტიანული სიმბოლოებია დატანილი. პარლამენტში, მართალია, განხილეს საკითხი, რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ამ სიმბოლოებს საქართველოში მცხოვრებ არაქრისტიან რელიგიურ უმცირესობებზე, მაგრამ, საბოლოოდ, მხედველობაში არ მიიღეს. ძალაუფლებამ გეზი კანონმდებლებისგან აღმასრულებელი ხელისუფლებისკენ იცვალა და პრეზიდენტი განსაზღვრულ შემთხვევებში პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილებით აღიჭურვა. საკონსტიტუციო ცვლილებები შევარდნაძის პარლამენტმა დაამტკიცა, რომელიც იმ დროისთვის არალეგიტიმურად მიიჩნეოდა.⁶ როცა კონსტიტუცია სათანადოდ არ არის დაცული აღმასრულებელთა მხრიდან ჩარევისგან, კონსტიტუციონალიზმს საძირკველი ენგრევა.

საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის დამოუკიდებლობას აძლიერებს. ის არ უზრუნველყოფს ძალაუფლების განაწილებას. ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა ყოველთვის საზიანო არ არის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის. ცენტრალიზებული ძალაუფლება შეიძლება ძალზე აუცილებელიც იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების წარმატებისთვის გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში.⁷ შევარდნაძისთვის ფართო საპრეზიდენტო უფლებამოსილებების მინიჭება პოლიტიკური ფრაგმენტაციის პირობებში 90-იანების შუა წლებში შესაძლოა ქვეყანაში სტაბილურობის აღდგენის საუკეთესო გზა იყო. კორუმპირებული ინსტიტუტებისა და რეგიონებში გაბატონებული ძალების დასამარცხებლად პრეზიდენტებს ნამდვილად სჭირდებათ რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება. სააკაშვილი დიდ უფლებამოსილებებს საჭიროებდა ორგანიზებული დანაშაულის აღმოსაფხვრელად ეკონომიკაში. მაგრამ ამ ძალაუფლების საფრთხე ისაა, რომ მას შეუძლია დემოკრატიული ცვლილებების შეფერხება ქვემოთ. ხუან ლინცი ამტკიცებს, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი მიდრეკილია ძალაუფლების თავმოყრისკენ და რომ გათიშულ საზოგადოებებში, როგორსაც საქართველოში ვხედავთ, მას პოლარიზაციის, ჩიხში მომწყვდევისა და სუსტი ოპოზიციის საფრთხე მოაქვს და, ამასთან, უმცირესობათა გაუცხოებასაც იწვევს. უკეთესი იქნება თუ არა საპარლამენტო სისტემა საქართველოსთვის, საკამათო თემაა, თუკი ქართული პოლიტიკური პარტიების იოლად დაშლა-გაყოფას გავითვალისწინებთ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტის უარყოფითმა მხარეებმა დააჩქარა გამსახურდიას მეორე რესპუბლიკისა (ოქტომბერი, 1990 - იანვარი, 1992) და შევარდნაძის მეოთხე რესპუბლიკის დაცემა (1995-2003).⁸ სააკაშვილის დომინანტობამ მუხუთე რესპუბლიკის პერიოდში საპრეზიდენტო სისტემის მდგრადი პატერნი გამოამყლავა.

სააკაშვილის ეკონომიკური სტრატეგიისთვის სახელმწიფო ხელისუფლე-

ბა ცენტრალურია, რაც ზუსტად გამოხატა კიდევ თავის 2010 წლის საახალწლო მიმართვაში, როცა საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა ერთ ხელში თოხი ან კომპიუტერი, მეორეში კი იარაღი დაეჭიროთო.⁹ ის, თუ როგორ დაახასიათა მან 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო დემონსტრაციები, კერძოდ, „გადატრიალება, რომელიც გამოიწვევდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოშლას“, მიგვანიშნებს ბუნეკრის მენტალობაზე, სადაც ლეგიტიმურ ოპოზიციას ადგილი არ აქვს.¹⁰ 2009 წელს მან განაცხადა განახლებული ეკონომიკური რეფორმების გატარების შესახებ და აღნიშნა, რომ მათ სამხედრო შტაბივით მოუწევდათ მუშაობა.¹¹ მსგავსი მილიტარისტული რიტორიკა დადებით რეაქციას იწვევს ფუნქციონალური სახელმწიფოთი და გაუთავებელი ქუჩის გამოსვლებით გადაღლილ ქართველებში. სახელმწიფო, რომელიც საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეებს თავში წამოარტყამს, აუცილებლად არადემოკრატიული ან არაპოპულარული არ გახლავთ. საქართველოში პრობლემა უფრო ღრმა და ფართოა.

საკაკაშვილს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სახელმწიფოს ავტორიტეტის აღდგენა. 2006 წელს დედაქალაქის მთავარ მოედანზე წმ. გიორგის ძეგლის აღმართვა შეიძლება ახალი ხელისუფლების სიმბოლოდაც აღვიქვათ. გველეშაპის დამამარცხებელი წმ. გიორგი, როგორც ქაოსსა და დაუცველობასთან მებრძოლი ახალი ლიდერი. ამ ძეგლმა შეავსო მოედნის სივრცე, რომელიც იქ, 1991 წელს, ლენინის მონუმენტის დანგრევის შემდეგ წარმოიქმნა. ახალი ხელისუფლების ძალაუფლება ბევრ სხვა სივრცით გამოხატულებაშიც ირეკლება, როგორცაა, მაგალითად, სარკისებური მინის სამინისტროები თუ პოლიციის შენობები (თანამედროვეობისა და გამჭვირვალობის მანიშნებელი), საერთაშორისო დონის სასტუმროები (დინამიკურობისა და ზრდის მანიშნებელი); და ბაზრების დასაველური სავაჭრო ცენტრების ყაიდაზე გადაკეთება (ჩამორჩენილ „აღმოსავლეთზე“ უარის თქმა ცივილიზებული ევროპის სასარგებლოდ). დღესაც, როგორც ეს მე-19 საუკუნის საქართველოში ხდებოდა, მიყრუებულ რაიონებში რკინიგზისა თუ საავტომობილო გზების გაყვანა განიმარტება, როგორც ევროპული ტიპის სახელმწიფოებრიობის გამარჯვება, რომელიც იპყრობს სოფელს, ბიძგს აძლევს მოძრაობას (პროგრესს) და სახელმწიფოს ჰომოგენურობას უზრუნველყოფს.¹² სააკაშვილისთვის თბილისი ახალ ესთეტიკას განასახიერებს; ქალაქის შემოქმედებით სახეს და მის თვალისმომჭრელ პეიზაჟს ის მაგნიტივით იყენებს ინვესტიციების მისაზიდად; აღდგენა-განახლების დინამიკური სურათი ახალი ტიპის ნაციონალიზმს აკმაყოფილებს, რომელიც ახალგაზრდობასა და შემოქმედებითობას ეყრდნობა და არა ტრადიციასა და კულტურას.

მაგრამ, მიუხედავად უფრო ნათელი პოლიტიკური ფერებისა და დასაველური ღირებულებების არტიკულირებისა, საქართველოს ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემისკენ გადახრამ გაახანგრძლივა იმ მოდელის არსებობა, რომელშიც აღმასრულებელი ხელისუფლება სულ უფრო მეტად ფართოვდე-

ბა, ხოლო საზოგადოების როლი – კლებულობს. მართალია, რიგით მოქალაქეებს უკეთ ეტყევიან სასამართლოში, ვიდრე ეს შევარდნაძის პერიოდში ხდებოდა, მაგრამ როგორც კი საქმე, რომელსაც სასამართლო განიხილავს, ჩრდილს აყენებს ხელისუფლებას, ისინი მიკერძოებულობისა და ფავორიტობის წინაშე დგებიან. რეგიონები ისევე ძალაუფლების სუბნაციონალურ სისტემებს წარმოადგენენ, ანუ „ყავისფერ ზონებს“, სადაც მინიმალისტური სახელმწიფო გავლენიანი პროკურორებისა და გუბერნატორების მიერ იმართება.¹³ საქართველოს პარლამენტს ისევე ერთადერთი პარტია აკონტროლებს, რაც სუსტი ოპოზიციისა და სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების ერთმანეთში გადახლართვის შედეგია. სააკაშვილის რევოლუციის მიზანია საზოგადოებრივი თვითშეგნების გარდაქმნა, მაგრამ საქართველოს ახალი ეკონომიკური სისტემა და მუდმივი არაფორმალური სტრუქტურები პოლიტიკური ძალაუფლების ტრადიციულ უთანასწორობას ინარჩუნებენ.

საქართველოს ისტორიაში არც ერთი ლიდერი არ მოსულა ქვეყნის სათავეში კონსტიტუციური გზით (ალბათ, ნოე ყორდანიასა (1919) და ზვიად გამსახურდიას (1990) გარდა, მაგრამ ისინიც რევოლუციური ცვლილებების კონტექსტში მოვიდნენ ხელისუფლებაში). პირველი კონსტიტუცია საქართველომ 1921 წლის თებერვალში მიიღო, როცა მისი მთავრობა გადარჩენისთვის იბრძოდა. ქართული საბჭოთა 1922, 1927, 1927 და 1978 წლების კონსტიტუციები სამართლებრივი კარკასები გახლდათ.¹⁴ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გამსახურდიამ 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუცია „გაქართულა“ და, ფაქტურად, გააუქმა. თავად გამსახურდიას არაკონსტიტუციურად გაძევების შემდეგ საქართველოს ძირითად კანონს პირველი რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია წარმოადგენდა მცირე ხნით, ხოლო 1992 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ივნისამდე – კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. 1995 წლიდან მოყოლებული ორივე პრეზიდენტი, შევარდნაძეც და სააკაშვილიც, თავისუფლად ცვლიდნენ კონსტიტუციას. 2004 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივნისამდე საქართველოს კონსტიტუცია 25-ჯერ შეიცვალა.¹⁵ ორივე პრეზიდენტი „წარმატებით“ იყენებდა სუსტ საკონსტიტუციო სასამართლოს, გამოუცდელ ოპოზიციასა და აბსოლუტურ უმრავლესობას ერთპარტიულ პარლამენტში.

მრავალთენიკური რესპუბლიკა

1995 წელს მიღებულ ახალ კონსტიტუციაში განსაზღვრულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილების ფორმა და განმარტებულია უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპები. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი სადავო აღმოჩნდა. ქართველთა პატრიოტულ მკვებარა რიტორიკაში ქვეყნის უსაფრთხოებასა და საზღვრებთან დაკავშირებული დაუცველო-

ბის შეგრძნება იმალება. რეგიონალიზმი აჭარასა და სამეგრელოში, ირედენტიზმი ჯავახეთსა და მარნეულში, სეპარატიზმი აფხაზეთსა და ოსეთში ქართულ სახელმწიფოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკიდან (1918-1921) მოყოლებული დღემდე პრობლემებს უქმნიდა და სახელმწიფოს მშენებლობის სტრატეგიებზეც დიდ გავლენას ახდენდა. მარქსისტული იდეების გავლენის ქვეშ მოქცეულმა პირველი რესპუბლიკის მთავრობამ, რომელსაც საგარეო საფრთხეები არ აკლდა და შიდა ბრძოლებითაც იტანჯებოდა, უარი თქვა ფედერალისტური სახელმწიფოს შექმნაზე და ავტონომიის სტატუსი მიანიჭა აფხაზეთს, ბათუმისა და ზაქათალას ოლქებს (ეს უკანასკნელი აზერბაიჯანს გადაეცა 1921 წელს), სამხრეთი ოსეთი კი, დაპირებების მიუხედავად, ამ ავტონომიის გარეშე დარჩა.¹⁶ გამსახურდიამაც იმ პირველ მთავრობას მიბაძა: სამხრეთ ოსებს, როგორც საქართველოს „არამკვიდრ ხალხს“, არ ეკუთვნოდათ ავტონომია. ის შეიძლება გაუქმებულიყო და გაუქმდა კიდეც. ფედერალიზმის იდეის უარყოფა ეროვნული უმცირესობების ქართველებისადმი ერთგულებაში დაურწმუნებლობას ასახავდა.¹⁷

1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი მოქალაქეობის შესახებ (1993), რომელიც მოქალაქეობას ანიჭებდა საქართველოში დაბადებულ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად წარმომავლობისა.¹⁸ ამ კანონით საქართველოს მთავრობამ ძალზე კრიტიკულ პერიოდში სცადა დაედგინა ეროვნული განხეთქილებები, მიანიჭა რა უპირატესობა jus soli-ს, ანუ მოქალაქეობის მიღებას დაბადების ადგილის მიხედვით და არა jus sanguinis-ს, ეთნიკურ წარმომავლობაზე დაფუძნებულ სტატუსს, რომელსაც ადამიანი მშობლების მოქალაქეობის მიხედვით იღებს. საქართველოს კონსტიტუციაში მოცემულია მოქალაქეობის მრავლისმომცველი განმარტება. მოქალაქეობა უზრუნველყოფს ადამიანს სამოქალაქო უფლებებით, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა; სახელმწიფო ხელს უწყობს ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებას და უზრუნველყოფს მოქალაქის მიერ მშობლიური ენის გამოყენებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია ნაციონალიზაციის ინსტრუმენტიც არის, რომელიც ქართული ენისა და მართლმადიდებლური ეკლესიის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს. ქართველები შეჩვეულები არიან მრავალეროვნულ საზოგადოებას, მაგრამ უმრავლესობას მაინც ეთნო-ნაციონალური საზოგადოების სწამს. ეს შეუსაბამობა საქართველოს თითქმის ყველა მთავრობისთვის ნამდვილი გამოწვევა იყო. ის აშკარად ჩანდა საქართველოს პასპორტში ეროვნული რეკვიზიტების შენარჩუნების თაობაზე ცხარე დებატების მიმდინარეობისას 1998-1999 წლებში (რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, საბჭოთა პერიოდში ქართველმა ნაციონალისტებმა დაგმეს ეროვნული რეკვიზიტები, როგორც დისკრიმინაციული) და 90-იან წლებში ნაციონალისტური საზოგადოების გალაშქრება არაქართველებით დასახლებული მიწების რეფორმის წინააღმდეგ ამის დადას-

ტურება იყო. მაჰმადიანი მესხების რეპარტიაციაზე (მესხები თავიანთი სამშობლოდან, სამხრეთი ჯავახეთიდან შუა აზიაში მასიურად გადასახლეს 1944 წელს) უარის საჯარო გამოხატვა და საპროტესო დემონსტრაციები საქართველოს მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის შეთანხმების გაფორმების წინააღმდეგ „უცხო“ გავლენების გამო ქართველთა შემოფოტებას ასახავს. მათი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ, როგორც სახელოვან ერს (სახელმწიფოებრიობის მატარებელი ერი) და უმრავლესობას, ქართველებს განსაკუთრებული უფლებები აქვთ.¹⁹

შევარდნაძე, თავდაპირველად, ასიმეტრიული ფედერაციის შექმნას აპირებდა, რომელშიც აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთი ოსეთი და საქართველოს ცხრა ისტორიული მხარე შევიდოდა. მაგრამ საქართველოს, როგორც „ფედერალიზმზე დაფუძნებული“ ქვეყნის წარმოდგენა პარლამენტის წევრებს აღიზიანებდათ.²⁰ აფხაზური და ოსური სეპარატიზმის გამო ისინი საბჭოთა ფედერალიზმს ადანაშაულებდნენ. ის „სანამლაფი“ და „დამანგრეველი ფაქტორი“ იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.²¹ თუმცა, რაღაც ფორმით ტერიტორიული დეცენტრალიზაცია საჭირო იყო. საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლი ასე აღწერს საქართველოს: „საქართველო არის... ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო“, მაგრამ მე-3 მუხლი თავდაპირველად მოუთითებდა „ერთობლივ ფედერალურ ადმინისტრაციაზე“. ეს მუხლი გაქრა, თუმცა 2009 წლის ტექსტში მე-4 მუხლი ითვალისწინებდა, რომ პარლამენტის ზედა პალატა (სენატი) ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენელი იქნებოდა, როცა ხელისუფლება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“ აღადგენდა იურისდიქციას.²² აქ ნახსენები არ არის „ფედერალური“ ერთეულების კომპეტენციები. მსგავსი ორპარტიულობა შეინიშნება ეკლესიის როლთან დაკავშირებითაც. მე-9 მუხლით სახელმწიფო რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას აცხადებს, მაგრამ, ამავე დროს, აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის „განსაკუთრებულ მნიშვნელობას“ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. „სახელმწიფო“ ეკლესიებს სხვა კონსტიტუციებშიც ანიჭებს განსაკუთრებულ როლს, მაგალითად, დანიის კონსტიტუციაში. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი განამტკიცა კონკორდატმა ანუ კონსტიტუციურმა შეთანხმებამ, რომელიც 2002 წელს დაიდო ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან და რომლის ძალით საქართველოს ეკლესიას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა, ხოლო საეკლესიო პირები ჯარში სავალდებულო სამსახურისგან გაათავისუფლა.²³ 2011 წლის ივლისში საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით უმცირესობათა რელიგიურ ორგანიზაციებსაც მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და სხვა უფლებებიც.²⁴

საქართველოს კონსტიტუცია ნათლად არ განმარტავს ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებს, ამ საკითხს ის შესაბამის კანონმდებლობას უთმობს. გამგებლები და მერები მიანიც საპრეზიდენტო პატრონა-

უის სისტემის შემადგენლობაში არიან, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში 2005 წელს გატარებული რეფორმების შემდეგ მათი საარჩევნო ანგარიშვალდებულება გაიზარდა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო) სათანადოდ ვერ აკონტროლებს ადგილობრივ აღმასრულებლებს, ამიტომ გამგებელი და მისი საბჭო (გამგეობა) უფრო ფეოდალურ წარმონაქმნს ჰგავს, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლების უწყებას. ქვეყანაში არასდროს სურდათ ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. 1995 წლისთვის, როდესაც კონსტიტუცია მიიღეს, საქართველოს უკვე „დაკარგული ჰქონდა“ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი და ქართველები შიშობდნენ, რომ ერთ დღეს სომხები და აზერბაიჯანლებიც მოითხოვდნენ იმ კუთხეების გამოყოფას საქართველოდან, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ ანუ ჯავახეთისა და ქვემო ქართლის. კონსტიტუციის 38-ე მუხლი ხაზს უსვამს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას, მაგრამ, ამავე დროს, გაფრთხილებას იძლევა, რომ ეს არ უნდა ენიანაღმდეგებოდეს საქართველოს სახელმწიფო ნეობილებას. ადამიანთა ჯგუფის უფლებებს საქართველოს კონსტიტუცია არ ცნობს (ლიბერალური კონსტიტუციებისთვის ეს უჩვეულო არ არის), მაგრამ აფხაზური აღიარებულია სახელმწიფო ენად აფხაზეთში (მუხლი 8). კონსტიტუცია საქართველოს სხვა დანარჩენი ეროვნული უმცირესობებისთვის არ ითვალისწინებს კონკრეტულ უფლებებს მათი მშობლიური ენის გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერატში ორი ადგილი განკუთვნილია აფხაზეთის და აჭარის თითო წარმომადგენლისთვის, მაგრამ ადრინდელი ინიციატივა იმის შესახებ, რომ დეპუტატს თავის მშობლიურ ენაზე საუბრის უფლება ჰქონოდა პარლამენტში (ამ უფლებას 1921 წლის კონსტიტუცია ანიჭებდა), ჩავარდა. მსგავსი უმოქმედობა, რასაც აჭარისთვის ავტონომიის საკმაოდ ეფექტურად ჩამორთმევა დაერთო 2004 წლის მაისში ასლან აბაშიძის გაძევების შემდეგ, სავარაუდოდ, არაქართველებს მთავრობის მიმართ ვერ განაწყობს.²⁵ თუ სააკაშვილი აცხადებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება რეგიონებში კორუფციას აკონტროლებს, არაქართველები ასეთ განცხადებებს მათ დამოუკიდებლობაზე შეტივად აღიქვამენ.

ყველაზე დღევრძელი მრავალეთნიკური დემოკრატიები ფედერალური წყობისაა, თუმცა ფედერალიზმი ნამდვილად არ არის საქართველოს პრობლემების გადაჭრის გზა. (ის მიუღებელია აფხაზებისა და ოსებისთვის და, გარდა ამისა, შეუძლია ახალი პრეტენზიების გაჩენას შეუწყოს ხელი სამცხე-ჯავახეთიდან).²⁶ სააკაშვილის მთავრობამ ფედერალური მოწყობის ჩარჩოები შესთავაზა სამხრეთ ოსეთს და სამი პროგრამა შეიმუშავა მისი ავტონომიისთვის. პირველი პროგრამის კონტურები სააკაშვილმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, 2004 წლის სექტემბერში, შემოხაზა, მას შემდეგ, რაც იმ წლის ზაფხულში გაუბედავად შეეცადა სამხრეთი ოსეთის ძალით შემოერთებას. ამ პროგრამას ორი ახალი წინადადება მოყვა 2005 წლის იანვარსა და ოქ-

ტომბერში. სამივე ინიციატივით ამ რეგიონს პოლიტიკური ავტონომია და პარლამენტის არჩევის უფლება ენიჭებოდა, ადგილობრივ დონეზე არჩეულ „გუბერნატორს“ (მეთაურს) თანასწორუფლებიანი პოლიტიკის გატარების საშუალება ეძლეოდა და ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, საქართველოს პარლამენტში, კვოტაც ნესდებოდა ოსი დეპუტატებისთვის. საქართველოს ძაიკრობის ინიციატივაზე, ისევე როგორც ევროკავშირისა და ეუთოს მიერ შემუშავებულ სქემებზე, ოსეთის ხელმძღვანელობამ, რომელსაც ზურგს რუსეთი უმაგრებდა, უარი თქვა და თავისი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა 2005 წლის დეკემბერში.²⁷ დიტერ ბოდენის, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის (1999-2002) მიერ შემუშავებული გეგმა აფხაზეთისთვის (საქართველოს მთავრობამ ეს გეგმა მოინონა) სახელწოდებით, „უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები თბილისსა და სოხუმს შორის“, ე.წ. „ბოდენის დოკუმენტი“, აფხაზეთის ხელმძღვანელობისთვის, ისე როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა. 2008 წლის ომამდე აფხაზეთის მთავრობა თანაბარი სუბიექტების საერთო სახელმწიფოს შექმნას ითხოვდა.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „სახელმწიფოები“ დე ფაქტო 18 წელზე მეტია, რაც არსებობს. დე იურედ მათი დამოუკიდებლობა რუსეთმა აღიარა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ერთი მათგანი არ არის დამოუკიდებელი რეალურად. აფხაზეთისა და ოსების უმეტესობა ახლა რუსეთის პასპორტების მფლობელია. როგორ უნდა მოგვარდეს ეს კონფლიქტები საბოლოოდ, ჯერ გაურკვეველია, მაგრამ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება მოითხოვს პოლიტიკური სუვერენიტეტის ხელახალ შეფასებასა და ნდობის აღდგენას საქართველოში და კონსოლიდირებულ დემოკრატიას რუსეთში. ამ ეტაპზე, საერთაშორისო თანამეგობრობის როლის რეანიმაცია (ყენევის პროცესში უკვე წლებია, რაც პროგრესი არ შეიმჩნევა) და რუსეთის სამხედრო ოკუპაციის დასრულება ნაკლებად მოსალოდნელია. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად რომ გამოსწორდეს კიდევ, აფხაზეთისა და ოსებისთვის სტიმული მაინც არ არსებობს საქართველოში რეინტეგრაციისთვის. საქართველოს განვერიანება ევროკავშირში, შესაძლოა, რაღაც ფორმით ქვეყნის გაერთიანების მასტიმულირებელი ფაქტორი გახდეს, მაგრამ კვიპროსის მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ არც ეს იქნება საკმარისი.

საპარზიღენტო რესპუბლიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საპარლამენტო სისტემას წარმოადგენდა, რომლის მთავრობის მეთაურს წარმომადგენლობითი ორგანო ირჩევდა მაქსიმუმ ორი წლის ვადით.²⁸ 1989 წლის ოქტომბრიდან 1991 წლის


მაისამდე ზვიად გამსახურდია საპარლამენტო რესპუბლიკას ედგა სათავეში, ხოლო 1992 წლიდან 1995 წლამდე საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით პარლამენტის თავმჯდომარედ შევარდნაძე აირჩიეს (თუმცა, ამავე დროულად, ის „სახელმწიფოს მეთაურიც“ იყო). პირველ წლებში შევარდნაძე პარლამენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და მას ვეტოს უფლება არ ჰქონდა. 1995 წელს გადაწყდა, რომ ძლიერი აღმასრულებელი პოლიტიკური ორგანო შექმნილიყო. ამ გადაწყვეტილებაზე 26 პარტიისგან შემდგარმა ქმედუნარო პარლამენტმა იქონია გავლენა, ისევე როგორც ხელისუფლებაში წარმოქმნილმა ვაკუუმმა და ძველი საბჭოთა ნომენკლატურის დაბრუნებამ მმართველობაში. როგორც ჯერალდ ისთერი ფიქრობს, ქვეყნის ყოფილი ელიტებისთვის საპრეზიდენტო სისტემა უკეთ უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსებზე ხელმისაწვდომობას.²⁹ ამ სისტემას პრაქტიკული ღირსებაც აქვს: 1992-1995 წლების პარლამენტი ქაოტური იყო, რეგიონული ქსელები ცენტრალურ ხელისუფლებას პროგრამების განხორციელების საშუალებას არ აძლევდა. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საპრეზიდენტო სისტემას წინ აღუდგა, რესპუბლიკური პარტია იყო. მისი წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ სისტემა ერთპიროვნულ მმართველობაში გადაიზრდებოდა. ისინი მართლები იყვნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოში არც საპარლამენტო სისტემა მუშაობდა სათანადოდ 1989-1991 და 1992-1995 წლებში. მან ვერ შეძლო კოჰერენტული ოპოზიციისა და სტაბილური მთავრობის შექმნა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, – სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური ქაოსის პირობებში. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას საპრეზიდენტო სისტემა უკეთეს არჩევანად ესახებოდა.

შევარდნაძის საპრეზიდენტო სისტემაში (1995-2003), პარლამენტი იურიდიულად უფლებამოსილი იყო, შეეზღუდა აღმასრულებელი ხელისუფლება. კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიხედვით, „პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“ და „კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას.“³⁰ ის, აგრეთვე, უფლებამოსილი იყო განეხილა და დაემტკიცებინა პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული კანდიდატები გარკვეულ თანამდებობებზე; აერჩია პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც ადგენს საკანონმდებლო პროგრამას; მოენჯია თანამდებობის პირები მოსმენებზე, მათ შორის, პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირებიც და კითხვით მიემართა მათთვის; 48 საათში დაემტკიცებინა პრეზიდენტის გადაწყვეტილება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. ამასთან, ყოველი ახალი კანონპროექტი განიხილებოდა საპარლამენტო კომიტეტებში. საპარლამენტო კომიტეტს, ისევე როგორც ცალკეულ დეპუტატებსა და საპარლამენტო ფრაქციებს, ახალი პროექტების ინიცირების უფლებაც ჰქონდა და ცვლილებების შეტანაც შეეძლო მოქმედ კანონებში. პარლამენტის წევრებს ფართო იმუნიტეტი იცავდა. მათ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყებაც შეე-

ძლივთ ხმათა ორი მესამედით, იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო თავისი დასკვნით დაადასტურებდა, რომ პრეზიდენტის ქმედებაში სახელმწიფო ლალატის ნიშნები იყო ან საკონსტიტუციო სასამართლო გამოიტანდა დასკვნას, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია.

2004 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, საქართველო ნახევრადპრეზიდენტო მოდელისკენ გადაიხარა, რომელშიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ქვეყნისა და მთავრობის მეთაურები ახორციელებენ. ახალი პრემიერ-მინისტრი პარლამენტის წინაშეა ვალდებული, ხოლო პრეზიდენტი - ამომრჩევლების წინაშე; პრეზიდენტი ქვეყნის მეთაურია და არა მთავრობის. თეორიულად, ამ ცვლილებებით გაიზარდა კაბინეტისა და პარლამენტის უფლებამოსილებები, მაგრამ რეალურად კაბინეტი პრეზიდენტის დანამატ ერთეულად იქცა, ხოლო პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია შეიზღუდა პრეზიდენტის პეროგატივებით (იხ. სქემა). დღევანდელი კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს უფლება აქვს, უხელმძღვანელო მთავრობის სხდომებს და შეადგინოს დღის წესრიგი; მას შეუძლია, დაითხოვოს მთავრობა მთელი შემადგენლობით ან გაათავისუფლოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და უშიშროების მინისტრები; მას შეუძლია, გააუქმოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება, თუ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში მოდის მის „ნორმატიულ აქტებთან“. პარლამენტს მხოლოდ სამი მეზუთედის უმრავლესობით შეუძლია მთავრობის დათხოვნა, მაგრამ ამის შემდეგ ის თავად აღმოჩნდება პრეზიდენტის მხრიდან დათხოვნის საფრთხის წინაშე. როგორც ერთ ანგარიშშია ნათქვამი, „მთავრობა, არსებითად, პრეზიდენტის სათათბირო ორგანო და მისი გადაწყვეტილებების აღმასრულებელია“.³¹ საქართველოს მთავრობის სისუსტე პრემიერ-მინისტრებისა და მინისტრების სწრაფ ცვლაში აისახება. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, 1995 წლიდან 2003 წლამდე, საქართველოს მხოლოდ ხუთი სახელმწიფო მინისტრი ჰყავდა (სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობდა მთავრობას); სააკაშვილმა ექვსი პრემიერ-მინისტრი გამოცვალა 2003 წლიდან 2009 წლამდე ანუ საშუალოდ ერთი ყოველ წელს.

განსხვავებით 1995 წლის კონსტიტუციისგან, რომელიც პარლამენტის პეროგატივად არჩევნების დანიშნავს განსაზღვრავდა, ახლა პრეზიდენტი ნიშნავს არჩევნებს და, მართალია, ის ექსკლუზიურად აღარ აკონტროლებს ბიუჯეტის ფორმირებას (მთავრობასთან ერთად ადგენს), ბიუჯეტის შესრულებაზე ზედამხედველობის უფლება პარლამენტს ჩამორთმეული აქვს. 2004 წლამდე პარლამენტს შეეძლო, უარი ეთქვა ბიუჯეტის დამტკიცებაზე. ახლა, თუ ის არ დაამტკიცებს ბიუჯეტის პროექტს, პრეზიდენტი უფლებამოსილია, დეკრეტით დაამტკიცოს ბიუჯეტი ან დაითხოვოს პარლამენტი, თუ ეს უკანასკნელი სამ თვეში არ დაამტკიცებს ბიუჯეტს (მუხლი 93, პარ. 3 და 6). პრეზიდენტი ისევ ნიშნავს უზენაესი სასამართლოს წევრებს (პარლამენტი ამტკიცებს) და დომინირებს თანამდებობების გადანაწილებაში



საქართველოს საპრეზიდენტო სისტემა, 2004-13 წლები

საკონსტიტუციო სასამართლოსა და შეიარაღებულ ძალებში. 1997 წლის სასამართლო რეფორმა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით ტარდებოდა, მაგრამ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელსაც სასამართლო სისტემის რეგულირება ევალებოდა და რომელსაც პრეზიდენტი ჩაუდგა სათავეში, აღმასრულებელი ხელისუფლება გააძლიერა. მოგვიანებით, მართალია, სააკაშვილმა უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი შეცვალა და პრეზიდენტი იქიდან გაიყვანა, მაგრამ არაპირდაპირი გზით, საბჭოს წევრების შერჩევაში ფარული მონაწილეობით, ის მაინც ინარჩუნებს ძლიერ გავლენას მოსამართლეებსა და მათ დანიშვნაზე.

პრეზიდენტი საკმაოდ ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებით სარგებლობს; მას კანონის ინიცირების უფლება აქვს ნებისმიერ დროს, პარლამენტის სამუშაო გრაფიკის მიუხედავად (ამის უფლება აშშ-ს პრეზიდენტს არ აქვს), და მისი კანონპროექტები პარლამენტის მიერ რიგგარეშე განიხილება. მას შეუძლია რეფერენდუმის ჩატარება და პარლამენტის საგანგებო სესიის მოწვევა. პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებს, ბრძანებებს და დეკრეტებს.³² ამ უკანასკნელს კანონის ძალა აქვს საგანგებო მდგომარეობის დროს (რაც განსაზღვრული არ არის) და არ ექვემდებარება საპარლამენტო გადასინჯვას. და მაინც, აღმასრულებელთა ბრძანებები პოლიტიკური კურსის უფრო დაბალი მნიშვნელობის ინსტრუმენტებია პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებთან შედარებით. პრეზიდენტს გაცილებით ეფექტურად შეუძლია იმოქმედოს კადრებზე კონტროლით.

1995 წლიდან მოყოლებული საქართველოს თითქმის ყველა პარლამენტი სუსტია. დღეს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხმათა სამი მეხუთედი შეგროვდეს პრეზიდენტის კანონზე ვეტოს დასაბრუნებლად ან ორი მესამედი – პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად. კანონპროექტების უმეტესი ნაწილი პრეზიდენტის და მისი მთავრობის ინიცირებულია (დაახლოებით 80%-ს შეადგენდა 2003 წელს).³³ შევარდნაძის პრეზიდენტობისას პარლამენტმა, რიგ შემთხვევაში, არ დაამტკიცა პრეზიდენტის შეთავაზებული კანდიდატები თანამდებობაზე და რამდენიმე კორუმიპირებული მინისტრის იმპიჩმენტიც დაიწყო.³⁴ დღეს კი, პრეზიდენტის ძალაუფლება პარლამენტსა და კონსტიტუციაზე უპრეცედენტოა. მისი ფორმალური ძალაუფლებისთვის ქება-დიდებას არ იმურებენ პატივისმცემელი დეპუტატები და უძლიერი მოსამართლეები. სააკაშვილის დროს საქართველო „სუპერსაპრეზიდენტო“ რესპუბლიკად იქცა.

2013 წელს სიტუაცია ისევ შეიცვლება. ძალაში შევა ახალი კონსტიტუცია, რომელიც შეკვეცავს პრეზიდენტის ძალაუფლებას პრემიერ-მინისტრისა და მისი კაბინეტის სასარგებლოდ. პრემიერ-მინისტრი, რომელიც სახელმწიფოს ჩაუდგება სათავეში, პასუხისმგებელი იქნება საგარეო და სამინაო პოლიტიკაზე. პარლამენტის საზედამბებლო ფუნქციები მთავრობაზე თუ ბიუჯეტის შესრულებაზე კვლავ შეზღუდული იქნება. მაგალითად, პრემიერ-მინისტრს უფლება ექნება გამოცვალოს მთავრობა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

მართალია, საქართველოს დეპუტატებს შეეძლებათ ნდობის საკითხის აღძვრა, მაგრამ ეს იმდენად გაჭიანურებული და რთული პროცესია, რომ 130 დღე სჭირდება. არსებითად, კონსტიტუცია გეზს იცვლის სუპერ-საპრეზიდენტოდან სუპერპრემიერ-მინისტრის ინსტიტუტისკენ.³⁵ თუმცა, საბოლოო ჯამში, სისტემის სხვა მდგენელები თუ არ გამოსწორდა, მაგალითად, სასამართლო, არჩევნები და მედია, საპარლამენტო სისტემა, თავისთავად, ბევრს ვერაფერს შეცვლის. სხვა დამატებითი დაბრკოლებები კონსტიტუციის შეცვლის გზაზე არ არსებობს, თუმცა 2011 წლის დეკემბერში მთავრობა შემოვიდა ინიციატივით, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საკმარისი უმრავლესობა სამ მეოთხედამდე გაეზარდათ.³⁶

ლიბერალური რესპუბლიკა

ნებისმიერი კონსტიტუციური სახელმწიფოსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონის უზენაესობას და სამოქალაქო უფლებების დაცვას, „ეს საძირკველია, რასაც დემოკრატიის ხარისხის ნებისმიერი მახასიათებლები ეყრდნობა.“³⁷ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად ადამიანის უფლებებს ეხება, მათ შორის, სამოქალაქო უფლებებს და მას გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის დიდი გავლენა ეტყობა. მეორე თავი კონსტიტუციის 109 მუხლიდან 35-ს შეიცავს. კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ თუ საქართველო ხელშემკერელი მხარეა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციების, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შედარებით. ამავე დროს, საქართველოს მის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით აღმასრულებელ ხელისუფლებას განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ანიჭებს. მაგალითად, ცენზურა დასაშვებია, თუკი ტერიტორიული მთლიანობას ექმნება საფრთხე; იკრძალება გაერთიანებები, თუ მათი მიზანი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების შეცვლაა; დაითხოვება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, თუ ისინი „საფრთხეს შეუქმნიან“ ქვეყნის სუვერენიტეტს და დაიშლება შეკრება, თუ მას „დანაშაულებრივი სახე“ აქვს.³⁸

მსგავსი ორაზროვანი ფორმულირებები ძალზე დიდ მნიშვნელობას სძენს ქართულ სასამართლოს. ფორმალურად, სასამართლო სისტემა დეპოლიტიზებულია და მისი საქმიანობა მეტად გამჭვირვალეა (სასამართლოს სხდომები ღიაა საზოგადოებისთვის). მოსამართლე 10 წლით ინიშნება და მას ძლიერი იმუნიტეტი იცავს. კონსტიტუციით იკრძალება სპეციალური სასამართლოებისა და ტრიბუნალების შექმნა. 1997 წელს სასამართლო სისტემის რეფორმირების კონტექსტში შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საბჭოს წევრებს ირჩევენ პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი

სასამართლო. შეიძლება ითქვას, რომ საბჭომ დაასრულა იუსტიციის სამინისტროს ბატონობა სასამართლოზე და, თეორიულად მინც, სასამართლო სისტემის თვითრეგულაციის შესაძლებლობა შექმნა. პროკურატურა, რომელიც ადრე საბჭოთა კავშირის აღმასრულებელი ხელისუფლების განშტოება იყო და სიხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებდა და კანონის შესრულებას ზედამხედველობდა, 2006 წლის რეფორმის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. მთავარი პროკურორი აღარ აკონტროლებს სასამართლოებს; მას არ აქვს ჩხრეკის უფლება სასამართლოს ბრძანების გარეშე და ველარც უზენაესი სასამართლოს მოსმენებს ესწრება. მის საფინანსო ოპერაციებს კი პარლამენტისადმი ანგარიშვალდებულები კონტროლის პალატა ზედამხედველობს. ამასთან, გენერალურ პროკურორს იუსტიციის მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე ნიშნავს პრეზიდენტი. თუმცა, კანონმდებლობის ეს ნორმები ბევრს ვერაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს გენპროკურორი სინამდვილეში. ის კვლავ ზედამხედველობს სამხედრო და სატრანსპორტო სისტემების პროკურორთა ქსელს რაიონულ და სამხარეო დონეებზე. როგორც უამრავი ქართველი პრაქტიკოსი იურისტი ამბობს, მთელი საქართველოს სასამართლოები ისევე გავლენიანი პროკურორების კონტროლქვეშ არის. მოსამართლეები თითქმის არასდროს ცნობენ უდანაშაულოდ ბრალდებულებს. საქართველოს ყოფილი სახალხო დამცველი (2004-2009), სოზარ სუბარი, პროკურატურას „მინისტრს“ უწოდებს პრეზიდენტისადმი მიწერილ ღია წერილში და ეუბნება მას, რომ პროკურატურა ერევა და გადაწყვეტილებას იღებს უკვე თითქმის ყველა სფეროში.³⁹

თუ გენერალური პროკურორი არაადეკვატურია, მაშინ ისეთ ურთიერთმოქმედ ინსტიტუტებს, როგორებიცაა უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო და სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატი, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას ზედამხედველობენ, უნდა შეეძლოთ სამოქალაქო თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა. უზენაესი სასამართლო საკასაციო ინსტანციაა; მისი შემადგენლობის 19 მოსამართლე სააპელაციო სასამართლოების სარჩელებს განიხილავს, თუმცა პირველი ინსტანციის საქმეების მოსმენაც შეუძლია. 1997 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად შეწყდა შიდა საჩივრების განხილვა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით; ასევე აიკრძალა მომჩივანთა უფლება, დამოუკიდებლად შეხვედროდნენ მოსამართლეებს, რაც პოტენციურად კანონისგან თავის დაძვრების საშუალებას წარმოადგენდა. საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, ორგანიზაციებს, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს და პრეზიდენტს. მისი ფუნქციაა, დაიცვას მოქალაქეთა კონსტიტუციური

უფლებები და განიხილოს დავა კომპეტენციების თაობაზე სახელმწიფო ორგანოთა შორის. 2007 წლის ივლისში საკონსტიტუციო სასამართლო ქალაქ ბათუმში გადაიტანეს ძალაუფლებათა დაფანტვის მიზნით, მაგრამ ამის შედეგად მოქალაქეთა სარჩელების რაოდენობამ მკვეთრად იკლო.⁴⁰ სახალხო დამცველს პარლამენტი ხუთი წლის ვადით ირჩევს და მიუხედავად მისი „რბილი ძალისა“, მას არ შეუძლია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მას მხოლოდ „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებზე“ მონიტორინგისა და ანგარიშის წარდგენის უფლება აქვს.⁴¹ სოზარ სუბარი შეზღუდული იყო თავის საქმიანობაში მწირი დაფინანსებისა (მისი ბიუჯეტი ძალოვანი სამინისტროების ბიუჯეტებთან შედარებით ერთ ადგილზე იყო გაყინული) და პარლამენტის მისდამი მტრული დამოკიდებულების გამო.⁴² აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განმზახორციელებელი პარლამენტის არარსებობა საქართველოს სამოქალაქო უფლებათა დაცვის სისტემის მთავარი სისუსტეა. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში მიაჩნებდა პატიმართა წამებაზე საპატიმროებში, რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციაზე, თანამდებობის პირთა დაუსჯელობაზე, ქონების უკანონოდ ჩამორთმევაზე და ფარულ სატელეფონო მოსმენებზე (მოსასმენი აპარატი, სავარაუდოდ, მის აპარატივში იყო დამონტაჟებული). სახალხო დამცველს დიდი გავლენა აქვს საშინაო პოლიტიკაზე, რადგან მას შეუძლია მთელ მსოფლიოს შეატყობინოს ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. საზოგადოების მხარდაჭერა და პატიოსანი ადამიანის რეპუტაცია მტკიცე ძალას ანიჭებს მას, მაგრამ 2004-2009 წლების განმავლობაში მისი რეკომენდაციების მხოლოდ დაახლოებით 13%-ს მიაქცია პროკურატურამ ყურადღება.⁴³ 2009 წლის ივლისში, სახალხო დამცველის შესახებ კანონში შესული ცვლილებით სახალხო დამცველი გაეროს წამების სანიშნაობის კონვენციის ფაქულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს ასრულებს. იგი ამომწებს და ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას პენიტენციურ სისტემასა და პოლიციაში.

სახელმწიფო ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას და ერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში. შევარდნაძის დროს კორუფცია იყო ამაში დამნაშავე, ხოლო სააკაშვილის მთავრობა დისციპლინირებული სახელმწიფოს შექმნით იმართლებს თავს. 2004 წლის იანვარში, პრეზიდენტად გახდომამდე, სააკაშვილმა განცხადა:

„მე ვურჩიე, როგორც მომავალმა პრეზიდენტმა, ჩემს კოლეგას, იუსტიციის მინისტრს, რომ ციხეში ბუნტის ნებისმიერი მცდელობისას... გამოიყენონ ძალა და ბუნტის ნებისმიერი მცდელობისას გახსნან ცუცხლი და ადგილზევე გაანადგურონ ყველა ის კრიმინალი, რომელიც შეეცდება სიტუაციის არევას.“⁴⁴

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი საჯაროდ აცხადებდა სამოქალაქო უფლებების დაცვის შესახებ, კანონი დაბრკოლებების ჩამოშორების მოდერნიზებული იარაღი გახდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რის წინააღმდეგ იქნებოდა ის გამოყენებული, ორგანიზებული დანაშაულის, „კორუმპირებული“ მენარმეებისა თუ საპროტესტო დემონსტრაციების წინააღმდეგ. პოლიცია, ჯარი და პროკურატურა რჩეული ინსტრუმენტებია. როგორც სამუელ ჰანთინგტონი ამტკიცებს, კანონის გამოყენებისას „კულტურას მნიშვნელობა“ აქვს.⁴⁵ კანონი ქვეყნის პოლიტიკური კულტურის ნაწილია, საქართველოში კი მისი გამოყენების პრაქტიკა განსაზღვრულია ხელისუფლებისადმი მოწინებით და სახელმწიფოსადმი უნდობლობით. 2006 წლის გამოკითხვაში საქართველოს მოქალაქეთა 57.4% იწონებდა ნესრიგის დაცვის იდეას და 4.4% სიტყვის თავისუფლებას ანიჭებდა უპირატესობას; გამოკითხულთა 57% არ ენდობოდა ხელისუფლებას, ხოლო 50.5% – სასამართლო სისტემას.⁴⁶ იურისტთა უფრო მაღალ პროფესიონალიზმს, პოლიციის თანამშრომელთა და საჯარო მოხელეთა უკეთეს მომზადებას და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ხელის შეწყობას შეიძლება ხალხში კანონის რეპუტაცია ამაღლებინა, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები 2006 წელს აღნიშნავდნენ, რომ ადამიანის უფლებები საქართველოში მასიურად ირღვეოდა. მათ მოსაზრებას გაეროს 2005 წლის ანგარიში უმაგრებდა ზურგს.⁴⁷ როგორც სოზარ სუბარი ამბობდა, 2004-2008 წლებში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრების რიცხვი 340 პროცენტით გაიზარდა და თითქმის ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხებოდა.⁴⁸

ქრისტოფერ უოთერსი თავის ნაშრომში საქართველოს სამართლებრივ გარემოს შესახებ აღნიშნავს, რომ კანონს თავისი საზღვრები აქვს საქართველოში: მას ძირს უთხრის არაფორმალური ან არასახელმწიფოებრივი „კანონის“ ტრადიციებიო. სუბარი საუბრობდა თავის ღია წერილში „ნეოკორუფციაზე“, სისტემაზე, რომელშიც ელიტებს „სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ ოფიციალური სტრუქტურები, ვინც უნდათ, მოხსნან, დაიჭირონ, გაუჩირონ ბიზნესი, დაუნგრინონ, წაართვან, აუკრძალონ, დაუყადალონ და ა.შ.“⁴⁹ ასეთი მძიმე ბრალდებები უოთერსის სიტყვებს გვაგონებს: „დასავლური თეორიები კანონისა და პროფესიის შესახებ ვერ უთავსებდა ქართულ გამოცდილებას... ქართული გამოცდილება... შეფერილია განსაკუთრებული სამართლებრივი წარსულით, არაფორმალური კანონებით და სამართლისა და იურიდიული საქმიანობის მიმართ დამოკიდებულებით.“⁵⁰

საპარლამენტო არჩევნები

საქართველოს პარლამენტარიზმის მცირე გამოცდილება აქვს. შეიძლება ითქვას, რომ წარმომადგენლობით მთავრობასთან საქართველოს ნაცნობობა რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ათწლეულის და პირველი რესპუბლიკის დროს შედგა, განსაკუთრებით ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეზე, თუმცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება 1918 წლამდე საკმაოდ შეზღუდული იყო. საბჭოთა კავშირის დროს, საქართველომ ოთხი კონსტიტუცია გამოიცვალა და პარლამენტიც ჰქონდა, მაგრამ კანონმდებლობა არ უვარგოდა და კანონმდებლებიც არ ჰყავდა თავისუფალი არჩევნების წესით არჩეული. გამსახურდიას არჩევის შემდგომ, 1990 წლის შემოდგომიდან დღემდე საქართველოში ექვსი მოწვევის პარლამენტი მუშაობდა;⁵¹ მათგან სამის უფლებამოსილება (1991, 2003 და 2008) ან გადატრიალებისა და „რევოლუციის“, ან მასობრივი პროტესტების გამო შეწყდა.

წარმომადგენლობითი პარლამენტის არჩევა განპირობებულია საარჩევნო კანონმდებლობით, საარჩევნო პროცესის სამართლიანად ჩატარებითა და ქმედითი კანონმდებლებით, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ამომრჩეველთა წინაშე და მზად არიან მათთან საურთიერთოდ. 1990–2010 წლებში ქართველებმა შეიდ საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა (მათ შორის, იმ მოწვევის პარლამენტის, რომლის უფლებამოსილება 2003 წლის ნოემბერში შეწყდა), მაგრამ მხოლოდ ორს მოჰყვა ხელისუფლების შეცვლა (1990 და 2004 წლებში; იხ. მეორე ცხრილი რომელიც გიჩვენებთ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებს). როგორც წესი, მმართველი პარტია ადგილების უმრავლესობას იკავებს პარლამენტში. 1990 წლიდან საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, როგორც წესი, მშვიდად მიმდინარეობდა, თუმცა ხშირად ბოიკოტსაც უცხადებდნენ (1990, 1992, 1995 და 2008 წლები), საარჩევნო სისტემაზე არ იყო უნაკლო და შედეგებიც ყალბდებოდა. 1990 წელს ეროვნულმა კონგრესმა გამოუცხადა ბოიკოტი პარლამენტს; 1991 წლის აგვისტოში, მოსახლეობის 30%-მა, რომელმაც კომუნისტებს მისცა ხმა, თავისი წარმომადგენლები დაკარგა პარლამენტში, ისინი გააძევეს წარმომადგენლობითი ორგანოდან; 1995 წელს, მოსახლეობის 61%-მა ხმა მისცა პარტიებს, რომლებმაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს. საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა (მოქკავშირი) 23%-ით ადგილების 2/3 მოიპოვა. 1999 წელს კი, დაკარგულ ხმათა რაოდენობამ 26% შეადგინა; ხოლო 2008 წელს არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა უმრავლესობამ უარი განაცხადა ადგილებზე და პარლამენტში არ შევიდა.⁵² 2010 წელს კი, ოპოზიციის 33 წევრიდან 16 უცხადებდა ბოიკოტს.

ცხრილი 2.

საპარლამენტო (პარტიული/ბლოკები) და საპრეზიდენტო არჩევნები

| არჩევნები | საპარლამენტო | ბმები (%) | პარტიული სიებით (სულ ადგილები) | პარლამენტის სრული შემადგენლობა |
|-----------------|--|-----------|--------------------------------|--------------------------------|
| ოქტომბერი, 1990 | მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო | 54.00 | 81 (155) | 250 |
| ოქტომბერი, 1992 | ბლოკი მშეიდობა | 20.38 | 29 (35) | 235 |
| ნოემბერი, 1995 | საქართველოს მოქალაქეთა კავშირი | 23.71 | 90 (111) | 235 |
| ოქტომბერი, 1999 | საქართველოს მოქალაქეთა კავშირი | 42.07 | 85 (131) | 235 |
| ნოემბერი, 2003 | ბლოკი ახალი საქართველოსთვის* | 21.32 | 38 (57) | 235 |
| მარტი, 2004 | ნაციონალური მოძრაობა/დემოკრატები | 66.24 | 135** | 235 |
| მაისი, 2008 | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -გამარჯვებული საქართველოსთვის | 59.18 | 48 (119) | 150 |
| არჩევნები | საპრეზიდენტო | ბმები | | |
| მაისი, 1991 | ზვიად გამსახურდია | 86.41 | | |
| ოქტომბერი, 1992 | ედუარდ შევარდნაძე† | 96.01 | | |
| ნოემბერი, 1995 | ედუარდ შევარდნაძე | 74.32 | | |
| აპრილი, 2000 | ედუარდ შევარდნაძე | 79.8 | | |
| იანვარი, 2004 | მიხეილ სააკაშვილი | 96.3 | | |
| იანვარი, 2008 | მიხეილ სააკაშვილი | 53.4 | | |

წყარო: 1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: www.cec.gov.ge/index.php?lang-id.ENG&sec-id.19; 2. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (www.isfed.ge/elections/reports); 3. ეუთოს კომისიისა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიშები (www.osce.org/odihr/elections/georgia).

* ეს გაყალბებული შედეგები უზენაესმა სასამართლომ გააუქმა.

** მაკორიტარული არჩევნები ერთმანდატიან ოლქებში აღარ ჩატარებულა.

† ედუარდ შევარდნაძე საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით იქნა არჩეული პარლამენტის თავმჯდომარედ; შემდეგ, იგი პარლამენტმა აირჩია ქვეყნის მეთაურად; ხოლო ქვეყნის პრეზიდენტად 1995 წელს აირჩიეს.

1990 წლიდან საქართველოს საარჩევნო სისტემა შერეული სახისაა, პროპორციული წარმომადგენლობითი (პარტიული სიები) და ერთმანდატიანი მაჟორიტარული (ხმათა უბრალო უმრავლესობის მიმღები, „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი“). პარტიული სიების სისტემამ დაასუსტა უმცირესობათა და ქალების წარმომადგენლობა, ამასთან, ერთმანდატიან ოლქებს შორის ამომრჩეველთა რაოდენობაც ძალზე არათანაბარია.⁵³ ამომრჩეველთა სიებში კვლავ გვხვდება „მკვდარი სულები“; 2003 წლამდე ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებსაც საარჩევნო ასაკი დაუდგათ, მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, რაც ეწინააღმდეგებოდა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს იძულებით გადაადგილების შესახებ. საქართველოს ყოველი ახალი მონწევის პარლამენტი შეცვლილი საარჩევნო სისტემით ირჩეოდა; მაგალითად, 1990 წელს, საარჩევნო ბარიერი 4% იყო, ხოლო ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმალური რაოდენობა – 50%; 1992 წელს 2%-იანი ბარიერი იყო, 1995 წელს კი, – 5. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის არჩევნებში 54 პარტია და ბლოკი მონაწილეობდა, საარჩევნო ზღურბლი მხოლოდ სამმა გადალახა. 1995 წელს მიღებული საარჩევნო კანონი 1999 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე ოთხჯერ შეიცვალა. ბოლოს სულ რაღაც სამიოდე კვირით ადრე კენჭისყრამდე⁵⁴ საარჩევნო ბარიერმა 7%-მდე აიწია. 2001 წელს პარლამენტმა ახალი საარჩევნო კოდექსი მიიღო, რომელშიც თავი მოუყარა არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კანონს. კოდექსში 46-ჯერ შევიდა ცვლილებები ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში. 2002–2003 წლებში ეუთოს რეკომენდაციების საფუძველზე საარჩევნო პროცედურებში პოზიტიური სიახლეები დაინერგა, კერძოდ, ხმების პარალელური დათვლა, ამომრჩეველთა მარკირება კენჭისყრაში ხელმოწერედ მონაწილეობის აღსაკვეთად და საუბნო შედეგების შემაჯამებელი ოქმების გამოქვეყნება. უფრო მეტი სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით პრეზიდენტმა ეუთოს მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურიდან შეარჩია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია გამიზნული იყო ოპოზიციის უფრო ფართოდ წარმოსადგენად მის შემადგენლობაში, 13-წევრიანი კომისიის უმრავლესობას მაინც წამყვანი პარტიები ნიშნავდნენ (პრეზიდენტი ნიშნავდა 13-დან 5 წევრს). ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაკონტროლება გადამწყვეტი ფაქტორია არჩევნების სასურველი შედეგების მიღებისთვის. ის ხომ საარჩევნო წესებს განსაზღვრავს, განიხილავს საარჩევნო დავებს და რეგისტრაციას ატარებს პარტიებს. ამომრჩეველთა არაზუსტი სიებისა და საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მხრიდან განზრახ არასწორი შედეგების დაფიქსირების შედეგად, 1999 და 2003 წლის არჩევნები მასიურად გაყალბდა.⁵⁵

საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის მოცულობა ოთხჯერ შეიცვალა 1990 წლის შემდეგ, ბოლოს 2008 წელს, როცა

2004 წელს ჩატარებული რეფერენდუმის მიხედვით 235-წევრიანი პარლამენტი 150-მდე შემცირდა. 150-წევრიან პარლამენტში ნახევარი მაჟორიტარული სისტემით ირჩევა, ხოლო მეორე ნახევარი პროპორციულით.⁵⁶ ამჟამად, ამ რაოდენობის განხილვაც მიმდინარეობს, რადგან 2011 წლის ახალი ცვლილება 190-დეპუტატიანი პარლამენტის შექმნას ითვალისწინებს. კორექტირებებს გვერდს ვერ ავუვლით განვითარებად დემოკრატიაში, მაგრამ ხშირი ცვლილებები ხელს არ უწყობს პარტიის იდენტობისა თუ კონსოლიდაციის განმტკიცებას. 1999 წელს ამომრჩეველთა ხმების დიდი ნაწილი დაიკარგა იმ პარტიებზე, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს. ამან დაბნეულობა გამოწვია ქართველ ამომრჩეველებში, გაუგებარი იყო, ვინ იგებდა არჩევნებს. მაღალი, 7%-იანი ბარიერი მმართველ პარტიას აძლევდა უპირატესობას. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია იოლად ხდება (თუმცა, რეგისტრაციის მარტივი პროცედურების „დამსახურებით“ შეიძლება უამრავი პარტია და ასევე, დიდი რაოდენობის დაკარგული ხმა მივიღოთ). საარჩევნო კანონი ითვალისწინებს, აგრეთვე, პარტიების დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ ბოლო ცვლილება დაფინანსების კანონში (2007) ნაციონალურ მოძრაობას, როგორც უდიდეს პარტიას, ლომის წილს აძლევს.⁵⁷ სახელმწიფო მედიასაშუალებებზე თანაბარი წვდომა უზრუნველყოფილია 2004 წლის კანონით საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ. საარჩევნო კოდექსის უახლესი ვარიანტი კი, თითქმის ყველა ძირითადი პარტიის წარმომადგენლობას უზრუნველყოფს ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არჩევნები ცუდად ტარდება. მისი თანმდევი პრობლემები, როგორც წესი, დაშინება-მუქარა და გაყალბებაა. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, ამ პრობლემებს ემატებოდა ამომრჩეველთა არაზუსტი სიები, საარჩევნო ბიულეტენების მასიურად ჩაყრა ყუთებში, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, მიკერძოებული მედია და, საერთოდ, მთელი საარჩევნო პროცესის არასათანადო ორგანიზება (2003 წელს კენჭისყრა ზოგიერთ რეგიონში სანთლის შუქზე ჩატარდა).⁵⁸ დასავლეთის დედაქალაქებში არჩევნებმა საქართველოს „დემოკრატიული“ ლეგიტიმაცია უბოძა, მაგრამ თავად საქართველოში საქმე სხვაგვარად იყო. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ჩატარებულ კვლევაში, გამოკითხულთა 63%-ს არ ჰქონდა ან მცირე იმედი ჰქონდა, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდებოდა.⁵⁹ არჩევნებისადმი ნდობა დროებით აღდგა 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ეს განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ, შეიქმნა ამომრჩეველთა შედარებით ზუსტი მონაცემების ცენტრალური ბაზა, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სასწავლო-მოსამზადებელი კურსები გაიარეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო კომისიების მუშაობა უფრო გამჭვირ-

ვალე გახდა და უმცირესობების ინტერესებიც იქნა გათვალისწინებული (საარჩევნო ბიულეტენები რამდენიმე ენაზე გავრცელდა). ამასთან, უყურადღებოდ არ რჩებოდა საჩივრები, განიხილებოდა დარღვევები და დამკვირვებლებიც, რომლებისთვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია, დაუბრკოლებლად შედიოდნენ კენჭისყრის უბნებზე. ამავე დროს, არ შემწყდარა მანიპულაციები კომისიებით, სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები სახელმწიფო რესურსებს მოიხმარდნენ, სახელმწიფო ტელევიზია არაობიექტურად აშუქებდა პროცესებს და, რა თქმა უნდა, არც ეს არჩევნები იყო გამონაკლისი გაყალბების თვალსაზრისით, შედეგები ისევ გაყალბდა, განსაკუთრებით კი, სამცხე-ჯავახეთში, აჭარასა და ქვემო ქართლში.⁶⁰


საქართველოს დომინანტური პარტიები პატრონაჟის გავრცელებისა და ადმინისტრაციულ რესურსებზე წვდომის საშუალებას წარმოადგენენ. 2004 წლის ივნისის არჩევნების მიმდინარეობისას, რომელიც ე.წ. პალმების რევოლუციის შემდეგ ჩატარდა აჭარაში (აჭარის მბრძანებელმა ასლან აბაშიძემ საქართველო მაისში დატოვა რევოლუციის შემდეგ), აჭარის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებდა. არჩევნების წინა დღეს, ნაციონალებმა ერთიანად შეცვალეს საოლქო კომისიების თავმჯდომარეები. ადგილობრივი ტელევიზიისა და მთავრობის წარმომადგენლების დახმარებით ბლოკმა სააკაშვილი-გამარჯვებული აჭარა ხმათა 67.4% მოიპოვა, შესაბამისად 30 წევრიან აჭარის წარმომადგენლობით ორგანოში 28 ადგილი დაიკავა. ნაციონალური მოძრაობის ერთადერთმა მეტოქემ მაშინდელ არჩევნებში, რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნების შედეგების გაყალბებაში დაადანაშაულა სააკაშვილი და მმართველ პარტიასთან თანამშრომლობა შეწყვიტა.⁶¹ საარჩევნო კოდექსის 2005 წლის აპრილის ცვლილებით პრეზიდენტს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშვნის საშუალება მიეცა. მანაც არ დააყოვნა და 12 „არაპარტიული“ კანდიდატი წარუდგინა პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტმა, თავის მხრივ, 6 კანდიდატურა წარადგინა. აი, ამ 18 ადამიანისგან ექვსი შეირჩა კომისიის წევრად. თავმჯდომარე კი, პირდაპირ პრეზიდენტმა დანიშნა. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბნო კომისიების გარდა, არსად დაუშვეს.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეს ცენტრალურმა და საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაიბრუნეს პარტიის წარმომადგენლები თავიანთ შემადგენლობებში, შვიდმა მსხვილმა პარტიამ დანიშნა წარმომადგენლები ცენტრალურ კომისიაში და, ამასთან, პრეზიდენტმაც ექვსი წევრი შეიყვანა (შემდეგ, სამამდე შემცირდა). თუმცა, ოპოზიცია ამით არ დამშვიდებულა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „არაპარტიული“ დანიშნული წევრები, სინამდვილეში ხელისუფლების მომხრეები იყვნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნის წესები ისევ შეიცვალა 2009 წლის დეკემბერ-

ში, რამაც ოპოზიციას საშუალება მისცა უფრო მეტად გაეკონტროლებინა საარჩევნო პროცედურა ცესკოში.

2008 წლის არჩევნებში საერთო უკმაყოფილებას ყველაზე მეტად ინვესტირებდა ამომრჩეველთა არაზუსტი სიები, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება ნაციონალური მოძრაობის მიერ (2004 წლის ნოემბერში მოძრაობამ სახელი შეიცვალა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გახდა) და პარტიათა არათანაბარი დაფინანსება (ოფიციალური მონაცემებით, ერთიანმა ნაციონალურმა 12 მილიონი ლარი დახარჯა (7.3. მილიონი აშშ დოლარი, ხოლო გაერთიანებულმა ოპოზიციამ 450.000 ანუ 272.000 აშშ დოლარი).⁶² 2009 წლის და მოგვიანებით, 2010 წელს მიღებული ცვლილებების შედეგად, ოპოზიციურ პარტიებს საშუალება მიეცათ ამომრჩეველთა სიები გადაემონებინათ, უფრო მეტად წარმოედგინათ თავი მედიაში და მეტი დროც მიეცათ საჩივრების რეგისტრაციისა თუ განხილვისთვის. საარჩევნო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების დამსახურებით 2010 წლის მაისის არჩევნები უკეთესად ჩატარდა, მაგრამ ისევ და ისევ არათანაბარი დაფინანსება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზეგავლენა გულუხვად „დასაჩუქრებულ“ ადგილობრივი ელექტორატის უდიდეს ნაწილსა და მორჩილ ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე, გახდა ის ბარიერები, რომლებიც დაუძლეველი აღმოჩნდა ოპოზიციისთვის.⁶³

გამართული საარჩევნო სისტემა უალრესად მნიშვნელოვანია უმცირესობათა და ქალთა ინტეგრაციისთვის პოლიტიკურ პროცესებში. უნდა ითქვას, რომ ქართული სისტემა სათანადოდ არ იცავს არაქართველთა და ქალების ინტერესებს (ეს დასავლურ დემოკრატიებსაც ეხება). საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს ბიულეტენების ეროვნულ უმცირესობათა ენებზე გავრცელებას, მაგრამ პოლიტიკური ლიდერები იშვიათად თუ ცდილობენ ამ მოთხოვნის შესრულებას. 1997 წლის კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კრძალავს პარტიის შექმნას რეგიონების მიხედვით (დე ფაქტო გამიზნულია ეთნიკური ნიშნის მიხედვით შექმნილი პარტიისთვის). ეს ცუდი არ არის, რადგან ეთნიკური ნიშნით შექმნილი პარტიის კონფლიქტის გამძაფრება შეუძლია მრავალეროვნულ ქვეყნებში.⁶⁴ პარტია იკრძალება მაშინაც, თუ ის აღვივებს ეროვნულ შუღლს, ესეც ნომინალურად პოზიტიური ამბავია, მაგრამ გამორიცხული არ არის ამ მუხლის გამოყენება ლეგიტიმური ოპოზიციის წინააღმდეგ.⁶⁵ მას შემდეგ, რაც 1995 წლის 235-ნევრიან საქართველოს პარლამენტში 16 არაქართველი დეპუტატი შევიდა, უმცირესობათა წარმომადგენლობითობა კიდევ უფრო შემცირდა. 1999 წლის მონვევის პარლამენტის სულ 14 არაქართველი დეპუტატი ჰყავდა, ხოლო 2004 წლისას-8. 2008 წელს, როცა პარლამენტის შემადგენლობა 150-მდე შემცირდა, ექვსმა არაქართველმა მოიპოვა იქ ადგილი.⁶⁶



ადგილობრივი არჩევნები თბილისში, 2010 წლის მაისი.

არაქართველ დეპუტატთა გვარებს იშვიათად თუ მოკრავთ თვალს პარტიული დახურული სიების დასაწყისში, ისინი, ძირითადად, ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში იღებენ პარლამენტში მოსახვედრად საჭირო ხმებს. ღია სიები, რომელთა საშუალებით ამომრჩევლები ირჩევენ, თუ ვის მისცენ ხმა, კი იქნებოდა უკეთესი ეროვნული უმცირესობებისთვის, მაგრამ მათი დიდი რაოდენობაც პარლამენტში ვერ მოგვცემდა უკეთესი წარმომადგენლობითობის გარანტიას. არაქართველ დეპუტატთაგან ბევრი ადგილობრივი პატრონ-კლიენტური ქსელის „წყალობით“ არის პარლამენტში შესული და გავლენაც არ გააჩნია იქ. კვოტები ან ეთნიკური პარტიები, სავარაუდოდ, ამ საკითხს ვერ მოაგვარებენ. საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობები, ნებისმიერ შემთხვევაში, იმდენნი არ არიან, რომ საარჩევნო ბარიერის გადალახვა შეძლონ. მეორე პალატა კი, რეგიონებისთვისა და მათი უმცირესობებისთვის პროგრესი იქნებოდა, მაგრამ ახალი, 2013 წლის კონსტიტუციის ვერსია არ ითვალისწინებს მეორე პალატის შექმნას. რაც შეეხება ქალებს, ისინი არასაკმარისად არიან წარმოდგენილი როგორც პოლიტიკურ პარტიებში, ასევე წარმომადგენლობით ორგანოში. 1999 წელს

ქალებმა 17 ადგილი მიიღეს პარლამენტში, 11 132-წევრიანი მოქცავშირის ფრაქციის წევრი იყო.⁶⁷ 2004 წლის მარტის არჩევნებში, კანდიდატების 31.4%-ს ქალები შეადგენდნენ, მაგრამ პარტიულმა სიებმა მათი რაოდენობა 22 დეპუტატამდე შეკვეცა, რაც მთლიანი შემადგენლობის 10%-ზე ნაკლები აღმოჩნდა. ადგილობრივ არჩევნებზე უკეთესი მდგომარეობა არ გახლავთ – არჩეულ თანაბდესობათა პირთაგან სულ 11.5% იყო ქალი 2006 წელს.⁶⁸ რა თქმა უნდა, დათვლა ნამდვილად არ არის საუკეთესო გზა უმცირესობების ან ქალების კეთილდღეობის გასაზომად, მაგრამ ეს რიცხვები, იმთავითვე, სისტემის ტენდენციურობაზე მიგვანიშნებს.

მიუხედავად საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული პრობლემებისა, საერთაშორისო დამკვირვებლები, როგორც წესი, ზომიერი თავდაჭერილობით ადასტურებენ არჩევნების შედეგებს, რითაც ხელს უწყობენ არჩევნებისადმი ნდობის დაკარგვას მასიურად.⁶⁹ აჭარის ამომრჩეველს ერთი ნორმალურად ჩატარებული არჩევნები არ ღირსებია 1991 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში. ადგილობრივი პარტია – საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირი – მკაცრად აკონტროლებდა არჩევნებს ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1998 წელს მან ხმათა 96.38% მიიღო; 1999 წელს კი, – 94.84. როგორც ამბობდნენ, 87 დეპუტატიდან, რომელიც უზენაეს საბჭოს ჰყავდა 1999-2003 წლებში, 43 ასლან აბაშიძის დიდი ოჯახის წევრი ან ნათესავი იყო.⁷⁰ საერთოდ, სამართლიანი არჩევნები ზარალდება მმართველი პარტიის ხელში მოქცეული რესურსების არაპროპორციული განაწილების, პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალეობის არარსებობით და საარჩევნო კომისიებში, განსაკუთრებით კი, საუბნო კომისიებში გაყალბების გამო.⁷¹ გაუმართავი საარჩევნო სისტემა, რასაც უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემების უგულვებელყოფა ემატება ერთმანდატიან ოლქებში, მაგალითად, პრეფერენციული ხმის მიცემა, ღია სიების გამოყენება ან რეგიონული მრავალმანდატიანი სისტემის შემოღება, უფრო არაობიექტურ შედეგებს უწყობს ხელს.⁷² ამიტომაც შენარჩუნდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ერთპარტიული მმართველობა, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პროცესი, ადრინდელთან შედარებით, წესიერად წარიმართა.

საპარზიდენტო არჩევნები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ხუთი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. 1991 წელს გამსახურდიამ ხუთ მეტოქეზე გაიმარჯვა 86%-ით.⁷³ 1992 წელს, პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში შევარდნაძემ მიიღო ხმათა 96.01%. 1995 წელს კანონში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, ცვლილებები შევიდა, რომელთა ძალით საპრეზიდენტო კანდიდატი, სულ მცირე, 35 წლის საქართველოში დაბადებული და ბოლო

15 წლის მანძილზე აქვე მაცხოვრებელი მოქალაქე უნდა ყოფილიყო. კანდიდატებს სახელმწიფო უზრუნველყოფდა დაფინანსებით (თუმცა, ეს თანხები იშვიათად გამოიყოფოდა) და სახელმწიფო არხზე უფასო დროც ჰქონდათ. გამარჯვებულს სჭირდებოდა ხმათა 50% და ამომრჩეველთა აქტიურობაც 50% უნდა ყოფილიყო. იმ წელს (1995) შევარდნაძემ 74%, ხოლო მისმა უახლოესმა მეტოქემ, საქართველოს კომპარტიის ყოფილმა მდივანმა, ჯუმბერ პატიაშვილმა ხმათა 19% მიიღო. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები კი, ფარსი იყო. შევარდნაძემ საარჩევნო კამპანია დაიწყო ლოზუნგით, – „ბევრი ღირსეული კანდიდატი – ერთი არჩევანი.“ მას ექვსი მეტოქე ჰყავდა, ორი – უმუშევარი. ყველაზე სერიოზული კანდიდატი, ჯუმბერ პატიაშვილი, „დამოუკიდებელი“ კი იყო ოფიციალურად, მაგრამ „ბათუმის ალიანსის“ მოკავშირე გახლდათ. ეს ჯგუფი ასლან აბაშიძის აღორძინების კავშირის ორბიტაზე ტრიალებდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, პარლამენტის თამაჯდომარის აჭარაში ვიზიტის შემდეგ, ასლან აბაშიძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა. აბაშიძის ხმები გაფუჭდა, მაგრამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას მიათვალეს. ასე რომ, შევარდნაძემ აჭარის ხმები მთლიანად აიღო, ხოლო ქვეყნის მასშტაბით – 79.8%. პატიაშვილს მხოლოდ 16.7% ერგო. არჩევნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, შევარდნაძემ ასლან აბაშიძეს ვალი კანონის სახით დაუბრუნა. პარლამენტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კანონი მიიღო. შევარდნაძის უზარმაზარმა გამარჯვებამ თავდაყირა დააყენა წინასწარჩევნო გამოკითხვების შედეგები, რომელთა მიხედვით მას 50% არ უნდა მიეღო, რაც პირველ რაუნდში გამარჯვებისთვის იყო საჭირო. გია ნოდიაშვილი და დავით უსუფაშვილი ამ არჩევნებს „საქართველოს საარჩევნო ისტორიაში, „ალბათ, ყველაზე ცუდი“ არჩევნები უწოდეს.⁷⁴

2000 წლის არჩევნებით გადაიდო, რასაც რობერტ დალი წარმატებულ დემოკრატიის კრიტიკრიუმად მიიჩნევს, ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა.⁷⁵ 2000 წლისთვის, შევარდნაძე ხელისუფლებაში უკვე 8 წელი იმყოფებოდა საქართველოს ორი სხვადასხვა კონსტიტუციის მოქმედების დროს. ახლა, შემდეგ ხუთწლიან ვადაზე მიდიოდა. საქართველოში არჩევნები, როგორც წესი, მოქმედი პრეზიდენტის ძალაუფლების „ლეგიტიმაცია“ ემსახურებოდა და მიზნად მის შეცვლას არ ისახავდა. მაგრამ, სინამდვილეში, ამ არჩევნებმა შევარდნაძის დელეგიტიმაცია გამოიწვია და პოლიტიკური აპათია კიდევ უფრო გააღრმავა. 2000 წლის საპრეზიდენტო და 2002 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა, შეიძლება ითქვას, გაკვეთილი ჩაუტარეს ოპოზიციას. ახალი მექანიზმების გამოყენებით, კერძოდ, პარალელური დათვლისა და საუბნო ოლქებში კენჭისყრის შედეგების გამოცხადებით, ოპოზიციურმა პარტიებმა წარმატებით გააპროტესტეს 2003 წლის გაყალბებული არჩევნები. შედეგად, ვარდების რევოლუცია მივიღეთ.

პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები შევარდნაძის გადადგომას მოჰყვა.

ქართული საარჩევნო მოდელი, რომელიც ალტერნატიულ კანდიდატებს საარჩევნო სისტემიდან ისე აძევებს, როგორც გუგულის ახლადგამოჩეკილი ბარტყი სხვა ბარტყებს, არ შეცვლილა. სააკაშვილის გამაოგნებელი, 96%-იანი გამარჯვება 2004 წელს, 83%-იანი აქტიურობის პირობებში, გარკვეულწილად, რეალური მეტოქეების არარსებობამ განაპირობა. მისმა ერთ-ერთმა კონკურენტმა 1.85% მიიღო. არჩევნები სასიამოვნო ცვლილება იყო წინანდელ პრაქტიკასა თუ წესებთან შედარებით, მაგრამ დემოკრატიულ გამარჯვებას საქართველოში საპრეზიდენტო პოლიტიკა არ შეუცვლია. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძის მიერ ცესკოში 5 წარმომადგენლის დანიშვნამ 2004 წელს, ახალი ოპოზიციის ლიდერებს დიდი უპირატესობა მისცა. პარტიული და სახელისუფლებო სტრუქტურები ერთმანეთს შეერწყნენ არჩევნების მიმდინარეობისას, ხოლო სააკაშვილმა მედიის ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს გამოყოფილი ჰქონდა უფასო დრო სახელმწიფო ტელევიზიებსა და რადიოტალღებზე. ეუთოს ანგარიშში ნათქვამია, რომ ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა დამოუკიდებელმა ტელეკომპანიამ, რუსთავი 2-მა, პოლიტიკური გადაცემებისთვის განკუთვნილი მთლიანი დროის 62% სააკაშვილს დაუთმო და, ძირითადად, დადებით კონტექსტში აშუქებდა მას. სააკაშვილის მეტოქეები, რეალურად არ ჩანდნენ.⁷⁶ 2008 წლის იანვრის არჩევნებმა, რომელიც ქვეყანაში შექმნილ არეულობასა და კონსტიტუციურ კრიზისს მოჰყვა, საარჩევნო მონიფულობასა და იმედგაცრუებაზეც მიანიშნა. ამჟამად, სააკაშვილმა ხმათა გაცილებით ნაკლები რაოდენობა, 53.4% მიიღო, რითაც მეორე რაუნდს გადაურჩა. მაგრამ ხელისუფლებამ შეინარჩუნა ფინანსური კონტროლი არჩევნებზე. სააკაშვილის კამპანიაზე დაახლოებით 4.1 მილიონი ლარი დაიხარჯა 2007 წლის დეკემბერს. ამ თანხამ დაჩრდილა მისი მეტოქეების დანახარჯები. საარჩევნო ბრძოლა ტენდენციურად მიმდინარეობდა, ძნელი იყო სააკაშვილის გაბრწყინებული სახისთვის თვალის არიდება, მისი სურათები წარწერით „მიმა მაგარია“⁷⁷ ეკიდა ყველგან, ავტობუსის გაჩერებებსა თუ ბილბორდებზე და ეს სიტყვები ისმოდა ყველა ტელეარხზე.

ქართულ არჩევნებში ლიდერები, გმირები და ერთმანეთის შეურაცხყოფა ბატონობს და არა პარტია, აქტიურობა ქვედა, ძირეულ დონეზე ან იდეოლოგია. ქართული პარტიები მწირი ორგანიზაციული უნარიანობით ხასიათდებიან. ეს ასახავს საარჩევნო ინდიფერენტულობას, რასაც ქარიზმატული სააკაშვილი კარგად იყენებს. სკოტ მაინვერინგი ასეთ მოდელს ხედავს მესამე ტალღის დემოკრატიებში, როგორიც საქართველოა, სუსტი და არა ინსტიტუციონალიზებული პარტიები, კინკლაობა პარტიულ ლიდერებს შორის და ანგარიშვალდებულების უქონლობა საზოგადოებისადმი. შედეგად ვიღებთ „უფრო მეტ პერსონიფიციურებას, საარჩევნო არასტაბილურობას, უფრო მეტ მერყევს, „მოტივტივე“ ამომრჩეველს და გაურკვეველ

ლობას.⁷⁸ 2006 წლის გამოკითხვაში, რესპონდენტთა 60%-მა განცხადა, რომ არ გააჩნია ნდობა პარტიებისადმი.⁷⁹ საპრეზიდენტო მმართველობა პრობლემის ნაწილია. საქართველოს შემთხვევაში, პრეზიდენტის მფარველობაზე ფოკუსს მიეყვართ ჯგუფებამდე და ფრაქციებამდე, რომლებიც გავლენის მოსაპოვებლად თაღლითობენ, ეს კი არჩევნებში დამარცხებულს გამოირიყავს, ხოლო ადრინდელ მოკავშირეს რადიკალურ მონინალმდეგედ აქცევს. შეიძლება ამაში ცუდი არც არაფერი იყოს, მაგრამ პრეზიდენტები უნდა გაფრთხილდნენ: გამსახურდიაც და შევარდნაძეც საკუთარი გუნდიდან გაძევებულმა მოკავშირეებმა დაამხეს. სააკაშვილი ბევრ თავის კოლეგას ჩამოშორდა, რომელიც მისი კაბინეტის წევრი იყო 2004-2005 წლებში.

საკანონმდებლო ორგანო

პარლამენტის უნარი შექმნას კარგი კანონები დამოკიდებულია მის პროცედურებზე, ქმედით პარტიებზე, კარგ აპარატზე, საინფორმაციო-კვლევით უზრუნველყოფაზე, დეპუტატების კვალიფიკაციასა და საპარლამენტო კომიტეტების დამოუკიდებლობაზე. ხოლო რამდენად კარგად შეასრულებს ის დემოკრატიულ ფუნქციებს განპირობებულია ამომრჩეველთან კომუნიკაციით, მისი ინტერესების გამოხატვით და აღმასრულებელზე ეფექტური მონიტორინგით. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პარლამენტის დამაკმაყოფილებელი მუშაობა დამოკიდებულია მისდამი ნდობაზე. როცა ნდობა დაბალია, პარლამენტიც სუსტია და კარგავს როგორც წარმომადგენლობის, ასევე კანონის დამოუკიდებლად მიღების უნარს. ეს ქართული დემოკრატიის უდიდეს დეფიციტია. ამჟამად, იმდენად ინდიფერენტული და მტრულია ხალხის განწყობა პარლამენტისადმი, რომ ყოველგვარ საღსკეპტიციზმს სცილდება. 2008 წლის ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით მოსახლეობის მხოლოდ 9.4% ენდობოდა საქართველოს პარლამენტს.⁸⁰ საპარლამენტო კანდიდატებს შორის ბევრია ისეთი, რომელსაც პარლამენტში შესვლა საკუთარი ბიზნესის დასაცავად ან პროკურატურისგან თავის დასახსნელად სურს. არჩევნები პარტიული სიებით ხელს უწყობს „შემთხვევითი დეპუტატების“, – პარტიის ლიდერის მეგობრების ან ახლობლების გადუქტატებას. ეს ხალხი, როგორც წესი, კანონების შესაქმნელად კი არა, ხელისუფლებისთვის სამსახურის გასაწევად შედის პარლამენტში და ამასობაში, საკუთარ ინტერესებსაც იცავს. ისინი მფარველობის უზრუნველყოფის და არა პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებად გვევლინებიან.

დამოუკიდებელი საპარლამენტო კომიტეტებისა და ძლიერი პარტიული ოპოზიციის არარსებობა, რასაც აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უსაზღვრო ძალაუფლება ერთვის, ქართული დემოკრატიის უვარგის ნიშან-თვისებებს განამტკიცებს. მინისტრთა კაბი-

ნეტი პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, პრემიერ-მინისტრი კი, კანცელარიასთან მუშაობის კოორდინირებას უზრუნველყოფს. სახელმწიფო კანცელარიას არც თვითმყოფადობა გააჩნია და არც უფლებამოსილებები. 1995 წლიდან მოყოლებული საქართველოს თითქმის ყველა მონვევის პარლამენტში ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების წყაროდ პრეზიდენტი გვევლინება. 1995-1999 წლებში პარლამენტმა 685 კანონი მიიღო, მათგან 307 პრეზიდენტის მიერ იყო ინიცირებული, ხოლო დანარჩენი – მთავრობის ან დეპუტატების. 1999-2003 წლების პარლამენტში კი, კანონთა რაოდენობამ 712 მიაღწია, აქედან 207 უშუალოდ პრეზიდენტის მიერ იყო შემოტანილი. 2004-2008 წლებში მიღებული 3.494 კანონპროექტიდან (ეს რაოდენობა სააკაშვილის დაჩქარებულ რეფორმებს ასახავს) 563 პრეზიდენტის ინიცირებული იყო, 1.961 – მთავრობის და – 970 დეპუტატების.⁸¹

მიუხედავად სხდომათა დარბაზში გამართული თეატრალური დებატებისა, საქართველოს პარლამენტში ყოველთვის პრეზიდენტის მმართველი პარტია ბატონობდა: 1990-1991 წლებში ზვიად გამსახურდიას მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო, 1995-2001 წლებში შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირი, 2003 წლიდან კი, სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა.⁸² 1995 წლიდან 2001 წლამდე მოქალაქეთა კავშირმა ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით შეინარჩუნა შევარდნაძის მომხრე უმრავლესობა პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნში კორუფცია ყვაოდა, 1999 წელს მოქალაქეებმა სითბი წარმომადგენლობა 41%-მდე გაზარდა და 132 ადგილი მოიპოვა საკანონმდებლო ორგანოში. მოქალაქეთა კავშირი, რომელსაც რეფორმისტ დეპუტატთა ვიწრო წრე აკონტროლებდა, კვაზისახელმწიფო სტრუქტურად იქცა. პრეზიდენტთან ერთად ის ნამყვან თანამდებობის პირებს ნიშნავდა სასამართლოში, თავდაცვის სტრუქტურებში და მედიაშიც. იტალიური პოლიტიკისთვის დამახასიათებელი პარტიტოკრატიის (პარტიტოკრატია) პირობებში მოქალაქეები მხარს უჭერდა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივებს, აკონტროლებდა ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებს და არჩევნებს და, ამასთან, საპარლამენტო საქმიანობასაც წარმართავდა, როგორც უმრავლესობის ლიდერი.⁸³ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროინდელი ოპოზიციისთვის განხეთქილებები იყო დამახასიათებელი (სპლიტიზმი); ორივე დიდ ოპოზიციურ პარტიას, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასა და ალორძინების კავშირს, დამოუკიდებელი ფრაქციები გამოეყვნენ. მოქალაქეთა კავშირის დასასრული უკავშირდება განხეთქილებას, რომელიც დამწყებ ბიზნესმენტთა ჯგუფსა და ახალგაზრდა რეფორმისტებს შორის მოხდა შევარდნაძის გადადგომასთან დაკავშირებით. ხელისუფლების მოუქნელ მოქმედებას ტელეკომპანია რუსთავი 2-თან პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა. შევარდნაძის მთავრობა 2001 წლის ნოემბერში გადადგა. პარტიის დაშლამ ერთ ლიდერზე დამოკიდებულების

პრობლემა აჩვენა. თუმცა, მოქალაქეთა კავშირის დაშლას ახალი, სალი ოპოზიციური პარტიების დაბადება მოჰყვა, ამ დროს გაჩნდნენ ახალი მემარჯვენეები, ნაციონალური მოძრაობა და ბურჯანაძე-დემოკრატები. შევარდნაძის მომხრეებისგან დარჩენილმა ძალამ ახალი სახელი დაირქვა, – „ახალი საქართველოსთვის.“ მაგრამ, სულ რაღაც ორიოდ წელიწადში, 2004 წლის მარტის საარჩევნო ეიფორიის ტალღაზე, პარტიული დომინირება ისევ ააღორძინეს ნაციონალური მოძრაობამ და მათმა მეკავშირეებმა, დემოკრატებმა. ერთპარტიული მმართველობა თავსებადია დემოკრატიასთან, იამონიასა და შვედეთში ვხედავთ ამას, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში ქმედითი ოპოზიციური პარტიებისა და არასაპარლამენტო შეზღუდვების არარსებობის პირობებში, ძალაუფლების განაწილებას დაბრკოლებები ექმნება. სირთულეს არაკეთილგანწყობილ მრავალპარტიულ პარლამენტთან ერთად მართვა კი არ ქმნის, სირთულებები ჩნდება მაშინ, როცა წესიერი და ეფექტიანი მართვა ვეღარ ხერხდება მის გარეშე.⁶⁴

საქართველოს პარლამენტს საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა აქვს კანონმდებლობის შესაცვლელად და გასაუმჯობესებლად. თავდაპირველად კანონპროექტი განსახილველად პარლამენტის ბიუროში შედის. მის 28-წევრიან შემადგენლობაში გაერთიანებული არიან კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები. ბიუროს ჰყავს თავმჯდომარე და ოთხი მოადგილე. ბიუროზე მუშავდება საპარლამენტო სესიის დღის წესრიგი. აქვე წყდება, რომელი კანონპროექტი გავა სხდომაზე განსახილველად. შემდეგ, ბიუროდან პროექტი ეგზავნება შესაბამის წამყვან კომიტეტსა და დანარჩენ კომიტეტებსა და ფრაქციებს. კომიტეტში საჯარო განხილვის (თეორიაში) შემდეგ პროექტი ბრუნდება ბიუროში პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად. კანონპროექტი სამი მოსმენით მიიღება. პირველ მოსმენაზე განიხილება ზოგადი პრინციპები, მეორე მოსმენისას დეტალური შესწავლა მიმდინარეობს, ხოლო მესამეზე პროექტს კენჭი ეყრება. მოსმენებს შორის პროექტი შეიძლება შეიცვალოს ან მასში შეწინორებები შევიდეს. თუ კენჭისყრაზე ხმათა საჭირო რაოდენობა მიიღო, კანონპროექტი ეგზავნება პრეზიდენტს ხელმოსაწერად. კომიტეტები განსხვავდებიან ქმედითობის თვალსაზრისით, მათი სიძლიერე თავმჯდომარის პიროვნებასა და მის კავშირებზეც არის დამოკიდებული. საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები ძირითადად მმართველი პარტიის წარმომადგენლები არიან. 2009 წელს ყველა მათგანი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გახლდათ. საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად სულ მცირე, 6 დეპუტატია საჭირო (2008 წლის ნოემბრის შესწორება). ეს რიცხვი, ხელს უშლის ფრაქციის თავდაპირველ მიზანს, რომ მცირე პარტიების დიდ ჯგუფებში გაერთიანება მოახერხოს. ის პრივილეგიები, როლებიც ფრაქციის შექმნას ახლავს, მაგალითად, ოფისი, სახელმწიფო მანქანა, მდივანი, თანამშრომლები და ბიუროსა და კომიტეტებში უზრუნველყოფილი წარმომადგენლობა, საკ-

მაოდ ძლიერი მოტივაციაა გამრავლებისთვის. 1995-1999 წლის მოწვევის პარლამენტში 15 ფრაქცია მუშაობდა, მაგრამ ვერც ერთმა ველარ შეძლო მომდევნო, 1999-2003 წლის პარლამენტში არსებობა. 2008 წლის 150 დეპუტატთან პარლამენტში ორიოდ წელიწადში 5 ფრაქცია შეიქმნა. ორი უმრავლესობის წარმომადგენელია, ორიც უმცირესობის და ერთი დამოუკიდებელ დეპუტატებს აერთიანებს. დღემდე, ყველაზე დიდი ფრაქცია 98 წევრით ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს.⁸⁵

საქართველოს პარლამენტი ბევრი ნიშნით ჰგავს დასავლურ ანალოგებს; მისთვისაც დამახასიათებელია გარიგებები პროექტებსა თუ თანამდებობებთან დაკავშირებით; ისევე ირღვევა საპარლამენტო პროცედურებიც, მაგალითად, შევარდნაძის დროს, დეპუტატები დარბაზს ხშირად ტოვებდნენ კვორუმი რომ არ შემდგარიყო და ამას გარდა, იმ დეპუტატების ნაცვლადაც მონაწილეობდნენ კენჭისყრაში, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა. თუმცა, ზოგადად პარლამენტის საპროცედურო წესებს იღებენ როგორც ჩარჩოს, რომელშიც გარიგება უნდა მოხდეს ან კონფლიქტი მოგვარდეს სხდომათა დარბაზში, ხოლო საპარლამენტო კომიტეტი ლობირების ფოკუსია კანონის მიღების პერიოდში. კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ პარლამენტმა 1998 წელს მიიღო. ის 50 წევრზე მეტი შემადგენლობის კავშირებს და ასოციაციებს უფლებას ანიჭებს ლობისტი დაიქირავონ, თუმცა ბევრს არ შეუწუხებია თავი ამისთვის. საკანონმდებლო საქმიანობის პროდუქტი ქალაქებში ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება. 1995-2003 წლების განმავლობაში, პარლამენტმა 1397 კანონი მიიღო, რაც განპირობებული იყო საქართველოს კანონების შესაბამისობაში მოყვანით კონსტიტუციასა და ევროპულ კანონმდებლობასთან. 1992 წლის პარლამენტის დეპუტატები, ემოციური და ადვილადფეთქებადი ისტორიკოსები, მეცნიერები და ხელოვნების მუშაკები, რომელთა ხმაურიანი შერკინებები ტელევიზიით გადაიციმოდა, ნაკლებად მგზნებარე დეპუტატებმა ჩაანაცვლეს. მათ შორის ჭარბობდნენ ინჟინრები, ეკონომისტები და იურისტები. დღეს პარლამენტი მშვიდია, განონასწორებული და კონსერვატიული,⁸⁶ მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციონერების ჩანაფიქრით ის კანონმდებელთა ახალგაზრდა და დინამიური კორპუსი უნდა ყოფილიყო, რომელიც ეკონომიკური ცვლილებების განსახორციელებლად „რევოლუციურ მიზნებს მოიყვანდა სისრულეში.“ 2009 წლის პარლამენტის დეპუტატთა კორპუსის საშუალო ასაკი 42 წელია. მათ უკეთესი ხელფასებიც აქვთ. 1992 წელს დეპუტატის ხელფასს 20 ლარის ეკვივალენტური თანხა წარმოადგენდა, რაც დაახლოებით 12 აშშ დოლარი იყო; 2008 წელს დეპუტატი ოფიციალურად 2000 ლარს იღებს (3000 ლარს – თავმჯდომარეობაში და სხვადასხვა ხარჯისთვის, რაც დაახლოებით 1.816 აშშ დოლარია ყოველთვიურად). ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ გაეითვალისწინებთ, რომ კონსტიტუცია კრძალავს სხვა სახის საქმიანობიდან გასამრჯელოს მიღებას.⁸⁷ პარლამენტის ბევრი დეპუ-

ტატი წინა მოწვევის წევრიც იყო და შესაბამისად, საპარლამენტო გამოცდილება არ აკლია. 1992-1995 წლის პარლამენტთან შედარებით, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის გაყინულ, ნახევრად დანგრეულ შენობაში ატარებდა სხდომებს, ქსეროქსისა და სამუშაო ოთახების გარეშე, და რომელსაც უქნარა აპარატი ჰყავდა, დღევანდელ კანონშემოქმედებს კომპიუტერებიც აქვთ, ბიბლიოთეკაც და სათანადო აპარატიც.

გახდა კი, ამით პარლამენტი უკეთესი საკანონმდებლო ორგანო? შევარდნაძის დროს, პარლამენტის მუშაობას ხალხი ყურადღებით ადევნებდა თვალს, მაშინ როცა 2011 წლის სესიები ინტერესს აღარ აღძრავენ, არც სატელევიზიო კომპანიებისთვის, რომ სარგებელი ნახონ. პარლამენტი ვერ ასრულებს თავის მისიას, როგორც საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებული ინსტიტუტი, 2008 წლის გამოკითხვაში გამოჩნდა, რომ მოსახლეობის 42% თავის ადგილობრივ დეპუტატს არ იცნობდა; 93.7% არასდროს შეხვედროდა დეპუტატს და გამოკითხულთა მთელი ორი მესამედი თანხმდებოდა იმ აზრზე, რომ დეპუტატები მხოლოდ არჩევნებისთვის აქტიურობდნენ. რესპონდენტთა 80% ფიქრობდა, რომ მათი მაჟორიტარი დეპუტატის ერთადერთი მოვალეობა მათი დასაქმება იყო.⁸⁸ თუმცა, პარლამენტის წევრები არც საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსზე მუშაობენ. მიუხედავად იმისა, რეგლამენტი საკმაოდ დაიხვენა, დეპუტატები არაორგანიზებული არიან და ბოლო წუთში ამტკიცებენ კანონს. ბევრი მათგანი არც კენჭისყრაში მონაწილეობით იწუნებს თავს. ის ფაქტი, რომ პარლამენტმა 1000 კანონი მიიღო, იმაზე მიგვანიშნებს, რომ კანონპროექტებს ისინი ზერელედ ამუშავებენ.⁸⁹ საზოგადოებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს დრო არ აქვთ, რათა ჩაერიონ ან გააპროტესტონ ასეთი უმოქმედობა. პრეზიდენტმა კი, თავისი ზეგავლენის წყალობით მთავრობაზე და მფარველობის ძალაუფლებით თავი აარიდა საპარლამენტო კონტროლს. კონტროლის პალატას, აუდიტორულ ორგანოს, რომელიც პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი ერთი სერიოზული პრეტენზია არ წაუყენებია პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის საეჭვო ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით, რაც ხშირად ხორციელდებოდა 1995-2003 თუ 2004-2009 წლებში. ზოგჯერ პარლამენტი გაიბრძოლებს პრეზიდენტის განცხადებებთან დაკავშირებით, მაგალითად, აფხაზეთზე ან კორუფციაზე, ბიუჯეტსა თუ დანიშვნებზე, მაგრამ ჩუმი გარიგების შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც პრეზიდენტისგან დაპირებებს მიიღებს, წინააღმდეგობა ყოველთვის ქრება. რვა წლის განმავლობაში (1995-2003), პრეზიდენტმა შევარდნაძემ 19-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება. მათგან მხოლოდ ოთხი დაძლია პარლამენტმა.⁹⁰ მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილს, ყველაზე არაპლურალისტული პარლამენტი აქვს, რომელსაც კი საქართველოში 1995 წლიდან უმოქმედია. მას არც ვეტოს უფლება დასჭირვებია.

აღმასრულებელი ხელისუფლება

რაც უნდა ბევრი ბრძანება და დეკრეტი გამოსცეს პრეზიდენტმა და მისმა მთავრობის წევრებმა, თუ ეს ბრძანება ან მითითება, ზედმეტად ამბიციურია ან არაკვალიფიციური საჯარო მოხელის მომზადებულა, ან თუ მის შესასრულებლად არასაკმარისი თანხებია გამოყოფილი ან მისი შესრულების, შეფასების და მასზე ზედამხედველობის განევის მოტივაცია არ არსებობს, ის შედეგებს არ მოიტანს.⁹¹ შევარდნაძეს ბრძანებულებების გაცემის დიდი უფლებამოსილებაც ჰქონდა, საკანონმდებლო დღის წესრიგსაც აკონტროლებდა პარლამენტში და უზენაეს სასამართლოშიც ნიშნავდა მოსამართლეებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს მაინც არ ანიჭებდა მას დიდ ძალაუფლებას. კორუფციამ, არაადეკვატურმა ბიუჯეტმა, კანონებისა და აღმასრულებელთა ბრძანებების შესრულებაზე ზედამხედველობის არარსებობამ საპრეზიდენტო ხელისუფლება თანდათანობით დაასუსტა. პოლიტიკური ძალების განონასწორებაზე კონცენტრირებული (რაც მემკვიდრეობით მიიღო კომუნისტური წარსულიდან) შევარდნაძე მენეჯმენტს უგულისყუროდ ექცეოდა. ის ყოველდღიურად გასცემდა ბრძანებულებებს, რომლებიც ხელმოწერის წუთიდან არავის ახსოვდა.⁹² კონტროლის არარსებობის პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლების რამდენიმე უწყება, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამინისტროები ერთმანეთს საფეოდალოებივით ებრძოდნენ, ამან კი, სახელმწიფოს მთლიანობასა და უნარიანობას დიდი ზიანი მიაყენეს.

როგორც ბარბარა ქრისტოფი და ჯერალდ ისტერი ამტკიცებენ, ასეთი ფრაგმენტულობის მიზეზი სსრკ-თვის ჩვეული ხელმძღვანელობის/მართვის სტილის ტრადიციებში ძვეს.⁹³ საბჭოთა კავშირი იძულებული იყო არსებული კლიენტური ქსელები და პატრიმონიალური ტრადიციები გამოეყენებინა უზარმაზარი მრავალეროვნული ტერიტორიის შესანარჩუნებლად მოსკოვს გარეთ (ანდერსონის „ძველი სადენები“). კუთხური ნიშნით დაჯგუფებამ საქართველოს ხელმძღვანელობაში 1950-იან და 1960-იან წლებში და 1970 წლების კორუფციულმა სკანდალებმა საბჭოთა ხელისუფლების გავლენის მწირი გავლენის სფერო და ტრადიციული ქსელების სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნა, მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა მოდერნიზაცია მიმდინარეობდა. ინსტიტუციურმა კოლაფსმა და პოსტსაბჭოურ პერიოდში ძარცვა-გლეჯის დიდმა შესაძლებლობამ ამ ქსელების გავლენა და ზემოქმედება გააძლიერა სახელმწიფო სტრუქტურებზე. სამინისტროებმა, რომლებსაც საშუალება არ ჰქონდათ თავიანთი თანამშრომლებისთვის გასამრჯელო გადაეხადათ, ეს ქსელები ამ უწყებების სამენარმეო საქმიანობაში ჩართეს. ყველაზე ნათლად ეს აჭარაში ჩანდა, სადაც ასლან აბაშიძე ადგილობრივ ეკონომიკას საოჯახო ბიზნესით მართავდა.

სტრუქტურულად, ცენტრი არსებობდა. პრეზიდენტის კანცელარია ინგოროყვას ქუჩაზე (ადრე ეს ქუჩა ფელიქს ძერჟინსკის სახელს ატარებდა და მანამდე კი ლევ ტროცკისას) პარტიის ძველი ცენტრალური კომიტეტის ლაბირინთებით დახლართულ შენობაშია განლაგებული. ეს შენობა გარშემორტყმულ სამინისტროებსა და პარლამენტს დაჰყურებს. სახელმწიფო კანცელარია ანუ სახელმწიფო მეთაურის სამდივნო, პრეზიდენტის სურვილით შეიქმნა 1992 წელს. თავდაპირველად, ის სათათბირო ორგანოსა და კვლევითი სამსახურის ფუნქციებს ასრულებდა და 100 თანამშრომელი ჰყავდა ხელშეკრულების საფუძველზე. 1995 წლის კონსტიტუციისა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ორი ახალი კანონის (1997; 1999) ძალით შეიქმნა უფრო ფართო სტრუქტურა, რომელმაც კანონმდებლობის შემუშავებისა და აღსრულების საკითხები ჩაიბარა. ის პრეზიდენტს რეკომენდაციებსაც აძლევდა. კანცელარიაში შედიოდა მინისტრთა კაბინეტი (იურიდიულად კაბინეტი პრეზიდენტის ერთ-ერთ სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა), უშიშროების საბჭო, ეკონომიკურ საკითხთა და ანტიკორუფციული საბჭოები და, ამას გარდა, უამრავი დეპარტამენტი თუ საინსპექციო განყოფილება. კანცელარიას, წესით ზედამხედველობა უნდა განეხორციელებინა კანონმდებლობისა და პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და სამინისტროების განკარგულებების აღსრულებაზე, ხოლო გუბერნატორებს, მერებს და სამინისტროების წარმომადგენლებს რაიონებსა და ქალაქებში მათი აღსრულება უნდა უზრუნველყოთ. მაგრამ რეალურად, კანცელარია არაფორმალურ ქსელებს ეყრდნობოდა საქმიანობისას, რაც, საბოლოოდ, კანონისა თუ განკარგულების შერჩევით აღსრულებას იწვევდა. პრეზიდენტის ბრძანებულებების აღსრულების მექანიზმები „პრაქტიკულად არ არსებობდა“ და „არც არავინ ღებულობდა საყვედურს მათი შეუსრულებლობისთვის.“⁹⁴ ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს ანგარიშში, რომელშიც მოცემულია პრეზიდენტის №95 ბრძანებულების (ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარების შესახებ) შესრულებაზე ზედამხედველობის შედეგები, ნათქვამია:

„ბრძანებულების მოთხოვნები, ძირითადად, არ შესრულებულა. სახელმწიფო უწყებებმა ნაწილობრივ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები, ისე რომ, რეალურად პოზიტიური ანტიკორუფციული გავლენა არ მოუხდენიათ... მთავრობას არ მიუჩნევია მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრიორიტეტად ბრძანებულების შესრულება... უამრავ უწყებაში, არც გაუგიათ კონკრეტული ბრძანებულების შესახებ.“⁹⁵

სამინისტრო საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიღებული იერარქიული, არაქმედითი და გავლენიან პიროვნებაზე დამოკიდებული სტრუქტურა იყო. 1995 წლიდან 2003 წლამდე მუდმივად უცვლიდნენ სახელებს სამინისტროებსა და დეპარტამენტებს, მიმდინარეობდა მათი შერწყმა, შემცირება და შემადგენლობების შეცვლა. დროდადრო, შეეარდნაძე გაბედულ

ნაბიჯებსაც დგამდა და ახალგზარდა რეფორმატორებს ნიშნავდა მალალ თანამდებობზე (მაგალითად, 2000 წელს 32 წლის სააკაშვილი იუსტიციის მინისტრად დაინიშნა); 2001 წლის ნოემბერში, კი გაათავისუფლა შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, ადამიანები, რომლებიც ხელშეუხებლებად მიიჩნეოდნენ. მაგრამ ადმინისტრირების კულტურა თითქმის არ შეცვლილა. 2001 წელს განათლების სამინისტროს საქმიანობაზე მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამინისტრო ფინანსურად ვერ აკონტროლებდა მის დაქვემდებარებაში მყოფ 200 ქვედანაყოფს; რომ არსებობდა დიდი განსხვავებები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშსა და სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დანახარჯებს შორის და, რომ სამინისტრო თანხებს კომერციულ ბანკებში ინახავდა და კონტროლს მათ მართვაზე ვერ ახორციელებდა. დანარჩენი სამინისტროები, განსაკუთრებით კი, შინაგან საქმეთა და თავდაცვის, დიდად ხეირობდნენ სახელმწიფო საზღვრებისა და სადავო ტერიტორიების დაუცველობის გამო და კონტრაბანდას ეწეოდნენ. იადვიგა სტანიცკისი ამ სახის ბიუროკრატიულ მტაცებლობას „პოლიტიკურ კაპიტალიზმს“ უწოდებს.⁹⁶ ერთ-ერთი მკვლევრის აზრით, შევარდნაძე იძულებული იყო „შეეძინა“ მინისტრთა ერთგულება და ამის გამო, უშვებდა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების ქურდობას.“⁹⁷ პრინციპში, ამან მოუმზადა ნიადაგი სააკაშვილის ანტიკორუფციულ ლაშქრობას. გადაყენების დროისთვის, შევარდნაძე ველარ აკონტროლებდა საკუთარ აპარატს, სამდივნოების, ბიუროების, სამსახურების, დეპარტამენტების, კომისიებისა და საბჭოების გაბერილ სისტემას, რომელიც დაახლოებით 60 სტრუქტურულ ერთეულს აერთიანებდა. იმდროინდელი კანცელარიის დერეფნები უმოქმედობის სურათს წარმოადგენდა თავისი ცარიელი ოთახებით და კომპიუტერული თამაშებითა თუ ტელევიზორის ცქერით დაკავებული თანამშრომლებით. საქმიანობის ადმინისტრირება და დაგეგმვა არ ვარგოდა. საქმის შესრულების შეფასება, როგორც ასეთი, არ არსებობდა, ხელფასები კი, გამაოგნებლად მცირე იყო. მინისტრი უმეტესად პირად თხოვნებსა და განცხადებებზე მუშაობდა. სამსახურში იშვიათად თუ იღებდნენ ახალ თანამშრომელს დამსახურებისა ან კონკურსის საფუძველზე; ნელ-ნელა ძირი ეთხრებოდა პროფესიონალიზმს, ინიციატივას და ინსტიტუციურ ლოიალობას. მიუხედავად იმისა, რომ ძალაში შევიდა კანონი საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, რომელიც, მხარს უჭერდა კონკურსისა და სერტიფიცირების იდეას, ის არ მოითხოვდა მათ ჩატარებას. სამინისტროს თანამშრომელთა 1998-1999 წლების გამოკითხვამ უჩვენა, რომ მათი 65% ფიქრობდა, რომ სამსახური კორუფციული გზებით იშოვებოდა.⁹⁸

საკაშვილს გადანყვეტილი ჰქონდა ყველაფრის შეცვლა. სახელმწიფო ქონების მიტაცებამ ხაზინა გამოაცარიელა. ამიტომ, მან მიზნად დაისახა მფარველობის სისტემის შეცვლა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებით. თუ

სახელმწიფო უკან არ დაიბრუნებდა და არ შეინარჩუნებდა თავის სიმდიდრეს, რეფორმები ვერ გატარდებოდა. მან პირობა დადო, რომ ბოლოს მოუღებდა სახელმწიფო ინსტიტუტების დანაშაულებრივ საქმიანობას, აღადგენდა სახელმწიფოს ავტორიტეტს, გადაუხდიდა სათანადო ხელფასებს საჯარო მოხელეებს (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პოლიციისა და სამართლო სისტემისთვის) და ბოლოს, სახელმწიფო უწყებების მიერ უკეთესი მომსახურების განეითა და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდით ხელახლა გადებდა ხიდს ამ უწყებებსა და მოქალაქეებს შორის. უნდა ითქვას, რომ რამდენიმე მიზანი სისრულეში მოიყვანა, მაგალითად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსამართლეების, პროკურორების და პოლიციელების ხელფასები. მის ერთ-ერთ გაცხადებული ამოცანას, უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტს აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირებისთვის, პროფესიული საჯარო სამსახურის შექმნა წარმოადგენდა. 2004 წელს სააკაშვილმა შექმნა საჯარო სამსახურის საბჭო შიდა რეფორმების კოორდინირების მიზნით და შევარდნაძის საჯარო სამსახურის ბიურო ახალ სახელმწიფო სამსახურად აქცია, რომელსაც საჯარო სამსახურის რესტრუქტურისა და მოხელეთა გადამზადება ჩააბარა. მან, აგრეთვე, რეფორმების კოორდინაციის მიზნით, დაარსა სახელმწიფო მინისტრის სამსახური, რომელსაც თავისუფალი ბაზრის რადიკალური მომხრე, კახა ბენდუქიძე, ჩაუყენა სათავეში. 2004-2005 წლებში ნიშნად იმისა, რომ კორუფციას სერიოზულად ეკიდებოდნენ, 300 საჯარო მოხელეს წარუდგინეს ბრალი; მათ შორის, 11 მინისტრს, 9 მინისტრის მოადგილეს, 11 მოსამართლეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 გამომძიებელს და 211 პოლიციელს. მაგრამ, ამავ დროს, მთავრობამ სრული არასერიოზულობაც გამოამჟღავნა. მაგალითად, საჯარო სამსახურის საბჭო 2007-2009 წლებში არ შეკრებილა არცერთხელ და ახლად-დანიშნულ მინისტრებს ისევ თავისი კადრები მოჰყავდათ სამინისტროებში დასასაქმებლად, რაც ზიანს აყენებდა საჯარო სამსახურის პროფესიულ ნეიტრალიობას.

უზნეო პირების მოცილება შტატების შემცირების პარალელურად მიმდინარეობდა. სააკაშვილმა, თავიდან, 120 თანამშრომლამდე შეამცირა სახელმწიფო კანცელარიის 600 შტატიანი აპარატი. მას მინისტრებიც აჰყვნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თითქმის გაანახევრა თავისი სამუშაო ძალა, 53,691 თანამშრომლიდან სამსახურში 22,229 ადამიანი დატოვა; 16,000-ზე მეტი პოლიციელი გაათავისუფლა და კიდევ ხარჯების შემცირების მიზნით, უშიშროების სამინისტროსთან გაერთიანდა.⁹⁹ 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის ივლისამდე გარემოს დაცვის სამინისტრომ 44%-ით შეამცირა თავისი აპარატი, ხოლო საბაჟო დეპარტამენტმა – 23%-ით.¹⁰⁰ ეს ცვლილებები გათვალისწინებული იყო სახელმწიფო უწყებების ოპტიმიზაციისთვის, მაგრამ, ამავდროულად, კორუფციის დონის შემცირებას და ცენტრალური კონტროლის აღდგენასაც ისახავდა მიზნად. საჯარო მოხელეთა ხელფასი 7-ჯერ

გაიზარდა, ხოლო ზედა ეშელონების მოსამართლეებისა და სამინისტროების თანამდებობის პირებისთვის – 20-ჯერ.¹⁰¹ რაც შეეხება, ქალების წარმომადგენლობას, თავიდან მათი რაოდენობის ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა მთავრობაში, მაგალითად, 2004 წელს 17-დან 4 მინისტრი ქალი იყო. სააკაშვილის მთავრობამ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების დემილიტარიზაცია დაიწყო.¹⁰² შინაგან საქმეთა საჯარისო ნაწილები თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანა და ყველა „ძალოვანი“ სამინისტრო, მათ შორის, თავდაცვისა და უშიშროების, სამოქალაქო ხელმძღვანელობას დაუქვემდებარა.


2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, სახელმწიფო კანცელარიას პრემიერ-მინისტრი უდგას სათავეში, რომელიც მთავრობის საქმიანობას უძღვება. სააკაშვილი იშვიათად იყენებს თავის უფლებას შეადგინოს მთავრობის სამუშაო დღის წესრიგი ან გაუძღვეს მის სხდომას. იუსტიციის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებიან. შინაგან საქმეთა სამინისტრო, საკმაოდ მოქნილი და გამძლე მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, ხელმძღვანელობით ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გამჭვირვალე უწყებაა მთავრობაში, მაგრამ სამინისტრო ძლიერია და ეფექტურად მუშაობს. მის დაქვემდებარებაშია ორი სპეციალური დანაყოფი, კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტები. ისინი აგრესიულ თვალთვალს ახორციელებენ ბიზნესისა და ოპოზიციის წარმომადგენლებზე და ხშირ-ხშირად აქვეყნებენ მათ პირად სატელეფონო საუბრებს. ამ ორ დეპარტამენტს სრული წვდომა აქვს საქართველოს საკომუნიკაციო სისტემაზე.¹⁰³

პრეზიდენტის ადმინისტრაციას ავტონომიური ძალაუფლება არ გააჩნია და მცირე ზომისაა, მაგრამ ის პრეზიდენტისთვის მისაწოდებელ ინფორმაციას ფილტრავს, ზედამხედველობს სამთავრობო სტრუქტურებზე, ლიაზონის ფუნქციას ასრულებს პარლამენტთან (საპარლამენტო მდივნის მეშვეობით), აწარმოებს დამოუკიდებელ კვლევებს და მონაწილეობას იღებს რწმუნებულების დანიშვნაში. ამას გარდა, ის მართავს საპრეზიდენტო ფონდს, რომლის თანხებს სურვილისამებრ იყენებს პრეზიდენტი (და ხშირად, პოპულისტური მიზნებით). როგორც ამბობენ, დეპარტამენტებს შორის კოორდინაცია არ არსებობს და ყველაფერი ენერგიულ, მაგრამ არაპროგნოზირებად პრეზიდენტზეა დამოკიდებული, რომელიც ხშირად არღვევს პროტოკოლს. ადმინისტრაციაში იშვიათად ტარდება რეგულარული შეხვედრები, არც მრჩეველთა არსებულ პატარა ჯგუფს იწვევენ, დაახლოებული წრის გარდა, პრეზიდენტისთვის რეკომენდაციების შესამუშავებლად. 30-შტატიანი ეროვნული უშიშროების საბჭო უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარება. საბჭოს მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა მეორე ადმინისტრაციის დროს, მისი მდივნის, გიგა ბოკერიას, ხელმძღვანელობით. საბჭოს ძირითად შემადგენლობაში შედიან შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრები.

საპარლამენტო კომიტეტები, კონტროლის პალატა, საკონსტიტუციო სასამართლო თუ სახალხო დამცველი პრაქტიკულად აღარ ახორციელებენ ზედამხედველობას პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე. 2005 წელს პარლამენტმა არ დაამტკიცა კანონი, რომლის მიზანი გენერალური ინსპექციების (სამონიტორინგო და სააუდიტო უწყებები) გაძლიერება იყო სამინისტროებში და არც იმის სურვილი გამოუშვლავნებია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მასიურად წარმოებული უკანონო სატელეფონო მოსმენები შეეზღუდა. პოლიციის რეფორმას თავიდან მოსახლეობა მოწონებით გამოეხმაურა, მაგრამ თანდათანობით, პოლიცია ისეთ ძალად ჩამოყალიბდა, რომელიც ზოგჯერ სახელმწიფოს პოლიტიკური ფრთის მსგავსად მოქმედებს და არა იმ ძალად, რომელსაც მოქალაქეთა უფლებები უნდა დაეცვა. რესურსების გაზრდასთან ერთად (საბიუჯეტო შემოსავლებმა 4-ჯერ იმატა 2003-2006 წლებში), მთავრობა ნაკლებად რეაგირებს დასავლეთის მოთხოვნაზე, რომ დააჩქაროს დემოკრატიზაციის პროცესი.¹⁰⁴ ევროკავშირის ვენეციის კომისიის რეკომენდაციები საპრეზიდენტო ხელისუფლებაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით, მეტწილად, იგნორირებულია, თუმცა, სააკაშვილი 2007 წელს დათმობებზე წავიდა. მან წამოაყენა წინადადებები, რომ პარლამენტის უფლებამოსილების 4-წლიანი ვადა 5 წლამდე გაზრდილიყო, შეზღუდულიყო პარლამენტის დათხოვნის საპრეზიდენტო უფლებამოსილება და გაძლიერებულიყო სასამართლოს დამოუკიდებლობა (ამ მიზნით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ნაწილობრივ დაინერგა კიდეც).¹⁰⁵

ევროსაბჭოს წევრობა და ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილეობა, მათ შორის, მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, საქართველოს მუდმივი წნეხის ქვეშ ამყოფებს, რომ დემოკრატიული რეფორმები გაატაროს. თუმცა, „წარმატებისგან თავბრუსხვეული“ ახალგაზრდა მთავრობა რეალურად მაინც ისეთ პოლიტიკას ატარებს, თან ლიბერალური შეფუთვით, რომ სულ უფრო ზრდის მთავრობის ძალაუფლებას. სამართლებრივი რეფორმების სწრაფად გატარების მცდელობამ ზენოლა გააძლიერა სასამართლოზე; განახლებულმა ფინანსურმა პოლიციამ ძირი გამოუთხარა ადგილობრივი წარმოების დამოუკიდებლობას; ადგილობრივმა მმართველობის რეფორმებმა დაასუსტა მუნიციპალიტეტები და გააუქმა ქვედა დონის საკრებულოები; ხოლო ეკონომიკურმა კურსმა ახალი შრომის კოდექსით სამოქალაქო უფლებები შეზღუდა. და ბოლოს, როგორც ევროპის საპარლამენტო ასამბლეაზე აღინიშნა 2006 წლის იანვარში, რეფორმა ელიტისტურია სტილით, „რეფორმათა უმრავლესობა, როგორც ჩანს, თანამოაზრე პოლიტიკოსთა ერთი პატარა ჯგუფის მიერ გატარდა და არა ადამიანთა ფართო წარმომადგენლობით, რომელიც მთელი ქვეყნის მდიდარ პოტენციალს ასახავს.“¹⁰⁶

სააკაშვილის აღმასრულებელი ხელისუფლება ჩქარობს, ის მუდმივად იცვლება, არაკოორდინირებული და პიროვნულია და, ამასთან, პრეზიდენტის ჩვევებსა და ახირებებზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი არც ისე ცუდია, რადგან შევარდნაძის პრეზიდენტობის დროისთვის დამახასიათებელ ინერტულობასა და თვითკმაყოფილებას აღარ დაუშვებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მმართველობის პროგნოზირებადობას აყენებს ზიანს და არაკოორდინირებულ სამოქმედო კურსს იძლევა შედეგად.



პრეზიდენტი სააკაშვილი გორის ეროვნული თავდაცვის აკადემიას ხსნის

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო სისტემა საქართველოს რეფორმების ყველაზე „არაქმედი-თი“ (უუნარო) პროდუქტია. 1997 წლიდან ამ სისტემაში სამჯერ გატარდა საფუძვლიანი რეფორმა. ცვლილებათა ბოლო პაკეტის შესახებ, რომელსაც „ვარდების მეორე რევოლუციის“ შემადგენელი ნაწილი უწოდა, სააკაშვილ-მა 2008 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნლიდან განაცხადა.¹⁰⁷ ცვლილებების პაკეტში სისხლის სამართლის საქმეებისთვის

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვაც იგულისხმებოდა. კავკასიის ბარომეტრის მიერ 2009 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა კვლავ სექტიკურად იყო განწყობილი სასამართლო სისტემისადმი და მხოლოდ 25% გამოხატავდა ნდობას მისდამი, თუმცა ეს ციფრი 2010 წლისთვის 30-მდე გაიზარდა.¹⁰⁸ ამერიკულმა ადვოკატთა ასოციაციამ ადრინდელ, 2006 წლის, კვლევაში საქართველოს სასამართლო დამოუკიდებლობა ჩამოთვლილი 30 ნიშნიდან, რომლებიც სამართლიან მართლმსაჯულებას უზრუნველყოფენ,¹⁰⁹ სულ ორი დადებითი ნიშნით შეაფასა.

სასამართლო სისტემის რეფორმირების პროცესი მისი დეპოლიტიზაციით დაიწყო გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში; გაიზარდა სამოსამართლო ვადა და შეწყდა მოსამართლეთა არჩევა საქ. რესპუბლიკის, აჭარის და აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდენტების მიერ. კანონმდებლობა, რომელიც 1995 წლიდან არეგულირებს სასამართლოს როლს, სრულყოფილია, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. ახალმა, თავისი მნიშვნელობით საეტაპო კანონმა საერთო სასამართლოების შესახებ, რომელიც მაშინდელი იუსტიციის მინისტრის, სააკაშვილის, მხარდაჭერით მიიღო პარლამენტმა 1997 წელს, სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა შექმნა, რომელმაც სააპელაციო ინსტანციაც მოიცვა; გაუქმდა სამხედრო და საარბიტრაჟო სასამართლოები, ხოლო იუსტიციის სამინისტრო იუსტიციის უზენაესმა საბჭომ შეცვალა, როგორც სისტემაზე ზედამხედველი. თუმცა, რეფორმები შეჩერდა ისეთი პოლიტიკური გარემოს არსებობის გამო, რომელიც პატიობდა უსამართლობას და იტანდა დაუსჯელობას. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, სამოქალაქო საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა 60% არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე 1999-დან 2004 წლამდე ლადო ჭანტურია გახლდათ. მან ვარდების რევოლუციამდე წარმოთქმულ სიტყვაში სასამართლო სისტემის სამი დიდი პრობლემა, კერძოდ, მოსახლეობის „ძველი ტოტალიტარული მენტალობა“ (სამართლებრივი ნიპილიზმი), არასათანადო მომზადება (არადამაკმაყოფილებელი ეთიკური ნესები); და ახალი კანონების გამოყენების შეუძლებლობა ძველი მმართველობის სტრუქტურების პირობებში, რასაც ბოავანტურა დე საუსა სანტოსი „მალალი ინტენსივობის გლობალიზაციის“ პრობლემას უწოდებს.¹¹⁰ კიდევ ერთი პრობლემა, რის წანაშეც საქართველოს სასამართლო აღმოჩნდა უსახსრობა იყო. მოსამართლეები და თანამშრომლები ძალზე მცირე გასამრჯელოს იღებდნენ და გადატვირთული იყვნენ (საშუალოდ 5-6 საქმის განხილვა ყოველდღიურად). საოლქო პროკურორის ყოველთვიურ ხელფასი 140 ლარს შეადგენდა. ამ თანხით შეუძლებელი იყო ოჯახის რჩენა, ხოლო გენერალური პროკურატურისთვის გამოყოფილი თანხა სახელმწიფო ბიუ-

ჯეტში ამ უწყების საჭიროებების 50%-ს აფინანსებდა მხოლოდ.¹¹¹ 1997 წლის რეფორმების ჩავარდნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსამართლეებისთვის ნორმალური ხელფასის გადაუხდელობა იყო. პროკურატურაში ამ დროისთვის რეფორმები არც იყო დაწყებული. გენერალურ პროკურორს შეეძლო დაცვის გარეშე დაეტოვებინა პირი წინასწარ დაკავებაში და გაეუქმებინა ისი ქვემდგომი პროკურორების გადანყვეტილებები. გენერალურ პროკურატურა, აღმასრულებელი ხელისუფლების უწყება, ყურადღებას არ აქცევდა ისეთ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მთავრობას. თბილისსა და რეგიონებს შორის უზარმაზარი განსხვავება იყო უწყების ღიაობის თუ მომსახურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ადგილობრივი პროკურორი, გუბერნატორი და პოლიციის უფროსი გავლენიან სამეულს, „ტროიკას“ ქმნიდა რაიონის ქალაქებში. იურისპრუდენციაში განსწავლულებმა თავი დედაქალაქში მოიყარეს, პროვინციული საგანმანათლებლო ინსტიტუტები მოთხოვნებს არ შეესაბამებოდნენ. თბილისს გარეთ კი ზედამხედველობის ზედამხედველობის (მონიტორინგის) მექანიზმები არ არსებობდა. 1998 წლის ერთიან ეროვნულ გამოკითხვაში, საჯარო ინსტიტუტებს შორის მომსახურების ხარისხის მიხედვით, ადგილობრივი სასამართლოებმა მე-15 ადგილი დაიკავეს.¹¹²

თუმცა, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს სიბნელე მანაც არ სუფევდა ყველგან. ლადო ჭანტურია მოდერნიზატორი გახლდათ. მან შექმნა მოსამართლეთა კონფერენცია, დისციპლინური საბჭო და მოსამართლეთა გადამზადების ცენტრი. მან გახადა უზენაესი სასამართლოს განხილვები ღია და უზრუნველყო მისი გადანყვეტილებების გავრცელება და გამოქვეყნება. მის სახელს უკავშირდება, აგრეთვე, მკაცრი საკვალიფიკაციო გამოცდების შემოღება მოსამართლეებისთვის. როგორც ჭანტურია ამბობს, 1998 წლიდან 2003 წლამდე, დაახლოებით, 1,587 კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა გამოცდებში. მოსამართლეთა კორპუსის ნახევარზე მეტი 2003 წლისთვის ახალი მოსამართლეებისგან შედგებოდა, თუმცა, ისევ მისი სიტყვები რომ მოვიშველიოთ, საკვალიფიკაციო გამოცდა ვერ უზრუნველყოფს მაღალ ეთიკას.¹¹³ რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, მან ვერ გააძარტლა იმის იმედები, რომ დასაბამს მისცემდა სასამართლო ზედამხედველობას და კონსტიტუციურ დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც განზრახული იყო იმისთვის, რომ „საპრეზიდენტო უმრავლესობა“ მყოლოდა თავის რიგებში, არასდროს მიუღია მთავრობის სანინალმდევო გადანყვეტილება. კანცლერის სასამართლოს მსგავსად დიკენსის რომანიდან „ბნელი სახლი“, საკონსტიტუციო სასამართლო უიმედო სარჩელებით გადაიგის. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმებს ის იშვიათად განიხილავდა. 1996 წლიდან 2000-მდე წელიწადში, საშუალოდ, 6 საქმეს წყვეტდა; მას არანაირი გავლენა არ ჰქონდა სახელმწიფო სამართლის

თუ სასამართლო პროცესის განვითარებაზე. წინადადებები იმის შესახებ, რომ გაზრდილიყო საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლების მქონე იურიდიულ პირთა რაოდენობა ან ნება მიეცათ მოსამართლეებისთვის ერთზე მეტ საქმეზე ემუშავათ ერთდროულად (ეს სერიოზული შეზღუდვა იყო, რომელიც საშუალებას არ აძლევდა მოსამართლეს სწრაფად განეხილა საქმეები), საქმეს ვერ შევლიდა. 1997-1999 წლებში საკონსტიტუციო სასამართლო, ძირითადად, ეკონომიკური დავებით იყო დაკავებული; ამ საქმეთაგან მხოლოდ 10% იყო აღძრული მოქალაქეთა კერძო სარჩელებთან დაკავშირებით.¹¹⁴ ხანდახან, სასამართლო პოლიტიკურ გადანყვეტილება-საც იღებდა, მაგალითად, 1998 წლის ნოემბერში, მან დააკმაყოფილა ერთ-ერთი მოსამართლის სადავო კონსტიტუციური სარჩელი იმის შესახებ, რომ გაგრძელებულიყო მისი სამოსამართლო ვადა, მიუხედავად იმისა, რომ 1997 წლის კანონი საერთო სასამართლოების შესახებ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას ითხოვდა მოსამართლეებისგან.¹¹⁵

ვარდების რევოლუციის შემდეგ სასამართლოში პროფესიონალიზმმაც იმატა და ფინანსური სტაბილურობაც დამყარდა, მაგრამ მისი დამოუკიდებლობა ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თუ შევარდნაძე კანონს კონტროლის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად იყენებდა, სააკაშვილი მას ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად იყენებს. ორივე სამართლის იარაღად მოხმარებას გულისხმობს. სასამართლო ხელისუფლების ინტერესების დასაცავად არსებობს და არა მოქალაქეების, რომლებსაც სახელმწიფო უპირისპირდება.¹¹⁶ კანონი შერჩევითად გამოიყენება. 2006 წელს, პარლამენტიდან გაუშვეს ოპოზიციის მხარდამჭერი დეპუტატი ვალერი გელაშვილი, იმ მიზეზით, რომ კანონი მას, როგორც დეპუტატს, სამენარშეო საქმიანობას უკრძალავდა. მისი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო განსახილველად. თუმცა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები განაგრძობენ თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობას.¹¹⁷ მოსამართლეთა ასაკის 28 წლამდე შემცირება პოზიტიური ცვლილება კი იყო, მაგრამ ეს იმ მოსამართლეების გასათავისუფლებლად გამოიყენეს, რომლებიც კეთილგანწყობილნი არ იყვნენ ვარდების რევოლუციისადმი. სასამართლო სისტემაში გატარებული ბევრი „რეფორმა“ საქართველოს კონტექსტში სულაც არ არის რეფორმა. მაგალითად, ავიღოთ 2007 წლის ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში. ერთ-ერთი ცვლილებით კოდექსიდან ამოღებულ იქნა მუხლი, რომელიც მოსამართლის დასჯას ითვალისწინებდა „არაკანონიერი გადანყვეტილების მიღების“ გამო. ეს უკან გადადგმული ნაბიჯია იმ სისტემაში, სადაც სასამართლო სუსტია. იგივე შეიძლება ითქვას აუდიო-ვიდეო ჩანერის აკრძალვაზე სასამართლო დარბაზში. ამ ცვლილების მომხრეები ამბობდნენ, რომ გადაღებები ხელს უშლიდა სასამართლოს საქმის განხილვაში, რაც, სავარაუდოდ, სწორი იქნებოდა აშშ ფედერალური სასამართლოების შემთხვევაში, მაგრამ საქართველოში არ არსებობს სასამართლოს

სანდო რეპორტიორი (მომხსენებელი) ან მდივანი, რომელიც მედიის ნაცვლად განიხილავდა სასამართლო პროცესს საჯაროდ. სასამართლოსადმი ნდობა გაიზარდა ვიდეოკამერების სხდომის დარბაზიდან გატანის შემდეგ, შეიძლება ეს ყოფილიყო ხელისუფლების მიზანი.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ არის სერიოზული მიღწევებიც. ხელისუფლების ანტიკორუფციულმა კამპანიამ მაინც შეაღწია სასამართლოში, მოსამართლეებს მაღალი ხელფასები დაენიშნათ, მაგალითად, საოლქო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეები 2006 წელს 1,320 ლარს (796 აშშ დოლარი) იღებდნენ ყოველთვიურად, ხოლო უზენაეს სასამართლოში – 2,736 ლარს (1.650 აშშ დოლარი). შეიქმნა იუსტიციის ახალი უმაღლესი სკოლა, რომლის სასწავლო პროგრამის გავლა სავალდებულოა ყველა მოსამართლისთვის;¹¹⁸ გაძლიერდა ბრალდებულის უფლებების დაცვა, მტკიცების ტირითი პროკურატურაზე გადავიდა, რომელიც აღარ არის ერთადერთი პასუხისმგებელი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში; და განახევრდა საქმის განხილვის ვადა (12 თვეა ამჟამად). სასამართლო უფრო მეტად იცავს შეჯიბრებითობის პრინციპს, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირები კვლავ გალიებში სხედან და სასამართლოს უმეტესად გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს.¹¹⁹ 2006 წელს 16,911 ბრალდებული ცნეს დამნაშავედ და მხოლოდ 37 გაამართლეს (მთლიანობაში, გამამართლებელი განაჩენი 1 პროცენტზე ნაკლებია). საპროცესო გარიგება და გიროო სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დაინერგა, წინასწარი პატიმრობის ვადაც 9-დან 4 თვემდე შემცირდა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა არ შეცვლილა. მოსამართლე ისევ 10 წლით აირჩევა, მაგრამ მხოლოდ ერთი ვადით. ამასთან, სასამართლოს მიენიჭა საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით გამოტანილი განაჩენების გადახედვის უფლებამოსილება.¹²⁰ საერთო სასამართლოების სისტემა შეიცვალა და ამჟამად არსებობს პირველი ინსტანციის და საქალაქო სასამართლოები. ამას გარდა, 2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ხოლო 2013 წლიდან ამოქმედდება მუხლი, რომელიც, სამწლიანი პრობაციის შემდეგ, მოსამართლეთა უვადო დანიშვნას გულისხმობს, რაც მათ დაუმოკიდებლობას კიდევ უფრო განამტკიცებს.

სასამართლოს გასაძლიერებლად სხვა რეფორმებიც გატარდა. 2001 წელს მიღებული ახალი კანონით ადვოკატთა შესახებ, სავალდებულო გახდა ერთწლიანი სტაჟირების გავლა. 2003 და 2004 წლებში ჩატარდა გამოცდები, ხოლო 2005 წელს მონვეულ იქნა ადვოკატთა საერთო კრება. ახალი კანონების შექმნასა და სამოქალაქო უფლებების უკეთ დაცვის საქმეში აქტიურობენ ახალგაზრდა იურისტები, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, განათლება საზღვარგარეთ აქვთ მიღებული. ახალგაზრდა იურისტები, დაახლოებით 600 ადამიანი, გაერთიანებულია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-

ციაში, რომელიც ეფექტურად ეწევა ლობირებას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოური კომპანიების მოთხოვნათა გათვალისწინებით. იურისპრუდენცია ყველაზე პოპულარული საგანი გახდა უმაღლეს დანესებულებებში. ამ ცვლილებებისთვის პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი პრიზი მიიღო.

მაგრამ ღირსია თუ არა ის, ამ პრემიის? კონტექსტი ყველაფერს ცვლის. საპროცესო გარიგება კი მისასაღმებელია, მაგრამ როგორ მუშაობს ეს ინსტიტუტი საქართველოში რეალურად? მთავრობამ 25.4 მილიონი აშშ დოლარს მოუყარა თავი საპროცესო გარიგებების შედეგად 2003-2004 წელს, მაგრამ ერთი განსაზღვრული პროცედურით არასდროს უსარგებლია. ვინ მიიღო სახელმწიფოსთვის „ჯარიმის“ გადაცემის გადაწყვეტილება ან სად წავიდა ეს თანხა, დღემდე გაურკვეველია. როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, 2004 წლის შემდეგ¹²¹ 300,000 ადამიანზე მეტს აქვს გაფორმებული საპროცესო შეთანხმება. თუ ეს სიმართლეა, რატომ არის ეს ციფრი ასეთი მაღალი? სასამართლოსადმი უნდობლობის ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო შეთანხმების პოპულარობის ასახსნელად. ბუნებრივია, რომ „რალაცის თხოვნა“ უკეთესია გარანტირებულ პატიმრობაზე. სასამართლო რეფორმებს სხვა უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგად, რომელიც შთაგონებული იყო კალიფორნიის შტატის კანონით „სამჯერ ჩაიდენ დანაშაულს და მოკვებითი ხარ.“ (Three strikes law), არასრულწლოვანთა მსჯავრდება 50-ჯერ გაიზარდა 2005 და 2007 წლებს შორის, და ამასთან გახანგრძლივდა სასჯელები წერილობრივი დანაშაულისთვის. იუნისეფის 2007 წლის ანგარიშში, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას ეხება, აღნიშნულია, რომ „ის არ აკმაყოფილებს გაეროს მინიმალურ სტანდარტებსა და შეუსაბამო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუკეთესო პრაქტიკასთან.“¹²² იმავე წელს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი პარლამენტმა 14-დან 12 წლამდე დანია (თუმცა, ამ ნორმას მაშინვე დაედო მორატორიუმი და 2010 წელს გაუქმდა კიდევ).

ფაქტობრივად, პრეზიდენტი წყვეტს, ვინ დაინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, მაგრამ ის უშუალოდ აღარ ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, რაც პოზიტიური ცვლილებაა, თუმცა დიდ გავლენას იწვევს მათ შერჩევაზე. აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა მართლმსაჯულების სისტემაში აშკარად გამოჩნდა (კონსტიტუციის მიხედვით ეს დასჯადი დანაშაულია) 2005 წლის დეკემბერში, როცა უზენაესი სასამართლოს ხუთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ წინების გამო გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან. ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ხელმძღვანელის, სილვია პანცის აზრით, ეს ხუთი მოსამართლე აიძულეს, რომ გადამდგარიყო, რადგან „სწორ გადაწყვეტილებებს არ იღებდნენ.“¹²³ 2005 წელს უზენაესი სასამართლოს 37 მოსამართლიდან

21-მა თანამდებობა დატოვა. ეს გამაოგნებელი რაოდენობა იყო.¹²⁴ ახალი კანონით მოსამართლეს შეუძლია პენსიაში ადრეულ ასაკში გავიდეს ხელფასის შენარჩუნებით. ეს მექანიზმი ხელისუფლებას საშუალებას აძლევს მოიშოროს არასასურველი მოსამართლეები. თუ ამ მექანიზმმა არ გაამართლა, მოსამართლის გათავისუფლება და „სარეზერვო სიაში“ გადაყვანა სასამართლოს რეორგანიზაციის დროს შეიძლება. თუმცა, უცნობია ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოსამართლეები ამ სიაში შეჰყავთ. მოსამართლეები ჩივიან, რომ იმდენად დატვირთულები არიან (განსაკუთრებით, გამწვავდა სიტუაცია მათი რეზერვში გადაყვანის გამო), რომ განსაზღვრულ ვადებში ვერ ასწრებენ საქმის განხილვას, რაც, საბოლოოდ, დისციპლინარულ დარღვევას იწვევს, და აქედან გამომდინარე, სამსახურიდან დათხოვნის საფუძველიც იქმნება. ფაქტობრივად, დისციპლინარული ზომებით მანიპულაცია და მოსამართლის ერთი სასამართლოდან მეორეში გადაყვანა მკაფიოდ განსაზღვრული დროის გარეშე, აზრს უკარგავს 10 წლით თანამდებობაზე დანიშნვის არსს. ძველი გვარდიის ჩამოშორება სასამართლოსგან რეფორმის პროცესის ნაწილია, მაგრამ როცა ის ნაჩქარევად ხორციელდება და, ამასთან, გაუმჭვირვალედ, მოსამართლის დამოუკიდებლობას ზიანი ადგება.

2006 წელს, საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტს ჩამოერთვა მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების ფორმალური უფლება მოსილება, ხოლო 2007 წლიდან ის აღარც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობს. ახლა, ეს საბჭო, თვითრეგულირებადი და აღმასრულებლისგან თეორიულად მაინც, დამოუკიდებელი ორგანო ნიშნავს მოსამართლეებს, მაგრამ ვინაიდან პრეზიდენტი აღმასრულებელ ხელისუფლებასაც აკონტროლებს და საკანონმდებლოსაც და ამასთან, დიდი ზეგავლენით სარგებლობს უზენაესი სასამართლოს კანდიდატთა წამოყენებაზე (უზენაესი სასამართლო კი თავის მხრივ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობას წარადგენს), ფაქტიურად ის ნყევტს ვინ მოხვდება სასამართლოში.¹²⁵ როგორც ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დანანებით აღნიშნა: „მე ჯერ არ შემხვედრია მოსამართლე, რომელსაც ეთქვას დამოუკიდებელი ვარო. სასამართლოში არც ლაპარაკობენ დამოუკიდებლობაზე.“¹²⁶

თომას ქართიერსი პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში სამართლებრივ რეფორმას სამ ეტაპად ყოფს. ეს ეტაპებია: კანონების გადამუშავება, კადრების გადამზადება/რეორგანიზაცია და ხელისუფლების მიერ კანონმდებლობის შესრულება.¹²⁷ საქართველო ამჟამად მეორე საფეხურზეა და არაფერი ეტყობა, რომ მესამეზე აპირებს გადასვლას. სანამ საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში პლურალიზმი არ დამკვიდრდება, პრეზიდენტს ყოველთვის შეეძლება სასამართლოს მხრიდან სერიოზული გამოწვევის აღბათობის შემცირება თავისი პირდაპირი თუ ირიბი გავლენით მოსამართლეთა

დანიშნებზე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არც არის დაინტერესებული, რომ სასამართლოს ძალაუფლება ჩამოართვას, სასამართლო კონტროლი იმის ნაცვლად, რომ აღმასრულებელზე ხორციელდებოდეს, შეიძლება ლეგიტიმაციის იარაღად იქცეს მთავრობის უკანონო მოქმედებებისთვის იმ ვითარებაში, რომელშიც საქართველოა.

ადგილობრივი მმართველობა

თუ სასამართლო სამთავრობო რეფორმების „ინვალიდია“, ადგილობრივი თვითმმართველობა პრაქტიკულად, სანოლსაა მიჯაჭვული. ამ სფეროში რეფორმები გამსახურდიას დროს, 1991 წელს, დაიწყო. საკრებულოებმა (წარმომადგენლობითი ორგანო) და გამგეობებმა (აღმასრულებელი) ჩაანაცვლეს ძველი საბჭოები. ამ კანონებით, – გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობისა და პრეფექტურის შესახებ, შეიქმნა ცენტრიდან დანიშნული რეგიონული მმართველის თანამდებობა. ეს პირი უფლებამოსილი იყო შეეჩერებინა და გაეუქმებინა საკრებულოს გადაწყვეტილებები, გაეკონტროლებინა, თუ ვინ ინიშნებოდა თანამდებობებზე, მათ შორის, ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზეც. პრეზიდენტისადმი ანგარიშვალდებული პრეფექტი ისეთივე გულგრილი იყო ამომრჩევლებისადმი, როგორც მისი წინამორბედი პარტიული მდივანი, რომლის ადგილიც დაიკავა. მიუხედავად 1991 წლის ნოემბრის ადგილობრივი არჩევნებისა, ადგილობრივი თვითმმართველობა მაინც ცენტრის იარაღად რჩებოდა. გამსახურდიას გაძევების შემდეგ, საკრებულოთა უმრავლესობა დაიშალა. 1993-1994 წლებში შევარდნაძემ საკრებულო რეგიონული და საოლქო რწმუნებულებითა და გამგებლებით შეცვალა, რომლებიც არჩევითი პირები აღარ იყვნენ; ნიშნავდნენ ქალაქების მერებსაც პარლამენტი საკანონმდებლო ინიციატივებით აღარ შემოდიოდა ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით. 1997 წლამდე აღმასრულებელი ხელისუფლება რეგიონებს დეკრეტებით მართავდა. იმ წელს, ევროპის საბჭოს დაყინებული მოთხოვნით, პარლამენტმა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობაზე კანონი მიიღო; 1998 წლის ნოემბერში კი არჩევნები ჩატარდა. 1,031 საკრებულოში მოსახვედრად 13 ბლოკი და პარტია იბრძოდა. ამომრჩეველთა აქტიურობამ 60.05%-ს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა კავშირმა ადგილების უმრავლესობა მოიპოვა ქვეყნის მასშტაბით, ქალაქების საკრებულოებში მაინც ვერ მოახერხა უმრავლესობის მიღება, მათ შორის თბილისსა (29.94%) და რუსთავშიც (22.75%). ლეიბორისტულ და სოციალისტურ პარტიებს ძლიერი მხარდაჭერა აღმოაჩნდათ დიდ ქალაქებში.¹²⁸

ახალი წესების მიხედვით, სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის საკრებულოები ირჩევენ გამგეობას და გამგებლებს. პრეზიდენტმა შეინარ-

ჩუნა გამგებლებისა და მერების დანიშვნის უფლებამოსილება ქალაქების უმეტესობაში, მათ შორის, თბილისში, ბათუმში, რუსთავში, სოხუმში, ქუთაისსა და ცხინვალში. ამ ფაქტით საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70%-ს წაერთვა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის საშუალება.¹²⁹ კანონის ბუნდოვანება, გარკვეულ გარემოებებში საკრებულოს დაშლის ან მისი გადაწყვეტილებების გაუქმების ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება, გავლენიანი არაარჩევითი გამგებლები რაიონულ და ქალაქის დონეებზე და ფინანსური დეცენტრალიზაციის არარსებობა – ყველაფერი ეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნების განხორციელებას ხელს უშლიდა. ადგილობრივი საკრებულოები არაპროგნოზირებად საბიუჯეტო ტრანსფერებზე იყვნენ დამოკიდებული. ისინი ვერც თავიანთ აღმასრულებელ ორგანოებს ვერ აკონტროლებდნენ (მათ პრეზიდენტის ნებართვა სჭირდებოდათ გამგებლების გასათავისუფლებად). შევარდნაძე გამსახურდიას მსგავსად შიშობდა, რომ რეალური დეცენტრალიზაცია საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას ძირს გამოუთხრიდა.

1998 წლის რეფორმის ჩავარდნამ და ეჭვებმა არჩევნების გაყალბების შესახებ, 2001 წელს პარლამენტი აიძულა ახალი კანონი მიეღო ადგილობრივ თვითმმართველობაზე. ამ კანონმა დააზუსტა კომპეტენციის დონეები – დაყო ის ექსკლუზიურ, დელეგირებულ და ნებაყოფლობით უფლებამოსილებად – და განმარტა ადგილობრივი მმართველობის ფუნქციები. კანონმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიანიჭა ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე კონტროლი მხოლოდ სასამართლოს წესით იყო შესაძლებელი. გაიზარდა იმ ქალაქების რაოდენობაც, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა (არჩევითი მერები) ხორციელდებოდა და ამასთან, გაძლიერდა საბიუჯეტო დამოუკიდებლობა. არჩევით გამგებებს ნება მისცეს უფრო მოქნილად ემოქმედათ საბიუჯეტო ტრანსფერებისა და საერთო შემოსავლების გადანაწილებაში. თუმცა, პირდაპირი წესით არჩეული საკრებულო გაცილებით სუსტმა და არაპირდაპირი წესით არჩეულმა ე.წ. ასოცირებულმა საკრებულომ შეცვალა, რომლის შემადგენლობიდან პრეზიდენტი რაიონის გამგებელს ნიშნავდა. პრეზიდენტს, აგრეთვე შეუნარჩუნდა (სასამართლოსთან ერთად) ადგილობრივი საკრებულოების უფლებამოსილების შეჩერების უფლება გარკვეული პირობებით. პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავდა რწმუნებულებსაც.

ახალი კანონის არსს ძირს უთხრიდა ცენტრზე ფინანსური დამოკიდებულება, მმართველობის ავტორიტარული სტილი და ადგილობრივი კლანების გავლენიანი ქსელები. გამგებელი საკრებულოს ბიუჯეტის ლომის წილს მართავდა, მაგრამ ამჟამად საკრებულოს ან ქალაქის გამგეობის თანხმობით. გამგებელი მართავდა საერთო მიწებთან დაკავშირებულ საკითხებს და უფლებამოსილი იყო ერთპიროვნულად გადაეწყვიტა ჯან-

დაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის პრობლემები თუ საკრებულო არ მოითხოვდა მონაწილეობის მიღებას. თუ გავითვალისწინებთ მათ ზომებსა და გამოცდილებას, ჩვეულებრივ, ისინი არც არაფერს ითხოვდნენ. გამგებელი ერთდროულად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელიც იყო და მმართველიც, თუმცა კარიერული წინსვლა მისთვის მხოლოდ მმართველობის სფეროში იყო შესაძლებელი. გადასახადები, რომლებიც წესით და კანონით საკრებულოებს ეკუთვნოდათ, მაგალითად, მინისა და ქონების, ფინანსთა სამინისტროს მიერ გროვდებოდა და ინახებოდა. თბილისსა და ფოთს ისევ ცენტრის მიერ დანიშნული აღმასრულებლები ჰყავდა. სამინისტროები ისევ თავად წყვეტდნენ, ვინ დაენიშნათ რაიონულ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი თანხმობას ითხოვდა რაიონული გამგებლებისგან.¹³⁰ 2001 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კანონს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა პარლამენტში და როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, კენჭისყრის შედეგების გაყალბებით იქნა მიღებული.

2002 წლის ადგილობრივი არჩევნები ქაოტურად ჩატარდა. ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების კონგრესის დამკვირვებლებმა თავიანთ ანგარიშში აღნიშნეს, რომ არჩევნები სრულიად მოუმზადებლად ჩატარდა... ასეთ ვითარებაში იმედები გაქრა, რომ ის სამართლიანად ჩატარდებოდა.¹³¹ ზოგიერთ უბანზე კენჭისყრა გადაიდო (მაგ. რუსთავეში), ბიულეტენების მასიურად ჩაყრის და საარჩევნო ყუთების გატაცების გამო, მაგრამ, პრინციპში, ყველაფერი ცუდი ორგანიზების ბრალი იყო. არჩევნები საკმარისად სამართლიანად ჩატარდა იმისთვის, რომ ოპოზიციას მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის მიეღწია. ლეიბორისტებმა და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შესაბამისად 25.5% (16 ადგილი) და 23.75% (15 ადგილი) მოიპოვეს თბილისის 49 წევრიან საკრებულოში. პრობიზნეს პარტიებმა, ახალმა მემარჯვენეებმა და მრენველობა გადაარჩენს საქართველოს, მათ ხელთ არსებული უფრო მეტი რესურსის დახმარებით მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს რეგიონებში (21% საკრებულოებში), თუმცა მანდატების უმრავლესობა (58%) დამოუკიდებლობა მიიღეს. ეს მოქალაქეთა კავშირის დასასრულს ნიშნავდა. ნდობადაკარგულმა პარტიამ კი მხოლოდ 2% მიიღო ქვეყნის მასშტაბით და 4%—იანი ზღურბლიც ვერ გადალახა თბილისის საკრებულოში შესასვლელად.¹³²

საკაპეილის ვარდების რევოლუცია იმედს იძლეოდა, რომ დაასრულებდა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის განხეთქილებას და განმედიდა წარმომადგენლობით ორგანოებს კლანებისა და ბოსებისგან. 2004 წლის ივლისში, პრეზიდენტმა ეფექტური მმართველობისა და ტერიტორიული მონყობის სახელმწიფო კომისია შექმნა რევოლუციის დასაწყებად რეგიონებში. 2005 წელს პარლამენტმა ორი ახალი კანონი მიიღო ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით, კანონი საქართველოს დედაქალაქის,

თბილისის შესახებ და ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.¹³³ თბილისის შესახებ ახალი კანონის მიხედვით, რომლის პროექტი სახელმწიფო კომისიის მონაწილეობის გარეშე შემუშავდა, მერი თბილისის 37 წევრიანი საკრებულოს მიერ ირჩეოდა; საკრებულო კი – შერეული საარჩევნო სისტემით მაჟორიტარული (პირველი, ვინც მეტ ხმას მიიღებს) და პროპორციული. მაჟორიტარული სისტემა უპირატესობას მსხვილ და ყველაზე ორგანიზებულ პარტიას ანიჭებდა მრავალმანდატიანი ოლქების მეშვეობით, სადაც გამარჯვებულს ყველა ხმა მიჰქონდა. ოპოზიცია პირდაპირ არჩევნებს ითხოვდა, მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი თქვა მათ შეთავაზებაზე, რომ რეფერენდუმი ჩატარებულიყო ამ საკითხზე.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის 2005 წლის კანონმა 1,100 სოფლისა და დაბის საკრებულოების უზარმაზარი ქსელი 67 რაიონული და 6 ქალაქის საკრებულოთი შეცვალა. თითოეული საკრებულო გამგებელს ან მერს, ჩვეულებრივ თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევდა (თუმცა, ეს აუცილებელი პირობა არ იყო). კანონმა გააძლიერა ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილებები ჯანდაცვის, განათლებისა და ურბანული დაგეგმარების საკითხებში, ხოლო საკუთრების პრობლემები მოგვარდა კანონით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ. საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე ნაწილდებოდა, მაგრამ ეს გახლდათ დელეგირებული და არა ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელშიც ფინანსთა სამინისტრო ერეოდა. ქონების გადაცემა ადგილობრივი ორგანოებისთვის პოზიტიური ღონისძიება იყო, მაგრამ გაჭიანურებული ინვენტარიზაცია, პრივატიზაცია-სთან დაკავშირებული დავები და ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილი დაბრკოლებები პროცესებს პრობლემურს ქმნიდა ყველასთვის. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი ქონების შექმნა ადგილობრივი მმართველობის ვალების ზრდას იწვევდა. 40,000 ლარზე ნაკლები ქონების გადასახადისგან გათავისუფლება იმას ნიშნავდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის 90%-მეტ ერთეულს ქონებისგან შემოსავალი არ გააჩნდა, ხოლო მინაზე გადასახადისგან 5 პექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთის გათავისუფლება შემოსავლებს მინიმუმამდე ამცირებდა.

რეფორმამ არ უზრუნველყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო დამოუკიდებლობა. შეზღუდული რესურსების გამო, ქვედა დონის საკრებულოების გაუქმებამ, ცენტრალური ხელისუფლების რეგულაციურმა უფლებამოსილებამ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გამგებელთა თანამდებობების 89%-ის მოპოვებამ, 2006 წლის ადგილობრივი არჩევნებში, დეცენტრალიზაცია, რომელსაც 2005 წლის რეფორმები ისახავდა მიზნად, არასწორ ტერმინად აქცია. კანონმა დაასუსტა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეროვნული ასოციაცია,

რომელშიც საქართველოს ყველა საკრებულო შედიოდა და სუბსიდიარობის პრინციპსაც ძირი გამოუთხარა. რაიონული საკრებულოების დიდი მანძილით დაშორებამ სოფლებიდან, კიდევ უფრო გაართულა ხალხის მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში და ადგილობრივი ხელისუფლება მიუწვდომელი გახადა მისთვის. ანგარიშვალდებულების საქმე არ გამოსწორებულა. ადგილობრივი ორგანოები უგულვებელყოფენ ხალხის მოთხოვნას გარკვეული ინფორმაციის გაცემაზე, კომუნიკაცია მათსა და მოსახლეობასთან შორის საბიუჯეტო საკითხებზე თუ ქონების აუქციონზე მინიმალურია, არ ტარდება საჯარო შეხვედრებიც. 2009 წლის გამოკითხვაში, რესპონდენტთა მხოლოდ 15% უპასუხა დადებითად შეკითხვას, სათანადოდ აწვდიდა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება ინფორმაციას მოსახლეობას, მაშინ როცა 55%-მა უარყოფითი პასუხი გასცა.¹³⁴

მთავრობა ამტკიცებდა, რომ ზედმეტად ბევრი უფლებამოსილების გადაცემა რაიონებისთვის ადგილობრივ კლანებს გააძლიერებდა. როგორც ის ამბობდა, უფრო დიდმა ადმინისტრაციულმა ერთეულებმა ადგილობრივი სამსახურების ქმედითობა გააუმჯობესა (მართლაც, ზოგიერთი სოფლის საკრებულოს საკმარისი რესურსები არ ჰქონდა თავისივე თემის მომსახურებისთვის) და როგორც შუამავალმა რგოლმა ხელი შეუწყო რეგიონული და ხარჯვითი უთანასწორობის გამოსწორებას; ამასთან პრეზიდენტის მიერ დანიშნულ რწმუნებულსაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი რესურსების თანაბრად გადანაწილების უზრუნველყოფა შეეძლო. სინამდვილეში კი, 2005-2006 წლების რეფორმებმა იერარქიული ურთიერთობები შეინარჩუნა ცენტრალურსა და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. საერთოდ, დეცენტრალიზაციას ბიუჯეტზე ადგილობრივი კონტროლის გარეშე, პერსპექტივა არ აქვს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ „მოანერსიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი თავიანთი პასუხისმგებლობით“ (ციტატა ქართიდან-მთარგმნ.), როგორც ამას ევროპული ქარტია ითხოვს (მუხლი 3.1).¹³⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. რეალური თვითმმართველობის გარეშე, რომელშიც განათლებისა და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარებაც უნდა შევიდეს, საეჭვოა რომ ეკონომიკა განვითარდეს რეგიონებში. სოფლად და ქალაქად მცხოვრები ქართველების ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმაზე უკეთესი პერსპექტივა, ვიდრე რეფორმების დასაწყისში, 1991 წელს ჰქონდა, ახლაც არ აქვს.

ახალი კანონი სერიოზულად 2006 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების დროს შემოწმდა. არჩევნების თარიღი 40 დღით ადრე გამოცხადდა, ეს მინიმალური დროა, რასაც კანონი ითხოვს. ოპოზიციურმა პარტიებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, დრო არ გვყოფნისო. ერთმანდატიანი ოლქების ერთ მეოთხედზე მეტ ოლქში ნაციონალურ მოძრაობას

ოპონენტი არ ჰყავდა. ამომრჩეველთა აქტიურობა დაბალი იყო, მხოლოდ 47.4% შეადგინა. ადგილობრივ ადმინისტრაციულ რესურსებს ნაციონალური მოძრაობა განკარგავდა, რომელმაც ადგილების 88.8% მოიპოვა.¹³⁶ საარჩევნო სისტემით, რომელიც მსხვილი პარტიის გამარჯვებას უზრუნველყოფდა, ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისში ხმათა 67% და ადგილების 92% მიიღო. ეუთოს დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლების მიერ დარიგებულმა კომუნალურმა ვაუჩერებმა, პენსიების დანამატებმა და უფასო სასადილოების გახსნამ, რაც საარჩევნო კამანიის დროს მიმდინარეობდა, აშკარა გახადა „პარტიასა და სახელმწიფოს შორის მკვეთრი ზღვარის არარსებობა.“¹³⁷ 2010 წლის არჩევნებში, რომელიც შეცვლილი კანონით ჩატარდა, თბილისის მერი პირდაპირი გზით აირჩია მოსახლეობამ. ნაციონალურმა მოძრაობამ, რომლის საარჩევნო ხაზინა ოპოზიციურთან შედარებით უზარმაზარი იყო, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ყველა მუნიციპალურ საკრებულოში (თბილისის გარეთ (73.9%). თუმცა, თბილისის ახალი საკრებულო გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება ინდიფერენტულად არის განწყობილი თვითმმართველობისადმი. საკრებულო თვეში ერთხელ იკრიბება შუადღის 5 საათზე და 4-6 საათში წყვეტს 1.2-მილიონიანი ქალაქის პრობლემებს.

საქართველოს თითქმის ყველა ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მოვიდა, მუდმივად ენინააღმდეგებოდა დეცენტრალიზაციის იდეას. 2005 წელს ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტი 597 მილიონს შეადგენდა ანუ ქვეყნის ბიუჯეტის ერთ მეხუთედზე ოდნავ მეტს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ემსახურება. კანონებმა, რომელთა ძალითაც ქონება ადგილობრივ მთავრობას გადაეცა და საბიუჯეტო უფლებამოსილებებიც გაიზარდა, ვერ გაუძლეს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ თუ პოლიტიკურ კონტროლს. ადგილობრივი მმართველობის უწყებათა გასაველების 90% დღემდე ამ სამინისტროზეა დამოკიდებული. არასათანადოდ მომზადებული კადრები, მცირე საორგანიზაციო პოტენციალი და რესურსების სიმწირე რაიონსა და ცენტრს შორის წონასწორობას არღვევს. საკრებულოები, მიუხედავად იმისა, რომ საზედამხედველო კომისიები შეიქმნა და გამგებლისადმი უნდობლობის გამოცხადების უფლებამოსილებაც აქვთ, ვერ ახერხებენ ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების გაკონტროლებას. თბილისთან შედარებით, რეგიონული პოლიტიკა არ არის გამჭვირვალე, უფრო კულუარულია. ადგილობრივი აღმასრულებლები მათდამი მონივნებული დამოკიდებულით სარგებლობენ და ნაკლებად ექცევიან საჯარო კონტროლს ქვეშ. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, გავლენიანი პირები, რომლებსაც ცენტრიდან ნიშნავდნენ, იცავდნენ თავიანთ ავტონომიურობას. სააკაშვილმა, შეასუსტა მათი უფლებამოსილების ვადის დაცულობა. მაგალითად, იმერეთმა 2003 წლის შემდეგ 5 რწმუნებული და

12 მერი გამოიცვალა, მაგრამ დიდ პოლიტიკურ ფიგურებს მაინც დიდი გავლენა აქვთ რეგიონების ცხოვრებაზე, ხშირად სკანდალურიც.¹³⁸ დეცენტრალიზაციის სტრატეგიის კონცეფციამ, რომელიც ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით შემუშავდა 2005 წელს ვერ მოახერხა დემოკრატიული მართვის გაუმჯობესება ადგილობრივ დროზე, როგორც პრინციპში, ბოლო ოცი წლის მანძილზე შექმნილმა ვერც ერთმა პროექტმა.

დასკვნა

შევარდნადის მმართველობის პერიოდში, სახელმწიფოს უუნარობამ შეეღწა საზოგადოების ცხოვრებაში და გადასახადების ამოუღებლობამ დიდი ზიანი მიაყენა მის პოტენციალს დაეცვა თავისი მოქალაქეები ძლიერი და არაარჩეული ადგილობრივი ჯგუფებისა და მონოპოლიებისგან. თითქმის არ არსებობდა კონსენსუსი სახელმწიფოს არსზე და მის პოლიტიკურ ღირებულებებსა და ამოცანებზე. კორუფციამ და გადახდისუუნარობამ ძირი გამოუთხარა ისეთ გამამთლიანებელ ინსტიტუტს, როგორცაა ჯარი და დაასუსტა ეროვნული ბაზრისთვის საჭირო ინფრასტრუქტურები. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ბაზისური ეკონომიკური კეთილდღეობის არარსებობამ ზიანი მიაყენა მოქალაქეობის ღირებულებას და გააღრმავა სახელმწიფოსა და მოქალაქის ტრადიციული გათიშულობა. 2006 წლის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომლითაც სააკაშვილი პარლამენტს წარუდგა, მან ასე აღწერა საქართველოს მდგომარეობა:

დღეს საქართველო ჩამოყალიბებული, სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოა. მას ქმედითი, აწყობილი სახელმწიფო აპარატი და ძლიერი ინსტიტუტები აქვს, ჰყავს დასაქმებული მოსახლეობა. მისი ფინანსური მაჩვენებლები იზრდება, ძლიერდება სამართალდამცავი სისტემა და დღევანდელი ჯარიც მოტივირებული, კარგად აღჭურვილი და განვრთნილია ... ზრდის ინდიკატორები არასდროს ყოფილა ასეთი.¹³⁹

საკაშვილმა, როგორც თვითონ თქვა, „თავი მოუყარა საქართველოს სახელმწიფოებრიობის „გაბნეულ ქვებს.“¹⁴⁰ სახელმწიფომ დაამარცხა კრიმინალური ქსელები, განამტკიცა ბიუჯეტის გადახდისუნარიანობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. სააკაშვილი თავს მოდერნიზატორად აღიქვამს, რომელსაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა რევეოლუციის დასრულება და კულტურული სტერეოტიპების დარღვევა. ის განსაკუთრებული სისწრაფით მიუძღვის წინ საქართველოს 21-ე საუკუნისკენ. დემოკრატიზაციის პროცესი საიმედო ხალხის ხელშია, მაგრამ ამას პრეზიდენტი ასუსტებს, რომელიც ვინრო წრეს ანდობს პოლიტიკური კურსის ფორმირების

პროცესს და აღნიშნული წრის გადანაცვეტილებების დასამტკიცებლად თავის საპარლამენტო კვალიფიცირებულ უმრავლესობას იყენებს. ლიბერალური დემოკრატია ეფექტურ იძულებით-მოპოვებით სახელმწიფოზე დამოკიდებული, მაგრამ სუსტი ოპოზიციის, უმოქმედო პარლამენტისა და მორჩილი სასამართლოს საშუალებით სახელმწიფო თავისი მოქალაქეების ხარჯზე გაძლიერდა. თავისი წინამორბედების, გამსახურდიასა და შვეარდნაძის მსგავსად, სააკაშვილი სახელმწიფოს სახურავიდან აშენებს. მან ვერ დაშალა ის ქსელები და ჯგუფები, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს აღმასრულებელ სტრუქტურების კოჰერენტულობასა და კეთილგონიერულობას, ამის მიღწევა კი, ხალხთან ერთად მუშაობით არის შესაძლებელი, ქვემოდან ზემოთ.

თავი მეხვიღ

ეკონომიკა

1 1990-იანი წლების რუსთაველის გამზირზე საბჭოთა ხელისუფლების იმპოზანტური არქიტექტურული სიმბოლოების, მთავრობის სახლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის გაყოლებაზე კერძო სავაჭრო რიგები, საცალო კოოპერატივები, უცხოური ვალუტის გადასახურდავებელი ჯიხურები და ვალუტით არალეგალური მოვაჭრეები განლაგებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვითომ აკონტროლებდა საზოგადოებრივ სივრცეს, ყველგან ბაზარი იყო გაშლილი. ჭიჭიკოებად ნოდებული არალეგალური ტაქსის მძღოლები, მალაზიებს გარეთ დოლარებში მოვაჭრეები და უცხოელი სტუდენტები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ საქონელს ყიდდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ. საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ გადარჩენაში ჩრდილოვან ეკონომიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს რუსთაველის გამზირი თანამედროვე კაპიტალიზმს ჰგავს. მალაზიების ვიტრინები ბოსისა და არმანის პროდუქციის შესაძენად გინვევენ, ძველი ბაზრები სავაჭრო ცენტრებმა, მოლებმა შეცვალა, სადაც ახალთახალი ლაპლაპა ჯიპები იწონებს თავს, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და მოელვარე ბარ-რესტორნები ერთიმეორეს მიყვება და. რაც ყველაზე თვალმისაცემია, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს შიგნეული აქვს გამოცლილი ახალი ფენენებელური სასტუმროს ასაშენებლად. ვარდების რევოლუციის ავტორებმა კომუნისტური ეპოქის მიბაძვით მშენებლობა მანტრად გაიხადეს და თბილისის ცენტრის უდიდესი ნაწილი მინასა და ბეტონში ჩასვეს. 1980-იანი წლების მიწურულის რუსთაველის გამზირისთვის დამახასიათებელი რბევის ატმოსფერო აქ აღარ სუფევს. ეკონომიკური ცხოვრება ამჟამად უკეთ რეგულირდება, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობისთვის, განსაკუთრებით, რეგიონებში და თბილისის „პროექტებში“, სასწაული ჰორიზონტზეც კი არ ჩანს. მშპ-ის საარაკო ზრდა, ბათუმსა და სიღნაღში გაჩაღებული მშენებლობები, მსოფლიო ბანკის უმაღლესი შეფასებები ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით (მე-15 ადგილი 2009 წელს) და თბილისის ურბანულ ლანდშაფტზე ამოზრდილი ბუტიკ-სასტუმროები საქართველოს ეკონომიკური სიჯანსაღისთვის არასრულყოფილი საზომებია. საქართველო გვიჩვენებს, თუ რატომ გჭირდება იმ მეთოდების გადაფასება, რომლებსაც ეკონომიკური სისტემებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის აღსაწერად ვიყენებთ.¹

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეკონომიკური ვარდნა საქართველოში ყველაზე მწვავე იყო თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის. 1990–1992 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი 64%-ით დაეცა; 1991 წელს აგრარული წარმოება 50%-ით შემცირდა, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობა – 59%-ით.² კატასტროფულად დაეცა აგრეთვე მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ქართველებისა და მათი უცხოელი გულშემატიკვრებისთვის ეს სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. მათი რწმენა ქართველთა საქმიანი ინსტინქტების მიმართ ხომ უსაზღვრო იყო (1993 წლის ანგარიშში მსოფლიო ბანკმა ქართველების „ლატენტური სამენარმეო ნიჭიც“ ახსენა).³ თუმცა, აღმოჩნდა, რომ ყოფილი „დელეცები“ თუ „მენარმე კომბინატორები“, საბჭოთა კავშირის შავი ეკონომიკის პერიოდში თაღლითობასა და უკანონო საქმიანობაში დახელოვნებული მცოდნეები სულაც არ წარმოადგენდნენ იმ „სამენარმეო ნიჭს“, რაც ლიბერალურ ბაზარს სჭირდებოდა. 2002-2003 წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 64%-ს შეადგენდა.

გრეგორი გროსმანი მიუთითებდა, რომ საბჭოთა ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარი მახასიათებლები სახელმწიფოს ძარცვა, სპეკულანტობა, უკანონო წარმოება და იატაკქვეშა სანარმოები იყო.⁴ ამ თვისებებს ქართველები საბაზრო ეკონომიკის პირობებისთვის არ მოუმზადებია. თუმცა, საქართველოს ადამიანური კაპიტალი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო – მშრომელი მოსახლეობის ერთ მეათედზე მეტს 1989 წლისთვის უმაღლესი განათლება ჰქონდა, მაგრამ ეს ხისტი საგანმანათლებლო სისტემის პროდუქტი იყო, რაც დიდად არ შეესაბამებოდა საერთაშორისო ბიზნესის მოთხოვნებს. ქვეყნის აგრარული საძირკველი ძლიერი კი იყო, მაგრამ მის წარმატებას დახურული ეკონომიკა უზრუნველყოფდა, რომელიც ქართველ გლეხებს გლობალური კაპიტალიზმის რეალობისგან იცავდა. არაზუსტ სტატისტიკურ მონაცემებს და მენარმეთა ყოყოჩობას უცხოელი ექსპერტები, ისევე, როგორც თავად ქართველები, შეცდომაში შეყავდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისთვის ყოველი მესამე დასაქმებული უმაღლესდამთავრებული იყო ან სპეციალიზებული საშუალო განათლება ჰქონდა, ხოლო სახელმწიფოს მიერ დასაქმებული 48.8%-დან 36.5% ადმინისტრაციასა ან მომსახურების სფეროში იყო დაკავებული. 1970-დან 1989 წლამდე, მეცნიერთა რაოდენობა 50%-ით გაიზარდა. 1990 წლისთვის საქართველოს 1000 სულ მოსახლეზე 4.92 ფიზიკოსი ჰყავდა, ევროპულ ქვეყნებს კი – 3.1. სიცოცხლის ხანგრძლივობით საქართველოს საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი ეკავა და მშპ-ს მიხედვით (72.1%) მხოლოდ რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჩამორჩებოდა. ამ მაჩვენებელში არ შედიოდა ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში დაგროვილი მოგება. ავტომობილების რაოდენობითაც საქართველო მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჩამორჩებოდა და მეოთხე ადგილზე იყო, 1970-1985 წლებში ავტომანქანების რაოდენობა გაორ-

მაგდა, ხოლო 1984 წლისთვის 1000 მოსახლეზე 63 მანქანა მოდიოდა. საბჭოთა კავშირის რამდენიმე დიდი და პრესტიჟული საწარმო საქართველოში იყო განლაგებული, მაგალითად, სუხოის ავიაგამანადგურებლების მწარმოებელი საავიაციო, ელმავალმშენებელი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნები, სადაც საბჭოთა კავშირის ნავთობმომპოვებელი დანადგარების 90% იწარმოებოდა.⁵ თბილისი კი კავკასიის მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენდა. ქვეყანას 1500 კმ-ის სიგრძის ელექტროფიცირებული რკინიგზა კვებდა, რომელიც ცენტრალურ აზიას აღმოსავლეთ კავკასიასთან აკავშირებდა და აზერბაიჯანის სარკინიგზო ტვირთის მესამედიც საქართველოზე გადიოდა.⁶

და მაინც, ქართული საზოგადოება იზოლირებული იყო მსოფლიო ეკონომიკისგან, მიუხედავად იმისა, რომ ევროპასთან ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შედარებით არცთუ ცუდი სურათი იხატებოდა, განათლების კუთხით, მაგალითად, პროდუქტიულობის (სამუშაო ჩვევები), ტექნოლოგიებისა, ბინათმშენებლობის, მოხმარებისა თუ ურბანიზაციის დონის თვალსაზრისით, საქართველო მაინც საგრძობლად ჩამორჩებოდა ევროპის სახელმწიფოებს. 1980-იანი წლებისთვის საქართველოს ეკონომიკამ ვარდნა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ წარმოება, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობა და კვების პროდუქტების წარმოება (ეს უკანასკნელი მრეწველობის დაახლოებით ორ მეხუთედს შეადგენდა 1980-იან წლებში) სუბსიდირდებოდა, საშუალო ზრდა 1%-მდე ჩამოვარდა, როცა 1970-იანი წლებში ეს მაჩვენებელი 7%-ს შეადგენდა.⁷ დიდი უთანაბრობა არსებობდა ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში სოფელსა და ქალაქს შორის. სოფლად მცხოვრებთა 60%-ს და სოფლის საავადმყოფოების 17%-ს წყალი არ ჰქონდა. გინეკოლოგთა და მეანთა რაოდენობა შთამბეჭდავი კი იყო ქვეყნის მასშტაბით, 10,000 სულ მოსახლეზე – 3.1, მაგრამ დუმეთში, მაგალითად, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0.3-ს შეადგენდა.⁸ სოფლის სკოლები ჩამონგრეულ შენობებში იყო განლაგებული და მათი მასწავლებლებიც ვერ დაიკვებინდნენ მომზადებითა თუ ხელფასებითა. ჩანერის სისტემა ართლებდა ადგილის შეცვლას და ხელს უწყობდა ქალაქსა და სოფელს შორის არსებული უთანასწორობის შენარჩუნებას.

ქალაქად მცხოვრები ქართული ოჯახი, მიუხედავად გარეგნული ევროპული პენისა, ბუნებით კონსერვატიული და პატრიარქალური იყო. ნათესაურ ქსელებზე დამოკიდებულება, რასაც კიდევ უფრო განამტკიცებდა საბჭოთა დეფიციტური ეკონომიკა და სუბალტერნული ურთიერთობები ცენტრთან, საფრთხეს უქმნიდა თანამედროვე ეკონომიკის ინსტიტუციურ მუშაობას. უთანასწორო ხელმისაწვდომობა, რაც საბჭოურ პერიოდში სოციოეკონომიკური და ეთნიკური კვრეტებით და უფასო უმაღლესი განათლებით კომპენსირდებოდა, ახლა უფრო საგრძნობი და მნიშვნელოვანი გახდა. 2011 წელს სამსახურის შოვნისას ყველაზე დიდ დაბრკოლებას „თანამდებობის პირის“

ძალაუფლება წარმოადგენდა: მას შეეძლო სისტემიდან კავშირების არმქონე პირების გაძევება. ნათესაურ-ახლობლურ ქსელებში მაღალი თანამდებობის პირების არსებობა, როგორც გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშშია აღნიშნული, კორელირებს ოჯახის კეთილდღეობასთან.⁹ უმუშევრობის მაღალი დონისა და ძვირადღირებული ჯანდაცვის მეშვეობით მფარველის არსებობამ არსებითი მნიშვნელობა შეიძინა პიროვნული კარგად ყოფნისთვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს მტკიცე ბარიერები ელობება. გეოგრაფიული მდებარეობა მისთვის ერთდროულად წყველაც არის და ღვთის საჩუქარიც. აქ ყოველთვის გადიოდა სავაჭრო მარშრუტები. ნავთობი და გაზი სულ ახალი სავაჭრო პროდუქტია, რომელიც ამჟამად 3.6 მილიარდი დოლარის ღირებულების ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზის მილსადენით გადის კავკასიის ყელზე დასავლეთისკენ.¹⁰ მაგრამ, საქართველოს სტრატეგიული სავაჭრო მარშრუტები, ამავე დროს, ძლიერი მეზობლებისა და კრიმინალური სამყაროს ყურადღებასაც იპყრობს. ჩეჩნეთისა და რუსეთის აგრესიული სახელმწიფოს სიახლოვე, რომელიც უკანასკნელი ათი წელი კომერციულ ომშია ჩართული საქართველოსთან, ქვეყანას მიმზიდველს აღარ ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. ევროკავშირი ხელს უწყობს სავაჭრო სატრანზიტო ქსელებს, მაგრამ 4.5-მილიონიანი ქვეყანა პატარა ბაზარია. მსოფლიო ბანკი მას „დაბალი საშუალო შემოსავლების“ ქვეყნად ახასიათებს. ის დასავლელი მენარმეები, რომლებიც რისკავენ შავი ზღვის აუზში შემოსვლას, ძირითადად, პრივატიზებით არიან დაინტერესებულნი ან უძრავი ქონებისა (უმეტესად, სასტუმროების) თუ ნედლეულის შესყიდვით. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გრძელვადიანი შიდა წარმოებისთვის მწირია.¹¹ შეიძლება ითქვას, რომ პრივატიზების პროცესი დანაგვიანებულია საექვო უცხოელი მყიდველებით და დარღვეული შეთანხმებებით. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელი იყო (იქ 15,000 ადამიანი მუშაობდა), იტალიელმა ინვესტორებმა შეიძინეს 1990-იან წლებში და ჯართად დაშალეს. ისინი საქართველოდან ხანგრძლივი სასამართლო პროცესის შემდეგ გააძევეს.

საკაპივლის ხელისუფლებამ ინვესტორები არაბთა გაერთიანებული ემირატებიდან, ყაზახეთიდან, აშშ-დან და ნიდერლანდებიდან მიიზიდა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ახდენს თუ არა ეს ინვესტიციები ზეგავლენას ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ან სიღარიბის დონეზე? შენარჩუნდება თუ არა ადგილობრივი პროფესიული კადრები და მომზადდება თუ არა ისინი მრეწველობის ახალი დარგებისთვის? უწყობს თუ არა ხელს ეს ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი და უკუკავშირების დამყარებას და შექმნის თუ არა სამუშაო ადგილებს აქ (2007 წელს მთლიანი ინვესტიციების მხოლოდ 6% წავიდა მრეწველობაში)?¹² ესმარება თუ არა ინვესტიციები მცირე ბიზნესს? რამდენ ხანს გაგრძელდება შემოდინება, თუკი

პრივატიზაციის პროცესი დასასრულს მიუახლოვდა? უცხოური კაპიტალი პანაცეა არ არის, მისი ზემოქმედება, განსაკუთრებით, თუ ის კაპიტალიზაციის ტენიონია, დამხმარე სექტორში მცირეა. უცხოური პირდაპირი ინვესტიცია ზოგადი დასახელებაა, მისი ზემოქმედება ცვალებადია; მაგალითად, 2010 წელს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროებში განხორციელებულ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციაში 118%-იანი ზრდა დაფიქსირდა, მაგრამ, ამავდროულად, დასაქმება 1.9%-ით შემცირდა ამავე სფეროებში.¹³ თომას ფრიდმანი სამყაროს ბრტყელს უწოდებს, გლობალური ვაჭრობითა და კომუნიკაციებით გაბრტყელებულს.¹⁴ სააკაშვილი ცდილობს, ამ სამყაროში შეიყვანოს საქართველო, მაგრამ ქვეყანაში ერთი ეკონომიკური მიგრანტია ყოველ მეოთხე ოჯახში და დასაქმებაც 7.3%-ით დაეცა 2002-2007 წლებში. საქართველოს გლობალური მინოდების ჯაჭვში დამარცხებულის ბედი ემუქრება და არა ბენეფიციარის.¹⁵ მისი უმსხვილესი კომპანიებიც კი მცირეა ამ მასშტაბებისთვის და კონკურენციის განევა უჭირს. 2011 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენციის ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ საქართველო თავის კონკურენტებს ჩამორჩება.¹⁶

დემოკრატია და ბაზარი

აღამ პრევიორსკიმ და მისმა კოლეგებმა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოავლინეს შემოსავლების სამართლიან განაწილებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მდგრად დემოკრატიასთან. მსოფლიო ბანკი უშვებს, რომ საქართველოს მსგავსი ღარიბი ქვეყანა სავარაუდოდ დემოკრატიული იქნება, თუ ეკონომიკური ზრდის პარალელურად შემოსავლების უთანასწორობა დაიძლევა.¹⁷ ეს გვაფიქრებინებს, რომ ბაზარსა და დემოკრატიულ გარდაქმნას შორის ურთიერთობები უფრო მრავალმხრივია, ვიდრე ის დამაბნეველი მტკიცება გულისხმობს, რომ ერთი ვერ იქნება მეორეს გარეშე. დასავლური დემოკრატიზაციის წინამძღვარი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ის არის, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაცია აუცილებელია, თუნდაც ეს უთანასწორობის ზრდას იწვევდეს. შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ დემოკრატიისკენ ნებისმიერ ძველ „ბაზარს“ კი არ მივყავართ, არამედ იმას, რომელიც ბიზნესის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს, კანონის უზენაესობას განამტკიცებს და რიგითი მოქალაქეების ეკონომიკურ ძალაუფლებას გაზრდის. მასიური უმუშევრობა, რომელიც საქართველოს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, ადამიანებს ძალაუფლებას ართმევს და გლობალური ეკონომიკური ჩავარდნებისა თუ ბუნებრივი კატასტროფების წინაშე მათ მოწყვლადობას ზრდის. ლათინური ამერიკის გამოცდილებას თუ შევხედავთ 1980-იან წლებში, როგორც მარკუს კურცი ამბობს, ნეოლიბერ-

ალიზმმა იმდენად მკაცრი ბარიერები აღმართა კოლექტიური ქმედებისა და გამოხატვის გზაზე, რომ ძალიან გაართულა ან სულაც შეუძლებელი გახადა საზოგადოების ფართო ფენისთვის/სტრატისთვის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, ინდივიდუალურად იქნება ეს, თუ ინტერესთა ჯგუფების საშუალებით.¹⁸

თავდაპირველად, შევარდნაძის მიერ გატარებული ზომები უმეტესწილად სავაჭრო რეჟიმის გახსნას, პრივატიზაციისა და დერეგულაციის დაჩქარებას, სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას ეხებოდა, მაგრამ ამასობაში შესუსტდა სანარმოო ძალებიც. სტრუქტურული გარდაქმნები ინფლაციის გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა და გაცვლითი კურსის სტაბილობის შენარჩუნებასაც უწყობდა ხელს, მაგრამ, ამასთან ერთად, უგულვებლყოფდა ინსტიტუციური თუ კულტურული ჩვევების როლს და იმას, რასაც კეინსი „რადიკალურ გაურკვევლობას“ უწოდებდა, რაც საფუძვლად უდევს ეკონომიკურ გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით, ტრანსფორმაციის პერიოდში. მგრძობიარე ბაზარს შეუძლია ხალხის მხრიდან კონტროლი გააძლიეროს, მაგრამ საქართველოს პირობებში, საბჭოური ჩვევებისა და ეკონომიკური დაუცველობის გამო, ბაზრის სწრაფად გარდაქმნამ შედეგად ის მოიტანა, რომ მენარმებმა ახალი გადასახადების დამალვა დაიწყეს, გაიზარდა უკანონო ეკონომიკაზე დამოკიდებულება და სწრაფი ტემპით იკლო შემოსავლებმა. საქართველოს სუსტმა მთავრობამ ვერ შეძლო სათანადოდ გამოეყენებინა გლობალური კაპიტალის შემოდინება, სტიმული მიეცა და ხელი შეეწყო ბაზრის განვითარებისთვის. ამას კი ხანგრძლივი რეცესია მოყვა (მოკლევადიანი მოსალოდნელი იყო), მოსახლეობის უმრავლესობას ბნელი და გაყინული ზამთარი დაუდგა. პრივატიზაციის ბუნდოვანი სქემებისა და უცხოეთიდან მიღებული არასათანადოდ გაკონტროლებული სესხების „დამსახურებით“ კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი კორუმპირებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტებს შორის. ორი ათეული წლის მანძილზე საქართველო „მარკეტოზებული“ კი არა, „მონოპოლიზებული“ გახდა და სააკაშვილის ახალი ეკონომიკაც არანაკლებ არის მოგების მიღებაზე ორიენტირებული, ვიდრე შევარდნაძისდროინდელი.

დერეგულაციამ სახელმწიფოს ავტორიტეტი კიდევ უფრო დააქვეითა და გაამრავლა შესაძლებლობები მფარველობითი კაპიტალიზმისთვის. პირადი ნაცნობობა და კავშირები საგადასახადო შეღავათების მოსაპოვებლად, სახელმწიფო ქონების ხელსაყრელად შესასყიდად და მონოპოლიების მხარდასაჭერად გამოიყენებოდა. საბჭოთა ბიუროკრატიული სახელმწიფო ელიტური შეთანხმებებისა და ეკონომიკური მონოპოლიების კვაზი-ფეოდალურმა სახელმწიფომ შეცვალა.¹⁹ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკის გამო ქვეყანაში ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ფაქტობრივად ჩაიხშო კონკურენცია და მოსახლეობის დიდი სეგმენტები კანონიერი ეკონომიკური პროცესიდან გამოირიცხა. ამ ვითარებას ლუჩან ვეი და სტივენ კოლიერი

„გამომრიცხველ საბაზრო რეჟიმს“ უწოდებენ.²⁰ რომან გოცირიძის სიტყვებით რომ ვთქვათ (პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე), შევარდნაძის პერიოდში ვერცერთი ქართველი ბიზნესმენი მთავრობის მფარველობის ან მისგან ბოძებული ფინანსური პრივილეგიების გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევდა.²¹

საკაპშვილის ადმინისტრაციამ შევარდნაძის ეკონომიკურ ჩავარდნას (რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 65%-იანი კლება 1990-2003 წლებში) ეკონომიკური რევოლუციის დაჩქარებით უპასუხა. სატარიფო ბარიერების უმეტესობა მოიხსნა, გადასახადების რაოდენობა შემცირდა (2005 წლის საგადასახადო კოდექსით 21-დან 6 გადასახადი დარჩა), მოისპო ორგანიზებული დანაშაული და საქართველოს ქონების პრივატიზების პროცესიც სწრაფად წავიდა წინ; გაიყიდა შიდროელექტროსადგურები, სატელეფონო კომპანიები, სავაჭრო ნავსადგურები და ენერგოგამანაწილებელი კომპანიებიც. კახა ბენდუქიძემ კი, სახელმწიფო მინისტრმა რეფორმების კოორდინირების საკითხებში, პირობა დადო, რომ მის სამინისტროს სამიოდე წელიწადში საერთოდ გააუქმებდა. 2009 წლისთვის ენერგეტიკის, კომუნიკაციების, ტურიზმისა და სატრანსპორტო სფეროები უკვე მთლიანად კერძო საკუთრებაში იყო; ერთადერთი მნიშვნელოვანი ქონება, რაც ჯერ კიდევ რჩებოდა ხელისუფლების ხელთ, რკინიგზა იყო (2007 წელს ის იჯარით გაიცა საექვო ვითარებაში გაურკვეველ ბრიტანულ კომპანიაზე, რომელიც კვიპროსსა და ბაჰამის კუნძულებზე იყო დარეგისტრირებული, მაგრამ საბოლოოდ ამ გარიგებაზე მთავრობამ უარი თქვა).²² პრობლემა იმდენად შევარდნაძის პოლიტიკაში კი არ იყო (ბოლოსდაბოლოს, ეს მან დაიწყო საქართველოს კაპიტალისტურ რელსებზე გადაყვანა), რამდენადაც განხორციელების ტემპსა და მიწოდებაში. სააკაპშვილმა, რომელიც ტრანზიციის პარადიგმის ბოლოსკენ გამოჩნდა, რაც სახელმწიფოს მკვეთრ უკუსვლას იწვევდა, განაცხადა, რომ „საქართველოს რეგიონის დუბაიდ ან სინგაპურად აქცევედა“.²³ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ფინანსურ წრეებში განახლდა საუბრები „სახელმწიფოს შესაძლებლობათა შენებაზე“, საქართველოს მთავრობის 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში დამგობილია სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის ჩარევა. ამ დოკუმენტში საქართველოს ხელისუფლებამ „ეკონომიკაში მინიმალურად საჭირო ადმინისტრაციული ჩარევა“ მოითხოვა.²⁴ ამბიციურმა, რისკიანმა, მტკიცე და პრინციპულმა ხელისუფლებამ მასობრივად გააუქმა ლიცენზირება, შეამცირა გადასახადები მენარმეებისთვის და შეკვეცა სახელმწიფო უწყებების კადრები.

პირველი შედეგები შთამბეჭდავი იყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2007-2008 წლებში, ლადო გურგენიძემ აღნიშნა, რომ ნომინალური მშპ 4 მილიარდი აშშ დოლარიდან 13 მილიარდამდე გაიზარდა ხუთი წლის განმავლობაში და (2003-2008) და ნომინალურმა მშპ-მ ერთ სულ მო-

სახლეზე 1.188 აშშ დოლარიდან 2.925 დოლარას მიაღწია 2008 წელს.²⁵ თუკი 2003 წელს გადასახადები მშპ-ს 13.95% შეადგენდა, 2008 წელს ამ მაჩვენებელმა 24.9% მიაღწია. ფიქსირებული განაკვეთის დანერგვა (2011 წელს საშემოსავლო გადასახადი ფიქსირებული 20% იყო) იმას ნიშნავდა, რომ უფრო მეტი ხალხი იხდიდა გადასახადებს. თუმცა ამ შთამბეჭდავ ზომებს ეკონომიკის მოდერნიზაცია არ მოყოლია. ექსპორტი გაიზარდა 2004 წლის შემდეგ, მაგრამ ქვეყნიდან ძირითადად ფეროშენადნობები, ქიმიკატები და მადანი (სპილენძი და ოქრო) გადის; სამრეწველო პროდუქცია კვლავ კონკურენტუნაროა. 2002-2007 წლებში საქართველოდან ჯართის ექსპორტის მოცულობა გასამმაგდა. ჯართი უმეტესწილად დაშლილი და გაკოტრებული ქარხნებიდან მოდის. სავაჭრო დეფიციტი 2007 წელს მშპ-ს 28% შეადგენდა.²⁶ ახალი პროდუქციის წარმოების ნიშნები საქართველოში არ ჩანს, 2008 წლის ომისა და კრიზისის შედეგად კი კაპიტალის შემოდინებამ იკლო და წლის მეორე ნახევრისთვის 1.7 მილიარდიდან 450 მილიონამდე დაეცა. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გარეშე (2008 წლისთვის მშპ-ს 22.5%-ს შეადგენდა) – ეს კი საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის გულია – ქვეყნის მიმდინარე სავაჭრო ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი განაგრძობს ზრდას.

შეარდნაძის ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ლადო პაპავა ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ისევ „ნეკროეკონომიკა“ დომინირებს ანუ სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი სანარმოების მიერ კონკურენტუნარო პროდუქციის წარმოება.²⁷ მაგრამ ამ დამოკიდებულების ბუნება შეცვლილია: ქართული სანარმოები სახელმწიფოს მიერ სესხების ჩამონერაზე აღარ არიან დამოკიდებული. ისინი ახლა ინტერვენციული „ნეო-ლიბერალური“ სახელმწიფოს პარადოქსული გამონევის წინაშე დგანან. სანარმო ქონების ჩამორთმევამ, „უკანონოდ“ გაყიდული ქონების ხელახალი პრივატიზებამ და მტაცებლურმა ფინანსურმა პოლიციამ (2007 წელს ის საშემოსავლო სამსახურის შემადგენლობაში შეიყვანეს) ბიზნესის დამორჩილების ახალი სისტემა წარმოიშვა.²⁸ მფარველის ინსტიტუტს ხელისუფლება ისევ მიმართავს, საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე იყენებს საგადასახადო და გარემოსდაცვით კანონმდებლობას და სასამართლოსაც აკონტროლებს ბიზნესის დასამორჩილებლად. 2011 წელს ყველაზე მდიდარმა ქართველმა, ბიძინა ივანიშვილმა მთავრობა საგადასახადო სამსახურების, გენპროკურატურისა და სასამართლოს მეშვეობით ქართულ ბიზნესზე უპრეცედენტო ზენოლაში დადანაშაულა.²⁹ მენარმე მთავრობის მფარველობით აღწევს წარმატებას და არა კანონმორჩილი საქმიანობით თუ გაზრდილი წარმოებით. დერეგულაციის ხელისუფლებისგან თავისუფალი ეკონომიკა არ შეუქმნია, მან კონტროლის მექანიზმებს უცვალა მხოლოდ სახე. საქართველოს შემთხვევა მიგვითითებს ფუყე კავშირზე არასათანადოდ რეგულირებულ ეკონომიკასა და თავისუფალ ბაზარს შორის, რაზეც ეკონომისტები ათეული წელია, რაც მიუთითებენ.³⁰

საქართველოს პრობლემა მისი ტერიტორიული ზომა არ არის, ჩინეთმა უჩვენა მსოფლიოს, რომ მშპ-ის ზრდა მცირე ზომის მთავრობასთან კი არ კორელირებს, არამედ მის სისუსტესთან ექსპორტზე დაფუძნებულ ზრდას საქართველოში სახელმწიფოს მხარდაჭერის ნაკლებობა აბრკოლებს. გარდა ამისა, არც მოსამზადებელი კურსები არსებობს იმისთვის, რომ კომპანიებმა წარმოების უკეთეს სტანდარტებს მიაღწიონ და საექსპორტოდ გაიტანონ თავიანთი პროდუქცია ევროკავშირისა თუ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (ეუთო) წევრ სახელმწიფოებში. ქართული კომპანიები დამოუკიდებლად ვერ გაუწევენ კონკურენციას სხვებს გლობალურ ბაზარზე. არასათანადოდ დაფინანსებული ჯანდაცვის სისტემა, სუსტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და გენდერული უთანასწორობა ზიანს აყენებს საქართველოს ეკონომიკურ პროდუქტიულობას. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის უქონლობას თუნდაც შეზღუდული სახით (მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს შეიქმნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, და აქტიურად ხორციელდება გზების მშენებლობის პროგრამა), ისევე იმ უთანასწორობასთან მიყვავართ, რომელიც მუდამ არსებობდა სოფელსა და ქალაქს შორის, რაც ძირს უთხრის როგორც ინტეგრაციას, ისე ეკონომიკურ ზრდას.

ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, საქართველოს ეკონომიკურ სტრატეგიას კონსტიტუციურ დაცვას სთავაზობს. კანონი 2011 წლის ივლისში მიიღო პარლამენტმა. ის ადგენს მაქსიმალურ ზღვრებს მშპ-თან შეფარდებით, მაგალითად, ბიუჯეტის ხარჯების ზრდისთვის - 30%-ს, ბიუჯეტის დეფიციტისთვის - 3%-ს და 60%-ს - სახელმწიფო ვალისთვის. ამასთან, ახალი გადასახადის შემოღებისთვის თანხმობის მისაღებად საჭირო გახდება რეფერენდუმის ჩატარება. ეს კიდევ ერთი დარტყმაა პარლამენტის უფლებამოსილებაზე.³¹ კანონთან დაკავშირებით სააკაშვილმა განაცხადა, რომ არაფერი კარგი არ ხდება იქ, სადაც არის სახელმწიფო.³² მაგრამ როცა ქვეყანაში საოცარი უმუშევრობა და სიღარიბეა, როცა უცხოური კონკურენცია ინტენსიურია, იქნებ სწორედ დროა, რომ მთავრობამ რაიმე სასიკეთო გააკეთოს? მაგალითისთვის რომ ავიღოთ, ინდოეთის კანონი სოფლად უმუშევრობის დაძლევის შესახებ გარანტიას აძლევს სოფლად მცხოვრებ ყოველ ოჯახს, რომ სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტზე ამუშავენ 100 დღის განმავლობაში. ჩინეთის ხელისუფლებამაც შემოიღო წამახალისებელი სისტემა, რომელიც ეხმარება ჩინურ კომპანიებს, კონკურენტუნარიანი გახდნენ გლობალურ ბაზარზე. მსგავსი მოქმედებები სახელმწიფოს მხრიდან ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის და კონკურენტუნარიანობის ზრდას.³³ ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, სახელმწიფო სუბსიდიები იმ სექტორში, სადაც დიდი კონკურენციაა, პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.³⁴

გაეროს განვითარების პროგრამის 2010 წლის ანგარიში, რომელიც 50

ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვას ეყრდნობა, გვიჩვენებს, რომ ქმედითი მთავრობა, რომელსაც შესაფერისი სოციალური ხარჯები აქვს და ინვესტიციებსაც ახორციელებს ჯანდაცვაში, განათლებაში, სოფლის მეურნეობაში და ქალებისთვის შესაძლებლობების გაზრდაში, ყველაზე წარმატებული მექანიზმი გამოდგა ზრდის ხელშეწყობისა და უმუშევრობის დაძლევისთვის.³⁵ საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციას საფრთხეს უქმნის არა მართვის ავტორიტარული სტილი, არამედ მისი გაუთავებელი ბოღვითი ტრაბახი ეკონომიკის სიჯანსაღეზე და მისი მხრიდან სამრეწველო პოლიტიკის უგულვებლყოფა, რომელიც სტიმულს მისცემდა ადგილობრივ ეკონომიკას. შემცირებული გადასახადები, პრივატიზაცია და კორუფციის წინააღმდეგ მკაცრი გალაშქრება აღარ წარმოადგენს ზრდის შთაბეჭდავ წყაროს, როგორც ეს 2003-2007 წლებში იყო. 2008 და 2009 წლებში საქართველოს შიდა ვალი მშპ-თან შეფარდებით 21%-დან 32%-მდე გაიზარდა. საქართველოს გარედან სჭირდება ქველმოქმედება იმისთვის, რომ ბიუჯეტის დეფიციტი დაფაროს.

თავისუფლება მთავრობის მხრიდან ჩაურევლობას არ ნიშნავს მხოლოდ; თავისუფლება და თანასწორობა (ან უფრო მეტი სოციალური ჩართულობა) პარტნიორები არიან ეკონომიკის ზრდისა და დემოკრატიის განვითარების საქმეში. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობა, იმ სამთავრობო უწყებების უქონლობა, რომლებიც უსაფრთხო სამუშაო პირობებს და სამკურნალო საშუალებებს ზედამხედველობს, და გამოშიგნული შრომის კოდექსი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას გაურთულებს, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ერთადერთი რეალური გზაა. რა თქმა უნდა, საგადასახადო შეღავათები, სპეციალური ინდუსტრიული ზონები და უკეთესი გზები მნიშვნელოვანი სტიმულია ზრდისთვის, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია კვალიფიციური და ჯანმრთელი სამუშაო ძალაც. ჰანა არენდტი ამბობდა, რომ პოლიტიკური თავისუფლება (განთავისუფლებისგან განსხვავებით) მმართველობაში მონაწილეობას ნიშნავს უფრო მეტად,³⁶ მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ გაამძაფრა ადამიანის სოციალური და ეკონომიკური გარიყვა და გაართულა მისთვის სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელება. კარგად და გამართულად მოქმედი ბაზრის უმთავრესი ელემენტები – ნდობა, კანონის უზენაესობა, სამართლიანი კონკურენცია და ხელშეკრულებათა აღსრულება – სუსტია საქართველოში. ისეთმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, როგორიცაა, მაგალითად, მსოფლიო ბანკი, უკან დაიხიეს თვითგამანადგურებელი არარეგულირებული კაპიტალიზმის წინაშე და მაკროეკონომიკური ინსტრუქტაჟის ნაცვლად ყურადღება თანამიმდევრულ ლიბერალიზაციაზე, პოლიტიკურ სტაბილიზაციაზე და სოციალური კაპიტალის განვითარებაზე გადაიტანეს განვითარებად ქვეყნებში. საქართველოს ხელისუფლება კი, პირიქით, ჯიქურ მიიწევს

ლიბერტიარიანული სამოთხისკენ და აინუშიც არ აგდებს გადანაწილების შედეგებს. ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორცაა „საზოგადოებრივი ინტერესი“ და „საერთო სიკეთე“ მის სამეტიყველო ლექსიკაში არ არსებობს.

საქართველოს ეკონომიკურ კრიზისის ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაში აქვს ფესვები გამდგარი. ეს ნათელი იყო 2008 წლის აგვისტოს ომამდე და გლობალურ კრიზისამდე. ისეთი ევროპული ქვეყნების გაკოტრება, როგორცაა ირლანდია, ესტონეთი თუ ისლანდია, გვეუბნება, რომ არარეგულირებელი კაპიტალისადმი და ფინანსური ბაზრებისადმი ლიბერალური მხარეები აქვს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, მიუხედავად საშინელი განადგურებისა, დროებით იხსნა საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ეკონომიკაში გამოვლენილი წინდაუხედაობისგან. ვლადიმერ პაპავამ „ომის პარადოქსი“ უწოდა მასიური უცხოური დახმარების (4.5 მილიარდი აშშ დოლარი) საშუალებით სულ უფრო კლებადი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შევსებას საქართველოში.³⁷ მაგრამ ფული თავდება. უცხოური პირდაპირი ინვესტიცია ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ნაწილობრივ აგვარებს პრობლემას. შიდა წარმოებაში, მცირე სანარმოებსა (მცირე სანარმო დასაქმებისა და ახალი პროფესიონალების წყაროა) და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელების განსაზღვრა პრიორიტეტად, დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა და მიზნობრივი საზოგადოებრივი საქმიანობა მნიშვნელოვანი (და სასწრაფოდ გადასადგმელი) ნაბიჯები იქნება ქვეყნის დამაუძღურებელი სიღარიბის დასაძლევად.

კედანტური თვლა

ქართული ეკონომიკის გაანალიზება, სიღარიბისა და განათლების დონის დადგენა, ოფიციალური შემოსავლების შედარება არაოფიციალურ და არამონეტარულთან, ისევე როგორც სხვა ეკონომიკური და სოციალური ინდექსების გამოანგარიშება, მაგალითად, სიკვდილიანობის დონის, პრობლემატური საქმეა საქართველოში. კრებითი უმუშევრობა და სიღარიბის დონე არაფერს გვეუბნება მათ სიღრმეზე ან რეგიონების თუ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით არსებულ ვითარებაზე. დასაქმების მიახლოებითი ციფრებიც ვერ გვშველის შემოსავლების დასაანგარიშებლად, რადგან ბევრი „დასაქმებული“ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. შედეგები წინაღმდეგობრივია, რაც სიღარიბის კრიტერიუმებზე (კრიტერიუმები კი ბევრჯერ შეიცვალა) და დასაქმების განსაზღვრებაზე დამოკიდებული. ბევრი მონაცემი დახურულია, მშპ და მეპ არ ზომავს ჩრდილოვან ეკონომიკას ან არარეგისტრირებულ ფულად გზავნილებს, რაზეც ბევრი ქართული ოჯახია დამოკიდებული. საქართველო ჯერჯერობით ისევ ნაღდი ფულის ეკონომი-

კაა. როცა დასაქმებული მოსახლეობის 30% ხელფასს იღებს და მისი მხოლოდ 20% მუშაობს კერძო სექტორში, კრებითი მონაცემები ხელფასებზე და კერძო ბიზნესზე არ არის ზუსტი ეროვნული ტენდენციების ინდექსის დასაანგარიშებლად. მშპ-ის მაჩვენებლები არ გვეუბნება ვინ რას აწარმოებს, საქართველოს შემთხვევაში, მაგალითად, 70%-ზე მეტი მსხვილი სანარმოებიდან მოდის, ხოლო სულ რაღაც 15% – მცირე და საშუალო კომპანიებიდან (ევროკავშირში პირიქით არის). სტატისტიკური ინფორმაციები, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის სფეროში, წინააღმდეგობრივია, რადგან მონაცემებს სხვადასხვა ორგანიზაციები აგროვებენ. საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ან გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) თავიანთ საზომებს იყენებენ, რომლებიც ძალზე ცვალებადია. საქართველოს მთავრობის მიერ შედგენილმა სტატისტიკურმა მონაცემებმა სანდოობა დაკარგა მას შემდეგ, რაც სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეუერთდა 2004 წელს. ფაქტიურად, ამით დამთავრდა დეპარტამენტის ნომინალური ავტონომია (2005 წელს, როცა მონაცემებმა სიღარიბის მაღალი დონე აჩვენა, დეპარტამენტი არ გამოაქვეყნა ეს რიცხვები).³⁸ თუმცა შემდგომ მან ინსტიტუციური დამოუკიდებლობა აღიდგინა და მას დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობს, რომლის წევრებს პარლამენტი ამტკიცებს. ეკონომიკური მონაცემების შეგროვების მიზნით დეპარტამენტი ეროვნულ ბანკთან და ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობს, მაგრამ თავის საქმიანობაში ის მოუშნადებელ რეგიონულ ადმინისტრატორებზეა დამოკიდებული და, გარდა ამისა, ხელისუფლებისგანაც განიცდის ზენოლას მეთოდოლოგიის შეცვლის მოთხოვნით, რათა უკეთესი რიცხვები იქნეს მიღებული (მაგალითად, საცალოს ნაცვლად საბითუმო ფასების გამოყენება სიღარიბის დონის შესამცირებლად). ეს კი მისი მონაცემების სიზუსტეს ეჭვქვეშ აყენებს. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ბაზრის ტრანსფორმაციაზე ოპტიმისტური პროგნოზი ზოგჯერ სტატისტიკურ ფანტაზიებს ეყრდნობა.³⁹ აშშ-ის ენერგოკომპანიის, ენრონის, ფინანსური მაქინაციების აღწერისას პროკურორმა აღნიშნა, რომ კომპანიის ხელმძღვანელებს შეუძლიათ რიცხვებს რაც თავად სურთ, ის ათქმევინონო.⁴⁰ ეს არანაკლებ მართებულია საქართველოს სამთავრობო დეპარტამენტების შემთხვევაშიც.

საქართველოს ეკონომიკა: 1991–2010

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში პირველ ეტაპზე ეკონომიკური კრახი შეიძლება ბაზრების სწრაფი დაკარგვით, ეკონომიკური ტრანსფორმაციის მასშტაბებით და მოძველებული ინფრატრუქტურის საბოლოოდ მოშლით აიხსნას. მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი თავისებურებებიც.

მაგალითად, ხელმძღვანელობა, რესურსები და გეოგრაფია. ამასთან, საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია მნიშვნელოვნად შეზღუდა მისმა დამოკიდებულებამ ვაჭრობაზე (1988-1990 წლებში მშპ-ის 43%) და ენერგომატარებლების იმპორტზე, გამანადგურებელმა ომებმა და, როგორც გროსმანმა უნოდა, შავი ბაზრის „შუედარებელმა მასშტაბებმა.“⁴¹ ხელმძღვანელობა გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა. გამსახურდიას პერიოდში ინსტიტუციური რღვევა მოხდა, შევარდნაძის დროს წარუმატებელ მოდერნიზაციას ჰქონდა ადგილი, ხოლო სააკაშვილი რადიკალური გარდაქმნების გზას დაადგა. გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველოს ეროვნულ უშიშროებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით თუ სამხრეთით მას არასტაბილური, ერთმანეთთან მეომარი სახელმწიფოები ესაზღვრება და ნარკოტიკებისა და იარაღის სატრანზიტო მარშრუტიც მის ტერიტორიაზე გადის. 1989 წლისთვის ელექტროენერჯის 25%, მოხმარებული ნავთობის 90%, გაზის 100%, ხე-ტყის 80% და ნედლეულის 90% რუსეთიდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოდოდა საქართველოში, აგრეთვე ხორბლის 80 და შაქრის 85%. 1991 წლისთვის, საქართველოს ექსპორტის 67%-ზე მეტი რუსეთში გადიოდა.⁴² 1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსი ამ საექსპორტო შემოსავლების დაკარგვას დაემთხვა, ცენტრიდანაც ერთბაშად შეწყდა ბიუჯეტის დაფინანსება, რუსეთის ეკონომიკაც დაინგრა და ვაჭრობაც რადიკალურად შემცირდა. 1991 წლის აპრილში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ ოთხი ეტაპი გაიარა: კოლაფსის (1990-1994), რეფორმების (1994-1998), სტაგნაციის (1999-2003) და აქსელერაციის (2003-დღემდე).

ცხრილი 3. საქართველოს მოსახლეობა

| | 1990 | 1995 | 2000 | 2005 | 2009 |
|---|--------|-------|-------|-------|-------|
| ზრდა (ყოველწლიური პროცენტული მაჩვენებელი) | -0.027 | -2.66 | -0.77 | 0.99 | 0.62 |
| სიკვდილიანობის დონე 5 წლამდე ასაკის ბავშვებში (1000 სულზე) | 47 | 40.1 | 34.8 | 31.5 | 29.1 |
| სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, სულ (წლები) | 70.25 | 70.56 | 71.18 | 71.38 | 71.68 |
| ჯინის ინდექსი | | 0.39 | 0.41 | 0.46 | |

(წყარო: მსოფლიო განვითარების ინდიკატორები, მსოფლიო ბანკი: <http://databank.worldbank.org/ddp/home.do?Step=3&id=4>; საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური: www.geostat.ge/index.php?action=page&p-id=152&lang=eng.)

კოლაფსი

ეკონომიკისა და დიპლომატიის მიმართ გამსახურდას გულგრილმა დამოკიდებულებამ, 1991 წლის მარტში რუსეთისთვის თვითგამოცხადებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ და გარკვეული სახის პროდუქციის ექსპორტის დროებითმა აკრძალვამ საქართველოს ეკონომიკური იზოლაცია დააჩქარა. გამსახურდია შიშობდა, რომ ფასების გაზრდა მის პოპულარობაზე უარყოფითად იმოქმედებდა და ამიტომ სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმას ინარჩუნებდა: პრივატიზაცია არ ჩატარებულა, ფასების ლიბერალიზაცია უმნიშვნელოდ მოხდა და თუ არ ჩავთვლით ეროვნული ბანკის შექმნას, არც ინსტიტუციური რეფორმები განხორციელებულა. შევარდნაძის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1992 წლის მარტში შექმნილმა სახელმწიფო საბჭომ მართალია წამოიწყო ეკონომიკური რეფორმები, მაგრამ მათი განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუტები საქართველოში არ არსებობდა. აფხაზეთთან ომი, რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ბლოკადა, 1991 წლის აპრილის ძლიერი მიწისძვრა და დეფიციტის უპასუხისმგებლო დაფინანსება ის ფაქტორები აღმოჩნდა, რომლებმაც ერთეულთა ხელში დიდი სიმდიდრის თავმოყრასაც შეუწყო ხელი და მასიური უბედურებაც მოიტანა ფინანსური ანარქიის შედეგად. შემოსავლები, რომლებიც ტრანსპორტიდან და ტურიზმიდან მოდიოდა, დაიკარგა; 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს 2.5 მილიონი ტურისტი სტუმრობდა, 1993-1994 წლებში კი - არცერთი. რეგიონებიდან შემოსავლებმა იკლო, მაგალითად, აჭარამ უარი თქვა თბილისისთვის 4 მილიონი მანეთის გადახდაზე ყოველთვიურად. საქართველო ამ პერიოდში ჯერ კიდევ მანეთის სამოქმედო ზონაში იმყოფებოდა და ნალდი ფულის სიმცირე, რომელსაც რუსეთი თავისი სურვილისამებრ ინვესტა, ბარტყულ ეკონომიკას აღრმავებდა.

შევარდნაძის პირველმა პრემიერმინისტრმა, თენგიზ სიგუამ, ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად აქტიურ ზომებს მიმართა 1992-1993 წლებში, მაგალითად, ბინათმშენებლობის, მინის პრივატიზაციის, გადასახადების რესტრუქტურისაციის სფეროებში (შემოღებულ იქნა 28%-იანი დღგ, რომელიც მოგვიანებით 14%-მდე შემცირდა) და საკანონმდებლო ჩარჩოებიც შეიმუშავა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებისთვის. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ტრანსფორმაციის საშუალოვადიანი პროგრამა 1993 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ მთავრობის გაკოტრებამ - მთლიანი მოხმარება 1991-1992 წლებში 44%-ით დაეცა ფასების ლიბერალიზაციისა და ინფლაციის შედეგად - და აფხაზეთის ომმა რეფორმები დაამუხრუჭა. 1990-1995 წლებში, რეალური მშპ-ის დაახლოებით 83%-იანი ვარდნა დაფიქსირდა; სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 63%-ით დაეცა, ასეთი მდგომარეობა ტერიტორიის დაკარგვისა და ტრანსპორტირებისა და მიწოდების შეწყვეტის გამო შეიქმნა. სამრეწვე-

ლო წარმოების ჩავარდნამ 1990-1995 წლებში 85.9%-ს მიაღწია. ყველაზე მეტად იზარალა შემდეგმა დარგებმა: სამრეწველო წარმოებამ (90%-იანი ვარდნა), მსუბუქმა მრეწველობამ (96%) და სათბობ-სანვავამ (97%). ფინანსური რეზერვების ამოწურვა და თავდაცვისთვის საჭირო სასწრაფო ხარჯები საკვები პროდუქტების მარაგების შემცირების მიზეზი გახდა 1993 წლის თებერვალში, სულ ოთხი დღის მარაგი იყო დარჩენილი, როცა ხელისუფლებამ კრედიტების ემისია დაუშვა, რითაც წლიური ინფლაცია გაზარდა 1990 წლის 5%-დან 15.607%-მდე 1994 წლისთვის.⁴³ ქართული კუპონის (1993 წელს შემოტანილი ფულის დროებითი ერთეული) ოფიციალური გაცვლითი კურსი 1993 წელს 1 აშშ დოლართან მიმართებაში 5,060-ს შედაგენდა, ხოლო 1994 წლის ბოლოსთვის – 2,400,000-ს.

საბჭოთა სოციალური დაცვის სისტემის რღვევა მტკივნეული აღმოჩნდა მოსახლეობისთვის. 1990-იანი წლების თბილისის ქუჩები საესე იყო იძულებით გადაადგილებული პირებით, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებითა და გალატაკებული მოხუცებით, რომლებიც სახლიდან გამოტანილ ნივთებს ყიდდნენ. ბანკებს გამწარებული ხალხი ეხვია გარს, რადგან დანაზოგები პირამიდის თაღლითურ სქემებში ქრებოდა. მთავრობამ პურის ბარათები შემოიღო 1993 წელს (ეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პირველად მოხდა), რომ პურის რიგები შეემცირებინა. ხალხი რიგს, როგორც წესი, დილის ხუთ საათზე იკავებდა, მაგრამ ხშირად სახლში ნაჩხუბარი და ხელცარიელი ბრუნდებოდა.

მონაცემების მიხედვით უმუშევართა რაოდენობა მცირე იყო, რადგან საწარმოები მუშახელს ოფიციალურად არ ათავისუფლებდნენ, მაგრამ შემოსავლები კატასტროფულად დაეცა, მიუხედავად ინდექსაციის მცდელობისა. თუკი 1989 წელს მინიმალური ხელფასით 750 კვერცხის ყიდვა შეიძლებოდა, 1993 წლისთვის ამ ხელფასით მხოლოდ ერთ კვერცხი მოდიოდა. ერთი თვის პენსია 9 კგ პურს უტოლდებოდა.⁴⁴ 1994 წლის სექტემბერში საშუალო ხელფასი 12 აშშ დოლარს უდრიდა ანუ 28,800,000 კუპონს; 1994 წლის ბოლოსთვის კი – ოფიციალური საარსებო მინიმუმის 1.2%-ს. ელექტროენერგიისა და სათბობის მიწოდების შეწყვეტის გამო დაიხურა სკოლები და საავადმყოფოები. საბიუჯეტო ხარჯები, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო, მაგალითად, სოციალური დაცვის, ჯანდაცვის და განათლების სფეროში, საერთოდ აორთქლდა, რადგან მთავრობამ გადასახადების ამოღება ვერ მოახერხა (1994 წელს საგადასახადო შემოსავლებმა მშპ-ის მხოლოდ 2.4% შეადგინა, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მსოფლიოში). განათლების ხარჯების საბიუჯეტო წილი, რაც 1990 წელს 23%-ს შეადგენდა, 1994 წლისთვის 6%-ით შემცირდა.⁴⁵ განათლების საპირისპიროდ, თავდაცვის ხარჯები 1992 წელთან შედარებით 40%-ით გაიზარდა ორი წლის განმავლობაში.⁴⁶


1991-1994 წლები გარდამავალ პერიოდში მყოფი საქართველოსთვის უმძიმესი პერიოდი იყო. მთავრობას ადმინისტრაციის უდისციპლინო და თითქმის უხელფასო კადრები ამძიმებდა. ეროვნული ბანკი უზრუნველი დაუდევრობით ურიგებდა კრედიტებს მთავრობის ფავორიტებს (1.280 მილიარდი მანეთი გაიცა 1993 წლის იანვრიდან ივნისამდე). გადარჩენა ახლოებელ-ნათესავებზე, მეზობლებზე, არაოფიციალურ და არამონეტარულ შემოსავლებზე და ოჯახის ძველი ნივთების გაყიდვაზე იყო დამოკიდებული. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ეკონომიკა სახელმწიფოს ნელ-ნელა შორდებოდა: 1994 წლის მაისში ოჯახის შემოსავლის 48.8% უკვე კერძო სექტორიდან მოდიოდა.⁴⁷

რეფორმა

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მისი ყოფილი მხარდამჭერებისა და კეთილისმყოფელების მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა ხისტი მონეტარული პოლიტიკისა და გლობალურ შეჯიბრში სუსტი ბაზრების ნაჩქარევად ჩართვის გამო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსგავსად, განვითარების ევროპულ და ამერიკულ ინსტიტუტებს საკუთარი რეცეპტები ჰქონდათ და წინააღმდეგობრივი მარეგულირებელი რეჟიმები შემოიტანეს.⁴⁸ როცა ამ სქემებმა ვერ იმუშავა, საქართველოში საქმის გამოსასწორებლად საერთაშორისო ექსპერტები ჩამოიყვანეს, მაგალითად, პოლონეთის შოკური თერაპიის ავტორი პრემიერმინისტრი ლეშეკ ბალცეროვიჩი (ბალცეროვიჩი შევარდნაძის მრჩეველი იყო 2000 წელს, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდა). 1992 წელს საქართველო სავალუტო ფონდის 171-ე წევრი სახელმწიფო გახდა, მაგრამ 1994 წლამდე საქართველოს მთავრობას ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელება არ დაუწყია. პროგრამა აქცენტს საფინანსო და საბიუჯეტო კონტროლზე აკეთებდა და ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. მსოფლიო ბანკმა საქართველოს სისტემური ტრანსფორმაციის დასაფინანსებლად \$39.8-მილიონიანი სესხი და \$98 მილიონის სარეზერვო კრედიტი გამოუყო (სტენდ-ბაი), ხოლო 1994-1999 წლებში – სამნაწლიანი ტრანში ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისთვის (\$239 მილიონი). თუმცა ეს თანხები გაიფლანგა. სავალუტო ფონდი დაჟინებით ითხოვდა აგრარული გადასახადების შემოღებას, რასაც ქართველი გლეხები ვერ გადაიხდიდნენ; 1992 წელს ფონდმა მოითხოვა, რომ საქართველო მანეთის ზონაში დარჩენილიყო მაშინ, როცა რუსეთი უარს ამბობდა მანეთის გამოშვებაზე; ამასთან ერთად, ფონდი დღგ-ის დანერგვის პოპულარიზაციას ეწეოდა ქვეყანაში, სადაც სალაროები არ არსებობდა. სავალუტო ფონდი მუდმივად ხაზს უსვამდა მინიმალურ სახელმწიფოს, მაშინ როცა პრობლემას სახელმწიფოს არარსებობა და სუსტი კერძო სექტორი წარმოადგენდა. რეფორმების გატარებაში ქვეყნის ხელმძ-

ღვანელობისადმი მინდობამ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო ხალხის მხარდაჭერის მოპოვების თვალსაზრისით.

და მაინც, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციებს უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს ეკონომიკური გადარჩენისთვის 1990-იან წლებში. მათი სესხები და გრანტები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტს ავსებდა. მათი დახმარებით საქართველომ უცხოური ვალის რესტრუქტურისა და მოახერხა, დაარეგულირა კომერციული ბანკები და დაასრულა ჰიპერინფლაციის პერიოდი. საქართველო გაერთიანდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში; 2000 წელს განვერდიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და 2003 წლისთვის 20-ზე მეტ სახელმწიფოსთან გააფორმა სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებები. საქართველოს ხელისუფლება პროპაგანდას უწევდა და წარმატებითაც იყენებდა სატრანსპორტო დერეფნის იდეას აზიიდან კავკასიის გავლით ევროპისკენ (TRACECA). ეს პროექტი ევროკავშირმა წამოიწყო 1993 წელს და ის მიზნად ისახავდა ავტომაგისტრალებისა და სარკინიგზო გზების გაფართოებას შორეული აღმოსავლეთისკენ კავკასიისა და შუა აზიის გავლით. ვლადიმერ პაპავა სავალუტო ფონდს მიანერს ქვეყის პროფესიული წესების დანერგვას საქართველოს სამინისტროებში.⁴⁹



შეკარდნაძე უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე საუბრობს

1994-1999 წლებში შევარდნაძე დასავლეთის ფავორიტი იყო. 1990-იანი წლების შუა ხანებში სავალუტო ფონდთან თანამშრომლობამ ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ახალი აზიური ვეფხვი იბადებოდა. 1994 წელს, აფხაზეთთან ომის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი გახდა მშპ-ის 11.4% და 11.3-იანი ზრდის მიღწევა 1996 და 1997 წლებისთვის, შესაბამისად. ბიუჯეტის დეფიციტი კონტროლს დაემორჩილა და 1995 წლის ოქტომბერში საქართველოში ახალი სტაბილური ვალუტა, ლარი შემოვიდა. ინფლაციამაც 5.7%-მდე დაინია 1997 წელს და, გარდა ამისა, ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდიც \$165 მილიონამდე გაიზარდა 1996 წლის ივნისისთვის, მაშინ როცა ეს ციფრი \$41 მილიონს შეადგენდა 1994 წელს.⁵⁰ ამ შთაბეჭდავ ციფრებთან ერთად საქართველომ უცხოეთთან ვაჭრობის რეჟიმის ლიბერალიზაცია მოახდინა კანონმდებლობის დონეზე და ახალი კონსტიტუციაც მიიღო 1995 წლის აგვისტოში.

სტაგნაცია

1994-1998 წლების მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას ეკონომიკის მდგრადი აღორძინება არ მოჰყოლია. 2003 წლისთვის საქართველო გარდამავალი პერიოდის ყველაზე ნაკლებ წარმატებული ეკონომიკის პატრონი იყო დღის ქვეყნებს შორის. რეფორმებმა ვერ მოახერხა რუსეთიდან იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულების შესუსტება; ქვეყანამ ვერც უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა უზრუნველყო და სავაჭრო დეფიციტსაც ვერ არეგულირებდა. 1998 წელს, საგარეო ვალების მომსახურებას მთლიანი შემოსავლების ერთი მეოთხედი დასჭირდა.⁵¹ სახელფასო და საპენსიო ვალებმა 38 მილიონ ლარს (\$23 მილიონი) მიაღწია. 1998 წლის კრიზისულმა მოვლენებმა, კერძოდ, შევარდნაძეზე თავდასხმამ თებერვლის თვეში, გაეროს წარმომადგენელთა მოტაცებამ, გალის რაიონში (აფხაზეთი) მომხდარმა კონფლიქტმა, დასავლეთ საქართველოში სამხედრო გადატრიალების მცდელობამ, გვალვამ და აგვისტოში რუსეთის ეკონომიკურმა კრახმა, მშპ-ის რადიკალური ვარდნა გამოიწვია 2.9%-მდე. ქართულმა ეროვნულმა ვალუტამ, ლარმა, ღირებულების 70% დაკარგა.

სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, პრივატიზაცია წარმატებულად ჩატარდა. ყველაზე კარგი შედეგები მცირე საცალო კომპანიებში იყო. 2000 წლის ოქტომბრისთვის მცირე სანარმოების პრივატიზება დასრულებული იყო და 2,296 კომპანია მთლიანი მრეწველობის 14.5% აწარმოებდა. მაგრამ საშუალო და მსხვილი კომპანიების პრივატიზება დავალიანებების გამო შეფერხდა. 2000 წლისთვის მთლიანი მრეწველობის 53% ისევ სახელმწიფოს ხელში იყო და, შესაბამისად, 754,000 ხელფასიან დაქირავებულთაგან 614,000 სახელმწიფო სექტორში მუშაობდა.⁵²

აქციების გადაცემამ ინდივიდუალურ პირებზე საშუალო და მსხვილ კომპანიებში – აქციათა მფლობელები, ჩვეულებრივ, ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი მენეჯერები იყვნენ – ვერც მმართველობა გააუმჯობესა და ვერც წარმოება. 1998 წლისთვის ამ კომპანიებში სანარმოო სიმძლავრის საშუალო გამოყენება 10%-ს აღწევდა მხოლოდ. პრივატიზაციამ გადასახადების გადამხდელი საშუალო კლასი ვერ წარმოშვა, არც მონოპოლიები დაუსუსტებია და სამუშაო ადგილებიც არ შეუქმნია, ხოლო სოფლად მცხოვრები ქართველები ისევ ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნდნენ. ყველაზე სერიოზულ პრობლემას გადასახადების აკრეფა წარმოადგენდა. საგადასახადო ინსპექტორთა 1993 წლის გამოკითხვაში 64% დაეთანხმა იმ აზრს, რომ საგადასახადო სისტემა მთავარ დაბრკოლებას ქმნიდა ბიზნესის განვითარებისთვის.⁵³ 1997 წლის „გამარტივებული“ საგადასახადო კოდექსის მიხედვით, რომელიც მოგების 20%-იან გადასახადს და 20%-იან დღგ-ს ითვალისწინებდა, გადასახადების ადმინისტრირება შეუძლებელი იყო; ის პირდაპირ უზიძგებდა მენარმეებს გადასახადებისგან თავის არიდებისკენ. ერთ-ერთი ეკონომისტის გაანგარიშებით, მენარმეებს გადასახადები და სესხები რომ გადაეხადათ, ეს თანხა მათი შემოსავლების 112-115%-ს გაუტოლდებოდა.⁵⁴

1998 წელს გადასახადების ამოღების შეუძლებლობის გამო საქართველოს დიდი საბიუჯეტო კრიზისი შეექმნა; ამ წლის პირველი რვა თვის განმავლობაში ბიუჯეტში დაგეგმილზე ერთი მეოთხედით ნაკლები შემოსავალი შევიდა და წინა წელთან შედარებით 12%-ით შემცირდა.⁵⁵ პენსიებისა და ხელფასების გაცემა სახელმწიფო სექტორში 6 თვით დაგვიანდა. სავალუტო ფონდის რეფორმებმა სწრაფი ზრდა მოიტანა შედეგად, მაგრამ საზოგადოების მცირე ნაწილი გაამდიდრა მხოლოდ. თავად ფონდის მონაცემებით, 1999 წელს საქართველოს მოსახლეობის 60% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა.⁵⁶ საბანკო სისტემის შემდგომი რეფორმირების (კაპიტალიზაციის ზრდა), ბიზნესის ლიცენზირებისა და რეგისტრირების პროცედურების გაიოლების, ელექტროენერჯის წარმოებისა და დისტრიბუციის პრივატიზებისა და მინის პრიმიტიული ბაზრის შექმნის მიუხედავად, მშპ-ის ზრდამ 1998 წლის შემდეგ სწრაფად იწყო კლება. ბაქოსუფსისა (ბაქო-სუფსის ხაზის მშენებლობა 2002 წელს დამთავრდა) და BTC ნავთობსადენების გარეშე საქართველოს საქმე გაცილებით უარესად წავიდოდა.

საქართველოს ეკონომიკა იძირებოდა. 2002 წელს შემოსავლები 1991 წლის მაჩვენებლების 40%-ს შეადგენდა, საგარეო ვალი \$1,753.2 მილიონი იყო ანუ მშპ-ის 53%, ხოლო უცხოური \$145.8-მილიონიანი ინვესტიცია ყველაზე დაბალი იყო დსთ-ს ქვეყნებს შორის. სავაჭრო დეფიციტი იზრდებოდა, იმპორტმა ორჯერ გადააჭარბა ექსპორტს. ბიუჯეტი ყოველ წელს სეკვესტრს ითხოვდა, 2002 წლის ბიუჯეტის დეფიციტმა 25%-ს მიაღწია;

მუქარასავით გაისმა სიტყვა იმპიჩმენტიც. თბილისში, ქვეყნის ყველაზე მდიდარ ქალაქში, ჯანმრთელობისთვის საჭირო კალორიების რაოდენობის მიხედვით, მოსახლეობის 40% არასაკმარისად იკვებებოდა. 1999 წელს საქართველოს მთავრობა ერთ სულ მოსახლეზე 11.6 აშშ დოლარს ხარჯავდა განათლებაზე და 4.1 დოლარს ჯანდაცვაზე მაშინ, როცა ჩეხეთის რესპუბლიკაში ეს თანხები, შესაბამისად, 190.9 და 360.1 დოლარს, იემენში კი 22.4 და 8.0 დოლარს შეადგენდა. საქართველო ამ კუთხით დღეს ყველა სახელმწიფოს ჩამორჩებოდა ტაჯიკეთის გარდა.⁵⁷

აქსელერაცია

2006 წლის აგვისტოში პრეზიდენტი სააკაშვილი თავის თანამემამულეებს არწმუნებდა რომ ახლა სრულიად განსხვავებულ ქვეყანაში ვცხოვრობთო.⁵⁸ ის მართალი იყო: 2010 წელს საქართველოს საშუალო ძალის 77% კერძო სექტორში მუშაობდა. რაც რადიკალური ცვლილება იყო ათი წლის წინანდელ ვითარებასთან შედარებით. თუ 2003 წელს საგარეო ვალი მშპ-ის 44.9 პროცენტს შეადგენდა, 2007 წლისთვის ის 16.8 პროცენტამდე შემცირდა (2010 წელს კი ისევ 38%-მდე გაიზარდა). ახალი საგადასახო კოდების, მიწასთან, ბიზნესის პრივატიზაციასთან და ქონებაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კანონების წყალობით კანონიერად მომუშავე მენარმეებს უფრო მეტი გასაქანი მიეცათ.⁵⁹ ბიუჯეტშიც რევოლუციური ცვლილებები მოხდა და დანახარჯები 2004 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც მშპ-ის მხოლოდ 16%-ს შეადგენდა, 2008 წელს თითქმის გაორმაგდა და 28%-ს მიაღწია. ვაჭრობა გაიზარდა თითქმის ყველა სფეროში და უცხოური ინვესტიციებიც რეკორდულ ნიშნულს მიუახლოვდა 2006-2007 წლების განმავლობაში. 2006 წელს საქართველოში თითქმის \$1.14 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. ეს ორნახევარჯერ მეტი იყო 2005 წელთან შედარებით. 2007 წელს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ პიკს მიაღწია და 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ფიზიკური ტრანსფორმაცია მართლაც შთამბეჭდავი იყო, როცა ძველი ბაზრების ნგრევას და ახალი საცხოვრებელი კორპუსებისა თუ სასტუმროების მშენებლობას უყურებდით თბილისში სეირნობისას.

თბილისის ეკონომიკურ აღორძინების საპირისპიროდ საქართველოს სხვა კუთხეებში მდგომარეობა დამორგუნველია. მიუხედავად ახალაშენებული თვალწარმტაცი სასტუმროებისა ზღვის სანაპიროზე, ბათუმი შექმნილი ქალაქი არ არის; ბათუმელები მწირ ხელფასებზე ცხოვრობენ ან არ მუშაობენ საერთოდ. კახეთში გლეხებს ხელი არ მიუწვდებათ კრედიტებზე თუ პესტიციდებზე, არც ინფრასტრუქტურა ვარგა, მაგალითად სარწყავი სისტემა. ბანკები მიიჩნევენ, რომ სოფლის მეურნეობა ძალზე რისკიანი

სფეროა სესხების გასაცემად. თბილისსა და რეგიონებს შორის უფსკრულის მიმანიშნებელი საცალო ვაჭრობაა, რომლის 80% თბილისში ხორციელდება.⁶⁰ საბიუჯეტო დისციპლინისა თუ გადასახადების აზოლების კუთხით პროგრესი აშკარაა, გაიზარდა ფინანსური მომსახურება, მშენებლობაც მიმდინარეობს და ტელეკომუნიკაციებიც გამოსწორდა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკას არაფერი ეტყობა, რომ მას მოსახლეობა სიღარიბიდან გამოყავდეს. 2006 წელს, სიღარიბე განისაზღვრა 71.6 ლარით (\$43) ერთ სულ მოსახლეზე. არარეალურად დაბალმა ამ ზღვარმა, ქვეყნის მოსახლეობის 38.8% სიღარიბის ზღვარს მიღმა მოაქცია.⁶¹

სააკაშვილის ეკონომიკურ სასწაულს პერსპექტივა სჭირდება. მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2002 წლის 5.5%-დან 2007 წლისთვის 12.4%-მდე გაიზარდა, მაგრამ იმ წელს საქართველოს მშპ 1989 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 61%-ს შეადგენდა და საკმაოდ ჩამორჩებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის 137 და 159%-ს, შესაბამისად.⁶² საქართველოში ყველაზე ცუდად მიდიოდა საქმე გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებს შორის, თუ არ ჩავთვლით მოლდოვას. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2010 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარის მიმდინარე კურსით \$2621-ს შეადგენდა. ამ მაჩვენებლით საქართველო ერაცსა და ეგვიპტეს შორის იმყოფებოდა.⁶³ უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი საქართველოში, 16%-ზე მეტი, უფრო მაღალია, ვიდრე ოფიციალური 6-12%-იანი მაჩვენებლები აზერბაიჯანსა და სომხეთში. ის, რომ პენსიები 2003 წლის 14 ლარიდან (\$8.5) 2010 წლისთვის 100 ლარამდე (\$60.5) გაიზარდა, საქებარია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რეალურად საქართველოში პენსიები მაინც ყველაზე დაბალია დსთ სახელმწიფოებს შორის. 2010 წლისთვის საარსებო მინიმუმი საქართველოში 130 ლარით განისაზღვრა (მიზერული 78 აშშ დოლარი). თუ დემოგრაფიული ტენდენციები შენარჩუნდება, 2025 წლისთვის 65 წლის ასაკს გადაცილებულ ადამიანთა რაოდენობა მოსახლეობის 18%-ს მიაღწევს, რაც მძიმე ტვირთად დაანება სახელმწიფო ბიუჯეტს და ეკონომიკურ ზრდას იმ შემთხვევაშიც კი, თუ დახმარებებისა და შეღავათების დონე დაბალი იქნება.

2008 წლის ომმა და გლობალურმა კრიზისმა მთავარი სტრუქტურული პრობლემები გამოავლინა. 1991-2003 წლების ეკონომიკურმა კოლაფსმა თითქმის ერთი მილიონი მოქალაქე, დაახლოებით მთელი მოსახლეობის ერთი მეხუთედი, აიძულა, ქვეყნიდან წასულიყო, მათგან ბევრი ქალაქელი იყო და კვალიფიციური მუშაკი. მიუხედავად მათ მიერ სამშობლოში გადმოგზავნილი ფულისა, რაც მშპ-ის 5%-ს (თუ არაოფიციალურ გზავნილებსაც მივათვლით - 10%-ს) შეადგენს, ქვეყნიდან ემიგრაცია იმას ნიშნავს, რომ 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი 14.7%-მდე გაიზარდა (2007 წელს), ანუ ის ასაკობრივი ჯგუფი, რომელზეც, პროპორციულად, დასაქმებული მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი მოდის.

ეს სოციალური დაცვის სისტემაში არსებული ხარვეზების ილუსტრაციას წარმოადგენს, მაგრამ, რაც უფრო სერიოზულია, ასახავს შეუსაბამობას მზარდ „პენსიონერ“ მოსახლეობასა და სულ უფრო კლებად გადასახადების გადამხდელ დასაქმებულ მოსახლეობას შორის.⁶⁴ გადასახადების ამოღება გაუმჯობესდა – საგადასახადო შემოსავლებმა 2008 წელს მშპ-ის 30% შეადგინა, მაშინ როცა 2003 წელს ეს მაჩვენებელი 14.5 % იყო. მაგრამ მიუხედავად 2005-2007 წლების საკრედიტო ბუმისა (კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2005 წლისთვის 69%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით), მცირე და საშუალო საწარმოებს მაინც უჭირთ სესხის მაღალი ფასის გამო. მსოფლიო ბანკის/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ ჩატარებული საწარმოების კვლევის მიხედვით, 2009 წელს ქართული კომპანიების 26.9 %-მა ოფიციალური განაცხადი შეიტანა კრედიტზე, ხოლო 60%-ზე მეტი შიდა სახსრების იმედზე იყო.⁶⁵ 2009 წელს 500 მცირე და საშუალო საწარმოს შესწავლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ 94%-ს კავშირი არ ჰქონდა პოტენციურ ინვესტორებთან და თითქმის არცერთმა არ იცოდა, თუ სად უნდა ეძებნა ისინი.⁶⁶ კრედიტები ყველა დარგში ერთნაირად ხელმისაწვდომი არ არის და, გარდა ამისა, 2008 წელს ბიზნეს-სესხზე საშუალო პროცენტი 20-30 იყო, ეს მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში ეს რიცხვი 5-10-ის ფარგლებშია. ლიბერალური ეკონომიკის საქართველოს ხელისუფლებისეულმა ვერსიამ, რაშიც თითქმის არ არსებობს სამთავრობო დახმარება მცირე ბიზნესისთვის, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა შემცირდა და, შედეგად, საშუალო ადგილების შექმნის პერსპექტივამაც იკლო.

საქართველოს მოსახლეობა განსაცვიფრებლად ოპტიმისტურად არის განწყობილი მომავლისადმი მიუხედავად უმუშევრობის 60%-იანი დონისა 2010 წელს (სოფლად მცხოვრები თვითდასაქმებულების, არარეგისტრირებული უმუშევრების და ქალების ჩათვლით, რომლებიც აღარ ეძებენ სამსახურს).⁶⁷ ამ მონაცემში არ შედის დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი, რომელიც საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ საძიებლად. ეს არცთუ იოლი სოციალური საკითხებია, რაც სახელმწიფოს და დემოკრატიის მშენებლობისთვის საჭირო ამოცანების შესრულებას კიდევ უფრო ართულებს. სააკაშვილის ხელისუფლების საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლები, რასაც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები მოყვა 2008 წლის იანვარში, სწორედ ეკონომიკური და სოციალური ჩავარდნებით იყო გამოწვეული. სააკაშვილმა გამოსვლებს დაპირებით უპასუხა, რომ ბოლოს მოუღებდა სიღარიბეს. 2008 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტმა ხუთწლიანი პროგრამა დაამტკიცა სახელწოდებით „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, მაგრამ ეს ძალზე ექსცენტრული პროგნოზი იყო, რომელიც ბიუჯეტის სიჭარბეს, პირდა-

პირ უცხოურ ინვესტიციებს მშპ-ის 10%-ის მოცულობით, წარმატებულ სპეციალურ ინდუსტრიულ ზონებსა და საქართველოს საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად გადაქცევის იდეას ეყრდნობოდა. პროგრამით იგულისხმებოდა არაბუნებრივად ბევრი, 200.000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი 200 ახალი ფაბრიკის აშენება და სიღარიბის განახევრება ხუთი წლის განმავლობაში. პროგრამას მოყვა 50-დღიანი სამუშაო გეგმის შემუშავება და 500 მილიონი დოლარის ღირებულების ევრობონდების გამოშვება (რომელიც, გაუგებარია, რაზე უნდა დახარჯულიყო), ახალი კანონპროექტი, რომლის ძალით ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გაათავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობიდან, თუ ინფლაცია გარკვეულ ზღვარს მიუახლოვდებოდა (კანონი კი მიიღეს, მაგრამ მალევე გააუქმეს) და დამატებითი საგადასახადო შეღავათები უცხოური ფირმებისთვის.⁶⁸

როგორც ამტკიცებდნენ, ზრდა მოკლავდა სიღარიბეს, თუმცა რამდენიმე თვეში აღმოჩნდა, რომ ეს ზღაპარი იყო. ბიუჯეტი შეკვეცეს, მათ შორის, თავდაცვის ხარჯებიც (2008-2011 წლების განმავლობაში სულ 52%-ით შემცირდა).⁶⁹ საქართველოს მთავრობა მიზნობრივ დახმარებას უწევს მოსახლეობას, არიგებს ელექტროენერჯისა და გაზის ვაუჩერებს, საკვებ ბარათებს და უფასო სანავის აწვდის გლეხებს. სოციალური ტრანსფერები, მათ შორის, პენსიები მოსახლეობის 57.8%-ს სწვდება. გაზრდილი შემოსავლები უკვე ფაქტია, ხოლო მოსახლეობის მომსახურების, მაგალითად, ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდების გაუმჯობესებით ცხოვრება ყველასთვის გაუმჯობესდა. მთავრობამ (და თბილისის მერიამ) რამდენიმე პროგრამა წამოიწყო სამუშაო ადგილების შექმნისა და პროფესიული გადამზადების მიზნით, მაგრამ უმუშევრობაზე ჯერ ამ პროგრამებს გავლენა არ მოუხდენია. პროფესიული სწავლების ცენტრები, პერსპექტიული მიმართულება, რომელიც მთავრობის საგანმანათლებლო რეფორმის ნაწილია, არასაკმარისად ფინანსდება და სამუშაოს შივნის იმედსაც ვერ იძლევა. 2006 წლის შრომის კოდექსმა, რომელიც ხალხის დასაქმების უზრუნველყოფას აპირებდა შრომითი რეგულაციების რადიკალური შესუსტებით, ვერ გაამართლა. იმ წელს გაზრდილმა სამშემოსავლო გადასახადმაც (12%-დან 25-მდე, რაც მოგვიანებით 20%-მდე შემცირდა) ვერაფრით შეძლო მათი დახმარება, ვინც სიღარიბის ზღვარზე იბრძოდა სიცოცხლისთვის.⁷⁰ 2008-2009 წლების იაფი კრედიტის პროგრამის განხორციელებისას აღმოჩნდა, რომ კრედიტი სულაც არ იყო იაფი.⁷¹ ხელისუფლების მხრიდან უცხოური ინვესტიციებით უფრო მეტად დაინტერესება ადგილობრივი ქართველი მენარმეების იგნორირებას ნიშნავდა, რითაც ნაწილობრივ მაინც შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ იმპორტის მოცულობა ოთხჯერ აღემატებოდა ექსპორტს 2010-2011 წლებში.

ცხრილი 4: ეკონომიკის ძირითადი ინდიკატორები, 1990-2009

| ეკონომიკის ინდექსები | 1990 | 1995 | 2000 | 2005 | 2009 |
|--|--------|--------|-------|-------|-------|
| მშპ (უცვლელი 2000 აშშ დოლარი) | 8.152 | 2.303 | 3.057 | 4.355 | 5.267 |
| მშპ/სულზე (უცვლელი 2000 აშშ დოლ) | 1,698 | 487 | 692 | 999 | 1,194 |
| მშპ/სულზე/მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (PPP) (უცვლელი 2005 საერთაშორისო, აშშ დოლ) | 6,138 | 1,759 | 2,502 | 3,611 | 4,318 |
| მშპ-ს ზრდა (ნლიური პროცენტი) | -14.79 | 2.60 | 1.84 | 9.60 | -3.8 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიცია სუფთა შემოდინება (მშპ-ის პროცენტი) | | | 4.29 | 7.06 | 6.13 |
| ინფლაცია, სამომხმარებლო ფასები (ნლიური პროცენტი) | | 162.72 | 4.02 | 8.30 | 1.74 |
| უმუშევრობა, სულ (მთლიანი სანარმოო ძალის პროცენტი) | | | 10.82 | 13.81 | 16.9* |

წყარო: მსოფლიო განვითარების ინდიკატორები, მსოფლიო ბანკი, <http://databank/worldbank.org/ddp/home.do?Step=3&id=4>; საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური (*): www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&clang=eng

კორუფცია

კორუფცია სამყაროს უძველეს პროფესიას ჰგავს – შეგიძლიათ შეამციროთ, მაგრამ ვერ აღმოფხვრით. ის მრავალფეროვანია. სახელმწიფო ქონების გაფლანგვა იქნება ეს, თუ თანამდებობის ბოროტად გამოყენება და არჩევნების გაყალბება და ნეპოტიზმი.⁷² მისი წარმოშობა პოსტკომუნისტური სისტემის დემოკრატიზაციის პერიოდში დასაბუთებულად არის აღწერილი. პოსტსაბჭოთა საქართველოში კორუფცია კოლორიტული ავანტიურა ტურისტისთვის, რომელსაც უმნიშვნელო საფრთხე ახლავს თან, მაგრამ ქართველებისთვის ის შეიძლება დეფიციტის შემარბილებელ ფუნქციასაც ასრულებდეს და ბარიერიც იყოს წარმატების გზაზე. კორუფცია ქართული ცხოვრების რითმაც არის და რიტმიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში და ქართველი კი ერთდროულად დანაშაულის თანამონაწილედ არის და დანაშაულის მსხვერპლიც.⁷³ მცირეხელფასიანი სახელმწიფო ჩინოვნიკები, არასანდო კანონმდებლობა და ქვეყნის, როგორც სატრანზიტო დერეფნის როლი, რასაც საქართველოს ნაკლებად ცნობილი ენა და კულტურული

სოლიდარობის ძლიერი გრძნობა ემატებოდა, ის ფაქტორებია, რომელთა საშუალებით ვაჭრობა იოლდებოდა იმპერიული ხელისუფლების კონტროლს მიღმა. ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად 1972 წელს სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად დაინიშნა, მაგრამ მის მიერ გატარებული ანტიკორუფციული კამპანია შედეგებს ვერ მოიტანდა სისტემასთან ძლიერი დაპირისპირების გარეშე.

საბაზრო სისტემებში კორუფცია ძირს უთხრის ეკონომიკური ინსტიტუტების ნორმალურ მუშაობას. მაგრამ საბჭოთა საქართველოში (ისე, როგორც დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებშიც) კორუფციამ სისტემის სტაბილიზება შეძლო იმით, რომ საჭირო პროდუქციას აწვდიდა მომხმარებელს.⁷⁴ საბჭოთა სახელმწიფოს მოტყუება არაეთიკურ საქციელად არ აღიქმებოდა და არც საბჭოთა ევფემისტურ ლექსიკას ჰქონდა მორალისტური ელფერი.⁷⁵ მაგრამ დამოუკიდებელ საქართველოში კორუფციის თვალსაჩინობამ, რომელიც დიდ სიმდიდრესა და პრივილეგიებთან ერთად, ის მორალურ კატასტროფად აქცია თუკი საბჭოთა საქართველოში კორუფციას თავისი წვლილი შეჰქონდა ეკონომიკის ქმედითობაში და პოლიტიკურ აპათიაში, პოსტსაბჭოურ საქართველოში მან ძირი გამოუთხარა რეფორმებს და სახელმწიფოს უსაფრთხოებას დაემუქრა.⁷⁶ კორუფციამ შეასუსტა სახელმწიფოს შესაძლებლობები გადასახადების ამოღების, სახელმწიფო მოხელეებისთვის ხელფასის გადახდისა და ტერიტორიების მართვის კუთხით. ეროვნულმა უმცირესობებმა, რომლებიც კორუმპირებული ქართველი მესაზღვრეებისა და პოლიციელების გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, სრულიად დაკარგეს ნდობა ქართული სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. საქართველოზე, როგორც სუსტსა და კორუმპირებულ სახელმწიფოზე წარმოდგენამ უცხოელებს ინვესტირების სურვილიც გაუქრო და დასავლეთის დახმარებაც შეამცირა. შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელ, 2003 წელს, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მონაცემებით, საქართველო 133 სახელმწიფოს შორის ბოლოდან მე-7 ადგილს იკავებდა კორუფციის მაჩვენებლებით.⁷⁷

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კორუფცია, უმთავარესად, სტრუქტურული პრობლემაა, რომელიც სუსტ ინსტიტუტებსა და სიღარიბესთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური გარდაქმნა და პრივატიზაცია ხელს უწყობს უპატიოსნო მოქცევის შესაძლებლობას. კორუფციამ დაამარცხა შევარდნაძის რეჟიმი. რეჟიმმა ქმედითუნარიანობა დაკარგა. საქართველოს დაუცველმა საზღვრებმა შედეგად კონტრაბანდის მასიური შემოდინება მოიტანა სეპარატისტული აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიებიდან, ხოლო გადასახადების ადმინისტრირების ბუნდოვანი მექანიზმების გამო ფართოდ გაეხსნა გზა თაღლითობას. ქმედით ზედამხედველობას ზიანს აყენებდა სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, მოსახლეობის ჩართულობის

დაბალი დონე და უმაქნისი პარტიები. ღირსებისა და სირცხვილის ქართული ღირებულებები წინ აღუდგა განგაშის ზარის შემოკვრას სახელმწიფო დანებებულებებში კორუფციისა და კანონდარღვევების წინააღმდეგ.

სანამ სახელმწიფო მოხელეები იძულებული იყვნენ საბიუჯეტო თანხების მიმართულება შეეცვალათ თავიანთი ერზე-ხელფასების, ჯანმრთელობისა თუ განათლების ხარჯების დასაფინანსებლად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე საშუალო ფენის აღმოცენება ნაკლებად სავარაუდო იყო საქართველოში. სახელისუფლებო ელიტა მთლიანად იყო გარეული კორუფციაში, ხოლო ჯარის ერთგულება უმეტესწილად სახელმწიფოს ძარცვის შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული.⁷⁸ სამი უწყება, რომელიც ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე იყო პასუხისმგებელი, კერძოდ, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები და გენპროკურატურა (პროკურატურის მაშინდელი სახელწოდება), თავად იყო ყველაზე მძიმე სამართალდამრღვევი. ამ სამინისტროების ფინანსური და პოლიტიკური ზედამხედველობისგან თავისუფალი თანამშრომლები აფხაზეთისა და ოსეთის „სამხედრო ეკონომიკაში“ იყვნენ ჩართული. ისინი თავიანთ რუს კოლეგებთან და კრიმინალურ ჯგუფებთან თანამშრომლობდნენ ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის გასაკონტროლებლად საქართველოს საზღვრებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოსავლების 9 წყაროდან 6 შიდა წესებით რეგულირდებოდა და არა კანონმდებლობით ან პრეზიდენტის განკარგულებით.⁷⁹

შეგარდნაძე ღიად იბრძოდა კორუფციის წინააღმდეგ. საქართველომ ყველაზე მეტი ანტიკორუფციული კანონი და ზომა მიიღო დსთ-ს ქვეყნებს შორის 1998-2002 წლების პერიოდში და ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კონვენციებს კორუფციის შესახებ. 1996 წელს შეიქმნა ანტიკორუფციული საპარლამენტო კომისია; 2000 წელს შემუშავდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა. 2002 წელს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინირების საბჭო შეიქმნა, რასაც ახალი ანტიკორუფციული ბიუროც მოყვა.⁸⁰ 2003 წლის კანონი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ ითვალისწინებდა სახელმწიფო მოხელეებისთვის კერძო სექტორში დასაქმების ან კერძო ბიზნესიდან შემოსავლის მიღების აკრძალვას. ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა მეტ გამჭვირვალობას მოითხოვდა ბიუჯეტის მართვაში, გადასახადების ამოღებასა და სახელმწიფო შესყიდვებში. გარდა ამისა, პროგრამა ითხოვდა სათანადო ანაზღაურებას სახელმწიფო მოხელეებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მეტ ჩართულობას კორუფციაზე მონიტორინგში, საგადასახადო შეღავათების აღკვეთას თუ გადასახადის თავიდან აცილების საშუალებების აღმოფხვრას, ლიცენზირებისა და ნებართვების შემცირებას და სათანადო სასჯელებს დაკავებულ პირთათვის.⁸¹ პროგრამის განხორციელების მექანიზმები არ არსებობდა, ისევე, როგორც მონაცემთა ცენ-

ტრალური ბაზა კორუფციული საქმეების შესახებ, რომლებსაც ადამიანი დაეყრდნობოდა, სახელმწიფო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციები არ მონმდებოდა, პროკურორებს ისევ საშინლად დაბალი ხელფასები ჰქონდათ და სისხლის სამართლებრივი დევნა თითქმის არ ხორციელდებოდა. 1997-2000 წლებში უზენაესმა სასამართლომ კორუფციასთან დაკავშირებით⁸² სულ სამი საქმე განიხილა. საზოგადოება არ ჩართულა მონიტორინგში, არ შექმნილა ცხელი ხაზები და მოწმეთა დაცვის პროგრამები, არც იმ პირთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, რომლებსაც შეიძლებოდა განგაში აეტეხათ თავიანთ უწყებაში მომხდარ სამართალდარღვევებზე.⁸³ უკეთესი ხელფასებისა და პირობების გარეშე, დამნაშავეთა საჯარო გაკიცხვისა და საგადასახადო სისტემისა და ლიცენზირების გაიოლების გარეშე, შევარდნაძის ანტიკორუფციული კამპანია მარცხისთვის იყო განწირული. გადასახადების წესიერად გადამხდელ მოქალაქეებსაც კი უჭირდათ საქმიანობა უკანონო ეკონომიკის გარეშე; საქართველოს მთელი ეკონომიკა „შავი“ იყო.

პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი წარმატება კორუმპირებული მინისტრების, დეპუტატების, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების უფროსების, მოსამართლეთა და მილიონერთა გამოჭერა იყო. ხელისუფლების ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა 2005 წლის ივნისში, განსაკუთრებით გამოკვეთდა სამართალდაცვის ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების რეფორმაზე, სახელმწიფო სექტორის შემცირებაზე, საგადასახადო კოდექსის გამარტივებაზე, საბიუჯეტო და შესყიდვების პროცესების გამჭვირვალობაზე და კანონების გამკაცრებაზე, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლაზე. შედეგები შთამბეჭდავი იყო. 2002-2005 წლებში იმ ქართულ კომპანიათა რაოდენობა, რომლებიც ხელისუფლების ოფიციალური პირების მხრიდან ქრთამის გამოძალვის შესახებ ჩიოდა, 38%-დან 8%-მდე შემცირდა.⁸⁴

გადასახადებისგან თავის არიდების შემცირება, დამსახურებაზე დაფუძნებული ეროვნული გამოცდების დანერგვა და კორუმპირებული კადრების მოცილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ დიდი ხნის ქცევა, რომელსაც „კულტურული“ შეარქვეს, შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ მთავრობის წარმატებას ჩრდილი ადგება სამართლებრივად სადავო მოქმედებებით, რაც საბოლოოდ ბრძოლას ნააგებინებს. ნიღბიანი საგადასახადო პოლიციელების შეჭრა ობიექტებზე, ბიზნესმენტა დაჭერები სათანადო სამართლებრივი პროცედურების გარეშე, საწარმოთა აქტივების კონფისკაცია, რაც მმართველი პარტიის ხაზინაში მიედინება, მთელი დეპარტამენტების განთავისუფლება და ფავორიტიზმი თანამდებობების განაწილება და საპრივატიზაციო ტენდერებში, ძირს უთხრის ნდობას ბიზნეს-გარემოში. საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ერთიანად გათავისუფლებამ

დიდი შთაბეჭდილება კი მოახდინა, მაგრამ არაეთიკური იყო. საიდუმლო ფონდების, როგორც იყო, მაგალითად, საქართველოს არმიის განვითარების ფონდი (2006 წელს დაიხურა ევროკავშირის მოთხოვნით), დაარსებამ ეჭვი გააჩინა ქონების მითვისების თაობაზე მითუმეტეს, როცა თანხები ვითომ კორუმპირებული თანამდებობის პირებისგან და იმ მენარმეებისგან მოდიოდა, რომლებიც თავისუფლებას ყიდულობდნენ. ოპოზიციური დეპუტატების გაძევება პარლამენტიდან სამენარმეო საქმიანობის მიზეზით მიგვანიშნებს, რომ ძველი ფავორიტიზმი ისევ მუშაობს.⁸⁵ სამინისტროებში გამჭვირვალედ მუშაობის შემცირება (სამინისტროს ხარჯების აუდიტორი მინისტრის დაქვემდებარებაშია) და პარლამენტის მიერ არასათანადოდ განხორციელებული ზედამხედველობა ზღუდავს მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას; სამთავრობო სკანდალები, რომლებიც ბოლომდე არ იხსნება, ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. კორუფციას, რომელსაც დღეს ხშირად „ელიტურს“ უწოდებენ, ფულის ჯიბეში ჩადებას კი არ ნიშნავს, არამედ პრივილეგიებისა და საზღაურ/ჯილდოების სისტემას; ეს თანამდებობის პირის კოსტიუმის მდიდრული სარჩულია ან თვალის ჩაკერა ფავორიტი მენარმისთვის. ძნელია „ელიტური კორუფციის“ დამტკიცება, მითუმეტეს, როცა გენერალური პროკურორი არც კი ინტერესდება ამ საქმეებით, მაგრამ 2007 წლის კვლევაში გამოკითხულთა 74.8% დარწმუნებული იყო, რომ მმართველ წრეებში კორუფცია არსებობდა.⁸⁶ პრივატიზაციამ სახელმწიფო ბევრ ტრანზაქციას ჩამოაშორა, მაგრამ ლიცენზირებით თუ გადასახადების შეკრებით დაკავებული კერძო კომპანიები ხშირად უმაღლესი თანამდებობის პირებთან არიან კავშირში და, გარდა ამისა, დიდი ხარჯები, რაც იურიდიულ მომსახურებას სჭირდება, უმეტეს შემთხვევაში ქრთამს ცვლის. უმაღლესი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკებმა, ზუსტად ისე, როგორც შევარდნაძის პერიოდში, საოცარი სიმდიდრე მოიხვეჭეს, რასაც ოფიციალური ჯამაგირით ვერ შეძლებდნენ.

საკამპილიზო აჩვენა პოლიტიკური ნებისა და სახელმწიფოს შესაძლებლობების მნიშვნელობა, მაგრამ სუფთა მთავრობას მხოლოდ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს. კორუფციის სანინაალმდეგო სტრუქტურულ ცვლილებებს უნდა ახლდეს სახალხო და ინსტიტუციური კონტროლი და უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი პარლამენტი და მიუკერძოებელი სასამართლო. ხალხის მხარდაჭერის გარეშე ხელისუფლების ანტიკორუფციული კამპანია შეფერხდება და როგორც სახალხო დამცველი ამბობს თავის 2008 წლის ანგარიშში, რომელიც პარლამენტს წარუდგინა, უკვე შეფერხდა კიდევ. გარდა ამისა, მან თქვა, რომ ბიზნესი დაუცველია საქართველოს სახელმწიფოს ძალადობისგან.⁸⁷ 2011 წელს დაინიშნა საქართველოს ბიზნეს-ომბუდსმენი, მაგრამ კარგ ბიზნესგარემოს, რაც აუცილებელია უცხოური ინვესტიციებისა და ქართველი მენარმეების საზღვარგარეთიდან მოსაზიდად, უფრო მეტი სჭირდება, ვიდრე ბიზნეს-ომბუდსმენი. პირველ რიგში,

საჭიროა, რომ ბიზნესი და მთავრობა სწორად გაიმიჯნოს და, მეორე რიგში, აუცილებელია დამოუკიდებელი სასამართლო. მანამ, სანამ სასამართლო ხელისუფლების მომხრედ აღიქმება, ნებისმიერი მენარმე იფიქრებს, მისი დაპატიმრება ტექნიკური წვრილმანისთვისაც შესაძლებელია. სამთავრობო აუდიტების არაპროპორციული რაოდენობა და უკანონო ზენოლა შემოსავლების მისაღებად უტყუარი გზა იმისთვის, რომ შიდა ინვესტირებას ბოლო მოეღოს.

პრივატიზაცია

პრივატიზაციის პროცესი საქართველოში დასავლური სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით განხორციელდა; შეიქმნა ერთობლივი სააქციო კომპანიები, ჩატარდა აუქციონები, საკონკურსო ტენდერები, პირდაპირი გაყიდვები და გაყიდვები საპრივატიზაციო ვაუჩერებით. მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზაცია ეტაპებით იყო დაგეგმილი და მცირე სანარმოების შემდეგ თანდათანობით უნდა მოეცვა დიდი ენერჯო თუ საკომუნიკაციო მონოპოლიები, შევარდნაძის დროს პროცესი უნესრიგოდ მიმდინარეობდა; არ არსებობდა მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და დამხმარე ინსტიტუტები, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლო და საფონდო ბირჟა. კრიმინალურმა ჯგუფებმა სახელმწიფო ქონება დაბალ ფასებში შეიძინეს და ეკონომიკის, ისევე როგორც თავად სახელმწიფოს კრიმინალიზაცია მოახდინეს. სახელმწიფო ხაზინის ფული უკონტროლოდ იფლანგებოდა, ფარული გარიგებები, რაშიც სახელმწიფო ქონებისა და მართვის სამინისტროს თანამშრომლებიც იღებდნენ მონაწილეობას ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თანამშრომლები, რომლებსაც ჯერ კიდევ საბჭოთა, 1989 წლის კანონით თავიანთი სანარმოების საბოლოო გამოსყიდვის უფლება ჰქონდათ მინიჭებული, გააძევეს ამ სანარმოებიდან.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სანარმოთა ფასები ხელოვნურად იყო დაგდებული. მაგალითად, 1997 წლის ივლისისთვის, 226 სანარმოს აქციები, რომელთა ნომინალური ღირებულება \$86 მილიონს შეადგენდა, სულ რაღაც \$3.25 მილიონად გაიყიდა (5.4 მილიონი ლარი). ეს რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები ფასი გახლდათ.⁸⁸ ბანკებმა მთავრობისთვის დასაბრუნებელი კრედიტების სანაცვლოდ სანარმოები ჩაყლაპეს. ხელშეკრულებებს, რომელთა პირობები ინვესტირებას ითვალისწინებდა, ყურადღებას არ აქცევდნენ და სახელმწიფოც არ აწესებდა ჯარიმებს; ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური პირები უკანონოდ ყიდდნენ იჯარით გაცემულ მიწებს, საპრივატიზაციო ვაუჩერების მყიდველთა სიაში მკვდარი სულები იყო შეყვანილი, კომპანიებს არაუზრუნველყოფილ სესხებს აძლევდნენ პრივატიზაციისგან შემოსული თანხებიდან, ხოლო

ტენდერები არ ცხადდებოდა. ინფორმაცია აუქციონებსა თუ საკონკურსო წესით გაყიდვებზე ამ საქმეში კარგად ჩახედული „შინაურების“ მიერ კონტროლდებოდა.

პრივატიზაციის შედეგები შთამბეჭდავად გამოიყურებოდა ქალაღღზე: 1996 წლისთვის 7,100 კომპანია იყო გაყიდული, ხოლო მშპ-ის 75-80% ოფიციალურად კერძო საწარმოები აწარმოებდნენ. სახელმწიფო ეკონომიკა ძირეულად შეიცვალა და საკუთრების ურთიერთობებმაც ტრანსფორმაცია განიცადეს. თუმცა, საქართველოში მაინც იმით დასრულდა ეს პროცესი, რომ კერძო მონოპოლიებს, რომლებსაც ყოფილი საბჭოთა დირექტორები ან ჩინოვნიკები მართავდნენ, სახელმწიფო აფინანსებდა. 1998 წლისთვის, მცირე და საშუალო 1,250 საწარმოდან 900 პრივატიზებული იყო, მაგრამ მათი სააქციო კაპიტალი ისევე სახელმწიფოს საკუთრებაში რჩებოდა ან ჯერ გაყიდული არ იყო. ვაუჩერიზაციის შედეგად საწესდებო კაპიტალის 80% სახელმწიფოს ხელში იყო.⁸⁹ პრივატიზაციას მოსალოდნელი შემოსავლები არ მოუტანია. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა განაცხადა, რომ 2000 წელს, 41 ჯანდაცვისა და სამკურნალო დაწესებულებების გაყიდვიდან მთავრობას უნდა მიეღო \$1.6 მილიონი, მაგრამ ბიუჯეტში მხოლოდ \$447,000 აწუ, მოსალოდნელი ამონაგების 29% შევიდა.⁹⁰

სახელმწიფო ბიუჯეტმა ვერ მოახერხა შემოსავლების მიღება, ვერც მესაკუთრეთა რაოდენობა გაიზარდა მოსახლეობაში. ახალ მესაკუთრეებს აქტივებისგან გათავისუფლებაც რომ მოენდომებინათ, – და ცოტას თუ ჰქონდა განზრახული გრძელვადიანი ინვესტირება, – საჭირო თანხებსაც ვერ მიიღებდნენ. 2001 წელს, 15,000 კერძო კომპანიიდან 45% არაფერს აკეთებდა, ბევრი მათგანი ვალებში იყო ჩაფლული და ნაკისრ ვალდებულებებს სახელმწიფოსა თუ დაქირავებულთა წინაშე ვერ ასრულებდა. მსხვილ კომპანიებს უარესი მდგომარეობა შეექმნათ, რადგან უზარმაზარი ვალების გამო ინვესტორების ყურადღებას ვერ იპყრობდნენ. მათი უმრავლესობა ისევე ყოფილი დირექტორების ხელში იყო, რომლებმაც აქციები სპეციალურ აუქციონებზე ყველაზე დაბალ ფასად შეიძინეს და ამგვარად, სახელმწიფოსაც წაართვეს შემოსავალი. 1998-2000 წლებში სახელმწიფომ სააქციო კომპანიების დაახლოებით \$98.7 მილიონი ღირებულების წილი გაყიდა, მაგრამ მხოლოდ \$3.8 მილიონი ამოიღო, აწუ ღირებულების 3.9%.⁹¹ ახალ აქციონერებს არ ევალებოდათ რეორგანიზაციის ჩატარება ან ინვესტიციების განხორციელება, ხშირ შემთხვევაში ისინი საწარმოებს მინის ან ნაგებობისთვის ყიდულობდნენ. კომპანიებს სწრაფადაც ყიდიდნენ ხელმეორედ. ჭიათურის მანგანუმის საწარმო ორჯერ გაიყიდა უცხოურ კომპანიებზე, მაგრამ ბოლოს, ისევე სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა. 2000 წელს, 250 ერთობლივი სააქციო კომპანიიდან ნაწილობრივ ან მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა 53 კომპანიამ მიიღო მოგება. მოგების მაჩვენებელს კი, განზრახ ამცირებდნენ, ან საერთოდ არ უხდიდნენ ფინანსთა სა-

მინისტროს, როგორც მენარმეებს მოეთხოვებოდათ.⁹² სახელმწიფო ქონების უკანონოდ განკარგვა და ძალზე დაბალი შემოსავლები იჯარიდან (2000 წელს მხოლოდ 68,000 ლარი შემოვიდა იჯარით გაცემული სახელმწიფო ქონებიდან) უზარმაზარი მასშტაბის კორუფციაზე მიანიშნებდა.

საკაპევილის მთავრობამ დააჩქარა პრივატიზაციის პროცესი და განაცხადა, რომ 2004-2005 წლებში გაყიდული სახელმწიფო ქონების 2%-დან უფრო მეტი თანხა შევიდა ბიუჯეტში, ვიდრე მთელი წინა ცხრა წლის განმავლობაში.⁹³ ეკონომიკის განვითარების სამინისტრომ განაახლა თავისი ინტერნეტ ვებგვერდი და პირობა დადო, რომ სახელმწიფოს დარჩენილ ქონებას 18 თვის განმავლობაში გაყიდდა. ყველაფერი იყიდებოდა, თუკი გაყიდვა იყო შესაძლებელი, დანყებული სათხილამურო კურორტებიდან და მანგანუმის მალაროებიდან ვიდრე გამომცემლობებამდე. ახალ ხელისუფლებას ამერიკული ენერჯო კომპანიის AES პრივატიზაციისგან მიღებული მწარე გაკვეთილის ამოშლა სურდა მეხსიერებიდან საქართველოს ენერჯობაზრის მოსათვინიერებლად. ამერიკულ კომპანიას საქმიანობა ჩაუვარდა საქართველოში (მერე, ის რუსულ RAO UES-ს მიყიდეს). მაგრამ პროცესი წინააღმდეგობრივია. პრივატიზაცია ნაჩქარევად ტარდება; კადრები და ინსტიტუტები რადიკალური ცვლილებებისთვის მზად არ არიან (ჯანდაცვის სისტემის 2007 წელს განხორციელებული პრივატიზაცია ამის კარგი მაგალითია) და მათ თითქმის არაფერს ეკითხებიან. აუქციონები, რომლებსაც მთავრობა ატარებს და ამონაგების გაზრდისთვის გამიზნული საკონკურსო ტენდერების წესები ისევ გაუმჭვირვალეა; წესები ირღვევა, ხოლო ტენდერები ხშირად ჩანყობილია. ხელისუფლება ზერელედ, მხოლოდ იმდენად აკონტროლებს კომპანიებს გაყიდვის შემდეგ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოს. პრეზიდენტი ბრძანებულებით ახორციელებს თავის უფლებამოსილებას პირდაპირ გაყიდვებზე. ბრძანებულება ხშირად ბუნდოვანი და თვითნებურია, მაგალითად, პრეზიდენტი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩუქნის ქონებას ადამიანებს, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს და პოლიციელებსაც.⁹⁴ ხანდახან, ეკონომიკის სამინისტრო ტენდერისა და კონკურსის გამოცხადების გარეშე ყიდის ქონებას. იტალიელი, თურქი და ამერიკელი მყიდველები საერთაშორისო სასამართლოში ჩივიან საქართველოს ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩატარებულ გაყიდვებზე, როგორც ეს შევარდნაძის პერიოდში ხდებოდა. საოკეანო სანაოსნო კომპანია, ქვეყნის სავაჭრო ფლოტი, სამჯერ გაიყიდა სხვადასხვა მყიდველზე, ხოლო თბილისის წყალი ისე მიყიდეს კომპანია Multiplex Solutions-ს რომ არც მოსახლეობისთვის უკითხავთ რამე და არც ქართველი წყლის ექსპერტებისთვის, თანაც, მოსალოდნელზე დაბალ ფასად.⁹⁵ თითქმის არაფერი იყო ცნობილი შესყიდვებზე, ამან კი შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს უშიშროებას იმ შემთხვევაში, თუკი ქონება ნაციონალური მნიშვნელო-

ბის მატარებელია. კომპანიები, რომლებიც ტენდერში იმარჯვებენ, ხშირად კონკურსის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე იქმნებიან. ბიუჯეტში შემოსავალი გაიზარდა (2007 წლის ბიუჯეტის 15% საპრივატიზაციო გაყიდვებიდან შემოვიდა), მაგრამ ეს მოკლევადიანი სტრატეგიაა და თანაც, ჯერჯერობით, საავადმყოფოების პრივატიზაციისნაირ სქემებს (რის შედეგადაც საავადმყოფოები მთავრობასთან დაახლოებული სამი დიდი ფარმაცევტული კომპანიის საკუთრებაში აღმოჩნდა) მოსახლეობის უნდობლობის გარდა არაფერი მოუტანია, შიდა ინვესტიციები არ განხორციელებულა და არც სამუშაო ადგილები შექმნილა.



იყიდება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

შრომის ბაზარი

საქართველოს ეკონომიკის ეფექტურად ფუნქციონირების ერთერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი შრომის ბაზარზე არსებული უნესრიგობაა. ქართული ბაზრის გარდაქმნა ხასიათდება უნარ-ჩვევების დაკარგვით,

შრომითი მიგრაციით საზღვარგარეთ და გაჭიანურებული უმუშევრობის ნიშნებით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დაანგარიშებით, უმუშევართა ორი მესამედი იმ (2007 წელს) დროისთვის ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ მუშაობდა.⁹⁶ საქართველოს შრომითი ბაზარი სოფელელ და ქალაქელ მოსახლეობას შორის დიდი უთანასწორობით გამოირჩევა. ასეთივე უთანასწორობაა თბილისსა და დანარჩენ ქალაქებში მაცხოვრებელთა შორისაც. დაპირება, რომელიც პრეზიდენტმა 2006 წლის აგვისტოში გასცა, რომ 2009 წლისთვის გაანახევრებდა უმუშევრობას, ფუჭი სიტყვები აღმოჩნდა. სუსტი კერძო სექტორი ხარვეზს ვერ ავსებს. 2003 წლის შემდეგ რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა შემცირდა, მაგრამ 2006 წელს უმუშევართა რაოდენობა ერთ ვაკანსიაზე გაორმაგდა და 33-დან 66.97-ს მიაღწია.⁹⁷ საჯარო სექტორს უფრო მეტი დასაქმებული ჰყავს ვიდრე კერძოს, მაგრამ მთლიანობაში, 1.965.000 მშრომელთა (შრომითი რესურსები) შორის, 2009 წლისთვის მხოლოდ ერთი მესამედი იღებდა გასამრჯელოს, დანარჩენები კი, „თვითდასაქმებულებს“ წარმოადგენდნენ.⁹⁸ შრომის განაწილებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს სიღარიბე, რაც პენსიონერთა უმრავლესობას აიძულებს რომ იმუშაოს (2004 წელს – 45%). დღევანდელ ტენდეციებზე დაყრდნობით ქართულ ეკონომიკას დასაქმების გენერირების პოტენციალი უმაღლესადამთავრებულთათვის არ გააჩნია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთავრობა უარს ამბობს შრომითი მონაცემების მომსახურების განევაზე. 2007 წელს, უმუშევართა 42.3% უმაღლესადამთავრებულთა კატეგორიას წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობა დასაქმების ორ განმარტებას იყენებს: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ დადგენილ სტანდარტს, რომლის განსაზღვრებით დასაქმებულია ნებისმიერი 15 წლის ასაკს გადაცილებული პირი, რომელიც სულ მცირე ერთ საათს მაინც მუშაობს კვირაში; და დასაქმების შესახებ კანონის ერთერთ ნორმას, რომლის მიხედვით დასაქმებულია ნებისმიერი სოფლად მაცხოვრებელი პირი და მისი ოჯახის წევრი, რომელიც ერთ ჰექტარს მიწას ამუშავებს.⁹⁹ შესაბამისად, სოფლად მაცხოვრებელთა 75% საქართველოს თვითდასაქმებულთა 90% შეადგენს. აი, ეს ოინი რომ არაა, საქართველოს უმუშევართა ნილი 60%-ს გადააჭარბებდა. თბილისში, სადაც გლეხების კლასიფიკაცია „თვითდასაქმებულად“ შეუძლებელია, ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობა 30.1%-ია (2010). საერთაშორისო საქმეთა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2011 წლის სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 67% თავს უმუშევრად მიიჩნევდა.¹⁰⁰

სოფლად მაცხოვრებელთა შორის დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი სტატისტიკური მანიპულაციების შედეგია, მაგრამ იმასაც ასახავს, რომ საბაზისო 100 ლარიან პენსიაზე მაცხოვრებელ პენსიონერთა უმრავლესობას მუშაობა სჭირდება. სინამდვილეში, 65 წლის ასაკს გადაცილებუ-

ლი მოსახლეობის 70%, ვინც სოფლად არის „დასაქმებული“, ძირითადად, საარსებო მინიმუმზე მცხოვრები წვრილი ფერმერები არიან.¹⁰¹ სოფლად მცხოვრებელი მოსახლეობის უმრავლესობა ნაწილობრივ მუშაობს ან ხანგრძლივად არ მუშაობს წლის განმავლობაში. „დასაქმების“ განმარტებას უსამართლო შედეგები მოაქვს: დაუსაქმებელი სოფლად მცხოვრებლები, რომლებიც დასაქმებულად განისაზღვრებიან, სოციალურ გადასახადებს არ იხდიან, მაგრამ არც შეღავათებს იღებენ სახელმწიფოსგან. მათი არარსებობა უმუშევართა სიებში საქართველოს ეკონომიკის იმიჯს აუმჯობესებს და ბიუჯეტსაც შეღავათს აძლევს, მაგრამ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს სოფლად ვერ აგვარებს.

დასაქმების განმარტების შეცვლამ გაზარდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში; 1990 წელს ეს მაჩვენებელი 26% იყო, ხოლო 2005 წელს 54.3-ს მიაღწია.¹⁰² სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა წილის გაორმაგება, ქალაქად მცხოვრებელი და განათლებამიღებული სამუშაო რესურსების დასაქმების მასიურ შემცირებასთან ერთად, მკვეთრად განსხვავდება პოლონეთის მდგომარეობისგან, სადაც ტრადიციულად, მშრომელთა დიდი რაოდენობაა დაკავებული სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მათი რაოდენობა მხოლოდ 19%-ს შეადგენს. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებში. მაგალითად, 20-24 და 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში უმუშევრობა ორჯერ აღემატება ქვეყნის მასშტაბით არსებულ დონეს.¹⁰³ 2005 წლისთვის რეგისტრირებული უმუშევარი ქალების 39.6% და უმუშევარი კაცების 38.4% უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. 2010 წლისთვის უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული.¹⁰⁴ ასეთი მდგომარეობა ნებისმიერ მთავრობას შეუქმნიდა სერიოზულ პრობლემებს. პრინციპში, გასაკვირი არც არის, რომ 2007 წლის ნოემბრის მთავრობის სანინაალმდეგო გამოსვლების მონაწილეთა რიგებს ახალგაზრდები ავსებდნენ.

უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს სამუშაო ადგილების დინამიური შემქმნელი კერძო სექტორი არ ამცირებს. ზრდის სფეროები (2008 წლამდე), მაგალითად, ფინანსური სახის მომსახურება, მშენებლობა და ენერჯოსექტორი, არ წარმოადგენენ დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მქონე სექტორებს. ხელფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო სექტორში 2003-2008 წლებში, მაგრამ მინიმალური ხელფასი ძალზე დაბალია ორივე სექტორში, საჯაროში (115 ლარი/\$70) და კერძოშიც (20 ლარი/\$12). თანამშრომლები, რომლებსაც გარკვეული შეღავათები აქვთ და სახელშეკრულებო დაცვით სარგებლობენ, იშვიათობაა. წარმოების სფეროები, რომელიც ამჟამად უმეტესად, კერძო ხელშია, დაქირავებულ თანამშრომელთა 51%-ს ასაქმებს; შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არ არის ნახევარზე მეტთან. ჩრდილოვანი ეკონომიკა მნიშვნელოვნად მერყეობს დარგების მიხედვით, მაგრამ 2010 წელს ის მშპ-ს 25-35% შეადგენდა. ქართული სამუშაო რესურსების მესა-

მედი ამ ჩრდილოვანი ეკონომიკიდან იღებს ძირითად ან დამატებით შემოსავალს. ეს მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის სისტემაა, მაგრამ საზიანო ინსტიტუციური განვითარებისთვის, უსაფრთხო მუშაობისთვის და სამოქალაქო აქტიურობისთვის. მათი უმრავლესობა, ვინც ძირითად შემოსავალს არაფორმალური სექტორიდან იღებს, სოფლის მეურნეობაში (35.2%), ვაჭრობის ან სარემონტო სფეროშია (38.1%) დაკავებული და უმეტესად სახლში ან ბაზრებში მუშაობს.¹⁰⁵ საქართველოს შრომითი ბაზრის მთავარი მახასიათებლები, დაბალი შემოსავალი, უმუშევრობის მაღალი დონე, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სუსტი მექანიზმები და შრომის უსაფრთხოების არარსებობა, შიდა ეკონომიკური ზრდისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის სერიოზულ დაბრკოლებებს წარმოადგენს. საფრთხე, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას ემუქრება, ნათელია.

მიგრაცია

მეოცე საუკუნის განმავლობაში ქართველებმა დიდი დემოგრაფიული ცვლილებები განიცადეს ომის, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, რეპრესიების, დეპორტაციების და მეზობელი ქვეყნიებიდან იმიგრაციის შედეგად. ემიგრანტთა რაოდენობა რუსეთიდან და უკრაინიდან სამჯერ გაიზარდა 1926-1929 წლებში, მეორე მსოფლიო ომმა კი საქართველოს მოსახლეობის 6% წაართვა (დაახლ. 220,000 ადამიანი).¹⁰⁶ 1930 წლიდან დაწყებულმა შიდა მიგრაციამ სოფლად მაცხოვრებლები ქალაქებამდე აქცია 1989 წლისთვის (55.4% პროცენტის პიკი); ახლა ისინი რაოდენობრივად ჭარბობენ. მთებიდან ხალხის ჩამოსახლებამ, აფხაზეთთან და ოსეთთან ომებმა და ბუნებრივი კატასტროფების სულ უფრო მზარდმა ზემოქმედებამ დიდი შიდა გადაადგილებები გამოიწვია ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მაგრამ იძულებითი გადაადგილებისა თუ უკეთესი გასამრჯელოსა და სამსახურის მოტივით რუსეთში, უკრაინასა და ციმბირში გამგზავრების ნიშნების მიუხედავად, ქართველთა უმრავლესობა მაინც საქართველოში ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. 1950-იან წლებში რესპუბლიკიდან გასვლა დაიწყეს არაქართველებმა და საქართველო სუფთა ემიგრაციის ქვეყნიდან სუფთა მიგრაციის ქვეყანად იქცა. 1940-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობა ყოველ ათწლეულში იზრდებოდა, 1959 წელს ის 64.3% შეადგენდა, 1989 წელს – 70.1% და 2002 წელს – 80.1%.¹⁰⁷

სასონარკეტილ და უიმედო 1990-იან წლებში საქართველოს საექსპორტო პროდუქტს შრომა წარმოადგენდა. 1989 წლიდან 2002 წლის იანვრამდე (ამ წელს ჩატარდა პირველი აღწერა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) საქართველოს მოსახლეობა 5.456.100-დან შემცირდა 4.452.100-მდე. ეს 16%-იანი კლება იყო. გაეროს მოსახლეობის ფონდის მონაცემების მიხედ-

ვით, ამ სისწრაფით საქართველოს მოსახლეობა შეიძლება 2.5 მილიონამდე შემცირდეს 2050 წლისთვის.¹⁰⁸ ეს მოსახლეობის იმ მკვეთრ კლებას გვაგონებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1914-1921 წლების ომისა და რევოლუციის შემდეგ. 1990-იან წლებში, კლების მიზეზი ნაწილობრივ შობადობის შემცირების ბრალი იყო, რომელიც გაორმაგდა 1990-2004 წლების განმავლობაში; შემცირდა რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობაც (40%-ით); გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (2001-2004 წლებში თვითმკვლელობათა რიცხვი მამაკაცებს შორის გაორმაგდა) და აფხაზეთსა და ოსეთშიც ბევრი ადამიანი დაკარგა საქართველომ.¹⁰⁹ თუმცა, კლების უდიდესი წილი ქვეყნიდან მიგრაციაზე მოდიოდა.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში ემიგრანტთა არაპროპორციულ რაოდენობას არაქართველები წარმოადგენდნენ; 1992 წელს ქვეყნიდან გასულთა მთლიანი რაოდენობის 60% სლავური წარმოშობის მოსახლეობა იყო, უმეტესად სამხედრო პირები და მათი ოჯახის წევრები.¹¹⁰ გამოკითხვები, რომლებიც მოსახლეობის ემიგრაციაში წასვლის განზრახვის გაზომვას ისახავდა მიზნად, გვიჩვენებდა, რომ არაქართველებში უფრო მეტს სურდა ქვეყნიდან გასვლა. 1998 წელს არაქართველთა 16.7% განაცხადა, რომ განზრახული აქვს ქვეყნის დატოვება, მაშინ როცა ქართველებს შორის ეს მაჩვენებელი 8.5% არ აღემატებოდა. ჩანს, რომ არაქართველები სამუდამოდ აპირებდნენ ქვეყნიდან წასვლას; მათი ოჯახების 58.3% საქართველო უკვე დაეტოვებინა 1991-2000 წლებში, მაშინ როცა ქართველებში ეს წილი 19% შეადგენდა. საქართველოში მაცხოვრებელი ბერძნული და ოსური თემები საერთოდ გაქრნენ ემიგრაციის გამო, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონებში. „განუსაზღვრელი ვადით“ გამგზავრებამ განსხვავებული მოდელი აჩვენა. ამ შემთხვევაში, უფრო მეტმა ქართველმა (34.9%), ვიდრე არაქართველმა (26.2%) დატოვა ქვეყანა საზღვარგარეთ სამუშაოდ. საქართველოში დარჩენისადმი ყველაზე ამბივალენტური დამოკიდებულება სომხებმა აჩვენეს. ერთერთ გამოკითხვაში, ახალქალაქის რაიონში მაცხოვრებელი სომხების 46%-მა განაცხადა, რომ ნავიდოდა ემიგრაციაში, ხოლო 81%-მა აღნიშნა, რომ მათი ბევრი მეგობარი თუ ნაცნობი ფიქრობდა წასვლაზე.¹¹¹ ქართველებიც არანაკლებ ფრუსტრირებულნი არიან; სამუშაო ძალის ყველაზე დიდ გადინებას საზღვარგარეთ სამუშაოს მოსაძებნად ეთნიკური ქართველების გამგზავრება წარმოადგენს. 2002 წლისთვის ქართველებმა ემიგრანტთა მთლიანი რაოდენობის 60% შეადგინეს.¹¹²

1990-იან წლებში საქართველოდან გასვლის მთავარი მიზეზი ეკონომიკური იყო. 2001 წლის გამოკითხვაში ემიგრაციის 14 მიზეზი იყო ჩამოთვლილი; არაქართველებიც და ქართველებიც პირველ ხუთ მიზეზზე თანხმდებოდნენ, ეს იყო: უმუშევრობა, საცხოვრებელი პირობების გაუარესება, საკუთარი ნიჭის რეალიზაციის შეუძლებლობა, რწმენის დაკარგვა მომავლისადმი და პოლიტიკური კრიზისი. არაქართველების შემთხვევაში, ამ

მიზეზებს რელიგიური დევნა, სახელმწიფო ენის შესწავლის უუნარობა და დაბრკოლებები ემატებოდა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.¹¹³ ემიგრაციაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 60%-ზე მეტი, სამუდამოდ თუ დროებით, რუსეთის ფედერაციაში ხვდებოდა დანარჩენები ამ თანამიმდევრობით შოულობდნენ სამუშაოს: უკრაინაში, საბერძნეთში, სომხეთსა და ისრაელში. არარეგულარული ემიგრანტები, რომლებიც დიდ თანხებს უხდიან არალეგალ ტრაფიკორებს საბერძნეთს, აშშ-ს და თურქეთს ირჩევენ.¹¹⁴ რუსეთში გაემგზავრნენ უფრო მეტი ეროვნული უმცირესობები (50.5%), ხოლო აშშ-ში უფრო მეტი ქართველი (19.5%), ვიდრე ეროვნული უმცირესობები (9%).

საერთაშორისო ემიგრაციის ოფიციალური მონაცემები არ შეიცავს უნესრიგო და არალეგალურ ემიგრაციას. ამ ბოლო წლებში სუფთა ემიგრაცია შემცირდა; ქვეყანა მხოლოდ 20,000 ადამიანმა დატოვა 2006 წელს, რადგან ეკონომიკური ზრდა დაიწყო, შემცირდა კრიმინალი, საზღვარგარეთის ქვეყნებმა შეზღუდვები დაანესეს ემიგრაციაზე, ხალხი უფრო ინფორმირებული გახდა უცხოეთში ცხოვრების სიძნელებზე, და საერთოდ, შემცირდა პოტენციურ ემიგრანტთა რაოდენობა. ვისაც ნასვლა შეეძლო, 2000 წლების დასაწყისში უკვე გასული იყო ქვეყნიდან. თუმცა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2008 წელს 1000 სულ მოსახლეზე 10.8 მიგრანტი მოდიოდა საქართველოში და მათ შორის 37.4%-ს ქალები შეადგენდნენ. ამ მაჩვენებლებით საქართველო ყაზახეთის შემდეგ მეორე სუფთა მიგრაციის ქვეყანაა დსთ-ს სახელმწიფოთა შორის.¹¹⁵

ქვეყნიდან გასვლა ამცირებს დასაქმებაზე მოთხოვნას და ეკონომიკას საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი გზავნილებით ეხმარება. 2006 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველები საზღვარგარეთიდან შინ \$418 მილიონს გზავნიდნენ, ეს 100 პროცენტთან მატებას აღემატებოდა 2003 წლიდან. ამ გზავნილებზე 1 მილიონი ოჯახი ცხოვრობდა. გზავნილთა ერთი მესამედი რუსეთიდან მოდიოდა და 85%-ს ყოველდღიურ საჭიროებებზე ხარჯავდნენ ოჯახები.¹¹⁶ და მიიწ, მიგრაცია სერიოზული დანაკლისია საქართველოს სამუშაო უნარებისთვის და ანადგურებს სოფლის მეურნეობას.¹¹⁷ ოჯახები მარჩენალის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან (საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების დაახლოებით 20-26% ფულს არ გზავნიან შინ), რაც სიღარიბეს ზრდის. ვინც ბრუნდება, იმას უჭირს ადაპტირება და სამუშაოს მოძებნა. არაქართველ ემიგრანტთა დიდი რაოდენობა უსაფრთხოების მნიშვნელოვან სარქველს წარმოადგენს უკმაყოფილო უმცირესობებისთვის, მაგრამ ემიგრანტები უმეტესწილად მწირ გასამრჯელოს იღებენ, მათ არასტაბილური სამუშაო აქვთ და ხშირ შემთხვევაში, არალეგალურად მუშაობენ. მათ გასვლას ქვეყნიდან ზოგჯერ ქართველებისა თუ სხვა ჯგუფების მიერ დაცარიელებული სოფლების დაკავება მოსდევს, როგორც ეს ნალკის რაიონში მოხდა, ეს კი,

კონფლიქტის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს. სამსახურის უმსხვილესი კატეგორია ქალებისთვის საშინაო საქმეებია, ხოლო მამაკაცებისთვის – სამშენებლო. იმ შესაძლო მოგებას, რაც საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა და ახალ პროფესიას დაუფლებულმა მშრომელებმა შეიძლება მოიტანონ (და ეს ახალი პროფესია თუ უნარი ჩვეულებრივ, უცხო ენა) მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და სტუდენტების დაკარგვა სწონის. ახალი უნარების შექნა ალბათ, შეუძლებელია, როცა უამრავი ემიგრანტი არარეგულარულად მიემგზავრება უცხო ქვეყნაში, საქართველოს ბიუჯეტი კი დიდ შემოსავლებს კარგავს. საქართველოს ხელისუფლებას მიგრაციასთან დაკავშირებული ორმხრივი ხელშეკრულებები გაფორმებული არ აქვს უცხოეთის ქვეყნებთან. ემიგრაციის ქართული კანონი (1993) კი ცვლილებებს ითხოვს იმისთვის, რომ საკუთარი მოქალაქეების, შრომითი მიგრანტების უფლებები დაიცვას საზღვარგარეთ.¹¹⁸

ეკონომიკაზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ: 2002 წლის აღწერამ აჩვენა ქალაქად მაცხოვრებელთა რაოდენობის კლება (55.4%-დან 52.3%-მდე); რუსთავეა მოსახლეობის 26.8% დაკარგა 1989 წლის შემდეგ. საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 33.6%-დან 36.1%-მდე გაიზარდა, 1995-2002 წლებში 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანთა წილმაც იმატა 11.5%-დან 14.1%-მდე.¹¹⁹ მართალია, ეს ყველაფერი ემიგრაციას არ მიეწერება, მაგრამ დემოგრაფიას კი ცვლის, რაც ეკონომიკის გაჯანსაღებას ართულებს. ახალგაზრდა, კვალიფიციური და განათლებული ემიგრანტები, სავარაუდოდ, საქართველოში არ დაბრუნდებიან.

ქალაქი ეკონომიკაში

1994 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. 1995 წელს კი პეკინის სამოქმედო გეგმას შეუერთდა. ეს ხუთწლიანი გეგმა მიზნად ისახავს ქალთა განვითარებას და წინ წამოწევას. მიუხედავად ამ ვალდებულებებისა, – რომლებიც ასახულია საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში, და დასავლეთში განათლება მიღებული ახალგაზრდა ლიდერების სცენაზე გამოჩენისა, პატრიარქალური ტრადიციები და ქალების დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონების შეუსრულებლობა ბოლოს უღებს ქალთა თანასწორობას თითქმის ყველა დონეზე. გენდერული უთანასწორობა ის სოციალური და ეკონომიკური პრობლემაა, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, დემოკრატიის მშენებლობას და ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციას. ქალების ინსტიტუციური დისკრიმინაცია კვალიფიკაციის დაკარგვას და სოციალური კაპიტალის რღვევას ნიშნავს. 2006 წლის შრომის კოდექსი, რომელიც მომუშავე დედისა და ფეხმძიმე ქალისთვის ართულებს

სამუშაო ადგილის შენარჩუნებას, კარგი მაგალითია ხელისუფლების ცუდი პოლიტიკისა და ადამიანური კაპიტალის არაეფექტურად გამოყენებისა. სამართლებრივად, ქალთა დაცვის მექანიზმების სია შთამბეჭდავია: სახალხო დამცველის სამსახურის დადგენილება ქალთა უფლებების დაცვის შესახებ (არსებობს სპეციალური კომისარია), პრეზიდენტის ბრძანებულებით მიღებული ქალთა განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმები (პირველი 1995 წელს იქნა დამტკიცებული, ხოლო უკანასკნელი, საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, პარლამენტმა 2006 წელს მიიღო), ქალებისთვის განკუთვნილი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები, ქალთა ორგანიზაციების დაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და 2004 წელს შექმნილი გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო. და მინც, გრძელდება დაბალანაზღაურებადი შრომის ფემინიზაცია, ოჯახში უთანასწოროდ განაწილებული ფუნქციების ნიშნები და დაუბალანსებელი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებთა თანამდებობებზე კვლავ არსებობს. ამ მდგომარეობის შეცვლის ნებისმიერი მცდელობა სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კანონის შექმნას და ქალი ბიზნეს-ლიდერების მხარდაჭერას ითხოვს, რასაც დღევანდელი ხელისუფლება უყურადღებოდ ტოვებს. მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი კომპლექსურია, რადგან ხშირ შემთხვევაში, განწყობები განპირობებულია ურბანული, ეთნიკური თუ განათლების ფაქტორებით. 2008 წლის გამოკითხვაში, ქალები ტრადიციულ აზრს გამოხატავენ თავისი როლის შესახებ (გამოკითხულთა 64.7% თანხმდებოდა იმაზე, რომ თეორიულად კაცს უნდა ემუშავა, ხოლო ქალს სახლისთვის მიეხედა), თუმცა პროგრესულადც უყურებდნენ ამ საკითხებს და თავდაჯერებულებიც იყვნენ (ქალთა მხოლოდ 37.2% დაეთანხმა იმ აზრს, რომ კაცებს უპირატესობა უნდა მიეცეთ სამსახურში, მაშინ როცა ამ აზრს მამაკაცების 55.1% იზიარებს). ბევრი ქართველი ქალი აღიქვამს უთანასწორობას ჩვეულებრივ მოვლენად, მაგრამ სხვა შემთხვევებში, უსამართლოდაც აფასებენ, რაც იმ დამბნეველ გარდაქმნაზე მიანიშნებს, რასაც საქართველო განიცდის ამჟამად.¹²⁰

2004 წლის შემდგომ ქალების წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილი პირების თანამდებობებზე გაუმჯობესდა. შევარდნაძის მთავრობაში სულ ორი ქალი მინისტრი იყო (გარემოს დაცვის და კულტურის); სააკაშვილის დროს 2004-2005 წლებში ხუთ ქალი მინისტრს ვხედავთ, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრს (მაგრამ 2011 წლის მინისტრთა კაბინეტში მათი რაოდენობა 3-მდე შემცირდა. ესენი იყვნენ: სასჯელალსრულების და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების ხელმძღვანელები და სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში). პარლამენტში ქალების წარმომადგენლობა სუსტია, მაგალითად, 1990-იანებში მათი წილი 6-8 პროცენტს შორის მერყეობდა, 2004 წელს 10.4%-ს მიაღწია, მაგრამ 2008 წლისთვის ისევ შემცირდა 6%-მდე.

მართალია, ქალები პარტიების წევრების მესამედს შეადგენენ, მაგრამ 9%-ზე მეტი მაინც ვერ ჩაითვლება გადამწყვეტილების მიმღებად.¹²¹ ქალები ლიდერობენ 15 საპარლამენტო კომიტეტში, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მხოლოდ ერთხელ იყო ქალი 2011 წელს, ხოლო გენდერულ საკითხთა კომიტეტი ისევ არ არსებობს. 2005 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 62 ქალი იყო მაღალ თანამდებობაზე, როდესაც მამაკაცების რაოდენობა 75-ს შეადგენდა.¹²² ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ქალების წილი არასდროს ყოფილა 15%-ზე მეტი 1990-იანებში, თუმცა 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მათ საკრებულოების ერთი მეოთხედი დაიკავეს რამდენიმე მუნიციპალიტეტში. თუმცა არცერთი ქალი არჩეულა მერად ან გამგებლად.¹²³ ქალები უფრო აქტიურები მესამე სექტორში არიან, სადაც რაოდენობით აჭარბებენ კიდევ მამაკაცებს. არასამთავრობო ორგანიზაციათა თითქმის ორ მესამედს ქალები ხელმძღვანელობენ და ამასთან, დაახლოებით 70 არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა პრობლემებზე მუშაობს (თუმცა ფემინისტურს ცოტას თუ ვუნოდებთ). და მაინც, ვერტიკალური სეგრეგაციის ნიშნები თითქმის ყველა პროფესიაში შეინიშნება; რაც უფრო მაღლა მიიწევთ, სულ უფრო ნაკლებ ქალს ხვდებით.¹²⁴ 2009 წელს ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე მაღალ შემოსავლიანთა შორის 72% მამაკაცი იყო.¹²⁵

მთა რუსთაველის აფორიზმი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, რომელსაც ხშირად ციტირებენ ქართველები, ასახავს გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქალებიც, მამაკაცების მსგავსად, ღირსნი არიან განათლებული იყვნენ. თანასწორობა სწავლა-განათლების მიღებაში ფორმალურად დაცული იყო საბჭოთა კავშირში და ამან კვალ-იფიცური ქალების რაოდენობა მასიურად გაზარდა სამუშაო ძალებში. თუმცა, როგორც კვლევები გვიჩვენებს, მშობლები ისევ ბიჭის განათლებას ანიჭებენ პრიორიტეტულ მნიშვნელობას. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ახალგაზრდა ქალებისთვის, რომ მამაკაცები დაეჯაბნათ განათლების ყველა დონეზე დამოუკიდებლობის პერიოდში. 2007-2008 წლებში ბაკალავრიატის აბიტურიენტთა 56.5%-ს და დოქტორანტურის აბიტურიენტთა 67.5%-ს ქალები წარმოადგენდნენ.¹²⁶ ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ემიგრაციაში უფრო მეტი მამაკაცი მიდის და მოსახლეობის ახალგაზრდა კონტიგენტში ქალები ჭარბობენ. მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორთა შორისაც ქალები უფრო მეტნი არიან (54.9%), თუმცა მეცნიერებათა აკადემიის 135 წევრიდან მხოლოდ 9 წევრია ქალი.¹²⁷ საბჭოთა მემკვიდრეობამ, რომელმაც ქალთა მაღალი წარმომადგენლობა დატოვა პროფესიულ სფეროებში, დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებიც (პედაგოგი, ექთანი, სოციალური მუშაკი და მდივანი) მათ შეავსებინა. ეს მდგომარეობა დღესაც არ შეცვლილა. ქალები ისევ ჭარბობენ დაბალანაზღაურებად მომსახურების, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში.¹²⁸

სტრუქტურული რეფორმები, პრივატიზაცია და დერეგულაცია „გენდერული ნეიტრალიტეტით“ არ გამოირჩევიან. ქალებზე, რომლებიც არაკვალიფიციური მუშა-ხელის უმრავლესობას წარმოადგენენ კვების პროდუქტებისა თუ საფეიქრო წარმოებაში და საჯარო სექტორშიც, არაპროპორციულ ზეგავლენას აქვს ადგილი. 1998 წლისთვის, პროფესიონალ-სპეციალისტთა შორის ქალთა 63% იყო უმუშევარი, ხოლო მამაკაცები 37%-ს შეადგენდნენ; რაც შეეხება საკანცელარიო/ოფისში მუშაობას, აქ განაწილება ასეთია: დაუსაქმებელი იყო მამაკაცთა 82% მაშინ, როდესაც ქალებში ეს მაჩვენებელი 18%-ს შეადგენდა. დასაქმებულ ქალთა ერთ მეოთხედს არასრული სამუშაო დღე ჰქონდა, ხოლო სრულ შტატზე დასაქმებულ ქალთა 81.3% სოფლის მეურნეობაში იყო დაკავებული, სადაც შრომის რეგულირება საერთოდ არ ხდება.¹²⁹ 2007 წელს ქალების ხელფასის საშუალო რაოდენობა 211.2 ლარი იყო (\$127.85), ხოლო მამაკაცების — 320.9 ლარი (\$194.25); ასეთი მდგომარეობა ეკონომიკის ყველა სექტორში, კერძოსა თუ საჯაროში და თვითდასაქმებულთა შორისაც.¹³⁰ სახელმწიფოს მიერ საბავშვო ბალების დაფინანსების შეწყვეტა ხელს უშლის ქალებს, რომ სამსახურში დაბრუნდნენ. 2004 წლისთვის, ქალთა 44% და მამაკაცთა 26% საერთოდ არ იყო სამუშაო ძალებში, ან დაკავებული იყო არაფორმალურ სექტორში, სადაც დაუცველი იყო უსამართლო შრომითი ურთიერთობებისგან.¹³¹ განათლების დონე უფრო მჭიდრო კორელაციაშია სიღარიბესთან, ვიდრე სქესთან, მაგრამ ქალთა ისეთი კატეგორიები, როგორცაა, მარტოხელა დედები, განქორწინებული და ქვრივი ქალები, ყველაზე ლარიბ და მოწყვლად ჯგუფებში ექცევიან და სავარაუდოდ, სახელმწიფოს მიმართავენ დახმარების მისაღებად.

ქალებმა მათთვის არატრადიციული საქმიანობის ნიშა მოძებნეს: თურქეთში დადიან საქონლის ჩამოსატანად, ქუჩაში ვაჭრობენ და შინამოსამსახურებად უდგანან სხვებს. ქალ მენარმეთა რაოდენობა, მიუხედავად კულტურული სახის სირთულეებისა, რომელიც ოჯახშივე იწყება, იზრდება და ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში არსებული სამეურნეო ობიექტების ერთი მეოთხედი მათ საუთრებაშია. არსებობს ქალ-მენარმეთა ასოციაცია. ამ საქმიანობამ ბევრი ქალი ოჯახის მთავარ მარჩენალად აქცია და ტრადიციული სოციალური როლის შესრულებაზე უარი ათქმევინა. ამან კი სიღარიბის უბედურებასთან ერთად მნიშვნელოვან დაძაბულობა შექმნა ოჯახებში და ძალადობის შემთხვევებიც გააძვირა. საბედნიეროდ, 2006 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, რომელმაც ოჯახში ძალადობა პირველმა შემოიტანა სამართლებრივ ტერმინად. დღეს-დღეობით, თბილისში ორი თავშესაფარი ფუნქციონირებს ოჯახის წევრებისგან ტრავმირებული ქალებისთვის.

სახლვერების გახსნამ და საქართველოს ევროპა-აზიის სავაჭრო ტრანზი-

ტულ ქვეყნად ქცევამ ორი ახალი პრობლემა შექმნა ქალებისთვის, ტრეფიკინგი და პროსტიტუცია. ადამიანით ვაჭრობაში კრიმინალური დაჯგუფებები და ტურისტული ფირმები არიან ჩართულნი. ტრეფიკინგისგან დაუცველები ძირითადად, იძულებით გადაადგილებული პირები, სტუდენტები და დაუსაქმებელი ქალები არიან: იძულებითი შრომისთვის საქართველოდან მოტყუებით გაყვანილ ადამიანებს შორის 87% ქალია, აქედან 60% 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ქალი.¹³² მას შემდეგ, რაც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა დაგმო საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობა ტრეფიკინგის საქმეში, საქართველო „მესამე საფეხურის“ დაუმორჩილებელ სახელმწიფოთა რიგს შეუერთა, - შევარდნაძემ 2003 წლის იანვარში გამოსცა ბრძანებულება ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, რომელიც სპეციალურად ამ პრობლემაზე სამუშაო უწყების შექმნას ითვალისწინებდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. 2006 წელს კი პარლამენტმა მიიღო კანონი ადამიანობით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც ზრდიდა ტრეფიკიორის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ჯანდაცვა და განათლება

ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს ადამიანური კაპიტალის გაუარესება წარმოადგენს, ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობის, არასათანადო განათლებისა და დაბალი ხარისხის სოციალური მომსახურების გამო. საბჭოთა კავშირის მიერ გაცემული სოციალური დახმარებები არაეფექტური, არაადეკვატური და გადაჭარბებულად შეფასებული იყო. ჯანდაცვისა და განათლების სისტემები კორუფციითა და უთანასწორობით იყო გაჯერებული, ხოლო სანოლებისა და კადრების უზვი რესურსების მქონე საბჭოთა ჯანდაცვას 1980-იანების ბოლოს ხარჯები მოაკლდა. და მაინც, 1985 წლისთვის სახელმწიფო ერთ სულზე \$95.5-ს ხარჯავდა.¹³³ რიგითი ქართველებისთვის 1991 წლიდან დაწყებული გაუარესება კატასტროფული აღმოჩნდა. შევარდნაძემ ნაწილობრივ ამიტომაც დაკარგა ამომრჩეველთა მხარდაჭერა, მან ვერ შეძლო მოსახლეობის ელემენტარული სამედიცინო დახმარებით, ადეკვატური პენსიებითა და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა. სააკაშვილის რეფორმების საშუალებით მოხერხდა სახელმწიფო მოხელეებისთვის მაღალი ხელფასების გაცემა და პენსიების მომატება, მაგრამ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის თვალსაზრისით, ბევრი არაფერი შეცვლილა სასიკეთოდ. სიღარიბის დაძლევის სამთავრობო პროგრამის ფოკუსში ეკონომიკური ზრდა და მიზნობრივი სოციალური პროგრამები მოექცა, მაგრამ საკმაოდ რთული საქმეა გასაკეთებელი შემოსავლების კლების და სოციალური დაცვის საჭიროებების

ზრდის ფონზე. სააკაშვილისთვის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პრობლემა ქვეყნის მოქალაქების სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოებით უზრუნველყოფის შეუძლებლობაა.

უმუშევრობა მიბმულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში შექმნილ კრიზისთან; მას დამატებითი ხარჯებიც მოაქვს, მაგალითად ფსიქიკური აშლილობის, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებისა თუ ალკოჰოლიზმის მკურნალობა (რაზეც ხელისუფლება პრაქტიკულად არაფერს ხარჯავს). 1990-იან წლებში, გამოცარიელებული ხაზინის, არაკვალიფიციურად შემუშავებული რეფორმების და სამოქალაქო კონფლიქტის გამო ჯანმრთელობის დაცვის სისტემა განადგურდა. 1990-იანების სამოქალაქო ომის პიკში, საავადმყოფოების 80-90% იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰქონდათ დაკავებული. საერთაშორისო ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს საბაზისო მომსახურების შესაძლებლობების შენარჩუნებისთვის. 1995 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს ხელისუფლებამ პრივატიზაციისა და სოციალური დაზღვევის ხელშეწყობა დაიწყო, როგორც დანგრეული სახელმწიფო სისტემის ალტერნატივებისა. მან სამი ახალი ინსტიტუტი შექმნა: სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო ფონდი (გაჭირვებულთა სამკურნალო ხარჯებისთვის), სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (პენსიებისთვის) და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი (უმუშევართა შეღავათებისა და დახმარებისთვის). საშემოსავლო და დასაქმებულთა ახალი საგადასახადო სისტემით დაფინანსებული სქემა ოფიციალური დასაქმების დონის შესახებ არარეალისტურ ვარაუდებს ეყრდნობოდა და მაშინვე დადგა ფინანსური პრობლემების წინაშე. ეს საბიუჯეტო ილუზიას უფრო ჰგავდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა გათავისუფლებული იყო სოციალური გადასახადებისგან.¹³⁴

შევარდნაძის სხვა დანარჩენი რეფორმებიც ასევე არაეფექტური და კონტრპროდუქტიული იყო: ჯანდაცვის სამინისტროს ფუნქციები რეგულირებითა და პოლიტიკის ფორმულირებით შემოიფარგლა. რაც აბსურდული იყო საქართველოს პირობებში, მისი უფლებამოსილებები რეგიონული ჯანდაცვის უწყებებზე გადაინაწილდა, რომლებსაც არც შემოსავლები გააჩნდათ და არც გამოცდილება სამკურნალო დაწესებულებები სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ კვალი-პრივატიზებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებად გადაკეთდა, სადაც გადახდის ახალი სისტემა ამუშავდა, რომელიც მუშაობდა ნაყოფიერების ამსახველი უნდა ყოფილიყო (შემოსულ პაციენტთა რაოდენობა). ყურადღება ექცეოდა პრევენციულ და პირველად სამედიცინო დახმარებას, ხოლო 1999 წელს ახალი სამინისტრო შეიქმნა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოციალური და სამკურნალო მომსახურების გაერთიანებისა

და გაბერილი შტატების შემცირების მიზნით. ამ რეფორმებმა ვერ გადანყვიტეს ხელმისაწვდომობის პრობლემა. ქართველებს უსახსრობის გამო არ შეეძლოთ კერძო დანესებულებებში მკურნალობა და წამლების შეძენა. 1990-იან წლებში ჩატარებული გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ ავადმყოფთა 96% თავს არიდებდა ექიმთან ვიზიტს და თავად მკურნალობდა, ხოლო 87.7%-ს არასდროს ჩაუტარებია სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევა.¹³⁵ სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე, რომელიც მშპ-ის 1%-ს არ აღემატებოდა 1990-იანების დასაწყისში, 1996-2003 წლებში განახევრდა და 0.4-მდე ჩამოვიდა. ეს ცენტრალური და ჩრდილოეთ აფრიკის უღარიბეს სახელმწიფოებში არსებულ მაჩვენებელზე დაბალი იყო.¹³⁶

სააკაპეილის დროს, 2004-2005 წლებში, ჯანდაცვის დაფინანსება გასამმაგდა და ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 6%-ს მიაღწია 2006 წლისთვის, მაგრამ სახელმწიფოს დანახარჯები ამ სფეროში მაინც ყველაზე დაბალია მთელ მსოფლიოში.¹³⁷

ცხრილი 5. 1995-2009 წწ. ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ძირითადი მაჩვენებლები

| ეკონომიკური ინდექსი | 1995 | 2000 | 2005 | 2009 |
|---|------|-------|-------|-------|
| მთლიანი ხარჯები განათლებაზე (მშპ-ს პროცენტი) | | 2.18 | 2.48 | 3.23 |
| მთლიანი ხარჯები განათლებაზე (მთლიანი ხარჯების პროცენტი) | | 11.70 | 8.80 | 7.73 |
| სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე (მშპ-ს პროცენტი) | 0.27 | 1.23 | 1.92 | 2.91 |
| მთლიანი ხარჯები ჯანდაცვაზე (მშპ-ს პროცენტი) | 5.12 | 6.99 | 8.59 | 10.14 |
| სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე (მთლიანი ხარჯების პროცენტი) | 2.32 | 6.46 | 6.78 | 7.55 |
| სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე (ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების პროცენტი) | 5.22 | 17.56 | 22.30 | 28.68 |

(წყარო: მსოფლიო განვითარების მაჩვენებლები; მსოფლიო ბანკი: <http://databank.worldbank.org/ddp/home.do>; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge/index.php?action=page&p-id=194&lang=eng.)

2005 წელს, სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე ერთ სულ მოსახლეზე საშუალო გაცვლითი კურსით ძალზე დაბალი იყო, კერძოდ \$24 (დომინიკის რესპუბლიკაში ეს რიცხვი \$61 შეადგენდა) და მშპ-ის მხოლოდ 1.5% იყო 2007 წელს. 2005 წელს, ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 80.5%, საკმარისი არ იყო წამლების საყიდლად, ექიმისთვის არაოფიციალურად გადასახდელი თანხისა და კერძო მომსახურებისთვის. მოსახლეობის ნახევარს მკურნალო-

ბის ხარჯების მხოლოდ 8%-ს დაფარვა შეუძლია. შედარებისთვის, მთლიანი ხარჯების 40% მოსახლეობის 2.5%-ზე მოდის.¹³⁸

ჯანდაცვის სისტემის კრიზისი შემაშფოთებელია თუკი საქართველოში დემოგრაფიული მაჩვენებლების შემცირებას გაეითვალისწინებთ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სწავლის შესაძლებლობები, დედისა და ბავშვის კეთილდღეობა და შემოქმედითობა პროდუქტიულობასთან არის დაკავშირებული. იუნისეფის 2005 წლის მონაცემებით, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ბავშვზე 45 იყო. ამ რიცხვით საქართველომ ყაზახეთსა (სიკვდილიანობა-31) და ყირგიზეთს (სიკვდილიანობა-67) შორის დაიკავა ადგილი.¹³⁹ 2000-დან 2005-მდე ბავშვთა შორის ინფექციურ დაავადებათა რაოდენობა გაორმაგდა. ტრადიციულ გამოწვევებს, მაგალითად ალკოჰოლიზმსა (უზომო სმა ქართული კულტურის ტრადიციას) და ტუბერკულოზს დაემატა ახალი პრობლემებიც, მაგალითად შიდსის ვირუსი და ნარკოტიკების მოხმარება.¹⁴⁰

საქართველოში მამაკაცების დაახლოებით ორი მესამედი და ქალთა ერთი მეხუთედი თამბაქოს მოიხმარს. მიუხედავად 30%-იანი კლებისა ექიმების რაოდენობაში 1989-2008 წლებს შორის, 2008 წლისთვის მაინც 4.6 ექიმი მოდიოდა 1000 მოსახლეზე (თუმცა სინამდვილეში, მაინც ძალზე არათანაბარია) ევროკავშირის საშუალო 3.2-თან შედარებით. ექთნები კი ცოტანი არიან, მათ საშინლად დაბალი ხელფასები და კვალიფიკაცია აქვთ. ფაქტობრივად, ასეთი პროფესია არც არსებობს საქართველოში. გაეროს განვითარების ანგარიშის მიხედვით, 2000 წელს, ბავშვის გაჩენამ სახელმწიფო საავადმყოფოში მკვეთრად გაზარდა სიკვდილის ალბათობა; იმავე წელს, მელოგინე ქალთა სიკვდილიანობის დონე 49-მდე გაიზარდა 100,000-სულზე, შვიდი წლის წინანდელ მონაცემთან შედარებით, რომელიც 32 იყო. მას შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა და სიკვდილიანობა შესამჩნევად შემცირდა 2007 წლისთვის (14.4).¹⁴¹ და მაინც, ქალი წელიწადში საშუალოდ 3.1. აბორტს იკეთებს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორსულობის ორი მესამედი აბორტით მთავრდება საქართველოში. ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა – მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის საზომი, რომელიც აზუსტებს/ადგენს ავადმყოფობაში გატარებულ წლებს, – კაცებისთვის 62, ხოლო ქალებისთვის 67-ია, რაც რუმინეთსა და მაკედონიაზე უკეთესი მაჩვენებელია (თუმცა, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემების მიხედვით, სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა 2000 წლის 71-დან 2007 წლის 75-მდე).¹⁴²

ქართველებს არასახარბიელო მომავალი აქვთ ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. იაფი სახელმწიფო დაზღვევა გონივრული გადანყვებილებაა, მაგრამ ბევრს ვერაფერს სთავაზობს მოსახლეობას პირველადი დახმარებისა და შეზღუდული რაოდენობის წამლების საფასურის ანაზღაურების გარდა. 2008 წლისთვის, მხოლოდ 150,000 მოქალაქეს ჰქონდა

სადაზღვევო პაკეტი, ხოლო 5 ლარიანი სახელმწიფო დაზღვევა სულ რაღაც 12,000 ადამიანმა შეიძინა. მოსახლეობის 76% უდაზღვევოდ ცხოვრობდა საერთოდ, თუმცა ახლახანს მიღებული ეროვნული ჯანდაცვის სტრატეგიის მიხედვით, რომელიც 2011-2015 წლისთვის არის შემუშავებული, 900,000 მოქალაქე იქნება დაზღვეული სახელმწიფოს მიერ. ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, შთაბეჭდავად მოჩანს, მაგრამ რეალობა ნაკლებად სასიკეთოა ავადმყოფებისთვის.¹⁴³ თითქმის ყველა ოჯახს სილატაკეში ცხოვრება ემუქრება, თუ ერთი წევრი მაინც სერიოზულად გახდა ავად. სამკურნალო საშუალებების სიძვირე განსაკუთრებულ ტვირთს წარმოადგენს. გაუგებარია, საავადმყოფოთა გაყიდვის სამთავრობო სტრატეგია (2007-2008 წლებში საავადმყოფოთა 80% გაიყიდა) და მართვის რეგულირების შემცირება როგორ შეუწყობს ხელს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდას მოსახლეობის უმრავლესობისთვის, თუკი გავითვალისწინებთ კონტროლის არარსებობას ხარისხსა და ფასებზე (როგორც ამტიციტებენ, ლიცენზირება უზრუნველყოფს ხარისხს). სინამდვილეში, სადაზღვევო კომპანიებმა ძველი საავადმყოფოები უძრავი ქონების ღირებულების გამო შეიძინეს, რადგან „ზედმეტი“ ქონება კომერციული მიზნებისთვის შეიძლება ინვესტირებმა გამოიყენონ, შვიდი წლის შემდეგ კი საერთოდ აღარ ექნებათ ახალი საავადმყოფოების შენახვის ვალდებულება. ახალი, მოწესრიგებული და ლაბაში კლინიკები, რასაც დიდ მიღწევად მიიჩნევენ, უმეტესად შეძლებულთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. მათ თანამშრომლებს, მათ შორის ექიმებსაც, მცირე ხელფასს უხდიან, ხშირ შემთხვევაში კი სათანადო ხელშეკრულებების გარეშე. დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა მომხმარებელზე ორიენტირებული არ არის; ის არ სთავაზობს მას შესაფერის მკურნალობას, დაავადების მართვის მექანიზმებს, უსაფრთხო წამლებსა თუ ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას.

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მეორე მთავარი საყრდენი განათლებაა. განათლება ერისა და სახელმწიფოს შემქმნელია. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა დსთ-ის ქვეყნების მოსახლეობას შორის ყველაზე განათლებულია: შრომის ასაკის (25-64 წელი) მოსახლეობის 28.3% უმაღლესდამთავრებულია, ხოლო 61.2%-ს სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული.¹⁴⁴ თუმცა, ზრდას ხარისხი განაპირობებს და არა საკლასო ოთახში გატარებული წლების რაოდენობა. განათლების საბჭოთა სისტემამ თავისი უამრავი ნაკლი დაუტოვა საქართველოს, მათ შორის ხისტი პედაგოგიური მეთოდები, მასწავლებელთა მწირი ხელფასები, უყურადღებობა განსაკუთრებული საჭიროებებისადმი და გაბერილი შტატები. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, 1990-იან წლებში განათლების დონე საშინლად დაეცა, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო თანამედროვე ევროპაში. 1989-1996 წელს განათლების სახელმწიფო დაფინანსება შეიკვეცა 95%-ით რეალურ ფასებში. 2003 წლისთვის დაფინანსების დონე ერთ

სულ მოსახლეზე ყველაზე დაბალი იყო დსთ-ის ქვეყნებს შორის; 2002 წლისთვის საშუალო დაუბეგრავი ხელფასი ამ სისტემაში საშუალო ყოველთვიური საარსებო მინიმუმის 44.4%-ს შეადგენდა¹⁴⁵

სახელმწიფო დაფინანსების არარსებობა კერძო შენატანებმა ჩანაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უფასო სწავლას ითვალისწინებს პირველი ცხრა წლის განმავლობაში, შევარდნაძის პერიოდში მოსახლეობა 16-ჯერ მეტს ხარჯავდა სწავლა-განათლებაზე, ვიდრე სახელმწიფო; ამაში შედიოდა კერძო მასწავლებლების ჰონორარი, ქრთამი და სასწავლო მასალებიც. მოსწავლეები, რომლებიც სწავლას აგრძელებდნენ მე-9 კლასის შემდეგ გიმნაზიაში (ჰუმანიტარული საგნები) ან ლიცეუმში (საბუნებისმეტყველო საგნები) სწავლის საფასურს იხდიდნენ და თავად შოულობდნენ საჭირო ნივნებს და სახელმძღვანელოებს. ამით აიხსნება იმ მოსწავლეთა დიდი წილი (58.4), რომლებმაც სწავლა ვეღარ გააგრძელეს მე-9 კლასის შემდეგ 1998-1999 წლებში.¹⁴⁶ 1997 წლისთვის, სკოლის შენობათა 18% საშიშ ან უსარგებლო მდგომარეობაში იყო, ხოლო სოფლის სკოლების სამ მეოთხედზე მეტი სერიოზულ შეკეთებას საჭიროებდა.¹⁴⁷ 1989 წელს სახელმწიფოს მასწავლებელთა 70%-ის სახელფასო ვალი ჰქონდა. საჯარო სკოლამდელი განათლება პრაქტიკულად აღარ არსებობდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ორი მესამედის დაკარგვის გამო, მაგრამ კერძო უმაღლესი სასწავლებლების სექტორი სწრაფად ვითარებოდა.

რეფორმები, რომლებიც განათლების შესახებ ახალი კანონით (2002 წელს) დაიწყო, გამიზნული იყო თვითმმართველობის გასაძლიერებლად (სკოლებში შეიქმნა მასწავლებელთა საბჭოები) და განათლების ბიუჯეტის დეცენტრალიზაციისთვის, რაიონულ დონეებზე გადასანაწილებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს „ავტონომია“ მიენიჭა; გამკაცრდა ლიცენზირების, მასწავლებელთა ხელახალი სერტიფიცირებისა და სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციის წესები. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიმუშავეს სასწავლო კურიკულუმისა და სახელმძღვანელოების განვითარების პროგრამები. მაგრამ ეს ყველაფერი ქალაქებზე დარჩა. პრეზიდენტს უმაღლესი განათლების დაწესებულებების კონტროლის უფლება მიენიჭა რექტორების დანიშვნისა და გათავისუფლების გზით, რექტორები კი თავის მხრივ, უნივერსიტეტების მმართველ საბჭოებს აკონტროლებდნენ, ანაწილებდნენ რა ხელფასებსა და სასწავლო საათებს ძველი, ნაცნობ-მეგობრობის სისტემით.¹⁴⁸ საბიუჯეტო ვალდებულებების გადაცემა ადილობრივი მმართველობისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა. მას არ გააჩნდა საგადასახადო შემოსავლების ამოღების უნარი. პედაგოგობა, როგორც პროფესია პრესტიჟული აღარ იყო (თუმცა, დიდად პრესტიჟული არც არასდროს ყოფილა) და არც ნიჭიერი მოსწავლე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავს ოჯახის მარჩენალად აღიქვამს, არ ისწავლის იმისთვის, რომ მასწავლებელი გახდეს, რადგან ეს საქმიანობა მეტწილად, ქალების

საქმედ მიიჩნევა და არც სოლიდური შემოსავალი მოაქვს. საგანმანათლებლო სფეროში კერძო სექტორის გაფართოებას გარკვეული წარმატება მოჰყვა, მაგრამ ხშირ შემთხვევებში კერძო დაწესებულება სუსტ სტუდენტებს დიდ გადასახადს აკისრებდა.

კონტროლის პალატის მიერ 2001-2002 წლებში განხორციელებული ორი აუდიტის შემდეგ, რომელიც განათლების სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა, განათლების ახალ მინისტრსა და ვარდების რევოლუციის ერთერთ შემოქმედს, ალექსანდრე ლომაიას ყველა მიზეზი ჰქონდა იმისთვის, რომ ამოეძიკვა განათლების ძველი სისტემა. 2004 წელს მიღებულ უმაღლესი განათლების შესახებ კანონს რადიკალურად განსხვავებული კანონი მოჰყვა ზოგადი განათლების შესახებ 2005 წელს. ამ ორმა კანონმა საკანონმდებლო ჩარჩო შექმნა საგანმანათლებლო მოდერნიზაციისთვის. ეროვნულმა სტანდარტიზებულმა გამოცდამ უნივერსიტეტებში მისაღები კორუმპირებული გამოცდები შეცვალა; უმაღლესი განათლების დაწესებულებების აკრედიტაციისთვის უფრო მკაცრი მოთხოვნები დაწესდა. უფასო უმაღლესი განათლების მიღება ოფიციალურად დასრულდა, დაფინანსება ვაუჩერების, გრანტებისა და სტიპენდიების სისტემაზე გადავიდა. ეს იყო რევოლუციური მოწყვეტა საბჭოთა წარსულისგან, სკოლის დირექტორებსაც, პირველად ირჩევდნენ მეურვეთა საბჭოები, რომელსაც მშობლები და მასწავლებლები აკონტროლებდნენ; მეურვეთა საბჭო განკარგავდა ბიუჯეტს და ადგენდა სასწავლო პროგრამებსაც. პედაგოგთა საკვალიფიკაციო კურსებზე ახალ სასწავლო მეთოდებს იყენებდნენ, შეიცვალა აგრეთვე სასწავლო პროგრამები, რომელიც კრიტიკული აზროვნების განვითარებას ისახავდა მიზნად. სკოლებს აფინანსებდნენ უფრო დახვეწილი, სულადობის სისტემით და ხელსუფლების ლიბერტარიანული იდეოლოგიის ჩარჩოებში სასკოლო ვაუჩერების სისტემა დაინერგა.¹⁴⁹

რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვები რეფორმების ხარისხსა და განხორციელებასთან დაკავშირებით. ცვლილებებს მედგარი წინააღმდეგობა შეხვდათ მშობლებისგან, რომლებსაც საუკეთესო უნივერსიტეტებში მოსაწყობად შეილებისთვის საქმის „ჩანაწობის“ შესაძლებლობა გაუქრათ; ეკლესიისგან, რომელიც აღშფოთებით შეხვდა სექულარულ სასკოლო პროგრამებს, კონსერვატორი პედაგოგებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისგან (2003 წლისთვის, მასწავლებელთა 25% 65 წელს იყო გადაცილებული) და პროფესორებისგან, რომლებიც ზედამხედველობის ძველ სისტემასა და ინდიფერენტულ სწავლებას იყვნენ შეჩვეული.¹⁵⁰ მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს დაფინანსება ყოველწლიურად ეზრდებოდა 2003 წლიდან (სამინისტროს საბიუჯეტო წილი გაორმაგდა 2004-2007 წლებში), 2009 წელს განათლების სისტემის დაფინანსება მაინც მშპ-ის 2.5% შეადგენდა, ეუთოს საშუალო მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლებს. 2007 წლისთვის,

ხელფასების ზრდის მიუხედავად განათლების სექტორსა და სხვა სფეროებში ხელფასებს შორის თანაფარდობა მხოლოდ 41.6% შეადგენდა; მასწავლებელთა ხელფასები, საშუალოდ, უფრო ნაკლებია, ვიდრე სოფლის მეურნეობასა თუ მეტყვევების სექტორებში დასაქმებულთა ხელფასები.¹⁵¹ მერიტოკრატულ ფაქტორებზე აქცენტირებულ რეფორმებს დიდი ზიანი მიადგა რამდენიმე მიზეზით, კერძოდ, არასაკმარისი იყო დაფინანსება (რაც სასწავლო დაწესებულებებში განათლების სამინისტროს მუდმივ ჩარევას იწვევს), სკოლის დირექტორებისადმი მასწავლებლები განსაკუთრებული მოწინების გრძნობით იყვნენ განწყობილი, სკოლის არჩევანი ბევრგან არ არსებობდა და 2009 წლის ახალი ცვლილებებით კანონში, რომელიც ისევ სამინისტროს ხელში აქცევდა მთელ ძალაუფლებას.¹⁵² ვაუჩერებს საგანმანათლებლო ნაპრალი არ შეუვსიათ მდიდრებსა და ღარიბებს შორის, კავშირების მქონეებსა და ამ კავშირების უქონლებს, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას და ქართველთა და არაქართველთა შორის. ისინი, ვისაც ფინანსურად შეუძლიათ კერძო მასწავლებლების დაქირავება მოსამზადებლად და კარგად აღჭურვილ ქალაქის სკოლებში სწავლა (ხშირად, კერძოში) ალბათ, ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებს. 2007 წელს აბიტურიენტთა რაოდენობამ 39,280-ს მიაღწია უნივერსიტეტების 15,444 ადგილზე. უმდიდრესი ოჯახების 20% საშუალოდ 22-ჯერ მეტს ხარჯავს თავისი შვილების განათლებაზე, ვიდრე უღარიბესი 20%, და უმუშევარ ღარიბ ახალგაზრდათა წილიც ორჯერ მეტია მდიდარი ოჯახების უმუშევარ შვილებთან შედარებით.¹⁵³ სკოლების სასწავლო პროგრამამ პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა უფროსკლასელებისთვის, რომელთა ყურადღება ამ დროისთვის მთლიანად ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაზეა მიპყრობილი. ამ უკანასკნელს კი, გაცილებით მცირე მოთხოვნები აქვს. შესაძლებლობათა უფრო მეტი თანასწორობის პირობებშიც გაურკვეველია მოიტანს თუ არა სამუშაო ადგილს უმაღლესი განათლება. 2005-2006 წლებში, გოგონებს საშუალოდ 13.5 და ბიჭებს 8.6 წელი სჭირდებოდათ მუდმივ სამსახურში მოსახვედრად სკოლის დამთავრების შემდეგ (აშშ-ში ამ წლების საშუალო რაოდენობა ორივე სქესისთვის 3.5 წელია).¹⁵⁴

განვითარების გამოწვევა

დასავლეთის სახელმწიფოებმა მილიონებით დოლარი ჩადეს საქართველოს ეკონომიკაში, ნაწილობრივ იმის საჩვენებლად, რომ ლიბერალური ეკონომიკა მუშაობს პოსტ-საბჭოთა გარემოში. მაგრამ გაამართლა თუ არა ეს ვარაუდი საქართველოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში (2004-2011)? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვსაზღვრავთ წარმატებას. 2004 წლიდან მოყოლებული ხელისუფლება ტრა-

ბახობს სწრაფი ეკონომიკური ზრდით, უცხოური ინვესტიციების მატებით, ვალუტის რეზერვებით, კრედიტებისა და სესხების მომატებით, საგარეო ვაჭრობის გაფართოებით და საბიუჯეტო შემოსავლების ამალღებით. განათლებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯები გაიზარდა, ისევე როგორც პენსიები და სახელმწიფო მოხელეების ხელფასები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს მონაცემები სწორად უნდა შეფასდეს. მშპ-მა იმატა, მაგრამ 2007 წელს ის 1989 წლის მაჩვენებლის ნახევარს შეადგენდა; უცხოური ინვესტიციების შემოდინებაც გაიზარდა, მაგრამ ყველაზე დაბალია სამხრეთ კავკასიის მეზობლებთან შედარებით; საგარეო ვაჭრობაც გაფართოვდა, მაგრამ იზრდება მისი დეფიციტი; ხოლო უმუშევრობა და სიღარიბე, ნებისმიერი საზომებით, ისევ შემადრწუნებელია.

საქართველოს ხელისუფლების სტრატეგია არ ამცირებს იმ ნაპარალს, რომელიც ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას შორის ან „თანამედროვე“ მეტროპოლიტურ ეკონომიკასა და პროვინციულ რეგიონებს შორის არსებობს. ამის მშვენიერი მაგალითია პრეზიდენტის რეზიდენცია, თვალშისაცემი მიწის გუმბათით თავზე და ნეონის ნათურებით განათებული (პრეზიდენტის ვებგვერდზე მას სასახლეს უწოდებენ), რომელიც მკვეთრად განსხვავდება იმ სიღარიბისგან, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს (უშუალოდ რეზიდენციის მოსაზღვრე ტერიტორიაზეც). ხელისუფლება ორმაგი ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციას ცდილობს, საიდანაც მოქალაქეთა უმრავლესობა, -მათ შორის სოფლად არაპროპორციულად მაცხოვრებლები, არაქართველები, 50 წელს გადაცილებული ადამიანები და ქალები, - გამორიცხული არიან მონაწილეობისგან. რეგიონული უთანასწორობის გამოსწორება სასიცოცხლოდ აუცილებელია ერთიანი მრავალეროვნული სახელმწიფოსთვის. საქართველოს შიდა რაიონები ხანგრძლივ რეცესიაში იმყოფებიან, მაგრამ თავისი პოტენციალით სოფლის მეურნეობა შეიძლება შიდა წარმოების მნიშვნელოვანი წყარო გამხდარიყო. ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებამ, დასაქმების გონივრულ სტრატეგიასთან ერთად შესაძლებელია გაუმართლებლად მძიმე სოცუზრუნველყოფის ტვირთი შეამსუბუქოს. საქართველოს ბიზნეს-გარემო არ იზომება იმით, თუ რამდენად იოლია აქ ბიზნესის წამოწყება (რაც, არც ისე იოლია, როგორც მსოფლიო ბანკი ფიქრობს) და უცხოური ინვესტიციების იმედზე ყოფნაც სარისკო გზაა ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის შესანარჩუნებლად. დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო, რომლისკენაც ხელისუფლება მიისწრაფვის, დამოკიდებულია პროდუქტიულობაზე, ჩართულობასა და მოქალაქეების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ეკონომიკური რეფორმა ახალ ეტაპზე, ზემოდან გაცემული მითითებებიდან ქვემოდან წამოსულ მონაწილეობაზე და ხელისუფლების პარტნიორობაზე უნდა გადავიდეს შიდა ბაზარზე.

თავი მარე

ქართული ნაციონალიზმის მითი

საბჭოთა სისტემა, რომელიც ყველაფრის სტანდარტიზებასა და პომოგენიზებას ახდენს, მნიშვნელოვანი, მაგრამ არაპროგნოზირებადი ცვლადია ყოფილ საბჭოთა ხალხებში ერის ფორმირებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მიღწევამდეც, საბჭოთა კავშირის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობებს სხვადასხვა (კონკრეტული) ისტორიით ჩამოყალიბებული განსხვავებული მიზნები და ტაქტიკა ჰქონდათ, ისევე როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს მიღებული განსხვავებული გამოცდილებები. საბჭოთა რეჟიმი უკრაინაში, ყაზახეთში, ლიტვასა და საქართველოში გაერთიანებული იყო სახელმწიფოს მიერ, რომელსაც, როგორც იური სლევკინი ამბობს, მათთვის დამოუკიდებელი ოთახები ჰქონდა გამოყოფილი ერთ კომუნალურ ბინაში, მაგრამ ამ ბინის მობინადრეებს სხვადასხვანაირად ჰქონდათ მონყობილი თავიანთი ოთახები და ბინის მეპატრონესთანაც ჭკვიანურად და სხვადასხვაგვარად ურთიერთობდნენ.¹ ტერი მარტინი აღნიშნავს, რომ (როგორც ტერენზა რაკოვსკა-ჰარმსტოუნმა თქვა 25 წლის წინ) საბჭოთა სახელმწიფომ განამტკიცა ან შექმნა ნაციონალიზმი ეროვნული იდენტობის განსაზღვრისა და სახელმწიფოთა საზღვრების დადგენით.² თუმცა ამ სახელმწიფოთა შიდა მონყობამ, ისტორიამ, ეთნიკურმა შემადგენლობამ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ცენტრთან ურთიერთობების ბუნებამ ხელი შეუწყო პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმის მრავალფეროვანი მოდელების შექმნას.

ქართველებს ხშირად ახასიათებენ, როგორც ცუდ მეზობლებს (თუმცა, საბჭოთა პერიოდში რუსები მათ კარგ მეზობლებად მიიჩნევდნენ). 1991 წლის შემდეგ საქართველომ რამდენიმე ომი გადაიტანა: ორი სეპარატისტული (სეცესიური), ერთი სამოქალაქო და რუსეთთან 2008 წლის ომი. ის რამდენიმე წარუმატებელი გადატრიალების (და ცუდად დაგეგმილის), ყოფილი პრეზიდენტის, შევარდნაძის მოკვლის სულ ცოტა ორი მცდელობის, სამი რევოლუციისა (1989-90, 2003 და აჭარაში 2004 წელს) და 2005 წელს პრეზიდენტების სააკაშვილისა და ბუშის წინააღმდეგ ვერშემდგარი ტერორისტული აქტის მოწმეც გახდა.³ დასავლელი მიმომხილველები ხშირად აღნიშნავენ, რომ ბალკანელი თანამოძმეების მსგავსად (თუკი სერბების, ხორვატიელების, სლოვენელების, მაკედონელების და ალბანელების ერთ

ჯგუფში მოქცევა შეიძლება), კავკასიელებს წარსულისგან თავის დაღწევა არ შეუძლიათ.⁴ საქართველოს ისტორია კონფლიქტია და აქედან გამომდინარე, კონფლიქტი ქართულია. მაგრამ ნაციონალიზმი დღეს, საქართველოში, თუკი კონტექსტს მივუსადაგებთ, გაცილებით „თანამდეროვე“ და „ნორმალური“, ვიდრე ამას დასავლელ ანალიტიკოსთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომელიც 1990-იანების დასაწყისის ქართველი აგრესიული პუბლიცისტების აგზნებული რიტორიკის შოკისმომგვრელი გავლენისგან ვერ გათავისუფლებულა. ჩვენი კონცენტრირება ეროვნულ კონფლიქტსა და კავკასიის დაუნდობელ ბრძოლებზე ამახინჯებს კავკასიის ისტორიისა და კავკასიური ეროვნული მოძრაობების ჩვენიულ გაგებას, და, ამასთანსევე, უფრო მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს ეს ტერმინები: „ეთნიკური კონფლიქტი“ და „ნაციონალიზმი“ და რა კავშირში არიან ისინი „დემოკრატიის“ და „თავისუფლების“ ცნებებთან. 150 წლის წინ ბესარიონ ბელინსკიმ გვაცნობა, რომ

„კავკასიაში, არ ეძებოთ მშვიდი, მხიარული ან სახალისო რამ მოთხრობაში: ის, ჩვეულებრივ, იწყება ხმამაღალი ფრაზებით და მთავრდება ხოცვა-ჟლეტით, ღალატით, მამის მკვლელობით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხდება ცხოვრებაში... მაგრამ ეს ხომ მთიელთა ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარეა... რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია, მაგრამ სულ ერთი და იგივე - თქვენი ნებაა - მოსაწყენია“⁵.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეს სიტყვები. კავკასიის ისტორია არ არის კონფლიქტების ისტორია; მას ინდივიდუალური თავისებურებები და ტრადიციები აქვს, მათ შორისაა, ინტერეთნიკური თანამშრომლობაც. კავკასიური წარსულის გამოცოცხლება არ შეიძლება უბრალოდ „წარსულის პურისძიებასთან“ გაიგივდეს. წარსული მშვიდობიანი თანაარსებობის ხანგრძლივ პერიოდებსაც მოიცავდა. დასავლელ მეცნიერთა ნაშრომები კავკასიაზე უკიდურეს მიკერძოებულობას ავლენენ ეროვნულ კონფლიქტსა და მის მოგვარებაზე, მაგრამ ამ ფოკუსს საქართველოში და, უფრო ზოგადად, მთელ რეგიონში, ნაციონალიზმისა და პოლიტიკის ურთიერთობების შესახებ მცდარ ვარაუდებთან მივყავართ.⁶ ნაციონალიზმი სახალხო მოძრაობებისა და იმ სახელმწიფოების ფართო სპექტრს მოიცავს, რომლებსაც იდენტობის, ერთიანობისა და ერის ავტონომიის (როგორც არ უნდა აღიქმებოდეს) შენარჩუნება სურთ. ერისა და ნაციონალიზმის განსაზღვრება ამ თავის მთავარი საქმე არ არის, მაგრამ ჩვენ, სულ ცოტა, იმ განსხვავებების აღი-

2 ქართულად თარგმნილი რუსული ენიდან: В. Г. Белинский Повести и рассказы П. Каменского: сб. ვებგვერდზე: (მთარგმნ. შენიშვნ.) http://bookz.ru/book.php?id=107194&n=1&p_count=1&g=critic&f=povesti_089&b_name=%CF%E2%E5%F1%F2%E8%20%E8%20%F0%E0%F1%F1%EA%E0%E7%FB%20%CF.%20%CA%E0%EC%E5%ED%F1%EA%EE%E3%EE&a_name=%C2%E8%F1%F1%0%F0%E8%EE%ED%20%C1%E5%EB%E8%ED%F1%EA%E8%E9&a_id=vissarion-belinskii

არება გვეჭირდება, რაც ნაციონალისტებისა და ეროვნული სახელმწიფოების მეთოდებს, სტილსა და აქცენტებში არსებობს⁷. სამივე პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი ნაციონალისტებად შეიძლება დავახასიათოთ, მაგრამ მათ ძალზე განსხვავებული იდეები ჰქონდათ (აქვთ), იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ნაციონალიზმი და როგორ ზეგავლენას ახდენდა ის თანამდეროვე სახელმწიფოს აწმენებლობაზე. გამსახურდია იცავდა კულტურული ასიმილაციის მოდელს. ის მიიჩნევდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ გადარჩენას შიდა და გარე მტერიც უქმნიდა საფრთხეს. მას პოპულისტური სტილი ჰქონდა: ის ეროვნულ-გამათავისუფლებელ აქციებს იმ უმცირესობათა განტევების ვაცად ქცევისთვის იყენებდა, რომელსაც ასიმილაცია არ სურდა, ხოლო დაშინებას „ეროვნული ერთიანობის“ განსამტკიცებლად მიმართავდა. შევარდნაძე, პირიქით, ეთნიკურ ჯგუფებს შერიგებისკენ მოუწოდებდა და ხაზს უსვამდა კულტურულ განსხვავებულობას და ინკლუზიურ მოქალაქეობას. თუმცა, შევარდნაძის სასიკეთო განზრახვებს დიდ ზიანს აყენებდნენ კორუმპირებული გუბერნატორები და ადგილობრივი ეთნოკრატიები. პრეზიდენტი სააკაშვილი ორივე წინამორბედის ნარევი. ის მხარს უჭერს პარტიკულარისტულ ნაციონალიზმს და სამოქალაქო პატრიოტიზმსაც, მაგრამ მათ ეკონომიკური მოდერნიზაციის და სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკის ჩარჩოებში სვამს. საქართველოს აღორძინების მგზნებარე პროპაგანდირება სამოქალაქო პატრიოტიზმის იდეოლოგიასთან ერთად რთული ტანდემია.

სამივე პრეზიდენტი მრავალნაზნაგოვან ქართულ ნაციონალიზმს წარმოადგენს და მუდმივი დაძაბულობის ილუსტრაციაა, რომელიც ნაციონალიზმს, დემოკრატიასა და თვითგამორკვევის უფლებას შორის არსებობს. ისტორიულ პერსპექტივაში, ქართული ნაციონალიზმი განსაკუთრებულად რადიკალური, ანტიმოდერნისტული ან არალიბერალური არ არის, თუმცა არც ეს ელემენტები აკლია. ეს დამოკიდებულია სად იყურებით და როდის. 1990-იანების დასაწყისი არალიბერალური ნაციონალიზმით ხასიათდებოდა. მაგრამ ქართველთა ნაციონალისტური ვნებები ხან მატულობდა და ხან კლებულობდა, ისინი პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებებზე დამოკიდებული. ქართული ნაციონალიზმის მითი, რომელიც ჩვენ დასავლეთში ზოგადად მივიღეთ, ეყრდნობა მის რადიკალურ გარეგან სახეს და არა მის ცვალებად და უფრო „ნორმალურ“ თვისებებს.

ეთნონაციონალისტური საქართველო

1998 წელს, ბუქარესტში, სიტყვით გამოსვლისას ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა სტროუბ ტალბოტმა თავისი მოსაზრება წარმოადგინა კავკასიაზე, რომელსაც უამრავი ადამიანი იზიარებს. მან განაცხადა:

ჩვენ დავემშვიდობეთ მარქსიზმ-ლენინიზმის დიქტატურას, რკინის ფარდას და თვითმარქვია გენიოსებს, რომლებიც უხეში ძალითა და პირველყოფილი ინსტიტუტებით ბატონობდნენ. მაგრამ თანამედროვე ბოროტების მარცხს პოსტკომუნისტური სამყაროს ბევრ ქვეყანაში თან სდევს შუასაუკუნეობრივი ბრძოლები წარმოშობისა და კულტურის გაშო. პალკანეთის ბოსნიიდან, ხორვატიიდან, ალბანეთიდან და კოსოვოდან დაწყებული ვიდრე კავკასიის ჩეჩნეთამდე, აფხაზეთამდე, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღამდე, უფრო მეტი ევროპელი დაიღუპა ძალმომრეობით ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ვიდრე მანამდე მთელი 45 წლის მანძილზე.⁸

ტალბოტისეულ ხედვაში ოთხი ისეთი დებულებაა, რომელიც მცდარად წარმოგვიდგენს პოლიტიკას საქართველოში და, ზოგადად, კავკასიაში. საქართველოს ეთნიკური კონფლიქტები (კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) არც შუასაუკუნეობრივია და არც წარმოშობას ეხება. ასეთი ისტორიციისტული განმარტებები ამარტივებს პოსტსაბჭოთა კრიზისის მიზეზებს. იდეები, რომლებსაც თავად ქართული მედია უჭერს მხარს, გვეუბნება, რომ პოლიტიკას წარსული ამოძრავებს და ყოველთვის „ნაციონალურია/სახელმწიფოებრივია“ და არა „ადგილობრივი.“⁹ ამას მარტივ პასუხებამდე მივყავართ რთულ კონფლიქტებზე და ხელს გვიშლის, რათა პოლიტიკური ქცევის მრავალი ადგილობრივი წყარო გამოვიკვლიოთ. სახალხო დამცველთან შეტანილი ქართველებისა თუ არაქართველების საჩივრების დიდი ნაწილი ეხება სასამართლოს გადაწყვეტილებებს, საცხოვრებელს, პენსიებს, დასკვნებს იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა ამა თუ იმ პირს სახელმწიფო დახმარება, სკოლებსა და დასაქმებას.¹⁰ ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია საჩივრების სიის ბოლოშია მოქცეული. ცხადია, რომ ამ საჩივრებს უმცირესობათა ინსტიტუციური დისკრიმინაცია უდევს საფუძვლად, მაგრამ უკეთესი სოციალური დაცვა არაქართველებისთვის და მათი იზოლაციის დასასრული დანარჩენი საქართველოსგან, პრობლემის მოგვარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

მეორე, ტალბოტი ნაციონალიზმსა და ძალადობას პარტნიორებად მიიჩნევს დანამაჟულში, მაგრამ ნაციონალიზმი, მათ შორის ქართული ვარიანტიც, თავისთავად უფრო ძალადობრივი არ არის ვიდრე სხვა იდეოლოგიები.¹¹ ლიბერალიზმი რაციონალურ წამოწყებად მიიჩნევა და მას ხელს უწყობენ როგორც ნაციონალიზმის მშვიდობიან ალტერნატივას საქართველოში. მაგრამ ლიბერალიზმის ადრეული სწრაფვა სახელმწიფოებრიობისათვის, რომელიც უფრო დიდ ხანს გრძელდებოდა, ძალადობითა და სოციალური მლელვარებით ხასიათდებოდა (ჯერ კიდევ 1882 წელს, ერნესტ რენანი „ლიბერალური“ ნაციონალიზმის ძალადობრივ წარმოშობაზე მიუთითებდა თავის ესეიში „რა არის ერი?“). ერთი შეხედვით, სახელმწიფოთა ეროვნული

პირობები გვეუბნება, რომ ლიბერალური დემოკრატიების უმეტესობა ომმა შვა.¹² მე-19 საუკუნის სახალხო სუვერენიტეტის, მოქალაქეთა თანასწორობის, დემოკრატიისა და თვითგამორკვევის პრინციპებზე დაფუძნებული ნაციონალიზმი განსაზღვრავს თანამედროვე ლიბერალიზმის ისტორიულ, ტერიტორიულ და კულტურულ პარამეტრებს. მაიკლ მანი ფიქრობს, რომ სწორედ სუვერენიტეტისა და სახალხო მმართველობის ამ ლიბერალურმა ღირებულებებმა შეიძლება მიგვიყვანოს ნაციონალიზმის ყველაზე მომავლენიერ შედეგებამდე.¹³

დემოკრატია ლიბერალიზმსაც ეყრდნობა და ნაციონალიზმსაც; ორივე დემოკრატიის თანამოაზრე მეგობარია. ლიბერალიზმის დასავლური მოდელები აშკარად ნაციონალურია. საქართველოს სახელმწიფოს მოთხოვნები, რომ სკოლის მოსწავლეებმა სახელმწიფო ენა შეისწავლონ ან რომ ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუტებმა ქმედითობა უნდა გაზარდონ რეგიონებში, შეთავსებადია ეროვნული უმცირესობების მოთხოვნებთან თვითმმართველობასა თუ მშობლიური ენის დაცვასთან დაკავშირებით. ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის ალიანსი საქართველოში შეიძლება საფუძვლიანი ბაზა აღმოჩნდეს ტოლერანტული მრავალეროვნული სახელმწიფოსთვის.

ქართული ნაციონალიზმი, ისევე როგორც ნაციონალიზმები სხვაგან, განსაკუთრებულია. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებისგან განსხვავება არ უნდა იქნეს გამოყენებული დასავლეთის „სამოქალაქო“ ფორმის ნაციონალიზმის უპირატესობის საილუსტრაციოდ. თავის მოხსენებაში ტალბოტი მიანიშნებს, რომ დასავლეთმა ჩამოიტოვა ატავისტური აღმოსავლეთი, ეს მესამე დებულებაა, მაგრამ აქ გამოტოვებულია ჩრდილოეთ ირლანდია, ბასკეთი, ბელგია, ევროპის წარმატებული მემარჯვენეთა პარტიები და ამერიკის შეერთებული შტატების შოვინისტური მილიციური ძალები. გერმანიის მოქალაქეობის ოფიციალური ცნება ისევე ეთნიკური პრინციპითაა განსაზღვრული (მოქალაქეობასთან დაკავშირებული დასავლური კანონმდებლობა უმეტესად ეთნიკურ წარმომავლობას აქცევს ყურადღებას მოქალაქის სტატუსის მიინჭებისას, როგორც ცენზს), ხოლო „კოსმოპოლიტი“ ფრანგები საფრანგეთში მცხოვრებ ყველა ეროვნულ ჯგუფს, ამ ჯგუფების სურვილის შემთხვევაში კი, ფრანგად არ აღიარებენ.¹⁴ დასავლეთის დემოკრატიების იმიტაცია და თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული კანონმდებლობის უმეტესი ნაწილი უცხოელთა მიმართ შიშს ავლენს. სტივენსონ მესტროვიჩი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ სამოქალაქო-ლიბერალური და ეთნიკურ-არალიბერალური პარადიგმები სისულელეა. მისი აზრით, „ეთნიკური“ და „ემოციური“ გრძნობები ლიბერალურ დემოკრატიებში პოპულარულია და კონსერვატორული და. ამასთან, ამის უარყოფა უფრო მეტს გვეუბნება დასავლელთა რწმენაზე საკუთარ გამორჩეულობაში, ვიდრე განსხვავებებზე სხვა სახელმწიფოებისაგან.¹⁵

ტალბოტის მოხსენების მეოთხე ვარაუდი გულისხმობს, რომ მთლიანად ქვეყნები არიან დამნაშავენი ნაციონალიზმის „ბოროტებაში“. როგორც მე დავეჭვებოდი, რომ საზოგადოებრივი აზრი კონგრესისას დაემთხვეოდა აშშ-ში, საქართველოშიც – სადაც ლიდერებსა და მათ მიერ მართულ ხალხს შორის ძველისძველი კულტურული სახის თუ ეკონომიკური დაყოფა არსებობს – ასევე გვჭირდება უფრო მეტი ინტუიცია „ეთნიკური“ ნაციონალიზმის სიღრმისა და მასშტაბის შეფასებაში. რ. პეტერსენი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ სისხლიანი კონფლიქტი იშვიათადაა განპირობებული ერთსულოვანი ნაციონალური მხარდაჭერით. ეს უთანასწორო პროცესია, რომელშიც ენთუზიასტები, მონინალმდეგები და ის პირებიც შედიან, რომლებიც უხალისოდ მონანილეობენ მასში.¹⁶ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში, ორივე მხარის უმრავლესობა ეროვნული კონფლიქტის მსხვერპლი იყო უფრო მეტად, ვიდრე მისი წარმომშობი. 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ძალიან ჰგავს იმ მოვლენას, რასაც ვ.პ გენიო ელიტების „კონფლიქტის სტრატეგიას“ უწოდებს. 1990-იანების სერბეთში, როგორც ის ამტკიცებს, ყოფილმა კომუნისტურმა ელიტებმა ნაციონალიზმის აგრესიული ფორმა გამოიყენეს ოპოზიციური მოძრაობების (რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ მათ პრივილეგირებულ წვდომას რესურსებზე) „დემობილიზაციისათვის“.¹⁷ ამგვარი სტრატეგია დიდ რისკს შეიცავდა აფხაზური ელიტისთვის საქართველოდან გამოყოფამდე (ის უმცირესობა იყო თავისისავე ავტონომიურ რესპუბლიკაში), მაგრამ მას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა რუსული ნაციონალური მოძრაობისაგან. თბილისის შოვინისტურმა განცხადებებამაც თავის საქმე გააქეთა და აფხაზეთის ხელმძღვანელობის ნაციონალისტური რიტორიკა კიდევ უფრო ლეგიტიმური გახადა. ქართული ელიტა თავის საკუთარი „კონფლიქტის სტრატეგიას“ მისდევდა; ნახევრად გასამხედროებული ლიდერები ფიქრობდნენ, რომ აფხაზებზე გამარჯვებით შინ მხარდაჭერას განიმტკიცებდნენ და აფხაზეთის უხვი რესურსებიც ხელმისაწვდომი გახდებოდა მათთვის. ეს არ ნიშნავს, რომ ნაციონალური ენებები არ არსებობდა ორივე მხარეს, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ხოცვა-ჟლეტვა დაიწყო, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს ზემოდან იყო გენერირებული სტრატეგიის ან მოგების მიღების მოსაზრებით და არა „ეთნიკური“ მიკუთვნებულობის მიზეზით.

ჩვენი უმრავლესობა, სულ რამდენიმე ნამდვილი კოსმოპოლიტის გარდა, „ნაციონალური“ პრაქტიკოს-სპეციალისტები ვართ. ამერიკის სახელმწიფო ინტერესების გაფართოება მსოფლიოში სახელმწიფოებრივ მიზნებს ასახავს, ისევე როგორც საქართველოს მცდელობა, უარი არ თქვას თავის საერთაშორისო ალიანრებულ სახელმწიფო საზღვრებზე. მაგრამ ამ ორი ნაციონალიზმის შედარება რომ დავინყო, ბევრი დასავლელი აზრს არ შეიცვლის იმაზე, რომ ქართველები ატავისტები არიან, ეს იმიტომ რომ პოლიტიკოსები

(და ზოგიერთი მეცნიერიც), ვინც ნაციონალიზმის აღორძინებაზე ლაპარაკობს, საქართველოსნაირ მცირე ერებზე კონცენტრირდებიან, რომლებიც საკამათოს ხდიან არსებულ სახელმწიფოებს და თავად ნაციონალურ სახელმწიფოდ ქვეყნის პროცესში შიდა კონფლიქტები აქვთ ან საერთაშორისო საზოგადოებას უქმნიან პრობლემებს.¹⁸

მცირე სახელმწიფოს კონფლიქტი დაუფიქრებლად განიმარტება, როგორც „ეთნიკური“. მაგრამ სისხლისღვრა „ეთნიკურ ჯგუფებს“ შორის მაინც და მაინც ეთნიკური მიკუთვნებულობის გამო არ ხდება, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში ვვარაუდობ (და ეს, მით უმეტეს, სამხრეთ ოსეთსაც ეხება). სიტყვა „ეთნიკური“ არასწორ გაგებას იწვევს: ის ძალზე ფართოა იმისთვის, რომ მოიცავს ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებას, რომელიც წარმოქმნის კონფლიქტებს, სოციალურს (მდგომარეობის გაუარესება სკოლებსა და ჯანდაცვაში), ეკონომიკურს (სიღარიბე, პენსიები და ინფლაცია) თუ ეკოლოგიურს (კონკურენცია რესურსებისთვის, სტიქიური უბედურებები). ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის გასაგებად ისეთ ადგილებში, როგორც საქართველო (ან სომხეთი, აზერბაიჯანი და თუნდაც ჩეჩნეთი, ამ თვალსაზრისით), ჩვენ „ეთნიკურის“ და მისი ცვალებადი კომპონენტების უფრო გულდასმით გარკვევა გვმართებს. ერიკა ბენერი ჩინებულ რეცენზიაში, რომელიც ნაციონალიზმის შესახებ ცვალებად ნორმატიულ შეხედულებებს ეხება, გვახსენებს, რომ ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი მოძრაობები და იდეოლოგიები კომპლექსურია. ახალი გარემოებები მათ ლიდერებს სულ რამდენიმე წელიწადში დადამხობენ, გარდაქმნიან მათ მიზნებს და შეცვლიან გამოხატვის ფორმას.¹⁹

ქართული ნაციონალიზმი ვერ განისაზღვრება ბოლო ორი ათწლეულით ან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტებით. ქართველებს იდეალიზებული აქვთ მათი შემწყნარებლობის ისტორია, მაგრამ ურთიერთობები აფხაზებსა და სამხრეთ ოსებთან დიდი ხნის განმავლობაში მშვიდობიანი იყო. ადგილობრივი სომხებისა და აზერბაიჯანლებისგანაც ისმოდა მონოდებები ავტონომიის შესახებ, მაგრამ მიუხედავად დაძაბულობისა და ადგილობრივ პოლიციასთან შეტაკებებისა, მათი უმრავლესობა მხარს არ უჭერს საქართველოს სახელმწიფოსთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განევის იდეას. 1990-იანებში, იმპერიის დაშლის შედეგად განსაკუთრებული გარემო შეიქმნა: სოციალ-ეკონომიკური კრიზისი, ინსტიტუციური კოლაფსი, პრობლემები შეიქმნა ტრადიციულ პოლიტიკურ წესრიგსაც. ამ პერიოდში ქართული ნაციონალიზმი აგრესიული, სახელმწიფოსთვის პრობლემური, ხოლო ბევრისთვის მომაკვდინებელი იყო. მაგრამ ჩვენი ფოკუსი ამ პერიოდზე წარმოდგენას ამახინჯებს იმაზე, რაც მანამდე იყო და რაც შემდგომ განვითარდა, და, ამასთან, უგულებელყოფს სხვადასხვა ნაციონალიზმსაც საქართველოში, რომელიც სერიოზულ კონფლიქტში არ გადაზრდილა. მრავალეროვნულ სახელმწიფოში

კონლიქტები ეთნიკურ ჯგუფებს შორის გარდაუვალია, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, როგორც სხვაგან, ეს კონფლიქტები სისხლისღვრის გარეშე ხდება. პოსტსაბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც აშშ-ში, ნაციონალიზმი ყოველთვის აგრესიული ან ეთნიკური ხასიათის არ ყოფილა. როგორც „ეკონომისტი“ წერდა, „საქართველოში ნაციონალიზმი აუცილებელი იარაღია ნებისმიერი ლიდერისთვის, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისთვის იბრძვის იქ, სადაც ყველა სახის ხელისუფლებამ მარცხი განიცადა.“²⁰ მართლაც, ნაციონალიზმი ის უმთავრესი ფაქტორი იყო, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო გაერთიანებული შემოინახა და გახლიჩა კიდევც.

საქართველოში ნაციონალისტურ აგრესიაზე კონცენტრირებამ „მწვერვალების“ სასარგებლოდ „ველები“ გამოიცილა და უგულებელყო მრავალეროვნული თანაარსებობის ხანგრძლივი ისტორია. ამან ხელი შეუწყო კრიზისებისა და ნაციონალისტური დაძაბულობების (მწვერვალები) ანაქრონისტული ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც შემდეგ სისხლისმღვრელი ბრძოლის „ნიმუშად“ გადაიქცევა ხოლმე. ჩაირთვება ხოლმე საქართველოს იტორიის ანალიზი, რომელიც გაცილებით რთულ და ნაკლებად გმირულ გზაზე მიგვანიშნებს. ქართული ნაციონალიზმი პოლიტიკური, ეკონომიკური და ძალთა ურთიერთობების (შიდა და საერთაშორისო) დიდი სისტემის ნაწილია. ის ერთ-ერთი ფაქტორია და არა ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, პრე-საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მოვლენათა განვითარების ნებისმიერ შეფასებაში. საქართველოში ნაციონალიზმს ვერ გამოათავისუფლებთ უთანასწორობისა და სიღარიბის შიდა საკითხებისა თუ რუსეთსაგინთ ძლიერი მეზობლების ან ისეთი მეზობელი სახელმწიფოების, როგორებიცაა სომხეთი და აზერბაიჯანი, ქმედებებისგან. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისთვის დღეს ეკონომიკური და სოციალური საკითხებია მთავარი საზრუნავი და არა ეთნიკური.

ქართული ნაციონალიზმის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს გზა სახელმწიფოებრიობისკენ უჩვეულო არ იყო. მე-19 საუკუნემდე ქართული ელიტა მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური იყო, ხოლო მმართველ ფენაში სახელმწიფოს შესისხლხორცებული ჰყავდა სომხები, ოსები და აფხაზები და ამით ის წარმოადგენდა „ასიმილაციონისტურ“ (ასე უწოდებს როჯერს ბრუბიკერი) კულტურას.²¹ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის, რომელიც მოდერნიზაციას გადიოდა, (საქართველო ანექსირებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ მე-19 საუკუნის პირველ ათწლეულში) და გაევროპელებული ქართული ინტელიგენციის ზეგავლენით, ქართულ ელიტებში სახელმწიფოებრიობის თანამდეროვე აღ-

ქმის აღმოცენება დაიწყო. იდენტობების შეცვლა ან შერწყმა სულ უფრო რთულდებოდა; „ეთნიკურობაზე“ მახვილმა (რასაც ბრუბეიკერი „დიფერენციალისტურ“ კულტურას უწოდებს) კონკურენცია გააძლიერა დაბეზსა და ქალაქებში აღმოცენებად ეროვნულ ჯგუფებს შორის.²² ქართველი ნაციონალისტები უკმაყოფილოები იყვნენ დემოგრაფიული დისბალანსით (ქართველები შედარებით უმრავლესობას წარმოადგენდნენ თბილისში 1940-იანი წლებამდე) და კულტურული დაცვისა და უფრო მეტი პოლიტიკური უფლებების მოთხოვნით კამპანიას აწარმოებდნენ. მაგრამ მიუხედავად ახლად ფორმირებული იტალიელების, უნგრელებისა და ბერძნების შთამავგონებელი ბრძოლებისა, მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ქართველებს სოციალიზმი მიაჩნდათ ცხოვრების დონის გაუმჯობესების საშუალებად და არა ნაციონალიზმი. 1917 წლის რევოლუციამდე არც ერთი ქართული პარტია (ისინიც კი, რომლებიც სოციალისტურ იდეებს ეწინააღმდეგებოდნენ) არ ეწეოდა დამოუკიდებლობის პროპაგანდას.²³ 1918 წელს საქართველომ თავისდაუნებურად, თითქმის ისეთივე ვითარებაში მოიპოვა დამოუკიდებლობა, როგორც ეს 1991 წელს მოხდა, როცა იმპერიის კოლაფსისა და ცივ ომში დამარცხების შედეგად საბჭოთა კავშირი დაიშალა.

1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ქართული ნაციონალიზმი იატაკვეშა მდგომარეობაში გადავიდა (ქართული ნაციონალისტური ჯგუფები პრაქტიკულად გაქრნენ, როცა 1924 წლის აჯანყება, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად, მარცხით დამთავრდა) ან საზღვარგარეთ გავიდა და დიასპორის პოლიტიკაში ცოცხლობდა. საბჭოთა საქართველოში ნაციონალიზმი საბჭოთა კავშირის მიერ მისთვის გამოყოფილ კულტურის ჩარჩოებში მოაქციეს, – რასაც ტერეზა რაკოვსკა-პარმსტოუნმა „ორთოდოქსული ნაციონალიზმი“ უწოდა.²⁴ ორთოდოქსული ნაციონალიზმი კულტურის საკითხებზე კონცენტრირდა, ენაზე, სწავლა-განათლებაზე, ისტორიული ძეგლების აღდგენაზე, ლიტერატურაზე, კინოსა და სპორტზე. მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში არ გაშლილა ეროვნული შეიარაღებული წინააღმდეგობის მოძრაობა, როგორც ეს ბალიტივისპირეთსა და უკრაინაში მოხდა (თუმცა, დევნილობაში მყოფი ქართველების გარკვეული ნაწილი ვერმახტს შეუერთდა საბჭოთა საქართველოს გასათავისუფლებლად).²⁵ მაგრამ, როცა საბჭოთა კავშირი გაიხსნა 1990-იან წლებში, დასავლელმა ანალიტიკოსებმა ქართველები სხვებისგან ყველაზე მზგნებარე ნაციონალისტებად გამოარჩიეს. მაგრამ ქართული ნაციონალიზმი იშვითად გადმოიღვრებოდა ხოლმე ქუჩებში, არც პირდაპირ დაპირისპირებია საბჭოთა რეჟიმს. ქართულ დისიდენტობას ათიოდე მნიშვნელოვანი, მაგრამ, ზოგადად, უცნობი ადამიანი წარმოადგენდა, რომელსაც მასობრივი საყრდენი არ გააჩნდა. მართალია, სუსტი, მაგრამ უკრაინული ნაციონალისტური დისიდენტობა მაინც უფრო დიდი გამოწვევა იყო საბჭოთა რეჟიმისთვის, ვიდრე ქართული.

ქართულმა ნაციონალიზმმა ორჯერ ღიად გამოხატა თავისი უკმაყოფილება მეორე მსოფლიო ომის დასასრულსა და 1980-იანების შორის პერიოდში.²⁶ პირველად, 1956 წელს, როცა დემონსტრანტებმა ხრუშჩოვის დესტალინიზაცია ანტიქართულ კამპანიად აღიქვეს. საბჭოთა შინაგანი ძალების ჯარისკაცებმა 20-30 ქართველი დემონსტრანტი დახოცეს. სტალინის დაბადების დღის იგნორირებით გამოწვეულ პროტესტს სუსტი ნაციონალური მანდატი ჰქონდა, თუმცა მისი მსხვერპლნი პატრიოტებად და ნამებულებად აღიარეს სიკვდილის შემდგომ. მეორე შემთხვევა 1978 წელს მოხდა, როცა ქართველებმა, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, საბჭოთა ხელისუფლების გადანყვეტილება გააპროტესტეს (ქართულისთვის რესპუბლიკის ოფიციალური ენის სტატუსი უნდა მოეხსნათ).²⁷ ცალკეული ქართველები დიდ მსხვერპლს იღებდნენ საკუთარი რწმენისთვის, მაგრამ ქართული ნაციონალიზმი იშვიათად ახერხებდა მასების მობილიზებას. 1980-იანების დასასრულამდე, მის ყურადღებას არც ტერიტორიები იპყრობდა (როგორც სომხები აპროტესტებდნენ მთიანი ყარაბაღის საკითხს), არც ეროვნული უმცირესობები. პერესტროიკამდე ქართული ნაციონალიზმი მორგებული იყო კოლონიურ ჩარჩოებს. ის მთლიანად იყენებდა „წინააღმდეგობის ყოველდღიურ ფორმას“ (ასე უწოდებს ჯეიმს სკოტი) და, საბჭოთა სახელმწიფოსთან დაპირისპირების გარეშე, მისი ხელისუფლების უზურპაციას ახდენდა.²⁸

საბჭოური კონტექსტი ნაწილობრივ ხსნის ქართული ნაციონალიზმის შემწყნარებლურ ხასიათს. პროტესტის ღიად გამოხატვის შანსი არ არსებობდა. საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობდა საქართველოს მიერ კოსმოპოლიტური ტრადიციისა და სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას პოზიტიური დისკრიმინაციისა და სოციალური მობილურობის პოლიტიკით. უსაფუძვლო ანტიპათია და სტერეოტიპები ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობების ყველა დონეზე არსებობდა და ეროვნული ტერიტორიების საბჭოთა იერარქიული სისტემაც იქვე იყო, რომელიც ქართველებს თავში აყენებდა, ხოლო ოსებს – ბოლოში. ამავე დროს, ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები და ბერძნები ერთად ცხოვრობდნენ სოფლებში, საზიარო ეზოები ჰქონდათ, ერთად დებიოდნენ სკოლაში და თანამშრომლობდნენ სამსახურში. ქართველებისა (უფრო კონკრეტულად კი, მეგრელების, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართული ეთნიკური/სუბნაციონალური ჯგუფის) და აფხაზების (ოჩამჩირისა და სოხუმის სამხრეთით მცხოვრები) შერეული ქორწინებები იშვიათობა არ იყო, ხოლო ქართველებისა და სხვა ჯგუფების წარმომადგენლების, მაგალითად, ოსების სოციალური აღრევა, რომელსაც მიგრაცია უწყობდა ხელს დიდი ქართული ქალაქებისკენ, აშკარა იყო²⁹.

ექსტაზური ნაციონალისტი

ზვიად გამსახურდია და მისი მიმდევრები, რომლებიც სცენაზე 1980-იანების შუა წლებში გამოჩნდნენ ძალაუფლების მოსაპოვებლად, უბრალოდ, ნაციონალისტური ლოზუნგების ეთნიკური ექსპლუატატორები არ იყვნენ. ნაციონალიზმის თეორია რესურსების შესახებ, რომელიც ელიტების მანიპულაციებზე სვამს მახვილს, მნიშვნელოვანი, მაგრამ თავისთავად არასაკმარისი განმარტებაა ნაციონალიზმის წარმატების ასახვად საქართველოში. გამსახურდია პრეზიდენტად 1991 წლის მაისში 87%-ით აირჩიეს. მისი პოპულარობა განპირობებული იყო იმ წარმოდგენებითა და შეშფოთებით, რომელიც გამოძახილს პოულობდა ქართველებში – საქართველოს დაშლის საფრთხე და ქართველების დემოგრაფიული კლებისა და მორალური დაცემის შეგრძნება. 1917 წლის რევოლუციამდელი პერიოდისგან განსხვავებით, 1989-90 წლებისთვის საქართველოს თითქმის ყველა პარტია დამოუკიდებლობის, – ქვეყნის ყველა გასაჭირისა და დაავადებისგან ხსნის საშუალების, – პროპაგანდას ეწეოდა. 1989 წელს ქართველები ორჯერ დახოცეს კონფლიქტში: პირველად საბჭოთა შინაგანმა ჯარებმა (9 აპრილი) და მეორედ, აფხაზებთან შეტაკების დროს სოხუმში (15 ივლისს).³⁰ გამსახურდია იმ აზრის პოპულარიზებას ეწეოდა, რომლის მიხედვით ქართველები საკუთარ ქვეყანაშივე იყვნენ შევიწროებულნი. ქართველების რეაქცია, ისევე როგორც აფხაზი და ოსი უმცირესობების, გასაგები იყო. როცა სახელმწიფოს აღარ შეეძლო ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნება, ეროვნული სოლიდარობა გამოსავალი იყო. ამ გარემოებებში, ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც „სამოქალაქო“ ევროპული სახელმწიფოები (რომ აღარაფერი ვთქვათ ახლად აღმოცენებულ დამოუკიდებელ ქვეყნებზე, რომლებსაც დამოუცდელი ელიტები მართავდნენ) დაგმობდნენ პოლიტიკური ამბიციითა და შიშით მართულ ნაციონალისტურ, საბრძოლო მონოდებებს.

1989-1992 წლების ქართულ ნაციონალიზმს თუ ყურადღებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ის არც ლატენტური ეთნიკური სიძულვილის გამოვლიძება იყო და არც აგრესიული პოლიტიკური კულტურის გამოხატვა. ეს უფრო სახელმწიფოს კოლაფსით გამოწვეულ, განსაკუთრებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფიზიკურ დაუცველობასა და უსაფრთხოების განცდაზე იყო დამოკიდებული. თავადაპირველად, 1989-90 წლებში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ცდილობდნენ ეროვნული უმცირესობები არ მოექციათ ფოკუსში. ადრინდელ დემონსტრაციებში, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, ქურთი და სომეხი ეროვნების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას დანარჩენ არაქართველებთან ერთად (მსგავსი რამ ხდებოდა ბალსტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინაში, სადაც რუსები უჭერდნენ მხარს დამოუკიდებლობას).

ქართველმა რადიკალებმა ქართული პოლიტიკის „გაეთნიკურებაში“ კრემლის პროვოკაცია დაინახეს.³¹ 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციაზე ვერ დაინახავდით დროშასა თუ ცარციტ დახატულ ლოზუნგს, რომელზეც აფხაზეთი იქნებოდა ნახსენები, მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლის მარტში ლიხნის შეკრებაზე უკვე გაკეთებული იყო განცხადება საქართველოსგან გამოყოფაზე.³² მახვილი საქართველოს დამოუკიდებლობაზე კეთდებოდა.

1990 წლის მაისში გამსახურდია რადიკალურ ოპოზიციას გამოეყო უმაღლესი საბჭოს ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებისთვის მოსამზადებლად და დემოგრაფიული საფრთხე გამოიყენა მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მისი რიტორიკით, რომელსაც საქართველოს ერთიანობის აღფრთოვანებული ხედვა და მტრის საფრთხე ამოძრავებდა, ქართველებს ალყაში მოქცეულის განწყობა შეექმნათ. იგივე გააკეთეს ვლადისლავ არძინამ აფხაზეთში და ტორეზ კულუმბეგოვმა ოსეთში.³³ დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულების შექმნითა და პოზიტიური დისკრიმინაციის პროგრამებით საბჭოთა რეჟიმს ადგილობრივი აფხაზური და ოსური ელიტებისთვის სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად ფორა უკვე მიცემული ჰქონდა. სვანტე კორნელმა აღნიშნა თუ რა ძლიერი იმპულსი მისცა ეროვნულ ელიტებს აფხაზეთისა და ოსეთის მსგავსი ეთნოტერიტორიული ავტონომიების შექმნამ ქართული ცენტრის საწინააღმდეგოდ მობილიზებისთვის.³⁴

1990 წელს გამსახურდიას მოთხოვნით საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი. ეს სამხრეთ ოსეთის მიერ დამოუკიდებლობის აღიარებისა და სამხრეთ ოსეთის უმაღლეს საბჭოში არასანქცირებული არჩევნების საპასუხოდ მოხდა. მაგრამ მსგავსი პოლიტიკა აფხაზეთთან დამოკიდებულებაში არ გატარებულა. 1991 წელს გამსახურდიამ კონსოციალური ხელშეკრულება დადო აფხაზეთთან, რომელმაც აფხაზეთში მცხოვრები ქართველები პოლიტიკურად უთანასწორო მდგომარეობაში ჩააგდო. აფხაზეთმა, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 17.9%-ს შეადგენდნენ 28 ადგილი მიიღეს 65 წევრიან აფხაზურ პარლამენტში; ქართველებმა, მოსახლეობის 46%-მა კი – 26 ადგილი; ხოლო დანარჩენმა 37%-მა, ანუ, სომხებმა, ბერძენებმა და რუსებმა – 11. კონსტიტუციური ცვლილებებს ორი მესამედი ხმა სჭირდებოდა, რამაც აფხაზებს მათი არსებული სამართლებრივი უფლებებისა და პოლიტიკური გავლენისთვის შედარებით უზრუნველყოფილი დაცვა მიანიჭა.³⁵

გამსახურდიას განსხვავებული ქცევა აფხაზებსა და ოსებთან ოფიციალურ საბჭოთა პარადიგმას ეყრდნობოდა; აფხაზები ავტოქტონური ხალხი იყო, ოსები კი არ წარმოადგენდნენ საქართველოს ძირძველ მოსახლეობას.³⁶ რაც არ უნდა ყოფილიყო გამსახურდიას მამოძრავებელი, ანგარიშობდა ის, რომ სიტუაცია საქართველოს სასარგებლოდ შეიცვლებოდა თუ სხვა ვარიანტი აფხაზეთთან, და, საბოლოო ჯამში, რუსეთთან კონფლიქტს გამოიწვევდა, აფხაზეთში კომპრომისმა მისი მოქნილობა აჩვენა. საქართ-

ველო მხოლოდ ქართველებისთვის არ იყო. გამსახურდია ემუქრებოდა და ამცირებდა ეროვნულ უმცირესობებს. ის, მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობის გამო, ხელს უწყობდა მასწავლებლების, გლეხებისა და მეცნიერების შევიწროებას გორში, ბოლნისსა და თბილისში. მან, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად არაკომპეტენტური ტაქტიკოსი იყო, გათვლების გაკეთება მაინც შეეძლო. ყველა ეროვნული ჯგუფი ერთნაირად ცუდი ან მიუღებელი არ იყო მისთვის; თუკი ისინი ქართული კულტურის უზენაესობას აღიარებდნენ, მათ სიამოვნებით გაანევიანებდნენ სახელმწიფოში. გამსახურდიამ საქართველოდან გაძევებული მუსლიმანი მესხებიც მიიწვია თავიანთ სამშობლოში, სამხრეთ საქართველოში დასასახლებლად, მაგრამ იმ პირობით, თუ ქართველებად დარეგისტრირდებოდნენ.³⁷

როგორც მე-3 თავში ვვარაუდობ, გამსახურდიას მასობრივი მხარდაჭერა მხოლოდ მის ნაციონალისტურ მანდატს არ ემყარებოდა. მისი მოწოდებები უკავშირდებოდა შიდა და გარე მტრების იდენტიფიცირებას ეროვნების მიუხედავად, ვისთვისაც შეიძლებოდა კრიზისის დაბრალება. მის მიერ სახელმწიფო პატერნალიზმის წინ წამოწევა, მახვილი პირად ერთგულებაზე, ძლიერ აღმასრულებელზე და პლებისციტებისა და მიტინგების გამოყენება უფრო მეტს გვეუბნება. 1989-1991 წლების პოსტსაბჭოურ ქართულ საზოგადოებაზე, ვიდრე ნაციონალიზმზე ექსკლუზიური ფოკუსი. არალიბერალური პოპულიზმი უკეთესი ჩარჩოა გამსახურდიას ფენომენის სრული სპექტრის გასაანალიზებლად.

პრაგმატული ნაციონალისტი

1992 წლის მარტში საქართველოში დაბრუნებულმა ედუარდ შევარდნაძემ, ქვეყნის ელიტის შუამავლობით, ქართული პოლიტიკა ლიბერალიზმის პრინციპებზე გადაიყვანა. ქართულმა რევოლუციამ იაკობინიზმიდან გეზი ჟირონდიზმისკენ იცვალა და, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც, დიფერენციალისტური მოდელიდან ინტეგრაციულზე გადავიდა. აგრესიული ნაციონალიზმის რიტორიკა ამოიღეს ოფიციალური ლექსიკიდან და მისი ადგილი მოქალაქეობის, უმცირესობათა უფლებებისა და ფედერალიზმის ცნებებს დაუთმეს. მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლება სერიოზულ პრობლემებს წააწყდა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრაციის დროს; არ არსებობდა ერთიანი სტრატეგია და მენეჯმენტიც არ ვარგოდა. კანონპროექტი ეროვნულ უმცირესობებსა და ენის შესახებ კანონად არ ქცეულა (2002 წელს, როგორც საკმაოდ სადავო კანონპროექტი, ის თაროზე შემოდეს).³⁸ 1992, 1995, 1999 და 2003 წლების საარჩევნო სისტემების შედეგად. პარლამენტში სულ რამდენიმე დეპუტატი შევიდა ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებიდან, ხოლო არაქართველებით დასახლე-

ბული ოლქების სტატუსი ისევ გაურკვეველი იყო. იქ ცენტრიდან დანიშნული გუბერნატორები ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ ორგანოებს. მათთვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრები მინიმალური იყო. რაც შეეხება პროგრამას, რომელიც ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად არაქართველებით დასახლებულ ოლქებში, პროგრესი მაინც არ შეიმჩნეოდა. სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკაზე ინფორმაცია არ არსებობდა, კანონებიც თითქმის არ ითარგმნებოდა რუსულ ენაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სომხურზე თუ აზერბაიჯანულზე. ეთნიკურ უმცირესობათა ბევრმა წარმომადგენელმა დატოვა საქართველო. 1989-2002 წლებში, ეთნიკური რუსების სუფთა რაოდენობა 5-ჯერ შემცირდა; მათი წილი ქვეყნის მოსახლეობაში 6.3%-დან 1.5%-მდე დაეცა. სომეხთა წილი 8.1%-დან 5.7%-მდე შემცირდა. ქვემო ქართლში, წალკის რაიონში, მცხოვრები ბერძნების რაოდენობა მკვეთრად 100,324-დან 15,166-მდე შემცირდა.³⁹

თუმცა, შევარდნაძის ხელისუფლებამ სამართლებრივი და კონსტიტუციური ჩარჩოები შექმნა დემოკრატიული მრავალეროვნული საზოგადოებისთვის, მათ შორის სამოქალაქო და უმცირესობათა უფლებების დაცვის კონსტიტუციური და საკანონმდებლო ნორმები. კანონი მოქალაქეობის შესახებ, განსხვავებით ლატვიისა და ესტონეთის კანონებისგან, უპირობოდ ანიჭებდა მოქალაქის სტატუსს საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს. კანონი არ ითვალისწინებდა განსაკუთრებული სახის მოთხოვნებს, მათ შორის, არც სახელმწიფო ენის ცოდნას. 1997 წელს საქართველოს პასპორტებიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი რეკვიზიტები ამოიღეს. საქართველოს კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის კოდექსში, კანონებში, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების, განათლების და კულტურის შესახებ საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო და უმცირესობათა უფლებებს. უფლებები მოიცავდა საშუალო კლასებამდე განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლებასაც, თარჯიმნის ყოლის უფლებას სასამართლო პროცესებზე, თუკი რომელიმე მხარეს ქართული არ ესმოდა და პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის უფლებასაც, თუმცა, კონკრეტულად ეროვნული უმცირესობებისთვის მხოლოდ ერთ რეგიონში პოლიტიკური პარტიების შექმნა შეუძლებელი იყო.

ქართველმა კანონმდებლებმა გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს; შეიქმნა ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტი და სახალხო დამცველის ინსტიტუტი უმცირესობათა უფლებების განხორციელებაზე მონიტორინგისთვის.⁴⁰ შევარდნაძემ სამხარეო და რაიონის წარმომადგენლები ადგილობრივი ეროვნული ჯგუფებიდან დანიშნა, ხოლო მისმა გამოსვლებმა, რომელიც მოქალაქეობის კონცეფციას ადიდებდა, ხელი შეუწყო შოვნისტური ისტერიის განულებას, რაც 1992-1995 წლების პარლამენტში ბატონობდა.

მაგრამ რეალობა მოდელს ანგრევდა. საქართველოს უმცირესობათა უზადრუჟი საცხოვრებელი პირობები სამცხე-ჯავახეთში, მარნეულსა და ნალკაში, მათი დაბალი წარმომადგენლობა პარლამენტში, სუსტი ადგილობრივი ხელისუფლება, განათლების მიღებისთვის საჭირო რესურსების არარსებობა, განადგურების პირას მისული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რაც თბილისის ბაზარს მიუწვდომელს ხდიდა და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან კონფლიქტის მოგვარების წარუმატებლობა ხაზს უსვამდა საქართველოს ეროვნულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკის ფიქციურობასა და სახელმწიფოს უუნარობას, რომ არაქართველები სახელმწიფო სტრუქტურებში ჩაერთო. საერთაშორისო კონვენციები თუ პაქტები დეკორაციად რჩებოდა. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ შევარდნაძის პარლამენტი არ მიერთებია. ეს თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ყველასთვის. შევარდნაძის 2002-2004 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვალისწინებული იყო უმცირესობათა კანონშემოქმედებითი უფლებების განსახორციელებლად პოლიტიკურ ვაკუუმში გაიფანტა. შევარდნაძის ხელისუფლების ბოლო წლებში, არაკომპეტენტური და კორუფციული სახელმწიფო უბრალოდ აკვირდებოდა, თუ როგორ სცემდა სასულიერო ნოდებაჩამორთმეული მღვდელი თავის მრევლთან ერთად ქართველ ბაპტისტებს, იეჰოვას მოწმეებს და ორმოცდაათიანელებს.

პრაგმატული პურიტანი

სააკაშვილი ემოციური პოპულისტია, რომელიც საქართველოს განსაკუთრებულ მისიაზე აკეთებს განცხადებას და პრაგმატიკოსი, რომელმაც უკან ჩამოიტოვა თავისი წინამორბედები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიებთან ურთიერთობების მოგვარებასთან დაკავშირებით კონკრეტული წინადადებებით. მაგრამ ეკონომიკის მოდერნიზაციის, ევროპეიზაციისა და დემოკრატიის სააკაშვილისეულ მიზნებს განხორციელება არ უწერიათ, უმცირესობათა ინტეგრაციის გარეშე. მის ამოცანას კიდევ უფრო ართულებს წინამორბედებისგან მიღებული მემკვიდრეობა, მტრულად განწყობილი რუსეთი და სახელმწიფოსადმი უნდობლობა თითქმის ყველა არაქართულ რეგიონში. არაქართველები „დემოკრატიისგან“ ნაკლებს ელიან და თავიანთი სამოქალაქო ერთგულებისთვის ვერც მიმზიდველ ეკონომიკურ საზღაურს ხედავენ. სააკაშვილმა ზუსტად იცის, რომ ეროვნულ უმცირესობათა საკითხი ისეთივე პრობლემაა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც კულტურული.

სააკაშვილს სურს, რომ ქართველების ეროვნული სიამაყე უმცირესობების სამოქალაქო პატრიოტიზმთან გააერთიანოს. მაგალითად, ესპანეთმა

და შვეიცარიამ, მიუხედავად პრობლემებისა, მაინც მიაღწიეს შედარებით სიმშვიდეს უმრავლესობისა და უმცირესობების ურთიერთობებში გარკვეული პაქტების, დეცენტრალიზაციის და ეკონომიკური კეთილდღეობის საშუალებით. სხვა სახელმწიფოები ნაკლები წრამატებით გამოირჩევიან ამ კუთხით. ქართველობასა და მოქალაქეობას შორის კავშირმა, რომლის დამყარება მარტივი საქმე არ არის ჯერ ისევ სამოქალაქო ომითა და სეპარატიზმით/სეცესიონიზმით გაუღენთილ ქვეყანაში, შესაძლებელია რომ კარგი შედეგები მოიტანოს, თუ ხელისუფლება გულწრფელი და ტაქტიანი იქნება და თუ საკმარის რესურსებსაც გასცემს. სააკაშვილი ხშირად ახსენებს „ქართველის უკან დაბრუნებას“. ის გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტებზე კონტროლის ხელახლა დამყარებას, ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცებას და საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებას. ეს საოცარი მიზნებია ქვეყნის მეთაურისთვის, მაგრამ ამას გონივრული მუშაობა სჭირდება, ისე რომ არაქართველებისთვის ნამდვილი ეფექტი მოიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული შოვინიზმის ახალ ტალღად იქნება აღქმული.

სააკაშვილის გამარჯვება მოიცავდა საქართველოს ეროვნული სიმბოლოების, მაგალითად, ახალი დროშის ოსტატურად შეთავაზებას მოსახლეობისთვის, რომელიც „ქრისტიანულ სიმბოლოს, მაცხოვარსა და ოთხ მახარობელს განასახიერებს.“⁴¹ პრეზიდენტის გამოსვლები გადატვირთულია ქართველთა გმირობის მოხსენიებით. 2004 წელს, სააკაშვილი ინაუგურაციამდე, საქართველოს მე-11-12 (1089-1125წწ.) საუკუნის მონარქის, დავით აღმაშენებლის საფლავზე მივიდა. დავით აღმაშენებელი საქართველოს სიძლიერის ოქროს ხანას განასახიერებს. თბილისში, ეროვნული ხატებით, მათ შორის, საქართველოსთვის მებრძოლის ნმ.გიორგის ხატით და გვერდიგვერდ მოფრიალე საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით გარშემორტყმულმა პრეზიდენტმა საინაუგურაციო სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც ხაზი გაუსვა ქვეყნის ქრისტიანულ ფესვებსა და ევროპულ მემკვიდრეობას. ამავე დროს, მან 1990-იანი წლების რადიკალების ლოზუნგი შეატრიალა, საზგასმით აღნიშნა რა, რომ საქართველო „მხოლოდ ქართველების კი არა, ყველა ეთნიკური უმცირესობის სახლი იყო“. შემდეგ მან თქვა: „ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც საქართველოს თავის სამშობლოდ მიიჩნევს, იქნება ის რუსი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი, ბერძენი, უკრაინელი თუ ქურთი - ჩვენი სიმდიდრე და საგანძურია.“⁴² სააკაშვილს სწამს, რომ ქართული ეროვნული ღირსების გრძნობა, რაც აუცილებელია სახელმწიფოს კრიზისის დასასრულებლად, შეთავსებადია სამოქალაქო სიამაყესთან. ის წინააღმდეგობას არ ხედავს უმცირესობათა ეროვნულ კულტურულ გრძნობებსა და მათ სახელმწიფოსთან მიკუთვნებულობას შორის. მას წარმოუდგენია „სამოკავშირეო სახელმწიფო“ (როგორც შტეინ როკანმა და დერეკ ანვინმა უწოდეს) ანუ ძლიერი ცენტრი

უმცირესობათა დაცულ უფლებებთან და თუ საჭიროა, სახელმწიფო ტერიტორიებთან ერთად.⁴³ ესპანელები თავის ქვეყანას „ერების სახელმწიფოს“ უწოდებენ. სააკაშვილის ემოციური ლაპარაკი ქართველთა ისტორიულ დიდებასა და მათ განსაკუთრებულ წვლილზე სახელმწიფოს განვითარებაში ვერ ეხამება მის მულტიკულტურალიზმს. საქართველოს ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფოს გაძლიერება შეიძლება საფრთხის მომტანი იყოს. ახალი დროშა შეიძლება მართლაც არის ქვეყნის ქრისტიანული ფესვების მძალერი სიმბოლო, მაგრამ ახალ სახელმწიფოში ის საქართველოს მუსლიმანების როლს აკნინებს.

საკაშვილი მორალური და კულტურული აღორძინებისთვის რევოლუციური მებრძოლია. როგორც ყველა რევოლუციონერს მასაც სურს, რომ ისეთი სახელმწიფო შექმნას, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება მოსახლეობის წინაშე და სწარფად მოახდენს რეგირებას მის საჭიროებებზე. სააკაშვილის სამხედრო აღლუმების სიყვარული და მისი მგზნებარე გამოსვლები იმ მოსაზრებას გამოხატავს, რომ ქართველები სახელმწიფოს Staatsvolk-ია. ვარდების რევოლუციამ, საარჩევნო გამარჯვებებმა და საქართველოს ფაქტორის ზეგავლენამ ფერად რევოლუციებზე უკრაინასა და ყირგიზეთში, მის გამოსვლებს ალტაცების გრძნობა შემატა. მისი გამოსვლები კი ქართული განსაკუთრებულობის ფორმაა. 2008 წლის ომში დამარცხებამ ეს აზრი ვერ შეასუსტა, პირიქით, – განამტკიცა.

საკაშვილს რეკომენდაციებიც აქვს მომავალი რეფორმატორებისთვის. დაარტყი სწრაფად და „რეფორმა მუმიდვი, დაუყოვნებელ პროცესად აქციე.“ ნებისმიერმა „რეფორმატორმა უნდა იცოდეს, რომ მომავლისთვის შეჯიბრს სისწრაფე იგებს.“⁴⁴ ოპოზიციის აზრით, მისი ასეთი დამოკიდებულება, რასაც შეიარაღებული ძალებისადმი გადაჭარბებული რწმენა, გადანყვეტილებათა საკუთარ ხელში კონცენტრაცია და დასავლეთის გაუმართლებელი ნდობა ერთვის, გახდა სწორედ სამხრეთ ოსეთში დატრიალებული უბედურების მიზეზი 2008 წლის აგვისტოში.

რელიგიები და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია

საქართველო მრავალკონფესიური ქვეყანაა, ისევე როგორც მრავალეროვნული. ეროვნული ჯგუფები ხშირად ასოცირდებიან კონკრეტულ რელიგიებთან, თუმცა საქართველოში სურათი უფრო რთულია. მაგალითად, საქართველოს სომხები გრეგორიანელები (უმრავლესობა), კათოლიკეები, პროტესტანტები და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები არიან. ქართველთა სოლიდური ნაწილი მუსლიმანია, კათოლიკე და პროტესტანტი, ისევე როგორც მართლმადიდებელი, ხოლო აზერბაიჯანელები შიიტებად და სუნიტებად არიან დაყოფილი. სულ ბოლო დრომდე საქართვე-

ლო რუს ძველმორწმუნეთა (სტაროვერები), დუხობორების და მალოცნების სამშობლოც იყო, ისევე როგორც ებრაელების, რომლებსაც საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივი, თითქმის ორი ათასწლეულის ისტორია აქვთ. დამოუკიდებლობის შემდგომ, ახალი პროტესტანტული ჯგუფები გაჩნდნენ, ძველები კი გამოცოცხლდნენ. ბაპტიტები საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ იეჰოვას მოწმეები პირველად დიდი რაოდენობით 1990-იან წლებში გამოჩნდნენ, და როგორც არაოფიციალური სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, მათი რიცხვი 16.000-ია. ორმოცდაათიანელებს 9.000 მიმდევარი ჰყავთ და მეშვიდე დღის ადვენტიტებს დაახლოებით 350.⁴⁵

საქართველოში რელიგია და ნაციონალიზმი ამბივალენტურ ურთიერთობებში არიან ერთმანეთთან და, მიუხედავად რელიგიური განწყობების აღორძინებისა, მოსახლეობა საკუთარი ეკლესიის ასეთი მხარდამჭერი ყოველთვის არ იყო. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია (ქმე) დიდ ხანს იყო უმოქმედო, მას ანტიკლერიკალიზმიც გამოცდილი აქვს და შიდა რღვევაც. დღეს ის მდიდარია (სამების კათედრალი, რომელიც ქალაქს დაჰყურებს, ეკლესიის ახლადშექმნილი სიმდიდრის სიმბოლოა) და ხალხის გონებაში მჭიდროდ ასოცირდება ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასთან. 1990-იანების შუა წლებიდან ქართული ეკლესია ყველაზე სანდო ინსტიტუტი გახდა ქვეყანაში. რეგიონული კონტექსტის გამო – განსაკუთრებით კი, სამხრეთით, მაჰმადიანური ირანისა და ოსმალეთის იმპერიის სიახლოვემ ხელი შეუწყო ქართული ეკლესიის კულტურის გადამრჩენისა და ნმინდა ტექსტების დამცველად ქცევას. ბიზანტიის მებრძოლმა ნმინდანებმა, როგორც რწმენის დამცველებმა, განსაკუთრებული ფუნქცია იკისრეს საქართველოში. ეკლესიის მხრიდან აგრესიული წინააღმდეგობის განევა პროტესტანტული სექტებისთვის ნაწილობრივ ასახავს თვითგადარჩენისთვის საომარი მზადყოფნის შეგრძნებას.

1960-იანებში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია შედარებით გამოცოცხლდა. ეკლესიის აღორძინება 1970-იანებში დაჩქარდა 1977 წელს არჩეული, 44 წლის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორეს დამსახურებით. მეორე მსოფლიო ომამდე ქართული ეკლესიის დათრგუნვის შემდეგ, საბჭოთა რეჟიმმა საბოლოოდ განამტკიცა რელიგიასა და ქართულ კულტურულ აღორძინებას შორის კავშირი. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური რღვევისა და 1960-იანებიდან საბჭოთა რესპუბლიკებში კულტურული ნაციონალიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად ქართველთა ეთნოკონფესიური იდენტობა გამყარდა. ამან ათქმევინა ზვიად დამსახურდიას: ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ქართული ენისა და კულტურის წინააღმდეგ ბრძოლაა.⁴⁶ 1986-87 წლების შემდეგ, როცა ამ გრძნობების ღიად გამოხატვა შესაძლებელი გახდა, ერთგულება სახელმწიფო ეკლესიისადმი ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ნებისმიერი პარტიისა თუ ჯგუფისთ-

ვის. ყოველი ანტისაბჭოური მსვლელობა მორთულ-მოკაზმული იყო ჯვრებითა და ხატებით... და მას შემდეგ რელიგიურმა სიმბოლიკამ დაიპყრო ქალაქური ლანდშაფტი.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მშვიდობიანად თანაარსებობდა სხვა დანარჩენ ქრისტიანულ (და ისლამურთან) აღმსარებლობასთან საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ დამოუკიდებლობის შემდეგ ის სულ უფრო პრივილეგირებული გახდა. 2003 წლის გამოკითხვაში, გამოკითხული ქალაქელი ქართველების 95%-მა აღნიშნა, რომ მორწმუნე იყო ამა თუ იმ ხარისხით და, ეკლესიის ხელმძღვანელობის მსგავსად, დასავლელ ევანგელისტებს და პაპს საფრთხედ აღიქვამდა. რესპონდენტთა 47% დაეთანხმა იმ აზრს, რომ პროტესტანტული „სექტების“ ლიტერატურა უნდა განადგურებულიყო, ხოლო 81%-ს სწამდა, რომ „სექტებს“ დასავლეთი აფინანსებდა საქართველოს ერთიანობის დასარღვევად.⁴⁷ კათოლიკოს პატრიარქის გადანყვეტილება დაეტოვებინა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო 1997 წელს (ქართველი სასულიერო პირების დიდი ნაწილისთვის ეს საბჭო ანტიქრისტეს მოციქულთა საბჭოა), მის მიერ ეკუმენიზმის უარყოფა და ვატიკანთან კონფესიათშორისი ხელშეკრულების გაფორმებაზე კატეგორიული უარი (ქართველმა სტუდენტებმა ამ გადანყვეტილების მხარდამჭერი მსვლელობა 2003 წელს გამართეს) ეკლესიის გამოქვაბულში დაბრუნებას ასახავდა, ისევე როგორც თავისი სიძლიერის გავლენას ხალხის განწყობაზე. პარი პოტერი სატანისტია, ეკუმენიზმი კი – ერესი.

ქართული სახელმწიფო აცხადებს, რომ ქრისტიანობა მისი ევროპელობის მტკიცებულებაა. თუმცა, პოლიტიკის დესეკულარიზაცია და ეკლესიის ეთნონაციონალური გამორჩეულობა თანამდეროვე ევროპისგან უკან დახევაზე მიგვანიშნებს. კონკორდატი, რომელიც ქართულ ეკლესიასთან გაფორმდა 2002 წელს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებს: იმუნიტეტი (ხელშეუხებლობა) პატრიარქისთვის, ჯარში სამსახურისგან გათავისუფლება ეკლესიის ყველა მსახურისთვის, ბეგარისგან თავისუფალი ქონებისა და მიწების ფლობა და მისი უფლება ჩაატაროს რელიგიის გაკვეთილები სკოლაში, თუკი სკოლა თანახმა იქნება. სახელმწიფოსთვის უჩვეულო არ არის ეკლესიის მიწვევა პოლიტიკური ღონისძიებების, ცერემონიების ლეგალიზაციის მიზნით, – აშშ-ს პრეზიდენტის ინაუგურაცია თუ დიდი ბრიტანეთის პარლამენტის პირველი შეკრება ამის მაგალითია, მაგრამ საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა სულ უფრო ბუნდოვნად მოჩანს. 2005 წელს განათლების სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას უფლება მიენიჭა მონაწილეობა მიელო რელიგიის მასწავლებელთა მიღებასა და გათავისუფლებაზე საჯარო სკოლებიდან (მოგვიანებით უარი ითქვა ამ პუნქტზე). ხელისუფლება ეკლესიის თეოლოგიური საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის

ფინანსური დახმარების განწევას და ისტორიული ძეგლების ეკლესიის საკუთრებაში⁴⁸ დატოვებასაც შეჰპირდა. სახელმწიფო ეკლესიას ბიუჯეტიდან მილიონობით ლარს გამოუყოფს, ეს თანხები საპატრიარქოს კუთვნილ ტელეარხსაც ხმარდება. 2007 წელს პატრიარქმა საჯაროდ გააკეთა განცხადება კონსტიტუციური მონარქიის შესახებ (2009 წელს ბაგრატიონთა ორი შთამომავლის ქორწინების შემდეგ ბევრი ვარაუდობდა, რომ საქართველოში მეფე დაბრუნდებოდა) და დიდი ხანია ითხოვს ახალი კანონის მიღებას, რომელიც სამართლებრივად გამიჯნავდა (როგორც რუსეთში) საქართველოს ტრადიციულ აღმსარებლობებს (მართმადიდებლობა, იუდაიზმი, გრეგორიანიზმი) მათი დასავლელი მეტოქეებისგან. 2003 წლის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ ამ წინადადებას 85%-იანი მხარდაჭერა მიიღო მოსახელობისგან.⁴⁹ სააკაშვილის მხარდაჭერილი კონკორდატი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა სახალხო დამცველის 2005 წლის საპარლამენტო მოხსენებაში, ვინაიდან ის არათანასწორ უფლებებს ანიჭებდა რელიგიურ ორგანიზაციებს. სხვა ქართული რელიგიებს კერძო არაკომერციულ ორგანოებად დარეგისტრირების უფლება მიენიჭათ და არა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. 2011 წელს ეს ნორმა შეიცვალა და ყველა რელიგიურმა ორგანიზაციამ თანაბარი სამართლებრივი სტატუსი მიიღო.



მუსლიმანები ლოცვის დროს, ნამაზი, პანკისის ხეობა

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც მისი ყველა თანამოძმე მთელ მსოფლიოში, კონსერვატორული ინსტიტუტია. ნაციონალიზმის ეკლესიისეული ვერსია აბსოლუტურად ანტიდასავლურია; ასეთი დამოკიდებულება მას რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან აახლოებს, რომელთანაც ახლო ურთიერთობები ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში. თავის ქადაგებებში ილია მეორე გმობს აბორტს და ჰომოსექსუალობას, მოითხოვს ტელევიზიით „პორნოგრაფიის“ ჩვენების აკრძალვას, იწუნებს სკოლის სახელმძღვანელოებს არასაკმარისი პატრიოტიზმისთვის და მკაცრად აკრიტიკებს იმას, რასაც თავად უწოდებს „უკიდურეს ლიბერალიზმს.“⁵⁰ ეკლესიის გავლენისა თუ სიძლიერის ეჭვქვეშ დაყენება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ეჭვქვეშ დაყენებას გულისხმობს. 2003 წლის დეკემბრის ქადაგებაში პატრიარქმა გაფრთხილება გააკეთა საზღვარგარეთიდან შემომავალ „ფსევდო-კულტურასთან“ დაკავშირებით და განაცხადა, რომ საქართველოს ორი ძალა გადააჩრჩენდა, ქრისტიანული მენტალიტეტი და ორთოდოქსული ფილოსოფია.⁵¹ მან მკაცრად გააკრიტიკა სხვა კონფესიებისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების მცდელობა და როგორც 2011 წლის გამოკითხვა გვიჩვენებს, ქართველთა 69% ეთანხმება მას.⁵² ეს მოსაზრებები გამოწვევას უქმნის სააკაშვილის სამოქალაქო ნაციის (patrie) იდეებს და ფუნდამენტურ კითხვებს ბადებს ქართული იდენტობის შესახებ. სად თავსდებიან მესხები, ქისტები (პანკისის ხეობის ჩეჩნები), კათოლიკეები და ებრაელები ქართულ სახელმწიფოში? პატრიარქის განცხადებები საქართველოს მე-19 საუკუნის პატრიოტიზმის, ილია ჭავჭავაძის, სერგი მესხისა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებისგან უკან დახევას, რომლებიც წინააღმდეგობას ვერ ხედავდნენ ქართველობასა და მუსლიმანობას შორის.⁵³ თუმცა, ეკლესიის შიგნით მიმდინარე პოლემიკა ქართული პრესის ფურცლებზე გადმოიღვარა და რეფორმატორთა მცირე ჯგუფმა, რომელიც ეწინააღმდეგება ეკლესიის ავტოკრატიულ ტყვევას, დისკუსია წამოიწყო ეკლესიის როლზე სკოლაში, მის ურთიერთობებზე ევროპულ ეკლესიებთან, ადამიანის უფლებებზე და, რაც მთავარია, მის ურთიერთობაზე სახელმწიფოსთან.⁵⁴

ქართული ეკლესია საქართველოში არსებულ ყველა სხვა ინსტიტუტზე პოპულარულია, მაგრამ აქ გარკვეული განმარტებაა საჭირო. პირველ რიგში, ეს ყოველთვის ასე არ იყო, 1991 წლის დამოუკიდებლობის შემდეგაც კი. ეკლესიის ურთიერთობები გამსახურდიასთან დაძაბული იყო, ხოლო პატრიარქის მიერ რუსეთის თავდაცვის მინისტრის, პაველ გრანოვის, მონათვლამ 1990-იანების დასაწყისში, შეარყია (თუმცა დროებით) ეკლესიისა და პატრიარქის რეპუტაცია. მეორე, ქართველებისთვის რელიგია უმთავრესად კულტურული და სოციალური მოვლენაა. ძალიან ცოტა ხალხი დადის რეგულარულად ეკლესიაში და ცოტას თუ ესმის მართლმადიდებლური ლიტურგია თუ რიტუალები.⁵⁵ მორწმუნე ქართველთა უმრავლესობა არ

გახლვით ბიბლიის ზუსტ ინტერპრეტაციაზე მიჯაჭვული „ქრისტიანი ფუნდამენტალისტი“. ეკლესია იდენტობის სიმბოლოა, ის ცხოვრების მმართველი არ არის. მესამე, რელიგიურობის მომატება საქართველოში უფრო ფართო გლობალური ფენომენის ნაწილია, მაგრამ, ძირითადად, რეაქციაა პოსტსაბჭოური კაპიტალიზმით ტრადიციული ღირებულებებისა და სოციალური იდენტობის ერთმანეთისგან გამიჯვნაზე. დემოგრაფიული დანაკარგი, მზარდი ეკონომიკური დაუცველობა, კორუმპირებული სახელმწიფო ინსტიტუტები და უქმყოფილება დასავლეთით ეკლესიის იდეალიზაციის წყაროა. საითკენ შეიძლება ქართველები მიტრიალებულიყვნენ, როცა ნაციონალისტური და დასავლური დაპირებები აღარ შესრულდა? მეოთხე, რელიგია იშვიათად თუ გვევლინება ქართველებისა და მათი მეზობლების კონფლიქტის წყაროდ. ეკლესიათა საკუთრებისა თუ მეჩეთების მშენებლობაზე მიმდინარე მძიმე დავები რელიგიას არ ეხება, უფრო რესურსებსა და კულტურულ უპირატესობას. პროტესტანტების დევნა ვესტერნიზაციისა და თანმდევი ბოროტების უარყოფით იკვებება. ვარდების რევოლუციაში რელიგიას ფუნქცია არ ჰქონია, ხოლო აჭარელი და მარნეულები მუსლიმანების სულ უფრო მზარდ რელიგიურობას – ახალგაზრდა მუსლიმანები დღეს ირანის, თურქეთისა და არაბეთის გაერთიანებული ემირატების მედრესებში სწავლობენ – არანაირი ზეგავლენა მოუხდენია ქართველებისა და მუსლიმან უმცირესობათა ურთიერთობებზე. მეხუთე, ყველა კონფესია უარყოფითად არ აღიქმება. კათოლიკეების, პროტესტანტების, ებრაელების და მუსლიმანების მიმართ ქალაქური მოსახლეობის ნახევარსა და ნახევარზე მეტს ცუდი განწყობა არ აქვთ.⁵⁶ გრეგორიანელები და მუსლიმანები ისევე ღიზიანდებიან იეჰოვას მოწმეებსა და ორმოცდაათიანელებზე, როგორც ქართველი მართლმადიდებლები. მეექვსეც, პრეზიდენტ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ჯგუფები ხელახლა გამოჩნდნენ სცენაზე, მაგალითად, ანტიდარვინისტული მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, რელიგიური შევიწროება თითქმის არ ხდებოდა. მამა ბასილ მაკლავეიშვილს, რომელიც ნიგნების დანვისა და ბაპტისტებსა და იეჰოვას მოწმეების დარბევების მოთავე იყო, 2004 წელს რევანლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო 2005 წელს მიღებული განათლების შესახებ ახალი კანონით შემოვიდა წესები, რომელთა მიხედვითაც ეკლესიის გავლენა სკოლებზე უნდა შეიზღუდოს.⁵⁷ და ბოლოს, ანტიდასავლური ღირებულებების მიუხედავად, ეკლესიას მხარს უჭერს ისეთი მოსახლეობა, რომელიც უმეტესად პროდასავლურია და მისი აზრი, ყოველთვის, დემოკრატიული ღირებულებების თაყვანისცემელია.

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ამბივალენტური ურთიერთობა აქვს სახელმწიფოსთან. ერთი მხრივ, ის ძლიერი მხარდამჭერია ხელისუფლების და ლეგიტიმაციის მიმნიჭებელი (მაგალითად, 2008 წლის ომის დროს) და სააკაშვილისთვის გამოსადეგი მოკავშირეცაა წესრიგისა

და დისციპლინის დაცვის კამპანიაში. ამავე დროს, ის ეკლადაც ერჭობა მოდერნიზაციის გზაზე შემდგარ სახელმწიფოს. სასულიერო პირები ამტკიცებდნენ, რომ ამომრჩეველთა მარკირება კენჭისყრის დროს (განმეორებით ხმის მიცემის თავიდან ასაცილებლად), ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის პრინციპებს; პატრიარქმა საერთაშორისო საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამებიც დაგმო (ისევე, როგორც საზღვარგარეთ მუშაობა), როგორც არაპატრიოტული. დღეს ქართველ პოლიტიკოსთაგან (პრეზიდენტიც იგულისხმება) ან ჟურნალისტებიდან ვერავინ ბედავს დაუპირისპირდეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის არალიბერალურ იდეოლოგიას ღიად. ქართული მართლმადიდებლობა სახელმწიფოს დე ფაქტო „ოფიციალურ“ რელიგიად იქცა. ეკლესიის საჯაროდ დაცვა იმპერატიულია პარლამენტის დეპუტატებისთვის ისე, როგორც 30 წლის წინ კომუნისტური რწმენისდამი ერთგულება იყო. სააკაშვილი შეიძლება იცავდეს რელიგიურ თავისუფლებას, მაგრამ მას არასდროს გაუკრიტიკებია ეკლესიის ხელმძღვანელობა რელიგიური დევნის უსიტყვოდ მხარდაჭერის გამო, დეპუტატებმა კი ცხადად დაგმეს სახალხო დამცველის მოსაზრება, რომ კონკორდატი არაკონსტიტუციური იყო. პაატა ზაქარაიშვილი წუხს, რომ, საბოლოო ჯამში, ეკლესიასთან ასეთი, რევერანსები „შეიძლება დაბრკოლებად იქცეს ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე.“⁵⁸ მსგავსი დამოკიდებულება ხელს უწყობს თვითცენზურას, კონფორმიზმსა და ინდეფერენტიზმს სხვადასხვა ჯგუფის რელიგიური უფლებებისადმი. ეკლესია შეიძლება მძლავრი იარაღი აღმოჩნდეს პოპულისტური ოპოზიციის ხელში ან ისეთივე სარისკო გახდეს ძლიერი პაქტიარქის შემთხვევაში სეკულარული რეფორმისტისთვისაც. მაგრამ მიუხედავად პოპულარობისა, ქართული ეკლესია თავდაცვით პოზიციაში იმყოფება. იეჰოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები და ბაპტისტები ისევე ხეირობენ რელიგიური გამოღვიძებით, როგორც ქართველი მართლმადიდებლები. 2010-2011 წლებში პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმდენი ძალა მოიკრიბა, რომ პირველად დაესწრო ბაპტისტთა, კათოლიკეთა და სომხების ღვისმსახურებას. ეს იმის მიმინიშნებელია, რომ ეკლესია შეიძლება კარგავდეს კონტროლს სამთავრობო წრეებში.

სხვადასხვა ნაციონალიზმი საქართველოში

მრავალეთნიკურობას ვერ უგულებელვყოფთ საქართველოს ისტორიაში. ის ასახულია ქართული ენის მდიდარ და მრავალფეროვან წყაროებში, ქვეყნის ეკლექტურ არქიტექტურაში, სამზარეულოში (კერძებში), ლიტერატურასა და ხალხის სახეობზე, რომლებსაც ქუჩებში ხედავთ. საქართველო იყო ქვეყანა, რომელსაც ესპანელები „pai s de pasar“-ს უწოდებენ ანუ ქვეყანა, რომელზეც უნდა გაგველო. რომაელებს, არაბებს, ირანელებს, თურქებს,

მონღოლებს, რუსებს და ბრიტანელებსაც დაპყრობილი ჰყავდათ საქართველო; უფრო მეტს კი მშვიდობიანი ქარაზებით ჰქონდა ის გადასერილი. დღეს, ჩინელები და ამერიკელებიც ემატებიან მრავალეთნიკურ ნარევს. 1899 წელს, საქართველოში მოგზაურობისას, კნუტ ჰამსუნმა ასე აღწერა თბილისი: „აქ შეხვდებით კავკასიური ხალხების ნაკრებს, ქართველებს, მთიელებს, ურალ-ალტაის ტომებს, ყველა თათარს... სპარსელებს, ქურთებსა და სომხებს, სამხრეთიდან – არაბეთიდან და ჩრდილოეთიდან, – თურქ-ისტანიდან ჩამოსულებს.“⁵⁹ საქართველო ისევ აშკარად მრავალეროვნულია, მაგრამ ბოლო ორი სეცესიური ომის, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ეკონომიკური მიგრაციის გამო, ის იქცა ქვეყნად, რომელშიც დღეს ტიპულარული ხალხი მოსახლეობის უფრო მეტ წილს შეადგენს, ვიდრე ოდესმე.

დასავლეთში, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სახელმწიფოს სიძლიერის გამომცდელ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეცესიური მოძრაობებზე, მუსლიმანი თურქების რეპატრაციის კამპანიაზე (ისინი სამხრეთ საქართველოდან გადაასახლეს 1944 წელს) და რუსეთის საზღვართან მცხოვრებ ქისტებზე, რომლებზეც ამბობენ, რომ ალ-ქაიდასთან დაკავშირებულ ჩეჩენ ტერორისტებს იფარავენ. ახლახანს, უფრო მრავალრიცხოვანმა სომხურმა და აზერბაიჯანულმა თემებმა მიიპყრეს ყურადღება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გამო, რადგან მილი მათ დასახლებულ პუნქტებს კვეთს. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ ქურთებს, იეზიდებს, რუსებს, ასირიელებსა და ებრაელებს მათი მცირერიცხოვნებისა თუ იმის გამო, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი არ არიან.

ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისთვის ნებისმიერმა მრავალეროვნულმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს ეროვნული ჯგუფების თანასწორობა და ცნოს მათი უფლებები კულტურულ თვითგამორკვევაზე. ამავე დროს, ამ სახელმწიფოს საერთო პოლიტიკური იდენტობის შექმნა და საერთო პოლიტიკური ძალაუფლების დამყარება სჭირდება და, ამასთან, „შედეგებითაც“ უნდა უზრუნველყოს თავისი მოსახლეობა. მაგალითად, ფიზიკური უსაფრთხოებითა და სოციალური მობილურობისთვის საჭირო შესაძლებლობებით. დემოკრატიული სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს სოციალიზაციის პროცესს გარკვეულ დონეზე, მაგრამ მრავალფეროვნებისთვის პირობები უნდა შექმნას. საქართველოში ამ ამოცანების შესრულება ხალხების ნამდვილი ნაკრების არსებობით რთულდება, რასაც სიღარიბე, უმუშევრობა და გამსახურდიას პრეზიდენტობის დროიდან მექვიდრებით მიღებული ძლიერი უნდობლობაც ემატება.

საბჭოთა საქართველოში ხალხები არათანასწორნი იყვნენ; ადგილობრივ მკვიდრებად და ახალმოსახლებებად განსაზღვრულებს მიმარგებული ჰქონდათ ცვალებადი ტერიტორიული სტატუსი, რომელიც მოცულობას, კომპაქტურობასა და ადგილმდებარეობას ეყრდნობოდა. საქართველოსავით

მცირე რესპუბლიკისთვის უჩვეულო იყო სამი „სახელმწიფოებრივი“ წარმონაქმნის არსებობა მის შემადგენლობაში, კერძოდ, ლაპარაკია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე. 70 წლის მანძილზე ეს ტერიტორიები „საკრალური“ გახდა თავისი საკუთარი საზღვრებით, ინსტიტუტებით, სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოებით და სახელმწიფო სიმბოლოებით. საბჭოთა სახელმძღვანელოებში ხალხები აღწერილი იყო, როგორც მდგრადი ფენომენები, მიუხედავად იმ რიტორიკისა, რომ საბოლოოდ მაინც გაქრებოდნენ. მართალია აფხაზეთისა და ოსეთის ადგილობრივი მოსახლეობა თანაარსებობდნენ ქართველებთან, მაგრამ საერთო კულტურული და პოლიტიკური სივრცის განვითარება მათთან ერთად ვერ შეძლეს, გამონაკლისი, ალბათ, დედაქალაქია, სადაც ეს მოხერხდა. 1970-იან წლებში არსებული განსხვავებები დასაქმებასა და განათლების დონეებში, თუ ინფრასტრუქტურის განვითარებაში (მაგალითად, გზების მშენებლობასა თუ ელექტროენერჯით მომარაგებაში) ეროვნული უმცირესობების მიერ აღიქმებოდა, როგორც ქართული ცენტრის მხრიდან მათი, პოლიტიკური თვალსაზრისით, უგულებელყოფა. საბჭოთა საქართველოს დროინდელმა ისტორიამ, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა აფხაზების შეხედულებას მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ თუ სამხრეთ ოსების პრეტენზიების უარყოფამ იმის თაობაზე, რომ ისინი კავკასიის სამხრეთ ფერდობზე სახლობდნენ ისტორიულად, განამტკიცა ამ ხალხების უნდობლობა თბილისისადმი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტიტულარული ელიტები ამ ტერიტორიებს „თავის საკუთრებად“ მიიჩნევდნენ და შიშობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ პრივილეგიებს, ისევე როგორც უსაფრთხოებას, წერტილს დაუსვამდა. 1990-1992 წლების შოვინისტური ქართული ხელისუფლების მოქმედებებმა მათი შიში გაამართლა⁶⁰

დას გუპტა ამტკიცებს, რომ ეთნიკური კონფლიქტები „იმ ძალაუფლებაზე პრეტენზიებია, რომელიც წყვეტს ვინ გახდეს განვითარების პროცესის ბენეფიციარი“⁶¹. მართალია, ამ მოსაზრების ჭრილში საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ურთიერთობების ემოციური და ისტორიული დაძაბულობა სათანადოდ ვერ ფასდება და შიშის ფუნქციაც, როგორც დაცვის, ქრება, ის აქცენტს ეკონომიკურ პოლიტიკასა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთკავშირებზე აკეთებს. ნაციონალიზმს სიღარიბე არ წარმოშობს (კვებუკისა და ბელგის გამოცდილებამ საბოლოოდ უნდა გააქარწყლოს ეს აზრი), მაგრამ სოციალური დიფერენციაცია და ეროვნულ-კულტურული საკითხების გარშემო მღელვარება და შფოთი მყარად არიან ურთიერთდამოკიდებული. ენა, სწავლა-განათლება და კულტურის პროგრესი ეკონომიკური საკითხებია, რომლებიც დაკავშირებულია ბიუჯეტის ასიგანციებთან, ადგილობრივი ხელისუფლების რესურსებსა და მედიის მხრიდან კონტროლთან.

2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ეროვნულ უმცირესობათა

31% აცხადებდა, რომ ქართულს თავისუფლად ფლობდა (1979 წლის 19.5%-თან შედარებით). 1998 წლის კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, ითხოვს, რომ სახელმწიფო სამსახური განხორციელდეს ქართულ ენაზე (აფხაზეთში კი, აფხაზურ ენაზეც, რადგან ის მეორე სახელმწიფო ენაა აფხაზეთში). ეს კანონი უმცირესობათა იზოლაციას აძლიერებს. 2006 წლისთვის, ქვემო ქართლში მაცხოვრებელი არაქართველების 83.1%-მა განაცხადა, რომ ქართული ენა საერთოდ არ იცოდა; სამცხე-ჯავახეთში ეს მაჩვენებელი 75.4% იყო.⁶² ჩვეულებრივ, სახელმწიფოები ეროვნულ სასწავლო პროგრამას ლოიალურობისა და ერთგულების გრძნობის გამოჭედვისთვის იყენებენ, მაგრამ თბილისს გარეთ მაცხოვრებელი არაქართველები ენის გამო მოკვეთილები არიან და თითქმის არაფერი იციან ქართული საშინაო პოლიტიკის, თუ კანონებისა და ისტორიის შესახებ. პრეზიდენტ შვეარდნაძის ლატაკი ხელისუფლება სომხეთიდან შემოტანილი საზოგადოებრივების სახელმძღვანელოების იმედზე იყო, რომლებშიც დედაქალაქად ერევანი მოიხსენიებოდა და არა თბილისი. ახალი მთავრობა მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს. ის ქართული ენის პროფესიონალ მასწავლებლებს სპეციალურად ამზადებს და არაქართველებით დასახლებულ რაიონებში გზავნის, ამას გარდა, ეროვნულ გამოცდებში არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის სპეციალური კვოტებიც დანესდა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აგებაც მიმდინარეობს რეგიონული ეკონომიკის თბილისთან დასაკავშირებლად. 2004 წელს, სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებელი სომეხი ეროვნების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივები ლოიალურები არიან არიან: 82.3% ფიქრობდა, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებელი იყო.⁶³

ენის უცოდინრობა პირდაპირ კავშირშია დაბალ შემოსავლებთან არაქართულ რაიონებში. ამის გამო, ქვეყნიდან ნიჭიერი ახალგაზრდობა გადის, მინისა და საქმიან ხელშეკრულებებზე გაუგებრობები ხდება, სახელმწიფო სამსახური მიუწვდომელია და არც ინვესტიციები შემოდის. ეთნიკური სომხებით დასახლებულ რაიონებში, რომლებიც სწრაფი ტემპით ცარიელდება, მთავარი საზრუნავია უმუშევრობა, განათლების მიღება, საცხოვრებელი პირობები, დემოკრატია და მინები. აზერბაიჯანლებით დასახლებულ მარნეულის რაიონში გამოკითხულ რესპონდენტთა 89.2%-მა უმუშევრობა დააყენა მთავარ პრობლემად, ხოლო შემდეგ – გზები (46.4%-მა). „ეროვნებათშორისი დაპირისპირება“ მხოლოდ 1.4%-მა აღნიშნა. კითხვარებზე საჯაროდ გაცემული პასუხები სრულ სურათს არ ავლენს (განსაკუთრებით თუ ინტერვიუერი ქართველია), მაგრამ ფოკუს-ჯგუფები გვიჩვენებს, რომ გამოკითხულები ცენტრალურ ხელისუფლებას ადანაშაულებენ ეკონომიკურ პრობლემებში. სოფლად მაცხოვრებელი ბევრი ეთნიკური სომეხი დარწმუნებულია, რომ უმუშევრობა ჯავახეთში დაგეგმილია ქვეყნიდან მათი ემიგრაციის ხელშესაწყობად; როგორც ერთ-ერთმა სომეხმა ახალგაზრდამ

შენიშნა, „თეთრი გენოციდი“ სვანეთიდან და აჭარიდან სტიქიური უბედურების გამო ჩამოსახლებულ ქართველებს სამშუალებას მისცემს მიტოვებული სომხური საცხოვრებლები ხელახლა დაასახლონ.⁶⁴ აზერბაიჯანელი ფერმერებიც ასევე უდგებიან მიწის რეფორმის დროს (1990-იანების შუა წლები) ჩადენილ უზნეო და კორუფციულ ქმედებებს, რომელშიც მიწის ყიდვაზე შეზღუდვებიც იგულისხმება სასაზღვრო რაიონის 21 კმ-ის ფარგლებში და ამას ქართველების მხრიდან მიწის მიტაცებად მიიჩნევენ. 1996 წლის კანონმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ შეზღუდვები შეასუსტა, მაგრამ მიწები თავდაცვის სამინისტროს და სხვა სამთავრობო უწყებების საკუთრებაში დარჩა. მათ შემდგომ უკანონოდ გასცეს მიწები იჯარით არაადგილობრივებზე (ძირითადად ქართველებზე) შეღავათიან ფასად.

„სახელმწიფოს შეძლების“ (stateness) პრობლემა ქართული დემოკრატიისთვის ფეხნამოსაკრავი ქვაა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უსაფრთხოების საკითხში რუსეთზე არიან დამოკიდებული, მაგრამ 2008 წლის შემდეგ „დამოუკიდებლობას“ ვერ ელევინ. აფხაზეთში ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვები ცხადყოფს, რომ აფხაზები ქართველებისადმი მიმტყვებლები არ არიან.⁶⁵ ის, რომ საქართველოს არ მიუღია ენასა და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კანონები, სადაც განმარტებული იქნებოდა უმცირესობათა უფლებები, აფხაზებს საფუძველს აძლევს დაეჭვდნენ საქართველოს ხელისუფლების გულწრფელობაში. სახელმწიფოსადმი ერთგულების გაღვივება არაქართველთა შორის დამოკიდებულია მათი ყოფაცხოვრებისთვის აქტუალური სახელმწიფო კურსის გატარებაზე, მაგალითად, უსამართლოდ განაწილებული მიწების სანაცვლოდ, კომპენსაციების გაცემაზე, დასაქმებაზე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და მათი შვილებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე. საარჩევნო სისტემაზე უნდა შეიცვალოს, რათა არაქართველებს უკეთესი და უფრო მრავალმნიშვნელოვანი წარმომადგენლობა ჰყავდეთ საკანონმდებლო ორგანოში. ეუთოს ლუნდის (Lund) რეკომენდაციებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით, შემუშავდა მექანიზმების სისტემა, რომელიც მმართველობის ყველა დონეზე მათი მონაწილეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. დოკუმენტი შეახსენებს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს, რომ „მონაწილეობა, არსებითად, რაღაც პროცესში ადამიანის იმგვარ ჩაბმას ნიშნავს, როცა მას შესაძლებლობა აქვს, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი წვლილის რეალური შედეგებიც იხილოს.“⁶⁶ ³

³ ლუნდის რეკომენდაციების ქართული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: <http://diversity.ge/files/files/lund-geo.pdf> (მთარგმნ. შენიშენ.)

განუწყვეტლობა თუ უწყვეტობის რღვევა

ქართულ ნაციონალიზმს დიდი და არაერთგვაროვანი ისტორია აქვს, რომელიც მშვიდობიანი თანაარსებობისა და ინტეგრაციის ხანგრძლივ პერიოდებსაც იცნობს. საინტერესო არა იმდენად ძალადობისა და ეთნიკური კონფლიქტის „უწყვეტობაა“, არამედ მისი წყვეტა. რამ აქცია ახალი ქართული სახელმწიფო, რომელსაც გვერდში ედგა მოსახლეობის უმრავლესობა, საკუთარი ეროვნული უმცირესობებისთვის (ყველასთვის – არა) ძლიერ საფრთხედ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე?⁶⁷ რამ აქცია საკმაოდ კარგი მიზნები ერთმანეთისთვის აუტანლად? და რამ მოიტანა რადიკალური ნაციონალიზმი და მისი მარცხი 1990-იანების შუა წლებში? 1989-1995 წლებს შორის ქართული ნაციონალიზმის გამწვავებაზე სულ მცირე, სამმა ფაქტორმა მოახდინა გავლენა: პოსტსაბჭოურმა „დემოკრატიულმა“ ხელმძღვანელობამ, სახელმწიფო კრიზისმა და გარედან ჩარევამ.

პირველ რიგში, საბჭოთა კავშირმა გმირებისა და მტრების მთელი თეატრალური დასი უანდერძა თავის რესპუბლიკებს. საბჭოთა სახელმწიფოს ფსევდოპოლიტიკამ ძალზე შეზღუდული სივრცე დატოვა იმისთვის, რომ პროცესებში კრიტიკულად ჩართული საზოგადოების განვითარება დაწყებულიყო, რომელიც მოლაპარაკებების წარმოებასა და კომპრომისზე წასვლას შეძლებდა და რომელიც პროცესს იგრძნობდა. საბჭოთა ლიდერები, სამთავრობო ინსტიტუტები და კანონმდებლობაც კორუფციულად აღიქმებოდა ან საქართველოს მონინალმდევე შეთქმულებად. ეროვნული კრიზისის დროს, ახალგაზრდა, მორწმუნე და ცნობილი პატრიოტის ვაჟი, ზვიად გამსახურდია, იმ ანტიკომუნისტურ გმირს მოერგო, ქართველები რომ ეძიებდნენ. ამავე დროს, ის საბჭოთა პროდუქტი იყო – შეუწყნარებელი და კონსპირაციული თეორიების მოყვარული. მისმა პოპულისტურმა რიტორიკამ გააძლიერა ქართველთა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ისინი კონტროლს კარგავდნენ საკუთარ ქვეყანაშივე.⁶⁸

მეორეც, სახელმწიფო სწრაფად დაიშალა დამოუკიდებლობის შემდეგ. მისმა კოლაფსმა პოლიტიკური სივრცის დემოკრატიზებას და პოლარიზაციას შეუწყო ხელი. პოლიტიკას წარმართავდა ეიფორიისა და შიშის ნარევი, და მუშტი-კრივი რესურსებისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად. ეთნოტერიტორიულმა ცნობიერებამ და პრიმიტიულმა მანიქეიზმმა შედეგად ფრაგმენტაცია მოიტანა და ეთნიკურობაში უაღრესად სახიფათო დროს პოვა თავშესაფარი.

მესამე, რუსი პოლიტიკოსების ჩარევამ პროცესებში, განსაკუთრებით, აფხაზეთში, უმცირესობები ქართველთა დომინირების წინააღმდეგ ნააქეზა (თუმცაღა, აზერბაიჯანლებისა და სომხების შემთხვევაში, მათი „დედა-სამშობლოების“ ჩარევამ კონფლიქტი გაანელა). რუსეთის მიერ ოსებისა და აფხაზეთის „დაცვა“ ბრუბეიკერის სამკუთხა ურთიერთკავშირის მესამე

ღერძის ილუსტრაციაა: „დედა“-სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს „საკუთარი“ თუ ეთნიკური არა, ყოველ შემთხვევაში, ლინგვისტური შეილობილების დაცვაზე.⁶⁹ რუსეთის დაცვა ეთნიკურ სიმპატიებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ სახელმწიფოსა და რუსული პოლიტიკური ორგანიზაციების იდეოლოგიურ ალიანსს, რომელიც პროდასავლური ქართული სახელმწიფოს მშენებლების წინააღმდეგ მოუწოდებდა ყველას.⁷⁰

ღერადიკალიზაცია და კვლავ რადიკალიზაცია

რადიკალიზაცია მაშინვე გაქრა, როგორც კი გამოჩნდა. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, საქართველოს ისტორიას შევარდნაძე ინტერეთნიკური თანამშრომლობის დადებით მაგალითად მოიხსენიებდა.⁷¹ მილიტარისტული ნაციონალისტური ორგანიზაციები, მაგალითად, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება და წმ. ილია მართლის საზოგადოება, რომლებიც 1989-1992 წლების პოლიტიკურ დისკურსში დომინირებდნენ, მარგინალებად იქცნენ. რატომ დაკარგეს მათ მიმზიდველობა ასე სწრაფად? პირველ რიგში, იმიტომ, რომ გამსახურდიას მმართველობის არალიბერალური პოპულიზმი ქმედუნარო იყო, მან სამოქალაქო ომი გააჩაღა, რეგიონები დააქუცმაცა და ქვეყნის იზოლაცია გამოიწვია ევროპისგან. ეროვნულ უმცირესობებთან კონფლიქტმა და ქართველთა შორის სამოქალაქო ომმა კათარზისი გამოიწვია, ამან მშვიდობის, წესრიგის დამყარებისა და ძველი, იდეალური მრავალეროვნული თანამშრომლობის სურვილი გააღვიძა. მეორე, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ქართველების პოლიტიკური მომნიჭება დაჩქარდა. 1993 წლის სექტემბერში საქართველოს დამარცხებას აფხაზეთთან კონფლიქტში სწრაფად მოჰყვა რადიკალური განცხადებებისადმი სკეპტიციზმი. გამსახურდიას ანტირუსულმა პოლიტიკამ ქვეყანას იმისკენ უბიძგა, რომ გაეცნობიერებინა თავისი ჩრდილოელ მეზობელთან შეგუების საჭიროება.

მესამეც, ევროპულსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში თავისი ფუნქცია ჰქონდათ. ქართველები ევროპელებად და დასავლეთის კულტურული თემის ღირსეულ წევრებად მიიჩნევდნენ თავს. გამსახურდიას მიერ დასავლელი ლიდერების სრული გაუცხოება არ შეესაბამებოდა დასავლეთთან გაერთიანების ქართველთა მოლოდინს. ევროპელობა სამოქალაქო და უმცირესობათა უფლებების იდეალებთან თანხმობას ითხოვდა და კანონის უზენაესობას. საქართველოს ოფიციალურ მიღებას დასავლურ საზოგადოებაში, რაც შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ მოხდა 1992 წლის მარტში, ეკონომიკური მხარდაჭერის იმედიც მოჰყვა.

და ბოლოს, ღერადიკალიზაცია სახელისუფლებო ელიტაში ცვლილებებმა გამოიწვია. შევარდნაძესთან ერთად ყოფილი ნომენკლატურაც თავის

ადგილზე დაბრუნდა – რაიონების პარტიის მდივნები, კომკავშირის წარმომადგენლები, სანარმოების დირექტორები და ზომიერი ინტელექტუალებიც. ახალგაზრდა პროდასავლელმა მოდერნისტებმა, რომელთაგან ბევრს განათლება დასავლეთში ჰქონდა მიღებული, ახალ პრაგმატიზმს ძალა შემატეს. შევარდნაძეს ნაციონალიზმზე ხელი არ აუღია, მან ხელახლა მოახდინა მისი კონსტრუირება და სახელმწიფოს ძიებიდან სახელმწიფოს მშენებლობის ჩარჩოში მოათავსა. მან ნაციონალიზმი „ინსტიტუტად“ აქცია, ხაზს უსვამდა რა შერიგებას და საქართველოს ევროპასთან ალიანსს. ამ „რქებმოტეხილ“ ნაციონალიზმს თან სდევდა, როგორც ბრუბიკეერი ამბობს, „მობილიზაციის კლებადი მრუდები.“⁷²

ვარდების რევოლუციამ ხელახლა მიიზიდა ხალხი თავისი პირდაპირი მოქმედებით, მასობრივი მონაწილეობით და ახალგაზრდული დინამიზმით. თუმცა, ადრინდელი ამბოხებისგან განსხვავებით, ის ძალადობრივი არ იყო და სწრაფად შეადგინა, ყოველ შემთხვევაში იდეოლოგიურად მაინც, ანტირევოლუციური დღის წესრიგი. რევოლუცია უმალ გარდაიქმნა სახელმწიფოს მართულ პატრიოტიზმად, გააერთიანა რა ოფიციალურად გაცხადებული მულტიკულტურალიზმი და კონტროლს დამორჩილებული მობილიზაცია საომარ პროპაგანდასა და ახალგაზრდათა პატრიოტულ ბანაკებთან. სააკაშვილს იმედი აქვს, რომ მზარდი კეთილდღეობა და სამოქალაქო პატრიოტიზმი, რომელსაც ქართველები უდგანან სათავეში, საქართველოს გააერთიანებს. თუმცა, სააკაშვილის თავსატეხია როგორ გაუქუთოს პოპულარიზება ძლიერ, ინტეგრირებულ სახელმწიფოს, რომელიც კორუმპირებული ეთნოკრატიების დაშლას, ქართული ენის მხარდაჭერასა და სახელმწიფოს ავტორიტეტის გაძლიერებას ითხოვს, ისე რომ გაქართველების შიშები არ აღადგინოს სხვების მეხსიერებაში. ჯერჯერობით, მან ვერ მოახერხა არაქართველთა შფოთვის განელება, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ძალაუფლების ნამდვილი განაწილება უგულვებელყო. მისმა მახვილმა ცენტრალურ კონტროლზე (აჭარის ავტონომიის კასტრაცია 2004 წელს, ადგილობრივი მმართველობის 2005 წლის რეფორმა) და ეკონომიკურმა მიწიძაღობმა რეგიონებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული უთანასწორობები გაზარდა. ის აზრი, რომ აყვავებული საქართველო თავის წაიღში მიიზიდავს არაქართველებს, მაგალითად, სამხრეთ ოსებს, უგულვებელყოფს სიმდიდრის შექმნის არათანაბარ პროცესს. უფრო მდიდარი თბილისი, ალბათ, გაზრდის გაღიზიანებას პერიფერიის ღარიბ რეგიონებს შორის. ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას არ მიუღწევია, მაგალითად, სომხებით დასახლებულ ჯავახეთამდე, სადაც ხუთიდან ოთხ ზრდასრულ ადამიანს სრულგანაკვეთიანი სამსახური არა აქვს, თუ არ ჩავთვლით სოფელ თვითდასკმებულ მოსახლეობას.

ეთნიკური კონფლიქტი ძალზე ორაზროვანია საქართველოს კონფლიქტების დასახასიათებლად. ის უშვებს, რომ მოწინააღმდეგე ეროვნუ-

ლი ჯგუფების წევრები მხარს უჭერენ მათი ლიდერების მიზნებსა და სტრატეგიას. ის აქრობს სხვადასხვაგვარ ინტენსივობას და ათანაბრებს კონფლიქტის დონეებს. და რალა უნდა ითქვას პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შიშზე, ეკონომიკურ თვითდაინტერესებაზე, პრივილეგიის დაცვასა და ძლიერი მეზობელი სახელმწიფოების როლზე, როგორც კონფლიქტის წყაროებზე? ეროვნულ ჯგუფებს შორის გაჩენილი აგრესია შეიძლება არ მოექცეს არანაირ მოდელში და პროგნოზსაც არ დამორჩილდეს, მაგრამ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შემთხვევები მყარად მიგვანიშნებს, რომ ამ უთანხმოებების „გაეთნიკურება“ მოსახლეობის მობილიზაციას კი არ უსწრებდა, არამედ მობილიზაციასთან ერთად მიმდინარეობდა. კონფლიქტი და ომი წარმოშობს ნაციონალიზმს და, პირიქით, ნაციონალიზმსაც ასეთივე წარმატებით შეუძლია შეას კონფლიქტი და ომი.⁷³

საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები კონსტიტუციურ საკითხებთან, თვითმმართველობის უფლებებთან და ტერიტორიულ სტატუსთან დაკავშირებული დავებით დაიწყო („კანონების ომი“). გამსახურდიას უარი არ უთქვამს აფხაზთა მოთხოვნებზე სპეციალური პოლიტიკური და კულტურული უფლებების თაობაზე; მისთვის მთავარი იყო საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნება. მაგრამ კონფლიქტების გამძაფრებასთან ერთად, განსაკუთრებით კი, სისხლისღვრის შემდეგ აფხაზეთში 1989 წლის ივლისს და სამხრეთ ოსეთში 1990 წელს, რიტორიკა შეიცვალა და კულტურულ და ისტორიულ შეუთავსებლობასთან დაკავშირებულ უთანხმოებაში გადავიდა. ყოველი კონფრონტაციის შემდეგ კონფლიქტი ძალას იკრებდა და თავისით მიდიოდა, აძლიერებდა რა, უსამართლობის, გარიყულობისა და უსაფრთხოების შეგრძნებებს ყოველი მხარისთვის. შეიძლება, ძალადობა ნებისმიერ შემთხვევაში ყოფილიყო, მაგრამ მოსკოველი და თბილისელი გარეშე მოთამაშეების ჩართვამ საქმეში ორივეგან, აფხაზეთსა და ოსეთშიც, ცეცხლი შეუთო კონფლიქტს.⁷⁴

კავშირი ეთნიკურ კონფლიქტსა და აგრესიას შორის საქართველოში სამი მცდარი დაშვების შედეგია: რომ თუ ჯგუფები „ეთნიკურია“, მაშინ კონფლიქტის სათავე ეთნიკური უნდა იყოს; რომ ეთნიკური კონფლიქტი აფეთქდება, რომელიც უნდა მოხდეს; და რომ ყველა ეთნიკური კონფლიქტი ირაციონალურია და, შესაბამისად, სისხლისღვრით შეიძლება დამთავრდეს. ამ წინაპირობებით ქართული ნაციონალიზმის როლის ანალიზი უნაკლო ვერ იქნება.

დასკვნა

ისტორიულად, ქართული ნაციონალიზმი უფრო მკრთალია ევროპულ ნაციონალიზმებთან შედარებით. თუ გავითვალისწინებთ იმ სამხედრო საფრთხის მასშტაბებს, რომელთა წინაშეც ქართული სახელმწიფოს

მთლიანობა იდგა, საკვირველია ქართველთა თავშეკავებულობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვისას. ეს ნაწილობრივ, პოლიტიკური დაღლილობით აიხსნება, თუმცა ომის დროსაც კი, 1992-1993 წლებში, ცოტა ქართველს თუ სურდა სიცოცხლის საფრთხეში ჩადება კამპანიისთვის, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, თბილისში, შორეულ ომად მოჩანდა. მებრძოლთა უმრავლესობა სამხედრო დაჯგუფებების მეთაურების ჯაბა იოსელიანის ან თენგიზ კიტოვანის მიმდევარი იყო ან სოხუმელი ქართველები, რომლებიც საკუთარ სახლ-კარს იცავდნენ. ეს არ მიაჩნებოდა იმაზე, რომ ქართველებს პატრიოტიზმი აკლდათ, მაგრამ სახალხო მოძრაობა, რომელიც მოტივირებული და შენარჩუნებული იყო წარსულისგან მიღებული მილიტარისტული ნაციონალისტური ვნებებით, შეუფერებელია ამ მდგომარეობისთვის. საინტერესოა, როგორი რეაქცია ექნებოდათ ამერიკელებს აშშ-ს ტერიტორიის ნაწილის დაკარგვაზე და ძლიერი მეზობლის მხრიდან მათ შინაურ საქმეებში ჩარევაზე. ეჭვი მაქვს, რომ ქართველებსავით გულგრილობას არ გამოიჩენდნენ.

რაზეც დღეს ქართველები ძირითადად ფიქრობენ, ეკონომიკა, ინფლაცია, ჯანდაცვა და პენსიებია. როგორც ამერიკულ ნაციონალიზმს არ შეეფასებდი სამხედრო დაჯგუფებების ლიდერების ან პოპულისტი პოლიტიკოსების განცხადებებით, ზუსტად ასევე ვერ გამოვთქვამ ვარაუდებს რადიკალური ქართული ნაციონალიზმის შესახებ ქართველ ლიდერთა რიტორიკასა თუ როიტერისა და ასოშიეთიდ პრესიდან მიღებულ საგანგაშო რეპორტაჟებზე დაყრდნობით. ბევრი ქართველი ისევ გამოხატავს ანტიფაშისტურ, ანტიოსურ და ნაკლებად ღიად, მაგრამ მაინც ანტისომხურ განწყობებს. აგვისტოს ომამდე გამოკითხულ ქართველთა უმრავლესობა არ იყო თანახმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის უფრო მეტი ავტონომია მიენიჭებინა.⁷⁵ მაგრამ როგორც ანატოლ ლივენი მიუთითებს ჩეჩნური ნაციონალიზმის თავის გონივრულ ანალიზში:

ამ სამყაროში ბევრი ხალხია, რომელიც პერიოდულად ერთობა ნაციონალისტური რიტორიკით, კიდევ უფრო მეტია ელიტები, რომლებიც ამ რიტორიკას ნამდვილი და მახინჯი მიზეზების შესანიღბად იყენებენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად. თუმცა, სინამდვილეში, რამდენს აქვს უნარი ან ნება იმისთვის, რომ სისრულეში მოიყვანოს თავისი სიტყვები?''⁷⁶

ქართული ნაციონალიზმს სხვა დანარჩენი ხალხების ნაციონალიზმის მსგავსი თვისება აქვს, რასაც ტომ ნაირნმა ნაციონალიზმის იანუსის მსგავსი სახე უწოდა, რომელიც წარსულისა და მომავლისკენაც იყურება⁷⁷. აღშფოთებულს გლობალიზაციის ზემოქმედებით ქართველთა უმრავლესობას მაინც ამ გლობალური სამყაროს ნაწილად ქცევა სურს; იზიარებს რა სახელმწიფოებრიობის ეთნოკულტურულ კონცეფციას, ის მულტიკულ-

ტურული პოლიტიკის მომხრეა, რომელიც მისი გაიდებულ ნარსულის ხედვას ეყრდნობა; ეროვნული სუვერენიტეტის ღრმად მორწმუნე, ის ევროკავშირისკენ ისნარფვის, იმ გაერთიანებისკენ, რომელიც ზღუდავს სუვერენიტეტს.

გამსახურდიას დროს, იმპერიის კოლაფსის კონტექსტში, ქართული ნაციონალიზმი ერიკ ჰობსბაუმის მიერ აღწერილ გვიანი მეოცე საუკუნის გამომრიცხველ მოძრაობებს ჰგავდა.⁷⁸ ის რადიკალური, პოპულიტური და ანტიისტებლიშმენტური იყო. მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვამ, სამოქალაქო ომმა და რეგიონალიზმის საფრთხემ ელიტების მიერ მართული შევარდაძისა და სააკაშვილის ემოციური, მაგრამ მოდერნიზებული ნაციონალიზმის კონტექსტი შექმნა. ნაციონალიზმი ორივემ იარაღად გამოიყენა სახელმწიფოს სტაბილიზაციისთვის და არა მისი დესტაბილიზაციისთვის.

საქართველო არ არის ეთნონეიტრალური სახელმწიფო, ეს იშვიათი მიღწევაა მსოფლიოში. ქართული ეკლესიის კონსტიტუციური პირველობა, ეროვნულ უმცირესობათა დაცვისთვის გამიზნული სრულყოფილი კანონის შექმნის სურვილის უქონლობა და პოლიტიკური ოპონენტების შეურაცხყოფა ვითომდა ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე (საკაშვილს სომხობაში ადანაშაულებენ) მონობს ქართული ეროვნული იდენტობის ეთნოკულტურულ არსს. მაგრამ, ამავე დროს, ევროკავშირისკენ სწრაფვის გამო, ქართული ელიტები იძულებული გახდნენ უმცირესობათა უფლებების დამცველი საერთაშორისო ნორმები შეინარსებინათ. კანონმდებლობაში შეეტანათ. ეთნოკულტურული საკითხები არ თამაშობენ როლს საგარეო პოლიტიკაში. თურქეთი, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რიგითი ქართველი მისდამი უნდობლობითაა განწყობილი, მუსლიმური საფრთხიდან ნატოს წევრ მოკავშირე სახელმწიფოდ გადაიქცა.

ქართული ნაციონალიზმი, სავარაუდოდ, არ იქცევა ლიბერალურ ინტეგრაციულ მოდელად უახლოეს მომავალში, ნაწილობრივ იმ მიზეზითაც, რომ თავად საქართველოს ეროვნული უმცირესობებისთვის მიუღებელია ეს. მათ სურთ ისე მოეპყრან, როგორც დამოუკიდებელ ეროვნულ ჯგუფებს და იმ სისტემის შენარჩუნებაზე ფიქრობენ, რასაც რასმა კარკლინსმა „ეთნო-პლურალიზმი“ შეარქვა, სისტემა, რომელიც აღიარებს და მოიხრებს დამოუკიდებელ ეროვნულ უფლებებს.⁷⁹ საქართველოს მდიდარი მრავალეროვნული ტრადიციები საშუალებას იძლევა ამგვარი მოდელის შექმნისთვის. მაგრამ მისი ქმედითობა სახელმწიფოს ავტორიტეტზე, სტაბილურ რეგიონულ გარემოსა (რუსეთის მხრიდან ჩარევის შემთხვევაში აფხაზეთისა და ქართველების შერიგება შეუძლებელია) და ხელისუფლების მიერ სოციალური და ეკონომიკურ პოლიტიკის შეცვლაზეა დამოკიდებული. საქართველოს „ეთნიკური“ პრობლემები „ავტონომი-

ური" არ გახლავთ. მათი გამოცალკეება ან გამოყოფა საქართველოს მემკვიდრეობისა და განწყობების რთული ნარევიდან ან ეკონომიკური და სოციალური სირთულეებისგან შეუძლებელია. რაც უფრო ახლოს ეცნობით საქართველოს მოსახლეობის „ეთნიკურ“ ნიშან-თვისებებს, მით უფრო ჭირს მათი დახმარებით კონფლიქტის სათავეების ახსნა თუ კონფლიქტის მოგვარება.

თავი მესხრა

ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა

ოზი

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ ოთხი დამანგრეველი ომი გადაიტანა. 1990-იანების დასაწყისში, ორი სეცესიური და სამოქალაქო ომი, ერთბაშად მოჰყვა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინსტიტუტების კოლაფსს. 2008 წლის აგვისტოში ქვეყანა ისევ შეარყია ომმა, ამჯერად, უშუალოდ რუსეთთან. 7 აგვისტოს, თითქმის შუალამისას, როცა ქართულმა სამხედრო შენაერთებმა რამდენიმეწლიანი არალეგულარული ბრძოლების შემდეგ, ცხინვალს (სამხრეთ ოსეთის „დედაქალაქი“) შეუტიეს. სამხრეთ ოსეთი ძალიან პატარა მთიანი რეგიონია კავკასიონის დიდი ქედის სამხრეთ კალთებზე. ომამდე აქ 70.000 ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის, 30.000 ქართველი. დანარჩენ მოსახლეობას სამხრეთ ოსები და გარკვეული რაოდენობის სომეხი და რუსი ეროვნების მოსახლეობა შეადგენდა. სამხრეთ ოსებს საკუთარი მთავრობა ჰყავდათ 1990-იანი წლებიდან, რომელიც, ძირითადად, რუსი სახელმწიფო მოხელეებით იყო დაკომპლექტებული; მის უსაფრთხოებას 2008 წლის აგვისტომდე დსთ-ს გაერთიანებულ სამშვიდობო ძალთა ოთხმხრივი კონტინგენტი იცავდა. სამხედრო კონტინგენტში რუსული ნაწილები დომინირებდნენ, რომლებსაც „მშვიდობისდამცველები“ შეცდომით ეწოდათ.

18 წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთი ომის გარდაუვალი საფრთხის წინაშე იყო; გაერო და ეუთო შეთანხმებულად არ მუშაობდნენ, რესურსებსაც მინიმალურადხარჯავდნენდამიუხედავადმათიდიპლომატიისადადმისიყვარულისა, სინამდვილეში კონფლიქტი უზრუნველყვეს იმით, რომ დსთ (ე.ი. რუსეთი) ადგილობრივ „მშვიდობისდამცველად“ აღიარეს. გაეროს უსაფრთხოების საბჭოში რუსეთის წევრობამ პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა რომელიმე საერთაშორისო სამშვიდობო ინიციატივის გატანა. რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები მუდმივად ეწინააღმდეგებოდნენ ქართული მხარისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინადადებებს იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსი ფედერალურ საწყისებზე მოგვევარებინათ ან

რამე შეეცვალათ წარუმატებელ სამშვიდობო ოპერაციებში. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებას ან დამოუკიდებლობას ითხოვდა. ქარაქული ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის პრეტენზიებს ეროვნულ თავისუფლებაზე კონფლიქტისთვის მარგინალურად მიიჩნევდა. როგორც ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ამტკიცებს, კონფლიქტი ეთნიკური კი არა, პოლიტიკურია: ის მიგვიჩივებს იმ ფაქტზე, რომ სამხრეთ ოსები და ქართველები მშვიდობიანად თანამეზობლობენ საქართველოს სხვა რეგიონებში.¹ უდავოა, რომ არაეთნიკურმა ფაქტორებმა, ისეთებმა როგორებიცაა, მაგალითად, რუსეთის სტრატეგიული მიზნები, შიდა ეკონომიკური კავშირების რღვევა, ვაჭრობისა და კონტრაბანდის გამო სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტები და ადგილობრივ დონეზე რუსეთის სამხედრო ინტერესები, დიდი წვლილი შეიტანეს ამ კონფლიქტის გაღვივებაში, რომელიც, ძირითადად, ზემოდან იყო მართული და შენარჩუნებული. 1990-1991 წლებში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამხრეთ ოსების გორიდან, ბორჯომიდან და სხვა რაიონებიდან გაძევების ხელშეწყობამ, სამხრეთ ოსეთის მთავრობისთვის უარის თქმამ იმის თაობაზე, რომ ის სამხრეთ ოსების ინტერესების წარმომადგენელი ყოფილიყო, ჩრდილოეთ ოსეთის მოწოდებაზე, ჩართულიყო მოლაპარაკებათა პროცესში, მოწოდების უყურადღებოდ დატოვებამ და შინ ეროვნული საკითხის მოგვარებაში წარუმატებლობამ ომისკენ გადახრა გაადვილა მათთვის, ვისაც ეს სურდა.²

საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მისი შეტევა ცხინვალზე 2008 წლის 7 აგვისტოს პროვოცირებული იყო რუსეთის შემოჭრით საქართველოში. ეს კი იმ დღეს გამთენიისას მოხდა. ამ განცხადების მტკიცებულებები არსებობს.³ შუა დღეს ცხინვალში იაკობაშვილი გაგზავნეს მოსალაპარაკებლად. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ უარი თქვა მასთან შეხვედრაზე.⁴ საქართველოს ეროვნულმა უშიშროების საბჭომ ინფორმაცია მიიღო რუსული სატანკო ნაწილების გადაადგილებაზე და საგანგებო სხდომაზე ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთა. რამდენიმე საათში, როცა ტანკების გადაადგილებაზე თბილისში ინფორმაცია ჯერ ისევ მოდიოდა, უშიშროების საბჭოს ბრძანება გაუქმდა. რუსეთის 58-ე არმია, რომელიც „კავკასია 2008“ ივლისის სამხედრო წვრთნებისთვის ჩრდილოეთ ოსეთში იყო განლაგებული, საქართველოში როკის გვირაბის (სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის დამაკავშირებელი გვირაბი) გავლით შემოვიდა. მისი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი კონფლიქტის ზონებში მშვიდობის დამყარებას ეულისხმობდა. რუსეთის ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ ის საქართველოში მხოლოდ ქართული მხარის მიერ ცხინვალის დაბომბვის შემდეგ შემოიჭრა. და ასე მოიქცა, რადგან საქართველო მის მოქალაქეებს (სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის

უმრავლესობას რუსეთის მოქალაქე იყო, რუსეთის 2002 წლის მოქალაქეობის შესახებ კანონის მიხედვით) და მშვიდობისდამცველებს ხოცავდა. რუსეთის ყველაზე გასაოცარი ბრალდება კი ის გახლდათ, რომ საქართველოს ხელისუფლება გენოციდს ატარებდა. ეს გახდა საბაზი იმისთვის, რომ რუსეთს „დაცვის პასუხისმგებლობის“ პრინციპის (R2P) შესაბამისად ემოქმედა და დაეცვა დევნილი მოსახლეობა – ჰუმანიტარული მოსაზრებები.⁵ ქართველებმა, პირიქით, ომს ცივილიზაციურის ფორმულირება მისცეს, შეაფასეს, როგორც თავდასხმა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სუვერენიტეტის ევროპულ ღირებულებებზე და პარალელი საბჭოთა კავშირის მიერ 1939 წელს პოლონეთის დაპყრობასთან, 1956 წელს უნგრეთში ამბოხების ჩახშობასა და 1968 წლის პრალის ოკუპაციასთან გაავლეს. რუსეთის ინტერვენცია ირიბად, მართლაც, წარმოადგენდა იმპერიულ და ავტორიტარულ საფრთხეს ევროპული სტაბილურობისა და მშვიდობისთვის.⁶

კონფლიქტი 5 დღეს გაგრძელდა. (მასზე საშინელი ჰოლივუდური ბლოკბასტერი გააკეთეს). მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა საჰაერო დაცვასა და საარტილერიო ოპერაციებში, ქართული არმია მოუმზადებელი აღმოჩნდა. მისი ელიტური ბრიგადა მაშინ ერაყში, ალ-ქუთში იდგა, სტრატეგიულ გეგმაზეც უხეიროდ მუშაობდნენ გენერალურ შტაბში (იქ იმედი ჰქონდათ, რომ რუსულ შენაერთებს ცხინვალის ჩრდილოეთით, გუფთის ხიდთან შეაჩერებდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის საქმეში ჩართვამდე). ქართული სამხედრო ძალები გაანადგურეს რაოდენობრივად უპირატესმა რუსებმა.⁷ 11 აგვისტოსთვის ქართული ჯარები გამოსული იყვნენ სამხრეთ ოსეთიდან და შინისკენ მიიჩქაროდნენ. ჯარისკაცები შემხვედრ მანქანებს ემგზავრებოდნენ, თბილისელებს კი აფრთხილებდნენ დაეტოვებინათ ქალაქი. რუსებმა დასავლეთიდან დაიკავეს ფოთი, ზუგდიდი და სენაკი და ჩრდილოეთიდან – გორი. ქართული საჰაერო ძალები არ გამოჩენილან, მაგრამ საზღვაო ფლოტს არ გაუმართლა. ის მთლიანად გაანადგურეს თავის სადგომზე, ფოთში. მინისზედა კომუნიკაციები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის განწყდა. ოს შეიარაღებულ ჯგუფებთან ერთად რუსმა ჯარისკაცებმა განმინდეს სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლები ქართველებისგან, გადაწვეს მათი საცხოვრებლები და დახვრიტეს კიდევ სამოქალაქო პირები.⁸

მთლიანობაში, 850 ადამიანი დაიღუპა ორივე მხარეს და 130.000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლ-კარი.⁹ საქართველოში შემოჭრა და მისი ტერიტორიის დე ფაქტო ანექსია ამ რეგიონში აშშ-ის პოლიტიკის სტრატეგიული მარცხი იყო და დიდი გამოწვევა გამოდგა საერთაშორისო სამართლისთვის, რომელსაც ხანგრძლივი ეფექტები მოჰყვება (ჰუტინი ამტკიცებს, რომ კოსოვოს აღიარება იყო შემობრუნების ნერტილი საერთაშორისო სამართალში). ევროკავშირის შუამავლობით

ცეცხლი კი შეწყდა 15 აგვისტოს, მაგრამ, სხვა მხრივ, ყველა ასპექტში, საქართველოში შექრას საერთაშორისო თანამეგობრობისგან სუსტი რეაგირება მოჰყვა (ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, პოლონეთმა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა მოითხოვეს უფრო მკაცრი ზომების გატარება, მაგრამ მათი წინადადება უარყოფილ იქნა). აღშფოთებაც ბევრი იყო, – რუსებმა უგულბელყვეს ეროვნული სუვერენიტეტისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპები, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ დაუწესებიათ. დასავლეთის სახელმწიფოებმა და ნატომაც მას შემდეგ აღადგინეს მეგობრული კავშირები რუსეთთან. გაეროს წესდება არაფრისმაქნისი აღმოჩნდა, როგორც თავად ევროპის უსაფრთხოების სტრუქტურები; ხოლო გაეროს სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 2010 წლის ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც სეპარატისტული ქვეყნების უფლებები იქნა აღიარებული დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, საქართველოსთვის საეჭვოა, რომ სასიკეთო იყოს.¹⁰ ქართულმა ოპოზიციამ ხელისუფლებას დიდ შეცდომაში დადო ბრალი. მან განაცხადა, რომ ხელმძღვანელობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ვერც ქართული სამხედრო ძალების შესაძლებლობები და ვერც რუსეთის რეაქცია და, ამასთან, საბოლოოდ დაუსვა წერტილი შევარდნაძის მიერ სამხრეთ ოსეთის მთავრობასთან მიღწეულ დროებით შეთანხმებას (modus vivendi). სამოქალაქო სამიზნეზე, ცხინვალზე, განურჩეველი საარტილერიო იერიშის განხორციელებაზე მიღებული გადაწყვეტილება უდიდესი შეცდომა იყო, რომელმაც დააკარგვინა საქართველოს საერთაშორისო სიმპათია და დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

2008 ქართული ჯარი უკეთ მომზადებულად გამოიყურებოდა, ვიდრე 2004 წელს. 2003 წელს 12.000 ჯარისკაცი, 2008 წლისთვის კი 32.000 ჯარისკაცი (ოთხი ბრიგადა) ჰყავდა განვრთნილი აშშ საზღვაო ქვეითთა კორპუსს აშშ-ის დაფინანსებული „წვრთნისა და აღჭურვისა“ (2002-2004), ხოლო 2005 წლიდან „უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ოპერაციების“ პროგრამების ფარგლებში. 2001 წლიდან აშშ მთავრობის სამხედრო დახმარებასთან ერთად იზრდებოდა საქართველოს თავდაცვის საბიუჯეტო თანხები და 2008 წლისთვის 1.5 მილიარდ ლარს მიაღწია (დაახლოებით მილიარდი აშშ დოლარი). ეს მშპ-ის ზრდას წარმოადგენდა 1-დან 8%-მდე ოთხი წლის მანძილზე.¹¹ 2008 წელს სამხედრო ხარჯებმა ბიუჯეტის თითქმის ერთი მეოთხედი შეადგინა, ხოლო ხარჯების ერთი მესამედი აღჭურვილობის შექმნაზე დაიხარჯა. ჯარის ნაწილები გორისა და სენაკის ახალთახალ ყაზარმებში იდგნენ, სამხედრო ტექნიკითა და მწვრთნელებით ისრაელიდან, უკრაინიდან და ჩეხეთის რესპუბლიკიდან (თუმცა, ხანდახან იარაღი გაუმართავიც იყო) მარაგდებოდა. ქართველი ოფიცრები აშშ-ის, გერმანიის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო

სასანავლებლებში სწავლობდნენ და დიდ ფულად ჯილდოებსაც იღებდნენ, ხოლო ვინც ბოლომდე მსახურობდა, მას ბინაც უფასო ჰქონდა. 2008 წლისთვის, ქართველ ჯარისკაცთა 80% კონტრაქტით მსახურობდა, რეზერვისტთა სავალდებულო პროგრამა კი 2006 წელს ამოქმედდა. მისი მიზანი იყო 100.000 ჯარისკაცის მომზადება 2012 წლისთვის (ამ ამბიციურ იდეაზე უარი ითქვა ომის დროს რეზერვისტთა სავალდებულო სამხედრო ოპერაციების შემდეგ). მიუხედავად ამ ინვესტიციებისა, საქართველოს ყველაზე მცირემასშტაბიანი სამხედრო ძალები ჰყავდა სამხრეთ კავკასიაში.

ომმა სერიოზული პრობლემები გამოავლინა ქართულ სამხედრო სტრუქტურებში. ხელისუფლების სამხედრო ხარჯები დამალული იყო, თანხები ხშირად იფლანგებოდა ძველ საბჭოთა აღჭურვილობაზე, რომელსაც უკრაინასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში ყიდულობდნენ ან ხარჯავდნენ ისეთ სპეციალურ ტექნიკაზე, რომლისთვის სათანადოდ მომზადებული კადრები არ არსებობდა (აგვისტოს ომის დროს ქართველებმა ვერ გამოიყენეს აშშ-ის სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებები და მათ ნაცვლად, მობილური ტელეფონებით სარგებლობდნენ, რაც იოლი ხელმისაწვდომი იყო რუსი სამხედროებისთვის). აშშ-ის სამხედრო მომზადება ქართველების შეტევითი და საიერიშო ომისთვის განვრთნას კი არ ითვალისწინებდა (ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებდა ამერიკის ადმინისტრაცია), არამედ მუდამობხეთა სადამსჯელო და მშვიდობისდამცველი ოპერაციებისთვის მომზადებას და, ამასთან, აშშ-ის სამხედრო დახმარება „საერთაშორისო წვრთნისა და განათლების“ (IMET) და „ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების“ (EXBS) პროგრამების ფარგლებში მცირე იყო.¹² რეზერვისტები მხოლოდ 18-24 დღიან მომზადებას გადიოდნენ, რისი გამანადგურებელი შედეგები გამოჩნდა კიდეც, როცა 10.000 რეზერვისტი გორში გადაიყვანეს ქალაქის დასაცავად. სამინისტროდან დაუფიქრებლად ათავისუფლებდნენ საკადო ოფიცრებს (თვადაცვის ყოფილმა მინისტრმა ოქრუაშვილმა 200 ოფიცერი გაათავისუფლა 2004-2006 წლებში, მათ შორის, იყო გენტმტაბის უფროსიც), ქართველი ოფიცრებს კი, მართალია უკეთ მომზადებულებს, ბრძოლის, განსაკუთრებით კი, ქალაქებში ბრძოლის გამოცდილება აკლდათ. რაც ყველაზე ცუდია, ქართველ ლიდერებს უსაფუძვლო რწმენა ჰქონდათ იმისა, რომ ქართული ჯარი საუკეთესო იყო კავკასიაში და რომ ის მზად იყო ქვეყნისთვის აეცილებინა ნებისმიერი გარეშე საფრთხე. და მაინც, ომი საქართველოს დაუფიქრებელი და წინდაუხედავი ლიდერების მიზეზით არ მომხდარა, როგორც ხშირად ამტკიცებენ, ეს გამოიწვია ყოველი ახალი მთავრობის მარცხმა კონფლიქტის შიდა წყაროების მოგვარებაში.¹³

2008 წლის მაისში, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე აფრთხილებდნენ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ რუსეთი ომისთვის ემზადებოდა. ამის დამამტკიცებელი ფაქტებიც მომრავლდა;

რუსულმა სამხედრო საჰაერო ძალებმა მოუხშირეს საქართველოს თავზე ფრენას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მშვიდობისდამცველთა რაოდენობა გაიზარდა, ცხინვალის მოსახლეობა ევაკუირებული იყო და რუსი და ოსი ნახევრადმეიარაღებული ჯგუფებიც აგვისტოს დასაწყისში ჩამოვიდნენ სამხრეთ ოსეთში. რუსი ჟურნალისტი პაველ ფელგენჰაუერი ამტკიცებდა, რომ რუსეთის ხელისუფლება ომს თვეების მანძილზე გეგმავდა, იქიდან გამომდინარე, თუ რა სწრაფად და ფართო მასშტაბით განხორციელდა შემოჭრა. მან ასეთი დასკვნა გააკეთა: „ქართველებს რაც არ უნდა გაეკეთებინათ, თავდასხმა გარდაუვალი იყო“.¹⁴

დასავლეთის სახელმწიფოების მეთაურებმა საქართველოს მოუწოდეს არ აყოლოდნენ სამხედრო პროვოკაციებს. ზოგიერთი ამერიკელი ანალიტიკოსის აზრით (საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილიც ამ აზრისაა), ქართველებიც ემზადებოდნენ ომისთვის და საარტილერიო ბრიგადა გორში, სამხრეთ ოსეთის საზღვრიდან 25 კმ-ში, ჰყავდათ განლაგებული.¹⁵ დამარცხების მიზეზების შესწავლისას (საქართველოს პარლამენტის კომისია, კონფლიქტის გარემოებათა დამდგენი ევროკავშირის საერთაშორისო საგამოძიებო მისია, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ყოფილი წარმომადგენელი ჰეიდი ტალიაინი ხელმძღვანელობდა, მამებელი დასკვნა გამოაქვეყნა), პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ, მას, როგორც ქვეყნის მეთაურს, სხვა არჩევანი არ ჰქონდა. რუსეთის ქმედებები საფრთხეს უქმნიდა ქართული სახელმწიფოს არსებობას. სინამდვილეში კი, არჩევანი იყო ომამდე მთელი წლებისა თუ თვეების მანძილზე, მაგრამ სააკაშვილს ვერ გადაეწყვიტა, რას აპირებდა მისი ადმინისტრაცია, ომისთვის მომზადებას თუ მის თავიდან აცილებას.¹⁶ სააკაშვილმა უყურადღებოდ დატოვა შესაძლებლობები, რომელიც ადრე (2005 და 2008 წლებში) ჰქონდა, რაც დაავალდებულებდა სამივე მხარეს (აფხაზებს, ქართველებსა და სამხრეთ ოსებს) ომის გაუნახლებლობაზე შეთანხმებას (საქართველომ საბოლოოდ ეს ვალდებულება 2010 წელს აიღო). სააკაშვილი ჯიუტად აგრძელებდა ემოციურ რიტორიკას და საქართველოს მიწების დაბრუნების პირობას დებდა. მას არ ჩაურთავს ქართული ოპოზიცია ქვეყნის პოლიტიკური კურსის დებატებში და მუდმივად უტყვია „რუს მტერს“ თავის გამოსვლებში.¹⁷ ამავე დროს, საქართველო დათმობებზეც წავიდა, მაგალითად, გალსა და ოჩამჩირეში (აფხაზეთში) აფხაზებს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა და სოხუმი-თბილისის რკინიგზის გახსნა შესთავაზა, ხოლო ორივე რეგიონს-თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდა, მაგრამ აფხაზებმა და ოსებმა ყველაფერზე უარი განაცხადეს.

2008 წლისთვის საქართველოს ხელისუფლებას სულ ორი არჩევანიღა რჩებოდა – გაენია წინააღმდეგობა ან უკან დაეხია.

წლების მანძილზე, ორივე პრეზიდენტი, შევარდნაძე და სააკაშვილიც, საოცარ თავშეკავებას იჩენდნენ რუსეთის პროვოკაციებსა და მის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევებზე. თბილისი მშვიდად მოიქცა რუსეთის მიერ ქართული სოფლების დაბომბვისას სამხრეთ ოსეთში ომამდე ათი წლით ადრე, არ აპყვა რუსეთის პროვოკაციებს პანკისის ხეობაში 2002 წელს და პოლიციის ძალებით სწრაფად გაიყვანა ჩეჩენი მებრძოლები იქიდან, ხოლო 2004 წელს, სამხრეთ ოსეთთან შეიარაღებული შეტაკების შემდეგ, თითქმის ომის ზღვარზე მყოფმა, უკან დაიხია. მაშინ 22 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. მაგრამ 7 აგვისტოს დათმობას აზრი აღარ ჰქონდა და სამხრეთ ოსეთიდან ჯარის გამოყვანაც პოლიტიკურად დამღუპველი იქნებოდა სააკაშვილისთვის. იაკობაშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა, რომ ომს ვერ მოიგებდა, მაგრამ დრო უნდა მოეგო.¹⁸ მოკლედ, საქართველოს 2008 წლის 8 აგვისტოსთვის არჩევანი აღარ ჰქონდა, ნებისმიერი გზა ცუდი იყო ქვეყნისთვის.

ჰუმანიტარული კატასტროფის გარდა, განადგურდა სკოლები, ხიდები, ნავსადგურები, საზღვაო-სავაჭრო გემები; შეწყდა ვაჭრობა, საქმიანობა და გორის ველებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მთლიანად დაიკარგა. რუსულმა რეაქტიულმა თვითმფრინავებმა ქართული გადამალული საჰაერო ძალების ძებნაში ბორჯომი-ხარაგაულისა და ატენის ხეობებში ტყეები გადაწვეს. მიმდებარე ტერიტორიების დაბომვით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენსაც საშიშროება შეუქმნეს. მართალია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი სულ ცოტა ხნით გადაიკეტა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფნის უსაფრთხოება ეჭვქვეშ დამდგარიყო. საერთო ჯამში, საქართველოს ეკონომიკა 1.2 მილიარდი აშშ დოლარით დაზარალდა, ეროვნული ბანკის რეზერვები 40%-ით შემცირდა, ქვეყნის კრედიტის გადახდისუნარიანობის რეიტინგი მკვეთრად დაეცა და უცხოელმა ინვესტორებმაც შეწყვიტეს ნათობგადამამუშავებელი ქარხნების, მარცვლეულის მიმღები ტერმინალებისა და სასტუმროების მშენებლობა.¹⁹ ომმა ხაზი გაუსვა საქართველოს ეკონომიკის სისუსტეს და მის დამოკიდებულებას კაპიტალის შემოდინებაზე სულ უფრო მზარდი მიმდინარე ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. მსოფლიო ბანკმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ომის შედეგად სიღარიბისა და უმუშევრობის დონე 2-3-ჯერ გაიზრდება. ხელისუფლებას ახლა იძულებით გადაადგილებულ პირთა ორი თაობის პატრონობა მოუწევს, რომელთა რაოდენობამ 1991 წლიდან 280.000 გადააჭარბა (მთელი მოსახლეობის დაახლოებით 7%).²⁰ სააკაშვილის ადმინისტრაციამ სწრაფი რეაგირება მოახდინა ომისშემდგომდროინდელ მძიმე ვითარებაზე, თუმცა, პარადოქსულად ყლერს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო აღიარების შემდეგ, სააკაშვილის მეორე საპრეზიდენტო ვადის პერსპექტივა უფრო

გაიზარდა. უახლოესი მომავლისთვის გაურკვეველობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ აღარ არსებობს.



2008 წლის აგვისტოს ომის დაშავებულები.

ომმა საქართველოს უსაფრთხოების უმთავრესი გამოწვევები გამოკვეთა. ეს 18-წლიანი კონფლიქტის კულმინაცია გახლდათ და არა დასაწყისი. მან აჩვენა, რომ ისეთი პატარა სახელმწიფოებისთვის, როგორც საქართველოა, ეროვნული უსაფრთხოება გადარჩენას ეხება და ნებისმიერი არასწორი გადაწყვეტილება პოტენციური კატასტროფაა.²¹ მან აჩვენა ინტერეთნიკური ურთიერთობების ტრადიციული ჩახლართულობა, საქართველოს დაუცველობა ჩეჩნეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვრებთან და რეგიონული ძალებისა და დიდი სახელმწიფოების მეტოქეობა. ომსა და ეკონომიკას შორის არსებული კავშირები გააშიშვლა, არა მხოლოდ ხარჯების თვალსაზრისით, არამედ კონფლიქტის, კორუფციისა და დანაშაულის მიმართ. მან წარმოაჩინა დემოკრატიული ინსტიტუტებისა (განსაკუთრებით კი მათი, რომლებიც სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებში არიან ჩართული) და საჯარო დებატების, როგორც აღმასრულებლის მაკონტროლირებელი მექანიზმის მნიშვნელობა. ომმა განამტკიცა საქართველოს დასავლური ორიენტაცია, მაგრამ გამოამჟღავნა დასავლეთის იმედზე ყოფნის ილუზიები. აშშ-მა დიდი დახმარება გაუწია

საქართველოს ომის შემდეგ, განაგრძო ჯარისკაცების მომზადება-წვრთნა და განაცხადა, რომ მხარს უჭერს მის სუვერენიტეტს. მაგრამ მან შეწყვიტა საქართველოსთვის სასიკვდილო სამხედრო ტექნიკის მიწოდება და ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ რუსეთთან დაახლოების პროცესი დაიწყო.²² ევროპის უმეტესი სახელმწიფოები (გარდა ევროკავშირის აღმოსავლეთ ნაწილის რამდენიმე ქვეყნისა), რომლებსაც ბუნდოვანი დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოსადმი, ომის შემდეგ კიდევ უფრო ორჭოფულნი გახდნენ. ევროკავშირის კომისია 500 მილიონი დოლარის გამოყოფა დაჰპირდა საქართველოს იმ პირობით, რომ ეს თანხა არ მოხმარდებოდა ქვეყნის ხელახალ შეიარაღებას.

საქართველოსთვის შეუძლებელია საქმეების მოგვარება სამხედრო გზით, მაგრამ საქართველო დაუცველია თავდასხმისგან. რუსეთი არ ასრულებს 12 აგვისტოს 6-პუნქტიან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით მან უნდა დააბრუნოს საჯარისო შენაერთები ომამდე არსებულ საზღვრებთან. ეუთოს უფლება აღარ აქვს განაახლოს თავისი ოპერაციები სამხრეთ ოსეთში და იძულებით გადაადგილებული პირებიც ვერ ბრუნდებიან შინ.²³ ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის მოქცეულ საქართველოს ოსტატური დიპლომატიური თამაში მართებს. ვარდების რევოლუციის ავტორებმა მარჯვედ წარმართეს 2004-2005 წლის მოლაპარაკებები რუსეთთან სამხედრო ბაზების გატანის თაობაზე, მაგრამ ინტენსიურმა შეიარაღებამ და რუსეთის ჯაშუშთა ქსელის უხეშად გამომჟღავნებამ 2006 წელს (რამაც ბიძგი მისცა რუსეთის მიერ ნაწილობრივი ემბარგოს დადებას ქართულ პროდუქციაზე), შეამცირა რუსეთთან სტაბილური და მშვიდი ურთიერთობის დამყარების შანსები. და რაც უფრო უარესია, სამხედრო ძლიერების ზრდამ საკუთარ შეუცდომლობაში რწმენის და უზრუნველყოფილების გრძნობები გააღვივა რევოლუციის შემოქმედთა შორის, ეს „ცრუ რწმენაა, რომელსაც ყველა შეყავს ცდუნებაში,“ – ამბობს რეინოლდ ნეიბური.

დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებმა ბალკანეთის საქმეებში ჩარევასთან შედარებით, უგულვებელყვეს საქართველოს კონფლიქტები. დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარება 2008 წლის თებერვალში, დუმილი ჩეჩნეთზე და მაპის მიღებაზე (MAP -განეწერიანების სამოქმედო გეგმა) საქართველოსთვის 2008 წლის აპრილში უარის თქმა იმ მოვლენათა ჯაჭვია, რომელმაც რუსულ აგრესიამდე მიიყვანა საქმე. დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს გულუბრყვილოს სწამდათ, რომ რუსეთი საქართველოში არ შეიჭრებოდა. თუმცა, ომმა შეგვახსენა, რომ ევროპის უსაფრთხოებისთვის საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. არასტაბილური საქართველო ბოლოს მოუღებს ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიას, ხოლო ისეთი სუსტი სეცესიონისტური ქვეყნები, როგორც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია, გაამწვავებს იმიგრაციულ პროცესებს მის

აღმოსავლეთ საზღვრებთან და გააძლიერებს ნარკოქსელებსა თუ სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებს. საქართველო აღმოსავლეთ თურქეთს ესაზღვრება, ის ირანის მეზობელია და მნიშვნელოვანია აშშ-ისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შუა აღმოსავლეთში, როგორც სამხედრო ნაწილების მიმწოდებელი ავღანეთში და როგორც სატრანზიტო ქსელის ნაწილი ფოთიდან ყაზახეთამდე (ეს გზა ცნობილია, როგორც ჩრდილო სადისტრიბუციო მარშრუტი).²⁴ საქართველო მნიშვნელოვანია, აგრეთვე ნავთობპროდუქტების მიწოდების მრფავალფეროვნების მხრივ კასპიის რეგიონში და ყოველთვის ექნება ზეგავლენა რუსეთის დასავლეთთან ურთიერთობებზე. „გადატვირთვის“ ლილაკი რუსეთსა და აშშ-ს შორის ყოველთვის არ იმუშავებს საქართველოს და უფრო, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის პრობლემების მოგვარების გარეშე. პოსტსაბჭოთა რვა კონფლიქტიდან ექვსი კავკასიაშია. უფრო არსებითად კი, ომი იმის მანიშნებელი იყო, რომ ქართული სახელმწიფო მშენებლობის საქმე, ეკონომიკური განვითარებაც, მცდარად წარმართა ვარდების რევოლუციის შემოქმედთა ხელში. თავის 2008 წლის საინაუგურაციო სიტყვაში სააკაშვილმა განაცხადა: „ქართული სახელმწიფოს აღმავლობა ან დაცემა დამოკიდებული იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების სიმტკიცესა ან სისუსტეზე: ძლიერ დემოკრატიაზე, სოლიდურ ოპოზიციაზე, დამოუკიდებელ სასამართლოზე, სამოქალაქო კონტროლს დაქვემდებარებულ არმიაზე, პასუხისმგებლობის მქონე მთავრობასა და აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებაზე.“²⁵ დემოკრატიული რესპუბლიკის კანტისეული ნიშნები თავის ადგილზე რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ, ომი არ მოხდებოდა. როგორც სააკაშვილმა თქვა, რუსეთს არ ექნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ციხე შიგნიდან გაეტეხა და საქართველოს სისუსტეები გამოეყენებინა.²⁶

უსაფრთხოება და გეოგრაფია

სამხრეთ კავკასია ისტორიულად სასაზღვრო ზოლი იყო, ერთი მხრივ, აზიასა და ევროპას და, მეორე მხრივ, მუსლიმური სამხრეთისა და ჩრდილოეთ სტეპებს შორის აღმართული კედელი და დამაკავშირებელი გზაც ერთდროულად.²⁷ რეგიონს აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განმტკიცება კვეთდა. ქარავნებით, მონებითა და სუნელებით მოვაჭრეებით სავსე თბილისი, უდიდესი სატრანზიტო-სავაჭრო პუნქტი, მონღოლებს, არაბებს, ირანელ საფავიდებს, ოსმალეთს თურქებს, რუსებსა და ბრიტანელებსაც იზიდავდა. ამ ქვეყნების ოკუპაციამ სამხრეთ კავკასია მრავალმხრივ გაამდიდრა, მაგრამ, ამავე დროს, განხეთქილებები გაამწვავა ადგილობრივ და რეგიონულ ლიდერებს შორის და მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში,

⁴ ქართული ტექსტი იხილეთ: [//www.president.gov.ge/President/Inauguration](http://www.president.gov.ge/President/Inauguration)

საქართველოს ხალხებსა და რელიგიებს შორისაც. ამან შედეგად, არამყარი სახელმწიფოებრიობა მოიტანა. საქართველოს მმართველები უსაფრთხოების რთული და მწირი არჩევანის წინაშე იდგნენ მუდამ; საერთაშორისო კონკურენცია სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანსა და შავი ზღვის რეგიონზე, მოლაპარაკებები დსთ-სა თუ ნატოს წევრობაზე, უცხოელი ჯარისკაცების, მათ შორის, რუსებისა და ამერიკელების ყოფნა საქართველოში და სეცესიურ მოძრაობებთან დაპირისპირება, - ეს ყველაფერი იმ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების რეინკარნაციაა, რომლებიც ქართველ მმართველებს შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ტანჯავდნენ.

საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობას უპირატესობაც აქვს. თბილისი რეგიონის სავაჭრო და სატრანსპორტო ცენტრია, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლი ევროპასთან ვაჭრობას ხელმისაწვდომს ხდის. მე-19 საუკუნის დასასრულისთვის, ბათუმი მსოფლიოს უდიდეს ნავთობგადასაზიდ ტერმინალი იყო, ხოლო ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან ერთად საქართველო მისი მეზობელი სახელმწიფო გახდა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მხარდაჭერილი ენერგოსისტემების, მაგალითად, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA) და ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისო ტრანსპორტირება ევროპაში (INOGATE) დამსახურებით, საქართველოს ლიდერებს იმედი მიეცათ, რომ საქართველო აზია-დასავლეთის „გეოგრაფიული ლერძი“ გახდებოდა. აზერბაიჯანს და სომხეთს საქართველოზე გავლით გააქვთ თავიანთი პროდუქცია და ევროკავშირის ბაზარზე ხელმისაწვდომობის გამო, საქართველო ირანისა და ცენტრალური აზიის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია.

საქართველოს დასავლური ორიენტაცია ბრიტანეთ-ამერიკის მიერ მხარდაჭერილმა ტრანსკავკასიურმა მილსადენმა განამტკიცა. ნავთობის ტრანზიტმა საქართველო თურქეთისა (თურქეთი ნატოს წევრი და ევროკავშირის ასპირანტი სახელმწიფოა) და დასავლეთის მეკავშირედ აქცია, ხოლო რუსეთს დააშორა. რუსეთსა და აშშ-ის შორის გამართულ ენერგოკონკურენციაში ჩართული საქართველო რუსეთის სადასჯელო ოპერაციების სამიზნე გახდა; 2001 წელს და მოგვიანებით, 2006 წელს, რუსეთმა გაზის მინოდება შეუწყვიტა საქართველოს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კი ნავთობისა და გაზის მილსადენის მიმდებარე ტერიტორია დაბომბა, განადგურების მიზნით კი არა, იმის საჩვენებლად, რომ ტრანსკავკასიური ენერგოდერეფანი დაუცველია. 2008 წელს რუსეთს მრავალმხრივი მოტივაცია ჰქონდა საქართველოში შემოჭრისთვის, მაგრამ რეგიონის გეოგრაფიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა ყველაზე მთავარი გახლდათ.

თანამედროვე სახელმწიფოს ბუნებამ და გლობალიზაციამ უსაფრთხოების ხასიათი შეცვალა, სახელმწიფოებს ისევე აწუხებთ ნარკოტრაფიკთან,

ჯანდაცვასთან, მიგრაციასა და გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული პრობლემები დღეს, როგორც სახელმწიფო საზღვრები და სუვერენიტეტი. მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, გეოგრაფიას კვლავ ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს. მთები, საზღვრები და ძლიერი მეზობლები საფუძვლად უდევს საქართველოს ისტორიასა და უსაფრთხოებას, ხოლო ცივი ომის დასრულების შემდეგ, რესურსებისთვის ბრძოლამ საქართველოს გეოგრაფიული როლის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. მაგრამ საქართველოს ეროვნული უმცირესობები, რომლებიც თავიანთი დედა-სახელმწიფოს საზღვრებთან ცხოვრობენ (სომხები – ჯავახეთში, აზერბაიჯანლები – მარნეულში და ოსები – სამხრეთ ოსეთში) ართულებენ ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალს. საქართველოს შიში ეთნიკურ უმცირესობათა ირიდენტისტული მოძრაობებისადმი საბჭოთა რუსეთმა ეფექტურად გამოიყენა საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის განადგურებისთვის. ბოლო ორი ათწლეული გვაფიქრებინებს, რომ უკმაყოფილო ეროვნული უმცირესობები კვლავ იპყრობენ უცხო ძალების ყურადღებას.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეზობელ სახელმწიფოებთან. ის კავკასიის სახელმწიფოა. ისტორიული, პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები მეზობლებთან მისი უსაფრთხოების სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტებია. მტრობა არ არის კავკასიელ მეზობლებთან საქართველოს ურთიერთობების განმსაზღვრელი ისტორიული თავისებურება. ოტომანთა თუ რუსეთის იმპერიას არა მარტო დაპყრობილი ჰქონდათ რეგიონი და კავკასიელები გაყოფილი, არამედ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ერთეულებშიც ჰყავდათ გაერთიანებული. რუსეთის იმპერიამ ერთიანი კავკასიური ერთეული შექმნა მეფისნაცვლის დაქვემდებარებაში, მე-20 საუკუნეში კი არაერთხელ სცადას რეგიონული ფედერაციების შექმნა, მაგალითად, 1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის და 1922 წლის მარტში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის. კავკასიური ემიგრაცია (1917 წლამდე და შემდგომიც) საერთო კავკასიურ მოძრაობაში, პოლონეთის მთავრობის მიერ დაფინანსებულ პრომეთეში გაერთიანდა 1920-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ დაქუცმაცებული იყო.²⁸ საბჭოთა კავშირის სამრეწველო-ინდუსტრიული პროგრამების დამსახურებით, რკინიგზიდან დაწყებული საავტომობილო გზებისა და ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობამდე, ისეთი რეგიონული ეკონომიკური ორგანოები შეიქმნა, როგორიცაა ამიერკავკასიის ეკონომიკური რეგიონი (1930-იანი წლები) და ამიერკავკასიის რეგიონული ეკონომიკური საბჭო (სოვნარხოზი) ხრუშოვის ხელმძღვანელობით (1960-იანი წლები).

გამსახურდიამ გააუცხოვა საკუთარი ქვეყნის ეთნიკური უმცირესობები,

მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიასთან გაერთიანების იდეა წამოაყენა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულების იდეის მხარდამჭერი იყო, მოწოდება გააკეთა საერთო კავკასიური სახლისა და საერთო კავკასიური ბაზრის შექმნისკენ. 2010 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა სააკაშვილმა აზერბაიჯანთან კონფედერაციაში გაერთიანების წინადადება წამოაყენა, ხოლო იმავე წლის სექტემბერში კავკასიის გაერთიანების ინიციატივით გამოვიდა გაეროში. მან განაცხადა: „არ არსებობს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია. არის მხოლოდ ერთი კავკასია, რომელიც ეკუთვნის მსოფლიო ცივილიზაციას და ეკუთვნის ევროპას.“²⁹ ⁵ საქართველოს ხილვადობა და მნიშვნელობა აშშ-ისა და ევროკავშირისთვის მინიმალური იქნება პარტნიორი და კოოპერატიული მეზობლების გარეშე, მაგალითად, აზერბაიჯანისა და თურქეთის. თუმცა, კავკასიური სივრცის გეოეკონომიკური მნიშვნელობის მიუხედავად, მისმა მრავალფეროვნებამ, შიდა მტრობამ, სიღარიბემ და ნეოიმპერიული პრეტენზიების (რუსეთის, განსაკუთრებით) ბიძგი მისცა რეგიონულ ფრაგმენტაციას.

გასაკვირი არ არის, რომ ყველაფრის ამის გათვალისწინებით, საქართველო უფრო ფართო რეგიონულ მოკავშირეებს ეძებს, მაგალითად, შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის (1992 წელს დაარსებული BSEC), დემოკრატიისა და განვითარების ორგანიზაციის (2001 წელს შექმნილი ODED-GUAM) და დემოკრატიული არჩევანის საზოგადოების ორგანიზაციების სახით (2005 წელს დაარსებული CDC), თუმცა არც ერთი მათგანის ფუნქცია არ არის უსაფრთხოების დაცვა.³⁰ საბოლოო ჯამში, კავკასიის ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობა ერთმანეთთან (და ხალხებისაც) ვაჭრობის, დანაშაულის პრევენციისა ან კავკასიური ენერჯო და ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით, საქართველოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საუკეთესო დაცვაა. 2008 წელს, თურქეთმა, რომელიც შეშფოთებული იყო კავკასიური კონფლიქტების გამოძახილით თავის უმცირესობათა შორის, წამოიწყო კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის პროგრამა (CSCP). ის ხაზს უსვამდა აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიაზე უსაფრთხო გასვლის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას თურქეთისთვის, მაგრამ ასეთივე სერიოზულობით ეკიდებოდა აღმოსავლეთის დაუცველ საზღვრებთან სტაბილური სახელმწიფოების არსებობის საკითხს ევროპისთვის.

⁵ ქართული ტექსტი იხილეთ ვებგვერდზე: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=23179&search=%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%20%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E2%80%932010>



ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა

საქართველო და რუსეთი

საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან საჭიროებითა და ამბივალენტურობით ხასიათდებოდა. საჭიროებით, რადგან რუსეთი ძლიერ ქრისტიანული და თანამედროვე მეზობელი იყო, რომელსაც საქართველოს დაცვა შეეძლო სამხრეთის მუსლიმანური იმპერიებისა და ჩრდილოეთის კავკასიელი თავდამსხმელებისგან, რომლებიც ნადავლზე იყვნენ დამოკიდებული; ამბივალენტური, რადგან რუსეთი კულტურულად აღმატებული და იმპერიული იყო. ქართულ წარმოდგენას რუსეთზე, როგორც პატრონსა და მძარცველზეც, როგორც პროგრესულ და ჩამორჩენილ სახელმწიფოზე, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული ქართული ელიტების პოლემიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს.³¹ ქართველმა ინტელექტუალებმა დაგმეს რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა 1801 წელს, გეორგიევსკის 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევა, რაც მიზნად ისახავდა მისთვის პროტექტორატის სტატუსის მინიჭებას. ისინი რუსეთს არააცივილიზებულ და არათავისუფალ ქვეყნად აღიქვამდნენ, რასაც ხშირად გამოხატავდნენ „გეოპოეტურ“ ტერმინებში, მაგალითად, დამონებული სტეპების ბინადარს თავისუფალი სულის მთიელს ადარებდნენ.³² ამავე დროს, ბევრი ქართველი და, მათ შორის, ილია ჭავჭავაძეც, აღიარებდა, რომ საქართველოს ინკორპორაციამ რუსეთის იმპერიაში ქვეყანა დემოგრაფიულ კატასტროფას გადაარჩინა და ბიძგი მისცა კულტურულ რენესანსს. სამეფო ოჯახის ბევრი წევრისთვისაც რუსეთი სამოთხე იყო, ხოლო ქართველმა არისტოკრატებმა მშვენივრად მოახდინეს რუსეთის მმართველ კლასში ინტეგრირება. ძლიერი ლიტერატურული, სამხედრო და ნათესაური კავშირები ამ ორ კულტურას

შორის კიდევ უფრო გაღრმავდა საბჭოთა პერიოდში. მიუხედავად 1930-იანი წლების რეპრესიებისა და პოსტსტალინური ხანის სასტიკი კონტროლისა, ბევრი ქართველი აღიარებს, რომ რუსულმა კულტურამ და საბჭოთა სოციალურმა და ეკონომიკურმა პოლიტიკამ მათ სარგებლობა მოუტანა. პირადი მტრობა იშვიათობაა ქართველებსა და რუსებს შორის. ეს გრძნობა მაშინაც არ გაჩენილა, როცა 2006 წელს რუსეთში არალეგალურად მყოფი ქართველები მასიურად გამოაძევეს ქვეყნიდან.³³ იმ ქართველებისთვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში გაიზარდნენ, რუსეთი უცხო არ არის, ის ახლობელია. რუსეთი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროცაა. რუსეთის ხელისუფლების მონაცემებით, რუსეთში 400,000-დან 1 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს და მუშაობს დღეს.³⁴ 2009 წლის გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ხუთი მოქალაქედან ორს (39%) ნათესავები ან მეგობრები ისევ ჰყავს რუსეთში.³⁵

თუმცა, ქართული მე-19 საუკუნის ინტელიგენციისგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა ქართველი ინტელექტუალები რუსეთის თუ საბჭოთა იმპერიას „ევროპულად“ არ აღიქვამენ; რუსეთის იმპერიას ხშირად ახასიათებენ, როგორც „აზიურს“, საბჭოთა კავშირს ანტიდასავლურად ხედავენ, ხოლო თანამედროვე რუსეთს-ანტიდემოკრატიულად. გამსახურდია, რომელიც ამერიკულ ლიტერატურას ასწავლიდა უნივერსიტეტში, შეგნებული ანტირუსიზმით გამოირჩეოდა, რაც მამამისისგან, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასგან ჰქონდა მემკვიდრეობად მიღებული. უმცროსმა გამსახურდიამ სრულიად უარყო რუსეთის პოზიტიური მემკვიდრეობა საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე-19 საუკუნის შემდგომდროინდელი საქართველოს ისტორია წარმოდგენილი იყო, როგორც ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, რის მტკიცებულებად 1924, 1956 და 1989 წლების ანტისაბჭოთა ამბოხებები და დემონსტრაციები მოჰქონდათ.³⁶ მორჩილებასა და დამოუკიდებლობას შორის არჩევანი უნდა გაკეთებულიყო. გამსახურდია, როგორც ალექსანდრე რონდელი ამბობს, „სტრატეგიულ იდეალიზმს“ უკეთებდა პოპულარიზებას ან მოლოდინს, რომ დასავლეთი ვალს დაუბრუნებდა საქართველოს და რუსეთის მკლავებისგან იხსნიდა.³⁷ თუმცა, გამსახურდიას ანტირუსულ რიტორიკას დასავლელი ლიდერების ან თუნდაც ქართველთა უმრავლესობის მხარდაჭერა არ მოუპოვებია. მისი გადაყენების შემდეგ, 1992 წლის იანვარში, ქართული პოლიტიკის უკიდურესად იდეოლოგიური ხანა, რომელშიც ინტერესებმა და რეალიზმმა ვერ გაიმარჯვეს, დასრულდა.³⁸

შევარდნაძის ხელისუფლება ქართული ელიტების ტრადიციულ პრაგმატიზმს განანახიერებდა რუსეთისადმი. ოპოზიციურად განწყობილები შევარდნაძეს პრორუსულობაში სდებდნენ ბრალს: ის კი, რეალიზმად აფასებდა ამას. საქართველო დსთ-ში გაწევრიანდა (რუსეთის ზეგავლენით) 1993 წელს მან ხელი მოაწერა საქართველო-რუსეთის მეგობრობის

ხელშეკრულებას. 1995 წელს ის დასთანხმდა რუსეთის (ოფიციალურად დსთ-ს) მშვიდობისდამცველების შეყვანას აფხაზეთში და რუსული ბაზების დატოვებას საქართველოში და ჩეჩნეთში რუსეთის შეჭრასაც დაუჭირა მხარი. ამავდროულად, შევარდნაძემ ასევე პირობა დადო, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდებოდა; ის პროგრამის, თანამშრომლობა მშვიდობისთვის (PFP) მონაწილეც გახდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკსა და ევროპის საბჭოშიც განეწიანდა, ხელი მოაწერა ევროპულ კონვენციებს, ხელშეკრულებებს და გაერთიანდა ევროპის სამეზობლო პროგრამაში (ENP). რუსი მესაზღვრეები საქართველოდან გავიდნენ. შევარდნაძემ დასავლეთთან ენერგოალიანსი შეიქმნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით. ის უფრო განაფულ პოლიტიკურ თამაშს წარმართავდა თავის გაცილებით ძლიერ მეზობლებთან. დასავლეთი სასურველი, მაგრამ მიუწვდომელი იყო, რუსეთი კი, არასასურველი, მაგრამ ისეთი, რომლის გაუცხოება არ შეიძლებოდა.

შევარდნაძის კომპრომისები რუსეთთან შეესაბამებოდა მზარდ სკეპტიციზმს საქართველოში დასავლეთის მიმართ 1990-იანებში და იმის აღიარებაც გახლდათ, რომ რუსეთი საქართველოს მომავლის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ქართველთა უმეტესობა ვერ იტანს რუსეთის იმპერიულ ქცევას, უარს ამბობს რუსული სამხედროების ყოფნაზე საქართველოში და მხარს უჭერს ნატოში განწევრიანებას, მაგრამ გამოკითხვები მუდმივად ასახავენ მასობრივ პრაგმატიზმს. 1998 წლის გამოკითხვაში, გამოკითხულთა 43% მიაჩნდა, რომ საქართველო რუსეთის ან დსთ-ს მოკავშირე უნდა გამხდარიყო ან რუსეთისა და დასავლეთის ერთად.³⁹ 2007 წელს, გამოკითხულ ქართველთა 52.6%-ს (მათ შორის, სააკაშვილის მომხრეების უმეტესობაც) რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორება სურდათ, თუნდაც აშშ-თან ურთიერთობების ხარჯზე, ხოლო 2009 წლის აგვისტოში, ომიდან სულ ერთი წლის შემდეგ, 54%-ს კვლავ მხარს უჭერდა რუსეთთან თანამშრომლობას.⁴⁰ ეს გამოწვეულია არა იმდენად პრორუსული სენტიმენტებით (2009 წელს გამოკითხულთა 90%-მა რუსეთი „არამეგობრულ“ სახელმწიფოდ დაასახელა), არამედ უფრო იმის აღიარებაა, რომ რუსეთი მეზობელია და აშშ – არა. დღეს საქართველოში არ არსებობს ორგანიზებული პრორუსული მოძრაობა, მაგრამ ანტიდასავლური სენტიმენტები ხშირად პრორუსულ განწყობებთან ერთიანდებიან. ასეთი სენტიმენტები ჩანს რეაქციონერულ საეკლესიო წრეებში ან იმ პარტიებში, რომლებიც დაპირისპირებულები არიან ხელისუფლების „დასავლელ“ რეფორმატორებთან. ეს ბაზარსა და „დემოკრატიას“ იმედგაცრუებას ასახავს, და იდეალიზირებული წარსულისადმი ერთგულებას, რომლის ჩაშლას გლობალიზაცია უქმნის საფრთხეს.

2008 წლის აგვისტოს ომმა რუსეთის როლი საქართველოში შეცვალა (ისევე როგორც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში).⁴¹ რუსეთი მედიატორი

აღარ არის, ის ახლა ოკუპანტია. საქართველოსა და რუსეთს დიპლომატიური ურთიერთობები აღარ აქვთ. ამ უკანასკნელმა 3.000 ჯარისკაცზე მეტი განლაგა სამხრეთ ოსეთში; მისი ტანკები სულ ორი საათის სავალზე არიან საქართველოს დედაქალაქიდან, ხოლო 2009 წელს 49-წლიანი თავდაცვის ხელშეკრულება დადო ორივე სეპარატისტულ რეგიონთან (და ამასთან, 400.000 აშშ დოლარი დაჰპირდა მათ სამხედრო ბაზების ასაშენებლად). სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის დაბრუნების პერსპექტივა თითქმის აღარ არსებობს. მაგრამ ომი რუსეთისთვის არსებითად საქართველოს არ ეხებოდა, ის უფრო დიდ საერთაშორისო საკითხებთან იყო გადაბმული. მაგალითად, ნატოს აღმოსავლეთისკენ ექსპანსიასთან, კოსოვოს აღიარებასთან, რუსეთის უსაფრთხოებასთან ჩრდილოეთ კავკასიაში და ევრაზიაში ნავთობისა და გაზის მარაგების რუსეთის მიერ გაკონტროლების ეჭვქვეშ დაყენებასთან დასავლეთის მიერ. რუსეთის ხელისუფლებას თავისი პოლიტიკური ძალაუფლების აღიარება სურდა; საქართველოსთან პატარა ომი კი ხელსაყრელი იყო ამ მიზნის მისაღწევად. რუსეთი ჭკუაზე მოიყვანდა მეზობელს, გაფრთხილებას შეუთვლიდა დსთ-ის ქვეყნებს, ნერტილს დაუსვამდა რუსეთის დამცირებულ მდგომარებას საზღვარგარეთ, მოსახლეობის სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას შინ სხვა პრობლემებზე გადაიტანდა, აღადგენდა რუსეთის გავლენის სფეროს სამხრეთ კავკასიაში და უჩვენებდა საკუთარ მნიშვნელობას ევროპის სტაბილურობისთვის. ეს საკმაოდ დრამატული შეხსენება იქნებოდა დსთ-ში ყველა იმ პროდასავლური ქვეყნისთვის იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ ევრაზიაში დასავლეთი სუსტია, რუსეთი კი ძლიერი. ეს რუსეთის შეკავების პოლიტიკის ნაწილი იყო, მაგრამ, ამჯერად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს გავლენის სფეროში ინარჩუნებდა.

პუტინი და სააკაშვილი ძალზე განსხვავებულ სისტემებს მართავენ, მაგრამ ორივე, სახელმწიფოს ისეთი მშენებელია, რომლებმაც გადაწყვეტილების მიღების პროცესის კონცენტრაცია დახურულ წრეში, პერსონალიზირებული ძალაუფლებისა და შეზღუდულ პლურალისტურ პოლიტიკაში მოახდინა. ორივე მათგანი სახელმწიფოს აღორძინების იდეის პოპულარიზებას ეწევა განსაკუთრებული აქცენტით შეიარაღებულ ძალებზე. ორივე ემოციურ რიტორიკას იყენებს და მტრულად განწყობილი რეგიონების ხელახალი გაერთიანებისკენ ისწრაფვის. დაუმატეთ ყველაფერ ამას ის ძლიერი მტრობა, რაც ამ ორ ლიდერს შორის არსებობს, მჭიდრო ისტორიული და ემოციური კავშირები ამ ქვეყნებს შორის (რუსეთის პოლიტიკური ლიდერები საქართველოს „უმადურობაში“ ადანაშაულებენ იმის გამო, რომ ის ევროკავშირისა და ნატოსკენ იწევს), და თავად საქართველოს უმწვავესი შიდა უთანხმოებები და დაინახავთ, რატომ ვერ იმუშავა მისგან დამცავმა მექანიზმებმა. ომამდე მთელი ათი წელი დასავლეთის შუამავლობა არაფრით გამოირჩეოდა. საოცარია, მაგრამ დღესაც იგივე მდგომარეობაა. რუსეთმა

წარმატებულად გაიყვანა ერთი და გაერო საქართველოს კონფლიქტების ზონებიდან. 2009 წელს გაეროს დამკვირვებელთა მისიას აფხაზეთში ვადა აღარ გაუგრძელდა. ის მცირე, 340-კაციანი ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ (EUMM) ჩანაცვლა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებთან.

საპარტევლო და დასავლეთი

1999 წლის თებერვალში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ ევროპის საბჭოში საქართველოს განცხადების დღეს განაცხადა: „მე ქართველი ვარ, მაშასადამე მე ევროპელი ვარ“.42 80 წლით ადრე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ნოე ჟორდანიამ ზუსტად ასეთივე განმარტება გააკეთა. მან დამფუძნებელი კრების სხდომაზე თქვა: „ჩვენი ცხოვრება დღეს და მომავალში... მტკიცედ არის დაკავშირებული დასავლეთთან და ამ კავშირს ვერანაირი ძალა ვერ დაარღვევს“.43 ამ განწყობილებითაა მოცული მთელი ქართული საზოგადოება. 1998 წლის სექტემბერში, კითხვაზე, თუ სად უნდა იყოს საქართველოს ადგილი მსოფლიოში, გამოკითხულთა 68%-მა უპასუხა ევროპასთან, ხოლო 19%-მა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) ირჩია.44 2009 წლის აგვისტოს გამოკითხვაში, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ომზე რეაქცია ნელთბილი იყო, რესპონდენტთა 54% ჟვანიას განცხადებას დაეთანხმა.45 ქართველთა გონებაში დიანისის თავის ქალები იქნება, ქრისტიანობა, ნატო თუ დემოკრატია, ყველაფერი მათ „ბუნებრივ სახლს“, ევროპას, უკავშირდება. დღეს ქართველი სტუდენტები სწავლობენ ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს (რუსულს ნაკლებად) და დასავლეთის უნივერსიტეტებში სურთ სწავლა. ქართულმა ელიტებმა კაპიტალიზმი დასავლური მოდერნულობის სიმბოლოდ მიიღეს და ვარდების რევოლუციის ავტორებიც სასწრაფოდ აცილებენ „აღმოსავლურ“ სიმბოლიკას თბილისის ქუჩებს, მაგალითად, ხმაურიან ბაზრებს თუ თურქული დოლმუხის, ზიარი ტაქსების თბილისურ ვარიანტს.46

მიუხედავად საქართველოს ხანგრძლივი თანაარსებობისა მუსლიმანურ ქვეყნებთან, თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ მუსლიმური „სხვა“ შექმნა, როგორც ნამდვილი ქართულის განსაზღვრის მეთოდი.47 მე-19 საუკუნეში ქართველი ინტელექტუალები განსაკუთრებულად უსვამდნენ ხაზს საქართველოს თავდადებასა და ბრძოლას „დიდი თურქობის“ დროს.48 იდეები პროგრესსა და თავისუფლებაზე, რითაც გაუღენთილი იყო რუსული უნივერსიტეტები, აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების სტერეოტიპულ დესპოტიზმთან, სიზარმაცესა და კორუფციასთან კონტრასტს ქმნიდა. საბერძნეთისა და იტალიის ახალგაზრდა გამათავისუფლებელი მოძრაობები ქართული პროგრესული საზოგადოებისთვის ნიმუშად იქცა. სერბების

მსგავსად, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს წარმოადგენდნენ, როგორც ისტორიულად არსებულ ქრისტიანულ ბარიერს მუსლიმანური აღმოსავლეთთან. საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებელმა საქართველომ (1918 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე), რომელსაც პროდასავლელი სოციალ-დემოკრატები ედგნენ სათავეში, მუსლიმანურ სამყაროსთან ქრისტიანული ბუფერის მეტაფორა ევროპულ ბუფერად გადააქცია აზიური რუსეთის კართან. ევროპულ განმანათლებლობასთან დამაკავშირებელი ხიდიდან რუსეთი მონღოლური და კოლექტივისტური ტრადიციებით გაჟღენთილ აღმოსავლურ სახელმწიფოდ იქცა. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ კი, რუსეთმა დაკარგა თანამედროვე ევროპის ნაწილად ყოფნაზე პრეტენზია. სააკაშვილის ნათქვამი, რომ „აგრესიულ მონღოლთა მემკვიდრე ურდო“, რომელიც მიზნად ისახავს „თანამედროვე, ევროპული და დემოკრატიული სახელმწიფოს განადგურებას კავკასიაში, გვიჩვენებს რომ ასეთი მოსაზრებები არ გამქრალა.“⁴⁹

საქართველოს ევროპასთან იდენტიფიცირება განმტკიცდა, როცა საბჭოთა კავშირმა ფიზიკურად და კულტურადაც ჩამოაშორა ის ახლო აღმოსავლეთს. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე საქართველოს თავის სამხრეთ მეზობლებთან ახლო აღმოსავლეთში ინტენსიური სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა. აღმოსავლეთის გავლენა ისევ ჩანს ქართულ კერძებში, ტანსაცმელში, ლიტერატურაში, არქიტექტურაში (უბრალოდ, შეხედეთ ოპერის შენობას რუსთაველის პროსპექტზე). სამხრეთ დასავლეთში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველებიც (აჭარლები) ამის დასტურია. საბჭოთა კავშირის ტექნოლოგიისა და პროგრესისკენ სწრაფვამ გაფეტიშებამ დასავლეთის სტატუსი ასწია, ხოლო საქართველოს ევროპისგან იზოლაციის მცდელობამ ეს უკანასკნელი კომუნიზმის ჩამორჩენილობის სიმბოლურ ანტითეზად აქცია. გვიანდელ საბჭოთა პერიოდში ისლამის უარყოფა კი არ გამოკვეთდა ქართველს ქრისტიანად, არამედ კომუნიზმის უარყოფა იყო ის, რითაც ქართველი თავს ევროპელად განსაზღვრავდა.

ევროპასთან კავშირი (ან „დასავლეთთან“ – ქართველები იშვიათად განასხვავებენ) უმნიშვნელო ისტორიული ფაქტებით დასტურდება მე-19 საუკუნემდე. მაგალითად, რამდენიმე ქართული დელეგაციის ვიზიტი ევროპელ მონარქებთან. მე-18 საუკუნეში, ფილოსოფოსი და სამეფო დიპლომატი, კათოლიკე სულხან საბა ორბელიანი, საფრანგეთში გაემგზავრა ირანის აგრესიისგან მფარველობის მიღების იმედით. ვატიკანის Sacra Congregatio de Propaganda Fide-დან კი პირიქით, მისიონრები საქართველოში მოდიოდნენ და პირველი ქართული ნაბეჭდი ბიბლია მოჰქონდათ. მე-20 საუკუნეში საქართველოს ევროპულ სოციალიზმს ნაზიარებმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მიუნჰენის, პარიზისა და ნიუ-ორკის ქართულმა დიასპორებმა და შინ ადამიანის უფლებათა დამცველებმა,

რომლებიც ჰელსინკის ხელშეკრულებას ციტირებდნენ, განამტკიცა საქართველოს მიკუთვნელობა დასავლეთთან. ქართულ-ბასკური ენების ლინგვისტური ძმობის, ევროპასთან კიდევ ერთი კავშირის მტკიცება პოპულარული საქმიანობა იყო 1970-იანი წლების საქართველოში.⁵⁰ 1997 წლის მოხსენებაში ქვეყნის მდგომარეობის შესახებ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ევროპასთან გაერთიანება... „ჩვენი წინაპრების საუკუნოვანი ოცნება იყო.“⁵¹ სააკაშვილი კი თავის 2008 წლის საინაუგურაციო სიტყვაში უფრო კატეგორიული იყო. „საქართველოს მუდმივი ნავთსაყუდელი, მისი ბუნებრივი გარემო, არის ევროპა, რომელთანაც გვაერთიანებს საერთო კულტურა, ისტორია და დემოკრატიულ ფასეულობათა მთელი სისტემა.“⁵²

„დასავლეთისა“ და კავკასიაში თავისი ინტერესების შესახებ ქართველთა უმრავლესობას მწირი ცოდნა აქვს. დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებიც ასეთივე შეზღუდულები იყვნენ დაწყებული ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (1918-1921) ჰქონდათ ურთიერთობები. ამან შედეგად მოიტანა გაუგებრობები და დაუსაბუთებელი მოლოდინები. საქართველოს ახალი ხელისუფლება განეწინააღმდეგებდა დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების დაცვის სტრუქტურებში, მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, პარტნიორობა მშვიდობისთვის და ევროკავშირის ახალ, აღმოსავლეთის სამეზობლოს პროგრამაში. ამ გზით, როგორც ერთ-ერთმა ქართველმა აღნიშნა, მათ წარმოიდგინეს, რომ საქართველო შეძლებდა თავისი „ისტორიული სიმარტოვის“ დაძლევას.⁵³ როგორც პატარა სახელმწიფო, საქართველო მფარველს შუა საუკუნეებიდან ეძებდა. მე-19 საუკუნეში, ეს რუსეთი იყო; მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ლიდერები გერმანიასა და ბრიტანეთში ეძებდნენ მფარველებს; მე-20 საუკუნის ბოლოს, ევროკავშირი/ნატო და აშშ აღმოჩნდნენ საუკეთესო კანდიდატები. 1998 წლის ივლისში, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი კობახიძემ განაცხადა: „საქართველოს პრობლემების მოგვარება ევროპის კავშირის (თანამეგობრობის) აქტიური მხარდაჭერისა და მონაწილეობის გარეშე, შეუძლებელია.“⁵⁴ სხვაზე დამოკიდებულების შეგრძნება მხოლოდ ქართულ ელიტებს არ აქვთ. 2007 წლის გამოკითხვაში, გამოკითხულთა 30.3% ფიქრობდა, რომ საქართველოს ბედი სხვა სახელმწიფოებზე იყო დამოკიდებული.⁵⁵ თქვენ ისევ გაიგონებთ ამ ფრაზას, რომელსაც 1989 წლის 9 აპრილის მოვლენის შემდეგ ხშირად ამბობდნენ, საქართველო ობოლი ერი.

ამ ასიმეტრიულ პარტნიორობას, რომელიც ქართულ იდეალიზმსა და გამოგონილ ევროპულ სოლიდარობას ეფუძნებოდა და არა საერთო ინტერესებსა თუ ევროპის შესაძლებლობებს, თავისთავად მოჰყვა იმედგაცრუება. მოკავშირეთა უმალლესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურედ 1921 წლის 26 იანვარს აღიარა საქართველოს დიდი დიპლომატიური გაჭირვებისა და დამცირების შემდეგ და ისიც სულ

რამდენიმე კვირით ადრე საბჭოთა რუსეთის მიერ მის ანექსიამდე. მოკავშირე სახელმწიფოები მეტწილად გულგრილნი აღმოჩნდნენ საქართველოს ერთა ლიგაში განეწინაურების მცდელობის მიმართ და არც დახმარება გაუწევიათ მისთვის, როცა, 1921 წლის თებერვალში, მე-11 არმიამ თბილისი დაიკავა. საფრანგეთი და ბრიტანეთიც უფრო მეტად ბაქოს ნავთობით დაინტერესდნენ და რამდენიმე თვეში ბრიტანეთმა სავაჭრო ურთიერთობებიც დაამყარა რუსეთთან. 2008 წლის თებერვალში საქართველოს უარი უთხრეს „მაპის“ (MAP) მიღებაზე, ეს აუცილებელი საფეხურია ნატოს განეწინაურების გზაზე. არც სამხედრო დახმარება აღმოუჩინია ამ ქვეყნისთვის ვინმეს, როცა რუსეთის არმიამ 2008 წლის აგვისტოში ისევ გადმოლახა მისი საზღვარი. ევროპისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ენერგორესურსებს რუსეთიდან საფრთხე არ შექმნია და მოლაპარაკებებიც ევროკავშირ-რუსეთის პარტნიორობის შესახებ მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ სწრაფად განახლდა.

საქართველო ცდილობს თავისი ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციას ევროპასა და აშშ-თან; შეთანხმება ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ძალაში შევიდა 1999 წელს; საქართველოს მონერილი აქვს ხელი საერთაშორისო და ევროპულ კონვენციებზე იარაღის კონტროლის, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების შესახებ. 2003 წლის დეკემბერში, ევროკავშირმა გამოაქვეყნა ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს „კარგად მართულ სახელმწიფოთა ჯგუფს ევროკავშირის აღმოსავლეთით“ და „უფრო ძლიერ და აქტიურ ინტერესს სამხრეთ კავკასიის პრობლემებში.“⁵⁶ იმავე წელს შეიქმნა სამხრეთ კავკასიის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა. 2004 წელს ამას მოჰყვა ნატოს სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი. ორივე ქმედებით აღიარებულ იქნა საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა. თავდაპირველად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს უარი უთხრეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილეობაზე, მაგრამ 2004 წელს დაუშვეს და 2006 წელს ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმასაც მოეწერა ხელი. 2008 წელს ევროკავშირმა დაარსა ორგანიზაცია Black Sea Synergy, რომელიც, რამდენიმე ერთობლივი პროექტის დახმარებით, მიზნად ისახავს საქართველოსა და მისი მეზობლების დაახლოებას ევროკავშირთან. მაგალითად, შავი ზღვის წრიული ავტომაგისტრალისა და შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროექტებით. 2009 წლის იანვარში გაფორმდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია (არასავალდებულო), რომლის მიზანია თანამშრომლობის გაფართოება სამხედრო, სავაჭრო და ენერგო სფეროებში.⁵⁷ თუმცა, არც ერთი პროგრამა თუ ინიციატივა არ შეიცავს საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებას.

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი გულუხვი პარტნიორია. ის საქართველოს ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას მრავალფეროვანი პროგრამების საშუალებით უწევს, მათ შორისაა, დსთ-ს ტექნიკური დახმარების პროგრამა (TACIS) თუ ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის (EIDHR) და სრულყოფილი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამები (CIB). 2009 წლის ივნისში დაიწყო აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის განხორციელება. 1992-2007 წლებში, ევროკავშირმა 500 მილიონზე მეტი ევრო დაახარჯა საქართველოს (რომ არ ჩავთვალოთ ცალკეული ქვეყნების მიერ გამოყოფილი დახმარებები) და კიდევ ერთი 500 მილიონი 2008 წლის ომის შემდგომი რეაბილიტაციისთვის შეჰპირდა საქართველოს ხელისუფლებას. ევროკავშირი საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტნიორია. და მაინც, მის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებაა. ამის მაგალითია მისთვის მასის მინიჭებაზე უარი ნატოსგან. აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა, რომელიც შეფერხებული ევროპის სამეზობლო პროგრამის ხელშეწყობას ითვალისწინებს, საქართველოს თანამშრომლობისა და თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებებს სთავაზობს, მაგრამ ევროკავშირში განვერიანების პირობას არ აძლევს.⁵⁸ სამეზობლო პროგრამის მსგავსად, მას არ იცნობს ქართველთა უმრავლესობა ან არარელევანტურია მისთვის. პროგრამა არ უზრუნველყოფს სტიმულაციის გაჩენას მდგრადი რეფორმისთვის და მიმღებ ქვეყნებზეც არ აქვს დიდი გავლენა. სტანდარტების მიღწევა თუ გრძელ სივრცეში განვირგნო მოთხოვნათა დაკმაყოფილება და ხუთწლიანი სამოქმედო გეგმები „ევროპეიზაციის“ არაადეკვატური მეთოდებია, თუმცა, მათი ზეგავლენა პოლიტიკურ დებატებზე, ქართულ კანონმდებლობასა და საგარეო პოლიტიკაზე დადებითია.

2008 წლის აგვისტოს ომმა დასავლეთის განსაკუთრებული სიფრთხილის გრძნობა გამოავლინა საქართველოსადმი. მართალია, დღეს ევროკავშირი პირდაპირ არის ჩართული კონფლიქტის მოგვარებაში თავისი წარმომადგენლობისა და ჟენევის პროცესის თანათავმჯდომარეობით (კონფლიქტის შემდგომი მოლაპარაკებები დაპირისპირებულ მხარეებთან), ის მაინც ხაზს უსვამს მისი წარმომადგენლის ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლს სამხრეთ კავკასიაში და არა ჩართულობას კონფლიქტის მოგვარებაში. ომმა გააღრმავა ევროპის გაურკვევლობა საქართველოს მიმართ. მან სააკაშვილი მირჯვედ დაადასტურა მის დანყებაში, ისე რომ არც დაფიქრებულა თავად ევროპის ძლიერი სახელმწიფოების პასუხიმგებლობაზე იმის გამო, რომ უგულვებელყო სააკაშვილის სასონარკვეთილი მიმართვები რუსეთთან შუამავლობაზე ომამდე დიდი ხნით ადრე.⁵⁹

ევროკავშირი შავი ზღვის აუზის ზესახელმწიფოა. ევროპის უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი ამ რეგიონში სტაბილურობის გარეშე. ამის მისაღწევად, ევროპულ ბაზარსა და ინსტიტუტებში საქართველოსთვის

მკაცრი პირობების წამოყენების კვალდაკვალ, ევროკავშირმა უნდა შეიმუშავოს მკაფიო და ერთიანი პოზიცია რუსეთის მიმართ, რომელიც ბოლო 20 წელია, რაც არამკითხველ მოამბისა და მანებლის ფუნქციას ასრულებს ევროპის მეზობელ რეგიონებში და მტრულად არის განწყობილი კავკასიური სახელმწიფოების ინტეგრაციისადმი ევროპულ სტრუქტურებში. აგვისტოს ომი იმის შემახსენებელი იყო, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენები განუყოფლად არის დაკავშირებული რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებთან და უფრო ფართო ევროპულ და აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებთან, იქნება ეს არალეგალური მიგრაცია, ენერგორესურსები, ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკების კონტრაბანდა, თუ ავღანეთსა და ირანთან ურთიერთობები.⁶⁰ ევროკავშირის ლიდერები კავკასიაზე, როგორც არასტაბილურ ზონაზე ისე ფიქრობენ, მაგრამ უფრო მეტი ჩართულობას კავკასიისა და მისი მეზობლების საქმიანობაში, მაგალითად, ირანსა და თურქეთში, შეეძლო ბოლო მოელო ევროკავშირის შიშებისთვის უსაფრთხოების გამო. ეს პოლიტიკური ნებისა და ოდნავ მეტი სიმამაცის საკითხია, რომელიც 27 სახელმწიფოსგან შემდგარმა ევროპამ ჯერჯერობით ვერ გამოავლინა.

საქართველოს მრავალპროვინციული უსაფრთხოება

ეროვნული საკითხი საქართველოში გადახლართულია ქართული სახელმწიფოებრიობის ყოველ ეგზისტენციულ პრობლემასთან. 2002 წლის აღწერის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოში 120 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ცხოვრობს.⁶¹ ამ ჯგუფების მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მათ ზომამზე, სოლიდარობის ხარისხზე, ქართველებთან ისტორიულ ურთიერთობებზე, ტერიტორიულ სტატუსსა და მეზობელ მონათესავე სახელმწიფოებთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ან „მფარველ სახელმწიფოსთან“, მაგალითად, რუსეთთან კავშირებზეა დამოკიდებული. 2,500 ქურთი (განსხვავებით ქურთი იეზიდებისგან, რომელთა რაოდენობა 18,300-ია) გაფანტულად ცხოვრობენ საქართველოში ტერიტორიული სტატუსის გარეშე და პრობლემებს თითქმის არ ქმნიან. სტრატეგიულად განლაგებული და კომპაქტურად დასახლებული გაცილებით მრავალრიცხოვანი, კერძოდ, 249.000 სომეხი, რომელსაც სომხეთი და რუსეთი უმაგრებს ზურგს, უფრო მგრძნობიარე საკითხია. ადგილმდებარეობა ძალზე მნიშვნელოვანია. ქისტები რუსეთის საზღვართან ცხოვრობენ; ბერძნები, სომხები და აზერბაიჯანლები სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგო მატარებლების საგზაო და სარკინიგზო ხაზების ორივე მხარეს სახლობენ. სამცხე-ჯავახეთის სომხური თემი რუსეთის სამხედრო ბაზას მასპინძლობდა 2007 წლამდე. სამცხე-ჯავახეთი თურქეთსა

და სომხეთს ესაზღვრება და აქედან განდევნილი მაჰმადიანი მესხების სამიზნეა, რომლებსაც თავიანთ სამშობლოში დაბრუნების სურვილი აქვთ. ქვემო ქართლში მაცხოვრებელი აზერბაიჯანლები თანამშრომლობენ საქართველოს სახელმწიფოსთან, მაგრამ თუ აზერბაიჯანის ხელისუფლების მხარდაჭერას და მათ კულტურულ და ლინგვისტურ კავშირებს გავითვალისწინებთ თურქეთთან, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. საქართველოს საბედნიეროდ აზერბაიჯანის და სომხეთის ხელისუფლება ირიდენტისმს არ აქეზებს, რადგან ორივეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახმელეთო დერეფნის შენარჩუნება სურს საქართველოს გავლით შავი ზღვისკენ.

სიღარიბე, მარგინალური მდგომარეობა ეკონომიკური თვალსაზრისით, განათლების დაბალი დონე და შიდა დაყოფები თავად უმცირესობათა თემებში, ხელშემშლელი ფაქტორებია ინკლუზიისთვის. სოფლისა და ქალაქის საზოგადოებებს შორის უფსკრულია, რელიგია განსხვავებულია და ლინგვისტური ინტეგრაციის მხრივ უთანასწორობაა. ახალქალაქის ბევრი სომეხი, რომელიც ქართულს არ ფლობს, დაშნაკუტუნის პარტიას უჭერს მხარს და სომხეთთან შეერთებას ცდილობს. მაგრამ, მეორე მხრივ, თბილისში მცხოვრები ლინგვისტურად გაქართველებული უძველესი სომხური საზოგადოება უარს ამბობს ამ მოთხოვნებზე. რეგიონული „პარტიები“ ამ ჰეტეროგენულობას ასახავს.⁶² სამცხე-ჯავახეთში, სომეხთა დომინანტობის შესუსტების მიზნით 1994 წელს ტენდენციურად შექმნილ საარჩევნო ოლქში სულ მცირე ხუთი პარტიაა, კერძოდ, ჯავახი, გაერთიანებული ჯავახი, ჯავახეთის ახალგაზრდობის სპორტის კავშირი, ვირქი და დაშნაკუტუნი. ისინი ადგილობრივ ბოზოლებს ებრძვიან, ეთნიკურ სომეხ დეპუტატებსა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებიც ლოიალურად არიან განწყობილი ქართული ისტებლიშმენტის მიმართ. ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ რაიონში, ბირლიკისა და ჯეირათის პარტიები არიან ძირითადი მეტოქეები.

ცენტრი ადგილობრივი ხელმძღვანელებთან თანამშრომლობას ეყრდნობა. მაგრამ ადგილობრივი ლიდერები ხშირად ქართულ ეკვივალენტებს ასახავენ. არასწორი შეხედულებები, კორუმპირებული ქსელები და სახელმწიფოსადმი უნდობლობა, ისევე პრევალირებს ეროვნული უმცირესობების საზოგადოებებში, როგორც ქართველთა შორის. ორმხრივი შემწყნარებლობა დასაქმების, ფინანსური უზრუნველყოფის და სოციალური მობილურობის საბჭოთა პირობებში მუშაობდა უკეთ. ახალ ხელისუფლებას სურს ეროვნულ უმცირესობათა ერთგულების დაბრუნება, მაგრამ ამ პოლიტიკის არსი დამოკიდებული იქნება მათთვის საკუთარი ინტერესების არტიკულირებისა და რესურსების წვდომის შესაძლებლობების მიცემაზე. აი, ეს მისცემთ მათ სტიმულს იმისთვის, რომ საქართველოში საკუთარი სახელმწიფო დაინახონ. ამჟამად, ეროვნული უმცირესობები თითქმის არ არიან ქართული

სახელმწიფოს ცხოვრებაში ჩართულნი. საბჭოთა პერიოდში, პოზიტიური ქმედება, რუსული ენის ცოდნა და პარტიული საკადრო პოლიტიკა არაქართველთა წარმომადგენლობას უზრუნველყოფდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. დღეს რუსული აღარ არის მობილურობის ენა, ხოლო ადმინისტრაციული კოდექსი და კანონი საჯარო სამსახურის შესახებ (1997) კრძალავს სახელმწიფო სამსხურს არაქართულად მოლაპარაკეთათვის. ქართული ენის მასწავლებელთა არარსებობა უმცირესობათა რაიონებში (მიუხედავად ხელფასებით ნახალისებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სურვილისა, რომ შეისწავლონ ქართული) და ლინგვისტური ბარიერები უმალესი განათლების მიღების გზაზე, ხელს უწყობს მონათესავე სახელმწიფოებისადმი უმცირესობათა ერთგულებისა და შეჭიდულობის გრძნობის გაძლიერებას. ჯავახეთის სომეხი სტუდენტობა ერევანში (სომხეთის ხელისუფლებას 70 ადგილი აქვს გამოყოფილი საქართველოს სომხებისთვის) ან მოსკოვში სწავლობს, ხოლო აზერბაიჯანელებს სწავლა ბაქოში ურჩევნიათ. 2004 წელს მიღებულმა ახალმა კანონმა უმალესი განათლების შესახებ, რომლის მიხედვითაც მისაღები გამოცდები დაწესდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ეს პროცესი დააჩქარა. მას შემდეგ კი გაიოლდა ქართულ ენაში მისაღები გამოცდების მოთხოვნები, მაგრამ სოფლად მაცხოვრებელი არაქართული მოსახლეობისთვის ამ გამოცდისთვის მომზადების შესაძლებლობა უფრო მწირია. სტუდენტთა უმრავლესობა, რომელიც მონათესავე სახელმწიფოში სწავლობს, საქართველოში არ ბრუნდება. ქვეყანაში, სადაც პოლიტიკურ წვდომაზე და ეკონომიკური წარმატებისთვის პატრონაჟი სასიცოცხლოდ აუცილებელია, ეროვნულ უმცირესობათა არარსებობა უმალესს დანესებულებებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებში, ისევე, როგორც გონიერი და ნათელი ახალგაზრდობის გასვლა „მშობლიურ“ სახელმწიფოებში, საქართველოს სახელმწიფოს სერიოზული მარცხია.

2005 წლის ივლისში წარმოთქმულ სიტყვაში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველო „პოზიტიური ვალდებულებების გზაზე დგას, აგრესიულად ისწრაფვის რა, მათი ინტეგრაციისთვის სახელმწიფო აპარატში.“⁶³ და მაინც, ეროვნული უმცირესობები არ ჩანან მთავრობაში, სასამართლოში, არმიასა თუ აღმასრულებელ სტრუქტურებში. 2006 წლისთვის მოსამართლეთა 261-წევრიან კორპუსში მხოლოდ 6 მოსამართლე იყო უმცირესობათა წარმომადგენელი.⁶⁴ ისინი საკუთარ მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ პოლიციაში არიან წარმოდგენილი, მაგრამ არათანაბრად მცირე რაოდენობით. სამცხე-ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის 54.6% სომეხია, მხოლოდ 11.7% მუშაობს ადგილობრივ სახელმწიფო სამსახურში.⁶⁵ ახალქალაქისა და ნინოწმინდას რაიონების გარდა, სადაც გამგებლები ეთნიკური სომხები არიან, მერები, პოლიციის უფროსები და ადგილობრივი მოსამართლეები,

პრაქტიკულად ყველა ქართველია. ქვემო ქართლის აზერბაიჯანლები, ყველაზე დიდი, გამგებლის მოადგილეები არიან იქაც, სადაც მოსახლეობის 83.15-ს შეადგენენ (2009 წელს, მარნეულის 26 წევრიანი საკრებულოს 19 წევრი იყო აზერბაიჯანელი).⁶⁶ პარლამენტის არაქართველი დეპუტატები, ჩვეულებრივ, მმართველი პარტიის წევრები არიან, მაგრამ იშვიათად თუ დგანან პარტიული სიის სათავეში (რაც არჩევას უზრუნველყოფს). მათ უკეთესი შანსი აქვთ ერთმანდატიან ოლქებში, თუმცა, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაშიც, მათი საკანონმდებლო გავლენა მინიმალურია. 2004 წლის მონვევის პარლამენტში, პარლამენტის ბიუროში, რომელიც საკანონმდებლო დღის წესრიგის განსაზღვრის გავლენიანი ერთეულია, არ შედიოდა არც ერთი არაქართული წარმომადგენლის დეპუტატი, ეროვნული უმცირესობები არც ფრაქციის ხელმძღვანელები იყვნენ და არც იმ ორი კომიტეტის ხელმძღვანელობაში იკავებდნენ თანამდებობებს, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე მუშაობდა.⁶⁷

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია მხოლოდ წარმომადგენლობის საკითხი არ არის. მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ რეფორმამ აზრი შეიძინოს, მათ შორის, რეალურად უნდა ამუშავდეს ადგილობრივი მმართველობა. ვარდების რევოლუციის ავტორები ცდილობენ ამ პრობლემების მოგვარებას. მათ დაარსეს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ქუთაისში, ნაწილობრივ, არაქართველ საჯარო მოხელეების მოსამზადებლად; ისინი ასწენებენ გზებსა და რკინიგზას სამცხე-ჯავახეთში (მე-19 საუკუნის საფრანგეთის ფრეიჩინეთის საჯარო საქმიანობის პროგრამის მსგავსი კურსი) და გაზარდეს სასწავლო პროგრამების რაოდენობა ქართული ენის შესასწავლად და მოუმატეს ხელფასები ქართული ენის მასწავლებლებს არაქართულ სკოლებში.⁶⁸ განათლების სამინისტროს მიერ 2005 წელს ინიცირებული კანონით დაინერგა მნიშვნელოვანი სასკოლო პროგრამა და დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება ქართული ენის სწავლების გაძლიერების მიზნით ყველა სკოლაში, რითაც დასრულდა ეთნონაციონალური ტენდენციურობა სასკოლო პროგრამაში. პედაგოგთა და მშობლების „სამეურვეო საბჭოების“ დაარსებით არაქართულ საზოგადოებას თეორიულად მაინც უნდა მიენიჭოს იმის უფლებამოსილება, რომ სწავლების ენა დაადგინოს. პრეზიდენტმა ბევრი სიმბოლური ჟესტი გააკეთა; ის საჯაროდ გამოხატა ეთნიკურ დისკრიმინაციას, არაქართველებს მათ მშობლიურ ენაზე მიმართავს და ხშირად მგზავრობს მათ რეგიონებში სამთავრობო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით.

და, მაინც, წინამორბედების მსგავსად, ახალმა ხელისუფლებამაც ვერ მიაღწია ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობას. ჯერჯერობით, ისევ არ ჩანს შეთანხმება ეროვნულ ადმინისტრაციულ სისტემაზე

(კონსტიტუციის ახალი 2010 წლის პროექტი თითქმის არ განიხილავს რეგიონული მმართველობის საკითხს); არ არსებობს კანონი ენის შესახებ (მისი პროექტი ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდშია განხილული) და არც გადანყვეტილებაა მიღებული მესხებზე, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის კანონით აღიარებულია მათი დაბრუნების საკითხი. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის ეროვნული საბჭო, რომელიც 2005 წლის აგვისტოში შეიქმნა ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მოთხოვნების განსახორციელებლად ხელისუფლების მიერ სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან ერთად, პოზიტიური ნაბიჯებია. 2005 წლის ივნისში პარლამენტმა განიხილა ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის პოლიტიკის კონცეფცია, მაგრამ, თანმდევი კანონმდებლობის გარეშე, ის რჩევა-დარიგების ხასიათს ატარებს.⁶⁹ დემოკრატიული მრავალეროვნული სახელმწიფო ინტერვენციული უნდა იყოს და ეწეოდეს საგანმანათლებლო, ეკონომიკური და ლინგვისტური ინტეგრაციის ღონისძიებების პოპულარიზაციას. საარჩევნო სისტემის რეფორმის, სოფლის მეურნეობაში ინვესტირებისა და რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის გარეშე, საეჭვოა, რომ ხელისუფლებამ არაქართული რეგიონების იზოლაციიდან გამოყვანა შეძლოს. 2007 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 12-17 წლის ასაკის მოსახლეობაში გვიჩვენებს, რომ აზერბაიჯანელთა მხოლოდ 53% და სომხების 52% უკავშირებს თავის მომავალს საქართველოს უახლოესი 5 წლის მანძილზე.⁷⁰

ომი, დანაშაული და ეკონომიკა

2002-2003 წლებში საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი, თედო ჯაფარიძე, ყოველთვის ამტკიცებდა, რომ საქართველოს უსაფრთხოებისთვის ყველაზე სერიოზული⁷¹ საშიშროება ეკონომიკა იყო. დღესაც იგივე შეიძლება ითქვას, რადგან ქვეყანაში კვლავ მასიური უმუშევრობა და სიღარიბეა. 1990-იანებში ომი და ეკონომიკური კოლაფსი კვებავდა ერთმანეთს. ომმა კრიმინალური დაჯგუფებები გააძლიერა. მათ ფაბრიკა-ქარხნები გაძარცვეს, მმართველ პოლიტიკურ ელიტაში შეაღწიეს და ეკონომიკა დაიპყრეს. კრიმინალურმა გამოწვევებმა, როგორცაა უკანონო (უკონტროლო) ზონები, ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია საყოველთაო ქურდობის ათწლიანი პერიოდი დაამყარა საქართველოში.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო დაკარგვამ 1990-იან წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის მეტად პროდუქტიული მიწების 15% გამოაცალა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი

მშპ-ს თითქმის 1 მილიარდს აწარმოებდნენ 1980-იანებში ქვანახშირის, ტყვიის, ჰიდროელექტროენერჯის და კვების გადამამუშავებელი საწარმოო დარგებით.⁷² აფხაზეთის მინების 40%-ზე ციტრუსი, ჩაი და სხვა მრავალწლიანი კულტურები იყო გაშენებული და ამასთან, 500-ზე მეტი სამრეწველო და აგრარული საწარმო მუშაობდა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა ომის შემდეგ ჯერ არ დამდგარა ფეხზე. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, აფხაზეთის სახელმწიფო სექტორის წარმოების მოცულობა 1998 წელს 1.19%-ს შეადგენდა 1988 წლის მოცულობის. 2001 წელს მშპ 70-80 მილიონი დოლარი იყო (350 აშშ დოლარი სულზე), ხოლო საბიუჯეტო გასაწვები 7.2 მილიონი დოლარი ანუ 30 აშშ დოლარი სულზე. შემოსავლები, ძირითადად, მოდის ჯართზე, მანდარინზე, ხე-ტყის მასალაზე, თხილზე, რუს ტურისტებსა (2005 წლისთვის დაახლოებით 110.000 ტურისტი სტუმრობდა აფხაზეთს) და რუსეთთან ვაჭრობაზე. სამხრეთ ოსეთის მშპ-ს მოცულობა 2002 წლისთვის 15 მილიონი დოლარი იყო, დაახლოებით 250 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე, რაც ამ რეგიონს მსოფლიოს უღარიბეს ადგილად აქცევდა. სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტის დაახლოებით 96% (ოფიციალურად, საბაჟო ტარიფი წარმოადგენს ხელისუფლების შემოსავლის უდიდეს წყაროს) მოდის პირდაპირ რუსეთიდან და თითქმის ყველა ოჯახი დამოკიდებულია რუსეთიდან მიღებულ პენსიაზე, დახმარებაზე, ფინანსურ გზავნილებსა და კონტრაბანდაზე.⁷³

ამ ზონებიდან არალეგალურმა ექსპორტმა, მათ შორის, უცხოური ვალუტისამ, დასცა საქართველოს სავაჭრო ბალანსი და ხელი შეუშალა გადასახადებისა და განბაჟების თანხების ამოღებას. 1990-იან წლებში ერგნეთის ბაზრობიდან კონტრაბანდით მიღებული შემოსავლები (სამხრეთ ოსეთი) დაახლოებით 2-3 მილიონ დოლარს აღწევდა ყოველთვიურად. საქართველოში კონტრაბანდით შესული პროდუქცია (ნარკოტიკები, სანჯავი და სიგარეტი) ინახავდა ქართულ კრიმინალურ ქსელებს და კორუფციამი ჩართულ სამინისტროებსაც, რომლებსაც, წესით, საზღვრებისა და ვაჭრობის კონტროლი ევალებოდათ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა 2000 წელს დაიანგარიშა, რომ ლეგალურად შემოტანილი სანჯავის გადასახადი საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებს 30%-ით გაზრდიდა. კონტრაბანდული შაქრის (შემოტანილი შაქრის 60%), თუ სიგარეტის (შემოტანილის 75%) გადასახადები დამატებით 70 მილიონ დოლარს მოუტანდა ქვეყანას ყოველწლიურად⁷⁴

2010 წელს აფხაზეთში უმნიშვნელო რაოდენობის უცხოური ინვესტიცია შევიდა, სამხრეთ ოსეთში კი საერთოდ არ შესულა. 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთმა ინვესტიციები განახორციელა კურორტებში, ნავსადგურებსა და დიდ ცარიელ ვილებში, რაც ძველი საბჭოთა ნომენკლატურის ქონება იყო. 2014 წელს აფხაზეთი ეკონომიკურ სარგებელს მიიღებენ სოჭის ოლიმპიადით, ამასთან შეინიშნება პირადი მოხმარების ზრდაც, მაგრამ

მთლიანობაში, ეს რეგიონი რუსული ბიზნესის ეკონომიკური „კოლონია“, სადაც უძრავ ქონებას, ძირითადად, რუსები ყიდულობენ.⁷⁵ 2009 წელს, საქართველოს ხელისუფლების დაანგარიშებით, აფხაზეთში 200.000 ადამიანი ცხოვრობდა, რაც ომამდელ რაოდენობის (525.000) ნახევარზე ნაკლებია. 2009 წლის ციფრი დიდად არ განსხვავდება აფხაზეთის მიერ 2011 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად მიღებული რაოდენობისგან. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ამჟამად 40.000-60.000 ითვლის 1989 წლის 98.000-თან შედარებით. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 80%-ზე მეტი უმუშევარია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლტოლვილები, სავარაუდოდ, არ დაბრუნდებიან შინ, მიუხედავად აღიარებული „დამოუკიდებლობისა.“⁷⁶ ორივე რეგიონში თავისუფალი სავაჭრო ზონის მსგავსი რეჟიმი, სადაც კრიმინალთა, მესაზღვრეების, რუსი სამხედრო ოფიცრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ეკონომიკური ინტერესები იკვეთება. გარიყული საერთაშორისო თანამეგობრობიდან, სოხუმისა და ცხინვალის უბნები ანდრეი ტარკოვსკის კინემატოგრაფიულ უდაბნოს მოგვეგონებს, ქუჩები და სამინისტროების შენობები – ცარიელი და გამოყრუებულია, ფაბრიკა-ქარხნები ჯართად დაშლილი და გაძარცვული, შეუკეთებელი გზები და ხიდები კი მგზავრობასა და ვაჭრობას აფერხებს. რუსული დახმარება (რომელმაც გაასამშაგა სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი 2008-2010 წლებში, და რომელიც ცელავ აფინანსებს სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაზის მილსადენს) ამ ორივე რეგიონში, ორთქლდება. „დამოუკიდებლობამ“ რუსეთის რეჟიმი გააძლიერა ამ მხარეში, რისი ნაწილიცაა რუსული სამხედრო ბაზების 49 წლიანი იჯარა. კომუნიკაციის ოფიციალური ენა ორივე რეგიონში რუსულია.⁷⁷

1990-იანებში დასავლეთის ჟურნალისტებმა და მწერლებმა, მაგალითად, ჯონ ლე კარემ, ჩამოაყალიბეს ისეთი აზრი, რომ ქართველებს (ჩეჩნების მსგავსად) ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდათ. მაგრამ კრიმინალური ქსელი მხოლოდ ქართული პრობლემა არ გახლავთ ან მხოლოდ პოსტსაბჭოთა. საბჭოთა პერიოდში, საქართველოს კრიმინალურ ქსელს ტარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, მაგალითად, სასაზღვრო ზონებთან სიახლოვე, საერთაშორისო ბაზრებზე იოლი წვდომა და ცენტრისგან მოშორებით ყოფნა. პოსტსაბჭოთა საქართველოში, ტრანსნაციონალურმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა განაგრძეს იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდა ისარგებლეს რა, გეოგრაფიული მდგომარეობით და უკანონო (უკონტროლო) ზონებით აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამ ზონებმა არაჩვეულებრივი შესაძლებლობები მისცა ნარკოტიკების დინებებს შუა აზიიდან პანკისის ხეობის, ჩეჩნეთისა და ცხინვალის გავლით.

დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში საქართველოს ეკონომიკაში ყოფილი ოპორტუნისტული ნომენკლატურა და კრიმინალები ბატონობდნენ.

ერთ-ერთმა ავტორმა მათ „ენტერპრენიორჩიკები“ (entrepreneurchicks) უწოდა.⁷⁸ იმ პერიოდში საქმიანობის სამი ფართო კატეგორია არსებობდა: კრიმინალური სინდიკატები, რომლებიც აქტიურობდნენ სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში და კონტრაბანდაში სახელმწიფო თანამდებობის პირებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად მუშაობდნენ; კრიმინალური გაერთიანებები, რომლებიც რეკეტიურობდნენ, კლავდნენ ადამიანებს და სხვა ბანდიტურ ქმედებებს ჩადიდნენ; და ბოლოს, ეთნიკური ნიშნით შექმნილი ჯგუფები, რომლებიც კონფლიქტურ ზონებში იტაცებდნენ ადამიანებს და ვაჭრობდნენ ნარკოტიკებით, მაგალითად, აფხაზეთში, პანკისისა და კოდორის ხეობებში.⁷⁹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა პირველი კატეგორიის კარგი მაგალითი იყო. აჭარაში აბაშიძეებისა და გოგიტიძეების კლანები ბატონობდნენ. ეკონომიკა ფიქტიური კომპანიებით მუშაობდა (შპს-ბასრი ყველაზე ცნობილი იყო), რომლებსაც ნარკოტიკები ჩრდილოეთით გაჰქონდათ და თურქეთის საზღვარზეც, არალეგალური ვაჭრობის კუთხით, მონოპოლია ჰქონდათ დამყარებული.

ორგანიზებული დანაშაულის ცნობილი წყარო საქართველოში „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტი იყო, ტრადიცია, რომელიც საბჭოთა ბანაკებიდან მოდიოდა და რომელიც ქურდ ბოსებსა და მათ მიმდევრებს შორის ქცევის მკაცრ კოდექსს ემყარებოდა. ეს კოდექსი იერარქიულ კონტროლს ინარჩუნებს კრიმინალურ ჯგუფებზე. საქართველოში დანაშაულებრივ სამყაროს გავლენიანი და კარგი კავშირების მქონე ტარიელ ონიანი და ჯაბა იოსელიანის მსგავსი პირები იდგნენ სათავეში, რომლებიც ხელსაყრელ პოზიციებზე იყვნენ, რათა სათავისოდ გამოეყენებინათ საბანკო საქმის წესები (ანონიმური ფულადი გადარიცხვები ნებადართული იყო), გაეყალბებინათ საპრივატიზაციო გარიგებები, თავისი სურვილისამებრ შეერჩიათ მინისტრები თუ მიეღოთ კანონები.⁸⁰ შევარდნაძის მოკვლის მცდელობით (1995 წლის აგვისტო) დროებით ბოლო მოეღო მხედრონის გავლენას, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა კანონიერ ქურდებთან, მაგრამ სხვა დანაშაულებრივმა ქსელებმა განაგრძეს ეკონომიკაზე ბატონობა 2004 წლამდე, როცა ვარდების რევოლუციის ავტორებმა ძლიერი დარტყმა მიაყენეს ორგანიზებულ დანაშაულს.

ვარდების რევოლუციის ავტორების ანტიკრიმინალური კამპანია დაუდობელი იყო. ეს აისახა დევნის რაოდენობის გაზრდაზე ყალბი ფულის დამზადებისთვის, ფულის გათეთრებისთვისა და გამომძლვისთვის. სააკაშვილმა განაცხადა, რომ სინდისის ქენჯნას არ იგრძნობდა კრიმინალურ სამყაროზე ტყვიების დასახარჯად.⁸¹ 2003 წლის დეკემბერში, შეტევის განსახორციელებლად სოდი და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის სპეციალური სამსახური დაარსეს. პროკურატურა თითქმის მთლიანად კორუფციაზე კონცენტრირდა. 2005 წელს, კაზინოთა რაოდენობა 39-დან 2-მდე შემცირდა (ფულის გათეთრების ერთ-ერთი

წყარო).⁸² იმავე წელს, პარლამენტმა მიიღო კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, რომელსაც საფუძვლად ედო აშშ-სა და იტალიის კანონმდებლობა. კანონი, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩადენილია თუ არა დანაშაული, კანონიერი ქურდების პატიმრობას და მათთვის უკანონო გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციას (მათ შორის, ოჯახის წევრების ქონებასაც, რომელთა კუთვნილი რამდენიმე შენობა პოლიციის განყოფილებადაც იყო გადაკეთებული) ითვალისწინებს. ამ კანონის გამოყენებით სამართალდამცავებმა, როგორც ამბობდნენ, 33 კანონიერ ქურდს პატიმრობა მიუსაჯეს.⁸³ უკანასკნელი ნახევრადგასამხედროებული ჯგუფი, რომელსაც ემზარ კვიციანი ხელმძღვანელობდა და რომელიც ნარკოტიკების კონტრაბანდაში იყო ჩართული 2006 წელს, კოდორის ხეობაში, გაანადგურეს.

კრიმინალური სამყაროს მხრიდან განუღწეველ წინააღმდეგობას მთავრობა უღმობლად ახშობს. 2006 წლის მარტში, თბილისის მე-5 საპრობილეში მომხდარ ბუნტს ხელისუფლების უკიდურესად მრისხანე რეაქცია მოჰყვა, რის შედეგადაც 7 პატიმარი დაიღუპა. საპრობილეებზე დამყარებული კონტროლი კანონიერი ქურდების ძალაუფლების საყრდენი იყო. სააკაშვილმა ის მოარყია. მან ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა. მან თქვა: საქართველოს ქურები „გაიწმინდებიან ამ კრიმინალური ნაგვისგან კანონმდებლობისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვით.“⁸⁴ ორგანიზებული დანაშაული ეკონომიკაში პრაქტიკულად აღმოიფხვრა, მაგრამ მისი ქსელები არ განადგურებულა. მიუხედავად სახელმწიფო აპარატის სისწრაფისა და სიმკაცრისა, ქართული დანაშაულებრივი ქსელები ისევ მუშაობენ რუსეთსა და ევროპაში და, თუკი შესაძლებლობა მიეცემათ, მზად არიან დასაბრუნებლად.⁸⁵

უმნიშვნელო დანაშაულისთვის ბევრი ადამიანი იქნა დაპატიმრებული ანტიკრიმინალური კამპანიის დროს და განთავსებული ისედაც ძალზე გადატვირთული პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში. ზოგიც, უფრო ილბლიანი (თუ მდიდარი?) საპროცესო გარიგებით დაუხსნლდა პატიმრობას (2009 წელს საპროცესო გარიგება სისხლის სამართლის დანაშაულის 60%-ზე იქნა გაფორმებული). 2003 წელს, საქართველოს 6.274 პატიმარი ჰყავდა. 2010 წლისთვის ამ რიცხვმა 24.000-ს მიაღწია (ეს 300-პროცენტითი ზრდაა 7 წლის განმავლობაში) და საქართველოსაც (პროპორციულად) მეხუთე ადგილი მოუტანა მსოფლიოში პატიმართა რაოდენობის მიხედვით.⁸⁶ ქვეყანას ეს მიიმე ფასად დაუჯდა, კერძოდ, ირღვეოდა სამართლებრივი პროცესუალური ნორმები, გამოიყენებოდა არათანაზომადი სასჯელები და სახელმწიფო გადაჭარბებით იყენებდა ძალას. ეს ყველაფერი ძირს უთხრის ადამიანის სამოქალაქო უფლებებს. სახალხო დამცველის პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშებში ყოველთვის ხაზგასმული იყო პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემები.⁸⁷ ქუჩის დანაშაულის წელში გადატეხვა

კი პოზიტიური საქმეა (თუმცა, 2009 წლის გამოკითხვის მიხედვით, ქართველთა უმრავლესობა არ ეთანხმება ზედმეტად მკაცრი სასჯელების გამოყენებას), მაგრამ მის ყველაზე სერიოზულ მიზეზს, სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემებს ვერ წყვეტს.⁸⁸

გარემოს დაცვა

ველური ბუნების დაცვის მსოფლო ფონდს (WWF) კავკასია იმ 200 ეკორეგიონში აქვს შეტანილი გლობალური მასშტაბით, რომელიც განსაკუთრებული ბიომრავალფეროვანი, ენდემური ზონაა, თავისი სახეობების სიმდიდრით და უჩვეულო ეკოლოგიური მოვლენებით.⁸⁹ კავკასიაში, რომელიც სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლების კვეთაზე მდებარეობს, 40-ზე მეტი ბუნებრივი ლანდშაფტია. ამავდროულად, კავკასიას WWF-ის მიერ დადგენილი ბიოლოგიური საფრთხის წინაშე მდგარ „ცხელ წერტილებში“ 25-ე ადგილი უჭირავს. მისი ეკოლოგიური პრობლემები დიდი ხნისაა, რაც ნაწილობრივ საბჭოთა მემკვიდრეობით, ბუნებრივი რესურსების და მიწების დაუდევარი და არარაციონალური გამოყენებით და ეკოლოგიური კულტურის სისუსტით აიხსნება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკურმა საქმიანობამ იკლო და ისეთი ეკოლოგიური გამოწვევები, როგორცაა ჰაერისა და მიწისქვეშა წყლების (პესტიციდებით) დაბინძურების დონე შემცირდა; ხოლო რაც შეეხება, მაგალითად, ტყის გაჩანაგებას, ნათობის მილსადენის ნეგატიურ ზემოქმედებას თუ ბუნებრივ კატასტროფებს, ამ მხრივ, მდგომარეობა გაუარესდა.

2002 წლის კავკასიის გარემოსდაცვითი მიმოხილვის (CEO) მიხედვით, რომელმაც კატეგორიულად დაყო სახელმწიფოთა ეკოლოგიური საფრთხეები ამ რეგიონში, უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს: მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, წყლის რესურსების არათანაბარი განაწილება, დეფორესტაცია, ნიადაგის დეგრადაცია, გაუდაბნოება და სტიქიური კატასტროფების გახშირება.⁹⁰ ეს პრობლემები გადახლართულია სოფლის მეურნეობის უგულვებელყოფასთან და სახელმწიფოს გარემოსდაცვითი რეგულაციების მოშლასა, თუ 2003 წლიდან, საერთოდ, გაუქმებასთან. კვლევითი ინსტიტუტებისა და (მაგალითად, გარემოს დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) საზედამხედველო სააგენტოების დაფინანსების შემცირებამ ეკოლოგიური საფრთხეები გაზარდა. ენერგორესურსებით მომარაგების სისტემის დანგრევამ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, რასაც სატყეო დეპარტამენტში არსებული კორუფციაც დაერთო, ხე-ტყის მოჭრის დონე გაზარდა. ამან ნიადაგის ეროზიას შეუწყო ხელი, რადგან ქარდამცავი თუ წყლების შემკავებელი ხეები მასიურად მოიჭრა სანავის

სახით გამოსაყენებლად და ქვეყნიდან არალეგალურად გასატანად. საქართველოს სახნავ-სათესი მიწების 33% ეროზირებულია, ხოლო 58% -კლასიფიცირებულია, როგორც დაბალი ნაყოფიერების მიწები⁹¹. ეროზია განსაკუთრებული პრობლემაა აჭარისა და სვანეთის მთიან რაიონებში მცხოვრები გლეხებისთვის. ნიადაგების ეროზიასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო მწვავედება მიწების არასათანადო მართვის გამო. პრაქტიკულად, სახელმწიფო ინსტრუქციები არ არსებობს მიწის გადატირთვის, მარცვლეულ კულტურათა მონაცვლეობის, ნიადაგის გამოფიტვისა თუ ბუნებრივი სასუქების გამოყენების შესახებ.

არ არსებობს მტკიცებულება, რომ სახელმწიფოს ჩარევის შემცირება და პრივატიზაცია მდგომარეობას აუმჯობესებს. პარადოქსია, მაგრამ ანტიკორუფციული ღონისძიებებმა, როგორცაა ლიცენზიების, ნებართვებისა და გადასახადების შემცირება, შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს გარემოს დაცვაზე. პრინციპში, ტყის იჯარით გაცემა ცუდი იდეა არ არის (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოლიტიკა), მაგრამ როცა სატყეო ფონდის ინვენტარიზაცია არ ტარდება და მონიტორინგი არ არსებობს, ეკოლოგიურად მგრძობიარე ტყის მასივი შეიძლება მკაფავის ხელში აღმოჩნდეს.⁹² ანალოგიურად, საქართველოს ხელისუფლების თანამშრომლობას საირიგაციო პროექტებზე მსოფლიო ბანკთან არ მოჰყვება ეკონომიკური სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში გონიერი ადგილობრივი მთავრობის, ინფრასტრუქტურაში უწყვეტი საბიუჯეტო ინვესტიციებისა და დაბინძურებაზე კონტროლის გაძლიერების გარეშე. მთავრობის მიერ გატარებულმა ლიბერალურმა პოლიტიკამ, კერძოდ, ლიცენზიებისა და ნებართვების აღების გაიოლებამ სამთო მრეწველობისა და ტურიზმის კომპანიებისთვის, ვერც სოფლად ინვესტირების საქმე გამოასწორა და ვერც ეკონომიკური კეთილდღეობა აამალა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საქართველოს ხელისუფლება (და, პრინციპში, მოსახლეობაც) პრიორიტეტად არ მიიჩნევს გარემოს დაცვას. მაგრამ იმ სახელმწიფოებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა გაჭირვებაში ცხოვრობს, უმცირესი ეკოლოგიური ცვლილებაც კი შეიძლება გამანადგურებელი აღმოჩნდეს. 1980-იანი წლებიდან საქართველოში ბუნებრივი კატასტროფები გახშირდა, წყალდიდობამ და მენყერმა, მდინარის დაბინძურებამ (თბილისის კანალიზაცია პირდაპირ მტკვარში ჩაედინება) და სანაპიროების ეროზიამ, უზარმაზარ ტვირთად დაანვა ცენტრალურ ბიუჯეტს და ადგილობრივ მმართველობას, რომელიც ძლივს აუდის თავშემსაფრისა და სამუშაოს მძებნელი „ეკო-მიგრანტების“ პრობლემებს.⁹³ ისინი დაახლოებით 100.000-120.000 იყვნენ 2008 წელს. 1999 და 2008 წლების მონაკვეთში, 10 დიდი მასშტაბის სტიქიური უბედურება დაატყდა თავს 719,246 საქართველოს მოქალაქეს. 2007 წლის ზაფხულის გვალვამ დიდი უთანხმოებები

გამოიწვია სამხრეთ ოსეთში, ეთნიკური დაძაბულობა იმდენად გამწვავდა, რომ საბოლოოდ ორივე მხარემ ჩაკეტა საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემები.⁶

საქართველოს ხელისუფლება აღიარებს ეკოლოგიურ კავშირს ეროვნულ უსაფრთხოებასთან. 2005 წელს შექმნილ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მან აღნიშნა, რომ „გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანდაცვასთან“. ხოლო ქვეთავში, სათაურით: „ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები“ მან გაფრთხილება გააკეთა იმის შესახებ, რომ „ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესებას, ბუნებრივი და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ უბედურებებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, მისი მოქალაქეების კეთილდღეობას და ბიომრავალფეროვნებას.“⁹⁶ საქართველოს კონსტიტუციაც შეიცავს დამატებით დაცვას. 37-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში“ და რომ „ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.“ ამ ნორმებს უამრავი სხვა შიდასახელმწიფოებრივი კანონი თუ საერთაშორისო კონვენციები უმაგრებს ზურგს, რაც განპირობებულია საქართველოს სურვილით გაიზიაროს ევროპული სტანდარტები.⁹⁶ ხელისუფლების ბევრი ყოფილი თუ ამჟამინდელი წარმომადგენელი კარგად იცნობს გარემოს დამცველთა ფორმულირებებსა თუ არგუმენტებს. ზურაბ ჟვანიამ, ზურაბ ნოღაიდელმა და გია ბარამიძემ პოლიტიკური კარიერა მწვანეებიდან დაიწყეს.

ცენტრალური ხელისუფლება საჯაროდ სწორად აკავშირებს გარემოს დაცვის გაუარესებას, ადამიანის უფლებებსა და შიდა არეულობებს. 2004 წელს მან სპეციალური კომისია შექმნა ეკო-მიგრაციული პროცესების მართვის მიზნით და ამით აღიარა ის პრობლემები, რომლებიც წალეკილი მაღალმთიანი რაიონებიდან დევნილმა დაუპატიჟებელმა ეკომიგრანტებმა შექმნეს წალკის რაიონის სომხურსა და ბერძნულ სოფლებში.⁹⁷ უმეტესწილად, მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებულმა ეკომიგრანტებმა ინტერეთნიკური დაძაბულობა გააღვივეს ამ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. 2005 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ გარემოს დაცვის ინსპექცია შექმნა, საქართველო კი, გაეროს სააგენტოების მიერ ჩამოყალიბებული გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ინიციატივის მონაწილე გახდა (ENVSEC). და მანც, მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლება ნაკლებად ურთიერთობს ამ საკითხებთან დაკავშირებით ხალხთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. წესები და რეგულაციები საერთაშორისო ფორმულირებებიდან არის

⁶ ქართული ტექსტი, https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=43156 (მთარგმნ. შენიშვნა.)

გადმოღებული, მაგრამ ხელისუფლება არანაირ ზომებს არ იღებს, რომ გააუვნებელყოს ის რისკები, რასაც ეკოლოგიური ცვლილებები და რესურსების ამონურვა იწვევს. როგორც გარემოს დაცვის მინისტრთან, მის მოადგილესთან და ადგილობრივი ხელისუფლების შუა დონის წარმომადგენლებთან (2005-6 წ.) ინტერვიუები ცხადყოფს, ისინი არ აღიარებდნენ ან ინტერესი არ ჰქონდათ, რომ დაენახათ ის კავშირი, რაც გარემოს დაცვასა და სამოქალაქო კონფლიქტს შორის არსებობს და ეს მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები მათ დამამტკიცებელ ფაქტებს აწვდიდნენ.⁹⁸ საქართველოში ეკოლოგიურ ზემოქმედებას ჯანდაცვაზე, სიკვდილიანობაზე, ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან რესურსებზე წვდომაზე და შიდა მიგრაციაზე ისეთივე გავლენა აქვს ადამიანურ უსაფრთხოებასა და გრძელვადიან პოლიტიკურ სტაბილურობაზე, როგორც ომს და იძულებით გადაადგილებული პირებს, ამ ტრადიციული სახის საფრთხეებს.

გარემოსდაცვითი კანონის მოქმედებას ისეთივე პრობლემები უშლის ხელს, როგორც ყველა სხვა ქართულ კანონს. მას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რესურსებისა და მონიტორინგის გარეშე. ამას გარდა, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ეფექტურ მუშაობას ხელს უშლის სამინისტროების ნაკლები ლიაობა და შეხვედრები/კონსულტაციების ჩაუტარებლობა, პასიური საპარლამენტო უმრავლესობა და საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმის დაბალი დონე. ეკატერინე ნაკაშიძემ კანონმდებლობის შეფასებაში გარემოსდაცვითი ზემოქმედების შესახებ, აღნიშნა, რომ „საჯარო მოსმენები საზოგადოების ინტერესს არ იწვევს... ინვესტორები ამ მოსმენებს არ ესწრებიან...სამინისტროც საკმაოდ გულგრილია...“⁹⁹ ბუნებრივი რესურსებისა და ლიცენზირების საკითხები გარემოს დაცვის სამინისტროდან ეკონომიკის სამინისტროში გადაიტანეს 2008 წელს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობა გარემოს მდგრადი განვითარებიდან აცალკევებს. არადა, ზემოქმედება, რასაც რესურსების გამოფიტვა და დავები (წყალზე, მიწების განაწილებაზე) ახდენს ისეთ მრავალეროვნულ რაიონებში, როგორებიცაა მარნეული, ნალკა და სამხრეთ ოსეთი, გვეუბნება, რომ გარემოს დაცვის გონივრული მართვის გარეშე რეგიონულ სტაბილურობას საფრთხე ადგება ზიარ რესურსებთან დაკავშირებული კონფლიქტის ესკალაციით. მაგალითად, სარწყავ წყალზე წვდომის არარსებობა სამხრეთ ოსეთის საზღვართან მდებარე ქართულ სოფლებში ბიძგს აძლევს მიგრაციას და ზრდის უსაფრთხოების პრობლემებს ტერიტორიაზე, რომელიც ისედაც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, გაუკაცრიელებასთან ერთად. საქართველოს ხელისუფლების „ვალდებულებები“ გარემოს დაცვასთან კარგად ჩანს სამინისტროს ბიუჯეტში, რომელიც მუდმივად ბოლო ადგილზეა დაფინანსების მხრივ.¹⁰⁰ 2009-2010 წლებში სერიოზული დებატები მიმდინარეობდა გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმების შესახებ. ამჟამად, ბუნებრივ რესურსებთან

დაკავშირებული საკითხები ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელშია, რაც მიგვანიშნებს, რომ მახვილი კეთდება მათ ექსპლუატაციაზე და არა კონსერვაციაზე.

ეროვნული უსაფრთხოება: საქართველოს პერსპექტივა

ავგისტოს ომმა ორი რამ დაგვანახა: ეროვნული უსაფრთხოება განუყოფლად დაკავშირებული საქართველოს საშინაო საკითხებთან და სამხედრო ხარჯები არ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას (იგივე შეიძლება ითქვას პაკისტანსა და ავღანეთზეც). ქართველი პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ მათი სახელმწიფო ყოველთვის დაუცველი იქნება გარე ჩარევისგან. მაგრამ, თუ ქვეყნის ეკონომიკა ამუშავდება, სახელმწიფო ინსტიტუტები თავის ფუნქციებს შეასრულებენ, კორუფცია და დანაშაული აღმოიფხვრება და მოქალაქეებიც ჩაერთვებიან პროცესებში, ისინი შეძლებენ დაუცველობის შემცირებას. როგორ მოიქცევიან და რა არჩევანს გააკეთებენ თავად ქართველები, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აგრესიული მეზობლების ქცევა. საქართველოში უსაფრთხოება ინსტიტუციურ რეაგირებას, საყოველთაო ლეგიტიმაციას, ეკონომიკურ კეთილდღეობას, საერთო პოლიტიკური ღირებულებების დადგენას და ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციას საქართველოს სახელმწიფოში.

1991 წლის დამოუკიდებლობამდე საქართველოს არ ჰქონია ერთიანი სახელმწიფო არმია. პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), ელიტური სახალხო გვარდია რეგულარულ ჯარში გაერთიანებული არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის დროს, არასლავური წარმოშობის ჯარისკაცების დისკრიმინაციამ, სამხედრო ძალებში რუსულის ექსკლუზიურმა გამოყენებამ და სამოქალაქო სექტორში პროფესიული განვითარებისთვის უკეთესმა შესაძლებლობებმა, ქართველები იძულებული გახადეს, რომ სამხედრო სამსახურისთვის თავი აერიდებინათ. ერთადერთი სამხედრო სასწავლებელი უმაღლესი საარტილერიო სკოლა გახლდათ თბილისში. ქართველები იშვითად თუ ემზადებოდნენ ქვეყნის გარეთ ოფიცერთა მოსამზადებელი კურსების გასავლელად. საზღვაო და საჰაერო ძალებში კი, მდგომარეობა უარესი იყო. 1993 წლისთვის, ქართული საზღვაო ძალების 70%-ს რუსები შეადგენდნენ. პირველი სამხედრო საჰაერო პოლკი 1992 წლის თებერვალში შეიქმნა და ორი თვითმფრინავისა და რამდენიმე შვეულმფრენისგან შედგებოდა. ჯარში სავალდებულო განვევა მექრთამეობას უწყობდა ხელს, ხოლო რეზერვი უმოქმედო იყო.

შევარდნაძეს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სახელმწიფოს ნორმალური ჯარი ჭირდებოდა. 1994 წელს მან გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე, კავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების ყოფილი სარდლის

მოდგილე და ლოჯისტიკაზე პასუხიმგებელი, საქართველოს თავდაცვის მინისტრად დანიშნა. მან მნიშვნელოვანი კანონმდებლობა შემოიტანა პარლამენტში სამხედრო სამსახურზე, განვევაზე და სამხედროების საპარლამენტო ზედამხედველობაზე. პარლამენტს არ გააჩნდა სამხედრო ხარჯების საბიუჯეტო კონტროლის უფლებამოსილება, მაგრამ შექმნა საპარლამენტო ნდობის ჯგუფი, რომელსაც სპეციალური უფლება მიანიჭა, რომ ჩართულიყო სამხედრო და უშიშროების საქმეთა განხილვაში.¹⁰¹ 1996 წელს შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების საბჭო. მას პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება არ გააჩნდა. 1997 წელს, აშშ-მა საქართველოს დაფინანსება დაიწყო „საერთაშორისო სამხედრო და სასწავლო“ და „საზღვარგარეთის სამხედრო ნაწილების დაფინანსების“ პროგრამების საშუალებით. 1999 წელს, დაარსდა უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო, რომელსაც დასაველელი სამხედრო სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო 2002 წელს საქართველომ ნატოში გაწევრიანებაზე განცხადება წარადგინა.

საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების სტრუქტურები 1990-იან წლებში სიდუხჭირით და დაქუცმაცებით გამოირჩეოდნენ, მათთვის არც ცინიზმი იყო უცხო. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები განსაკუთრებით ცუდად იქცეოდნენ. ისინი იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდას ეწეოდნენ უცხოეთიდან. მიუხედავად შევარდნაძის მცდელობებისა, რომ რეფორმები გაეტარებინა ჯარში, „დედოფინა“, საკვებისა და აღჭურვილობის უქონლობა და არასათანადო ანაზღაურება გახდა სამხედრო მორალის დაცემის მიზეზი, რამაც გამოიწვია 1998, 2001, 2002 და 2003 წლებში მომხდარი ამბოხებები ჯარში. შევარდნაძე გვერდიდან არ იშორებდა და იცავდა კორუმპირებულ თანამდებობის პირებს, მაგალითად შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს, რომელიც საბოლოოდ მაინც აიძულეს გადამდგარიყო 2001 წლის ნოემბერში, სატელევიზიო კომპანია რუსთავე-2-ში უხვირო შეჭრის შემდეგ.¹⁰² შევარდნაძემ ნერტილი დაუსვა სამხედროების ჩარევას სამოქალაქო სტრუქტურებში, მაგრამ კრიმინალური დაჯგუფებები კონფლიქტების ზონებში არ გამქრალან. მთელი ამ ხნის განმავლობაში, საქართველოს სამხედრო ძალები და უშიშროების სამსახურები სხვადასხვა ერთმანეთში მოქიშპე სამსახურებით იმართებოდნენ. სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები დაურეგულირებელი იყო. ჯარი შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს როგორც დემოკრატიისთვის, ისე სახელმწიფო მშენებლობისთვის, მაგრამ საქართველოში, ის არცერთისთვის არ წარმოადგენდა არაფერს.

სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფცია უმნიშვნელოვანესი საშუალებაა იმისთვის, რომ სტრატეგიული პარტნიორების იდენტიფიცირება მოხდეს შიდა და გარე საფრთხეებთან ერთად. ამასთან, ის განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების სტრუქტურას, ზომასა და სტრატეგიას, ისევე რო-

გორც იარალის შექენის, დაგეგმვის და ნერთნების საკითხებს. შევარდნადის პრეზიდენტობის დროს ბევრი ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციის უამრავი პროექტი შეიქმნა და ბევრი ინიციატივაც გაჩნდა, მაგრამ მათგან ოფიციალური არცერთი იყო. სამხედრო სფეროში არ არსებობდა სახელმძღვანელო მითითებები. ამ დროის ყველაზე სერიოზული წინადადება იყო: „საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძირითადი პრინციპები“ (ძირითადი პრინციპები), რომელიც პარლამენტმა 1997 წლის აპრილში მიიღო; „საქართველოს სამხედრო დოქტრინა“, დამტკიცებული პარლამენტის მიერ 1997 წელს და საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო პოლიტიკური დეპარტამენტის (MPD/MFA) მიერ მომზადებული პროექტი „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. ამ დოკუმენტებში უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ისტებლიშმენტის 2003 წლამდე პერიოდის თეორიები აისახა.¹⁰³

სამივე დოკუმენტის საფუძველშივე ხაზგასმულია საქართველოს ლოიალურობის იდეა დასავლური მოდელის ლიბერალური დემოკრატიისადმი, მათ შორის ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობის, ეთნიკურ უმცირესობათა დაცვისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებისადმი. „სამხედრო დოქტრინა“ ეძღვნებოდა სამხედროების დეპოლიტიზაციას და მათ ჩაურევლობას პოლიტიკურ საქმეებში.¹⁰⁴ სამივე მათგანი ითხოვდა საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას. ამავე დროს, „ძირითადი პრინციპებისა“ და MPD/MFA-ის პროექტის მიხედვით საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი ენიჭებოდა სახელმწიფოში. პროექტში ლაპარაკი იყო „მართლმადიდებლური ტრადიციების სტიმულირების“ საჭიროებაზე, ხოლო „ძირითად პრინციპებში“, რელიგიის თავისუფლებისა და ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის აღიარებასთან ერთად აღნიშნული იყო, რომ ეს არ ითვალისწინებდა ეკლესიის საზოგადოებისგან გამოყოფას.¹⁰⁵

სამივე დოკუმენტი (სამხედრო დოქტრინა ნაკლებად) საქართველოს დასავლურ ეკონომიკურ და უსაფრთხოების სისტემებში ინტეგრაციის იდეას იცავდა. „ძირითად პრინციპებში“ ლიად იყო გაცხადებული ქვეყნის „ევროპული ორიენტაციის“ შესახებ, ხოლო MPD/MFA-ს პროექტში საქართველოს საჭიროებაზე იყო ლაპარაკი, რომ მოეძებნება „თავისი ადგილი და ფუნქცია ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში“. „ძირითადი პრინციპები“ დაჟინებით ითხოვდა კავკასიური და ევროპული უსაფრთხოების ურთიერთკავშირს, ევროპის საბჭოში განვერიანებას (საქართველო 1999 წელს მიიღეს), ევროკავშირთან თანამშრომლობის გაფართოებას და ევროპულ ბაზარზე ინტეგრაციას „ტრასეკას“ ხელშეწყობით. „ძირითადი პრინციპების“ მიხედვით, „ეს მხოლოდ (საქართველოს) ტრადიციულ კულტურულ გარემოში დაბრუნებას კი არ ეხება. ეს ცხოვრების აუცილებ-

ბლობითაა გამოწვეული... ვინაიდან ევროპასთან დაახლოების გარეშე, საქართველოს მყარი სახელმწიფოებრიობა და ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრების რენესანსი... წარმოუდგენელია."¹⁰⁶

რუსეთი მთავარ საფრთხედ მიიჩნეოდა „ძირითად პრინციპებში“. დოკუმენტი აცხადებდა, რომ „რუსეთმა საქართველოს პრობლემები შეუქმნა წარსულში, გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რომ გაემწვავებინა არსებული უთანხმოებები და წინააღმდეგობები; შემდეგ კი, მას საბაბი ეძლეოდა მათ მოსაგვარებლად, და ამგვარად აქცევდა (სახელმწიფოებს) სატელიტებად ან კიდევ უარესი, კოლონიებად."¹⁰⁷ ეს დოკუმენტი რუსეთს ადანაშაულებდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში 1801 წლიდან დაწყებული, საერთაშორისო ნორმების დარღვევაში და სეპარატისტული მოძრაობების გაღვივებაში. თუმცა, საქართველოს ისტორიაში რუსეთის როლის მწვავე კრიტიკასთან ერთად, „ძირითად პრინციპებში“ აღიარებულია, რომ საქართველოს არ შეუძლია „რუსეთის იგნორირება“ და მოუწოდებდა ორივე მხარეს კომპრომისისკენ, მათ შორის იგულისხმებოდა ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება.¹⁰⁸ MPD/MFA-პროექტსა და სამხედრო დოქტრინაში რუსეთის როლზე უფრო ბუნდოვნად საუბრობენ, მაგრამ ორივე დოკუმენტი გმობს უცხო სახელმწიფოების ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში და ხაზს უსვამს საერთაშორისო ნორმების მნიშვნელობას. ამ მასალებში გამომჟღავნდა შეგარდნადის დროინდელი ქართული ელიტის წუხილი უსაფრთხოების საკითხებზე და აისახა ფუნდამენტური საერთო ღირებულებები: ძლიერი ერთგულება ქრისტიანული და „ტრადიციული“ ნორმებისადმი, ევროპულად თვითიდენტიფიცირება, დასავლური ლიბერალური ღირებულებების წინ წამოწევა და შემფოთება რუსეთის ზრახვებისადმი.

ვარდების რევოლუცია მოდერნიზაციის რევოლუციაა. ის ფოკუსირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების ხელახლა აშენებაზე და ყველაზე მეტად, სამხედრო შეიარაღებულ ნაწილებზე. საქართველოს შეიარაღებული ძალების რადიკალური გარდაქმნა ნაწილობრივ განზრახული იყო საქართველოს ნატოში განევრიანების უზრუნველყოფით (საკავშილი 2006 წელი ნატოს წლად გამოაცხადა). მაგრამ ის ამ მხრივ, ეფექტური თავდაცვის ძალების შექმნასა და ეროვნული ინტეგრაციის ხელშემწყობი ინსტიტუტის შექმნასაც ეხებოდა. დასავლური რეფორმების ნაწილი იყო თავდაცვის მინისტრად სამოქალაქო პირის დანიშვნა 2004 წელს. ყველა სამხედრო ძალა, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებიც (7.000-8.000 ჯარისკაცი) თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოექცა. გენერალური შტაბისთვის უფრო მკაფიო სამსახურებრივი სუბორდინაცია განისაზღვრა და დაინერგა უფრო ქმედითი დაგეგმვისა და საბიუჯეტო სისტემები. შეიარაღებული ძალები მცირე, პროფესიული და ნატოსთან შეთავსებადი უნდა ყოფილიყო. სამხედროებს ხელფასები მოემატათ: 2007 წლისთვის

ოფიცერს 1000- ლარიანი (\$605) გასამრჯელო ჰქონდა, როცა 2003 წელს 80 ლარს (\$48.5) იღებდა. 2004-2008 წლებში, ლეიტენანტის გასამრჯელო 631%-ით გაიზარდა.¹⁰⁹ კარგად ანაზღაურებადმა პროფესიულმა არმიამ კანდიდატების ხარისხი აამალა (თუმცა მოსამზადებელი კურსების ვადა შემცირდა ოფიცრების დეფიციტის პრობლემის მოსაგვარებლად) და წინა კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული ბევრი პირიც მიიზიდა. ჯარისკაცთა დაახლოებით ერთი მეხუთედი ნატოს ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში.

საკავშილის ხელისუფლებამ სწრაფად დაადგინა ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (NSC 2005), ეროვნული სამხედრო სტრატეგია (NMS 2006) და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (SDR 2007), მიუხედავად განსხვავებისა სრულყოფილ შეფასებებს წარმოადგენენ, რომლებიც ადასტურებენ გარე, რეგიონულ და საშინაო უსაფრთხოების კავშირებს.¹¹⁰ ეროვნული სამხედრო სტრატეგია ყურადღების ცენტრში სამხედრო დაგეგმვისა და მზადყოფნის საკითხებსა და სტრატეგიებზე აკეთებს; თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში, რომელიც ნატოს მოთხოვნის შემუშავებული ყველაზე დანვრილებითი დოკუმენტია, წარმოდგენილია საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების სცენარები 2015 წლამდე; ბოლო, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ჩამოთვლილია საქართველოს მთავარი საფრთხეები და მათი გაუვნებელყოფის საშუალებები. მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიული მთლიანობის წინაშე მდგარ საფრთხეებს, მათ შორის სეცესიონისტურ მოძრაობებს, მოსაზღვრე რეგიონებში არსებული კონფლიქტების გადმოდინებას (ჩეჩნეთი, მთიანი ყარაბაღი) და ტერორისტულ აქტებს, მაგალითად დივერსიულ აქტებს მილსადენზე. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის 2005 წლის ვერსიაში, განსხვავებით 2012 წლის განახლებული დოკუმენტისგან, ნაკლები მენშეოთებაა უშუალოდ ჩრდილოეთიდან განხორციელებული დარტყმის თაობაზე. ხაზი ესმება ნატოში განევრიანებას, რომელიც მოითხოვს მცირე, ნაპირული და მოქნილ პროფესიულ შენაერთებს. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვაში კი აქცენტირებულია წვრთნები მთიან რაიონებში საომარ ოპერაციებზე. 11 მთავარი საფრთხიდან, რომელიც უსაფრთხოების კონცეფციაშია ჩამოთვლილი, 6 ეხება არასამხედრო სახის რისკებს, მაგალითად ენერჯეტიკას, კორუფციას, ეკონომიკურ განვითარებას, საჯარო ადმინისტრაციას და გარემოს. უკრაინა და თურქეთი სტრატეგიულ პარტნიორებად აღიარებულია მოხსენებული (აშშ-თან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად). მაგრამ სამხედრო სტრატეგიაში უსაფრთხოების გარანტიები მყარად არის მოითხოვებული კოლექტიური თავდაცვის გვერდით ნატოს კონტროლს ექვემდებარება. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, საქართველოს არასაკმაონი რეზერვები აქვს და მხარადაჭერას საჭიროებს; თავდასხმის შემთხვევაში,

დოკუმენტი ითვალისწინებს სრული წინააღმდეგობის დეცენტრალიზებული სტრატეგიის გატარებას განვრთნილი სპეციალური შენაერთებისა და რეზერვის დახმარებით.

და მიანც, ამ დოკუმენტებმა, სამხედრო რეფორმებმა და სამხედრო ბიუჯეტის ინტენსიურმა ზრდამ არსებითი ცვლილები ვერ მოიტანა ომის დროს.¹¹¹ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის პენტაგონის შეფასებაში მითითებულია არასწორ ხელმძღვანელობაზე, მოუმზადებელ ოფიცრებზე (რომელთაგან ბევრი ნაცნობობით იყო დანიშნული/ დანიშნული და არა კვალიფიკაციის გათვალისწინებით), დარღვეულ სუბორდინაციაზე, გაუმართავ კომუნიკაციებზე და სადაზვერვო ჩავარდნებზე.¹¹² ომის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 1700 დეზერტირის წინააღმდეგ (დეზერტირობის მიზეზი ძირითადად სამხედრო მეთაურობის დეზორგანიზაცია გახლდათ). საქართველოს მსგავსი მცირე და გამოუცდელი სამხედრო ძალები ვერ გაუძლებდნენ რუსეთის შეიარაღებულ ძალების დარტყმას. საბოლოოდ, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების ამბიციური იდეებმა და სტრატეგიებმა უმნიშვნელო როლი შეასრულეს 2008 წლის აგვისტოს ომში. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ზედმეტმა ამბიციურობამ გაართულა პრობლემები. ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ეროვნული უსაფრთხოების ახალი დოკუმენტი შეიმუშავა, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა 2011 წლის დეკემბერში, მასში ხაზგასმულია უსაფრთხოების ახალი გამოწვევები, რომლებიც რუსეთის ოკუპაციასთანაა დაკავშირებული.¹¹³

დასკვნა

საქართველო ომის მდგომარეობაშია დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. ეს შიდა, გარე, ეთნიკური და არაეთნიკური, კოლონიური და პოსტ-კოლონიალური ომებია, რომელთა სათავე წარსულში და აწმყოშიცაა. 2008 წლის აგვისტოს ომი მოსალოდნელიც იყო მოულოდნელიც; მოსალოდნელი იმიტომ, რომ საქართველოს რუსეთთან ფარული ომი ჰქონდა თითქმის ოცი წლის განმავლობაში; მოულოდნელი კი იმიტომ, რომ სახელმწიფოთმორის ომს ორივე მხარე თავს არიდებდა დიდი ხნის განმავლობაში. ეს ომი წყალგამყოფი იყო, მაგრამ არა უჩვეულო გამოცდილება საქართველოსთვის. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოჭრის საბაბი სომეხ გლეხთა კარგად ჩაფიქრებული აჯანყება იყო ბორჩალოში. ხოლო 2008 წელს სამხრეთ ოსების „გენოციდისგან“ ხსნამ საქართველოს მთლიანობის დაშლა გამოიწვია, რაც სავარაუდოდ, მომავალი ათწლეულების განმავლობაში აღარც აღდგება.

ომს საერთაშორისო მასშტაბის გართულებები მოჰყვა. 21-ე საუკუნის ევროპის პირველი ომი ურთულეს გამოწვევას წარმოადგენდა საერთაშორისო

საზოგადოების მყარი პრინციპისთვის, რომელიც სუვერენული საზღვრების ბელაქუქებლობას გულისხმობს და რომელიც ცინიკურად ხელყვეს, ისე რომ აიჯან დასჯილა. თუმცა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა მთავრობები უაიის ამპობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღი-არებაზე, რაც გვეუბნება, რომ ცალმხრივი გადანყვეტილება გამოყოფაზე ისევ სცილდება განსაზღვრულ ჩარჩოებს უმრავლეს შემთხვევაში. საერთა-შორისო ორგანიზაციებმა, მაგალითად, ეუთომ თუ გაერომ უნდა გადააფა-სონ თავისი სტრატეგიები კავკასიასთან მიმართებაში. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ახალი გეოპოლიტიკური კონფიგურაცია გამოიკვეთა, რაც რუსე-თის მომავალ ურთიერთობებზე ზეგავლენას იქონიებს და არა მარტო ყო-ფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, არამედ ევროპასთან, აშშ-თან, ნატოსა და საერთოდ, კავკასიის სამეზობლოსთან მთლიანად. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შიდა პოლიტიკა შეიცვალა: რუსეთის ფაქტორმა საქა-რთველოს ფაქტორი ჩაანაცვლა. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას არსებითი გავლენა ექნება ჩრდილოეთ კავკასიის რე-სპუბლიკებზე, იმ რეგიონზე, რომელსაც პრეზიდენტი პუტინი რუსეთის უსაფრთხოებისთვის მთავარ პრობლემად მიიჩნევს (რადიკალური ისლამის აღზევებასთან ერთად). ომი რეგიონულ ალიანსებსაც შეცვლის სამხრეთ კავკასიაშიც. სომხეთის მიერ დიპლომატიური ურთიერთობების დაწყება თურქეთთან 2009 წელს („საფეხბურთო დიპლომატია“) ომით გამძაფრებულ შემფოთებას ასახავს იმის თაობაზე, რომ მისი დამოკიდებულება ჩრდილო-ეთზე რუსეთის ცალმხრივი მოქმედების გამო იოლად შესარყევი გახდა.

ომმა საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის არსებული კავშირები გა-მოაველინა საქართველოსა და რუსეთისთვისაც. რუსეთის ავტორიტარულმა რეჟიმმა მოახერხა დაბალრისკიანი ომის წარმოება თავისი რეგიონული დომინანტობის ხელახლა განცხადების მიზნით და ყოფილი კოლონიისთ-ვის გაკვეთილის მისაცემად, ისე რომ წინააღმდეგობაც არ შეხვედრია არა-ინფორმირებული რუსული საზოგადოებისგან. საქართველოს შემთხვევა კიდევ უფრო რთულია: ნაგება უფრო მეტ თვითდაკვირვებას და ანალ-იზს მოითხოვს. ომმა საქართველოს სისტემური სისუსტეები გამოამჟღავ-ნა. მიუხედავად ინსტიტუციური მშენებლობის თუ სამხედრო-თავდაცვით სისტემაში შთამბეჭდავი გაუმჯობესებისა, საქართველოს სახელმწიფო აპარატი მაინც იზოლირებულია თავისი მოქალაქეებისგან. ქვეყნის ახალ-გაზრდა ხელმძღვანელობამ გადაჭარბებით შეაფასა არმიის რეფორმირებისა და შეცვლის შესაძლებლობა ოთხ წელიწადში. თავდაცვის სამინისტროში არსებული არასტაბილური მდგომარეობა დაწყებული 2004 წლიდან, როცა სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელი დავით თეიზაძე გადადგა, ვიდრე 2011 წლამდე, – სამინისტრომ ამ პერიოდში ექვსი მინისტრი გამოიკვალა, – და გამოცდილი სამხედრო კადრების არარსებობა იმას ნიშნავდა, რომ სამინისტროში ცოტა თუ არსებობდა ისეთი, რომელსაც გაფრთხილება შეე-

ძლო ხელმძღვანელობის. თავდაცვის სამინისტროზე არაეფექტური მონიტორინგი ხორციელდება და ის ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომი უწყებაა ჟურნალისტებისთვის. პარლამენტსა და მის კომიტეტებს „პრეზიდენტის პარტია“ აკონტროლებს და შესაბამისად, სამინისტროზე ზედამხედველობასაც ნაკლებად ახორციელებენ. ქვეყნის დიდი სატელევიზიო არხები დაშინებულები არიან ხელისუფლების მიერ, ხოლო სახელმწიფო უზარმაზარ ენერჯის ხარჯავს თავისივე მოქალაქეებზე თვალთვალზე, ოპოზიციის იზოლირებისა თუ მარგინალიზაციაზე და ბიზნესში ჩართული ხალხის კონტროლზე. 2004 წელს შინაგან და უშიშროების საქმეთა სამინისტროების შერწყმის შედეგად ძლიერი უწყება შეიქმნა, რომელიც რამდენიმე სპეციალურ შეიარაღებულ შენაერთს ხელმძღვანელობს, მათ შორის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტს, რომლის თანამშრომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ბანკის ახალგაზრდა თანამშრომლის, სანდრო გვირგვლიანის მკვლელობისთვის 2006 წელს.¹¹⁴

ჟურნალისტმა და პოლონეთის 1980-იანი წლების სოლიდარობის მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ადამ მიხნიკმა, 2009 წლის დეკემბერში გაფრთხილება მისცა ქართველებს, რომ თუ საქართველოს უსაფრთხოება სურს, მას დემოკრატია სჭირდებაო¹¹⁵ (115). რუსეთის მსგავსი მეზობლის შემთხვევაში, ეს შეიძლება ზედაპირულ განცხადებად ჩანდეს. რუსეთი სისტემატურად ძირს უთხრის თავისი მეზობლების სუვერენიტეტს, სულ ერთია, დემოკრატიის მშენებლობაზე აკეთებენ ისინი განცხადებას თუ არა (მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი). 2008 წლის აგვისტოს ომისთვის ის მომზადებული იყო. მაგრამ მიხნიკი გულისხმობდა, რომ დემოკრატია, თუ მუშაობს, ხელს უწყობს საჯარო დებატებს, ანგარიშვალდებულად ხდის ქვეყნის ხელმძღვანელობას და უზრუნველყოფს ლეგიტიმაციას. ამით დემოკრატია ელიტას აიძულებს ზომიერად მოიქცეს, ის აძლიერებს სახელმწიფოს და ამცირებს დაუცველობას გარე ჩარევისადმი. სააკაშვილის უსაფრთხოებას კონტროლის მექანიზმად აღიქვამს; მაგრამ უსაფრთხოება უკეთ განიმარტება როგორც ნდობა – მოქალაქეების ნდობად საკუთარი ხელისუფლებისადმი და პირიქით მთავრობის ნდობად მოქალაქეების ერთგულებაში. საბოლოოდ, ეს საუკეთესო თავდაცვაა გარეშე პროვოკაციებისგან.

შემაჯამებელი მოსაზრებები

ს მ წიგნზე მუშაობისას ჩემი სუბიექტურობა მანუხებდა. პირველ რიგში, რასაც მე, დასავლელი კაცი, ვფიქრობდი დემოკრატიაში და ხელმძღვანელობაზე არ ემთხვეოდა რიგითი ქართველების მოსაზრებებს, რომლებიც ბოლო ორი ათწლეული ისეთ სამყაროში ცხოვრობდნენ, სადაც „დემოკრატია“ ფიზიკური და ეკონომიკური დაუცველობა მოიქანა. მეორე, არალოგიკური იქნებოდა იმ ხელმძღვანელობისგან, რომელიც სახელმწიფოს გადარჩენის გზაზე განსაკუთრებულ დაბრკოლებებს ებრძოდა, მაგალითად, სეცესიონიზმს, ომს და მასობრივ შიმშილობას, იმავე სტანდარტების მოთხოვნა, რომლებსაც ათწლეულების განმავლობაში მშვიდობიან ვითარებაში და მეგობრულად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოების გარემოცვაში სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებელი დასავლური ქვეყნები იცავენ. მესამე, რას შეიძლებოდა საქართველოს მიეღნია ორი ათწლეულის განმავლობაში? არ იქნებოდა ურიგო, რომ გაგვეხსენებინა, საიდან დაიწყო საქართველომ და რას მიაღწია სამოქალაქო ომის, გადატრიალებების, პოლიტიკური მკვლელობების, ეკონომიკური ემბარგოსა და მტრულად განწყობილი ჩრდილოელი მეზობლის არსებობის პირობებში, რომელიც კვლავ პროვოცირებს შიდა პოლიტიკურ კრიზისებსა და დესტაბილიზაციას. ქართველებმა ვერშემდგარი ქვეყნისგან ფუნქციონირებადი სახელმწიფო შექმნეს.

ამ ფიქრებსა და ყოყმანთან ერთად დასკვნამაც საგონებელში ჩამადგო. რა იყო ჩემი ამომწურავი არგუმენტი? ძალიან ძნელია საქართველოს ბოლო ოცწლიანი განვითარების ერთ თეორიულ ჩარჩოში მოქცევა. ცვლილებები დრამატული, არაპროგნოზირებადი და იდიოსინკრაზიული იყო. ის სხვადასხვა თეორიული მოდელი, რომლსაც მივმართავ, სასარგებლო იყო საქართველოს წინ წამოწევისთვის პოსტსაბჭოთა ტრანზიციებს შორის. ასეთი მოდელები ნიმუშებსა და პრობლემებს წარმოგვიდგენენ და ამასთან, გამოსადეგ ჩარჩოებსაც გვთავაზობენ ჩვენი ინფორმაციისთვის არჩევნებზე, პოლიტიკურ პარტიებზე, პოლიტიკურ ღირებულებებზე, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ეკონომიკურ რეფორმებზე. მსგავსი წიგნის პრობლემა ამ ელემენტების სრულყოფილ და სარწმუნო ჩარჩოებში ფორმირება წარმოადგენს. მე გავაცნობიერე, როგორც ეს ნებისმიერ რთულ ორგანიზმზე რაციონალურმა დამკვირვებელმა უნდა გააკეთოს, რომ ერთადერთი განმარტებითი მოდელის წარმოდგენის მცდელობა დამარცხებისთვისაა განწირული. ასე რომ, ჩემი მიდგომაა მოგანოდოთ დამოუკიდებელ დასკვნათა რიგი და, ამასთან, მათ შორის არსებული კავშირების დემონ-

სტრირებით საქართველოს პოლიტიკური სისტემის უფრო ფართო სისტემური დახასიათება დავენერო.

დღეს საქართველო ერთ-ერთი კარგად მართული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა. სისტემური კორუფცია აღმოფხვრილია, ორგანიზებული დანაშაული განადგურებულია, ბიზნესის ხელშემშლელი ფაქტორები შემცირებულია და გარკვეული საზოგადოებრივი სახის მომსახურება, მაგალითად, მანქანის მართვის მოწმობისა და პასპორტის აღება, მკვეთრად გაუმჯობესდა. ყველაფერმა ამან სტიმული მისცა ახალ სამომხმარებლო კულტურას, რომელიც საზოგადოების ფართო ფენებზე გავრცელდა; მობილური ტელეფონი ახლა აუცილებელი გახდა. ელექტრონული კომუნიკაციების დახმარებით საქართველო 21-ე საუკუნეში შევიდა; მოგზაურობა, ბიზნესი და საგანმანათლებლო-სასწავლო კონტაქტები, მსოფლიოს მრავალნაირი სატელევიზიო არხები, ინგლისური ენის სწავლება სკოლაში და სოციალური ქსელები ხელს უწყობენ ახალგაზრდა ქალაქელი ქართველების გლობალურ მოქალაქეებად ქცევის პროცესს.

მოხივდავად ამისა, უკეთესი მართვა და გლობალიზაცია თანაფარდობაში/კორელაციაში არ გახლავთ დემოკრატიის გაძლიერებასთან. ეფექტური საბელწმიფო ინსტიტუტი არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ქმედითი სამოქალაქო ინსტიტუტია. საქართველომ სტრუქტურული და საკანონმდებლო საჭრდენები შექმნა დემოკრატიის განვითარებისთვის, მაგრამ „ხარისხობრივად“ გაცილებით უარესად იქცევა. დემოკრატია ანგარიშვალდებულ და გულიანმიერ, საზოგადოების საჭიროებებზე სწრაფად მორეაგირე საჯარო ნოანადახურეებს ითხოვს. მას ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი სჭირდება, ისევე როგორც მონანილეობა და მოქალაქეზე მომუშავე კარგი კანონმდებლობა. საქართველოს დემოკრატია კარგად ვერ მუშაობს იმ მიზეზით, რომ მოქალაქეთა უმეტესობა შედეგებს ვერ გრძნობს, არ ესმის საკუთარი უფლებები და არც ისეთი მთავრობა ჰყავს, რომელიც მის პოლიტიკურ პრეფერენციებს გამოეხმაურებოდა. უმუშევრობა და სოციალური უთანასწორობა ცუდი და არახელსაყრელი პირობებია იმისთვის, რომ მოსახლეობითი დემოკრატიის სტიმულირება მოხდეს ან საჯარო მოსამსახურეებსა და თანამშრომლების საქმიანობაზე კონტროლი განხორციელდეს.

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური პოლარიზაციით ხასიათდება. საქართველოს მოქალაქეები, განსაკუთრებით თბილისის გარეთ ან თბილისის დასრბ უბნებში მცხოვრები, მოკვეთილნი არიან ეროვნული პოლიტიკისგან. მარტვილები, დაფინანსების თვალსაზრისით ბურუსით მოცულ ორგანიზაციებს უჭრე-აღიერენ, თუმცა, ისინიც, ვინც უკეთ და გამჭვირვალედ მუშაობენ, იწოდებიან „კორუფციონერად“ არიან თავიანთი ელექტორატისგან. პარლამენტში „საბრე-ზოკენტები“ პარტია დომინირებს, რომელიც ლოიალური და პასიურია. ის, უკრაინის, ბერძნის და მარტვიელია. მოსახლეობა მფარველების ძებნაშია და მათ, მარტვილებს ვერ შეძლო, რომ კოლექტიურად მოეხდინათ ზენოლა

საკუთარ წარმომადგენლებზე არჩევნებს შორის. ქართველთა უმრავლესობა დაუცველია სამსახურში, სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არარსებობის გამო. არაქართველი მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ინტეგრაციისთვის საჭირო რესურსები ამ ბოლო წლებში გაიზარდა, მონყვეტილია სახელმწიფოსგან ქართული ენის უცოდინარობის, სოფლის სიღარიბის და ეროვნულ ბაზარში შეზღუდული ჩართულობის გამო. ხელისუფლება ყველა სფეროში იჭრება, ის ფარულად უსმენს ოპონენტებს და განსხვავებულად მოაზროვნეებს, ხოლო სამინისტროები საჯარო ინფორმაციას ისე ეპყრობიან, როგორც მთავრობის საკუთარ ქონებას.

საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რომელიც მას 1991 წლიდან ჰყავდა, ვერ შეძლო იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც მმართველებსა და მართულებს შორის არსებობს. მან ვერ მოახერხა ერთადერთი დომინანტური პარტიის მხარდაჭერილი უკიდურესად ძლიერი პრეზიდენტის პოლიტიკური ასიმეტრიის თავიდან არიდება. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დემოკრატიის სათესი კვალი გააუმჯობესა. მაგრამ მისი მახვილი ეროვნულ და პატრიოტულ ცნობიერებაზე, მართალია, მოდერნიზაციის პროექტის მთავარ ნაწილზე, უგულვებელყოფს სოციალურ და ეკონომიკურ არსებით რეფორმებს. ეკონომიკური ლიბერალიზმის ენერჯიულმა და აქტიურმა დანერგვამ, პარადოქსია, მაგრამ ისეთი ინსტიტუტების პოპულარობის ზრდა გამოიწვია, როგორცაა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც პროდასავლური პროგრამების საპირისპირო მიმართულებით შეცვლას ცდილობს. საერთო სახელმწიფოსა და კეთილდღეობის იდეა, რომელიც მთავარია სტაბილური ეროვნული საზოგადოებისთვის, ნაწილებად დაიმსხვრა ერთი მხრივ ზღვარდაუდებელ და დამპყლელ/მონყურებულ ინდივიდუალიზმად და ძლიერ, არაანგარიშვალდებულ ინტერესებად, მეორე მხრივ, რომელიც ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული. ეკონომიკაც, გეოგრაფიის მსგავსად, ფრაგმენტიზირებულია.

დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოს ყველა ლიდერი დემოკრატიისკენ ისწრაფოდა. მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა აღმასრულებლის გაკონტროლება, ძალაუფლების გადაცემა ან მოქალაქეების ჩართვა პროცესებში. ვარდების რევოლუციის ავტორებმა 2003 წელს პოლიტიკურ სცენაზე თეატრალური გამოსვლის შემდეგ საქართველოს ახალი იმიჯი გააბრწყინეს საზღვარგარეთ, ენერჯიულად ამოქმედდნენ, დასავლეთიდანაც და უპრეცედენტო მოცულობის ინვესტიცია შემოიტანეს, მაგრამ 21 წლის წინ გამსახურდიას დაწყებული რევოლუცია ბოლომდე ვერ მიიყვანეს. სამივე პრეზიდენტი ძალზე განსხვავებული პიროვნება იყო, ისევე როგორც ის საზოგადოება, რომელსაც მართავდნენ (სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს იწურება). და მაინც, მილიარდობით დოლარის დასავლური დახმარების, სამი ომის, ორი გადაყენებული პრეზიდენტისა და ეკონომიკური და პოლიტიკური გაუთავებელი რეფორმებისა, სახელმწიფო-საზოგადოების

გაყოფის ფუნდამენტური პრობლემა კვლავაც სახეზეა. ეს საქართველოს „გენეტიკური“ პრობლემა არ გახლავთ, არა, ის საერთოა სხვა ყოფილი საბჭოთა თუ კოლონიური რეჟიმებისთვის. საქართველოს შემთხვევაში, როგორც ამ წიგნში ვცადე, რომ ამეხსნა, წყაროები მრავალმხრივია. პრობლემები მოიცავს საბჭოთა ინსტიტუციურ მემკვიდრეობას, სოციალურ ფრაგმენტაციას, ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, სუპერსაპრეზიდენტო სისტემასა და არასწორად გატარებულ დასავლურ რეფორმებს, რამაც, ყველაფერმა ერთად, ხელი შეუწყო ზედმეტად ცენტრალიზებული აღმასრულებელი შტოს წარმოქმნას. ბედის ირონიით, სახელმწიფოს დერეგულაციის პოლიტიკამ 2004 წლის შემდგომ, არამცთუ ეკონომიკური თავისუფლების ზრდა, კეთილდღეობა და საშუალო კლასის სტიმულირება არ გამოიწვია, არამედ, ძლიერი ბიზნეს-ინტერესები სახელმწიფო აპარატს მიაბა და კიდევ უფრო გაზარდა მისი ძალაუფლება ქვეყნის ეკონომიკაზე.

